

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი  
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE  
BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY

კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი  
სამი მსოფლიო მონოთეისტური რელიგიის და კანონიკური სამართლის  
შესწავლისა და კვლევის ცენტრი  
(იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი)  
OVIDIUS UNIVERSITY OF CONSTANTZA  
THE CENTRE FOR RELIGIOUS AND JURIDICAL-CANONICAL STUDY  
AND RESEARCH OF THREE MONOTHEISTIC RELIGIONS  
(MOSAIC, CHRISTIAN AND ISLAMIC)

# ბათუმი წარსული და თანამედროვეობა

## XI

### BATUMI PAST AND PRESENT

---

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები  
ბათუმი, 2021 წლის 27-28 მაისი  
Proceedings of the International Conference  
Batumi, May 27-28



გამომცემლობა  
„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“  
ბათუმი – 2021

*სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ქალაქ ბათუმის მერიას  
კონფერენციისა და კრებულის დაფინანსებისათვის*

სარედაქციო კოლეგია: როინ მალაყმაძე (*მთავარი რედაქტორი*), ოლეგ ჯიბაშვილი (*პასუხისმგებელი რედაქტორი*), სულხან მამულაძე (*პასუხისმგებელი მდივანი*), მაია აზმაიფარაშვილი (გორი), დევიდ ბრაუნდი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა დიასამიძე, ნიკოლაი დურა (რუმინეთი), ირინა ვარშალომიძე, გიორგი თავამაიშვილი, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე, თამილა ლომთათიძე, მერაბ მეგრელიშვილი, როინ მეტრეველი (თბილისი), კატალინა მიტიტელუ (რუმინეთი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი (ქუთაისი), ლელა სარალიძე (თბილისი), უჩა ოქროპირიძე, ელზა ფუტკარაძე, ია შიუკაშვილი (თელავი), მაია ჭიჭილეიშვილი

**რეგენზენტები:** დოდო ჭუმბურიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
ირაკლი ბარამიძე – ისტორიის დოქტორი  
სულხან კუპრაშვილი – ისტორიის დოქტორი

**EDITORIAL BOARD:** Roin Malakmadze (*Editor-In-Chief*), Oleg Jibashvili (*Associate Editor*), Sulkhan Mamuladze (*Executive Secretary*), Maia Azmaiparashvili (Gori), David Braund (Great Britain), Khatuna Diasamidze, Nicolae V. Dură (Romania), Irina Varshalomidze, Giorgi Tavamaishvili, Otar Turmanidze, Nino Inaishvili, Nodar Kakhidze, Tamila Lomtadidze, Merab Megrelishvili, Roin Metreveli (Tbilisi), Cătălina Mititelu (Romania), Avtandil Nikoleishvili (Kutaisi), Lela Saralidze (Tbilisi), Ucha Okropiridze, Elza Phutkaradze, Ia Shiukashvili (Telavi), Maia Chichileishvili

**REVIEWERS:** Dodo Chumburidze – Doctor of Historical Sciences  
Irakli Baramidze – PhD in History  
Sulkhan Kuprashvili – PhD in History

ISSN 1987-8745

© ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი – 2021

© „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2021

## სარჩევი – Contents

<b>მაია აზმაიფარაშვილი</b> (გორი, საქართველო) ქალაქის ტურიზმის განვითარების კონცეპტუალური და პრაქტიკული ასპექტები ბათუმის მაგალითზე	8
<b>Maia Azmaiparashvili</b> (Gori, Georgia) Conceptual and Practical Aspects of City Tourism Development on the Example of Batumi	14
<b>აბესალომ ასლანიძე</b> (ბათუმი, საქართველო) ბათუმი – კონფესიური მრავალფეროვნებისა და რელიგიური ტოლერანტობის ქალაქი	15
<b>Abesalom Aslanidze</b> (Batumi, Georgia) Batumi – City of Confessional Diversity and Religious Tolerance	22
<b>ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე, ოლეგ ჯიბაშვილი</b> (ბათუმი, საქართველო) საქალაქო ცხოვრების განვითარების ისტორიიდან ბათუმში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)	23
<b>Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze, Oleg Jibashvili</b> (Batumi, Georgia) From the History of Town Life Development in Batumi (30-50-s of the XIX Century)	37
<b>ელენე გეგეშიძე</b> (თბილისი, საქართველო) სიმკვლელების დაუდალავი მკვლევარი გურამ ლორთქიფანიძე დაბადების ადგილი – ბათუმი	38
<b>Elene Gegeshidze</b> (Tbilisi, Georgia) Tireless Researcher of Antiquities Guram Lorkipanidze Place of Birth – Batumi	42
<b>ოთარ გოგოლიშვილი</b> (ბათუმი, საქართველო) საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს	44
<b>Otar Gogolishvili</b> (Batumi, Georgia) Socio-Political Situation in Batumi in 1905	48
<b>David Grace</b> (Seattle, United States) Archaeology in Gonio, Georgia and Abroad	49
<b>დევიდ გრეისი</b> (სიეტლი, აშშ) არქეოლოგია გონიოში, საქართველოსა და უცხოეთში	50
<b>Елена Васильевна Дьякова</b> (Харьков, Украина) Выдающийся деятель Харькова и Батуми А. Н. Краснов	51
<b>Elena Dyakova</b> (Kharkov, Ukraine) Outstanding Figure of Kharkov and Batumi A.N. Krasnov	56
<b>ასმათ დიასამიძე</b> (ბათუმი, საქართველო) ბათუმი ჩემი სახლია	57
<b>Asmat Diasamidze</b> (Batumi, Georgia) Batumi is My Home	60
<b>ხათუნა დუმბაძე</b> (ბათუმი, საქართველო) პორტო- ფრანკოს როლი ბათუმის განვითარებაში	61

<b>Khatuna Dumbadze</b> (Batumi, Georgia) The Role of Porto-Franco in the Development of Batumi	64
<b>ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე</b> (ბათუმი, საქართველო) ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები	66
<b>Irine Varshalomidze, Nino Dzneladze</b> (Batumi, Georgia) Coins of the Kingdom of Macedonia Preserved in the Khariton Akhvlediani Museum	69
<b>ოთარ თურმანიძე</b> (ბათუმი, საქართველო) ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიისათვის	72
<b>Otar Turmanidze</b> (Batumi, Georgia) For the History of Batumi Machine-Building Factory	83
<b>ჯემალ კარალიძე</b> (ბათუმი, საქართველო) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში პირველი მსოფლიო ომის წლებში	84
<b>Jemal Karalidze</b> (Batumi, Georgia) Socio-Political Situation in Batumi During the First World War	90
<b>Radoslaw Karasiewicz-Szczypiorski</b> (Warsaw, Poland) <b>Sulkhan Mamuladze</b> (Batumi, Georgia) Earliest Buildings in the Gonio-Apsarus Castellum	92
<b>რადოსლავ კარასიევიჩ-სჭიპიორსკი</b> (ვარშავა, პოლონეთი) <b>სულხან მამულაძე</b> (ბათუმი, საქართველო) ადრეული ნაგებობანი გონიო-აფსაროსის კასტელუმში	100
<b>ნოდარ კახიძე</b> (ბათუმი, საქართველო) შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში 1925 წელს	101
<b>Nodar Kakhidze</b> (Batumi, Georgia) The Second Congress of Local Historians of Black Sea Coast and West Caucasus in Batumi in 1925	109
<b>მარიამ კობერიძე</b> (გორი, საქართველო) ბათუმის ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის შესწავლის ისტორიიდან	110
<b>Mariam Koberidze</b> (Gori, Georgia) From the History of Localization and Etymology of Batumi	115
<b>თამილა ლომთათიძე</b> (ბათუმი, საქართველო) მართლმადიდებლური საკრალური სივრცე პოლიკონფესიურ ბათუმში (ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა)	117
<b>Tamila Lomtadze</b> (Batumi, Georgia) Orthodox Sacral Space in Poly-confessional Batumi (Historical Experience and Modernity)	121
<b>შორენა მახაჩაძე</b> (ბათუმი, საქართველო) კონცეპტი „ბათუმი“ (კრებულის – „ბათუმს“ – მიხედვით)	122
<b>Shorena Makhachadze</b> (Batumi, Georgia) Concept “Batumi” (According to the Collection “Batumi”)	127

<b>მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი</b> (ბათუმი, საქართველო) ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში (1918-1920 წწ.)	129
<b>Merab Megrelishvili, Nikoloz Megrelishvili</b> (Batumi, Georgia) Batumi during the British Rule (in 1918-1920)	138
<b>ნაილე მიქელაძე, ირა აბულაძე</b> (ბათუმი, საქართველო) ზოგიერთი ტოპონიმის გააზრებისათვის ბათუმის შემოგარენიდან (9 მარტის ქუჩის გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგია)	141
<b>Naile Mikeladze, Ira Abuladze</b> (Batumi, Georgia) For Understanding Some Toponyms from Batumi Suburb (Etymology of the March 9 Street Geographical Name)	146
<b>ზურაბ ნაგერვაძე</b> (ბათუმი, საქართველო) ბათუმი – 1921 (18-21 მარტის მოვლენები)	147
<b>Zurab Nagervadze</b> (Batumi Georgia) Batumi – 1921 (March 18-21 Events)	152
<b>ავთანდილ ნიკოლეიშვილი</b> (ქუთაისი, საქართველო) ბათუმური რეალიები არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ნააზრევში	154
<b>Avtandil Nikoleishvili</b> (Kutaisi, Georgia) Realities of Batumi According to the Kartvelology Worldview of Arthur Leist	161
<b>ოთარ ნიკოლეიშვილი</b> (ქუთაისი, საქართველო) კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსი და ბათუმი	163
<b>Otar Nikoleishvili</b> (Kutaisi, Georgia) Carl Eric Bechhofer Roberts and Batumi	169
<b>ნანული ნოღაიდელი</b> (ბათუმი, საქართველო) სალიტერატურო ენის გამოყენების არასახარბიელო რეალობა პრაქტიკაში (ბათუმის მაგალითზე)	170
<b>Nanuli Nogaideli</b> (Batumi, Georgia) Unfavorable Reality of Using Literary Language in Practice (on the Example of Batumi)	174
<b>უჩა ოკროპირიძე</b> (ბათუმი, საქართველო) ქობულეთელთა როლი ბათუმისათვის ბრძოლაში 1877-1878 რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს	175
<b>Ucha Okropiridze</b> (Batumi, Georgia) The Role of Kobuletian People in the Battle for Batumi during The Russian-Ottoman War in 1877-1878	180
<b>ქეთევან პავლიაშვილი</b> (თბილისი, საქართველო) „ბათუმის რომაულ-კათოლიკური ორიენტაციის მოსახლეობა და ბათუმის „ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის“ ეკლესიის აგების ისტორიიდან (XIX-XX)	181
<b>Ketevan Pavliashvili</b> (Tbilisi Georgia) Roman-Catholic Population of Batumi and from the History “of Virgin Spotless Conceive” Church Building (XIX-XX)	185
<b>ლელა სარალიძე</b> (თბილისი, საქართველო) პოლიტიკური სიტუაცია ბათუმში ინგლისის მმართველობიდან განთავისუფლების შემდეგ (1920-1921 წწ.)	186

<b>Lela Saralidze</b> (Tbilisi, Georgia)	
Political situation in Batumi after the Liberation from British Rule (1920-1921)	193
<b>Иманутдин Хабибович Сулаев</b> (Махачкала, Республика Дагестан, Российская Федерация)	
Город Батуми в истории Союза горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918), Горской Республики (1918-1920)	195
<b>Imanutdin Sulaev H.</b> (Makhachkala, Republic of Dagestan, Russian Federation)	
The City of Batumi in the History of the Union of Mountaineers of the North Caucasus and Dagestan (1917-1918), the Mountain Republic (1918-1920)	198
<b>კახაბერ სურგულაძე, ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე, ტატიანა კოპალიეიშვილი</b> (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის ისტორიიდან	200
<b>Kakhaber Surguladze, Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze, Tatiana Kopaleishvili</b> (Batumi, Georgia)	
From the History of Immaculate Conception Church of Batumi	207
<b>რევაზ უზუნაძე, მერაბ უზუნაძე</b> (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმი X საუკუნეში	208
<b>Revaz Uzunadze, Merab Uzunadze</b> (Batumi, Georgia)	
Batumi in the 10th Century	216
<b>თამაზ ფუტკარაძე, ციური ქათამაძე</b> (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმის ქალთა გიმნაზია საარქივო დოკუმენტებში	218
<b>Tamaz Phutkaradze, Tsiuri Katamadze</b> (Batumi, Georgia)	
Batumi Women's Gymnasium in Archival Documents	229
<b>მადონა ქეზაძე</b> (თელავი, საქართველო)	
ბათუმი, როგორც ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალის მასპინძელი ქალაქი	230
<b>Madona Kebabze</b> (Telavi, Georgia)	
Batumi as a Host city of a Family-Made Wine Festival	233
<b>ჩელეზაძე ნაილა</b> (ბათუმი, საქართველო)	
ცნობები ბათუმის ცხოვრებიდან (არქივო მასალების მიხედვით)	235
<b>Naila Chelebadze</b> (Batumi, Georgia)	
Information from the Life of Batumi (According to the Archive Materials)	240
<b>ნუგზარ ჩხაიძე</b> (ბათუმი, საქართველო)	
ქ. ბათუმში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ცხოვრების პირობები და საქმიანობა (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი)	241
<b>Nugzar Chkhaize</b> (Batumi, Georgia)	
Living Conditions and Occupations of the People with Disabilities (PWDS) Residing in Batumi (Analysis of Sociological Research)	249
<b>მარიამ ცეცხლაძე</b> (ბათუმი, საქართველო)	
ბათუმი, როგორც მულტიკულტურული ქალაქი	250
<b>Mariam Tsetskhladze</b> (Batumi, Georgia)	
Batumi as a Multicultural City	255

<b>მაია ჭიჭილეიშვილი</b> (ბათუმი, საქართველო)	
XX საუკუნის დასაწყისის სააგარაკო სახლი მახინჯაურში	256
<b>Maia Tchitchileishvili</b> (Batumi, Georgia)	
Summer House of the Beginning of the 20th Century in Makhinjauri	260
<b>დოდო ჭუმბურიძე</b> (საქართველო, თბილისი)	
ბათუმის ურბანული და სოციო-კულტურული ვითარების ასახვა 1900-იანი წლების ქართულ დემოკრატიულ პრესაში	263
<b>Dodo Chumburidze</b> (Tbilisi, Georgia)	
Urban and Socio-Cultural Situation in Batumi in the Georgian Democratic Press of the 1900s	273
<b>გურამ ხაჯიშვილი</b> (ბათუმი, საქართველო)	
ივანე მესხი ბათუმში	275
<b>Guram Khajishvili</b> (Batumi, Georgia)	
Ivane Meskhi in Batumi	281
<b>თინათინ ჯაბადარი</b> (თბილისი, საქართველო)	
ეპიდემიები და მასთან ბრძოლა XX საუკუნის 20-30 იანი წლების აჭარაში	282
<b>Tinatin Jabadari</b> (Tbilisi, Georgia)	
Epidemics and the fight against it in Adjara in the 20-30s of the XX century	291
<b>სტატიათა ავტორები</b>	293
<b>Authors of the Articles</b>	293

მაია აზმაიფარაშვილი

(გორი, საქართველო)

## ქალაქის ტურიზმის განვითარების კონსეპტუალური და პრაქტიკული ასპექტები ბათუმის მაგალითზე

**აბსტრაქტი:** ტურიზმის განვითარებაში უმთავრესი მიზანი არის პოლიტიკური, კულტურული, ეკოლოგიური, ინტელექტუალური და ეკონომიკური სარგებლის შეთავაზება ხალხისათვის. ტურიზმი ქალაქის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, თუმცა ეკონომიკურ ზრდას ახალი გამოწვევებიც თან ახლავს. არაგემიური განვითარება შეიძლება აღმოჩნდეს დამანგრეველი ქალაქის დესტინაციისათვის. სტატიაში განხილულია ურბანული ტურიზმის, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი მიმართულების პრობლემატიკა ქალაქ ბათუმის მაგალითზე. გაანალიზებულია მნიშვნელოვანი საკითხები, რომელებიც შეეხება ტურისტული ნაკადების სივრცული გადანაწილებას და ყურადღების მიღმა დარჩენილ დესტინაციებს, მწვანე ეკონომიკის სექტორს და მდგრადი პასუხისმგებლიანი ტურიზმის პრიორიტეტებს, სხვადასხვა ქვეყნების სტრატეგიებს და მიდგომებს ურბანული ტურიზმის გამოწვევების მიმართ. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თვისებრივი კვლევის მეთოდები, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ კი ტურიზმის ინსტიტუტის კვლევის შედეგების გაანალიზებას.

**საკვანძო სიტყვები:** ურბანული, პოტენციალი, კულტურული, ქალაქი, სიმჭიდროვე.

**Key words:** Urban, Potential, Cultural, City, Density, Resort.

\*\*\*

მსოფლიოში მიმდინარე ურბანიზაციული პროცესები ხელს უწყობს ქალაქებში მოსახლეობის ზრდის ტენდენციას და სულ უფრო მეტ ადამიანში აღძრავს ქალაქების მონახულების სურვილს (UNWTO, 2016). შესაბამისად, საქალაქო ტურიზმის აქტუალობა დღითიდღე იზრდება. ქალაქი, ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული ორგანიზაცია, რომელიც უდიდესი მიზიდულობის ძალით გამოირჩევა. ქალაქის არჩევანის უკან მრავალი მიზეზია, მთავარია იერ-სახე, არქიტექტურა და ის, რაც ამ ხილულ იერში აირეკლება – ქალაქისა და მისი მოსახლეობის ისტორიული წარსული, ყოფითი ჩვევები და კულტურა. ტურიზმი აკავშირებს ადამიანებს და აყალიბებს ურთიერთობებს, ასწავლის ურთიერთთანაცხოვრებას. მნიშვნელოვან როლს თამაშობს დასაქმების, შემოსავლების, ურბანული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების საქმეში. ტურიზმი განიხილება, როგორც ქალაქის განვითარების ძირითადი სტრატეგიის ელემენტი. შესაბამისად, საქალაქო ტურიზმის აქტუალობა დღითიდღე იზრდება.

ურბანულ ტურისტულ დესტინაციას მიეკუთვნება ქალაქი ბათუმი, თავისი კულტურული ღირსშესანიშნაობებით, უნიკალობით, რომელებიც იზიდავენ ტურისტთა ფართო ნაკადებს. ბათუმი პოპულარულია როგორც ქართველ, ისე უცხოელ



სტუმრებს შორის და, შესაბამისად, სწრაფად ვითარდება. თუმცა, ამას თან სდევს რისკები და გამოწვევები როგორც ბათუმის 166 000 მაცხოვრებლისთვის, ასევე რეგიონის ბუნებრივი გარემოსთვის. ბათუმი ჩვენი ქვეყნის რეკრეაციულ ბიზნეს-რაიონს (recreational business district – RBD) წარმოადგენს და სხვა ზღვისპირა კურორტების მსგავსად, სანაპიროს პარალელურად, პრომენადის გადაღმა ვითარდება, ძირითადად, სასტუმროები და მაღაზიები. თავისი ეკონომიკური ბუნებით ტურიზმი მნიშვნელოვან შესაძლებლობებს უქმნის ქალაქს. ბათუმის სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, მწვანე სივრცეებს კონკურენციას უწევს საცხოვრებელი და კომერციული ნაგებობებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობები. სასტუმროები, ოფისები შენდება ქალაქის ცენტრალურ ადგილებში, რაც იწვევს ქალაქის ცენტრის გადატვირთვას, სიმჭიდროვეს, ფასების ზრდას და არამდგრად განვითარებას.

როგორც არსებული კვლევები გვიჩვენებს, 2019 წელს საქართველოში 9,4 მილიონი საერთაშორისო მოგზაურიდან, აჭარაში 2 002 540 ვიზიტი დაფიქსირდა. აჭარაში მოგზაურების რაოდენობა მზარდი იყო ევროპული ქვეყნებიდან, 67%-ით გაიზარდა ვიზიტები ესტონეთიდან; 103 %-ით – ლატვიიდან; 59.6 %-ით – ლიეტუვადან; 27.7 %-ით – გერმანიიდან. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტები გაზრდილი იყო აჭარის სამივე ადმინისტრაციულ საზღვარზე, რაც ბათუმის აეროპორტის შემთხვევაში არის +7.9 %, სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე +4.5 %, ხოლო ბათუმის პორტში +17.3 %. ტურიზმის სწრაფმა ზრდამ ბათუმის სამშენებლო ბაზრის სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი. მომსახურების სფეროს 120 მლნ. ევროს ოდენობის წვლილი შეაქვს და 9,000-ზე მეტ ადამიანს ასაქმებს *[საქსტატი, 2019]*. ბათუმში აქტიურად ვითარდება მომსახურების სფერო, რაც განაპირობებს სამუშაო ძალის მოთხოვნას აღნიშნული მიმართულებით, ინვესტიციების განაწილებას სექტორულ ჭრილში. აჭარის რეგიონში ინვესტიციების ნაწილი გაზრდილია და სასტუმროებსა და რესტორნებზე (24%) მოდის, რაც რეგიონის ტურისტული ცენტრის როლით არის განპირობებული *[<http://www.lmis.gov.ge>]*.

ტურიზმს სასიცოცხლო ენერჯია და დინამიზმი მოაქვს ქალაქისთვის, მაგრამ მასობრივი დატვირთვა სხვადასხვა ნეგატიურ ზემოქმედებას იწვევს. ტევადობის კონცეფციას თუ განვიხილავთ ტურისტული დანიშნულების ადგილზე ქალაქთან მიმართებით, გულისხმობს შესაძლებლობას, მისთვის ზიანის გარეშე, განავითაროს ტურისტული დესტინაცია. სხვა სიტყვებით, ის განსაზღვრავს ურთიერთობას რესურსულ საფუძველსა და ბაზარს შორის, და განიცდის თითოეული მათგანის თავისებურებების გავლენას. ფიზიკური ტევადობა, ნიშნავს არსებული ტურისტული საშუალებების რაოდენობას – მაგალითად, ადგილების რაოდენობა ტრანსპორტში ან სივრცე მანქანების პარკინგისათვის და ა. შ. ეკოლოგიური ან ბიოლოგიური ტევადობა უფრო რთული გასაზომია და გულისხმობს ეკოსისტემით სარგებლობის ზღვრულ სიდიდეებს. ფსიქოლოგიური ან ქცევითი ტევადობა იმ ნიშნულს უჩვენებს, რომელზეც ვიზიტორი გრძნობს, რომ დამატებითი ტურისტები გაუფუჭებენ შთაბეჭდილებას. მაგალითად, სრულიად ცარიელი სივრცე ისევე პრობლემატურია, როგორც გადავსებული, ამავე დროს, ამ მომენტის აღქმის ეფექტი თვით ტურისტის ხასიათზეა დამოკიდებული. სოციალური ტევადობა არის მასპინძელი საზოგადოების იმ შესაძლებლობის საზომი, რომლის პირობებშიც იტანს ტურიზმს და წარმოადგენს ტევადობის ტიპოლოგიების ბოლოდროინდელ დამატებას, თუმცა ის საკმაოდ

მნიშვნელოვანი საკითხია. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ტურისტების მასობრივი ვიზიტების ადგილებზე ჩნდება სერიოზული პრობლემები ეკოლოგიის, კულტურის და სოციალური განვითარების დარგში.

სხვადასხვა ქვეყნებს სხვადასხვა სტრატეგიები და მიდგომები აქვთ ქალაქის ტურიზმის გამოწვევების მიმართ. დღეს მეტი ყურადღება ეთმობა მწვანე მოდელებზე გადასვლას. უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე და საჯარო ღია სივრცეები ქ. ბათუმისთვის პრიორიტეტული გამოწვევაა, რადგან მწვანე სივრცის ფართობის მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე ბევრად დაბალია, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში. თუ ქალაქს ზემოდან დავხედავთ, მისი დიდი ნაწილი ქუჩების გამწვანების გამო, საკმაოდ მწვანედ გამოჩნდება. თუმცა, ბათუმის ბულვარის, 6 მაისის პარკის, კიდევ რამდენიმე მცირე ზომის პარკისა და საზოგადოებრივი მოედნების გარდა, ხარისხიანი საზოგადოებრივი ღია მწვანე სივრცეების რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ბათუმის მწვანე სივრცეების მშენებლობა არ დაგეგმილა ეკოსისტემების, ეკოსისტემური სერვისების, მოქალაქეების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ურთიერთკავშირის საფუძველზე. მწვანე სივრცეების უდიდესი ნაწილი ტურისტებზეა გათვლილი და უმეტეს შემთხვევაში, ტურისტების რაოდენობა ადგილობრივი მობინადრეების რიცხვს აჭარბებს. გარდა ამისა, მწვანე სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილი სანაპიროს გასწვრივ ან ბათუმის ქალაქის ცენტრთან ახლოს მდებარეობს, ეს კი ხელმისაწვდომობის ბარიერს ქმნის მათთვის, ვინც ამ ზონებიდან მოშორებითაა. ქალაქ ბათუმისთვის, ევროკავშირის ხელმისაწვდომობის სტანდარტების შესაბამისად, მნიშვნელოვანია მწვანე და საჯარო ღია სივრცეების ფარდობით მაჩვენებელი, მაგალითად, 400 მ. ან 9 წუთის სავალ დაშორებაზე საცხოვრებელი ადგილებიდან *[ბათუმი/მწვანე ქალაქი..., 2020]*.

ბათუმის ისტორიულ ცენტრს დღემდე შემორჩენილი აქვს ძველი ქალაქის განაშენიანება, ზოგი შენობა საუკუნეზე მეტს ითვლის, ზოგიერთ მადგანს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს მიანიჭებული. ქალაქი გამოირჩევა საკულტო დანიშნულების (ქრიტიანულ-მართლმადიდებლური, მაჰმადიანური, კათოლიკური, სომხური თუ ებრაული) ნაგებობების მრავალფეროვნებით. ურბანული ქალაქისთვის ბუნებრივი და კულტურული გარემოს გონივრული გამოყენება ნიშნავს დესტინაციის წარმატებულ და ეკონომიკურად სიცოცხლისუნარიანიან მომავალს.

„დოროვან რიპკემას არგუმენტები, ქალაქის ისტორიული ცენტრების მემკვიდრეობის დაცვას ეხმარება. მემკვიდრეობის დაცვა ქმნის სიცოცხლისუნარიან სავაჭრო ცენტრებს. გალვესტონმა მემკვიდრეობის დაცვა გამოიყენა, როგორც ეკონომიკური ზრდის დამატებითი წყარო. მიუხედავად იმისა, რომ ტეხასის შტატში, გალვესტონის ოლქში, ოკეანის სანაპირო ოდითგანვე იზიდავდა ტურისტებს, ცხადი გახდა, რომ ქალაქის ისტორიულმა ღირსშესანიშნაობებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივ ეკონომიკაში“ *[რიპკემა, 2018]*.

უსისტემო განაშენიანება „ჰამს“ ჩვენს ღია სივრცეს. ის წარმოშობს საცობებს, რომელიც ცუდად მოქმედებს ჩვენს გონებაზე და აზინძურებს ჰაერს. უსისტემო განაშენიანებამ ადამიანებს შეიძლება გაუჩინოს აბსოლუტური კლაუსტროფობია ჩვენი მომავლის მიმართ *[რიპკემა, 2018]*.

ჰაერის ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს ბათუმის მოსახლეობისთვის. მიუხედავად მონაცემების ნაკლებობისა, დაუზუსტებელი მტკიცებულებები იმაზე მიუთითებს, რომ მშენებლობის ტემპი ბათუმში მტვრის ნაწილაკებით დაზინძურების წყა-

როა. დაბინძურების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია ჰაერში ავტომანქანების გამონაბოლქვი, მყარი ნაწილაკების – SO<sub>2</sub> და NO<sub>2</sub> – კონცენტრაციის მაღალი დონე. ასევე, დამაბინძურებელია აქტივობები პორტში, განსაკუთრებით კი გემებისა და სატვირთო მანქანების გამონაბოლქვის ემისიები. ყოველივე ეს იწვევს ურბანული დესტინაციის ცვლილებებს.

ბარსელონაში, ბათუმის მსგავსად, ჰაერის ხარისხი ისტორიულად დაბალია – WHO-ს შეფასებით, დამაბინძურებელი ეფექტების შემცირებას წელიწადში 3,500 სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია [<https://www.who.int>]. გამოწვევების საპასუხოდ შემუშავებულია „ხეების სტრატეგიული გეგმა“ და ბარსელონას მწვანე ინფრასტრუქტურის გეგმის ნაწილი. გეგმა მიზნად ისახავს ურბანულ და ბუნების მწვანე ზონების ურთიერთკავშირის გაღრმავებას, ქალაქის ბუნებრივი მემკვიდრეობის გაძლიერებას, ქალაქის კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის მიღწევას და მოქალაქეების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ხორვატიის მთავარი ტურისტული ზონაა ადრიატიკის სანაპირო, რომელიც იზიდავს ტურისტებს რბილი კლიმატით, ქვიშის პლიაჟებით, და კარგად შენარჩუნებული ძველი ქალაქებით, ქვეყანაში მოწყობილია ეროვნული და ბუნებრივი პარკები, 7 ღირსშესანიშნაობა შეტანილია იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში. მოსახლეობა უკმაყოფილოა ტურისტების ნაკადის მუდმივი ზრდით – პირველ რიგში ეს ეხება ხორვატიის ისტორიულ ქალაქს „ადრიატიკის მარგალიტს“, ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეამცირა პორტში შემომსვლელი საკრუიზო ლაინერების რაოდენობა 5-დან 3-მდე. მერიამ შეზღუდა ქალაქში ჩამომსვლელ ტურისტთა რაოდენობა 8 მლნ-მდე, ქალაქის ისტორიულ ნაწილში დამონტაჟდა სათვალთვალო კამერები, რომლებიც დაითვლიან ტურისტების რაოდენობას – როგორც კი დღის მანძილზე ის გადააჭარბებს გარკვეულ დონეს, ქალაქში შესვლა ავტომატურად შეწყდება.

ჰოლანდიაში ტურისტებს, ძირითადად, იზიდავს ქვეყნის დედაქალაქი – ამსტერდამი, რომელიც მდიდარია კლასიკური კულტურის, მხატვრობის და ისტორიის თვალსაზრისით. ქალაქის ხელისუფლებას სურს ტურისტების ნაკადის შემცირება და ამისთვის დაგეგმა ბინის ქირაზე გადასახადის შემოღება – ცენტრში 7 %, გარეუბნებში – 4 %. ასეთი ზომები გამოწვეულია იმით, რომ ტურისტების ჭარბი რაოდენობის გამო, ქალაქის ცენტრი არამიმზიდველია ადგილობრივებისთვის.

ადგილის კუნძულზე (ჩილეს რესპუბლიკა) ტურიზმი არის ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის მთავარი წყარო. იქ ჩასვლა არაა ადვილი – ერთადერთი კავშირი გარე სამყაროსთან არის რეგულარული ავიარეისი ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოდან. თუმცა, ეს არ აღმოჩნდა საკმარისი – ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა უცხოელების წინამდებე დამატებითი შეზღუდვების დაწესება – 2018 წლის 1 აგვისტოდან იქ ყოფნის ნებადართული ვადა შემცირდა 90-დან 30 დღემდე, ხოლო ტურისტები ვალდებული არიან წარადგინონ სასტუმროს ჯავშანი ან მოწვევა ადგილობრივი მაცხოვრებლისგან. როგორც ადგილობრივები აცხადებენ, ბოლო 20 წლის მანძილზე კუნძულის მოსახლეობამ მიაღწია 7750 ადამიანს, რაც 3 000-ით მეტია ოპტიმალურ რაოდენობაზე. „უცხოელებმა დაიპყრეს კუნძული, და მათი გავლენით ათასწლოვანი კულტურა იცვლება უარესობისკენ. თანაც, მასობრივი ტურიზმი მავნეა ეკოლოგიისთვის“ [<https://commerzant.ge>].

საინტერესოა ანალიტიკური პროექტი, რომელსაც ბათუმის „ტურიზმის ინსტიტუტი“ ახორციელებს პარტნიორ ქვეყნებთან ერთად (პროექტში მონაწილეობენ – საქართველო, სლოვენია, საბერძნეთი, უკრაინა და რუმინეთი). პროექტი „Tourism 4.0 for the Black Sea – მონაცემთა ანალიზი ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიებისთვის“, მიზნად ისახავს ტურიზმის დანიშნულების ადგილის (destination) მდგრადი განვითარების გაზომვას დიდი მონაცემების (#bigdata) და მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით. შესაბამისად, იგი დაეხმარება ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს ტურიზმის მდგრად განვითარებაში და ადგილობრივი საზოგადოებისათვის ტურიზმის მიერ გენერირებული სოციო-ეკონომიკური შედეგების გაუმჯობესებაში. ტურიზმის გავლენის ევროპული მოდელი ანგარიშდება სხვადასხვა ინდიკატორებზე დაყრდნობით. პროექტში ფასდება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური, ეკოლოგიური, კულტურული ფაქტორები. პროექტის ავტორთა აზრით, ის დადებით გავლენას მოახდენს ქალაქ ბათუმის კულტურაზე, ურბანულ განვითარებაზე, გარემოს დაცვაზე, სოციალურ ყოფაზე. მათი მოსაზრებით, ბათუმში დღეს ბუნდოვანი ინფორმაცია არსებობს კომპლექსური ინდიკატორების შესახებ, აქედან გამომდინარე, ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს ტურიზმის მდგრად განვითარებაზე. შესაბამისად, რთულია დასკვნის გაკეთება, რამდენად კარგია ორ მილიონამდე ტურისტის არსებობა აჭარის რეგიონში. ინსტიტუტის შეხედულებით, ასეთი ევროპული მოდელის დანერგვით, მრავალწახნაგოვანი შეფასების პრობებში, შესაძლებელი იქნება ტურიზმის გავლენის კონტროლი ქალაქ ბათუმის განვითარებაზე. მთავარია, გაიზომოს სხვადასხვა კომპონენტები და მიღებული მონაცემებით გავიგოთ, რა გავლენას ახდენს ტურიზმი გარემოზე *[ბერძენიშვილი, 2021]*

საინტერესოა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის – EBRD-ის მიერ შემუშავებული სტრატეგიული პროექტი „მწვანე ქალაქი“ ბათუმში. „მწვანე ქალაქის სამოქმედო გეგმის“ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქალაქ ბათუმმა გამოხატა მისწრაფება ურბანული გარემოსდაცვითი გამოწვევები გადაწყვიტოს სისტემური მიდგომით. ბათუმის „მწვანე ქალაქის“ სამოქმედო გეგმის მომზადებითა და განხორციელებით, ქალაქს აქვს ამბიცია „მოახდინოს ქალაქის განვითარებაში მწვანე აზროვნებისა და ინოვაციის ინტეგრირება, რაც ბათუმს საცხოვრებლად უკეთეს, უსაფრთხო და წარმატებულ ქალაქად აქცევს როგორც მისი მოსახლეობის, ასევე სტუმრებისათვის“ *[ბათუმი/მწვანე., 2020]*.

გრძელვადიანი მდგრადობის, ინფრასტრუქტურის და მომსახურების პირობების საკითხები საჭიროებს მეტ ყურადღებას. გასათვალისწინებელია საქალაქო ტურიზმის განვითარებაში უცხოეთის გამოცდილების გაზიარება. მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს ტურისტულ ქალაქში სწორი პოლიტიკის შემუშავებასა და მასში ჩართული სტრუქტურების ურთიერთანამშრომლობის საკითხებს. საქალაქო ტურიზმის ხელშეწყობა არ ნიშნავს მხოლოდ ტურიზმის ერთი მიმართულების განვითარებას, არამედ იგი განხილული უნდა იქნეს, როგორც ქალაქის მდგრადი განვითარების კონცეფციის ორგანული ნაწილი *[კვარაცხელია, 2019]*.

ამრიგად, ტურიზმი დარგია, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ზემოქმედებს ქალაქის ეკონომიკაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურაზე, ცხოვრების წესზე, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და სხვა მრავალზე. ვფიქრობთ, ქალაქ ბათუმის განვითარებაში პრიორიტეტები უნდა პასუხობდეს ტურიზმის ინდუსტრიის მდგრა-

დობის კონცეფციას. ბათუმის ინსტიტუტის მიერ დაწყებული პროექტის – „დიდი მონაცემების ანალიზი ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიებისთვის“ – მიზანი და შედეგი დაეხმარება ქალაქ ბათუმს ინფორმაციის გენერირებაში, ბიზნესებსა და მკვლევარებს – ტურიზმთან დაკავშირებით უფრო მდგრადი სტრატეგიების შემუშავებაში, ურბანული ტურიზმისა და ბათუმში ჩამომსვლელ ტურისტთა მზარდი ნაკადების მდგრადი და პასუხისმგებლიანი მართვის ფორმების შემუშავებაში, ქალაქის აქტუალური პრობლემების მოგვარებაში. აგრეთვე, იმის გარკვევაში, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ურბანული ტურიზმი ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად და რა პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადადგას ქალაქმა, რათა შეამციროს ტურიზმის ნეგატიური გავლენა გარემოზე და პროპაგანდა გაუწიოს „მწვანე ტურიზმის“ სიკეთებს.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- ბათუმი/მწვანე ქალაქი.., 2020:** – ბათუმი/მწვანე ქალაქი/სამოქმედო გეგმა (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი/სამუშაო ვერსია 5.0), 2020; ინტერნეტ-მისამართი: <https://ebrdgreencities.com/assets/Uploads/PDF/e9605e0f2b/Batumi-GCAP-Geo.pdf>
- ბერძენიშვილი, 2021:** – ბერძენიშვილი მ., „ტურიზმის ინსტიტუტი“, ბათუმი, 2021.
- კვარაცხელია, 2019:** – კვარაცხელია ნ., „კულტურული ტურიზმი“, თბილისი, 2019.
- რიპკემა, 2018:** – რიპკემა დონოვან, „მემკვიდრეობის დაცვის ეკონომიკა“, ბათუმი, 2018.
- საქსტატი, 2019** – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ტურიზმის სტატისტიკა; ინტერნეტ-მისამართი: <https://www.geostat.ge/ka/news?year=2019&month=&category=15>
- <http://www.lmis.gov.ge>** – ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა; ინტერნეტ-მისამართი: <http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=26c121ff-bdee-4295-a5e7-c00b18c7abe1>
- <https://www.who.int>** – ინტერნეტ-გვერდი „World Health Organization“; ინტერნეტ-მისამართი: <https://www.who.int/>
- <https://commersant.ge>** – ინტერნეტ-გვერდი „Commersant.ge“; ინტერნეტ-მისამართი: <https://commersant.ge>
- <https://www.pmcg-i.com>** – „პოლიტიკის დოკუმენტი/ტურიზმის სექტორი საქართველოში“, 2020; ინტერნეტ-მისამართი: [https://www.pmcg-i.com/publications\\_file/eeff5fa053e6e522f.pdf](https://www.pmcg-i.com/publications_file/eeff5fa053e6e522f.pdf)
- <http://www.economy.ge>** – „ნათია თურნავამ საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ხედვა – „ეკონომიკა – 2030“ – წარმოადგინა“, 2021; ინტერნეტ-მისამართი: <http://www.economy.ge/?page=news&nw=1724>
- <https://tourister.ge>** – „ქართული ტურიზმის მენეჯმენტის გამოწვევები და COVID-19“, 2020; ინტერნეტ-მისამართი: <https://tourister.ge/ge/blog/georgian-tourism-management-challenges-and-covid-19/225>

## Conceptual and Practical Aspects of City Tourism Development on the Example of Batumi

### Abstract

The main goal in the development of tourism is to offer political, cultural, ecological, intellectual, and economic benefits to the people. Tourism is an important source of income for the city, but economic growth is accompanied by new challenges. Unplanned development can turn out to be a devastating destination for a city. The article discusses the problems of urban tourism, one of the fastest growing destinations in the city of Batumi. Spatial redistribution of tourist flows and destinations left unattended. Also, the priorities of the green economy sector, sustainable responsible tourism. Different countries have different strategies and approaches to the challenges of local tourism. The methodological basis of the paper is qualitative research methods, which involves on the one hand the processing of analytical material presented in open source, and on the other hand the analysis of the research results of the Institute of Tourism.

Different countries have different strategies and approaches to the challenges of urban tourism. Today more attention is paid to the transition to green models. It should be noted that green and public open spaces in st. It is a priority challenge for Batumi, as the area of green space per capita is much lower than in the EU countries. If we look at the city from above, a large part of it will appear quite green due to the greenery

ry of the streets. However, in addition to Batumi Boulevard, May 6 Park, several other small parks and public squares, the number of quality public open green spaces is quite small. The construction of Batumi green spaces was not planned on the basis of the relationship between ecosystems, ecosystem services, citizens' health and well-being. Most of the green spaces are intended for tourists and in most cases the number of tourists exceeds the number of local residents. In addition, a significant part of the green space is located along the coast or close to the city center of Batumi, which creates an access barrier for those who are far from these zones. According to the EU access standards for the city of Batumi, the ratio of green and public open spaces is important, for example 400 m. Or 9 minutes drive from residential areas

Issues of long-term sustainability, infrastructure and service conditions need more attention. Sharing foreign experience in the development of urban tourism should be considered. It is important to pay more attention to the development of the right policy in the tourism city and the issues of cooperation between the structures involved in it. Promoting urban tourism does not only mean the development of one direction of tourism, but it should be considered as an organic part of the concept of sustainable development of the city.

Tourism is the only field that directly or indirectly affects the city's economy, social environment, culture, lifestyle, population health and much more. We think that the priorities in the development of Batumi should meet the concept of sustainability of the tourism industry. The results of the research of the project "Big Data Analysis for Sustainable Tourism Development Strategies" will help the city of Batumi to generate important information, businesses, and researchers to develop more sustainable strategies related to tourism. In terms of sustainable and responsible management of urban tourism and the growing flow of tourists coming to Batumi, how to use urban tourism to improve the quality of life of the local population; What practical steps should the city take to reduce the negative impact of tourism on the environment and to promote the benefits of "green tourism".

## ბათუმი – კონფესიური მრავალფეროვნებისა და რელიგიური ტოლერანტობის ქალაქი

**აბსტრაქტი:** ბათუმზე, როგორც მრავალკონფესიურ ქალაქზე საუბრისას, უპირველესად (სრულიად გასაგები მიზეზების გამო) გვახსენდება მართლმადიდებლობა და ისლამი, რომელთა შესახებ მკითხველი კარგადაა ინფორმირებული. ამ დროს, ბათუმში არაერთი კონფესიაა, რომელთა შესახებ ნაკლებადაა ცნობილი. თავისი მრავალფეროვნებით, განსაკუთრებით საინტერესო სურათია თანამედროვე ბათუმში, სადაც 20-მდე განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობს. სტატიაში განხილულია ამ რელიგიების დაფუძნების ისტორია და მოძღვრების არსი, რომლებსაც ბათუმში გააჩნიათ თავიანთი სამლოცველო სახლები. ცალკეულ შემთხვევებში, ხაზგასმულია ეკლესიების ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება, ან კავშირები მონათესავე კონფესიებთან, ნაჩვენებია, თუ როგორ ქმნიან ეს რელიგიები ჩვენს პატარა ქალაქში თანაარსებობის მისაბამ, ტოლერანტულ გარემოს.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, რელიგიური ორგანიზაციები, ტოლერანტობა, ქრისტიანობა, პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი.

**Key words:** Batumi, Religious Organizations, Tolerance, Christianity, Protestantism, Catholicism.

\*\*\*

ბათუმი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე და როგორც საპორტო ქალაქი, ყოველთვის მიმზიდველი იყო სხვადასხვა ეთნიკური თუ კონფესიური კუთვნილების ადამიანებისთვის პოლიტიკური, კომერციული საქმიანობისა და, საერთოდ, აქ ცხოვრებისათვის. რელიგიური თვალსაზრისით, მრავალფეროვან ქალაქში საუკუნეების მანძილზე გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ყოველთვის გამოირჩეოდნენ ტოლერანტული დამოკიდებულებით. თავისი მრავალფეროვნებით განსაკუთრებით საინტერესო სურათია თანამედროვე ბათუმში, სადაც 20-მდე განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობს.

ბათუმზე, როგორც მრავალკონფესიურ ქალაქზე საუბრისას, უპირველესად (სრულიად გასაგები მიზეზთა გამო) გვახსენდება მართლმადიდებლობა და ისლამი, რომელთა შესახებ მკითხველი კარგადაა ინფორმირებული. ამ დროს ბათუმში არაერთი კონფესიაა, რომელთა შესახებ ნაკლებია ცნობილი. წინამდებარე სტატიაში სწორედ ამ რელიგიების შესახებ გვექნება საუბარი, რომლებიც ჩვენს პატარა ქალაქში ქმნიან თანაარსებობის მისაბამ, ტოლერანტულ გარემოს. წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამ რელიგიებზე დაწვრილებით საუბარი ერთ სტატიაში ვერ მოხერხდება, შეუძლებელია ყველა მათგანის ისტორიისა და მოძღვრების არსის დეტალური გადმოცემა, ეს უფრო ინფორმაციული ხასიათის სტატიაა, რომელშიც გამოყენებულია სტატიის ბოლოს მითითებული ლიტერატურა მათ შესახებ, ასევე ამ ეკლესიების სასულიერო პირებთან პირადი საუბრები.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად, ათეიზმის ეპოქაც დასრულდა. სხვადასხვა რელიგიის მიმდევრებს საშუალება მიეცათ ღიად და თავისუფლად შეესრულებინათ თავიანთი რელიგიური წეს-ჩვეულებანი. გაჩნდნენ ჯგუფები, რომლებიც უკვე იწყებენ თავიანთი რელიგიების აღორძინებისა თუ გავრცელებისთვის ზრუნვას. სამოღვაწეო ასპარეზზე ჩნდებიან საქართველოსთვის როგორც ტრადიციული, ასევე არატრადიციული რელიგიის მიმდევარი ჯგუფები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი რელიგიის აღორძინებას, თუ მათთვის სრულიად ახლ გარემოში დამკვიდრებას.

მართლმადიდებლობისა და ისლამის შემდეგ, ბათუმისთვის შედარებით უფრო ტრადიციული და დიდი ხნის ისტორია აქვთ სინაგოგას, კათოლიკურ ეკლესიასა და სომხურ სამოციქულო ეკლესიას.

**სინაგოგას** შენობა, რომელშიც დღეს ხდება იუდაიზმის მიმდევრების შეკრება და ლოცვების ჩატარება, მდებარეობს ვაჟა ფშაველას ქუჩაზე და 1904 წელსაა აშენებული. ბოლშევიკური მმართველობის დროს, როგორც სხვა საკულტო ნაგებობები, ისიც დაიხურა და შენობა გადაეცა სახელმწიფოს. 1990-იანი წლებიდან ბათუმში მცხოვრები ებრაელები იწყებენ ზრუნვას სინაგოგის შენობის დაბრუნებისთვის. აჭარის ა/რ მაშინდელმა ხელმძღვანელმა, მათ გადასცა ეს შენობა, მისივე ხელშეწყობით მოძიებულ იქნა თანხები შენობის რესტავრაციისათვის. ამჟამად სინაგოგაში ლოცვებს ატარებს ისრაელიდან ჩამოსული სასულიერო პირი *[რელიგიები, 2008]*.

სხვა სამლოცველოების მსგავსად, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ დაიხურა, ბათუმში, დღევანდელ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე მოქმედი **სურბ ფრკჩის სახელობის სომხური სამოციქულო ეკლესიის** კუთვნილი შენობა, მისი გახსნისთვის ზრუნვა კი ასევე იწყება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. 1992 წელს მოხერხდა ეკლესიის შენობის გადაცემა მრევლისთვის და შესაძლებელი გახდა რელიგიური რიტუალების ჩატარება. აქ მცხოვრები სომხების აქტიურობით შესაძლებელი გახდა ეკლესიის რესტავრაციის საჭირო თანხების მოძიება და შენობის სრული რეაბილიტაცია. 1996 წლიდან დაიწყეს ლოცვა-წირვების ჩატარება, რომელსაც დღეისათვის უძღვება მამა არარატი.

ბათუმში არსებობის საინტერესო ისტორია აქვს **ბათუმის სული წმიდის კათოლიკურ ეკლესიას**, რომლის აღდგენაც სწორედ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ხდება. 1994 წელს იტალიიდან საქართველოში ჩამოვიდნენ პადრე გაბრიელ ბრანტინი და პადრე ჯუზეპე პაზოტო, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოში კათოლიკური ეკლესიების აღდგენას და მათი მცდელობით საქართველოში მცხოვრები, ძირითადად ქართველი კათოლიკეები ერთ რელიგიურ ორგანიზაციად ყალიბდებიან. პაზოტო ამჟამად არის ამიერკავკასიის ლათინ კათოლიკეთა ეპისკოპოსი, გაბრიელი კი დასავლეთ საქართველოს ვიკარიუსი. სწორედ მათი მოღვაწეობის შედეგია, რომ 1995 წლიდან ბათუმის კათოლიკეები იკრიბებიან სასტუმრო ინტურისტის გვერდით კაფე „აისში“, შემდეგ გადადიან ნაქირავებ ბინაში ყაზბეგის ქუჩაზე, ხოლო 1997-2000-იან წლებში იკრიბებიან თენგიზ პარმაქსიზიშვილის ბინაში ლერმონტოვის ქუჩის 22 ნომერში.

ბათუმში მცხოვრები კათოლიკეები, პარალელულად, ითხოვენ კათოლიკური ეკლესიის მათთვის გადაცემას, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში ძმები ზუბალაშვილების მიერ იქნა აშენებული თავიანთი კათოლიკე დედის საპატივცემულოდ (ბოლო პადრე იყო ქართველი – გაბრიელ ასლანიშვილი, რომელიც დახვრიტეს 1930-



იან წლებში, ეკლესია კი დაიხურა), მაგრამ ეს ეკლესია გადაეცა მართლმადიდებლურ ეკლესიას (ბათუმის საკათედრო ტაძარი) და ველარ მოხერხდა მისი კათოლიკეებისათვის დაბრუნება. კათოლიკეთა მოთხოვნები დასაკმაყოფილებლად, მაშინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელი დაეხმარა ახალი ეკლესიის მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფაში (მანვე, ოჯახის სახელით შეწირა ახალ ეკლესიას შესასვლელი კარები), იტალიურმა მხარემ კი გაიღო ახალი ეკლესიის მშენებლობისთვის ძირითადი თანხა. 2000 წელს გოგებაშვილის ქუჩაზე გაიხსნა ახალი ეკლესია, სადაც დღემდე ტარდება წირვა-ლოცვები. იწოდება, როგორც ბათუმის სული წმიდის ლათინ-კათოლიკეთა სამოციქულო ეკლესიად.

ბათუმში ახალი ეკლესია გახსნის დღიდან ეწევა აქტიურ სოციალურ საქმიანობას. ამჟამად, ამ კუთხით ახორციელებს სამ პროექტს: მისი პატრონაჟით ფუნქციონირებს ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრი „იმედის სახლი“ ხელვაჩაურში, კახაბრის ჩიხის 4 ნომერში; უსახლკაროთა თავშესაფარი ბათუმში, მეტაქსას ქუჩის 10 ნომერში; ასევე, ინვალიდთა და ავადმყოფთა შინმოვლის პროექტი.

შეიძლება ითქვას, რომ ბათუმისთვის შედარებით ახალი, ანუ არატრადიციულია პროტესტანტული ეკლესიების არსებობა. ამ მხრივ უპირველესად უნდა აღინიშნოს **წმიდა სამების პროტესტანტული ეკლესია**, რომელიც ბათუმში დაარსდა 1995 წლის ოქტომბერში, ქალაქ ბათუმში. საქართველოში, ბათუმის გარდა, ამ ეკლესიის თემები იკრებიებიან ქობულეთსა და ფოთში. ეკლესიას აქტიური და ახლო ურთიერთობები აქვს ამერიკისა და გერმანიის ევანგელურ ეკლესიებთან. საქართველოში ამ რელიგიური გაერთიანების წინამძღვარი (პასტორი) ვარლამ რამიშვილია, რომელსაც თეოლოგიური განათლება ამერიკისა და ავსტრიის უმაღლეს სასწავლებლებში აქვს მიღებული. ეკლესიის პასტორად ხელდასხმულია 1994 წლიდან.

წმიდა სამების ეკლესიის მოძღვრებაში ასახულია რეფორმაციის ღვთისმეტყველება, რომელიც მოკლედ შეიძლება ჩამოყალიბდეს: მხოლოდ წმიდა წერილი; მხოლოდ რწმენით; მხოლოდ მადლით; მხოლოდ ქრისტე; მხოლოდ ღმერთს ჰქონდეს დიდება. ეკლესიაში მსახურთა წოდებებია: პასტორი, პრესვიტერი (უხუცესი) და დიაკონი. ეკლესიაში ფუნქციონირებს მგალობელთა გუნდი და საკვირაო სკოლა. ძირითადი საეკლესიო დღესასწაულებია: წინასაშობაო პერიოდი, ე. წ. ადვენტი, ქრისტეს შობა, ვნების შვიდეული. განსაკუთრებული მარხვის დღე არის ვნების პარასკევი, აღდგომა (პასექი), ამაღლება, სულთმოფენობა. სამახსოვრო დღე არის რეფორმაციის დღე (31 ოქტომბერი). ლიტურგია, რომელიც კვირას „უფლის დღეს“ აღესრულება, შედგება სიტყვის მსახურებისგან (ქადაგებისგან), ლოცვისაგან, საღვთო წერილის კითხვის, სამოციქულო მრწამსის საერთო აღსარების, გალობის, წმიდა ნათლობისა და წმიდა ზიარებისგან [*წმინდა...<https://...>*].

წმიდა სამების ეკლესიას სოციალურად აქტიური პოზიცია უჭირავს, მონაწილეობას იღებს არაერთ საქველმოქმედო აქციაში, რეგულარულ მზრუნველობას იჩენს საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების მიმართ, უკვე წლებია თანამშრომლობს საპატრიარქოს პატრონაჟის ქვეშ მყოფ ბათუმის მოხუცებულთა თავანესა და კათოლიკური ეკლესიის მიერ მოწყობილ ბათუმის უსახლკაროთა თავშესაფართან. ეკლესია ბენეფიციარებს ამარაგებს სურსათითა თუ პირველადი მოხმარების საგნებით.

წმიდა სამების ეკლესიას მეგობრული ურთიერთობა აქვს საქართველოში არსებულ სხვა ევანგელურ-პროტესტანტულ ეკლესიებთან. ეკლესიის პასტორის

აქტიური ჩართულობით 2020 წელს საფუძველი ჩაეყარა „საქართველოს ევანგელური ალიანსის“ ჩამოყალიბებას. წმიდა სამების ეკლესიაში ჩატარდა ეკუმენური ლოცვა სომხური, კათოლიკური და პროტესტანტული ეკლესიების მონაწილეობით. ეკლესია მჭიდროდ ურთიერთობს ბათუმის სული წმიდის კათოლიკურ ეკლესიასთან მისი დაარსებიდანვე.

საინტერესოა ეკლესიის დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ხელისუფლების მიმართ. პასტორ ვარლამ რამიშვილის აზრით, სახელმწიფო მოწყობა-მმართველობის საუკეთესო ფორმა არის დემოკრატია. ამასთან, აუცილებელია საერო ხელისუფლებისაგან ეკლესიის გამიჯვნა და დამოუკიდებლობა. „საერო ხელისუფლება წარმოადგენს ღვთის მიერ დადგენილ ინსტიტუციას, ამიტომ ეკლესია სცნობს მას (ხელისუფალნი ღმერთის მიერ არიან დადგენილნი ჩვენს სასიკეთოდ). სახელმწიფოს დანიშნულებაა მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა და ეკლესია მხარს უჭერს მას ლოცვითა და საეკლესიო ცხოვრების წესით. ეკლესიის ვალია ხელისუფალთა და მთავრობათა მხარდაჭერა ლოცვით. ამასთან, მათდამი მორჩილება ღვთის ნების ფარგლებშია მისაღები და იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას ქრისტიანი ადამიანის სინდისი იძლევა *[თინიკაშვილი, 2021]*.

ბათუმში მოღვაწეობის საინტერესო ისტორია აქვს **ქრისტიანული რწმენის ეკლესიას**, რომელიც ქობულეთში დაარსდა 1988 წელს ბადრი ჯინჭარაძის მიერ. 1990 წლიდან მოქმედებს საკუთარ შენობაში და მსახურება მიმდინარეობს ბიბლიის საშუალებით. 1997 წლიდან ეკლესია ქობულეთში, ჯავახიშვილის ქუჩის მესამე შესახვევში არსებულ საკუთარ შენობაშია, თუმცა, მაშინ ის იწოდებოდა როგორც 50-იანელთა ეკლესია. ეპისკოპოსია ბადრი ჯინჭარაძე. სხვა ეკლესიებისგან განსხვავებით, ეხლაც არაა რეგისტრირებული. ზოგადად საქართველოში ამ ეკლესიას ჰყავს სამი რეგიონული ეპისკოპოსი – ბადრი ჯინჭარაძე (აჭარა), ოლეგ ხუბაშვილი (აღმოსავლეთ საქართველო) და რომან გაჩეჩილაძე (დასავლეთ საქართველო). ბადრი ჯინჭარაძისგან კურთხევა აქვთ მიღებული და უკვე ცალკე ეკლესიების წინამძღოლები არიან ელგუჯა ინაიშვილი, რუსლან ჯაყელი და გენადი რომანაძე, რომლებიც წოდებაში არიან როგორც ხუცესები (ამ ეკლესიებზე ქვემოთ). ეკლესიას არ გააჩნია საფინანსო წყარო და ძირითადად მრევლის შემოწირულობებით არსებობს. მთავარი დღესასწაულებია შობა და აღდგომა.

ამ ეკლესიიდან გამოსულია და ბადრი ჯინჭარაძისგან აქვს კურთხევა რომა ასლანოვს, რომელიც **ბოშების ეკლესიის** წინამძღოლია, არ კარგავს კავშირებს ბადრი ჯინჭარაძესთან, ხოლო წირვა-ლოცვებს ადავლენს ქობულეთის მუნციპალიტეტის სოფელ გელაურში.

როგორც უკვე აღინიშნა, ბადრი ჯინჭარაძისგან 1998 წელს კურთხევა მიღებული აქვს და ბათუმში საეკლესიო მოღვაწეობას ადასრულებს გენადი რომანაძე (პასტორი გედეონი), ეკლესიის სახელწოდებაა – **ყველა რელიგიის გაერთიანება სამოციქულო ევანგელურ-ქრისტიანული ეკლესია „სული წმინდის სამეფო“**, რომელსაც საკუთარი შენობა არ გააჩნია და წირვა-ლოცვებისთვის, სრულიად უანგაროდ, ადგილი დათმობილი აქვთ ბათუმის სული წმიდის კათოლიკური ეკლესიის ერთერთ დარბაზში. ეკლესია რჩება ქრისტიანული რწმენის ეკლესიის (ქობულეთი) შემადგენელ ნაწილად.

2003 წლის ივნისში ბათუმში დაარსდა **„ეკლესია სიცოცხლის სიტყვა“ ბათუმი**, რომლის სათავეშიც იყვნენ: მწყემსი ელგუჯა ინაიშვილი და მისი მეუღლე ია სურა-

მელაშვილი, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საეკლესიო მოღვაწეობაზე ელგუჯა ინაიშვილმა კურთხევა მიიღო ეპისკოპოს ბადრი ჯინჭარაძისგან. მას შემდეგ ეკლესია მრავლდება, მტკიცდება და აქტიურად ახორციელებს თავის მოღვაწეობას. ელგუჯა ინაიშვილს მიაჩნია, რომ მისი ეკლესია წარმოადგენს დამოუკიდებელ ეკლესიას და ის არაა ქრისტიანული რწმენის ეკლესიის (ქობულეთი) შემადგენელი ნაწილი.

კონფესიურად ბათუმის ეკლესია “საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესიების” სულიერი ოჯახის ნაწილია და წარმოადგენს საერთო ქრისტიანული მიმდინარეობის (მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი) პროტესტანტულ შტოს.

ბათუმის ეკლესია განუყოფელი ნაწილი და მემკვიდრეა, განახლებადი ქრისტიანული ეკლესიის ტრადიციისა, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე ყალიბდებოდა, ახლდებოდა და ვითარდებოდა ისეთი გამოჩენილი ქრისტიანი მოღვაწეების მიერ, როგორებიც არიან: მოციქული პავლე, ჯონ ვიკლიფი, იან ჰუსი, მარტინ ლუთერი, ჟან კალვინი და სხვა.

საერთო ქრისტიანულ კონტექსტში, ბათუმის ეკლესია აღიარებს სამ საერთო ქრისტიანული რწმენის სიმბოლოს: 1) სამოციქულო რწმენის სიმბოლო; 2) ნიკეა – კონსტანტინეპოლის რწმენის სიმბოლო; 3) ათანასისეული რწმენის სიმბოლო. იგი თავისი მოძღვრებით ეფუძნება სახარებისეული რწმენის მოძღვრებას. მისი უზენაესი ავტორიტეტია ბიბლია – ძველი და ახალი აღთქმა.

ეკლესიის ცხოვრება მოიცავს თავისი საქმიანობის ფართო სპექტრს – საკვირაო მსახურებებს, ახალგაზრდულ მსახურებებს, საკვირაო სკოლას, საქველმოქმედო საქმიანობას, ბიბლიურ კურსებს, საოჯახო ეკლესიებს, სემინარებს, კონფერენციებს, ღვთის თაყვანისცემისა და ლოცვით მსახურებებს, ბანაკებს, მახარებლობას.

ბათუმის ეკლესია, როგორც საქართველოს საზოგადოების ნაწილი, ემორჩილება ქვეყნის კანონმდებლობას, პირნათლად ასრულებს თავის სამხედრო და სამოქალაქო ვალდებულებებს, გამოირჩევა კანონისადმი მორჩილებითა და როგორც ამ ეკლესიის ვებ-გვერდზეა აღნიშნული, არის ღვთიური ბუნების მატარებელი საზოგადოება. ეკლესია მუდამ ლოცულობს ხელისუფლებაზე (1 ტიმ. 2:1-3), ზრუნავს საქართველოს კეთილდღეობასა და მის მომავალზე. ის რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად: საჯარო სამართლის იურიდიული პირი “ეკლესია სიცოცხლის სიტყვა“. ეკლესიას არ გააჩნია საკუთარი სამლოცველო სახლი და წირვა-ლოცვებს ადავლენს ნაქირავებ, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე ყოფილი კვლევითი ინსტიტუტის დარბაზში *[სიცოცხლის..., <https://...>]*.

ბათუმში კიდევ ერთ ეკლესიას საფუძველი ეყრება მაშინ, როდესაც 1958 წელს ბათუმში ჩამოსვლას იწყებენ მორწმუნეები ოჯახებით სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებიც ერთმანეთს არ იცნობდნენ, თუმცა, მოგვიანებით ისინი ერთიანდებიან ერთი რწმენის ირგვლივ და იწყებენ შეკრებებს. მორწმუნეთა შეკრებებსა და წირვა-ლოცვებს ორგანიზებას უწევდა ბათუმში ახლად ჩამოსახლებული გრიგოლ ციბულსკი. იმავე წლის ნოემბერში დაფუძნდა ეკლესია და რეგისტრირებული იყო როგორც 50-იანელთა ეკლესია. ახლად დაფუძნებული ეკლესია შედიოდა საბჭოთა კავშირის 50-იანთა ეკლესიის კავშირში. 1980-იან წლებში დაიწყო სხვა ოჯახების ჩამოსახლება სხვადასხვა ქვეყნებიდან. 1990-იან წლებში მოხდა ეკლესიის განახლება, მოვიდა ახალი ხალხი. პირველი პასტორი იყო გრიგოლ ციბულსკი (ამჟამად ცხოვრობს აშშ-

ში). ცოტა მოგვიანებით, 1994 წელს ბადრი ჯინჭარამემ აკურთხა ბათუმში ეკლესია, რომელსაც ახლა ხელმძღვანელობს უფროსი პასტორი გარეგინ შახნაზარიანი, ხოლო პასტორია ბესო ჩიხლაძე. ამჟამად ეკლესია არის საქართველოს სახარების რწმენის ეკლესიის კავშირში და იწოდება როგორც **სახარების რწმენის ეკლესია (50-იანე-ლები)**. ეკლესიაში წირვები ტარდება რუსულ და ქართულ ენაზე.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კავშირში შედის ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მოქმედი ეკლესია, რომლის წინამძღოლია თავის დროზე ბადრი ჯინჭარამისგან კურთხევამიღებული რუსლან ჯაყელი.

ბათუმში, ჩაიკოვსკის ქუჩაზე მოქმედებს **მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტ-თა ეკლესია**, რომლის წინამძღოლია საკმაოდ განათლებული და საინტერესო პიროვნება – პასტორი გრიგოლ წამალაიშვილი (2016 წლიდან).

ეს პროტესტანტული ეკლესია საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია, როგორც მეშვიდე დღის ქრისტიან ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური უნიონი. რაც შეეხება ამ ეკლესიის ისტორიას, საქართველოში ადვენტისტები პირველად გამოჩნდნენ XX საუკუნის დასაწყისში. იმ დროისთვის ორგანიზებული საკრებულო არ იყო, ამიტომაც იკრებოდნენ ჯგუფებად სხვადასხვა ადგილას. 1980-იანი წლების დასაწყისში ნებართვა მიიღეს შეეძინათ სამლოცველო სახლი თბილისში. 1990-იანი წლების შუა პერიოდში შეძენილი იქნა სახლი ბათუმში ე. წ. გოროდოვის დასახლებაში, სადაც, ძირითადად, ცხოვრობდნენ რუსები და ძირითად მრევლსაც ისინი შეადგენდნენ. 2003 წელს საკრებულომ იყიდა სახლი ჩაიკოვსკის ქუჩაზე, სწორედ აქ ტარდება ამჟამად წირვა-ლოცვები. მრევლი ჰყავთ ოზურგეთსა და ქედაშიც. ეკლესია პროტესტანტულია, მაგრამ მრწამსით სხვა პროტესტანტული ეკლესიებისგან განსხვავებული. მათ სწამთ ყველა ქრისტიანული დღესასწაული (აღდგომა, ჯვარცმა, ბზობა, თუმცა მათ განსაკუთრებულად არ აღნიშნავენ, იმიტომ, რომ ახალი კალენდრის შემოღებამ გამოიწვია აღრევა ვადებში), მაგრამ მთავარია შაბათის დაცვა, ცდილობენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის ნაცვლად სხვა სამსახური გაიარონ, როგორც ისინი თვლიან, ისინი ფიცს დებენ მხოლოდ ღვთის წინაშე და სამხედრო ფიცის დადება მათთვის მისაღები არ გახლავთ.

2003 წლიდან ბათუმში დაარსდა და მოქმედებს **ბათუმის ბიბლიური რწმენის ეკლესია „მადლიერი“**. დაარსებიდან დღემდე მისი ხელმძღვანელია ხუცესი თამაზ ხაჯიშვილი. ეკლესია თავს არ მიიჩნევს არც ლუთერანულად და არც ევანგელურად, როგორც თამაზ ხაჯიშვილი თვლის, ის აპოლოგეტურია და თავის მთავარ ფუნქციად რწმენის აუცილებლობის დასაბუთება მიაჩნია. საქართველოში ამ ყაიდის მხოლოდ ერთი ეკლესიაა, რელიგიური დღესასწაულებიდან კი აღნიშნავენ შობას (25.12) და აღდგომას (07.01). ასევე, ეკლესიის დაარსების დღეს, რომელიც სულთმოფენობის დღეს ემთხვევა. ამჟამად მოქმედებს ბათუმში მელიქიშვილის ქუჩის II შესახვევში.

ბათუმში სხვა კონფესიების გვერდით მშვიდობიანად თანაარსებობენ და თავიანთ რელიგიურ მრწამსს ადავლენენ **იეჰოვას მოწმეები** – თანამედროვე მსოფლიოში ულტრაპროტესტანტული მიმართულების წარმომადგენლები. საქართველოში და მათ შორის ბათუმში გახლავთ ორი ძირითადი მიმართულებიდან (ამერიკული და რუსული) ერთ-ერთი – ამერიკული მიმართულების მიმდევრები. ზოგადად, საქართველოში ამ მიმდინარეობის ისტორია XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება. თბილისში ილინელების რუსულენოვანი თემი მოქმედებდა. ამერიკული მიმართუ-

ლების ქართულენოვანი ქადაგება 1953 წ. იწყება. საქართველოში პირველი თავყრილობა კი 1973 წელს მოეწყო. ბათუმში იეპოვას მოწმეები შეკრებებს იწყებენ 1992 წლიდან, სხვადასხვა ადგილას, მრევლის მატებასთან ერთად კი აუცილებელი გახდა ახალი სამლოცველო სახლის აშენება. 2006 წლიდან მრევლი იკრიბება ახლად აშენებულ სამლოცველოში თაყაიშვილის ქუჩაზე (№36). უხუცესები გახლავთ არტურ გარეხილია, თენგიზ მიქავა და სხვები.

მრევლის მხრივ საკმაოდ მცირერიცხოვანია, თუმცა, საკუთარი სამლოცველო აქვთ და ბათუმში რელიგიურ შეკრებებს აწყობენ საქართველოს **ბაჰაის ეროვნული სასულიერო საკრებულო**, რომლის სულიერი წინამძღოლია აკაკი ცაგარეიშვილი. ბაჰაის საკრებულო რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმავე სახელწოდებით. ბათუმში ბაჰაის მიმდევრები პირველ შეკრებებს იწყებენ 1994 წლიდან, რა თქმა უნდა არიან რეგისტრირებული ბათუმში. 2020 წელს განაახლეს რეგისტრაცია იმავე სახელწოდებით.

მცირერიცხოვანი მრევლი ჰყავს ასევე ბათუმში მოქმედ პროტესტანტულ ეკლესიას „**ხსნის არმია**“, რომელიც წირვებს ადავლენს საკუთარ სამლოცველო სახლში, თავდადებულის ქუჩაზე (№76). „ხსნის არმიის“ მიმდევრები რწმენის ერთადერთ წყაროდ მიიჩნევენ ბიბლიას. ისინი თვლიან, რომ ადამიანს გააჩნია თავისუფალი ნება, სწამთ ადამიანის მიერ სიცოცხლეშივე წმინდანობის მიღწევასა. „ხსნის არმიის“ ეკლესია მკაცრად ცენტრალიზებული ორგანიზაციაა, რომელიც მოწყობილია სამხედრო ყაიდაზე, აქვს საკუთარი ფორმა და დროშა. რიგითი მორწმუნეები ითვლებიან ჯარისკაცებად, სასულიერო პირები კი ოფიცრებად. ორგანიზაციის სათავეში დგას გენერალი. ბათუმის ორგანიზაციის სულიერი ლიდერია ოფიცერი ანდრეი შკურინი. ბათუმში ფუძნდებიან დაახლოებით 20 წლის წინ და იმ დროდანვე რეგისტრაციაში გატარებულია იგივე სახელწოდებით.

ამრიგად, სტატიაში განხილულია ბათუმში გავრცელებული რელიგიები, მოკლედ გადმოცემულია მათი ბათუმში დაფუძნების ისტორია და მოძღვრების არსი. სტატია ინფორმაციული ხასიათისაა, თუმცა, იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ბათუმი ნამდვილად ტოლერანტული ქალაქია, სადაც სხვადასხვა აღმსარებლობის ჯგუფი ცხოვრობს ტოლერანტულ გარემოში.

### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

- ასლანიძე, 2003:** – ასლანიძე ა., „სექტანტობის პრობლემა და საქართველო“, ჟურ. „პოლიტიკა“, №7-8, თბილისი, 2003.
- ვაშაყმაძე, 2013:** – ვაშაყმაძე ზ., მეტრეველი ა., „რწმენის თავისუფლება პოსტსაბჭოთა ქვეყნებში“. ტომი I. თბილისი, 2013.
- თინიკაშვილი, 2021:** – თინიკაშვილი დ., „წმინდა სამების ეკლესია“, რელიგიური მრავალფეროვნება საქართველოში. სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი. თბილისი, 2021
- ინტერრელიგიური..., 2017:** – „ინტერრელიგიური დიალოგი მშვიდობისთვის“, II კონფერენცია „რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში“. თბილისი, 2017
- კოპალეიშვილი, 2014:** – კოპალეიშვილი ტ., „პროტესტანტული ეკლესიები საქართველოში“, ბათუმი, 2014.
- ნინიკაშვილი, https://...:** – ნინიკაშვილი ს., „საქართველოში გავრცელებული რელიგიების მოკლე მიმოხილვა“, ინტერნეტ მისამართი: <https://www.ttimes.ge/archives/41239>

**რელიგიები, 2008:** – „რელიგიები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.

**რელიგიური, 2013:** – „რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში (დოკუმენტების კრებული)“, II, თბილისი, 2013.

**სიცოცხლის..., https:...** – „სიცოცხლის სიტყვა“, ბათუმი; ინტერნეტ მისამართი:

[https://www.facebook.com/WOLBatumi/about/?ref=page\\_internal](https://www.facebook.com/WOLBatumi/about/?ref=page_internal)

**წმინდა..., https:...** – წმინდა სამების პროტესტანტული ეკლესია; ინტერნეტ მისამართი: <https://www.facebook.com/BatumiHolyTrinityChurch>

**Казьмина, 2010:** – Казьмина О. Е., Пучков П. И., «Религиозные организации современного мира», Москва. 2010.

**Религии, http:** – Религии в мире. ნ. ნაზარბაევის ცენტრი. ყაზახეთი; ინტერნეტ მისამართი: <http://religions-congress.org/ru/news/infografika>

**Abesalom Aslanidze (Batumi, Georgia)**

### **Batumi – City of Confessional Diversity and Religious Tolerance**

#### **Abstract**

While talking concerning Batumi as a multi-confessional city, first (for completely understandable reasons) we are reminded of Orthodox Christianity and Islam, regarding to this case the scientific society is well informed. At the same time there are many less known confessions in Batumi. With its diversity, the circumstance is especially interesting in modern Batumi, where a group of up to 20 different kind of religions people live together. The article discusses the history of the founding of these religions and the essence of the doctrines that have their own chapels in Batumi, in some cases emphasized the attitude of the church authorities, or connections to related confessions, showing how these religions coexist in our small town together.

## საქალაქო ცხოვრების განვითარების ისტორიიდან ბათუმში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები)

**აბსტრაქტი:** რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებით ბათუმი ოსმალეთის სასაზღვრო დასახლებად გადაიქცა. შესანიშნავი ნავსადგურისა და ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ოსმალეთის ხელისუფლებისათვის მისი მნიშვნელობა გაიზარდა. ახალი რეალობიდან გამომდინარე, ბათუმისადმი ინტერესი გაიზარდა როგორც რუსეთის იმპერიის, ისე ოსმალეთის ზურგს უკან მდგომი დიდი ევროპული სახელმწიფოების მხრიდანაც. თავისი როლი ითამაშა დასავლეთის გავლენით 1839 წელს ოსმალეთში დაწყებულმა რეფორმაციულმა პროცესმა – თანზიმათმაც. აღნიშნული ვითარება ქალაქის ზრდა-განვითარებაზე დადებითად აისახა. XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ბათუმი, გარკვეულწილად, გაფართოვდა და საქალაქო ცხოვრება უფრო ინტენსიური გახდა.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმის ნავსადგური, თანზიმათი, გეოპოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესები, საკონსულო, საქალაქო ცხოვრება.

**Key Words:** Port of Batumi, Tanzimat, Geopolitical, Commercial and Economic Interests, Consulate, City Life.

\*\*\*

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბათუმისადმი ინტერესის ზრდა, როგორც ოსმალეთის ხელისუფლების, ისე რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოთა მხრიდან, რაც დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორთან:

ა) 1828-1829 წლების ომში რუსეთთან განცდილი მარცხის შემდეგ, ადრიანოპოლის ზავით, ოსმალეთმა, სხვა ტერიტორიებთან ერთად (მათ შორის ახალციხე-ახალქალაქი), დაკარგა შავი ზღვის თითქმის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო ციხეებით: ანაპა, სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი) და, რაც ყველაზე მტკივნეული იყო, ფოთი. ახალმა რეალობამ, ერთი მხრივ ტრაპიზონის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანზიტო-საპორტო ქალაქის როლის ზრდა განაპირობა, მეორე მხრივ კი ბათუმის, როგორც შესანიშნავი, ბუნებრივი ნავსადგურისა და, ფაქტობრივად, უკვე რუსეთთან სასაზღვრო პუნქტად ქცეული დასახლების მნიშვნელობის გადააზრება გამოიწვია.

ბ) 30-იანი წლების დასაწყისში, დაღმასვლით მიმავალი ოსმალეთის იმპერია შეაზანზარა ეგვიპტის მმართველის – მუჰამედ ალი ფაშას 1831 წლის აჯანყებამ. ოსმალეთმა მხოლოდ რუსეთის დახმარებით შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ სანაცვლოდ მიიღო უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება (1833), სტამბოლში რუსული ფლოტი და ანატოლიაში რუსეთის გავლენის ზრდა, რაც, რა თქმა უნდა, არ შედიოდა ევროპის გეგმებში. დიდმა ბრიტანეთმა დაიწყო თავისი სავაჭრო-ეკონომიკური და დიპლომატიური საქმიანობის გაფართოება ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე. თუკი 1825 წლისთვის ბრიტანეთს აქ ჰქონდა მხოლოდ 13 დიპლომატიური წარმომადგენლობა (ვიცე-საკონსულო, საკონსულო და გენერალური საკონსულ-

ლო), 1834 წლისთვის ეს რიცხვი გაიზარდა 19-მდე, 1846 წლისთვის – 36-მდე, 1852 წლისთვის კი 51-მდე (!) [Dönmez, 2019: 363-380]. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ბრიტანული საკონსულოები ტრაპიზონში, ერზრუმში, სამსუნში, ბათუმში... ვფიქრობთ, მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ 1831 წლისთვის, როცა ლონდონმა პირველად გახსნა საკონსულო ტრაპიზონში, იქ უკვე ფუნქციონირებდა რუსეთის, საფრანგეთისა და სარდინიის სამეფოს საკონსულოები.

გ) პარალელურად საკონსულოების გახსნისა, რაც პოლიტიკურთან ერთად სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებსაც ემსახურებდა, ინგლისმა და ევროპის სხვა დიდმა სახელმწიფოებმა, ფაქტობრივად, აიძულეს პორტა დათანხმებოდა ოსმალეთის იმპერიის მოძველებული სისტემის რეფორმირებას, რასაც 1839 წელს მოჰყვა ე.წ. თანზიმათის პირველი ეტაპი. ევროპის ინტერესებში იყო, რომ მოდერნიზებულ ოსმალეთს უფრო მეტად შეძლებოდა მზარდი რუსული აგრესია-გავლენის შეჩერება. სწორედ განახლების ამ პროცესში ჩაჯდა ბათუმიც, რამაც გამოიწვია საქალაქო ცხოვრების შესამჩნევი აღმასვლა და პორტის თანდათანობითი გამოცოცხლება.

შესაბამისად, ბათუმისადმი ინტერესი გაიზარდა როგორც რუსეთის იმპერიის, ისე ოსმალეთის ზურგს უკან მდგომი დიდი ევროპული სახელმწიფოების მხრიდან. ბათუმს ინტერესთა ამ ჭიდილმაც შესძინა განსაკუთრებული დატვირთვა.

რას წარმოადგენდა ბათუმი XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს? ამ დროისთვის იგი უფრო სოფლურ, პატარა დასახლებას წარმოადგენდა რამდენიმე უსწორმასწორო ქუჩით, უწესრიგოდ გაფანტული სახლებითა და 2000-მდე მცხოვრებით [გამბა, 1987: 262]. ბაზარში, სადაც თავს იყრიდნენ მეზობელი კუთხეებიდან, მათ შორის რუსეთის იმპერიის ფარგლებიდანაც, ჩამოსული ქართველებიც, ვაჭრობდნენ მხოლოდ იაფფასიანი საქონლით. ჭაობებით გამოწვეული აუტანელი ჰავისა და მალარიის გამო, ბათუმის მოსახლეობა (ძირითადად, ქართველობა) იძულებული იყო ზაფხულობით დაეტოვებინა თავისი საცხოვრისი და უსაფრთხო ადგილას გადასულიყო [Yilmaz, 2014 (1): 129]. ბათუმის მთავარი ღირსება იყო ქარებისგან ბუნებრივად დაცული და მოხერხებული ნავსადგური, სადაც უკვე წარმოებდა სავაჭრო გემების მიმოსვლა, თუმცა არა დიდი ინტენსივობით. ხელისუფლებას უკვე დაწყებული ჰქონდა პორტის მოდერნიზაცია და სოლიდური თანხებიც იყო ჩადებული ამ საქმეში.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქალაქი თანდათან მოექცა რუსეთისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისის გეოპოლიტიკურ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებში. ამ დროისათვის ქალაქი შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის საფაშოს საზღვრებში ექცეოდა.

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ინგლისელებმა უკვე დაიწყეს შავი ზღვის სანაპიროდან წინა აზიის სიღრმეში მიმავალი ძველთაგანვე ცნობილი სავაჭრო-საქარავნო გზის – ტრაპიზონი-ერზრუმ-თავრიზის ინტენსიური ათვისება. 1823 წელს ამ გზით პირველად შევიდა ინგლისური საქონელი ირანში. მოგვიანებით ტრაპიზონსა და ერზრუმში ინგლისური სავაჭრო ფირმების მუდმივი წარმომადგენლობები გაიხსნა [Фадеев, 1960: 194].



1831 წლის ზაფხულში ბრიტანეთმა თავისი საკონსულო გახსნა ტრაპიზონში<sup>1</sup> (საკონსულომ იარსება 1914 წლამდე) [*Şaşmaz, 2014: XXI*].

XIX საუკუნის დასაწყისში ტრაპიზონი იქცა საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრად შავ ზღვაზე. ტრაპიზონის ცხოვრებაში ეს ახალი ეტაპი დაიწყო 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით, რომლის ძალითაც რუსეთმა მიიღო როგორც შავ ზღვაზე ნაოსნობის უფლება, ისე სხვა პრივილეგიები, რომელთა მიღებასაც საფრანგეთი და ინგლისი დიდი ხნის მანძილზე ცდილობდნენ. 1783 წელს გაფორმდა ოსმალეთ-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულება, რითაც დასრულდა შავ ზღვაზე ოსმალეთის მონოპოლია. ანალოგიური პრივილეგიები მიიღეს 1784 წელს ავსტრიამ, 1799 წელს – ინგლისმა, 1802 წელს კი საფრანგეთმა. ტრაპიზონის მნიშვნელობა და ევროპულ სახელმწიფოთათვის მიმზიდველობა გაზარდა თავრიზიდან ერზრუმის გავლით ირანის სატრანზიტო ვაჭრობაში ამ ზღვისპირა პორტის ჩართვამ, თუმცა, მისი რეალიზაცია 30-იან წლებამდე ვერ მოხერხდა [*Kuş, 2014: 163-184*].

ინგლისის მიერ ტრაპიზონში საკონსულოს გახსნა უკავშირდებოდა 1829 წლის ადრიანოპოლის ხელშეკრულების შემდეგ საკუთარი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გაფართოვების სურვილს [*იქვე*]. ლონდონის მთავრობამ მთავარ დიპლომატად, ვიცე-კონსულის რანგში, დანიშნა მანამდე სავაჭრო საქმიანობით გამორჩეული ჯეიმს ბრანტი, რომელმაც უკვე 1831 წლის 1 ივლისს ჩააბარა პირველი ანგარიში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს. 1837 წლის 6 აპრილს იგი გაიწვიეს ერზრუმში, სადაც დიდი ბრიტანეთის კონსულის თანამდებობაზე დაინიშნა [*Şaşmaz, 2014: XIII-XXI*]. ერზრუმის შემდეგ, 1855 წლის 3 დეკემბრიდან, ჯ. ბრანტი მსახურობდა დამასკოში. გარდაიცვალა 1861 წელს [*Wilson, 2011: 16, 18*].

ვიდრე იგი ვიცე-კონსულად დაინიშნებოდა ტრაპიზონში, ვაჭრობით იყო დაკავებული ქალაქ სმირნაში (დღ. იზმირი) და საკმაოდ წარმატებულად იყო ამ სფეროში. მას კარგი ურთიერთობები ჰქონდა საკონსულო სამყაროში.

ბრიტანული საარქივო დოკუმენტების თანახმად, ბრანტი დიდ ძალისხმევას იჩენდა ბრიტანეთის ვაჭრობის განვითარებისათვის ტრაპიზონში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში კონსულად მსახურობდა. 1836 წელს, ინგლისის ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით, საკონსულოს ცენტრი გადატანილ იქნა ტრაპიზონიდან ერზრუმში, საიდანაც სულ უფრო გააქტიურდა საქმიანობა ირანთან სატრანზიტო ვაჭრობის გასაფართოებლად [*Yılmaz, 2016: 153*]. ბრანტი იყო ერთ-ერთი მთავარი ლობისტი იმისა, რომ ირანთან სატრანზიტო ვაჭრობა განხორციელებულიყო ტრაპიზონი-ერზრუმი-თავრიზის ხაზით და არა რუსეთის მიერ კონტროლირებული კავკასიის გავლით. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი ბრიტანული საკონსულოების გახსნისა ჯერ ტრაპიზონსა და თავრიზში, შემდეგ კი ერზრუმში, სადაც ორი წლით ადრე თავისი საკონსულო გახსნა რუსეთის იმპერიამ [*Dönmez, 2019: 363-380*].

ბრიტანეთის ვიცე-კონსულები თავიანთი სამანდატო ტერიტორიის შესახებ, პერიოდულად, ანგარიშებს გზავნიდნენ სტამბოლში თავიანთი სახელმწიფოს ელჩთან. 1835 წელს ბრანტი ლაზისტანის, ყარსის, ერზრუმისა და სხვა სანჯაყებში მოგზაუ-

---

<sup>1</sup> მანამდე, 1803 წელს, აქ საკონსულო გახსნა საფრანგეთმა, რომელიც ცდილობდა რეგიონში სავაჭრო და პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებას. ამ მიზნით ტრაპიზონში კონსულად დაინიშნა პიერ დიუპრე [*Yılmaz, 2016: 153*], თუმცა, მის მიერ აქ გატარებული წლების მიუხედავად, საფრანგეთმა ვერ მიიღო სასურველი შედეგი.

რობისას პირველად ეწვია ბათუმს და თავის დეტალურ ანგარიშში შეეხო როგორც ბათუმის ყურესა და ნავსადგურს, ისე აქაურ კლიმატსა და ბათუმელთა ყოფა-ცხოვრებას.

ბათუმში ჩასული ვიცე-კონსული დაკვირვებით აღწერს მის ავ-კარგს. მისი შეფასებით, ბათუმის უბე (ყურე) კარგად არის დაცული და წარმოადგენს პორტს, რომელსაც შეუძლია დაიტოს ძალიან ბევრი გემი, მაგრამ, ირგვლივ არსებული ჭაობების გამო, ჰაერი არაჯანსაღია და მოსახლეობას საფრთხე ექმნება, განსაკუთრებით ივლისიდან ოქტომბრამდე, როცა ციებ-ცხელებით დაავადების საშიშროება იზრდება **[Adjara and., 2003: 44].**

ბრანტის აღწერით, იმდროინდელი ბაზარი შედგებოდა სამოცამდე მაღაზიისგან, აქვე იყო რამდენიმე ყავა-ხანა და ფარდული, აგრეთვე, მეჩეთი. ყველა მათგანი ხით იყო ნაშენი. ვიცე-კონსულის ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ბევრი შენობა მშენებლობის პროცესში იყო და ტერიტორიას ახლად დაარსებული კოლონიის იერი ჰქონდა. ციების მოძალების პერიოდში მოსახლეობა ვალდებული იყო დაეხურა მაღაზიები და გარიდებოდა საცხოვრებელს. თუმცა, ბაზრის მოპირდაპირე მხარე, ანუ ყურის აღმოსავლეთი ნაწილი, ჭაობებისაგან დაშორების გამო, უფრო ჯანსაღი ჰავით გამოირჩეოდა და თუ ქალაქი ბორცვზე გაშენდებოდა, მის მაცხოვრებლებს შეეძლებოდათ უსაფრთხოდ, ჭაობების მავნე გავლენისგან დაცულად ეცხოვრათ აქ წლის ნებისმიერ დროს **[Adjara and., 2003: 45-46].**

ამკარაა, რომ ჯეიმს ბრანტი ბათუმის ცხოვრების საინტერესო ეტაპს შეესწრო. ცნობილია, რომ თავიდან ბათუმის ცენტრი მდებარეობდა საზღვაო ყურის აღმოსავლეთით, მდ. ყოროლისწყლის შესართავის სიახლოვეს. XIX საუკუნეში ქალაქის ცენტრმა გადაინაცვლა დასავლეთით, თანამედროვე საზღვაო პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რადგან უბის ეს ნაწილი უფრო მოსახერხებელი იყო დიდი წყალწვის ხომალდებისათვის **[უზუნაძე, 1997: 6-8].** ბრანტი სწორედ ამ პროცესს აღწერს, როცა საზღვაო უბის დასავლეთით მიმდინარე ინტენსიურ მშენებლობებზე საუბრობს.

ბათუმის მოხერხებული და ბუნებრივად დაცული ნავსადგური მნახველთა მხრიდან ყოველთვის გულწრფელ მოწონებას იმსახურებდა. იგი შეუმჩნეველი არავის რჩებოდა.

1836 წლის მაისში ბათუმს ეწვია გერმანელი მეცნიერი კარლ კოხი, რომელიც მას დიდ და სტუმართმოყვარე ქალაქად მოიხსენიებს, სადაც სიცოცხლე ჩქეფდა და ჭრელი ხალხი ირეოდა. წინამორბედთა მსგავსად, ისიც მაღალ შეფასებას აძლევს ბათუმის პორტს და მიუთითებს, რომ ბათუმი თავის კეთილდღეობას სწორედ მას უნდა უმაღლოდეს **[კოხი, 1981: 184-185].**

1837 წელს ბათუმში ტრაპიზონიდან ჩამოვიდა ინგლისელი ოფიცერი დუგლას სტივენსი. იგი წერს, რომ ბათუმის ბაზრობაზე მოგაჭრეთა შორის ბევრი იყო ქართველი, რომლებსაც ოსმალები საზღვარზე თავისუფლად უშვებდნენ. მისი დაკვირვებით, ოლქის მმართველობა, ძირითადად, ოსმალების ხელთ იყო, განსხვავებით ტრაპიზონისაგან, სადაც მთავარი ადგილები ლაზებს ეკავათ. თუმცა, ბათუმელთა და, ზოგადად, მხარის მოსახლე აქარლების მიმართ, ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა **[გოგოლიშვილი, მაკარაძე, 2019: 61-62].**

1838 წლის იანვარ-თებერვალში, ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტანი ა. გ. გლასკოტი, ბათუმის მომავალ ვიცე-კონსულ ფ. გუარაჩინოსთან ერთად,

იმყოფებოდა ბათუმში. თავისი შთაბეჭდილებები მან აღწერა 1839 წლის 15 იანვარს ერზრუმში შედგენილ ვრცელ შენიშვნებში, რომელიც ეხება მათ მოგზაურობას შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ტრაპიზონიდან ბათუმამდე. მისი თქმით, ბათუმში გემებს შეუძლიათ უსაფრთხოდ ნავიგაცია, დატვირთვა და გადმოტვირთვა წლის ნებისმიერ დროს... წყალი საკმარისად ღრმაა. რეიდი დაცულია ჩრდილო-დასავლეთის ქარისაგან. დასავლეთიდან ქალაქს ესაზღვრება ჭაობიანი და ტყით დაფარული ტერიტორია, რომელიც მდინარე ჭოროხისა და ზღვის ზემოქმედების შედეგია. ქალაქი შედგება ერთი ქუჩისგან, სადაც ხის ღარიბული მაღაზიებია მწირი გასაყიდი ნივთებით. მაგრამ იქვე, სიახლოვეს, როგორც ჩანს, ახლახან აშენდა ბევრი სახლი, სხვები კი მალე დასრულდება *[Adjara and., 2003: 109-110]*.

40-იან წლების ბათუმის შესახებ ცნობებს გვაწვდის რუსეთის არმიის პოლკოვნიკი იაკობ სტეფანეს ძე პროსკურიაკოვი,<sup>2</sup> რომელიც მას ასევე ქალაქს უწოდებს. იგი წერს, რომ 1842 წელს იმყოფებოდა აქ და მას ძალიან მოეწონა მისი ბუნებრივი ყურე, რომლის სანაპიროს გასწვრივ მდებარეობდა ქალაქის შენობები, ციხის ქონგურებიანი კედლები და ძველი ეკლესიის ნანგრევები. ყურის დასავლეთით მდებარეობდა რამდენიმე დახლისგან შემდგარი ბაზარი, ინგლისის აგენტის<sup>3</sup> სახლი, სამხარეო უფროსის სახლი, მეჩეთი და სხვ. ქალაქში ითვლებოდა 300-ზე მეტი სახლი და 2000 სული ორივე სქესისა *[Проскуряков, 1905: 34]*.

მისი დაკვირვებით, ქალაქის კლიმატი, თითქმის მთელი წლის მანძილზე, ძალიან არაჯანსაღია, თანაც მძვინვარებს მომაკვდინებელი ციებ-ცხელება მთელი თავისი ულმობელობით. ამ მიზეზთა გამო ქალაქის მოსახლეობა სახლდება შემადლებულ ადგილებში და ამგვარად გაურბის დამლუპველ კლიმატს *[იქვე]*.

ბათუმის კლიმატის მავნებლობას ეხება აქ ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსული ფ. გუარაჩინოც 1840 წელს გაკეთებულ ჩანაწერებში: „ბათუმის მთავარი მინუსი არის მისი არაჯანსაღი კლიმატი, რომელიც გამოწვეულია ნახევარკუნძულის ჭაობიან ბუნებაში წარმოქმნილი მიაზმით და ბაზრის მახლობლად ბრინჯის სათესი ნოტიო ნიადაგის არსებობით. ამ მიზეზთა გამო ადგილი საცხოვრებლად უვარგისია ივნისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის დასაწყისამდე. ამ პერიოდში ის თითქმის მთლიანად დაცლილია. დანარჩენ დროს კლიმატი საკმაოდ ნოტიოა, მაგრამ არ ითვლება მავნედ. გაზაფხულსა და შემოდგომაზე აქ საკმაოდ ხშირად წვიმს; ხოლო ზამთარი, დიდთოვლობის მიუხედავად, არაა მკაცრი“ *[Adjara and., 2003: 128]*.

\*\*\*

ბათუმთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და პრობლემური საკითხია ქალაქისა და მისი ცენტრის ადგილმდებარეობის გარკვევა. ბათუმი თავდაპირველად მდებარეობდა მდ. ყოროლისწყლის შესართავთან *[უზუნაძე, 1997:7]*. ადრიან დიუპრეს (1807) ჩანაწერების მიხედვით, ბათუმი მდინარე ბათისის (დღევანდელი ყოროლისწყლის) შესართავიდან ერთი კილომეტრით ყოფილა დაშორებული, ანუ უნდა ყოფილიყო სადღაც დღევანდელი ბარცხანის მიდამოებში. ქალაქის

<sup>2</sup> იგი 1842-1848 წლებში მონაწილეობდა მოლაპარაკებებსა და რუსეთ-ოსმალეთის საზღვრის გამიჯვნაში საქართველოს მონაკვეთზე. გამოთქვამდა სინანულს იმის გამო, რომ ადრიანოპოლის ზავით საზღვარი არ გავიდა ჭოროხ-აჭარისწყლის ხაზზე.

<sup>3</sup> იგულისხმება ბრიტანეთის ვიცე-კონსული.

კომენდანტის (რომელიც ახალციხის ფაშას ემორჩილებოდა) ქვის კოშკით დაცული სახლი კი იდგა მის ჩრდილოეთით მდებარე შემალღებაზე *[გაბია, 1987: 263]*. ბათუმში დამკვიდრებული პონტოელი ბერძენის, მწერლისა და ჟურნალისტის, იოანე კალფოღლუს უცნობი ასაკოვანი მთხრობელის მიხედვითაც, სადაც XIX საუკუნის 20-იანი წლებისთვის ჯერ კიდევ ძველ ბათუმში (დღ. თამარის დასახლებაში) იდგა ახალციხის ფაშაზე დამოკიდებული ბათუმის მუსელიმის (გუბერნატორის თანაშემწის) სეფერ ბეგის<sup>4</sup> სახლი, სადაც იყო განთავსებული საგუბერნიო მმართველობაც *[Кальфоглу, 1905: 41]*.

როგორც ირკვევა, ყოროლისწყლის შესართავთან მდებარე ნავსაყუდელი მხოლოდ პატარა გემებისთვის იყო ხელსაყრელი, ხოლო დიდი საზღვაო ხომალდებისთვის – მოუხერხებელი. სულ ახლოს, სამხრეთით არსებული ბუნებრივი ნავსაყუდელი კი კარგად პასუხობდა ახალ მოთხოვნებს. ამიტომაც მოხდა საქალაქო ცენტრის გადატანა თუ გადანაცვლება ზღვისპირა ყურის მიმართულებით *[იქვე]*. არსებული მოსაზრებით, ეს პროცესი XVIII საუკუნიდან იწყება, მეორე ნახევრიდან უფრო ინტენსიური ხდება და XIX საუკუნის დასაწყისისთვის, ძირითადად, სრულდება *[უზუნაძე, 1997: 7-8]*. ერთი შეხედვით, ეს ციკლი თითქოს ლოგიკური ჩანს, თუმცა, ჩვენ უფრო სხვანაირად წარმოგვიდგენია პროცესი.

ვფიქრობთ, დიდი ურბანული დასახლების შემთხვევაში, ახალი არტერიის შექმნა შეიძლება მართლაც იყოს ათწლეულობით, საუკუნით ან უფრო მეტი ხნით განგრძობითი პროცესი, მაგრამ ასეთი რამ ძნელი წარმოსადგენია იმდროინდელი ბათუმის დარი პატარა, სოფლური ტიპის სამოსახლოს პირობებში. შესაბამისად, ცენტრის გადატანას და ბათუმის ყურის მიმართულებით ახალი დასახლების გაჩენას შეიძლება დასჭირებოდა ერთი ან, მაქსიმუმ, ორი ათწლეული, რასაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ადასტურებენ იმდროინდელი წყაროებიც. კალფოღლუს მთხრობელის მიხედვით, რაკი ბათუმში შემომაგალი ყველა გემი აღნიშნულ ყურეში უშვებდა ღუზას, სეფერ ბეგმა გადაწყვიტა თავისი რეზიდენციის უფრო სამხრეთით გადმოტანა და ყურის სიახლოვეს, აჰმედ ფაშას სახელზე მეჩეთის აშენება<sup>5</sup>, რომელიც (და მთლიანად ახალი უბანიც – ავტ.) აჰმედიეს სახელით გახდა ცნობილი. ამის შემდეგ მოსახლეობამაც მიატოვა ძველი საცხოვრისი და მეჩეთის ირგვლივ დამკვიდრდა. XIX საუკუნის 50-იანი წლებისთვის ეს მეჩეთი უკვე დანგრეული იყო, თუმცა, საძირკველი და კარის ჩარჩოს ფრაგმენტები ისევ ჩანდა *[Кальфоглу, 1905: 41]*.

როგორც ვხედავთ, XIX საუკუნის დასაწყისში (დიუპრე) და 20-იან წლებშიც (კალფოღლუ) ბათუმის ცენტრი მდ. ყოროლისწყლის შესართავის სიახლოვესაა, 50-იანი წლებისთვის კი უკვე ყურის მიმართულებითაა საძიებელი. ანუ, პროცესი დაწყებულა და დასრულებულა 20-50-იანი წლების შუალედში. თუმცა, შესაძლებელია ამ ქრონოლოგიური ჩარჩოს კიდევ უფრო დავიწროებაც. ბათუმში ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსულის ფ. გუარაჩინოს 1840 წლის ცნობით, ბათუმი ძვეს ყურის დასავლეთ დაბლობზე და მოიცავს 200 ხის დუქანს *[Adjara and., 2003: 116]*. რუსეთის არმიის პოლკოვნიკის – პროსკურიაკოვის ზემოთ მოყვანილი, 1842 წლის ცნობით, ბათუმის ყურის დასავლეთით მდებარეობდა რამდენიმე დახლისგან შემდგარი

<sup>4</sup> იგი იყო აჰმედ ფაშა ხიმშიაშვილის სახლელის წევრი.

<sup>5</sup> აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სწორედ ეს უნდა ყოფილიყო პირველი მეჩეთი ბათუმში და არა 1863 წელს აგებული აზიზიეს მეჩეთი, როგორც მიჩნეულია ისტორიოგრაფიაში.

ბაზარი, მეჩეთი, ინგლისის აგენტის სახლი, სამხარეო უფროსის სახლი და სხვ. [Проскуряков, 1905: 34]. მისივე დაკვირვებით, ყურის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა მშენებლობები, ხოლო ყურის სამხრეთი ნაწილი საკმაოდ დასახლებული ყოფილა. სამშენებლო სამუშაოები სწარმოებდა ყურის აღმოსავლეთ სანაპიროზეც [გოგოლიშვილი, მაკარაძე, 2019: 63].

1846-1852 წლებში ბრიტანეთის ვიცე-კონსული უ. ჰოლმსი თავის 1851 წლის ანგარიშში წერს: ბათუმი მნიშვნელოვნად გაიზარდა ზომით, და ახლა შენდება მრავალრიცხოვანი შენობები...“ [Şaşmaz, 2014: 224]. ყოველივე აქედან გამომდინარე, ორმოციანი წლებისთვის ბათუმი უკვე ყურის სიახლოვეს გაშენებული ქალაქია და მოხსენიებული მეჩეთიც, დიდი ალბათობით, კალფოლლუსთან დადასტურებული ე.წ. აჰმედიეა.

არის კიდევ ერთი პირდაპირი წყარო, რომელიც 1835 წლისათვის ბათუმში მეჩეთის არსებობას და მის ირგვლივ ახალი საქალაქო ცენტრის მშენებლობის პროცესს ადასტურებს. ეს გახლავთ ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ჯეიმს ბრანტის 1835 წლის ანგარიში. ბრანტის აღწერით, ბათუმის იმდროინდელი ბაზარი შედგებოდა 60 მაღაზიისგან, აქვე იყო რამდენიმე ყავის სახლი, აგრეთვე მეჩეთი. ვიცე-კონსულის ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ბევრი შენობა მშენებლობის პროცესში იყო და ტერიტორიას ახლად დაარსებული ახალშენის (კოლონიის) იერი ჰქონდა... აქვე, შემადგენელ ადგილას, მომცრო ქალაქი მდებარეობდა, სადაც ადამიანებს შეეძლოთ უსაფრთხოდ ეცხოვრათ მთელი წლის მანძილზე [Adjara and., 2003: 45-46].

ბათუმის ყურის მიმდებარედ ახალი ქალაქის მშენებლობაზე მიუთითებს ბრიტანელი კაპიტნის – გლასკოტის 1838 წლის ცნობაც. იგი წერს: ქალაქი შედგება ერთი ქუჩისგან, სადაც ხის ღარიბული მაღაზიებია მწირი გასაყიდი ნივთებით. მაგრამ იქვე, სიახლოვეს, როგორც ჩანს, ახლახან აშენდა ბევრი სახლი, სხვები კი თითქმის მზადაა...“ [Adjara and., 2003: 109-110]. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მის ვრცელ მოგზაურობის შენიშვნებს თან ერთვის მისივე შედგენილი ბათუმისა და ნავსადგურის გეგმა [იქვე, 114], რაც არის ვიზუალური დასტური იმისა, თუ სად მდებარეობდა ბათუმის ახალი საქალაქო ცენტრი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბათუმის საქალაქო ცენტრის ყურის მიმართულებით გადატანის პროცესი XIX საუკუნის 20-30 წლებს შორისაა სამიუბელი, უფრო კი, ალბათ, 30-იან წლებში. ამ ვარაუდს ერთგვარად ამყარებს ის გარემოება, რომ კალფოლლუს ასაკოვანი მთხრობელის მიერ დასახელებული სეფერ ბეგი, რომელსაც მიეწერება ბათუმის პირველი მეჩეთისა და ახალი უბნისათვის საფუძვლის ჩაყრა, ბათუმის გამგებლად ჩანს 1830-იან წლებში [İnbaşı, 2006: 178]. 2018 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „ბათუმის მუჰაჯირები“ – მისი ავტორი მურათ ქასაბი, საარქივო მასალაზე დაყრდნობით, კონკრეტულ თარიღსაც ასახელებს. იგი წერს: ჩილდირის ვალის – აჰმედ ფაშა ხიმშიაშვილის ცოლის ძმამ და ბათუმის მუთესელიძემ სეფერ ბეგ ბეჟანბეგ 1830 წელს დატოვა ბათუმის ადმინისტრაციული ცენტრი თამარის დასახლებაში და ყურის სამხრეთ ნაწილში გემების თავშესაფრის ახალი ადგილი შექმნა. აქ მან აჰმედიეს სახელის მეჩეთი ააგებინა და მის გარშემო სახლები და დუქნები გააშენებინა. ამ ახალ დასახლებას აჰმედიეს სახელი ეწოდა [Kasap, 2018: 21].

არსებული მასალებისა და პოლიტიკური ვითარების ანალიზის საფუძველზე ვფიქრობთ, რომ ბათუმის ახალი დასახლების – აჰმედიეს გაჩენა და ადმინისტრაცი-

ული ცენტრის იქ გადატანა უნდა უკავშირდებოდეს რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებს და საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომ განვითარებას. მას შემდეგ, რაც ოსმალეთმა დაკარგა ფოთი, პორტამ მთავარი ყურადღება გადაიტანა ბათუმზე, როგორც აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში საუკეთესო ბუნებრივი ნავსაყუდელის მქონე საპორტო და სასაზღვრო ქალაქზე, რასაც მოჰყვა მისი თანდათანობითი დაწინაურება და ახალი დასახლებების გაჩენა. დიდი, ორთქმავალი სავაჭრო გემების მიღების საჭიროებამ განაპირობა ბათუმის ყურესთან ახალი ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი უბნის გაჩენა, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მისი გადაქცევა ქალაქის ახალ ცენტრად.

\* \* \*

ჯეიმს ბრანტის აქტიურობის შედეგად, დიდმა ბრიტანეთმა 1840 წელს თავისი საკონსულო გახსნა ბათუმში. ეს იდეა წლების განმავლობაში მწიფდებოდა და მუშავდებოდა. როგორც ირკვევა, 1837 წელს ლორდმა პალმერსტონმა დაავალა იმ დროს ერზრუმში ბრიტანეთის კონსულს ჯ. ბრანტს ბათუმში ვიცე-კონსულის თანამდებობაზე კომპეტენტური პიროვნების მოძიება. საბოლოოდ არჩევანი შეჩერდა ფრედერიკ გუარაჩინოზე – ტრაპიზონის ვიცე-კონსულ ჰენრიხ სუტერის დის შვილზე. 20 წლის გუარაჩინო მამით იონიელი ბერძენი იყო, დედით კი ინგლისელი. ვიცე-კონსულად დანიშვნამდე იგი 18 თვე ტრაპიზონში მუშაობდა სუტერთან, ხოლო შემდეგ 5 თვე – ერზრუმში ჯეიმს ბრანტთან [Adjara and., 2003: 157-161].

ფრედერიკ გუარაჩინო თითქმის 6 წელი ასრულებდა ბათუმში ბრიტანეთის ვიცე-კონსულის მოვალეობას. თუმცა, ჯერ კიდევ 1844 წლის 24 დეკემბრის წერილით ითხოვა ხელისუფლებისგან, მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო, გადაყვანა სხვა მხარეში, რისი ნებართვა მხოლოდ 1846 წელს მიიღო. იგი ვიცე-კონსულად დარჩა 1846 წლის 11 ივნისამდე [გელაშვილი, 2019: 107].

ბათუმში ჩასვლიდან მალევე, რამდენიმე თვეში ფ. გუარაჩინო, როგორც ჩანს არაჯანსაღი თვეების გასატარებლად, დაბრუნდა ერზრუმში, სადაც დაწერა 4 აგვისტოს თარიღით პირველი ანგარიში ბათუმის შესახებ, რომელიც ჩვენთვის საინტერესო ბევრ ცნობას შეიცავს.

ბათუმი, რომელსაც გუარაჩინო სოფლად მოიხსენიებს, ამ დროს ტრაპიზონის საფაშოს შემადგენლობაშია. ვიცე-კონსულის ჩამოსვლის დროისათვის ეს რეგიონი დიდი სიმშვიდით არ გამოირჩეოდა. ადგილობრივი, ლაზისტანის გუბერნატორის (რომელსაც გუარაჩინო მუსელიმს ეძახის) გამომძალველობის გამო, აქაურები რუსეთის კონტროლირებად საქართველოს ტერიტორიაზე გადადიოდნენ. ავიწროვებდნენ ბათუმის სიახლოვეს გამოსაზამთრებლად დამკვიდრებულ ქურთებსაც კი და მათი რიცხვი 60-ზე მეტიდან 30-მდე შემცირებულა. შედეგად მაღაზიებიც კი დაიცალა და 200-დან 70 თუ ფუნქციონირებდა. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა უზუნოდლუ მკჰმედ ალა, რომელიც ამის გამო გადაუყენებია ტრაპიზონის მმართველ ოსმან ფაშას და დროებით მუსელიმის რეზიდენციაც ბათუმიდან ხოფაში გადაუტანია [Adjara and., 2003: 117].

ფ. გუარაჩინო აღწერს ადგილობრივ მოსახლეობას: „ბათუმისა და ჩაქვის მაცხოვრებლები არიან მამაცნი, მაგრამ შურისმაძიებელნი; სისხლის აღების წესი გადადის მამიდან ვაჟიშვილზე. ენა, რომელსაც ჩვეულებრივ ერთმანეთში ურთიერთობისთვის ხმარობენ, არის ქართული. ამასთან ყველამ იცის თურქული, მაგრამ

დამახინჯებული. ისინი არასდროს დაუმორჩილებიათ მუდმივად ტრაპიზონის ფაშებს, რომელთაც სურთ მათი განიარაღება, მაგრამ არ უნდათ, რომ გააბოროტონ, რადგან არიან საზღვრების ერთად-ერთი დამცველები“ *[Adjara and., 2003: 121]*.

მიუხედავად ამ ერთგვარი ავტონომიურობისა, პორტა ცდილობდა, რომ არ დაეკარგა კონტროლი არც რეგიონზე და არც შემოსავლებზე. ბათუმის 350 თუ 400 სახლი მთავრობას წლიურად უხდიდა 30-40 *ქისას*, ან 150-200 ფუნტს *[Adjara and., 2003: 120]*.

ფ. გუარაჩინოს, როგორც კონსულს, სადაზვერვო მისიაც ჰქონდა, მას უნდა სცოდნოდა თუ რა ხდებოდა ბათუმის მეზობელ რეგიონებში, რომლებიც კონტროლდებოდა რუსების მიერ. „ძნელია შეაგროვო სწორი ინფორმაცია რუსების ექსპედიციების შესახებ საქართველოში. ბათუმის მოსახლეობა არის სრულიად გაუთვითცნობიერებელი და გულგრილი იმის მიმართ, რაც ხდება იმ პროვინციებში; ხოლო ქართველებს, რომლებიც ხშირად გადმოდიან ბათუმში, ეშინიათ გაამჟღავნონ თავიანთი ნამდვილი გრძნობები რუსების მიმართ. გერმანელმა ვაჭარმა, რომელიც ნამყოფი იყო ტფილისში და უკან დაბრუნებისას გაიარა ბათუმზე, თქვა, რომ, კავკასიის არმიის პოლონელი ოფიცრის სიტყვით, 1830 წელს რუსთა დანაკარგები შეადგენდა მთელი მათი ძალების 35 %-ს...“ – მიუთითებს ვიცე-კონსული *[Adjara and., 2003: 131]*.

გუარაჩინომ მოინახულა ჩურუქ-სუ, როგორც მისი სამანდატო ტერიტორია. ამ მხარის გამგებელი ყოფილა ვინმე მეჰმედ ბეგი, მაგრამ ფაქტობრივი ძალაუფლება მის ვაჟს – ჰასან ბეგს ეპყრა, რომელსაც ჰქონდა მოსახლეობის მხარდაჭერაც. აქ დამოუკიდებლობის ხარისხი კიდევ უფრო მაღალი იყო. „ჩურუქ-სუს მხარე მოიცავს 1500 სახლს ან ოჯახს. აქედან თითო კომლი წლიურად იხდის მხოლოდ 5 პიასტრს, ანუ ერთ შილინგს. მოსახლეობა სხვა კონტრიბუციისგან თავისუფალია საზღვართან მათი სიახლოვის გამო“ – წერს ფ. გუარაჩინო *[Adjara and., 2003: 132-133]*.

აქვე ბრიტანელი დიპლომატი გვაწვდის ერთ საინტერესო ცნობას: „ბათუმის დატოვების წინ გავიგე, რომ იქ მიმდინარეობდა ტერიტორიული დავა ჩურუქ-სუსა და ოზურგეთის მმართველთა შორის: მეორენი თვლიდნენ მას რუსეთის კუთვნილებად, პირველები კი ამტკიცებდნენ, რომ ის ოდითგან ეკავათ ჩურუქ-სუს მოსახლეობას. საზღვარი გადის მდინარე შეკვეთილზე, რომელიც იყოფა ორ ტოტად, ხოლო შემდეგ დაბლა ერთიანდება და ქმნის დელტას. ეს არის სადავო ტერიტორია“ *[Adjara and., 2003: 133-134]*.

ფ. გუარაჩინო გაკვრით ახსენებს ქორ-ჰუსეინ ბეგის აჯანყებასა და მის შედეგებს. იგი იყო სელიმ ხიმშიაშვილის შვილი. ამ გვარს დიდი გავლენა ჰქონდა ოსმალის საქართველოში.

ქორ-ჰუსეინ ბეგის პირველი აჯანყება დაიწყო 1840 წლის დასაწყისში და გრძელდებოდა ივლისამდე. ტრაპიზონში საფრანგეთის მაშინდელი კონსულის მიხედვით, აჯანყების მიზეზი იყო ერზრუმის ვალის მიერ ართვინის სანჯაყ-ბეგად ქორ-ჰუსეინის ნაცვლად იუსუფ ბეგის დანიშნვა და რეგიონში 1000-1200 კაცის გაგზავნა. ჰუსეინ ბეგს მხარი დაუჭირა რეგიონის სხვა წარჩინებულმა ალი ბეგმა, რომელიც არტანუჯის ციხეში გამაგრებულ აჯანყებულ ბეგს მიუვიდა მომხრეებთან ერთად. პორტამ არზრუმისა და ტრაპიზონის ფაშები გაგზავნა ჰუსეინის წინააღმდეგ. არზრუმელ ჰაფიზ ფაშას ეცნობა, რომ დამარცხებული ქორ-ჰუსეინი რუსეთის სამფლობელოებისკენ ფიქრობდა გაქცევას. ფაშამ მისი თავი 50 ათას ყურუშად და

წლიურ ხელფასად შეაფასა. თუმცა, მისი ხელთ გდება არც ისე მარტივი აღმოჩნდა. არსებობდა მთელი რეგიონის აჯანყების საფრთხე. ქორ-ჰუსეინი ოლთისიდან ლიგან-მაჭახლის მიმართულებით გაიქცა. მას რამდენიმე მხრიდან შეუტყეს. საბოლოოდ, ხანგრძლივი დევნის შემდეგ, 9 ივლისს დაჭრილი ტყვედ აიყვანეს ზემო აჭარაში.<sup>6</sup> დაპატიმრებული გაგზავნეს არზრუმში. ჭრილობების მოშუშების შემდეგ, 5 აგვისტოს სტამბოლში გასაგზავნად ტრაპიზონში გადაიყვანეს. 1841 წლის დასაწყისში ჰაფიზ ფაშა გადააყენეს ერზრუმის ფაშობიდან, რამაც ქორ-ჰუსეინ ბეგის მდგომარეობა შეამსუბუქა. სტამბოლში ჩასვლიდან წელიწადნახევრის შემდეგ მან მიიღო უფლება დაბრუნებულიყო მშობლიურ კუთხეში. როგორც ჩანს, მისი ავტორიტეტისა და რეგიონის საზღვართან სიახლოვის გამო, ხელისუფლება ცდილობდა არ გაემწევაგებინა სიტუაცია *[Yilmaz, 2014 (2): 611-635]*.

1846 წელს ქორ-ჰუსეინ ბეგი ისევ აჯანყდა. თუმცა კვლავ შეიპყრეს. მასთან ერთად დაპატიმრეს მისი ორი შვილი, ათობით აღა და წარჩინებული. იგი გადაიყვანეს ჯერ სამსუნში, შემდეგ სტამბოლში. გარდაიცვალა 1848 წელს. მიუხედავად ქორ-ჰუსეინ ბეგის აჯანყებისა, ეს გვარი კვლავ ინარჩუნებდა გავლენას რეგიონში, რისი დასტურიცაა აღნიშნული პროცესების შემდეგ მაღალ თანამდებობებზე შერიგ ბეგისა და აბდი ბეგის (ჰუსეინის ძმისშვილისა და ძმის) ყოფნა. როგორც ჩანს, ოსმალეთის ხელისუფლება ცდილობდა მათ ჩართვას თანზიმათის პროცესში, რაც ამ აჯანყების გამო ორი წლით გადაიდო *[Yilmaz, 2014 (2): 636-658]*.

თავის პერიოდულ ანგარიშებში გუარაჩინო ახსენებს რამდენიმე აჯანყებისა თუ მღევარების ფაქტს აჭარაში. ასეთივე დეტალურ ცნობებს იძლევა ბათუმში მისი შემცვლელი, ახალი ვიცე-კონსული უილიამ რიჩარდ ჰოლმსი, რომელიც ბათუმში ჩამოვიდა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1846 წლის 11 ივნისს.

უ. რ. ჰოლმსმა გააგრძელა ფ. გუარაჩინოს ტრადიცია. გარდა მისი ყოველწლიური სავაჭრო ანგარიშებისა, შესაძლებლობა გვაქვს თვალი გავადევნოთ მის წერილებს ზემდგომი პირებისადმი ბათუმში ვიცე-კონსულად ყოფნის წლებში (1846-1852). წერილების უმრავლესობის ადრესატია 1842-1858 წლებში ბრიტანეთის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში სტრეტფორდ კანინგი, რომლის რეზიდენციაც კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) იყო.

ჰოლმსის დანიშვნისას ბათუმში შედარებით სიწყნარე იყო. მისი აზრით, სიმშვიდე და უსაფრთხოების განცდა განპირობებული იყო რამდენიმე ფაქტორით: „ოსმან ფაშას გარდაცვალების შემდეგ, ქვეყანა თანდათანობით დამშვიდდა, მოიშორეს ბევრი ცუდი პიროვნება; ცხოვრება და ქონება ახლა შედარებით უსაფრთხოა... ბათუმის გარშემო მდგომარეობის გაუმჯობესება, ასევე დიდწილად, აიხსნება აქ ბრიტანეთის ვიცე-საკონსულოს დაარსებით. ბეგებმა და მართველებმა იცოდნენ რა, რომ მათი ქმედებების შესახებ ინფორმაცია კონსტანტინოპოლს მიეწოდებოდა და ჩადენილი დანაშაული დაუსჯელი არ დარჩებოდა, ისწავლეს დაფიქრება თავიანთი საქციელის შესაძლო შედეგებზე. ამგვარად, ევროპული ხელისუფლების არსებობა იყო ერთგვარი კონტროლი უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ“ *[Şaşmaz, 2014: 154]*.

<sup>6</sup> 1845 წელს, ბათუმიდან ართვინამდე თავის მოგზაურობისას გუარაჩინომ დაინახა მაჭახლის-პირში ბაჰრი ფაშას მიერ დანგრეული სახლი, რომელიც ეკუთვნოდა ქორ-ჰუსეინის მომხრე ერთ-ერთი აღას *[Guarraccino, 1845: 298; მობოგე, 2013: 235]*.



უ. ჰოლმსი საინტერესოდ მსჯელობს თანზიმითან დაკავშირებით. იგი წერს, რომ ლაზისტანის სანჯაყში თანზიმითი გამოცხადდა 1847 წლის მაისის ბოლოს და პირველი თვეების მანძილზე მას ფორმალური ხასიათი ჰქონდა. მისი აზრით, ახალი წესრიგის შემოღებას ეწინააღმდეგებოდა როგორც მმართველი ფენა, რომელიც მასში საკუთარი კეთილდღეობის დაკარგვის საფრთხეს ხედავდა, ისე დაბალი წრეები, რომლებიც პირველისგან იყვნენ შეცდომაში შეყვანილი **[Şaşmaz, 2014: 172-173]**.

არეულობებსა და მღელვარებებს რეგიონში ადგილი ჰქონდა ჰოლმსის კონსულობის პერიოდშიც. „ბოლოს და ბოლოს, 1851 წელს, – წერს ჰოლმსი – პორტა მივიდა ბრძნულ აზრამდე, რომ გარკვეულწილად შეცვალოს ქვეყნის შერყეული მდგომარეობა, ლაზისტანის სანჯაყი ტრაპიზონისგან დამოუკიდებელ საფაშოდ გადააქცია და ამ თანამდებობაზე ლატიფ ფაშა დაასახელა. იგი გვიან, არაჯანსაღ სეზონში ჩამოვიდა, მაგრამ ყველაფერი გააკეთა ქვეყნის წესრიგში მოსაყვანად და აშკარად მიაღწია წარმატებას“ **[Şaşmaz, 2014: 223]**. თუმცა, უწესრიგობები შემდეგაც გაგრძელდა, რასაც ფაშას არასწორმა ქმედებებმაც შეუწყო ხელი.

აქვე, ჰოლმსის 1852 წლის ანგარიშში ვპოულობთ ინფორმაციას ლაზისტანში დისლოცირებული სახმელეთო და საზღვაო სამხედრო ძალების შესახებ. მისი თქმით, იგი არ შეცლილა და იგივეა, რაც გასულ წელს: ჩურუქ-სუს ქვეითი ბატალიონი და ორი მცირე ხომალდი ბათუმში **[Adjara and., 2003: 456]**.

ბრიტანელი დიპლომატი გარკვეულ ინფორმაციასა და საკუთარი დაკვირვების შედეგებს გვამცნობს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსების ექსპანსიაზე; მოკლედ ეხება ტიფის გავრცელებას რეგიონში; გვაწვდის ცნობებს ბათუმის საპატიმროს მდგომარეობის შესახებ და სხვ.

1852 წლის 23 დეკემბერს მას მიუვიდა ინფორმაცია, რომ იგი დაინიშნა კონსულად დიარბაქირში, ბათუმის ვიცე-საკონსულო კი გაუქმდა **[Adjara and., 2003: 378-380]**. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ გვამცნობს შესაძლებლობას გავერკვიოთ საკონსულოს დახურვის მიზეზებში. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმ ეტაპზე ბრიტანეთმა, როგორც ჩანს, ვერ დაინახა ბათუმის განვითარების პერსპექტივა. მუდმივი არეულობა, დამაბულობა, არასასურველი კლიმატური პირობები და ჭაობი, რომლის დრენაჟის საკითხი ვერ მოაგვარა ხელისუფლებამ, 3 თვე უმოქმედობა და ყოველივე აქედან გამომდინარე – ვაჭრობის შეზღუდული მასშტაბები იქცა პრობლემათა იმ ერთობლიობად, რის გამოც ბრიტანეთის მთავრობამ გააუქმა თავისი საკონსულო ბათუმში.

რაც შეეხება საკონსულოს შენობას. ჯერ კიდევ ე. გუარაჩინოს დროს, სადღაც 1845 წელს გაფორმებული 16 წლიანი კონტრაქტით, ბრიტანულმა მხარემ აიღო ვალდებულება გადაეხადა წელიწადში 1000 პიასტრი მიწის მფლობელისთვის, რომელზეც იდგა საკონსულოს ორსართულიანი შენობა (პირველი სართული – ქვის, მეორე – ხის). მიუხედავად იმისა, რომ საკონსულო გაუქმდა, ჰოლმსი 1853 წლის მაისის შუა რიცხვებშიც ბათუმშია და დაკავებულია შენობის შემდგომი ბედის გარკვევით **[Adjara and., 2003: 381-384]**.

ბათუმის ყოფილი ვიცე-კონსული ჰოლმსი, სავარაუდოდ, ივლისამდე, არაჯანსაღი სეზონის დადგომამდე დატოვებდა ბათუმს და შენობაც ახალი ფუნქციით დაიტვირთებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ბათუმი იურთლუქისა და ოჯაქლიქის წესის საფუძველზე იმართებოდა, ანუ წარმოადგენდა ადგილობრივი გამაჰმადიანებული ქართველი ბეგების მემკვიდრეობით საკუთრებას. ერთი ცნობით, 1746 წლის 19 აგვისტოს ბათუმის სანჯაყი სამართავად გადაეცა ვინმე სულეიმანს და აქედან დაწყებული 1850 წლამდე სანჯაყს მისი მემკვიდრეები განაგებდნენ. მათვე ევალებოდათ ფოთის დაცვაც [*İnbaşı, 2006:178*]. XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან მოყოლებული, რეფორმების პირველ ტალღასთან ერთად, იწყება სამხედრო-ლენუ-რი სისტემის რღვევა ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, აჭარაში კი ეს პროცესი სადღაც 40-იანი წლების შუა ხანებზე მოდის [*ზარამიძე, 1999: 19-21*].

ადმინისტრაციული თვალსაზრისით, ბათუმი 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომამდე ახალციხის საფაშოს, შემდეგ კი უკვე ტრაპიზონის ვილაეთის შემადგენლობაში შედიოდა. 1839 წლის „თანზიმათის“ ფორმანის გამოქვეყნებამდე, ბათუმ-მარადიდი გონიოს სანჯაყში შედიოდა და ტრაპიზონის ვალის ექვემდებარებოდა. ამ დროს ზემო და ქვემო აჭარა, ჩურუქ-სუ, მაჭახელი, ლივანა, იმერხევი, შავშეთი და არტანუჯი ჩილდირის ეიალეთში შედიოდა [*Kasap, 2018: 21*].

1839 წლიდან ეიალეთის სისტემა გაუქმდა. ბათუმი, ჩურუქ-სუ და სხვა კაზები ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. ბათუმი გახდა ამ სანჯაყის ცენტრი. თავის მხრივ, ლაზისტანის სანჯაყი ტრაპიზონის, ჯანიკის და გიუმუშხანეს სანჯაყებთან ერთად შეადგენდა ტრაპიზონის ვილაეთს, რომელსაც მართავდა ვალი მუშირის ხარისხით [*Отчет о провинциях..., 1882-1883: 18-19*].

50-იანი წლებისთვის ბათუმის მხოლოდ საქალაქო ცენტრი 200-მდე კომლოს მოითვლიდა. აქვე იყო 400 დუქანი, ორი მეჩეთი, ორი მედრესე და ერთი აბანო. ტრაპიზონის ვილაეთის წელიწდეულის მიხედვით, XIX საუკუნის 60-70-იანი წლების მიჯნაზე ლაზისტანის სანჯაყში, ბათუმის კაზას გარდა, შედიოდა ჩურუქ-სუს, მაჭახლის, გონიოს, არჰავის, ჰემშინის ნაჰიეები და აჭარის (იყოფოდა ზემო და ქვემო აჭარად), ხოფის, ათინას, ლივანას კაზები [*Trabzon Vilayeti Salnamesi, 1993-1994*].

ფრანგი მოგზაურის, ჟან მურიეს მიხედვით, ბათუმი ლაზეთის საფაშოს მთავარი ქალაქი იყო, რომელსაც მუთესარიფი მართავდა. მუთესარიფი უშუალოდ ტრაპიზონის ვალს, ანუ გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებოდა. ეს საფაშო თერთმეტი კაზის ანუ მაზრისგან შედგებოდა: ბათუმი, ჩურუქ-სუ, ზემო აჭარა, ქვემო აჭარა, მაჭახელი, ლივანა, გონია, ხოფა, არხავე, ხემშინი და ათინა. თითოეულ მათგანს თავისი კაიმაკამი მართავდა, რომელსაც ხელქვეითი ორი ან სამი მუდირი ჰყავდა. ფაშას გარდა ბათუმში იყო მეჯლისი ანუ მთავრობის საბჭო, კაიმაკამი, სასამართლო, საბაჟო [*მურიე, 1962: 22-23*].

ტრაპიზონში ბრიტანეთის კონსულის ჯ. პალგრევის მიხედვით, 60-იანი წლების ბოლოსთვის (სავარაუდოდ, ასახავს „თანზიმათის“ შემდგომ სიტუაციას) ლაზისტანის სანჯაყი იყოფოდა სამ საკაიმაკამოდ: ლაზისტანის (შედგებოდა ბათუმის კაზას, ზემო აჭარის, ქვემო აჭარისა და ჩურუქ-სუს ნაჰიეებისგან), არჰავეს (შედგებოდა არჰავეს კაზას, ხემშინის, ათინას, გონიოს და ხოფას ნაჰიეებისგან) და ლივანას (შედგებოდა ლივანას კაზასა და მაჭახლის ნაჰიესგან) [*Отчет о провинциях..., 1882-1883: 56-64*]. აქ ისე ჩანს, თითქოს ის ადმინისტრაციული ერთეული, სადაც იყო კაიმაკამის რეზიდენცია, იწოდებოდა კაზად, დანარჩენი – ნაჰიეებად. რეალურად, ნაჰიე ოსმა-

ლურ ადმინისტრაციულ სისტემაში იყო კაზას დანაყოფი და წარმოადგენდა რამდენიმე სოფლის გაერთიანებას.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების პერიოდულ გამოცემაში მოთავსებული ცნობით, ბათუმის მუთესარიფი ემორჩილება პირდაპირ პორტას, არაპირდაპირ კი ტრაპიზონის გენერალ-გუბერნატორს [*Заметка.., 1873:101-106*].

\* \* \*

50-იან წლებში ბათუმი ისევ პატარა ზღვისპირა დასახლებად რჩებოდა, სადაც ოსმალთა სასაზღვრო ჯარები იდგა. 1853 წლის მონაცემებით, ქალაქი რამდენიმე ქვის სახლის, ხის მეჩეთის, ქოხმახებისა და სავაჭრო დუქნებისაგან შედგებოდა. 1828-29 წლების ომის დროს ქალაქში 2000-კაციანი გარნიზონი, ყირიმის ომის დროს კი 4000 რეგულარული და 20000 არარეგულარული ქვეითი ჯარისკაცი იდგა. მათთვის აშენდა ახალი ყაზარმები. ქალაქი გამაგრდა ზღვის მხრიდანაც. ემინ მუჰლის ფაშამ, ტრაპიზონის გუბერნატორობის დროს, 1862 წელს მთელი რიგი სამუშაოები ჩაატარა მდ. ჭოროხის გასწვრივ არსებული ჭაობების ამოსაშრობად, რამაც ჰავის გაჯანსაღებას შეუწყო ხელი [*Bay, 2016:61-66*].

ყირიმის ომის შემდეგ ბათუმისადმი ინტერესის კიდევ უფრო ზრდის შედეგად, XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს ბათუმში უკვე რამდენიმე საკონსულო (ავსტრია-უნგრეთის, ბელგიის, გერმანიის, საბერძნეთის, დანიის, იტალიის, ირანის, აშშ-ს, ჰოლანდიის, საფრანგეთის) და სავაჭრო წარმომადგენლობა (იაპონიის, ნორვეგიის, შვედეთის) ფუნქციონირებდა, გაიხსნა ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების პირველი სააგენტო, სანკტ-პეტერბურგის სადაზღვევო კომპანიის განყოფილება, სავაჭრო და სანაოსნო საზოგადოებათა სააგენტოები, საბაჟო, საკარანტინო სახლი.

ვეიდეზაუმი, რომელიც 1878 წლის ბოლოს იმყოფებოდა ბათუმში, წერს, რომ თურქული ქალაქი ბათუმი გაჩნდა სულ რაღაც 20-23 წლის წინ, ანუ დაახლოებით 1855-1858 წლებში [*Вейденбаум, 1901: 104*]. ბათუმმა თანდათან დაიწყო ქალაქის იერის მიღება. აშენდა შუქურა, პოლიციისა და ტელეგრაფის შენობები, საავადმყოფო, ბაღები და სკვერები. თუმცა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწყვრებლობა იყო ვაჭრობის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი [*Bay, 2016: 61-66*].

ასეთია ბათუმის განაშენიანების, ადმინისტრაციული მოწყობის, სოციალ-ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების ისტორია XIX საუკუნის 30-50-იან წლებში.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

- ბარამიძე, 1999:** – ბარამიძე ი., „საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 70-80-იანი წლები)“, ბათუმი, 1999.
- გამბა, 1987:** – ჟაკ ფრანსუა გამბა, „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1987.
- გელაშვილი, 2019:** – გელაშვილი გ., „ბრიტანეთის ვიცე-კონსული ფრედერიკ გუარაჩინო ბათუმის შესახებ (1840 წ.)“, – კრ: “ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა” (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, 2019.

- გოგოლიშვილი, მაკარაძე, 2019:** – გოგოლიშვილი ო., მაკარაძე ე., „უცნობი საარქივო მასალები, უცხოელების მიერ შეფასებული XIX-XX საუკუნის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ“, – კრ: „ადმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“, II, თბილისი, 2019.
- კობი, 1981:** – „კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ“ / გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბილისი, 1981.
- მურიე, 1962:** – მურიე ჟან, „ბათუმი და ჭოროხოს აუზი“, ფრანგულიდან თარგმნა იზა ლორთქიფანიძემ, ბათუმი, 1962.
- უზუნაძე, 1997:** – უზუნაძე რ., „ბათუმის ისტორიიდან (XIX საუკუნის დამდეგი - 70-იანი წლები)“, ბათუმი, 1997.
- Вейденбаум, 1901:** – Вейденбаум Е.Г., „От Батума до Артвина“ (путевые заметки), Кавказские Этюды, I, Тифлиς, 1901.
- Заметка., 1873:** – «Заметка о Батуме», ИКОИРГО, т. III, №3, 1873.
- Кальфоглу, 1905:** – Кальфоглу И., «Древнейшие известия о Батуми», Известия Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества (ИКОИРГО), т. XVIII, 1905-1906, Тифлиς, 1906.
- Отчет о провинциях., 1882-1883:** – «Отчет о провинциях Трапизондской, Сивасской, Кастанонской и части Ангорской консула В Джиффорда Пальгрева», ИКОИРГО, т. VII, Тифлиς, 1882-1883, Приложения.
- Проскуряков, 1905:** – Проскуряков Я.С., «Заметки о Турции, Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества» (ЗКОИРГО), Кн. XXV, вып. 1-й, Тифлиς, 1905.
- Фадеев, 1960:** – Фадеев А. В., «Россия и Кавказ в первой трети XIX века», Москва, 1960.
- Adjara and., 2003:** – «Adjara and the Ottoman Empire, 1830-1878 (British Archives on the Caucasus, Georgia)», Editorial Hugo Greenhalgh, Research Robert L. Jarman, «Archival Publications International», London, 2003.
- Bay, 2016:** – Bay A., «Limanı olan bir kasabadan liman kentine: Batum şehri (1830-1905)», Türkiyat Mecmuası, с. 26/1, 2016, s. 61-80.
- Guarraccino, 1845:** – Guarraccino Frederick, «Notes on an Excursion from Batum to Artvin», Journal of the Royal Geographical Society of London, 15 (1845).
- Guarraccino, 2013:** – Guarraccino Frederick, «Batumdan Artvine gezi notları», çev. Yahya Yeşilyurt, Karadeniz İncelemeleri Dergisi, 2013, 8 (15).
- Wilson, 2011:** – Wilson David, «British Consular Officials in the Ottoman Empire», 2011.
- Dönmez, 2019:** – Dönmez A., «The Role of James Brant in the Process of Structural Changes in British Consulates», ADALYA, The Annual of the Koç University Suna & İnan Kıraç Research Center for Mediterranean Civilizations (OFFPRINT), 2019, p. 363-380.
- İnbaşı, 2006:** – İnbaşı M., «Trabzon/Batum Eyâleti Valileri (1755-1795)», A. Ü. Türkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi, Sayı 31, Erzurum, 2006.
- Kasap, 2018:** – Kasap M., Osmanlı Arşiv Kayıtlarında 93 Harbi. Batum muhacirleri, İstanbul, 2018.
- Kuş, 2014:** – Kuş Ayşegül, «Yabancıların Gözüyle 19. Yüzyılın İkinci Yarısında Trabzon'da Konso-luluklar, Güney-Doğu Avrupa Araştırmaları Dergisi, Yıl: 2014-2, Sayı: 26.
- Şaşmaz, 2014:** – Şaşmaz M., «İngiliz belgelerine göre Trabzon Vilayeti ticari raporları (Trade Reports of the Trebizond Province on British Documents)», 1830-1914, I cilt, Ankara, 2014.
- Trabzon Vilayeti Salnamesi, 1993-1994:** – «Trabzon Vilayeti Salnamesi», 1-4 с. (1769-1772) Hazırl. Kudret Emiroğlu, Ankara, 1993-1994.
- Yılmaz, 2016:** – Yılmaz Ö., «Marius Outrey'nin 1835 Yılında Trabzon'dan Erzurum'a Seyahati ve Erzurum Şehri Hakkında Raporu», Mavi Atlas, 7/2016 (1).
- Yılmaz, 2014 (1):** – Yılmaz Ö., «Victor Fontanier'nin 1831'de Trabzon'dan Batum'a Seyahati», MAVİ ATLAS GŞÜ Edebiyat Fakültesi Dergisi, Bahar 2014, S. 2 (1).

**Yılmaz, 2014 (2):** – Yılmaz Ö., Tanzimat Döneminde İsyancı Bir Ayan Profili: Acaralı Kör Hüseyin Bey Hadisesi, Belleten, Türk Tarih Kurumu, Ağustos 2014, Cilt LXXVIII, Sayı 282 (2).

**Irakli Baramidze, Khatuna Diasamidze, Oleg Jibashvili  
(Batumi, Georgia)**

**From the History of Town Life Development in Batumi  
(30-50-s of the XIX Century)**

Abstract

From the 30s of the XIX century, the growing interest in Batumi, both from the Ottoman government and from Russia and European countries as well, was related to several factors:

A) after the defeat in the war with Russia in 1828-1829, according to the treaty of Adrianople, the Ottomans lost almost the entire eastern coast of the Black Sea, including Poti. The new reality led to an understanding of the importance of Batumi as an excellent, natural harbor and, in fact, a settlement that had already become a border point with Russia.

B) the 1833 Unkiar-Iskeles conquest increased Russia's influence over the Ottoman Empire that alarmed Europe. Great Britain began to expand its trade, economic and diplomatic activities in the territory of the Ottoman Empire. It was at this period that British consulates appeared in Trabzon, Erzurum, Samsun, and Batumi.

C) in the late 1830s, England and other major European powers de facto forced Porta to agree to reform the outdated system of the Ottoman Empire, which in 1839 followed so-called the first stage of Tanzimat. It was in Europe's interests that the modernized Ottomans would be able to stop the growing Russian aggression and influence. Batumi also entered this process of renewal, which led to a noticeable rise in urban life and the gradual revitalization of the port.

If by the 1820s Batumi was a more rural, small settlement with a few rugged streets, cluttered houses, and up to 2,000 inhabitants, already in the 1830s the city center shifted to the gulf and began its intensive development. The city was fortified on the seaside. By the 1850s, the city center of Batumi alone numbered about 200 households. There were 400 shops, two mosques, two madrassas, and one bath, and more than a dozen consular and commercial offices.

## სიძველეების დაულალავი მკვლევარი გურამ ლორთქიფანიძე დაბადების ადგილი – ბათუმი

**აბსტრაქტი:** ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ბათუმში გაზრდილი სიძველეების დაულალავი მკვლევარის სამეცნიერო ინტერესები, რომელმაც რთული გზა განვლო ბათუმის პირველი საჯარო სკოლიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიამდე.

აკადემიკოსმა ბატონმა გურამ ლორთქიფანიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობით და პედაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებაში და ამ ნაშრომით ვიმედოვნებთ, რომ კიდევ არაერთ თაობას გამოადგება მისი უბერებელი ცოდნა-გამოცდილება და მაღალი ზნეობა იმის შუქურად, თუ როგორი უნდა იყოს სამაგალითო მოქალაქე და მეცნიერი.

**საკვანძო სიტყვები:** მეცნიერი, ბათუმი, გამოცდილება, ნიჭიერი, არქეოლოგია.

**Key words:** Scientist, Batumi, Experience, Talent, Archeology.

\*\*\*

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ ჩვენს ცხოვრებაში. ნიჭიერი მეცნიერი, უკეთილშობილესი ადამიანი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი – ასეთი იყო და ასეთად გვემახსოვრება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, დიდი მეცნიერი, სიძველეების დაულალავი მკვლევარი, ბატონი გურამ ლორთქიფანიძე სხვადასხვა თაობის სტუდენტებს, მის თანამშრომლებს და ყველას, ვინც მას იცნობდა.

გურამ ლორთქიფანიძე დაიბადა 1938 წლის 14 სექტემბერს ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. დედა – ოლღა ვახტანგიშვილი – კბილის ექიმი გახლდათ, მამა – ამბროსი ლორთქიფანიძე – გრიგოლ ლორთქიფანიძის (დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრი – ავტ.) თანაშემწე იყო. ოჯახის დედაქალაქში გადმოსვლის გამო თბილისის 68-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. მომავალი დიდი მეცნიერის პროფესიის არჩევანი მშობლიური აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა განაპირობა, სადაც ბატონი გურამის ნათლია მუშაობდა, რომელთანაც ხშირად ტოვებდა დედა, ვისთანაც შეეძლო ექსპონატები დაეთვალიერებინა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მასზე. ამასთანავე, ჰყავდა ბიძაშვილი ჯიმშერ ლორთქიფანიძე, რომელიც მოსკოვის დიპლომატიურ სამსახურში იყო და როცა ბათუმში ჩადიოდა, მათ ოჯახს სტუმრობდა. იგი სადამოლობით თურქეთის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე უამბობდა.

ოჯახის დედაქალაქში გადასვლის გამო მან თბილისის 68-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. სკოლის დამთავრების შემდეგ სხვაგან წასვლა არც უფიქრია და 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიაშურა, საიდანაც, როგორც ნიჭიერი სტუდენტი, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ბაკურ ბაქრაძის რეკომენდაციით, სასწალებლად მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტში გაიგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ საშუალო განათლება ქართულ ენაზე მიიღო, იგი იმდენად კარგად ფლობდა რუსულს, რომ კონკურსის

გავლის შემდეგ ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის განყოფილებაზე ჩაირიცხა. იმხანად საბჭოთა კავშირის მთავარ უნივერსიტეტში სწავლა ახალგაზრდისათვის, ერთი მხრივ, საშურ სტიმულად, ხოლო, მეორე მხრივ, დიდ პასუხისმგებლობად ითვლებოდა. მაშინ სსრკ ფარგლებს გარეთ გასვლა, პრაქტიკულად, გამორიცხული იყო. МГУ მიიჩნეოდა ახალგაზრდობისათვის საკუთარი შესაძლებლობების, რესპუბლიკისა და საკუთარი ერის წარმოჩენის ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზად. გურამ ლორთქიფანიძეს გაუშართლა, რადგან მან სტუდენტური წლები ისეთი ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით გაატარა, როგორებიც იყვნენ ვლადიმირ ბლავატსკი, არტემი არციხოვსკი და მრავალი სხვა. პირველ პედაგოგებს ყოველთვის მადლიერებით იხსენებდა ბატონი გურამი, მათ შორის განსაკუთრებული სითბოთი საუბრობდა ბორის ნიკალაევიჩ გრაკოვზე, რომელმაც არა მარტო არქეოლოგია, არამედ ერისკაცობაც ასწავლა. „ეს იყო უდიდესი პიროვნება, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, რომელმაც პატარა ბათუმელი ბიჭი მეგობრად გაიხადა და სახლშიც კი დაეყავი, რომ ესწავლებინა ჩემთვის“.

მისი წარმატებები, როგორც ჩანს, იმდენად თვალსაჩინო გახდა, რომ მოსკოვში მყოფი ცნობილი მეცნიერი, ქართველოლოგი დევიდ ლანგი მას, ჯერ კიდევ სტუდენტს, როგორც საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეს, თავის წიგნს ამგვარი წარწერით უძღვნის: „დიდად პატივცემულ და საყვარელ მეგობარს გურამ ლორთქიფანიძეს ავტორისაგან, 16.VIII, 60, მოსკოვი“. ბატონი გურამი განსაკუთრებული სითბოთი საუბრობს ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოს ანდრია აფაქიძეზე, რომელმაც დიდი როლი ითამაშა მის პროფესიონალიზმში. „ახალგაზრდა არქეოლოგებისადმი კეთილგანწყობის მაჩვენებელია პირადად ჩემი და ბატონ ანდრია აფაქიძის, ქართველი არქეოლოგების ნაცადი ხელმძღვანელის ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდი. „1960 წელს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის საექტო დარბაზში ტარდებოდა აღმოსავლეთმცოდნეთა XXV საერთაშორისო კონგრესი. საქართველო წარმოდგენილი იყო მნიშვნელოვანი დელეგაციით, რომელმაც მეტად საინტერესო ეთნოგრაფიული გამოფენა მოაწყო. მე, დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, დამხმარე მუშად ვიყავი გაფორმებული და, ცხადია, საქართველოს სტენდს არ ვშორდებოდი. გაიგო რა, რომ არქეოლოგობას ვაპირებდი, აკად. გიორგი ჩიტაიამ მირჩია მიმემართა წერილით ბატონ ანდრო აფაქიძისათვის. ჭკუად ვიღე დიდი მეცნიერის რჩევა, გავბედე და ბატონ ანდრიას წერილით მივმართე. თქვენ წარმოიდგინეთ სასწაული, მოკლე ხანში მივიღე პასუხი და ბიჭვინთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში სამუშაოდ მიმიწვია. ამ ექსპედიციას, რომელსაც ბატონი ანდრო აფაქიძე ხელმძღვანელობდა, 1953-1974 წლებში უდიდესი როლი აქვს შესრულებული, მცხეთის შემდეგ, ანტიკური (კლასიკური) არქეოლოგიის განვითარებაში. მის მიერ გამოვლენილი ძველი ბერძნული, რომაული წყაროების ციხე-ქალაქი პიტინტ-პიტინტი, ქართულ-აფხაზური „ბიჭვინთა“, ადრეული ქრისტიანობის ცენტრი, X-XI სს. კათედრალით, რომლის მომლოცველთა შორის დავით აღმაშენებელიც გახლდათ, მსოფლიო არქეოლოგიის ყურადღების ცენტრშია“.

მოსკოვის უნივერსიტეტში გატარებულმა სტუდენტობის წლებმა გააფართოვა მომავალი არქეოლოგის თვასაწიერი, პირველი საველე პრაქტიკა მან მიიღო რუსეთში – ყირიმში, ნოვგოროდში..... 1961 წელს გურამ ლორთქიფანიძე საქართველოში ბრუნდება. მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, როგორც არქეოლოგის კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდა მეცნიერ-

თანამშრომელი. ძალიან მალე აკადემიკოსმა ანდრო აფაქიძემ შრმისმოყვარე ნიჭიერ ახალგაზრდა არქეოლოგს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიჭვინთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელობა დააკისრა, რაც დიდი პასტივი იყო ახალგაზრდა მეცნიერისთვის და რასაც დროთა განმავლობაში ღირსეულად გაართვა თავი გურამ ლორთქიფანიძემ.

1965 წელს იგი ვ. ბლავატსკის ხელმძღვანელობით იცავს საკანდიდატო დისერტაციას „კოლხიდა ძვ. წ. II-I საუკუნეებში“, რომელიც მონოგრაფიის სახით გამოქვეყნდა 1970 წელს აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის რედაქტორობით, 1965 წელსვე გურამ ლორთქიფანიძეს ირჩევენ ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, რაც ახალგაზრდა მეცნიერის აღიარებაზე მიუთითებს. არქეოლოგიური მასალის დეტალური შესწავლის საფუძველზე კოლხიდის ისტორიის აღდგენის უაღრესად წარმატებულ ცდას წარმოადგენს მისი სადოქტორო დისერტაცია: „ძველი კოლხიდა ძვ. წ. VI-II საუკუნეებში“, რომლის დაცვა შედგა 1977 წელს. ნაშრომი გამოქვეყნდა 1978 წელს. სადოქტორო დისერტაციის დაცვისთანავე გურამ ლორთქიფანიძის ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მას, როგორც ცნობილ მეცნიერს, უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე ირჩევენ. ასე გახდა უნივერსიტეტელი სიცოცხლის ბოლომდე.

თვალსაჩინოა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი პედაგოგიური, სამეცნიერო და ორგანიზატორული მუშაობის მასშტაბები. მისი ინიციატივით, ისტორიის ფაკულტეტზე დაფუძნდა კულტურის ისტორიისა და თეორიის კათედრა, რომელსაც იგი 1985-2005 წლებში ხელმძღვანელობდა. ამით, ფაქტობრივად, საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ისტორიული კულტუროლოგიის კვლევას. მან შეძლო შედარებით მოკლე დროში მოემზადებინა და ასპარეზზე გამოეყვანა ამ სფეროში ახალგაზრდა საპეციალისტთა მთელი თაობა, რომელთა თანამშრომლობითაც შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო: ქართული კულტურის ისტორია (1997) და კულტუროლოგია (2003). მისმა მოწაფეებმა წარმატებით დაიცვეს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. მისი ღვაწლის აღიარების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ გურამ ლორთქიფანიძის არჩევა: იუდაიკის პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის – „სეფერის“ – აკადემიური საბჭოს (მოსკოვი), რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო ასოციაციის (MAAH) ყიურის (მოსკოვი), ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური ჟურნალის „Pro Georgia“ სარედაქციო კოლეგიის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ჟურნალის „მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)“ სარედაქციო კოლეგიის წევრად. წლების მანძილზე იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალის „ჩვენი მეცნიერება“, სარედაქციო კოლეგიის, სამეცნიერო შრომების კრებულის „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული „არქეოლოგიური კომისიის“ წევრი, თსუ ისრაელის ცენტრის ხელმძღვანელი (2008 წლიდან-გარდაცვალებამდე); თოთხმეტი წლის განმავლობაში (1990-2004) ბატონი გურამი იყო თსუ-ში უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ფაკულტეტის დეკანი, 2002-2004 წლებში საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის რექტორი. ბოლო რამდენიმე წელი ის გახლ-



დათ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიის კომისიის თავმჯდომარე. აკად. ვ. პარკაძის საქმის გამგრძელებელი.

აკადემიკოსმა გურამ ლორთქიფანიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობით და პედაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. დიდია მისი ღვაწლი ახალგაზრდა არქეოლოგიური კადრების აღზრდაში, რასაც თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურებოდა. დიდი ინტერესით სარგებლობდა მისი სალექციო კურსები: ბიბლიური არქეოლოგია, კლასიკური არქეოლოგია, კულტურა – ისტორიის შესწავლის ობიექტი. ბატონი გურამი მისაბამი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის, სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძნობდნენ ფაქიზ, გამორჩეულ ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მაღალ ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებები. მუდამ სამეცნიერო-კლევითი მუშაობით გადატვირთული, მაინც გამონახავდა დროს, დახმარება გაეწია ახალგაზრდა კოლეგებისათვის, წაეკითხა მათი მოხსენებებისა თუ სტატიის ტექსტი. მიეცა საჭირო რჩევა-დარიგებანი, იყო მრავალი სადისერტაციო და სამეცნიერო ნაშრომის ოპონენტი.

აკადემიკოსი გურამ ლორთქიფანიძე გახლდათ ქართული არქეოლოგიური სკოლის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი. მან სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის რთული გზა განვლო მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობიდან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიამდე. ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომით დიდი წვლილი შეიტანა ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების განვითარებაში. ბატონი გურამი აქტიურად მონაწილეობდა, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით გამართულ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში, სადაც ღირსეულად წარმოაჩენდა ქართულ მეცნიერებას. მას ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად სხვადასხვა უნივერსიტეტები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოხსენებებით გამოდიოდა ინგლისში, ამერიკაში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთსა და უკრაინაში. მის მიერ 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტში ჩატარებულ საჯარო ლექციას „საქართველოს არქეოლოგია“ დიდი რეზონანსი მოჰყვა. 2014 წელს რუსმა პროფესორმა, არქეოლოგმა ოლღა დაშვესკაიამ თავის მონოგრაფიაში „Некрополь Беларуси“, სამადლობელი წერილი მიუძღვნა ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს, როგორც დიდ მეცნიერს, ყურადღებიან კოლეგას და კეთილშობილ ადამიანს. გურამ ლორთქიფანიძის ნაშრომები მუდამ იმსახურებდა სპეციალისთა დიდ ყურადღებას. მის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევების შედეგები ასახულია სამეცნიერო პუბლიკაციებში, რომელთა რაოდენობა 300 აღწევს. მათ შორისაა 13 მონოგრაფია, 8 სახელმძღვანელო, 4 ბროშურა. მისი მრავალწლიანი, ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა საყოველთაოდაა აღიარებული. ის, როგორც წარმატებული მეცნიერი, შეყვანილია საქართველოს ბიოგრაფიულ ცნობარში „ვინ ვინ არის საქართველოში“. დაჯილდოებულია: ღირსების ორდენით (№01158), ექვთიმე თაიყაიშვილის მედლით (№001), მიხეილ ლერმონტოვის მედლით (№472), ივანე ჯავახიშვილის მედლით (№279).

ბატონი გურამი მისაბამი მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის, სტუდენტები და კოლეგები მისგან ყოველთვის გრძნობდნენ ფაქიზ, გამორჩეულ ადამიანურ სითბოსა და გულისხმიერებას.

არიან ადამიანები, რომლებიც სიცოცხლეშივე ეზიარებიან უკვდავებას, განუზომელ სიყვარულსა და გულწრფელ პატივისცემას. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე. მან ისე იცხოვრა და იღვაწა, რომ კარგი კაცის სახელით იცხოვრა ამ სამყაროში. ასე სამაგალითოდ განვლო თავისი ცხოვრების გზა არაჩვეულებრივად კეთილმა, გულისხმიერმა და ფართო სამეცნიერო ინტერესების მქონე ადამიანმა, ასეთად მოიგონებს მას ყველა, ვინც კი იცნობდა ან ოდესმე შეხვედრია მას.

ბატონმა გურამ ლორთქიფანიძემ თავისი მეცნიერული საქმიანობით და პედაგოგიური მოღვაწეობით გამორჩეული წვლილი შეიტანა ქართული არქეოლოგიის განვითარებაში. ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება. ამას ადასტურებს გურამ ლორთქიფანიძის მიერ განვლილი გზის ობიექტური ანალიზი, რომელიც მისი მშობლიური ქალაქიდან ბათუმიდან დაიწყო.

**Elene Gegeshidze (Tbilisi, Georgia)**

**Tireless Researcher of Antiquities Guram Lorkipanidze  
Place of Birth - Batumi**

**Abstract**

Guram Lortkipainidze is the most prominent representative of the Georgian Archaeological School. He went through a difficult path of scientific and public activity. Through long and fruitful work he has made a great contribution to the development of various directions of archeological science in our country.

Guram Lortkipanidze was born on September 14, 1938 in Batumi, in the family of a servant. Mother Olga Vakhtangishvili was a dentist, father Ambrose Lortkipanidze was an assistant to Grigol Lortkipanidze (Minister of Defense of Independent Georgia – ed.). He graduated from Tbilisi Public School No. 68 due to the family moving to the capital. The choice of the profession of the future great scientist was conditioned by the Museum of Local Lore of Adjara, where Mr. Guram's godfather worked, with whom he often left his mother, with whom he could view the exhibits, which had a great impact on him. He also had a cousin, Jimsher Lortkipanidze, who was in the Moscow diplomatic service and when he arrived in Batumi, he visited their family, who told them about the archeological discoveries in Turkey in the evenings.

After graduating from school, he did not think to go anywhere else and in 1956 he went to Tbilisi State University, from where, as a talented student, on the recommendation of Bakur Bakradze, Deputy Dean of the Faculty of Humanities, he was sent to Lomonosov Moscow State University to study. At that time, studying at the main university of the Soviet Union was considered a jealous incentive for young people on the one hand, and a great responsibility on the other. At that time, going outside the USSR was practically impossible. MFY was considered to be one of the main arenas for young people to show their abilities, republic and nation. Guram Lortkipanidze was lucky because he spent his student years under the guidance of such famous scientists as Vladimir Blavatsky, Artem

Artsikhovsky and many others. The first teachers were always remembered with gratitude by Mr. Guram, among whom he spoke with special warmth about Boris Nikolayevich Grakov, who taught not only archeology but also eroticism. "He was the greatest person, a world-renowned scientist, who made a little boy from Batumi a friend and even took him home to teach him."

His success seems to have become so obvious that the famous scientist in Moscow, Kartvelologist David Lang, dedicates his book to him, still a student, as a participant in an international conference, with the following caption: 16, VIII, 60, Moscow ".

Georgian Academy of National Sciences. The results of the scientific research conducted by Guram Lortkipanidze, a member-correspondent, are reflected in scientific publications, the number of which is up to 300. They include 7 monographs, 5 textbooks, 4 brochures. His many years of fruitful scientific work are universally recognized. As a successful scientist, he is included in the biographical reference book "Who is who in Georgia". Awarded: Order of Honor (№01158), Ekvtime Takaishvili Medal (N001), Mikhail Lermontov Medal (№472), Ivane Javakhishvili Medal (№279).

Mr. Guram Lortkipanidze has made a remarkable contribution to the development of Georgian archeology with his scientific activities and pedagogical activity. This is not an exaggeration. This is confirmed by the objective analysis of the road passed by Guram Lortkipanidze, which started from his hometown of Batumi.

## საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმში 1905 წელს

**აბსტრაქტი:** ცარიზმის მმართველობის პერიოდში ქალაქ ბათუმისათვის განსაკუთრებით მშფოთვარე და დაძაბული იყო 1905 წელი. ქალაქში 1900 წელს დაწყებული მუშათა დემონსტრაციები, გაფიცვები და გამოსვლები, რომელთაც ტონს აძლევდნენ იქ არსებული პოლიტიკური პარტიები კულმინაციას აღწევს 1905 წელს.

იმ დროისათვის ეთნიკურად და სოციალურად ჭრელ ქალაქში არსებობდა რუსეთის იმპერიის მასშტაბით საკმაოდ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები.

ისტორიოგრაფიული, საარქივო და სამუზეუმო მასალებიდან ირკვევა რომ, 1905 წელს ბათუმში ფუნქციონირებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტი ორი ფრაქციით მენშევიკებით და ბოლშევიკებით, სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო, სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის ორგანიზაცია, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა, ანარქისტული პარტიის პატარა ჯგუფი, სომხური პოლიტიკური პარტიები „დაშნაკუტიუნი“, „ჰნჩაკი“, „დროშაკი“, ებრაული პოლიტიკური ორგანიზაცია „ბუნდი“, რუსული ულტრანაციონალისტური პარტია „რუსი ხალხის კავშირი“.

პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლების შედეგად 1905 წელს ბათუმში ფაბრიკა-ქარხნების უმრავლესობა დაიხურა, ვაჭრობა ჩაკვდა, დაცარიელდა ნავსადგური და მაღაზიები, ნავთობი იშვიათ შემთხვევებში იგზავნებოდა გემებით უცხოეთში, შეწყდა სამგზავრო რეისები, მოიშალა რკინიგზის მუშაობა. რევოლუციურ პოლიტიკურ პარტიებს მიტმასნილი ნაძირალები ეწეოდნენ ფულის გამოძალვასა და მოსახლეობის დატერორებას.

**საკვანძო სიტყვები:** ცარიზმის მმართველობა, პოლიტიკური პარტიები, სოციალ-დემოკრატიული პარტია, რევოლუციური მოძრაობა, პოლიტიკური ტერორი, გაზეთები.

**Key words:** Tsarist rule, Political parties, Social Democratic Party, Revolutionary Movement, Political terror, Newspapers.

\*\*\*

1905 წელს ბათუმში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ძლიერი ორგანიზაცია ჰქონდათ სოციალ-დემოკრატებს, რომლებიც ფრაქციულ დისკუსიებში იყვნენ ჩაფლული *[საქართველოს ისტორია, 2003: 27]*.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში იმ დროს ათასხუთასამდე წევრი ირიცხებოდა *[ახვლედიანი, 1987: 33]*.

ფრაქციულ დისკუსიებში 1905 წლის აპრილამდე დომინირებდნენ ბოლშევიკები, ხოლო აპრილის ბოლოს ბათუმში ჩატარდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის არჩევნები, რომელიც უადრესად დაძაბული სიტუაციაში მიმდინარეობდა. ბათუმში ჩამოვიდნენ ნოე რამიშვილი და იოსებ ჯულაშვილი, რომლებმაც სამი დღის განმავლობაში უშეღავათო დებატები გამართეს ქალაქის მუშათა კლასის კრებებზე. შიდაპარტიული დისკუსია ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა

*[შარაძე, 1995: 42].* მენშევიკების გამარჯვება ბათუმის კომიტეტში მათ სასარგებლოდ გადაიხარა, ნოე ჟორდანიას ჩასვლის შემდეგ, რომელიც ბათუმში ორი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. ბათუმის ათასხუთასკაციანმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით აირჩია შვიდკაციანი მენშევიკური კომიტეტი *[გურული, ვაჩნაძე, 1999: 193-194].*

1905 წლის აპრილიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ მიიღო მენშევიზმის იდეური და ორგანიზაციული პრინციპები.

მენშევიკური ბათუმის კომიტეტი კარლო ჩხეიძის ხელმძღვანელობით (რომელიც კომიტეტში არ იყო არჩეული მაგრამ მათ აღიარებულ ლიდერად ითვლებოდა) წინა პლანზე აყენებდა მიტინგებისა და დემონსტრაციების ჩატარებას მთავრობის წინააღმდეგ და აქედან გამომდინარე უპირისპირდებოდა ბოლშევიკების მოთხოვნას შეიარაღებული აჯანყების დაწყების თაობაზე. 1905 წლის აპრილიდან ბათუმში მიმდინარე პროცესებმა ნათლად წარმოაჩინა მენშევიკების სტრატეგიისა და ტაქტიკის პოპულარობა.

პოლიტიკურმა ტერორმა რუსეთის იმპერიაში იმ დროს მაღალ დონეს მიაღწია. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიაც ტერორით ცდილობდა ხელისუფლების დეზორგანიზაციას. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციაში ტერორისტული სისტემის მიმართ ორი განსხვავებული შეხედულება არსებობდა. მენშევიკები უარყოფდნენ ტერორის ამოქმედებას, ხოლო ბოლშევიკები მას მიიჩნევდნენ მიზნის მიღწევის უალტერნატივო საშუალებად *[ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 17, ფურც. 22].*

მიუხედავად ფრაქციების განსხვავებული შეხედულებისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ 1905 წლის განმავლობაში მოაწყო 30-ზე მეტი ტერორისტული აქტი ცარიზმის მოხელეების წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის ორგანიზაციამ რევოლუციის აღმავლობის წელს (1905) „ბარცხანის გუბერნატორის“ ხელმძღვანელობით ბათუმში მოაწყო 25 იანვრის, 20 თებერვლის, 8 მაისის, 23 ოქტომბრის მუშათა მიტინგები და 28 ნოემბერ - 1 დეკემბრის შეიარაღებული გამოსვლა კაზაკებისაგან ქალაქის დასაცავად (თუმცა, 28 ნოემბერ - 1 დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება ინტერპარტიული ხასიათის იყო) *[ცეციტარია, 1959: 173].*

1904 წლის ზაფხულში ბათუმში ჩამოყალიბდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბიურო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სვიმონ მდივანი, მემედ აბაშიძე, პარმენ საბაშვილი, ვასილ წერეთელი, ზია აბაშიძე და სხვები *[კომახიძე, 1993:15].*

1905 წელს ისინი ბათუმში გამოსცემდნენ გაზეთ „გოლოს ბატუმას“ *[გოგოლი-შვილი, 1994: 14].*

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიუროსთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ნესტორ კალანდარიშვილი, გრიგოლ ქიქოძე და სევასტი ჭელიძე *[ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 17, ფურც. 35].*

სოციალისტ-ფედერალისტური პარტია სოციალ-დემოკრატების შემდეგ ბათუმში 1905 წელს ყველაზე მძლავრ ორგანიზაციად ჩამოყალიბდა.

1905 წლის რევოლუციის დროს ბათუმში ოპოზიციის მიერ ჩატარებულ მიტინგებზე ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორატორი იყო სოციალისტ-ფედერალისტი სვიმონ მდივანი *[შველიძე, 1993: 140-141].*

1905 წლის 15 ნოემბერს ოდესიდან ბათუმში ჩამოასვენეს რუსი შავრაზმელების მიერ მოკლული მეცნიერი საბა კლდიაშვილი. „აზიზის“ მოედანზე ჩატარდა გრანდიოზული ანტისამთავრობო დემონსტრაცია. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობას ღებულობდა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო *[სიჭინავა, 1958: 210]*.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო ემხრობოდა ცარიზმის წინააღმდეგ დემონსტრაციებისა და მიტინგების ჩატარებას, თუმცა, მათ სამოქმედო არეალში ასევე შედიოდა ტერორისტული აქტების განხორციელებაც. მაგალითად, ბათუმში ხშირად ჩამოდიოდნენ სოციალისტ-ფედერალისტი ტერორისტი ძმები ქიქავები, რომლებმაც რამდენჯერმე განახორციელეს ტერორისტული აქტი ადგილობრივი ხელისუფლების ჩინოვნიკთა წინააღმდეგ.

სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ბათუმის ბიურო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 29 ნოემბერ – 1 დეკემბრის შეარაღებულ გამოსვლაში. სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა 400 კაციან შეიარაღებულ რაზმს, რომელიც ჩადგა ბათუმის ქუჩებში ბათუმელების ჯარისკაცებისა და კაზაკებისაგან დასაცავად.

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი დაარსდა 1904 წელს. მას ჰქონდა არალეგალური სტამბა. კომიტეტში გაწევრიანებული იყვნენ ინტელიგენტები და მოსწავლე ახალგაზრდობა. სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი მიზნად ისახავდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ორგანიზებას, თუმცა მათი გავლენა ბათუმის მოსახლეობაზე 1905 წლისათვის სუსტი იყო *[ასმხვ № 24, ს. 1520, ფურც. 79]*.

1905 წლის იანვარში სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტში იყვნენ საკარა (კომიტეტის ხელმძღვანელი), შტიმპელი, მიხაილოვი, გინკულოვი, ფეფელოვი.

სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტს ჰყავდა ტერორისტთა რაზმი, რომელიც შედგებოდა კრიმინალური ელემენტებისაგან. ისინი ასრულებდნენ კომიტეტის დავალებებს ტერორისტული აქტების მოსაწყობად.

1905 წლის 30 აგვისტოს სოციალისტ-რევოლუციური პარტიის ბათუმის კომიტეტი ორასი მომხრით გაემგზავრა ქობულეთში და რკინიგზის სადგურში ჩაატარა მიტინგი ცარიზმის წინააღმდეგ გამოსვლების მოწოდებით *[ასსცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 179, ფურც. 46]*.

ქართულ ეროვნულ-დემოკრატიაში სამი მიმართულება გამოიკვეთებოდა: ესენი იყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, დემოკრატიული წყობილების ფორმირება, კერძო საკუთრების დომინანტი. ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა, პოლიტიკური პარტია ვერ ჩამოაყალიბეს, მაგრამ საქართველოში 1905 წელს არსებობდა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ჯგუფები, რომლებიც ბათუმში თავს იყრიდნენ ივანე ანდრონიკაშვილის, ივანე მესხის და გრიგოლ ვოლსკის გარშემო.

1905 წელს ქალაქში გახშირებული უწესრიგობების გამო ივანე ანდრონიკაშვილი და მისი ჯგუფი თვითმმართველობის ეგიდით თხუთმეტჯერ მიმართავენ ბათუმის გენერალ-გუბერნატორს ჯარისა და კაზაკების უმსგავსო მოქმედებების აღკვეთის შესახებ *[ასსცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 19, ფურც. 68]*.

ბათუმის ქალაქისთავმა ივანე ანდრონიკაშვილმა 1905 წლის 2 მარტის საბჭოს სხდომაზე წარმოადგინა საკუთარი აზრი ცარიზმის „დამყარებული სახელმწიფო

წყობილების“ შესაცვლელად. მან ხელისუფლებისაგან მოითხოვა სიტყვის, სინდისის, სარწმუნოების, კრებების, პრესისა და პიროვნების ხელშეუხებლობის უფლებები *[„ივერია“; 1905]*.

1905 წელს ბათუმში არსებობდა ანარქისტების მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ გ. გვაზავა, ი. სიხარულიძე, ი. დიხამინჯია, ს. გამსახურდია. ბათუმელი ანარქისტები სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბათუმის კომიტეტის წევრებს ყაჩაღებს უწოდებდნენ, რის გამოც ხშირად იმართებოდა მათ შორის არა მარტო დისკუსიები, არემედ ხელჩართული ჩხუბიც. ბათუმში 1905 წელს ფუნქციონირებდა სამი სომხური პოლიტიკური პარტია „დამნაკვუტიუნი“, „დროშაკი“ და „ჰნჩაკი“.

ბათუმში იმ დროს ცხოვრობდა დაახლოებით 30 ათასამდე კაცი, მათშორის 5200 სული სომეხი, რაც შეადგენდა მოსახლეობის 17%-ს *[ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 19, ფურც. 99-100]*.

ამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ბათუმელი სომხების უმრავლესობა „დამნაკვუტიუნს“ უჭერდა მხარს, შემდეგ „ჰნჩაკი“ მოდიოდა, ხოლო ბოლოს „დროშაკი“.

„დამნაკვუტიუნის“ პოლიტიკური ლიდერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბათუმში მძლავრი პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რის გამო ხშირად ჩამოდიოდნენ პარტიის ლიდერები სტეფანე ზორიანი და ანდრანიკ ოზანიანი.

1905 წელს „დამნაკვუტიუნის“ ბათუმის კომიტეტში შედიოდნენ: სარიბეკ არუთიუნიანი (თავმჯდომარე), სუმბათ არუთიუნიანი, არზუმან ავაკოვი, გრიგოლ დანიელოვი, პარინ დარმანიანი, გრაცია ადამიანი, ქრისტეფორე დანიელიანი *[ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 19, ფურც. 111-113]*.

1903 წელს ბათუმში დაარსდა ებრაული პოლიტიკური პარტია „ბუნდი“, რომლის შემადგენლობაში ებრაელი მუშები იყვნენ გაერთიანებული.

1905 წელს „ბუნდის“ ლიდერები ბათუმში იყვნენ: დინინი (თავმჯდომარე), ჩერტოკოვი, შმაევსკი, ფეიგინი, გერტზონი, ჩერელკინი *[ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 19, ფურც. 125]*.

1903 წლიდან ბათუმში მოქმედებდა რუსული პოლიტიკური ორგანიზაცია „რუსი ხალხის კავშირი“. ეს იყო ტიპიური ნაციონალისტურ-შოვინისტური პარტია, რომლის წევრები ცდილობდნენ გაედვივებინათ შუილი ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის. ისინი განსაკუთრებით აგრესიულები იყვნენ ქრისტიანი ქართველების მიმართ *[ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 19, ფურც. 137]*.

1905 წლის იანვარ-მაისისა და ოქტომბერ-დეკემბრის ბათუმის რევოლუციური პროცესების ძირითადი მამოძრავებელი ძალები იყვნენ იქ არსებული პოლიტიკური პარტიები. ეთნიკური და სოციალური სიჭრელე ბათუმში განაპირობებდა სხვადასხვა ეროვნული და სოციალური ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობას.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

- ასმფგ № 24, ს. 1520** – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი № 24, საქმე №1520.  
**ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 17** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე №17.  
**ასსცსა, გ. 1, ან. 1, ს. 19** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე №19.

- ახვლედიანი, 1987:** – ახვლედიანი ხ., 1905-1907 წლების რევოლუციის გამომახილი აჭარაში, ბათუმი, 1987.
- გურული, ვაჩნაძე, 1999:** – გურული ვ., ვაჩნაძე მ., „ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია“, თბილისი, 1999.
- გოგოლიშვილი, 1994:** – გოგოლიშვილი ო., „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907)“, თბილისი, 1994.
- „ივერია“, 1905:** – გაზეთი „ივერია“, 1905 წ. №21.
- კომახიძე, 1993:** – კომახიძე თ., „მემედ აბაშიძე“, ბათუმი, 1993.
- საქართველოს ისტორია, 2003:** – „საქართველოს ისტორია“, XX საუკუნე, თბილისი, 2003.
- სიჭინავა, 1958:** – სიჭინავა ვლ., „ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი, 1958.
- შარაძე, 1994:** – შარაძე გ., „უცხოეთის ცის ქვეშ“, III, თბილისი, 1994.
- შველიძე, 1993:** – შველიძე დ., „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ფედერალისტები“, თბილისი, 1993.
- ცეკიტარია, 1959:** – ცეკიტარია პ., „აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890- 1914)“, ბათუმი, 1959.

**Otar Gogolishvili (Batumi, Georgia)**

### **Socio-Political Situation in Batumi in 1905**

#### **Abstract**

During the period of the Tsarist rule, 1905 was the most turbulent and tensed year for Batumi. Workers' demonstrations, strikes and protests, which were supported by local political parties, achieved its culmination in 1905.

At that time, in ethnically and socially colorful city had been existed quite numerous political parties and movements.

Historiographic, archival and museum materials elucidate that in 1905, in Batumi had functioned the committee of the Russian Social-Democratic labor party with two fractions, Mensheviks and Bolsheviks, Batumi bureau of Socialist-federalist party, the organization of Batumi of Socialist-revolutionary party, National-Democratic movement, a small group of the Anarchistic party, Armenian political parties “Dashnaktsutiuni”, “Hnchaki”, “Droshaki”, Jewish political organization “Bundi”, Russian ultranationalist party “Union of Russians”.

In 1905 in Batumi, As a result anti-government activities implemented by political parties the majority of factories were closed, the trade came to standstill, the port and stores became empty, the oil was exported in rare cases, passenger trips were ceased, the railway was disrupted. Scoundrels, sticked to revolutionary political parties, were extorting money and terrorizing citizens.

In 1905, among the political parties existing in Batumi Social-Democrats had the strongest organization, which were involved in the discussions.

At that time, Batumi organization of Russian Social-Democratic Labor party had about five thousands members.



David Grace

(Seattle, United States)

## ARCHAEOLOGY IN GONIO, GEORGIA AND ABROAD

**Abstract:** *In the paper there are some impressions of David Grace, a young American archaeologist involved in ongoing field archeological expeditions in Georgia and the Mediterranean. David's area of interest is Roman period archeology, Roman fortifications and their architecture, and Roman military systems. The author pays special attention to the archeological works of Gonio-Apsarus, in which he participated together with Georgian and Polish researchers this year. David's future plans are connected to Georgia and Gonio. In the near future, a joint international archeological school project is planned to implement in Gonio-Apsaros Museum-Reserve, in which David will be one of key personal.*

**Key words:** *Impressions, Roman archaeology, Gonio-Apsarus, Archaeological school.*

**საკვანძო სიტყვები:** *შთაბეჭდილებები, რომაული არქეოლოგია, გონიო-აფსაროსი, არქეოლოგიური სკოლა.*

\* \* \*

I originally graduated from Western Washington University in the United States with a degree in archaeology. I have worked on archaeology projects in the United States, Scotland, Poland, Cyprus, Ukraine and Georgia. My study of interest is the Roman period, particularly military settlements of the Roman Empire.

Within these projects I have been able to participate in a wide variety of excavations and surveys in much different climates, landscapes and working environments. These different projects have also allowed me to take part in research for different time periods and cultures such as the Sea and Cedar cultures in the Northwest of the United States, the Bronze Age Pictish culture in Scotland a couple different Medieval sites in Poland and several Roman sites in various places. My interest in Roman archaeology is what brought me to work on surveys and excavations in Ukraine, Cyprus and Georgia.

The excavations I worked on in Cyprus were part of an ongoing Polish expedition at Paphos Archaeology Park to uncover and study the Roman agora and its functions. Both the projects in Georgia and Ukraine involved Roman military fortifications and settlements. In the Ukraine I was part of a project that involved doing geophysical surveys at the Roman site next to Akerman Fortress and Trajan's Wall. We also started excavations at Trajan's Wall in the Ukraine. I found all of these projects to be very interesting and intend on participating in on-going research at both the Paphos and Trajan's Wall sites.

The site I have worked on that I have found the most interesting is at Gonio Fortress in Gonio, Georgia. What makes excavations at Gonio Fortress so interesting is that the fortress was originally built and occupied by the Romans for centuries and later used by the Byzantine, Ottoman and Russian Empire. The focus of the research is on the Roman layers but there are also lots of material remains found from the Byzantine and Ottoman periods. As a result of the different layers it is a good site to see the difference between materials such as piping for running water, amporas and other ceramics between the Romans, Byzantine and Ottoman periods.

The trench I have been working in has focused on the remains of an old Roman bath house and a structure whose function is yet to be determined that was built on top of the Roman bath during the Byzantine period. The bath house is one of several that have been found within Gonio Fortress so far and like all the others there are several pits from the Ottoman period that have produced several ceramic finds from the Ottomans. Some of the material found in the Roman layer of the trench has included remains of amporas, coins, onager projectiles, wooden timbers and other ceramic material. While late Roman amphoras is not my speciality Gonio fortress is a great site to study late Roman amphoras material due to the large quantities found there.

The site sits inside very intact walls built by the Romans and later added on during the Byzantine period. The fortress lies in the very beautiful and historic Ajara region of Georgia with the Black sea on one side of the fortress and forested hills on the other. While the landscape in the Ajara region is very beautiful the weather can create challenges for excavations with sporadic and unpredictable rain showers coming in regularly during certain times of the year. This has created a few occasions where working under a tarp was required when a rain shower happened during inconvenient times during the excavation. It can also cancel out work days on short notice and leave people scrambling to cover up trenches and pits to prevent flooding. After having excavated in the Northwest of the United States and Scotland. Both areas known for rain, this was not new to me and certainly not new to any of the Georgians working on the project. At certain times the heat can also be a challenge as certain areas of Georgia can become fairly hot at certain times of the year.

I have found working at the Gonio Fortress project to be very interesting and rewarding. Georgia is a beautiful country that is very rich in culture and history. I have plans to continue to be part of the Gonio Fortress excavations for the next several years and help add to the research. I also possibly have interest getting involved in other projects in Georgia that would involve the Roman and Byzantine periods.

**დევიდ გრეისი (სიეტლი, აშშ)**

## **არქეოლოგია გონიოში, საქართველოსა და უცხოეთში**

### **აბსტრაქტი**

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე სავსე არქეოლოგიურ ექსპედიციებში ჩართული ახალგაზრდა ამერიკელი არქეოლოგის, დევიდ გრეისის შთაბეჭდილებები. დევიდის ინტერესის სფეროა რომაული პერიოდის არქეოლოგია, საფორტიფიკაციო ნაგებობები და მათი არქიტექტურა და რომაული სამხედრო სისტემები. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გონიო-ავსაროსის არქეოლოგიურ სამუშაოებზე, რომელშიც ქართველ და პოლონელ მკვლევარებთან ერთად მიმდინარე წელს მიიღო მონაწილეობა. დევიდის მომავალი გეგმები საქართველოს და უშუალოდ გონიოს უკავშირდება, უახლოეს მომავალში გონიო-ავსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ბაზაზე დაგეგმილია ერთობლივი საერთაშორისო არქეოლოგიური სკოლის პროექტის შემუშავება, რომელშიც დევიდი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

Елена Васильевна Дьякова

(Харьков, Украина)

## ВЫДАЮЩИЙСЯ ДЕЯТЕЛЬ ХАРЬКОВА И БАТУМИ А. Н. КРАСНОВ

**Абстракт:** Среди выдающихся харьковчан и батумцев достойное место занимает географ, ботаник, путешественник Андрей Николаевич Краснов. Ученый родился в Санкт-Петербурге в 1862 году. После окончания Петербургского университета занялся наукой. Его учителями были такие ученые, как В.В. Докучаев, А.Н. Бекетов, И.В. Мушкетов. Большое значение в жизни Андрея Николаевича сыграла дружба с В.И. Вернадским. В 1889 г. он был избран экстраординарным профессором кафедры физической географии и антропогеографии Харьковского университета. Параллельно он преподавал ботанику в местном ветеринарном институте. Но кроме ботаники, ученый занимался географией. Он организовал географический кабинет в университете и географический отдел в городском музее. Для ведения научной деятельности А.Н. Краснов много путешествовал. В 1880 г. А.Н. Краснов основал Батумский ботанический сад, открытый в 1912 году. С этого года Андрей Николаевич был назначен директором этого сада. Через два года он умер и был похоронен в саду на выбранном им месте.

**Ключевые слова:** Андрей Николаевич Краснов, Харьков, Батуми, университет, ботанический сад, географ, ботаник, путешественник

**Key words:** Andrey Nikolaevich Krasnov, Kharkov, Batumi, University, Botanical garden, Geographer, Botanist, Traveler

\*\*\*

Потомки должны помнить не только важные исторические события, но и отдельных личностей, видевших целью своей жизни служение родной Отчизне. Многие люди своим талантом, трудом, энергией создают творения, которые не только переживают своих авторов, но и восхищают потомков красотой, оригинальностью, неповторимостью. Среди таких ученых достойное место занимает географ, ботаник, путешественник Андрей Николаевич Краснов, много сделавший для интродукции азиатских растений в Восточной Украине и на Кавказе.

Ученый родился в Санкт-Петербурге 27 октября 1862 года в семье генерала Николая Ивановича Краснова. Его дед Иван Иванович, отец Николай Иванович и брат Петр Николаевич были боевыми офицерами. Однако Андрея Николаевича эта стезя не прельстила. Уже в детские годы его увлекало изучение природы, мечты о путешествиях в разные страны. Вместе со своим другом Владимиром Вернадским он исходил весь Петербург. Между двумя мальчиками завязалась дружба, которую они пронесли через всю свою жизнь. В более поздние годы В.И. Вернадский, уже будучи ученым с мировым именем, признавался, что увлечению естественными науками он обязан своему другу Андрею Краснову.

А. Краснов с детства был харизматичной личностью. Он много читал, изучал языки, был прекрасным оратором. Его рассказы увлекали сверстников, будили в них

воображение, фантазии об удивительной природе, дальних странствиях.

В 1880 году Андрей Николаевич окончил Первую Петербургскую гимназию с золотой медалью и поступил на естественное отделение физико-математического факультета Петербургского университета. Среди его педагогов были выдающиеся ученые: геолог, почвовед Василий Васильевич Докучаев, ботаник Андрей Николаевич Бекетов, географ, путешественник Иван Васильевич Мушкетов, метеоролог Александр Иванович Воейков, химики Дмитрий Иванович Менделеев и Александр Михайлович Бутлеров, физиолог Иван Михайлович Сеченов и другие. Уже в студенческие годы Андрей Николаевич начинает заниматься наукой. В 1881 году он создает кружок юных биологов. Тогда же была напечатана его первая научная работа «Очерк жизни сорока обыкновеннейших насекомых из всех отрядов». Через два года учебы исполняется детская мечта Андрея Николаевича о путешествиях – он едет в научную экспедицию по Нижегородской губернии, которой руководил профессор В.В. Докучаев. Это была первая «ласточка». За свою недолгую жизнь А.Н. Краснов посетил множество уголков Российской империи, десятки стран Европы, Азии, Африки, Америки.

В 1885 году Андрей Николаевич окончил университет со степенью кандидата и был оставлен для подготовки к профессорскому званию. Через два года он сдал магистерские экзамены и отправился в Западную Европу для изучения опыта исследований в области географии и ботаники. Он посещает университеты Германии, Великобритании, Франции, выступает на научных конгрессах, изучает флору Альп, работает в университетских лабораториях. В это время у молодого ученого формируется взгляд на географию, как на обобщающую науку, философию естественных наук. Андрей Николаевич считал, что «география есть философия естествознания. Она одна открывает новые горизонты, которые часто затмеваются в чисто систематических науках... Главная задача географии – дать читателю связь между историей земного шара и явлениями жизни, теперь на ней совершающимися» *[Цитаты...]*.

На следующий год А.Н. Краснов выехал в экспедицию на Тянь-Шань. Результатом этой поездки стала докторская диссертация «Опыт истории развития флоры южной части восточного Тянь-Шаня», которую он блестяще защитил в 1888 году. И на следующий год Андрей Николаевич поступил на службу в Харьковский Императорский Университет на должность экстраординарного профессора. На время переезда в Харьков это был уже состоявшийся ученый, имеющий около 40 научных публикаций не только в Российской империи, но и в Англии, Германии, Франции.

16 сентября А.Н. Краснов прочитал вступительную лекцию перед студентами и преподавателями вуза. Она называлась «География как новая университетская наука». Ораторские способности, прекрасное знание материала снискали к молодому ученому симпатии и уважение в студенческой среде Харькова. Ведь он преподавал не только в университете, но еще и в ветеринарном институте. На организованных вечерних курсах для рабочих читал лекции. Он рассказывал слушателям о географических изменениях, приведших к созданию современного ландшафта.

Вскоре Андрей Николаевич основал и возглавил кафедру географии в университете. Он активно занимается оборудованием географической лаборатории, организацией справочного музея и географической библиотеки, составлением фотографических коллекций типичных местностей, гербариев, собирает и создает «картинки для

волшебного фонаря», организует студенческий географический кружок [Мильков]. Он первым из географов стал преподавать на природе, чтобы научить студентов наблюдать за происходящими на земле изменениями, знакомить с географическими явлениями [Мильков]. Летом вместе со студентами и сотрудниками кафедры Андрей Николаевич уезжал в полевые экспедиции. Они много ездили по Харьковской и Полтавской губерниям, побывали на Сахалине, в Северной Америки и Азии. Но особое место в этой работе занял Кавказ, где, по утверждению А.Н. Краснова, можно увидеть разнообразные географические процессы. Летом 1890 года ученый впервые проехал по Военно-Грузинской дороге, посетил Сванетию. А зимой он выступил с несколькими докладами на географическом отделении Общества любителей природы, один из которых был посвящен нагорной флоре Сванетии.

Кавказ стал не только научным, но и, как оказалось, жизненным выбором Андрея Николаевича. Его настолько увлек этот край, что в каких бы странах он не бывал, его мысли были связаны с облагораживанием этого края.

Андрей Николаевич с детства «влюбился» в тропики. В 1888 году, собираясь в экспедицию на Яву, Борнео и Каркатау, он звал с собой В.И. Вернадского. В письме другу А.Н. Краснов отмечал: «Европа от тебя никуда не уйдет. Всегда, взяв отпуск, ты можешь сюда съездить. Тропики же могут улыбнуться навеки. Лови же их пока не поздно» [Талиев, 1916: 117]. Со временем А.Н. Краснов открыл для себя «русские тропики». Ими оказались Колхида и Батумский край. Ученый много сил и энергии потратил на изучение природы, климата региона, его ландшафта, флоры и фауны, анализировал этнографические особенности местных жителей, выяснял причины провала переселения сюда людей из других регионов Российской империи. Этим вопросам он посвятил ряд научных и научно-популярных трудов. Некоторые из них увидели свет в Харькове [Талиев, 1916: 215-224]. Небольшие статьи, заметки публиковались в местной газете «Южный край». В них А.Н. Краснов рассказывал о необычной флоре, грязевых вулканах Кавказа, о традициях и быте людей на этой земле.

В конце XIX века А.Н. Краснов загорелся идеей обеспечить Российскую империю собственным чаем и некоторыми экзотическими фруктами. Совершив три экспедиции в юго-восточную Азию, он изучил различные сорта, выращиваемого там чая. Привезенные несколько саженцев были посажены в Аджарии, где, по мнению ученого, были самые благоприятные почвенно-климатические условия для выращивания сырья для этого напитка.

Работая в Харькове, А.Н. Краснов сначала хотел именно здесь создать ландшафтный парк. Он был убежден, что местный климат способствовал созданию различных ландшафтов умеренного пояса. Андрей Николаевич закупил около 500 новых деревьев и кустов для уже существовавшего университетского ботанического сада. Однако его планы не были поддержаны ни коллегами по учебному заведению, ни местной администрацией.

Тогда в начале 1910-х годах А.Н. Краснов решил переехать жить в Батуми и воплотить в жизнь свою мечту о создании здесь ботанического сада. Он решил его заложить недалеко от города, на берегу Черного моря на близлежащем высокогорье. Здесь уже находилось два сада: один был разбит в 1881 году местным аристократом Михаилом Д'Альффонсом, а второй – в 1892 году географом Павлом Татариновым [Салий].

Со временем эти сады влились в ботанический сад, став соответственно нижним и верхним парками. Андрею Николаевичу была выделена территория рядом. Как вспоминает сотрудница сада Мая Тимофеевна Мазуренко, выделенная территория – это «приморский холм протянувшийся от [поселка] Зеленого мыса до поселка Чаква, предназначенный для строительства ботанического сада, был покрыт девственным лесом из бука, каштана и граба с подлеском шкериан – из рододендрона понтийского и лавровишни лекарственной» [Мазуренко, 2012].

А.Н. Краснов ведет активную организационную работу. В основу было положено одно из семи чудес мира – сады Семирамиды, т.е. растения ярусами спускаются от горного леса к морю [Салий]. Для этого была проведена расчистка выделенного участка, распланированы географические отделы, определены места посадок привезенных из Азии растений [Мазуренко, 2012]. В августе 1910 года Андрей Николаевич приезжает в город и выступает с докладами «Что можно сделать в батумском климате» и «Об организации акклиматизационного ботанического сада в приморском районе Батумской области». В это же время увидел свет первый выпуск книги «Натуралист на Кавказе». Весной 1911 года на Совете Батумского общества сельских хозяйственников ученый согласовывает проект сада и выпускает вторую книгу «Натуралист на Кавказе». 15 декабря А.Н. Краснов представляет директору Департамента земледелия Российской империи проект организации Батумского ботанического сада и опытной станции при нем.

Весной 1912 года, после 23 лет службы в университете, А.Н. Краснов уходит в отставку и вскоре переезжает в Батуми. Незадолго до этого, летом, Андрей Николаевич ездил в Петербург, чтобы окончательно решить все организационные вопросы.

А.Н. Краснов хотел превратить заболоченную Колхиду в цветущий субтропический край, создать здесь маленькую Японию. Благодаря стараниям ученого, в этом регионе начали выращивать не только чай, но и мандарины, лимоны, хурму, фейхоа. Здесь появились эвкалипты, новозеландский лен и многие другие экзотические растения.

Создавая в окрестностях Батуми ботанический сад, А.Н. Краснов учитывал особенности местного климата, ландшафта, качества почв. Здесь можно найти «природные уголки» Японии, Индии, Дальнего Востока, Северной и Южной Америки, Австралии, Новой Зеландии.

Напряженная работа, путешествия дали о себе знать болезнями. Тогдашний климат Батуми не подходил ученому, но желание осуществить свою мечту преодолевало все трудности. Единственное, что его беспокоило – страх не успеть сделать задуманное.

3 ноября 1912 года состоялось торжественное открытие ботанического сада. А в сентябре следующего года ученый написал статью «Батумский ботанический сад за первый год его существования» и принял участие в выставке «Русская Ривьера», проходившей в Петербурге.

Однако состояние здоровья Андрея Николаевича ухудшалось. Ему пришлось выехать на лечение во Францию. Однако начавшаяся 28 июля 1914 года Первая мировая война, заставила его немедленно вернуться на Родину. Возвращаясь на Кавказ, А.Н. Краснов в последний раз посетил Харьков. Здесь по просьбе представителей местного

общества любителей природы он прочитал лекцию о Батумской области.

Понимая, что батумский климат ему не подходит, А.Н. Краснов переехал в Тифлис. Здесь он читал лекции на Высших женских курсах, составлял путеводитель по Батумскому ботаническому саду.

Но состояние здоровья ученого с каждым днем ухудшалось. И 19 декабря 1914 года Андрей Николаевич Краснов умер. Согласно завещанию, его похоронили в Батумском ботаническом саду на выбранном им самим месте. «Сделайте от моей могилы просеку, чтобы мне видна была Чаква с окружающими ее снеговыми горами, кусочками моря; я там впервые начал работу; там тоже осталась частичка моего я...» [*Вернадский*].

Данная статья не предполагает определения всех заслуг Андрея Николаевича Краснова в науке. Но хочется отметить, что он укрепил научные связи между Харьковом и Батуми. И, наверное, помня об этом, после смерти Андрея Николаевича в Харькове был объявлен сбор средств на поддержку его детища [*Мазуренко, 2012*], а в 1935 году сотрудники Батумского ботанического сада передали в зимний сад Харьковского дома пионеров несколько видов цветов. Как память об одной из ниточек, связывающей эти города совместной историей и общей памятью.

#### Список использованной литературы:

- Вернадский** – Вернадский В.И., «Памяти А.Н. Краснова». – Электрон. текстовые дан. – Загл. с экрана. – URL: <http://krasnov1862-1914.narod.ru> (23.04.2021).
- Краснов, 1987:** – Краснов А.Н., «Под тропиками Азии» // Вавилов Н.И., «Пять континентов». Краснов А.Н., «Под тропиками Азии». Москва: Мысль, 1987. 348 с.
- Мазуренко, 2012:** – Мазуренко М.Т., «Воспоминания о Батумском ботаническом саду». – URL: <https://maja-mazurenko.livejournal.com/1331.html> (23.04.2021).
- Мильков** – Мильков Ф.Н., «Предисловие» // «Краснов А.Н. и его географические труды». – Загл. с экрана. – Сайт Библиотека странника – URL: [http://kimmeria.com/world\\_library/vavilovkrasnov\\_29\\_01.htm](http://kimmeria.com/world_library/vavilovkrasnov_29_01.htm) (23.04.2021).
- Мильков<sup>1</sup>** – Мильков Ф.М., «Андрій Миколайович Краснов» (Мильков Ф.М., «Андрей Николаевич Краснов»). – Электрон. текстовые дан. – Загл. с экрана. – URL: <http://krasnov1862-1914.narod.ru> (23.04.2021).
- Мильков<sup>2</sup>** – Мильков Ф.М., «Дати життя та діяльності А.М. Краснова» (Мильков Ф.М., «Даты жизни и деятельности Андрея Николаевича Краснова»). – Электрон. текстовые дан. – Загл. с экрана. – URL: <http://krasnov1862-1914.narod.ru> (23.04.2021).
- Талиев, 1916:** – «Профессор Андрей Николаевич Краснов (1862 – 1914 г.)» // Сборник под редакцией приват-доцента Харьковского Императорского Университета В.И. Талиева. Харьков, 1916. 236 с.
- Салий** – Салий О., «Волшебное место в Батуми: Ботанический сад. История и как попасть». – Электрон. текстовые дан. – Загл. с экрана. – URL: <https://www.free-writer.ru/pages/batumi-botanicheskij-sad.html> (23.04.2021).
- Цитаты...** – Цитаты известных личностей. – Сайт Библиотека странника. – URL: <https://ru.citaty.net/tsitaty/450615-andrei-nikolaevich-krasnov-geografiia-eto-nauka-kotoraia-izuchaet-sovremennoe/> (23.04.2021).

**Outstanding Figure of Kharkov and Batumi A.N. Krasnov**

Abstract

Among the outstanding people of Kharkov and Batumi, a geographer, botanist, traveler Andrei Nikolayevich Krasnov occupies a worthy place. The scientist was born in St. Petersburg in 1862. After graduating from St. Petersburg University, he took up science. His teachers were such scientists as V.V. Dokuchaev, A.N. Beketov, I.V. Mushketov. Of great importance in the life of Andrei Nikolayevich was the friendship with V.I. Vernadskiy. In 1889, he was elected as an extraordinary professor at the Department of Physical Geography and Anthropogeography of Kharkov University. at the same time he taught botany at a local veterinary institute. But in addition to botany, the scientist was engaged in geography. He organized a geographical office at the university and a geographical department in the city museum. To conduct scientific activities A.N. Krasnov traveled a lot. In 1880, A.N. Krasnov founded the Batumi Botanical Garden, opened in 1912. Since this year, Andrei Nikolayevich was appointed as a director of this garden. Two years later, he died and was buried in the garden in his chosen place.



## ბათუმი ჩემი სახლია

**აბსტრაქტი:** სტატია მოგვითხრობს, გვახსენებს ბათუმის ისტორიას. ბათუმი ყველას სახლია, მშობლიურია და სიფრთხილე გვმართებს რეფორმების გატარებისას. გასათვალისწინებელი და საყურადღებოა მისი ურბანული განვითარება, ნიშვნელოვანია გაიზარდოს პასუხისმგებლობა და ზრუნვა ქალაქის ისტორიული ნაწილისადმი. დღითიდღე ბათუმი კარგავს მწვანე ქალაქის სტატუსს. გასააზრებელია პრობლემის მოგარების გზები. ტურისტული ქალაქის სტატუსის დამკვიდრებისათვის ზრუნვა ყველას ვალაია. ამიტომაც, ჩართულობა და ინფორმირებულობა საზოგადოებისა, მოახდენს დადებით გავლენას არსებული პრობლემების მოგვარებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, მწვანე ქალაქი, პორტო-ფრანკო, ტურიზმი, არქიტექტურა.

**Key words:** Batumi, Green City, Porto-Franco, Tourism, Architecture.

\* \* \*

ბათუმი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც ისტორიული წყაროების მიხედვით დაფუძნებულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში. ამ პერიოდში უკვე მოიხსენიებოდა ჩვენი ქალაქი ბათუსის სახელწოდებით. სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ბერძნული სიტყვიდან, რაც ღრმას ნიშნავს. ჯერ კიდევ არისტოტელე (ძვ.წ.ა. IV საუკუნე), პლინიუსი (ახ.წ.ა. II საუკუნე) და სხვები „პონტოს ბათეას“ უწოდებდნენ. ადრე ანტიკურ ხანაში აქაურ მოსახლეობას გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან. რომის იმპერატორ ადრიანეს დროს (II ს.) დღევანდელი ბათუმის ტერიტორიაზე რომაელთა სამხედრო ბანაკი იყო.

ბათუმი ყოველთვის გამოირჩეოდა მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი და სტრატეგიული მდებარეობით. XVIII საუკუნიდან ბათუმი ოსმალთა მფლობელობაში გადავიდა. 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატის გათვალისწინებით, ბათუმი საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდა. 1878-1886 წლებში ბათუმის ნავსადგური გამოცხადდა პორტო-ფრანკოდ (უცხოური საქონლის უბაჟოდ შემოტანა-გატანის უფლების მქონე ნავსადგურად), რამაც ხელი შეუწყო ქალაქის ზრდას. ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანის (1883), ნავსადგურის რეკონსტრუქციისა და ბაქოსთან ნავთობსადენი მილით დაკავშირების (1897-1907) შემდეგ, ბათუმი შავი ზღვისპირეთის მნიშვნელოვანი ნავსადგური გახდა. აქედან გაჰქონდათ კასპიის ზღვის ნავთობპროდუქტები სხვა ქვეყნებში. ქალაქს 1918 წლიდან 1920 წლამდე მონაცვლეობით ოსმალები და ინგლისელები ფლობდნენ *[სიჭინავა, 1958]*.

საინტერესო ისტორიულმა წარსულმა მნიშვნელოვნად განაპირობა ბათუმის არქიტექტურული სიმდიდრე (ევროპელი არქიტექტორების არაერთი საინტერესო პროექტის განხორციელება ჯერ კიდევ პორტო-ფრანკოდ წოდებულ პერიოდში), ისევე, როგორც პოპულარულ საპორტო თუ ტურისტულ ქალაქად გადაქცევა საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა პერიოდებში.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი და მთლიანად სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ეკონომიკურად ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აქ ბიძგი მისცა საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის აღმავლობას. ბათუმი, როგორც მსხვილი საქალაქო ცენტრი, მისი პირველხარისხოვანი ნავსადგურით, წამყვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიისა და შუა აზიის სატრანზიტო ვაჭრობაში *[მურდულია, 2014: 46]*.

ბათუმი, თბილისის შემდეგ, ყველაზე მდიდარი ქალაქია საქართველოში. მისი წილი საქართველოს ეკონომიკაში შეადგენს 6%-ს. ეკონომიკის წამყვანი დარგებია მშენებლობა და საშენი მსაღების წარმოება, ვაჭრობა, მსუბუქი მრეწველობა, ტურიზმი, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

ბათუმი არის ბაქო-ბათუმის რკინიგზისა და ნავთობსადენის ბოლო პუნქტი. აქ წარმოებს მსხვილი საზღვაო-სატრანსპორტო ოპერაციები. იგი კავკასიის ნავთობის გაზიდვის უძველესი და უმნიშვნელოვანესი ნავსადგურია შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. ბათუმი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და დიდ საოკეანო ტანკერებს ემსახურება. სატრანსპორტო კვანძის საერთო ტვირთბრუნვაში, სატრანზიტო ტვირთებთან ერთად, დიდი ადგილი უკავია თვით ქალაქის და მისი უახლოესი მიდამოების სამეურნეო ტვირთებს.

დღეს ბათუმი არამარტო საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, არამედ მთელი შავი ზღვის რეგიონის გამორჩეული ტურისტული ცენტრი გახდა. მას ყოველთვის ჰქონდა კურორტისათვის საჭირო რესურსები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბათუმი გახდა კულტურული ღირშესანიშნაობებისა და საერთაშორისო ღონისძიებების ცენტრი. აქ ტარდებოდა მსოფლიო დონის ვარსკვლავების კონცერტები, საერთაშორისო ფესტივალები ხელოვნების სხვადასხვა დარგებსა თუ სპორტში... ბათუმი მასპინძლობდა ისეთი ვარსკვლავების კონცერტებს, როგორებიც არიან: პლაჩიდო დომინგო, ხოსე კარერასი, ანდრეა ბოჩელი, კრის ბოტი, სტინგი, მიშელ ლეგრანი, ენრიკე ველესიასი...

განახლდა ძველი ბათუმის საცხოვრებელი სახლები, მთლიანად შეიცვალა და მოწესრიგდა წყალგაყვანილობის სისტემა, შეიქმნა უამრავი ტურისტული ობიექტი, გაიხსნა მსოფლიო ბრენდების სასტუმროები, ამუშავდა პროექტი „ბათუმველო“, გაიხსნა უამრავი კაფე-რესტორანი თუ გასართობი ადგილი.

ბათუმი გამოირჩევა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული არქიტექტურული იერის მქონე შენობების სიმრავლით, რაც ქალაქს კიდევ უფრო თანამედროვეს და მიზიდველს ხდის. აღსანიშნავია, რომ 2012 წელს ამერიკის სტუმართმასპინძლობის მეცნიერების აკადემიამ ბათუმი დაასახელა როგორც წლის საუკეთესო ტურისტული დანიშნულების ადგილი *[ბათუმის შესახებ, 2016]*.

თუმცა, დღითიდღე ჩვენი ქალაქი კარგავს მწვანე ქალაქის სტატუსს, ჩაიკარგა ბეტონის ჯუნგლებში იდეა და მნიშვნელობა დასასვენებელი ქალაქისა.

აი როგორია დაჩის თვალით დანახული ბათუმი (ბათუმელი მეოთხეკლასელია) – „ჩემი სახლიდან ძალიან კარგი ხედები ჩანდა, განსაკუთრებით ლამაზი იყო ბათუმი... ახლა მანსარდაზე ავდივარ და იქიდან ვუყურებ, ისიც მხოლოდ შერატონს. მალე, ალბათ, ისიც აღარ გამოჩნდება“ *[<https://www.etaloni.ge/geo/main/index/14837>]*. ეს სიტყვები გულს გიკლავს და გიჩენს სურვილს იყვირო, მოითხოვო უკეთესი ბათუმი ჩვენი შვილებისა და სტუმრებისათვის.

საკმარისია თვალწარმტაცი ზღვისპირეთიდან დატვირთული ქუჩებისაკენ გატრიალდე, რომ მოულოდნელად სრულიად განსხვავებულ თვისებებს შეეჯახები. უცვლად იცვლება ქალაქის ხასიათი – აღარც მარილნარევი ნიაგი უზერავს და აღარც ზღვის ხმა ისმის. სილაღესა და სიმშვიდეს დამაბულობა ცვლის. ბათუმი ქათქათას ნაცვლად კი შავ-თეთრი, გამონაბოლქვის ნისლში ჩაძირული, მანქანებით სახსე ქალაქად გველინება.

ბოლო წლებში ბათუმი მკვეთრად შეიცვალა, მყუდრო ქალაქის იერსახე დაკარგა და ურბანულ კონგლომერატად გადაიქცა. გარდა იმისა, რომ ბათუმი საქართველოს მთავარი საზღვაო კურორტია, ის ქვეყნის საზღვაო და სახმელეთო კარიბჭეა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ეროვნულ ეკონომიკაში.

ცვლილების ასეთმა ტემპმა ურბანული ტრანსპორტის მომრავლება გამოიწვია. ბათუში მანქანების კონცენტრაციის მაჩვენებელი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია – 136 მანქანა 1000 სულ მოსახლეზე. ეს თითქმის უტოლდება სტამბოლის მაჩვენებელს (139 – 1000 სულ მოსახლეზე), მაშინ როდესაც სტამბოლის მოსახლეობა 15 მილიონს შეადგენს, რაც 98-ჯერ აღემატება ბათუმის მოსახლეობას.

მანქანების სიმრავლეს ემატება ქალაქის გადატვირთული და არაეფექტური სატრანსპორტო სისტემა. საზოგადოებრივი ტრანსპორტი მოძველებულია და მოდერნიზებას საჭიროებს, პარკირების სისტემა ბოლო რვა წლის განმავლობაში არ შეცვლილა, ხოლო ყოველდღიური გადაადგილების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად კვლავ ავტომანქანა რჩება. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, ველობილიკების სიმცირის გამო, ბათუმელების მხოლოდ 0,3 % იყენებს ველოსიპედს ყოველდღიური გადაადგილებისათვის.

ამ ქალაქში მცხოვრებთ და დასასვენებლად ჩამოსულ სტუმრებს უნდათ იცხოვრონ და დაისვენონ, გემრიელი ყავა მშვიდად მიირთვან ისეთ ქალაქში, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა გამართულია, ნაკლები მანქანა და საცობია, მეტია სასეირნო და საველოსნო სივრცე.

ბათუმის, როგორც ღირსშესანიშნავი ადგილის განვითარებას და მის კეთილმოწყობას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი ხელისუფლება. გამონაკლისი არც ვარდების რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლება იყო. მათ შემდეგ ბულვარი გაეზარდათ სივრცეში და გაჩნდა ახალი ბულვარი (სივრცე 7 კმ-ს აღწევს) არდაგანის ტბაში მოწყობილი ულამაზესი ფრანგული მოცეკვავე შადრევნებით. პლაჟზე გაკეთდა ბილიკები როგორც ველოსიპედისტებისათვის, ისე ფეხით მოსიარულეთათვის. გაჩნდა ახალი ქანდაკებები, შადრევნები და დეკორატიული ობიექტები. არასასიამოვნო ტენდენციებიდან აღსანიშნავია საზოგადოებრივი კვების ობიექტების (რესტორნები, კაფეები) სიჭარბე, რომელთა რიცხვი ბულვარის ისტორიულ ნაწილში 25-ს აღწევს, მთლიანად კი 70-ს. თუკი წინარე პერიოდში ამ ტიპის ნაგებობებს საპარკო ტიპის მსუბუქი კონსტრუქციის სახე ჰქონდათ, უკანასკნელ წლებში ისინი პარკისათვის შეუფერებელი ბეტონის კონსტრუქციითაა ნაგები და მათი მასშტაბიც ბაღისთვის შეუფერებელია. ბულვარის ზოგიერთ მონაკვეთში გაჩნდა ჩაკეტილი სივრცეები. ამჟამად ყველაფერს შედარებით უფრო მოვლილი და სუფთა იერი აქვს, გაჩნდა საზოგადოებრივი ტუალეტებიც, მაგრამ, კომერციული ობიექტების განვითარებასთან შედარებით, გამწვანებას ნაკლები ყურადღება ექცევა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ბულვარის გამეჩხერებულ და მოშიშვლებულ მწვანე საფარს აშკარად განახლება სჭირდება. იმის გამო, რომ აღარ არსებობს

სანერგე, ბულვარის გამწვანება ძირითადად ძვირადღირებული შემოტანილი ნარგავებით ხორციელდება. იგრძნობა მეზაღე-დეკორატორ პროფესიონალთა ნაკლებობაც. პრობლემატურია კანონები, რომლებიც არეგულირებენ მიწათსარგებლობისა და მშენებლობის საკითხებს ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე.

ჩვენი ქალაქისთვის ნიშვნელოვანია გაიზარდოს პასუხისმგებლობა და ზრუნვა ქალაქის ისტორიული ნაწილისადმი, რომელსაც ზიანს აყენებს არქიტექტურული და ისტორიული ღირებულებების ძეგლებისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

სასურველია ქალაქგეგმარებისა და მშენებლობის საკითხები წყდებოდეს „ძველ ქალაქთან“ თანაარსებობის პრინციპის დაცვით.

ვისურვებდი დადგეს დრო, როცა საკუთარი წარმატების ისტორიას ბათუმი მეგობარ ქალაქებსაც გაუზიარებს და მარილიანი ზღვით, სუფთა ჰაერითა და გემრიელი ყავით სიამაყით უმასპინძლებს საქართველოს პირველ მწვანე ქალაქში.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**სიჭინავა, 1958:** – სიჭინავა ვ., „ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი, 1958.

**მურდულია, 2014:** – მურდულია უ., „საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბილისი, 2014.

**<https://www.etaloni.ge/geo/main/index/14837>** – „მეთოხეკლასელი ბიჭის მიერ დანახული ბათუმი - თავისუფალი თემა, რომელიც სოციალურ ქსელში 10 000-ზე მეტმა ადამიანმა გაიზიარა“; ინტერნეტ-მისამართი: <https://www.etaloni.ge/geo/main/index/14837>.

**ბათუმის შესახებ, 2016:** – „ბათუმი საქართველოს პირველი ქალაქია, რომლისთვისაც სატრანსპორტო მოდელი შემუშავდა“, 2016; ინტერნეტ-მისამართი:

[https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2016/11/21/batumi\\_transport\\_model.html](https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2016/11/21/batumi_transport_model.html)

**Asmat Diasamidze (Batumi, Georgia)**

### **Batumi is My Home**

#### **Abstract**

Batumi is a history which means to take care of our city and make steps which will provide great future for the city. It is necessary to mix urban environments with local. In the last few years, the number of tourists rose significantly. To keep this balance, it is important to be competitive and attractive for the international market. Nowadays the priority is to develop green urban transportation, architectural and historical security value, patternless building topics decisions.

Batumi is a home for everyone.

## პორტო-ფრანკოს როლი ბათუმის განვითარებაში

**აბსტრაქტი:** ბათუმი იყო მესამე ქალაქი რუსეთის იმპერიაში, სადაც 1878 წლის 20 ოქტომბერს ქალაქში შევიდა პორტო-ფრანკოს რეჟიმი და მან იარსება 1886 წლის 27 ივნისამდე, ვიდრე იგი არ გაუქმდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის სპეციალური ბრძანებულებით. თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის არსებობამ, ბათუმში გამოიწვია ვაჭრობის სწრაფი აღმავლობა, რაც გახდა ქალაქის მთელი ეკონომიკური და სოციალური დაწინაურების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მრავალი კანონდარღვევა.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, პორტო-ფრანკო, ეკონომიკა, სავაჭრო-სამრეწველო, ნავსადგური, იმპერია, ცარიზმი.

**Key words:** Batumi, Porto-Franko, Economic, Trade-industrial estate, Port, Empire, Tsarism.

\* \* \*

პორტო-ფრანკოს სტატუსი ბათუმს 1878 წლის 29 ოქტომბრიდან 1886 წლის 27 ივნისამდე ჰქონდა. პორტო-ფრანკოს რეჟიმი ბათუმში გაამყარა ცხოვრება, ფასი აეწია უძრავ ქონებას, დაიწყო დუქნების, საცხოვრებელი სახლების, სასტუმროებისა და საწყოების მშენებლობა. პორტო-ფრანკოს რეჟიმი, ასევე, გაზარდა ბათუმის მოსახლეობის რაოდენობა. 1882 წელს ბათუმში იყო ორი მართლმადიდებლური, ერთი კათოლიკური ეკლესია, სამი მეჩეთი, თამბაქოს სამი ფაბრიკა, 8 სასტუმრო, 240 სავაჭრო დაწესებულება.

1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) სან-სტეფანოში გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს. ომში მიყენებული ზარალისთვის რუსეთმა მოითხოვა ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი. ვინაიდან ოსმალეთს არ შეეძლო ასეთი თანხის გადახდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადასახდელი თანხის დიდი ნაწილის სანაცვლოდ რუსეთი მიიღებდა ტერიტორიულ დათმობებს. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, არდაგანს, ბაიაზეთს და ბათუმს. სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა, როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში, რასაც ვერ შეურიგდებოდნენ ევროპის სახელმწიფოები. 1878 წლის 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარმა ბათუმი დაიკავა. კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ, იმპერატორ ალექსანდრე III დეკრეტით აცნობა: “მაქვს ბედნიერება მოვულოცო თქვენს იმპერატორობით უდიდებულესობას ბათუმის დაკავება“ [Троицкий, 1999: 100].

ბერლინში კონფერენციის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა, როგორც პორტო-ფრანკო. მაინც რას გულისხმობდა პორტო-ფრანკოს სტატუსი და როგორი იქნებოდა რუსეთთან შეერთების შემდეგ ბათუმის მომავალი. ერთის მხრივ, იყო დადებითი და მეორეს მხრივ, უარყოფითი. უარყოფითი იმ მხრივ, რომ პორტო-ფრანკოს პერიოდში ბათუმში ძალიან გაიზარდა კონტრაბანდული პროდუქ-

ციის შემოდინება, რამაც გაზარდა დანაშაულის პროცენტული მაჩვენებელიც, სათავისოდ დაიწყეს დიდმა ქვეყნებმა ბათუმის გამოყენება, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის დადებითი შედეგი, რაც მივიღეთ ქალაქის განვითარების მიმართულებით.

„პორტო-ფრანკო“ იტალიური სიტყვაა და ეწოდება ისეთ ნავსადგურს, სადაც როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი საქონლის თავისუფალი, უბაჟო ვაჭრობა ხდება, ასეთი თავისუფალი გაცვლა ხდება ნავსადგურის გარკვეულ, განსაზღვრულ ნაწილში, რომელიც დანარჩენი ტერიტორიისაგან საბაჟო საზღვრითაა გამოყოფილი. სწორედ ამ ნაწილში არსებულ საწყობებში ხდება საქონლის თავმოყრა, დახარისხება, შეფუთვა და სარეალიზაციოდ დანიშნულების ადგილზე გაგზავნა. პორტო-ფრანკოს რეჟიმის შექმნა გამოიწვია დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ გაცხოველებულმა სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. ევროპის დიდი საზღვაო სახელმწიფოების ინტერესები მოითხოვდა, რაც შეიძლება დიდი რაოდენობით საქონელი თუ ნედლეული მიეზიდათ. საბაჟო ბარიერები ვაჭრებისაგან როგორც დროს, ასევე გარკვეულ ფინანსურ რესურსებს მოითხოვდა, მაშინ როცა საქონლის მფლობელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბაზარზე არსებული პირობები დაზუსტებული. ყოველივე ეს აბრკოლებდა საქონლის იმპორტის პროცესს, ამიტომ, სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლება თავად იყო დაინტერესებული, ვაჭრობის განვითარებისა და უცხოური საქონლის მიზიდვის მიზნით, შეექმნა საბაჟო ბარიერებისაგან თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის ზონები. პირველად პორტო-ფრანკო შეიქმნა 1547 წელს იტალიის ქალაქ ლივორნოში და მალე მიაღწია საოცარ წარმატებებს. რუსეთის ხელისუფლებამ კავკასიის მმართველობას დაავალა შეემუშავებინა ბათუმის პორტო-ფრანკოსათვის შესაბამისი წესდება. არსებული გამოცდილების საფუძველზე (ქ.ოდესის პორტო-ფრანკოს წესდების მიხედვით) კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიამ შეიმუშავა ბათუმის პორტო-ფრანკოს წესდების პროექტი. იგი შედგებოდა 30 პარაგრაფისაგან, რომელიც იყოფოდა სამ განყოფილებად: 1. საერთო დებულებები, 2. პორტში შემოსული გემებისა და შემოტანილი საქონლის კონტროლის წესები, 3. ბათუმიდან საქონლის გატანის პირობები. წესდების მიხედვით, ბათუმსა და მის ნავსადგურში ნებადართული იყო უცხო საქონლის თავისუფალი და უბაჟო შემოტანა. ეს შეღავათი არ ვრცელდებოდა საექსპორტო რუსულ საქონელზე, რომლისთვისაც უნდა გადაეხადათ გატანისათვის დაწესებული ბაჟი.

წესდების მიხედვით, პორტო-ფრანკო თხრილით უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული. საბაჟო საგუმავგობისა და მკაცრი საკარანტინო წესების შემოღებამ, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო ცარიზმის რეჟიმის დამყარებით ისედაც შეწუხებული მოსახლეობა. სწორედ ასეთმა არაკონკურენტულმა ეკონომიკურმა გარემომ დააფიქრა რუსული ხელისუფლება. ხვდებოდნენ, რამდენად დიდი ზიანის მომტანი ხდებოდა დღითიდღე უცხოური პროდუქციის დიდი შემოდინება მათ კონტროლირებად ტერიტორიებზე, რაც პირდაპირ აისახებოდა მათ სამრეწველო თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

ერთი ასეთი შემთხვევის შესახებ „დროება“ წერდა: „ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის ტამოჟნიის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს საცა ჯერ არს, როგორც კონტრაბანდის მიმქონი. ტამოჟნიის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადახდეს ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს,

საქონელიც უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამას არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს. კანონით ყველაფერი გადახდა მეკონტრაბანდეს. ცხენი რაღა შუაში იყო, ნუთუ ესეც კონტრაბანდად იცვნეს?!“ *[„დროება“, 1884: 2]*. ასეთი ფაქტებით შეწუხებული და მოთმინებადაკარგული მოსახლეობა ბათუმში პორტო-ფრანკოს გაუქმებას ითხოვდა. „ბათუმის მაზრის მცხოვრებნი სთხოვდნენ გუბერნატორს უმაღლეს მთავრობასთან შუამდგომლობას, რომ ბათუმი პორტო-ფრანკოდ აღარ იყოს, რადგანაც დიდი, ძალიან დიდი შევიწროვება ადგიათ ტამოყნის მხრით. ერთი არშინი ჩითის წაღება არ შეუძლია ბათუმის მაზრის მაცხოვრებელს, მაშინ, როცა სავაჭრო ცენტრი მთელის მაზრისა ბათუმია“ *[„დროება“, 1884: 2]*.

ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომაც ხდებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან გაუსაძლისი პირობების შექმნა ადგილობრივ ბაზარზე უცხოური საქონლის მიმართ, რამაც განაპირობა შემდეგ ბათუმის მაზრის მოსახლეობის უკმაყოფილება და მათი მოთხოვნა პორტო-ფრანკოს გაუქმების შესახებ. ბათუმის პორტო-ფრანკო მიუღებელი იყო ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი რუსეთის ბურჟუაზიისათვის, რადგან იგი პორტო-ფრანკოს მდგომარეობაში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისათვის (განსაკუთრებით ინგლისისათვის) ღია ბაზარს წარმოადგენდა. ცხადია, რუსეთის მრეწველ-კაპიტალისტებს, თავისუფალი კონკურენციის პირობებში, არ შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ უცხოური (ევროპული) საქონლის მოძალებისათვის. ოდესის მსგავსად, პორტო-ფრანკო ბათუმში საფრთხეს უქმნიდა ამიერკავკასიისა და თვით რუსეთის მრეწველობის განვითარებას. პორტო-ფრანკოს რეჟიმისათვის თანმხლები უარყოფითი მოვლენებისა (განსაზღვრული ტერიტორიის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც თავისთავად აფერხებდა დანარჩენი ნაწილის ეკონომიკურ განვითარებას და სხვა) და რუსეთის ხელისუფლების მიერ მკაცრი საკარანტინო პოლიტიკის მიუხედავად, ბათუმის პორტო-ფრანკომ უდავოდ დიდი როლი ითამაშა, როგორც ქალაქ ბათუმის, ისე მთელი მხარის ეკონომიკური დაწინაურების საქმეში. პორტო-ფრანკოს რეჟიმი სასარგებლოა განვითარების დაბალ დონეზე მდგომი ქვეყნებისათვის, რადგან იგი ქმნის საგარეო-სავაჭრო ურთიერთობის ახალ არტერიებს, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას და კაპიტალის დაგროვებას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია ჩამორჩენილი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმი სწრაფად ვითარდებოდა. ამას უმთავრესად მოხერხებული ნავსადგური განაპირობებდა. განვითარების ტემპები უფრო თვალსაჩინო გახდა 1883 წლიდან, რაც ექსპლოატაციაში შევიდა ბათუმი-სამტრედიის რკინიგზის მონაკვეთი. ამ ზრდის საილუსტრაციოდ ბათუმის პორტის ტვირთბრუნვაც მეტყველებს. თუ 1878 წელს ბათუმში სულ შემოვიდა 29 776 ფუთი საქონელი, 1883 წელს შემოვიდა 922 423 ფუთი, ხოლო 1886 წელს – 2 732 746 ფუთი. თუ ადრე შემოტანა აჭარებდა გატანას, ეხლა ვითარება საპირისპიროდ შეიცვლება. მაგ: 1878 წელს შემოიტანეს 906.330 მანეთის საქონელი, ხოლო გაიტანეს 365 712 მანეთის, 1886 წელს სულ შემოიტანეს 2 732 746 ფუთი, ხოლო გაიტანეს 19 667 885 ფუთი *[Батумь..., 1906: 357-375]*.

80-იანი წლებიდან ბათუმის, როგორც მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამრეწველო ცენტრის განვითარებაში დიდი იყო პორტო-ფრანკოს როლი. ამას თვით რუსეთის ოფიციალური პირებიც აღიარებდნენ „რა თქმა უდნა პორტო-ფრანკომ, დაფუძნებულმა ისეთ ნაკლებად კულტურულ პუნქტში, როგორც ბათუმია, გარკვეული

გავლენა მოახდინა მის სავაჭრო-სამრეწველო განვითარებაზე“ [Батумь..., 1906: 22]. ე.ი. მეფის მოხელეები ბათუმის წარმატებებს მისი თავდაპირველი ჩამორჩენილობით უფრო ხსნიან, ვიდრე პორტო-ფრანკოს დამსახურებად.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია სიხარულით შეხვდა პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებას. ასეთი დამოკიდებულება გამოწვეული იყო შექმნილი საბაჟო-საკარანტინო უმსგავსობით, ბიუროკრატიზმით და ძალადობით. ილია წერდა: „თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გაჭირვებასა და შეწუხებას, რაც მის გამო ხალხს ედგა, ვგონებ საბუთი გვქონდეს სიხარულით მივეგებოთ მაგ პორტო-ფრანკოს გაუქმებას, რომელიც მარტო სახელი იყო და არა სახრავი ქვეყნისათვის. თვითონ ბათომმა იქნება მაგით ცოტად თუ ბევრად იხეირა, მაგრამ ეს ხეირი საზოგადოების კისრიდამ იყო ამოღებული [ჭავჭავაძე, 1887: 296].

თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის არსებობამ, ბათუმში გამოიწვია ვაჭრობის სწრაფი აღმავლობა, რაც გახდა ქალაქის მთელი ეკონომიკური და სოციალური დაწინაურების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ სახეზე იყო მრავალი კანონდარღვევა.

#### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

„დროება“, 1884: – გაზეთი „დროება“, №245., 1884.

სიორიძე, 2003: – სიორიძე მ., „ბათუმის საბაჟო“, ბათუმი, 2003.

სიჭინავა, 1958: – სიჭინავა ვ., „ბათუმის ისტორიიდან“, ბათუმი, 1958.

სიჭინავა, 1976: – სიჭინავა ვ., „პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში“ (ოდესა-ბათუმის მაგალითზე), – კრ.: „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), III, ბათუმი, 1976.

სურგულაძე, 1996: – სურგულაძე ა., სიორიძე მ., „პორტო-ფრანკო“, ბათუმი, 1996.

უზუნაძე, 2001: – უზუნაძე რ., „ნაოსნობა ბათუმის ოლქში“, თბილისი, 2001.

ჭავჭავაძე, 1887: – ჭავჭავაძე ი., „თხზულებანი“, VIII, თბილისი, 1887.

Батумь ..., 1906: – „Батумь и его окрестности“, Батумь, 1906.

Троицкий, 1999: – Троицкий Н.А., „Россия в XIX веке“ (Курс лекций), Москва, 1999.

Khatuna Dumbadze (Batumi, Georgia)

### The Role of Porto-Franco in the Development of Batumi

#### Abstract

Batumi was the third city in the Russian Empire, where the Porto-Franco regime entered the city on October 20, 1878, and it existed until June 27, 1886, where it was not abolished by special order of the Russian Emperor Alexander III. The status of Porto-Franco was already granted to Batumi on October 18, 1878, June 27, 1886. The Porto-Franco regime made life in Batumi more expensive, raising the price of real estate, other shops, houses, hotels and water supply. The Porto-Franco regime also increased the population of Batumi. In 1882, there were two Orthodox churches in Batumi, one Catholic church, three mosques, three tobacco factories, 8 hotels, and 240 trade establishments. The



existence of a trade port in Batumi led to a rapid rise in trade, which became the basis for the entire economic and social promotion of the city, despite the fact that there were many violations. The word "Porto-Franco" comes from Italian and it means post-free - without charge for sending by post, duty-free trade of both foreign and domestic goods takes place, such free exchange takes place in a certain part of the port, which is separated from the rest of the territory by a customs border. It is in this part of the warehouse that the goods are collected, sorted, packaged and sent to the destination for sale. The main interests from the political sides there were from the European countries and it was Customs barriers required both time and certain financial resources from traders, while the owner of the goods had not yet clarified the market conditions. All the above mentioned was prevention of the process of importing goods, therefore, the governments of different countries were interested in developing trade zones free of customs barriers in order to develop trade and attract foreign goods. It also contributed to attract investment and accumulate capital, which is very important for the underprivileged.

In conclusion, the third city in Russian empire was Batumi, when the Porto- Franco regime entered the city from 1878 to 1866 years. it has increased population in the city and trade conditions, despite positive sides it made the city living expensive ,but it had promotion the social and economic statues of the Batumi city .

## ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში დაცული მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები

**აბსტრაქტი:** ანტიკური ხანის მდიდარი ნუმისმატიკური ძეგლები ინახება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მაკედონიის სამეფოში მოჭრილი მონეტები – 5 ერთეული. 1 მოჭრილია ფილიპე II (359-336 წწ.) სახელით ამფიპოლისში (თრაკია); 1 – ლისიმაქეს (ძვ. წ. 305-281 წწ.), 1 – დემეტრიოს I პოლიორკეტესის (ძვ. წ. 294-288 წწ.) სახელით ამფიპოლისის ზარაფხანაში ძვ. წ. 290-289 წწ., 1 – აბდერში ძვ.წ. III ს და ერთიც ამფიპოლისში ძვ. წ. 187-131 წწ.

**საკვანძო სიტყვები:** მონეტები, მაკედონიის სამეფო, ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი.

**Key words:** Coins, Kingdom of Macedonia, Khariton Akhvlediani Museum.

\* \* \*

ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის ობიექტურ ცნობებს გვაწვდის ნუმისმატიკური მასალა. ამ პერიოდის მონეტები ჩვენი ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილია: ფიჭვნარში, ციხისძირსა და გონიოში. ელინისტური ხანის მდიდარი ნუმისმატიკური ძეგლები ინახება აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს მაკედონია-თრაკიის სამეფოში მოჭრილი მონეტები:

**მაკედონია, ფილიპე II (359-336 წწ.), ამფიპოლისი (თრაკია), ბრინჯაო, გამოყენებული იყო საკიდად.**

საინვენტარო ნომერი – აკმ №1979

შემოსულია 1943 წ. (აკე ეუბის ასული კირისილოღლი, ბათუმი, მახინჯაური, აქტი №31).

წონა – 6,06 გრ.; დიამ. – 14X15 მმ.

**შუბლი:** მონეტის ცენტრში აპოლონის დაფნის დიადემიანი თავი მარჯვნივ. ირგვლივ მკრთალი წერტილოვანი რკალი.

**ზურგი:** მხედარი გაჭენებულ ცხენზე მარჯვნივ. ზემოდან შემოწერილია ΦΙΛΙΠΠΟΥ, ქვემოთ – სუროს ფოთოლი [ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 194].

**საბერძნეთი, თრაკიის სამეფო, ლისიმაქე (ძვ. წ. 305-281 წწ.), სპილენძი.**

საინვენტარო ნომერი – აკმ №2092

შემოსულია 1946 წ. (მარიამ ისაკის ასული სიმფოვიჩი, ბათუმი, ვ. ლიბკნეხტის ქ. №18).

წონა – 13,5 გრ.; დიამ. – 16X17 მმ.

**შუბლი:** ალექსანდრე დიდის ბიუსტი ამონის რქებით, მარჯვნივ მიმართული; ირგვლივ წერტილოვანი რკალი.

**ზურგი:** ქალღმერთი ათენა ტახტზე, ხელში, წინ გაწვდილ მარჯვენაში – გამარჯვების ქალღმერთი ნიკე, მარცხენათი ეყრდნობა ფარს. შემოწერილია: ΒΑΣΙΛΕΩΣ /

ΑΥΣΙΜΑΧΟΥ. მონაკვეთს ქვემოთ – ნახევარმთვარე *[ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 203]*.

**მაკედონიის სამეფო, დემეტრიოს I პოლიორკეტესი (ძვ. წ. 294-288 წწ), ტეტრადრაქმა, მოჭრილია ამფიპოლისის ზარაფხანაში ძვ. წ. 290-289 წწ., სპილენძი.**

საინვენტარო ნომერი – აჰმ №2086.

შემოსულია 1947 წ. (მარიამ ისაკის ასული სიმფოვიჩი, ბათუმი, კ. ლიბკენბტის ქ. №18).

წონა – 15,72 გრ.; დიამ. – 25X26 მმ.

**შუბლი:** ფრაგმენტულ წერტილოვან რკალში მოქცეული მარჯვნივ მიმართული დემეტრიოსის ბიუსტი გვირგვინითა და რქებით.

**ზურგი:** ფრაგმენტულ წერტილოვან რკალში მოთავსებული მარცხნივ მიმართული შიშველი პოსეიდონის ფიგურა მთელი ტანით, მარცხენა ხელში სამთითათი (ტარი გადმოცემულია წერტილოვანი ხაზით), მარჯვენა ფეხი შემოდგმულია კლდეზე. ფიგურის ორივე მხარეს ბერძნული ზედწერილი ΒΑΣΙΛΕΩΣ ΔΗΜΗΤΡΙΟΥ. გამოსახულების მარცხნივ და მარჯვნივ ΦΠΛ და ΔΡ ასოებისაგან შემდგარი მონოგრამები *[ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 206]*.

**თრაკია, აბდერი, ძვ.წ. III ს, სპილენძი.**

საინვენტარო ნომერი – აჰმ №2333.

შემოსულია 1956 წ. (ქესკინ ნიჟარაძე).

წონა – 8,1 გრ.; დიამ. – 22X23 მმ.

**შუბლი:** წვერიანი მამაკაცის მარჯვნივ მიმართული თავი, თმების არეში დამლაკობლის გამოსახულებით.

**ზურგი:** მარცხნივ მიმართული გრიფონი. გრიფონის წინ ბუკრანიონი. ბერძნული ზედწერილი: ΑΒΔΥ/ΠΙΤΩΝ *[ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 208]*.

**მაკედონია, ამფიპოლისი, ძვ. წ. 187-31 წწ., სპილენძი.**

საინვენტარო ნომერი – აჰმ №19470/7.

შემოსულია 1968 წ. (გოდერძი ტოტოჩავა, ბათუმი, აქტი №46).

წონა – 5,92 გრ.; დიამ. – 14X15 მმ

**შუბლი:** წერტილოვან რკალში ჩასმული დაფნისგვირგვინიანი წვეროსანი პოსეიდონის ან ზევსის პროფილი მარჯვნივ.

**ზურგი:** მარჯვნივ მიმართული ცხენის ფიგურა, ზურგის ზემოთ იკითხება ΑΜΦΙΠ *[ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 223]*

აღწერილი ნუმიზმატიკური ძეგლების აღმოჩენის ზუსტი გარემოებები ჩვენთვის უცნობია. ისინი სხვადასხვა დროს შემოსულია მუზეუმში ბათუმსა და მახინჯაურში მცხოვრები პირებისაგან. ცნობილია, რომ სპილენძის მონეტები მიმოქცევის ადგილიდან შორს არ ვრცელდებოდა და იქვე ილექებოდა. ამიტომ, ეს მონეტები ადგილობრივი მოსახლეობის ნუმიზმატიკური ისტორიის კუთვნილებაა.

მაკედონიის სამეფოს სხვადასხვა დინასტიების წარმომადგენლების სახელით მოჭრილი მონეტები საქართველოში მრავლადაა გამოვლენილი; ფილიპე მაკედონელის სტატერი აღმოჩენილია ვანში 1969 წელს. ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ოქროს მონეტები აღმოჩენილია სვანეთში 367 ცალი, რეყეში (ზუგდიდის რაიონში) – 2, ვანში – 2, თითო ფიჭვნარში, ლენტეხში, ფარცხანაყანევი (წყალტუბოს რაიონი), გულრიფშის რაიონში, ჭიორასა (ონის რაიონი) და მცხეთაში. ვერცხლის მონეტები კი ქუთაისში, ყვირილას მიდამოებსა და კაჭრეთის რაიონში. ფილიპე III-

ის ორი ოქროს მონეტაა ნაპოვნი საქართველოში აფხაზეთსა და ვანში. ლისიმაქეს ექვსი სტატერია ნაპოვნი, 2 – სვანეთში, 2 – ვანში, თითო ექსა და გულრიფში. ვერცხლის 2 მონეტიდან ერთი მაკრიალასთან (ბათუმის მახლობლად, დღევანდელი თურქეთის ტერიტორია), მეორე ვანში [*Дундуа, 1987: 36-48; დუნდუა, დუნდუა, 2009: 63-64*]. 1996 წელს, გონიო-აფსაროსის არქეოლოგიური შესწავლისას, გამოვლინდა მაკედონიაში ანტიგონე გონატას (277-239 წწ) სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტა [*არშალომიძე, 1999: 128-130*].

ელინისტური პერიოდი კოლხეთში ეკონომიკური აღმავლობის და გამოცოცხლების ხანაა. ძველი კოლხეთი, ერთი მხრივ, აგრძელებს ტრადიციულ კონტაქტებს ანტიკური სამყაროს სხვადასხვა, განსაკუთრებით კი ჩრდილო და სამხრეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქ სახელმწიფოებთან, მეორე მხრივ, ახალი სახმელეთო გზები იხსნება ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. კოლხი ვაჭრები უშუალოდ ჩაბმული ჩანან საერთაშორისო საზღვაო თუ სახმელეთო სავაჭრო ურთიერთობებში. თუ კლასიკურ ხანაში ათენი გამოდიოდა ჰეგემონის როლში, ელინისტურ პერიოდში უკვე სინოპე, ჰერაკლეა, პერგამონი, როდოსის ცენტრები აქტიურობენ. ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალმა საერთაშორისო სატრანზიტო გზამ, რომელიც რიონ-ყვირილას მაგისტრალით შუა აზიას, ბაქტრიას და ინდოეთს ანტიკურ სამყაროსთან აკავშირებდა [*კახიძე, ვაშაკიძე, 2010: 122*].

ისტორიულმა პროცესებმა ასახვა ჰპოვა ქვეყნის სამონეტო მიმოქცევაშიც. ელინისტური ხანიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ფულად მეურნეობაში ინტენსიურად ტრიალებს მცირეაზიულ ქალაქებში, საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონებსა და სირია-ეგვიპტეში მოჭრილი მონეტები [*ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021: 24-25*]. მათ შორისაა მაკედონია-თრაკიაში მოჭრილი საფასეებიც. ფილიპე II (359-336 წწ.) სახელით ამფიპოლისში (თრაკია); ლისიმაქეს (ძვ. წ. 305-281 წწ.), დემეტრიოს I პოლიორკეტესის (ძვ. წ. 294-288 წწ) სახელით ამფიპოლისის ზარაფხანაში ძვ. წ. 290-289 წწ., აბდერში ძვ.წ. III ს და ამფიპოლისში ძვ. წ. 187-131 წწ. მოჭრილი მონეტები ჩვენს რეგიონში აქამდე არ ყოფილა გამოვლენილი. ამდენად, მონეტების მეცნიერული მნიშვნელობა ამ მხრივაც საინტერესოა.

#### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

**დუნდუა, დუნდუა 2009:** - დუნდუა გ., დუნდუა თ., „ქართული ნუმისმატიკა“, თბილისი, 2006.

**ვარშალომიძე, ძნელაძე, 2021:** - ვარშალომიძე ი., ძნელაძე ნ., „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი“, ბათუმი, 2021.

**კახიძე, ვაშაკიძე, 2010:** - კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., „ელინიზმი და კოლხეთი“, ფიჭვნარი III, ბათუმი-ოქსფორდი, 2010.

**Дундуа, 1987:** - Дундуа Г. Ф., «Нумизматика античной Грузии», Тбилиси, 1987.

**Irine Varshalomidze, Nino Dzneladze (Batumi, Georgia)**

**Coins of the Kingdom of Macedonia  
Preserved in the Khariton Akhvlediani Museum**

Abstract

Numismatic material provides objective information for the study of the history of ancient Georgia. Ancient coins are found in large amount in the southwestern part of our country (Pichvnari, Tsikhisdziri, Gonio). Rich numismatic monuments of this period are kept in the Khariton Akhvlediani Museum of Ajara. The subject of our research is the coins minted in the Kingdom of Macedonia, in total 5 units. One of them is struck in the name of Philip II (359-336) at Amphipolis (Thrace); 1 – in the name Lysimachus (305-281 BC), 1 – Demetrius I Polyorcetes (294-288 BC) at the Amphipolis Mint in 290-289 BC, 1 – at Abdera in 3<sup>rd</sup> BC and one at Amphipolis in 187-131 BC.

Coins minted in the name of representatives of different dynasties of the Kingdom of Macedonia are found in Georgia in Vani, Svaneti, Reke (Zugdidi district), Pichvnari, Lentekhi, Partskhanakanevi (Tskaltubo district), Gulriphshi district, Tchiora (Oni district), Kutaisi, Mtskheta, Kvirila area, Kachreti district and Gonio.

Greco-Macedonian expansion did not directly affect the Eastern Black Sea littoral, but direct contacts with the Hellenistic states of the Mediterranean and the Black Sea still made Old Colchis in the realm of Hellenism. The Hellenistic period is a time of economic prosperity and revival in Colchis. Colchian merchants are directly involved in international maritime or land trade relations. This process was greatly facilitated by the international transit route through the territory of Georgia, which connected Central Asia, Bactria and India with the ancient world through the Rioni-Kvirila highway.

ტაბულა



მაკედონია, ფილიპე II (359-336 წწ.), ამფიპოლისი  
Macedony, Philip II (359-336 BC), Amphipolis



თრაკიის სამეფო, ლისიმაქე (ძვ. წ. 305-281 წწ.)  
Thracian Kingdom, Lysimachus (305-281 BC)



მაკედონიის სამეფო, დემეტრიოს I პოლიორკეტესი (ძვ. წ. 294-288 წწ.),  
მოჭრილია ამფიპოლისი ძვ. წ. 290-289 წწ.  
Kingdom of Macedonia, Demetrios I Poliorketes (294-288 BC), 290-289 BC,  
Amphipolis mint



თრაკია, აბდერი, ძვ.წ. III ს, სპილენძი.  
Thrace, Abdera, 3<sup>rd</sup> c BC, copper.



მაკედონია, ამფიპოლისი, ძვ. წ. 187-31 წწ., სპილენძი.  
Macedonia, Amphipolis, 187-31 BC, copper

## ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ისტორიისათვის

**აბსტრაქტი:** ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა 1936 წელს დაარსდა, რომლის დანიშნულება კვების მრეწველობის საწარმოების, უწინარესად ჩაის ფაბრიკების მანქანადანადგარებით და სხვა ტექნიკური მოწყობილობებით უზრუნველყოფა იყო. პირველი პროდუქცია 1936 წლის მეორე ნახევარში გამოუშვა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა სამხედრო პროდუქციის წარმოებაზე გადავიდა. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ დაიწყო კვების მრეწველობის საწარმოებისათვის მანქანა-დანადგარების გამოშვება. 1946-1950 წლებში სასაქონლო პროდუქცია ორჯერ და მეტად გაიზარდა.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მშენებლობის ახალი ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. 50-80-იან წლებში ქარხანაში შეიქმნა ახალი საამქროები, დაიდგა ახალი დაზგა-დანადგარები და სხვ. 1951-1985 წლებში ქარხნის საერთო პერსონალი 353-დან 1503-მდე, ხოლო მუშების რაოდენობა 224-დან 960-მდე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა – 55-დან 297-მდე გაიზარდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ამზადებდა 70-დან 80-მდე დასახელების პროდუქციას. ძირითადი იყო ჩაის, ღვინის, საკონდიტრო მრეწველობის მანქანა-მოწყობილობანი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ახალი სიძნელების წინაშე აღმოჩნდა. 90-იანი წლების ბოლოს მთლიანად დაიხურა და დაზგა-დანადგარები ჯართად გაიყიდა.

**საკვანძო სიტყვები:** ქარხანა, მრეწველობა, დანადგარები, პერსონალი, პროდუქცია.

**Key words:** Factory, Industry, Machinery, staff, products.

\* \* \*

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა საქართველოს ინდუსტრიის მნიშვნელოვანი საწარმოო ცენტრი იყო, რომლის დანიშნულებას შეადგენდა კვების მრეწველობის, უწინარესად ჩაის ფაბრიკების უზრუნველყოფა მანქანა-დანადგარებით და სხვა ტექნიკური მოწყობილობებით. ქარხნის დაარსების იდეა XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში დაიბადა. მისი დაარსება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საქართველოში კვების მრეწველობის დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო და განვითარების დიდი პერსპექტივები არსებობდა.

საბჭოთა კავშირის დროს მნიშვნელოვანი საწარმოების, ისიც მანქანათსაშენი ქარხნების დაარსება შესაძლებელი იყო საკავშირო მთავრობის ნებართვით. ამიტომ, საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ბათუმში მანქანათსაშენი ქარხნის დაარსების შესახებ საკითხი დააყენა საკავშირო მთავრობაში, მოთხოვნა დადებითად გადაწყდა.

საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის დაკვეთით შეადგინეს ქარხნის მშენებლობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მშენებლობა 1933 წელს დაიწყო და 1936 წლის ივნისში ექსპლოატაციაში შევიდა, თუმცა მშენებლობა სრულყოფილად დასრულებული არ იყო. ამის მიზე-



ზად დასახელებულია საშენი მასალებით არასაკმარისი მომარაგება და სამშენებლო პროექტში არსებული ხარვეზები. ამის გამო ვერ აითვისეს გამოყოფილი თანხები.

სიძნელეების მიუხედავად, ომამდელ პერიოდში შეიქმნა ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სამმართველო აპარატი, განყოფილებები და საამქროები. თავდაპირველად ქარხანაში 5 საამქრო მოეწყო: თუჯის საჩამომსხმელო, სამჭედლო, მექანიკურ-საამწყობრო, ინსტრუმენტალური და სამოდელეო. ომამდელ პერიოდში ექსპლუატაციაში შევიდა მუშათა საერთო საცხოვრებელი, სასადილო, სამედიცინო პუნქტი და სხვა. მოიკირწყლა და შემოიღობა ქარხნის ტერიტორია, რომლის ფართობი 16543 მ<sup>2</sup>-ს შეადგენდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს.4, ფურც. 10-29; ს.8, ფურც. 3-8]*. ომამდელ პერიოდში ჩამოყალიბდა სამრეწველო პერსონალი და სხვა კადრები. პირველი დაზგა-დანადგარები და სხვა ტექნიკური მოწყობილობანი ბათუმის თუჯის საჩამომსხმელო-მექანიკური ქარხნიდან გადაეცა, რომელიც 1936 წელს გაუქმდა. ამავე საწარმოდან მანქანათსაშენ ქარხანაში გადავიდა მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი. სპეციალისტები სხვა რეგიონებიდან და საწარმოებიდანაც მოიზიდეს. უკვე 1938 წლისათვის ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში 191 მუშა-მოსამსახურე ითვლებოდა: ინჟინრები, ტექნიკოსები, ეკონომისტები, ხარატები, ზეინკლები, მგლინავები, ინსტრუმენტალისტები, შემდუღებლები, მტვიფრავები და სხვა. ქარხნის ორგანიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს პირველმა დირექტორებმა ზ. ფირიაშვილმა, ბალანკოვმა და ა. მგალობლიშვილმა. ზ. ფირიაშვილი ქარხნის დირექტორი 1936-1937 წლებში იყო, ბალანკოვი – 1938-1946, ხოლო ა. მგალობლიშვილი – 1948 წლიდან 1952 წლამდე.

ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანას ომამდელ პერიოდში საკმარისი რაოდენობით არ ჰყავდა კვალიფიციური მუშები და ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები. მაგალითად, 1938 წელს ქარხანას აკლდა 104 სპეციალისტი. ამის გამო დაუკომპლექტებელი, ანდა სანახევროდ დაკომპლექტებული იყო ზოგიერთი ქვედანაყოფი. მაგალითად, ტექნიკური განყოფილება სპეციალისტებით საერთოდ არ იყო დაკომპლექტებული. ამის მიზეზი იყო აჭარაში დარგის კვალიფიციური სპეციალისტების ნაკლებობა, აგრეთვე არანორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები და დაბალი შრომის ანაზღაურება. ასეთ დროს მაღალი იყო მუშათა დენადობა, რაც წარმოების გეგმის შესრულებასა და პროდუქციის ხარისხზე მოქმედებდა.

მართალია, დაარსებიდანვე ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა კოოპერირებული იყო საბჭოთა კავშირის არაერთ რეგიონთან და საწარმოსთან. მათგან იღებდა დაზგა-დანადგარებს და ინსტრუმენტებს, წარმოებისათვის საჭირო მასალებს, ახდენდა პროდუქციის რეალიზაციას, მაგრამ სიძნელეები და პრობლემები მომარაგების სფეროშიც არსებობდა. ქარხანამ პირველი პროდუქცია 1936 წლის მეორე ნახევარში გამოუშვა. ეს იყო ჩაისა და ღვინის საწარმოთა მანქანები, სულ 6 დასახელების, რომელთა საერთო ღირებულება 1746 ათას რუბლს შეადგენდა. *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს.8, ფურც. 6-8]*. 1940 წელს ბათუმის მანქანათსაშენმა ქარხანამ 20-ზე მეტი დასახელების მანქანა დაამზადა. საერთო პროდუქცია 3,1 მილიონ რუბლამდე გაიზარდა. ქარხანამ წარმატებით აითვისა თუჯისა და ნაგლინის ჩამოსხმის ტექნოლოგია *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს.17, ფურც. 1-33]*.

ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში ახალი სიძნელეები და პრობლემები წარმოიქმნა 1941-1950 წლებში. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დროს ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში დაიწყო საბრძოლო იარაღებისა და სხვა საომარი ტექნიკის წარმოე-

ბა. ძირითადად ამზადებდნენ რევოლუციურებს, ბომბებს და კიდევ სხვა იარაღს. ამისათვის დაამონტაჟეს შესაბამისი დაზგა-დანადგარები. მაგრამ მათი განახლება ვერ მოხდა. ომის დასასრულს მწყობრიდან იყო გამოსული 57 ცალი დაზგიდან 20. მართალია, 1945 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქარხანამ შეიძინა სახარატო და სახეხი ჩარხები, მაგრამ, მთლიანობაში აღებული, 19 დასახელების ჩარხი ეკლო.

ომის დამთავრების შემდეგ ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა სამოქალაქო პროდუქციის წარმოებას დაუბრუნდა, მაგრამ კვლავ სიძნელეებს განიცდიდა, იმის გამო, რომ საკმარისი რაოდენობით არ ჰყავდა კვალიფიციური მუშახელი. ძირითადი და დამხმარე მასალებით მომარაგებაც არადაამკმაყოფილებელი იყო. 260 საერთო პერსონალიდან მუშა იყო მხოლოდ 153. მიუხედავად ამისა, 1945 წელს 4 თვის განმავლობაში დაამზადა 21 დასახელების მანქანა და სხვა მოწყობილობანი ჩაის ფაბრიკებისათვის.

ომისშემდგომ აღდგენით წლებში ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში ახალი საამქროები და საწარმოო უბნები არ შექმნილა. ძირითადად მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. ამისათვის 1946-1948 წლებში 1097 ათასი რუბლი დაიხარჯა. სიახლე ის იყო, რომ 1946 წელს გაიხსნა ბავშვთა ბაღი, მაგრამ, უსახსრობის გამო, დგამ-ავეჯითა და საკვები პროდუქტებით საკმარისად არ იყო უზრუნველყოფილი *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 25, 27, 55]*. მართალია, ქარხანაში მაღალი იყო მუშათა დენადობა, მაგრამ ომისშემდგომ აღდგენით წლებში მათი რაოდენობა არ შემცირებულა. 1949 წლისათვის ქარხნის საერთო პერსონალი 396 კაცს ითვლიდა. ძირითადად ქარხანაში მამაკაცები მუშაობდნენ, რომელთა რაოდენობა 3-ჯერ და მეტად აღემატებოდა ქალებს. ქარხნის კოლექტივის 70%-ზე მეტი 35 წლამდე ახალგაზრდები იყვნენ *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 47, 51, 56]*. მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივის ენერგიული მუშაობის შედეგად 1946-1950 წლებში სასაქონლო პროდუქცია 2144 ათასი რუბლიდან 4349 ათას რუბლამდე გაიზარდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 46, 298]*.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მშენებლობის ახალი ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. 50-80-იან წლებში საქართველოში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო მეჩაიეობის, მევენახეობის, მეციტრუსეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებში, შენდებოდა მათი გადამამუშავების საწარმოები. ამიტომ, მაღალი იყო მოთხოვნილება ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქციაზე. ასეთ პირობებში საკავშირო ხელისუფლების მიერ ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივის წინაშე დაისახა ახალი ამოცანები. ამ ამოცანების რეალიზაციისათვის XX საუკუნის 50-80-იან წლებში ქარხანაში განუწყვეტლივ მიმდინარეობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება, უწინარესად წარმოების რეკონსტრუქცია, გადაიარაღება, ახალი თაობის დაზგა-დანადგარებით უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურის განვითარება, საერთო და სამრეწველო პერსონალის თვისებრივ-რაოდენობრივი ზრდა, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება.

XX საუკუნის 50-იან წლებში ქარხანაში გაიხსნა ექსპერიმენტალური, საზინკლო-საამწყობო, სარემონტო-სამშენებლო საამქროები და მათი რაოდენობა 8-მდე გაიზარდა. განახლდა დაზგა-მოწყობილობანი, განხორციელდა სხვა ღონისძიებები, რის შედეგად 1951-1960 წლებში ქარხნის ძირითადი საწარმოო ფონდები 2,3-ჯერ გაიზარდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 52, 87, 104, 315]*. 1951-1955 წლებში ქარხანაში აითვისეს ახალი სახეობის 22 მანქანა-მოწყობილობა ჩაის, თამბაქოს მრეწველობის და სხვა

დარგებისათვის. ამის შედეგად წარმოება კიდევ მეტად გაიზარდა. ამას მოწმობს ისიც, რომ მხოლოდ 1960 წელს დაამზადეს კვების მრეწველობისათვის 25 დასახელების 2537 ცალი მანქანა-მოწყობილობა *[ასსცსა, ფ. რ-980, ან. 1, ს. 372, ფურც. 131-132]*.

60-იან წლებში დაიწყო ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის გენარალური რეკონსტრუქცია, რომელიც გაგრძელდა 80-იანი წლების ბოლომდე. ამ რეკონსტრუქციის შედეგად 1961-1970 წლებში ააშენეს ხის დამამუშავებელი, სარემონტო, საშემდუღებლო, საორთქმავლო-საქვაბე, არასტანდარტულ მოწყობილობათა და სამჭედლო უბნები. ტექნიკურად განახლდა და გაფართოვდა არსებული საამქროები და საწარმოო უბნები. 70-იან წლებში ექსპლუატაციაში შევიდა ახალი საამქროები. მათ შორის, აღსანიშნავია ფართო მოხმარების საქონლის საამქრო. მოხდა საამქროებისა და საწარმო უბნების ოპტიმიზაცია. 1980 წლისათვის ქარხანაში 16 საამქრო და საწარმოო უბანი ითვლება. 1946 წელთან შედარებით, 1980 წელს ქარხნის ავტოტრასპორტი 8 ცალიდან 49-მდე გაიზარდა. ქარხნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ციფრობრივ პროგრამული მართვის მოწყობა, რომელიც ექსპლოატაციაში 1985 წელს გადაეცა. მისი ამოქმედების შედეგად გაუმჯობესდა წარმოების დეტალების მექანიკური დამუშავება და ხარისხი *[„საბჭოთა აჭარა“, 16 აპრილი, 1987]*.

პროდუქციის მდგრადობის, სიმტკიცისა და ხარისხის სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქარხნის ლაბორატორია, რომელიც შედგებოდა მექანიკური, საზომი, ქიმიური, სანიტარიული და ნიადაგის შესწავლის განყოფილებებისაგან. 50-80-იან წლებში არსებითი ცვლილებები მოხდა ქარხნის ტექნიკურ აღჭურვაში. მოძველებული და ფიზიკურად მწყობრიდან გამოსული დაზგა-დანადგარები და სხვა ტექნიკური მოწყობილობანი ახლით შეიცვალა. ამ ცვლილებათა შედეგად 1970 წელს ქარხანაში ითვლებოდა 624 დაზგა მოწყობილობა. 1980 წელს მათი რაოდენობა 833-მდე, ხოლო 1982 წელს – 906 ცალამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაზგა-მოწყობილობათა მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებული და გაცვეთილი იყო *[ასსცსა, ფ. რ-980, ან. 1, სს. 50, 918, 1065]*.

ახალი საამქროებისა და საწარმოო უბნების, სასაწყობო მეურნეობის, ტრანსპორტის პარკის და სხვა დანაყოფების მოწყობისა და გაფართოების შედეგად ქარხნის საერთო ფართობი 1967 წელს 27107 მ<sup>2</sup>-მდე, ხოლო 1980 წელს – 60180 მ<sup>2</sup>-მდე გაიზარდა, რაც 1938 წლის მაჩვენებლის 3,6-ჯერ და მეტად აღემატებოდა *[ასსცსა, ფ. რ 980, ან. 1, სს. 535, 1065]*. ამასთან, ახალი დაზგა-დანადგარების დამონტაჟების, არსებული მოწყობილობის ტექნიკური განახლების შედეგად ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები 1972-1981 წლებში საკმარისი იყო 9,1 მილიონიდან 16,8 მილიონამდე რუბლის ოდენობის პროდუქციის წარმოებისათვის. მაგრამ აღნიშნულ წლებში ქარხნის საწარმოო სიმძლავრეები გამოყენებული იყო 72-89,4 %-ით *[ასსცსა, ფ. რ-980, ან. 1, სს. 208, 262<sup>ა</sup>, 1065, 1067]*. ამის ძირითადი მიზეზი იყო მასალებით არასაკმარისი მომარაგება.

XX საუკუნის 50-80-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა ქარხნის სტრუქტურებმა. შეიქმნა ნორმატივის, ტექნიკური ნორმირების, სტანდარტიზაციისა და ნორმალიზაციის ბიუროები. 1980 წლისათვის განყოფილებათა რაოდენობა 14 მდე გაიზარდა. ეს მაშინ, როდესაც 1945-1946 წლებში 5 განყოფილება ითვლებოდა. 80-იანი წლების ბოლოს ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში, სამმართველო აპარატის გარდა, 27 განყოფილება, ჯგუფი და ბიურო აღირიცხა. ბათუმის მანქანათმშენი

ქარხნის საწარმო-ეკონომიკური საქმიანობით განსაკუთრებული იყო ტექნიკური, ტექნოლოგიური, საკონსტრუქტორო, საგეგმო-ეკონომიკური, ტექნიკური კონტროლის და სხვა განყოფილებები. ქარხანაში მოეწყო ტექნიკური ბიბლიოთეკა, საერთო საქარხნო და სამაქროების კლუბები, შეიქმნა რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საზოგადოებები, 7 სახალხო სასამართლო და სახალხო კონტროლი ჯგუფი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის, როგორც ნებისმიერი საწარმოს, მშენებლობა და განვითარებაში გადაწყვეტი როლი შეასრულეს მუშა-მოსამსახურეებმა, კერძოდ ხელმძღვანელობამ, მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და სხვებმა. XX საუკუნის 50-80-იან წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მომუშავეთა შესახებ წარმოდგენას გვიქმნის 1-ლი ცხრილი *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 87, 315, 1382, 1525].*

ცხრილი 1

მაჩვენებლები	1951 წ.	1960 წ.	1970 წ.	1980 წ.	1985 წ.
1. სამრეწველო-საწარმოო პერსონალი მათ შორის:	338	573	1165	1220	1390
მუშები	224	413	830	877	960
ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები	55	96	215	249	297
მოსამსახურეები	25	30	70	63	64
მოსწავლეები	22	25	39	29	59
უმცროსი მომსახურე პერსონალი	2	2	2	2	2
დაცვა და სახანძრო მუშაკები	10	8	9	8	8
2. არასამრეწველო პერსონალი	55	66	67	77	113
3. საერთო მომუშავენი სულ	393	642	1232	1303	1503

როგორც ვხედავთ, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის საერთო პერსონალი სტაბილურად იზრდებოდა. მათი რიცხოვნობა 1951-1985 წლებში 3,8-ჯერ გაიზარდა. მართალია, ქარხნის პერსონალის რაოდენობრივ ზრდას ადგილი ჰქონდა ყველა ათწლეულში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია 1961-1970 წლები, როდესაც მომუშავეთა საერთო რიცხოვნობა ორჯერ გაიზარდა. ამასთან, 1951-1985 წლებში ქარხნის პერსონალის ყველა ჯგუფი დინამიურად იზრდებოდა და ყველა მათგანს თავისი წვლილი შეჰქონდა ქარხნის საერთო და სამრეწველო-ეკონომიკურ საქმიანობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამრეწველო მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წვლილი. 1951-1985 წლებში მუშების რიცხოვნობა თითქმის 4,3-ჯერ, ხოლო ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა 5,4-ჯერ გაიზარდა.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანაში სისტემატურად მიმდინარეობდა მუშების თაობათა ცვლა, ახალი კადრების მომზადება, კვალიფიკაციის ამაღლება. მაგალი-

თად, 1956 წელს მოამზადეს 64 ახალი კადრი, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლა 144 მუშამ. მომდევნო წლებში მუშათა ახალი კადრების მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება გაიზარდა. 1970 წელს მოამზადეს 124 მუშათა კადრი, ხოლო კვალიფიკაცია აიმაღლა 262 კაცმა. 1981-1985 წლებში, მთლიანობაში აღებული, კვალიფიკაცია აიმაღლა 1222 მუშამ, მოამზადეს 533 ახალი კადრი *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 189<sup>ბ</sup>, 745, 1543]*. მუშათა ახალი კადრების მომზადება იმით იყო განპირობებული, რომ კვლავ მაღალი იყო მათი დენადობა. ამასთან, ახალი თაობის ტექნიკის დანერგვა სისტემატურად იზრდებოდა.

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, მათ მიერ ახალი პროფესიის დაუფლების შედეგად გაიზარდა სხვადასხვა პროფესიის მუშების რაოდენობა. მაგალითად, 1973 წელს ქარხანაში 60 სპეციალობის მუშა აღირიცხა, ხოლო 1986 წლისათვის 80-ს აღემატებოდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს. 918, ფურც. 84, ს. 1430, ფურც. 17]*. 1970 წელს მუშათა საერთო კონტინგენტიდან პროფესიის მქონე სპეციალისტი იყო 430 მუშა (50%). პროფესიული მუშებიდან აღსანიშნავი არიან ხარატები, მღარავეები, ზეინკ-ლები, შემდუღებლები, მექვაბეები, მემოდელეები, მეყალიბეები, გამომდნობელი, მგლინავეები, მტვიფრავეები, მექანიკოსები, ელექტრომონტიორები, ამწყობები, მემ-წეები, მეტალურგები და სხვები. მუშათა დიდი ნაწილი თანრიგოსანი იყო.

რაოდენობრივ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების თვისებრივი მდგომარეობა. 1966 წლის ცნობით ქარხნის 166 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკიდან უმაღლესი განათლებით იყო 81 კაცი, ხოლო საშუალო სპეციალური განათლებით - 85. ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. ქარხანაში მუშაობდნენ აგრეთვე არაქართველი ინჟინრები და ტექნიკოსები: რუსები, ებრაელები, სომხები და სხვა ეროვნების ადამიანები *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს. 476, ფურც. 1-3, 7-9]*. 1985 წელს 297 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 181 კაცს, საშუალო სპეციალური - 129-ს. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსი კადრების შემადგენლობაში შედიოდნენ ტექნოლოგები, კონსტრუქტორები, ეკონომისტები, ოსტატები და სხვები.

XX საუკუნის 50-80-იან წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ხელმძღვანელობამ. მათ შორის უნდა გამოვყოთ დირექტორები: ი. ნოღაიდელი, გ. ცინცაძე, შ. კაცაძე, ე. გოგავა, ო. ჯანელიძე. მნელ პირობებში მოუწია მუშაობა ილია ხუსეინის ძე ნოღაიდელს, რომელიც ქარხანას სათავეში ედგა 1952-1960 წლებში. ამ წლებში საწარმოში განხორციელდა არაერთი ღონისძიება ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, საკადრო და სხვა მიმართულებით.

ნაყოფიერი ორგანიზატორული და შემოქმედებითი ტექნიკური საქმიანობით გამოირჩეოდა გიორგი ილიას ძე ცინცაძე, რომელიც ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში 1952 წლიდან მუშაობდა. იგი ქარხნის დირექტორი იყო 1962-1976 წლებში (მარტამდე). გ. ცინცაძის ხელმძღვანელობის დროს ბათუმის მანქანათსაშენმა ქარხანამ თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა ყველა მიმართულებით. ამ წარმატებული საქმიანობის გამო გ. ცინცაძეს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინრისა და რაციონალიზატორის წოდება, დაჯილდოვებული იყო ლენინისა და საპატიო ნიშნის ორდენებით. გ. ცინცაძე შეცვალა შ. კაცაძემ, ხოლო 1977-1986 წლებში ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის დირექტორი იყო ელგუჯა იასონის ძე გოგავა. თვალსაჩინო იყო ქარხნის მიღწევები ე. გოგავას დირექტორობის დროს. რთულ

ვითარებაში მოუწია მუშაობა ოთარ ჯანელიძეს, რომელიც ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის დირექტორი იყო 1986 წლის სექტემბრიდან საწარმოს ლიკვიდაციამდე.

არასაწარმოო პერსონალი, რომელთა რიცხოვნება 1951-1985 წლებში 2,2 და მეტჯერ გაიზარდა, დასაქმებული იყო საბინაო-საყოფაცხოვრებო, ჯანდაცვის, კულტურის, სკოლამდელი აღზრდის და სხვა დაწესებულებებში. მართალია, არასაწარმოო სფეროს მუშაკები უშუალოდ არ იყვნენ ჩართული მატერიალურ წარმოებაში, მაგრამ თავიანთი შრომით მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ წარმოების განვითარებაზე.

თავისი არსებობის მანძილზე ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში მომუშავეთა რამოდენიმე თაობა შეიკვალა. ძალზე მძიმე იყო ქარხნის მუშა მოსამსახურეთა პირველი თაობის შრომისა და ცხოვრების პირობები. ომამდელ, ომისა და ომისშემდგომ აღდგენით წლებში მუშა-მოსამსახურეებს შრომის მძიმე პირობები, დაბალი ხელფასი და არანორმალური საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდათ. 50-იან წლებშიც არსებითად არ შეცვლილა მდგომარეობა, მაგრამ ქარხნის კოლექტივი იტანდა გაჭირვებას და თავდადებულად შრომობდა.

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება მუშა-მოსამსახურეთა შრომის, საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ხელფასის მომატება. მაგრამ ამ მიმართულებით ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობდა და დიდხანს გაიწელა. მაგალითად, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1950 წელს არსებული 79 რუბლიდან 1962 წელს – 122, 1971 წელს – 127, ხოლო 1980 წელს – 158,6 რუბლამდე გაიზარდა. 1986 წელს ამ მაჩვენებელმა 192 რუბლი შეადგინა *[ასსცსა, ფ. რ-980, ან. 1, სს. 893, 1065, 1067, 1382]*. ქარხნის საერთო საცხოვრებელში შესაძლებელი იყო მუშა-მოსამსახურეთა მცირე ნაწილის განთავსება. მაგალითად, 50-იან წლებში ქარხნის საერთო საცხოვრებელში 60 ადამიანი ცხოვრობდა.

საკავშირო ხელისუფლებამ საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა ბინების მშენებლობისათვის შედარებით მეტი ყურადღება გამოიჩინა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან. საწარმოებს დაევალოთ მოგების ნაწილი გამოეყენებინათ საცხოვრებელი ბინების მშენებლობისათვის. 70-იან წლებში ბათუმის მანქანათსაშენმა ქარხანამ თავისი სახსრებით ააშენა სამი საცხოვრებელი სახლი, თითოეული 70 ბინიანი. ამ ბინებში შეასახლეს 189 ადამიანი. მიუხედავად ამისა, 1975 წელს ბინების აღრიცხვაზე იმყოფებოდა 200 ოჯახი *[ასსცსა, ფ. რ-980, ან. 1, ს. 893, ფურც. 98, 101]*.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. 1980 წლის დასაწყისში ქარხნის ბალანსზე იყო 8 საცხოვრებელი სახლი. ამ სახლებში, ოჯახის წევრებთან ერთად, 1396 მუშა-მოსამსახურე ცხოვრობდა. გარდა ამისა, ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ 6 მრავალბინიან სახლში, რომელიც ბათუმის საქალაქო საბჭოს ბალანსზე იყო, ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ნაწილი ცხოვრობდა. ცხადია, ყოველივე ეს მნიშვნელოვანი წარმატება იყო, მაგრამ, თაობათა ცვლის, მუშათა მაღალი დენადობის გამო საცხოვრებელი ბინები არასაკმარისი იყო.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში მნიშვნელოვანი მიღწევები იყო მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების დასვენების, გართობის და მკურნალობის საქმეში. ამ მნიშვნელოვან სფეროს პროფესიული კავშირების საქარხნო კომიტეტი ხელმძღვანელობდა. ქარხანაში კარგად იყო მოწყობილი

კვების საკითხი. სასადილოში მრავალფეროვანი კერძები მზადდებოდა და ფასებიც ხელმისაწვდომი იყო.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის ჩამოყალიბება, მათი რიცხოვნების გაზრდა, პროფესიული დაოსტატება მთავარი პირობა იყო წარმოების გადიდების, პროდუქციის ასორტიმენტისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის. თუ ომამდე, ომისშემდგომ აღდგენით წლებში ქარხანა ძირითადად აწარმოებდა ჩაისა და ღვინის მრეწველობისათვის მანქანა-მოწყობილობას, 50-იან წლებში დაიწყო სუბტროპიკული ხურმის სახმობი, პურ-ფუნთუშეულის საცხობი, ხორცის, რძის, თევზისა და ბოსტნეულის კონსერვების სტერლიზაციისათვის ავტოკლავეების წარმოება. ამასთან, 50-იან წლებში აწარმოეს ჩაის მრეწველობისათვის გაუმჯობესებული და ახალი მარკის მანქანები: ჩაის სახმობი ღუმელი, საღნობი ფიქსატორი, უწყვეტი მოქმედების როლერი, ჩაის დახარისხებისა და შენახვის მოწყობილობანი. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირში პირველად ბათუმის მანქანათსაშენ ქარხანაში შეიქმნა ვერტიკალური ავტოკლავეები, ჩაის შერევა-შეზავების მანქანა. უკვე 50-იანი წლების მეორე ნახევარში ქარხანაში აწარმოებდნენ 30-31 დასახელების მანქანა-მოწყობილობას.

პროდუქციის ასორტიმენტი კიდევ მეტად გაიზარდა 60-80-იან წლებში. მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისში ქარხანაში აწარმოებდნენ კვების მრეწველობის 6 დარგის 70 დასახელების პროდუქციას. 80-იან წლებში პროდუქციის ასორტიმენტი 80-ზე მეტი იყო. ძირითადი პროდუქცია იყო ჩაის, საკონსერვო და ღვინის მრეწველობის მანქანა-მოწყობილობანი. ამასთან, ქარხანა ამზადებდა მცირე რაოდენობით პურ-ფუნთუშეულის, თევზის და პარფიუმერიის მრეწველობის მანქანა-მოწყობილობებს *[ასსცსა, გ. რ-980, სს. 702, 893, 1382]*.

60-70-იან წლებში განხორციელდა ჩაის ფოთლის სახმობი, საღნობი, საწნეხი, უხეში ჩაის ფოთლის საჭრელი და სხვა მანქანების მოდერნიზაცია, რის შედეგადაც დაიწყო მათი სერიული წარმოება. ამ წლებში დაიწყო ეთერზეთების კონცენტრატების დაფასებისა და შეფუთვის, პურის ცომის დამრგვალების, ნახევრად ტკბილი ღვინოს პასტერლიზატორი, უწყვეტი მოქმედების ღვინის საწური მანქანა-მოწყობილობა. ძალზე მნიშვნელოვანია ჩაის ფოთლის გრების, ჭრისა და დახარისხების ახალი მოდერნიზებული ნაკადური ხაზის დამზადება, რომელიც დაიდგა ბათუმისა და ზუგდიდის ჩაის ფაბრიკებში. ამის შედეგად ავტომატიზებული გახდა ტექნოლოგიური პროცესები *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 702, 788, 893]*.

80-იან წლებში წარმოებული ახალი პროდუქციიდან აღსანიშნავია ღვინის ნარჩენების გადამუშავების ხაზი. იგი დაიდგა კრასნოდარის ღვინის ქარხანაში, რომლის ეკონომიკური ეფექტი საკმაოდ მაღალი იყო. ჩაის ექსტრაქტის წარმოების ნაკადური ხაზი დაიდგა შემახიის (აზერბაიჯანი) ჩაის ფაბრიკაში და ეკონომიკური ეფექტი ასევე საკმაოდ მაღალი იყო. ამავე წლებში შეიქმნა ტომატის წარმოების, კურკოვანი და თესლოვანი ხილის დაქუცმაცების აგრეგატები *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს. 1382, ფურც. 145]*.

ასევე მნიშვნელოვანი სიახლე იყო პლასტმასისაგან დეტალების წარმოება. ამ სახის დეტალების წარმოების მასშტაბი საგრძნობლად გაიზარდა 80-იან წლებში. ქარხანაში საკმაოდ გაიზარდა აგრეთვე ლითონის სხმულის წარმოება. მასში შედიოდა თუჯის, ნაგლინის, ფოლადის, ფერადი ლითონებისა და სხვა სახის ნაწარმი, რომელსაც აწვდიდნენ ქვეყნის სხვა საწარმოებს. ამრიგად, ბათუმის მანქანათსაშენმა

ქარხანამ დაარსებიდან 1994 წლამდე 272 დასახელების ნაწარმი გამოუშვა და საერთო პროდუქცია 78-ჯერ გაიზარდა.

ბათუმის მანქანათმშენი ქარხანა მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოტანილი ნედლეულითა და მაკომპლექტებელი მასალებით, რომლებიც მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი იყო. მაგალითად, 1972 წლის ცნობით ქარხანაში გამოიყენებოდა 7000 დასახელების მასალა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 702, 918, 1065]*. ისიც უნდა ითქვას, რომ სისტემატურად ირღვეოდა ნედლეულისა და მაკომპლექტებელი მასალების მიწოდების გრაფიკი და ეს ფაქტორი საგრძნობ უარყოფით გავლენას ახდენდა ქარხნის რიტმულ მუშაობაზე.

ბათუმის მანქანათმშენი ქარხანაში წარმოების რაციონალურად მოწყობის, დაზღვა-მოწყობილობათა გაუმჯობესების, ახალი პროდუქციის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გამომგონებლებმა და რაციონალიზატორებმა. მართალია, ტექნიკურ სიახლეთა დანერგვა ომისშემდგომ აღდგენით წლებშიც მიმდინარეობდა, მაგრამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მიღწევები იყო XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ქარხანაში შეიქმნა რაციონალიზატორთა და გამომგონებლობის საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია. ამ საზოგადოების წევრები 1965-1976 წლებში 37-დან 86-მდე აღწევდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს. 1067, ფურც. 107]*. ნოვატორებმა 1966-1980 წლებში შეიმუშავეს 919 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დაინერგა 436. ეკონომიკური სარგებელი კი 5,3 მლნ რუბლს უდრიდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 531, 1067, 1392]*. სარეკორდო იყო 1984 წლის მაჩვენებელი, როდესაც ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის ეკონომიკური ეფექტი 1,5 მლნ რუბლს შეადგენდა *[თურმანიძე, 2005: 347]*. რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს შორის გამოირჩეოდნენ გ. ცინცაძე, გ. ჭეიშვილი, შ. ჩაგუნავა, ვ. დოლიძე, პ. ბონდარენკო, ი. კალაშნიკი, ა. გოგავა, ო. ჯანელიძე, კ. პტოიანი, ა. კეკუა და სხვები.

ბათუმის მანქანათმშენი ქარხანა საკავშირო მასშტაბით საშუალო სიდიდის საწარმო იყო. ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით რენტაბერულ საწარმოს წარმოადგენდა. ომისშემდგომ აღდგენით წლებში (1946-1950) ქარხანამ წარმოების ომამდელ დონეს, სიძნელების მიუხედავად, 1,4-ჯერ გადაჭარბა. 50-80-იან წლებში მისი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაზედაც წარმოდგენას გვიქმნის მე-2 ცხრილი *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 87 298, 315, 372, 772, 1065, 1067, 1609]*

ცხრილი 2

მაჩვენებლები (ათასი რუბლი)	1951 წ.	1960 წ.	1970 წ.	1980 წ.	1985 წ.	1989 წ.
საერთო პროდუქცია	874,6	2375	6566	11928	18938	23362
სასაქონლო პროდუქცია	874,0	2370	6710	11954	17980	23362
რეალიზაცია	667,4	2370	6517	12408	18919	23050



1965 წლამდე წარმოების ძირითადი მაჩვენებელი იყო საერთო პროდუქცია, მაგრამ იგი არ ასახავდა რეალურ სურათს. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე შემოდიოდა სამრეწველო საწარმოთა მართვის, დაგეგმვის და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემა. ამის მიხედვით საწარმოს სამეურნეო, ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი გახდა სასაქონლო პროდუქცია, მისი რეალიზაცია, მოგება და რენტაბელობა. აღსანიშნავია, რომ 1951-1980 წლებში ქარხნის მოგება 17-ჯერ გაიზარდა (100 ათასი რუბლიდან 1736 ათას რუბლამდე). რენტაბელობის დონე 1970 წელს შეადგენდა 8,3%-ს, 1973 წელს – 14,0%, ხოლო 1975 წელს – 18,2%-ს *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს. 1067, ფურც. 158]*. მომდევნო წლებში რენტაბელობის მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალი იყო.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა ახალ სისტემაზე გადავიდა 1969 წელს. მართალია, საერთო და სასაქონლო პროდუქციას შორის დიდი განსხვავება არ იყო, მაგრამ სასაქონლო პროდუქცია, რეალიზაცია და რენტაბელობა რეალურად წარმოაჩენს საწარმოს ფინანსურ-ეკონომიკური საქმიანობის საერთო შედეგებს.

ამ მაჩვენებლების მიხედვით ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანას თვალსაჩინო მიღწევები ჰქონდა. 1951-1990 წლებში როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქცია 26-ჯერ გაიზარდა. აქედან 1951-1960 წლებში – 2,6 ჯერ, მომდევნო ათწლეულში 2,8 ჯერ, 1971-1980 წლებში – 1,8-ჯერ, 1981-1990 წლებში ამდენჯერვე. მაღალი მოთხოვნილების გამო ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია ყოველთვის წარმატებული იყო. აღსანიშნავია, რომ ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა მანქანა-მოწყობილობით მთლიანად უზრუნველყოფდა ჩაის ფაბრიკებს. 80-იან წლებში კი საბჭოთა კავშირში 100-მდე ჩაის ფაბრიკა ითვლებოდა. მათგან საქართველოში – 97, აზერბაიჯანში – 2, ხოლო რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეში – 1 ფაბრიკა.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა როგორც საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში. მაგრამ, ძირითადი მომხმარებელი საბჭოთა კავშირი იყო. საზღვარგარეთის ქვეყნებში ქარხნის პროდუქცია პირველად გაიტანეს 1956 წელს. თუ 1956 წელს ექსპორტი 228 ათასი რუბლი იყო, 1970 წელს 520,7 ათასი რუბლი შეადგინა. მომდევნო წლებში ექსპორტი ცვალებადი იყო. ქარხნის პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა ჩინეთში, ბირმამში, ვიეტნამში, კორეაში, ინდოეთში, ავღანეთში, მონღოლეთში, იემენში, თურქეთში, ალბანეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, არგენტინაში, კუბაში და სხვა ქვეყნებში *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, სს. 298, 507, 702, 918, 1065, 1382, 1524]*. მაგრამ, ექსპორტის ხვედრითი წილი საერთო პროდუქციაში 0,7%-დან - 7,1%-მდე აღწევდა.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის პროდუქციის რეალიზაციის მაღალი დონე აიხსნება არა მარტო დიდი მოთხოვნით, არამედ მაღალი ხარისხითაც. მაგალითად, 1982 წელს ხარისხისნიშნის პროდუქციის ოდენობა 56,1%-ს, ხოლო 1986 წელს – 70%-ს უდრიდა *[ასსცსა, გ. რ-980, ან. 1, ს. 1430, ფურც. 26; „საბჭოთა აჭარა“, 1 იანვარი, 1987]*.

ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივის ორგანიზაციაში საგრძნობი წვლილი შეჰქონდათ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. 1972 წლის მონაცემით ქარხნის პარტიულ ორგანიზაციაში 244 პარტიის წევრი იყო, ხოლო კომკავშირულ ორგანიზაციაში – 370 კომკავშირელი. მათი საქმიანობით ქარხნის კოლექტივი პოლიტიზირებული იყო, მაგრამ აღნიშნული ორგანიზაციები

გარკვეულ ზეგავლენას ახდენდნენ ადამიანის ფსიქოლოგიაზე, მათ შრომით განწყობაზე. ამ ორგანიზაციებს შორის გამოირჩეოდა პროფკავშირების საქარხნო კომიტეტი. მისი საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა შრომის, საბინაო-საყოფაცხოვრებო, კულტურული მომსახურების, გართობის, დასვენების, სპორტის და ჯანდაცვის პირობები.

გარდაქმნის პროგრამა, რომელიც საბჭოთა კავშირში 1987 წლიდან დაიწყო, ითვალისწინებდა საწარმოთა გადაყვანას თვითმმართველობაზე, სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითდაფინანსებაზე. ახალ სისტემაზე ბათუმის მანქანათსაშენი ქარხანა 1988 წლიდან გადადიოდა, მაგრამ ეკონომიკის გარდაქმნის პროგრამა ჩაიშალა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთიანი საკავშირო ბაზარი მოიშალა. ქარხანას აღარ მიეწოდებოდა ნედლეული და მასალები. ქარხნის ხელმძღვანელობის ყველა ცდა შეენარჩუნებინა წარმოება, უშედეგო აღმოჩნდა. 1995 წელს მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი უფასო შვებულებაში გაუშვეს. ბოლოს ქარხანა მთლიანად დაიხურა და დაზღა-დანადგარები ჯართად გაყიდეს.

ამრიგად, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის წვლილი ქვეყნის ინდუსტრიის, კერძოდ, ჩაის, ღვინის, საკონსერვო და მრეწველობის კიდეც სხვა დარგების განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ საწარმოში დამზადებული მანქანა-მოწყობილობათა ქარხანა-ფაბრიკებში დადგმა-დამონტაჟების შედეგად კვების მრეწველობის შესაბამისი დარგების წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამასთან, ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივმა ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წარმოების ტექნიკურ პროგრესში. ქარხანაში გამოიზარდა ტექნიკური ინტელიგენციისა და პროფესიულ მუშათა არაერთი თაობა. ქარხნის დაარსებითა და განვითარება-გაფართოებით გაჩნდა სამუშაო ადგილები, რომელთა რაოდენობა პერიოდულად იზრდებოდა. ამავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტში მნიშვნელოვანი ოდენობის თანხები შედიოდა. ცხადია, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩაის მეურნეობისა და მრეწველობის განადგურება და ამასთან დაკავშირებით ბათუმის მანქანათსაშენი ქარხნის ლიკვიდაცია დიდი შეცდომა იყო.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**ასსცსა, ფ. ი-980, ან. 1, ს. 4:** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-980, ანაწერი 1, საქმე №4. გამოყენებულია, აგრეთვე, ამავე ფონდის საქმეები: №№ 8, 17, 25, 27, 46, 47, 50, 51, 52, 56, 87, 104, 189<sup>ბ</sup>, 208, 262<sup>ბ</sup>, 298, 315, 372, 476, 507, 535, 609, 702, 745, 788, 893, 918, 1065, 1067, 1382, 1430, 1524, 1525, 1543.

**თურმანიძე, 2005:** – თურმანიძე ო., „სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომის შემდგომ პერიოდში (1946-1990 წწ.)“, ბათუმი, 2005.

**„საბჭოთა აჭარა“, 1 აპრილი, 1987** – გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1987 წლის 1 აპრილი.

**„საბჭოთა აჭარა“, 16 აპრილი, 1987** – გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1987 წლის 16 აპრილი.

**For the History of Batumi Machine-Building Factory**

Abstract

Batumi Machine-Building Factory was established in 1936, the purpose of which was to provide food industry enterprises, primarily tea factories with machinery and other technical equipment. The first products were released in the second half of 1936. These were machines for the tea and wine industry, totaling 6 denominations, amounting to 1746 thousand rubles. In 1940, the factory produced more than 20 machines, with a total output of 3.5 million rubles.

During the Soviet-German war, the Batumi Machine-Building Factory started producing military products. After the end of the war, the production of machinery for the food industry began again. In 1946-1950 the commodity production doubled and more than – 2144 thousand rubles to 4349 thousand rubles.

The new stage of construction of the Batumi Machine-Building Factory started in the XX 50s. In the 50s and 80s, new workshops, production areas, departments, transport, and warehousing were set up at the factory, new brand machines and other technical equipment were installed. Between 1951 and 1985, the total factory staff increased from 353 to 1503, and the number of workers increased from 224 to 960, and the number of engineering and technical workers from 55 to 297.

In the 60s and 80s of the XX century, the Batumi Machine-Building Factory produced 70 to 80 products. The main equipment was tea, wine, and confectionery. In 1951-1989, the commodity production increased from 874 thousand rubles to 23 million 362 thousand rubles – 26.7 times and more. But after the collapse of the Soviet Union, the Batumi Machine-Building Plant faced new difficulties. In the late 90's it was completely closed and the machines were sold as scraps.

## საგოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში პირველი მსოფლიო ომის წლებში

**აბსტრაქტი:** პირველი მსოფლიო ომში „სამთა კავშირის“ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიას. კავკასიაში გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ბათუმს. კავკასიის ფრონტის გახსნის შემდეგ ბათუმი გადაიქცა ფრონტისპირა ქალაქად, მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად. ომმა შეცვალა ბათუმის ცხოვრება, ახალი მოთხოვნები დააყენა ქალაქის წინაშე. ფრონტის სიახლოვემ გამოიწვია მიგრაციული პროცესები ბათუმსა და ბათუმის ოლქში. მკვიდრი მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დატოვა და საქართველოს სხვა რაიონს შეაფარა თავი. ბათუმს ჭარბად მოაწყდა ოსმალეთიდან დევნილი სომხები და ბერძნები.

მსოფლიო ომმა ახალი, რეალობის წინაშე დააყენა ბათუმში მოქმედი პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატი, სოციალ-ფედერალისტები და სხვები. ომის მანძილზე (1914-1918 წწ.) იცვლებოდა სამხედრო და პოლიტიკური ვითარება კავკასიაში, რაც შესაბამის გავლენას ახდენდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე ბათუმში.

აღნიშნული პრობლემის განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, პირველი მსოფლიო ომი, კავკასიის ფრონტი, ოსმალეთის იმპერია.

**Key words:** Batumi, First World War, Caucasus Front, the Ottoman Empire.

\*\*\*

1914 წლის აგვისტოში დაწყებულ პირველი მსოფლიო ომში ერთმანეთს დაუპირისპირდა გავლენისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა ორი დაჯგუფება – „სამთა კავშირი“ (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია) და „ანტანტა“ (ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი). „სამთა კავშირის“ გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა კავკასიას, მის რესურსებს და შესაბამისად ამ რეგიონიდან რუსეთის განდევნას. სწორედ გერმანიისა და მისი მოკავშირეების აღნიშნულმა გეგმებმა განსაზღვრა რევანშისტურად განწყობილი ოსმალეთის „სამთა კავშირთან“ დაახლოება და პირველ მსოფლიო ომში ამ დაჯგუფების მხარეზე მონაწილეობაც. მართალია ომის დასაწყისში ოსმალეთის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა დეკლარაცია ნეიტრალიტეტის შესახებ, მაგრამ პარალელურად საიდუმლოდ ხელი მოაწერა გერმანიასთან სამხედრო-სამოკავშირეო შეთანხმებას. რუსეთის მთავრობა ითვალისწინებდა რა ოსმალეთის ორმაგ პოლიტიკას, მოითხოვდა მისგან მობილიზაციის შეჩერებას, თუმცა უშედეგოდ. 1914 წლის 12 აგვისტოდან კავკასიაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

კავკასიის ფრონტის გახსნით და ოსმალეთის აქტიური შეტევით ამ მიმართულებით დაინტერესებული იყო ავსტრია უნგრეთის მთავრობა, მაშინ როცა გერმანია წინა პლანზე აყენებდა სუეცისა და საერთოდ ეგვიპტიდან ბრიტანეთის განდევნისათვის ბრძოლებში ოსმალეთის აქტიურ მონაწილეობას. „თურანის“ გეგმის განხორციელების სურვილით გამსჭვალული ოსმალეთის ხელისუფლება უმთავრეს ამოცანად ისახავდა კავკასიის დაპყრობას, აქედან ცენტრალურ აზიასა და ვოლგისპირეთ-

ში გაჭრას და თურქულენოვანი ტომებით დასახლებული აღნიშნული რეგიონების შემოერთებას. ამიტომაც, გერმანელი მოკავშირეების ინტერესების საწინააღმდეგოდ, პირველ მსოფლიო ომის მსვლელობის მთელ მანძილზე ოსმალეთის მმართველი წრეებისათვის კავკასიის საკითხი წარმოადგენდა საგარეო ექსპანსიონისტური პოლიტიკის ძირითად პრობლემას *[სქდსინ, 2008: 360]*.

კავკასიაში გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლაში დიდი სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ბათუმს. ამის თაობაზე კარგად ესმოდათ როგორც ოსმალეთის, ისე გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის სამხედრო თუ პოლიტიკურ წრეებს. ამიტომაც კავკასიის ფრონტის გახსნისთანავე თავიანთ სამხედრო შენაერთებს ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ბათუმის დაკავება დაუსახეს.

ოსმალეთის სარდლობა ბათუმს განიხილავდა ამიერკავკასიაში სამხედრო ოპერაციების ერთ-ერთ ძირითად პლაცდარმად, ამიტომაც შეტევისათვის მომზადებულ ჯარებს, ყარსის ძლიერი გამაგრების გამო ძირითად მიმართულებად ბათუმი განესაზღვრათ. „სამთა კავშირის“ სამხედრო სარდლობის მიერ იგეგმებოდა ბათუმის დასაუფლებლად დიდი საზღვაო დესანტის გადმოსხმაც, მაგრამ ბათუმს ძლიერი საფორტიფიკაციო სისტემის გათვალისწინებით ეს ჩანაფიქრი უპერსპექტივოდ ჩათვალეს და მასზე უარი თქვეს.

1914 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში ოსმალებმა ამიერკავკასიის საზღვრებთან, ერზერუმის რაიონში თავი მოუყარეს ძლიერ დაჯგუფებას (დაახლოებით 190 ათას მეომარს). მოკავშირეები ევროპის ფრონტზე შექმნილი მძიმე ვითარების გამო მოკავშირე ოსმალებისგან დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ კავკასიაში საბრძოლო ოპერაციების დაწყებას მაგრამ სულთანი ... მთავრობაში ომის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობის აზრის გათვალისწინებით თავს იკავებდა რუსეთთან ომის გამოცხადებაზე. მაშინ ენვერ-ფაშამ გერმანიის წარმომადგენელ სანდერსთან ერთად „მოახერხა“, რომ გერმანულ-ოსმალურმა ფლოტმა დაბომბა რუსეთის შავიზღვისპირა ქალაქები, რასაც 2 ნოემბერს რუსეთის მიერ ოსმალეთზე ომის გამოცხადება მოჰყვა. რუსეთისათვის თვალის ასახვევად მოკავშირეთა სარდლობამ გააგრძელა ხმები, რომ ბათუმის მიმართულებით არ იგეგმებოდა შეტევა და მხოლოდ „ჩეთეს“ რაზმები იმოქმედებდნენ. ეს დეზინფორმაცია რუსეთის სარდლობამ ირწმუნა და არ იზრუნა საზღვრის გამაგრებაზე.

ბათუმის მიმართულებით ოსმალეთის ძალები გაცილებით აღემატებოდნენ რუსეთის ნაწილებს. მათ ბათუმის ოლქს ორი ძირითადი მიმართულებით შემოუტყეს: ზღვის სანაპირო ზოლით ქ. ბათუმისკენ და ართვინის ოკრუგში, მურღულისა და ჩხალის ხეობებით. პირველი ეტაპი ოსმალთათვის წარმატებული აღმოჩნდა: ოსმალთა ძალებმა გერმანელი ოფიცრის შტანკეს მეთაურობით დაიკავეს ართვინი, არტანუჯი და არტანუჯი. რუსებმა უკან დაიხიეს ბათუმის მიმართულებითაც, მდ. აჭარისწყალი გადალახეს და ბათუმის მისადგომებთან გამაგრდნენ *[Пипия, 1978: 54]*. შავ ზღვაში შემოსულმა გერმანულმა კრეისერმა „გებენმა“ ბათუმს ყუმბარები დაუშინა *[«Искра», №48, 1914]*. მოკავშირეები ყველა ხერხით ცდილობდნენ გამოეწვიათ ადგილობრივი მოსახლეობის (მაჰმადიანთა) აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ოსმალებმა აჭარის სოფლებში აგიტატორები გაგზავნეს, ადგილობრივთ მოუწოდებდნენ „ჩეთეში“ გაწევრიანებისა და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მაგრამ ამას რაიმე სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია *[ასსესა, ფ. 1, ან. 1, ს. 708, ფურც. 43]*. ანტირუ-

სული აჯანყების პროვოცირებას ცდილობდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელიც [Басиля, 1968: 91]. თუმცა ოსმალთა და გერმანელთა ყველა ცდა ამაო გამოდგა. „ქართველი მაჰმადიანები საომარი მოქმედებების მთელი მსვლელობების მანძილზე რუსეთის ჯარებს უწევდნენ დახმარებას“ [სიორიძე, 2011: 91].

ოსმალთა პირველი წარმატებები ბათუმის ოლქში დროებითი აღმოჩნდა. რუსეთის არმია მალე, 1915 წლის იანვარში, შეტევაზე გადავიდა, მალე გაანადგურა შტანკეს რაზმი, აიღეს არტანნი, შემდეგ არტანუჯი, ხოლო 16 მარტს ართვინი. ამით დასრულდა ბათუმის ოლქის საზღვრებიდან ოსმალთა განდევნის პროცესი [„სახალხო ფურცელი“, №51, 1915]. მალე 18 აპრილს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს ტრაპიზონი. ომის პერიოდში ბათუმის ოლქი მეომარი მხარეებისათვის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება იყო. რუსეთის მრავალეროვნულმა სამხედრო ძალებმა, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველები შეადგენდნენ, არა მარტო ამ რეგიონის შენარჩუნება, არამედ ჭანეთისა და სხვა ისტორიული ქართული ტერიტორიების განთავისუფლებაც შეძლო [სცდსინ, 2008: 367].

პირველ მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტის გახსნის შედეგად ბათუმი გადაიქცა ფრონტისპირა ქალაქად, მნიშვნელოვან სამხედრო-საზღვაო ბაზად. ომმა არსებითად შეცვალა ბათუმის ცხოვრება, ახალი მოთხოვნები დააყენა ქალაქის წინაშე, მოითხოვა სამრეწველო-ეკონომიკური საქმიანობის გარდაქმნა. ომმა გამოიწვია მიგრაციული პროცესები ბათუმსა და ბათუმის ოლქში. მკვიდრი მოსახლეობის საკმაოდ ნაწილმა დატოვა საცხოვრებელი და საქართველოს სხვადასხვა რაიონს შეაფარა თავი. ასეთ ვითარებაში ბათუმს მოაწყდა ოსმალეთიდან დევნილ სომეხ და ბერძენთა მრავალათასიანი ჯგუფები. ადგილობრივი მოსახლეობის წასვლის მიზეზი საომარი მოქმედებების ასპარეზისგან განრიდებასთან ერთად რუსეთის ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი რეპრესიების აცილება იყო. მოსალოდნელი რეპრესიების საფრთხე გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცარიზმმა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობა „სახელმწიფო ღალატში“ დაადანაშაულა. მართალია ცალკეულ პირთა გადასვლა ოსმალეთის მხარეზე მართლაც მოხდა, მაგრამ ასეთი რამ ნებისმიერი ომის დროს ხდება. თუმცა მოსახლეობის ორგანიზებულ გამოსვლას რუსეთის წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია. პირიქით, ბათუმის ოლქის ნაწილის დატოვების შემდეგაც ადგილობრივი ეხმარებოდნენ რუსეთის სამხედრო ნაწილებს გზების გაწმენდაში, სურსათითა და იარაღით მომარაგებაში, ივარებდნენ სამხედროებს, სომეხ და ბერძენ დევნილებს და სხვა. ამის მიუხედავად, რუსეთის მთავრობამ აჭარა და მთელი სამაჰმადიანო საქართველო მოღალატედ გამოაცხადა [სცდსინ, 2008: 338]. ღალატის დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენეს აჭარის მოხალისეთა ქვეითი ბატალიონის შექმნის ჩაშლის საკითხი. ასეთ ბატალიონებს ცარიზმი მთელ კავკასიაში ქმნიდა. აჭარაშიც ამ მოწოდებას თავდაპირველად დადებითად შეხვდნენ, მაგრამ ომში ოსმალეთის ჩაშლის შემდეგ ვითარება შეიცვალა. ადგილობრივთათვის გაუგებარი იყო, რატომ უნდა წასულიყვნენ დასავლეთის ფრონტზე საბრძოლველად მაშინ, როცა საფრთხე უკვე მათ მშობლიურ მხარეს ემუქრებოდა. ბატალიონის შექმნის ჩაშლა ხელისუფლებამ გამოიყენა უმკაცრესი რეპრესიებისათვის და ამასთანავე კოლონიური ინტერესების განსახორციელებლად. რუსეთის მთავრობამ 1915 წელს დაადგინა ოსმალეთში გადახვეწილთა „სახელმწიფო ღალატში“ ბრალდებულ პირთათვის რუსეთის მოქალაქეობის ჩამორთმევა და მათ საკუთრებაში მყოფ მიწებზე

რუსი სამხედროების ჩამოსახლება *[სცსსა, გ. 13, ს. 3195, ფურც. 213]*. აღნიშნულ ბრალდებასა და ხელისუფლების დამსჯელ ღონისძიებებს მკვეთრად დაუპირისპირდა ქართველი საზოგადოებრიობა, მათ შორის სამუსლიმანო საქართველოს მოწინავე შვილები. მთავრობა იძულებული გახდა შეეწყვიტა სადამსჯელო ღონისძიებები, თუმცა „ღალატში“ ბრალდებულ მაჰმადიან ქართველთა საქმე ოფიციალურად მხოლოდ ცარიზმის დამხობის შემდეგ 1918 წლის იანვარში ამიერკავკასიის კომისარიატის გადაწყვეტილებით მოხდა. ამის შემდეგ დაბრუნდნენ ღალატის ბრალდებით მსჯავრდებული პირები სამშობლოში *[სცსსა, გ. 114, ს. 3, ფურც. 187-188]*.

პირველმა მსოფლიო ომმა რუსეთის იმპერიაში მოქმედი პოლიტიკური ძალები ახალი რეალობის წინაშე დააყენა. საერთო პარტიულ პოზიციას იზიარებდნენ როგორც საქართველოში, ისე ბათუმში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციები.

XX საუკუნის 10-იანი წლების საქართველოში ყველაზე გავლენიანი სოციალურ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია იყო. ისინიც მარქსისტები იყვნენ, აღიარებდნენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მაგრამ მოითხოვდნენ სამართლიან ზავს და თვლიდნენ რომ პროლეტარიატს უნდა დაეცვა სამშობლო. ომის დაწყების შემდეგ ქართველ სოციალ-დემოკრატებში გაძლიერდა ეროვნული თვითშეგნება, ისინი მიემხრნენ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საკითხს და მხარს უჭერდნენ რუსეთის იმპერიის დემოკრატიულ ქვეყნად გარდაქმნის იდეას.

ქართველი ბოლშევიკები ემხრობოდნენ თავიანთი პარტიის გენერალურ ხაზს, ომი მიაჩნდათ იმპერიალისტურად და უსამართლოდ, ამიტომაც მიაჩნდათ, რომ პროლეტარიატს იარაღი უნდა მიემართა საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ და მოეხდინა პროლეტარული რევოლუცია, რომლის შედეგადაც ყველა საკითხი სამართლიანად გადაიჭრებოდა. ამ მიზნით მოუწოდებდნენ ისინი ყველა ქვეყნის პროლეტარიატს შეერთებისაკენ. მაგრამ რომ არ დაეკარგათ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ერთა მხარდაჭერა, წამოაყენეს „ერთა თვითგამორკვევის“ ლოზუნგი.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თავიდანვე მოითხოვდა საქართველოში ავტონომიური მმართველობის შემოღებას, თუმცა უშედეგოდ. ომის დაწყების შემდეგ სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთაც სერიოზული ორგანიზაცია ჰქონდათ ბათუმშიც, მხარს უჭერდნენ ქართველთა მონაწილეობას ომში, რადგან მიაჩნდათ, რომ ხელისუფლება დააფასებდა ქართველთა წვლილს ომში და მისცემდა მას ავტონომიურ მმართველობას *[„ახალი ივერია“, 1914: 11]*.

ზემოთხსენებული პარტიებისგან მკვეთრად განსხვავებული იყო ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენელთა პოზიცია. მთავრობის მხრიდან ფართო ავტონომიის უფლების მინიჭებას ისინი უპერსპექტივოდ მიიჩნევდნენ და ერთადერთ გზად დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მიიჩნევდნენ. ამ ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი გერონტი ქიქოძე აცხადებდა : „ჩაგრული ერი პატივყრილი და იარაღყრილია. ამ ქვეყანაზე კი პატივის დაბრუნება საჭურვლით შეიძლება... დაჩაგრულნი ყოველთვის მარცხდებიან, თუ პირდაპირ და უმეკავშიროდ შეებრძოლებიან მჩაგვრელთ... დიდი სახელმწიფოების შეტაკება ყოველთვის ხელსაყრელია პატარა ერებისათვის და ეს უკანასკნელნი ადვილად ისარგებლებენ ომის ნაყოფით, როცა საღ და შორსმჭვრეტელურ პოლიტიკას ადგანან“ *[„სახალხო ფურცელი“, 1914: 91]*.

პირველი მსოფლიო ომის მანძილზე (1914-1918 წწ.) რამდენჯერმე შეიცვალა სამხედრო და პოლიტიკური ვითარება კავკასიაში, რაც შესაბამის გავლენას ახდენდა

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, პოლიტიკური პარტიების საქმიანობაზე.

1917 წელს რუსეთში თებერვლის რევოლუციის შემდეგ დასრულდა მონარქიის არსებობა და ძალაუფლება დროებითმა მთავრობამ აიღო, რომელმაც ამიერკავკასიაში ხელისუფლება განსაკურებულ კომიტეტს („ოზაკომს“) გადასცა. თებერვლის რევოლუციის დასაწყისში ამიერკავკასიაში შეიქმნა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოები, მათ შორის ბათუმშიც. აღნიშნული საბჭოები სცნობდნენ დროებითი მთავრობის ხელისუფლების ორგანოს კავკასიაში „ოზაკომს“, თუმცა ამ უკანასკნელის როგორც შემადგენლობა, ისე პრაქტიკული საქმიანობა ვერ გამოხატავდა საზოგადოების ინტერესებს *[გურული, ვაჩნაძე, 1999: 284]*. დროებითმა მთავრობამ მრავალეროვან რუსეთში პრაქტიკულად არაფერი გააკეთა ეროვნული საკითხის გადასაჭრელად. აღნიშნული ფუნქცია აიღეს განაპირა მხარეების ეროვნულმა პოლიტიკურმა პარტიებმა. საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწეს საკუთარი პროგრამების შემუშავება *[სიდამონიძე, 1970: 186-191; ბენდიანიშვილი, 1980: 206-208]*. ფაქტობრივმა ორხელისუფლებიანობამ შესაძლებლობა მისცა პოლიტიკურ პარტიებს განემტკიცებინათ პოზიციები ადგილებზე.

ბათუმში მოქმედი პოლიტიკური ორგანიზაციებიდან ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანი სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. 1917 წ. მარტში მის რიგებში ირიცხებოდა 1200 წევრი, შეიქმნა რსდმპ ბათუმის კომიტეტი, რომელსაც საბოლოო უზენების მიხედვით 5 რაიონული ორგანიზაცია ჰქონდა. სექტემბრისათვის ამ პარტიას ბათუმის ოლქში 8000 წევრი ჰყავდა *[ცეცეტარია, 1973: 13-15]*.

ბათუმში ძლიერი ადგილობრივი ორგანიზაცია ჰქონდათ ესერების (სოციალისტ-რევოლუციონერების) პარტიასაც. ბათუმელი სოციალ-დემოკრატებისა და ესერების ორგანიზაციების თაოსნობით 1917 წლის 13 ივლისს ბათუმში ჩატარდა მასშტაბური მიტინგი მიძღვნილი 4 ივლისს პეტერბურგში მთავრობის მიერ დემონსტრაციის დარბევისადმი.

თებერვლის რევოლუციით გამოცხადებული პოლიტიკური თავისუფლებით ისარგებლეს ბათუმელმა ბოლშევიკებმაც. ისინი მცირერიცხოვან, მაგრამ მეტად მობილურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. მათ დამოუკიდებელ ორგანიზაციად გაფორმება შეძლეს 1917 წლის ივნისში. ცდილობდნენ რა ახალგაზრდობის მიზიდვას, ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია „სპარტაკი“. ბოლშევიკთა სოციალურ ბაზას წარმოადგენდა უღარიბესი მუშები, ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რუსულენოვან მოსახლეობა, რომლებიც გამოირჩეოდნენ მემარცხენე შეხედულებებით *[სდსინ, 2008: 398]*.

პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობიდან ბათუმში აღსანიშნავია მათი აქტიურობა პროფესიული კავშირების ადდგენისა და მათში უპირატესობის მოსაპოვებლად.

რუსეთში ვითარება სწრაფად იცვლებოდა. 1917 წლის 25 ოქტომბერს პეტერბურგში ძალაუფლება ბოლშევიკებმა აიღეს. ბოლშევიკების საბჭოთა ხელისუფლება არ სცნო ოზაკომსს. 1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი. ბოლშევიკების მთავრობამ გამოსცა დეკრეტი „ზავის შესახებ“, რის შედეგადაც დაიწყეს საზავო მოლაპარაკებები გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. ერზინჯანის შეთანხმებით საომარი მოქმედებები კავკასიის ფრონტზე შეწყდა, ხოლო ბრესტის ზავის პირობებით ოსმალეთს მიეცა კავკასიაში ადრე დაკარგული ტერიტორიების



დაბრუნების შესაძლებლობა. ოსმალები ამას კარგა ხანია ელოდნენ. უკვე 1918 წლის დასაწყისში აჭარაში მომრავლდნენ თურქოფილები, რომლებიც ხალხს ოსმალეთის მხარეზე გადასვლას მოუწოდებდნენ... საწინააღმდეგო მუშაობას ეწეოდა ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მოსახლეობის პოლიტიკური შეგნების ამაღლებაში *[ზობიძე, 1995: 32]*.

ოსმალებმა მარტში ტრაპიზონში სამხედრო ძალების თავმოყრა დაიწყეს და 22 მარტს შეტევაზე გადმოვიდნენ. რუსეთის ჯარი ამ დროს დემორალიზებული, ხოლო ქართული ჯარი ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. ამრიგად, ოსმალთა შეტევის შეჩერება ფაქტიურად შეუძლებელი იყო. საფრთხე ბათუმს ემუქრებოდა. საქართველოს ეროვნული საბჭო ცდილობდა ბათუმის დასაცავად ღონისძიებათა გატარებას, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში შედეგს ვერ მიაღწია. 1918 წლის მარტის მიწურულს ბათუმი საომარი მდგომარეობის პირობებში ცხოვრობდა. 60 წლამდე ასაკის მამაკაცების მობილიზაცია გამოცხადდა. ბათუმის თვითმმართველობამ ხან-შიშესული მამაკაცები, საპატრულო-საპოლიციო სამსახურში გამოიწვია, ხოლო გამოთავისუფლებულნი ფრონტზე გააგზავნა *[ახსენა, გვ. 67, ან. 1, ს. 14, ფურც. 126]*. გაწეული ღონისძიებები საკმარისი არ აღმოჩნდა. 1 აპრილს ოსმალებმა ბათუმი დაიკავეს. მათ კონტროლი დაამყარეს ქალაქზე. „იმ დროისათვის ბათუმი დაცარიელებულ ქალაქს უფრო გავდა. ძველი მმართველობის აპარატის მნიშვნელოვანო ნაწილი გაიხიზნა საქართველოს სხვა კუთხეებში. რამდენადაც ქალაქის თვითმმართველობის ხმოსანთა დიდმა ნაწილმა დატოვა აჭარა, საჭირო გახდა სათათბიროს შევსება ახალი დეპუტატებით“ *[ზობიძე, 1995: 38]*.

ოსმალები ახდენდნენ ახალი ტერიტორიების ანექსიას. უშედეგოდ დამთავრდა ამიერკავკასიის დელეგაციის და ოსმალეთის მოლაპარაკებები ტრაპიზონში. ოსმალები ახალ მოთხოვნებს აყენებდნენ, რაც დაადასტურა ბათუმის კონფერენციამ. სარგებლობდნენ რა შექმნილი ვითარებით, ოსმალები ულტიმატუმის ფორმით მოითხოვდნენ ამიერკავკასიის ფედერაციისაგან ტერიტორიულ დათმობებს. ქართულმა მხარემ დახმარებისათვის გერმანიას მიმართა. ასე გადაწყდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა. 4 ივნისს ბათუმში გაფორმდა ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულება ოტომანთა იმპერიის მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას შორის. ამ ხელშეკრულებით ოსმალეთმა მიიკუთვნა სამხრეთი საქართველო, მთელი სამცხე საათაბაგო. ოსმალებმა 14 ივლისს აჭარაში ადგილობრივი მოსახლეობის ორიენტაციის დასადგენად უხეში დარღვევებით ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის შედეგები არ გამოხატავდა მოსახლეობის რეალურ ნებას. ოსმალეთის მთავრობა ამ გზით ცდილობდა ახლადშეერთებულ ბათუმსა და აჭარაზე თავისი უფლების დაკანონებას. ბუნებრივია, აჭარის მკვიდრნი არ ემორჩილებოდნენ ოსმალთა გადაწყვეტილებას და ირაზმებოდნენ მემედ აბაშიძის, რეჯებ ნიჟარაძის, ქემალ ნოლაიდელის, ჰაიდარ აბაშიძის და სხვა მამულიშვილთა გარშემო. განმათავისუფლებელი კომიტეტი მთელი სიცხადით ამხელდა საოკუპაციო რეჟიმის სიმკაცრეს და აუტანლობას *[ზობიძე, 1995: 57]*.

ასეთი მდგომარეობა ხანგრძლივი არ ყოფილა. დასრულდა პირველი მსოფლიო ომი, 1918 წლის ნოემბერში ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმი დამთავრდა, ხოლო დეკემბერში ბათუმში ინგლისის სამხედრო ძალები შემოვიდნენ. თუმცა ვერც

ვერსალის სისტემამ მოიტანა სასურველი მშვიდობა აჭარაში. მომდევნო წლებში ბათუმი კვლავ რჩებოდა დიდ ქვეყნებს შორის მეტოქეობის მთავარ ობიექტად.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა

- „ახალი ივერია“, 1914: – გაზეთი „ახალი ივერია“, 1914 წელი, №11.
- ასსცსა, ფ. 1, ან. 1, ს. 708 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1, საქმე №708.
- ასსცსა, ფ. 67, ან. 1, ს. 14 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 67, ანაწერი 1, საქმე №14.
- ბენდიანიშვილი, 1980: – ბენდიანიშვილი ა., „ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921 წწ.“, თბილისი, 1980.
- ზოსიძე, 1995: – ზოსიძე ნ., „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში“, ბათუმი, 1995.
- „სახალხო ფურცელი“, 1914: – გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1914 წ., №91.
- „სახალხო ფურცელი“, 1915: – გაზეთი „სახალხო ფურცელი“, 1915 წ., №31.
- სცსსა, ფ. 114, ან. 3, ს. 3 – საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველო, ფონდი 114, ანაწერი 3, საქმე № 3.
- სცსსა, ფ. 13, ან. 27, ს. 3193 – საქართველოს ცენტრალური საარქივო სამმართველო, ფონდი 13, აღწერა 27, საქმე №3193.
- სდსინ, 2008: – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, III, ბათუმი, 2008.
- სიორიძე, 2011: – სიორიძე მ., „ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან“, თბილისი, 2011.
- სიღამონიძე, 1970: – სიღამონიძე უ., „საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია“, თბილისი, 1970.
- ცეკიტარია, 1973: – ცეკიტარია ქ., „აჭარის კომუნისტური ორგანიზაციის ისტორიიდან“ (1917-1922), ბათუმი, 1973.
- «Искра», 1914: – газ. «Искра», 1914, №48.
- Пипия, 1978: – Пипия Г. В., «Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг.», Москва, 1978.
- Басиля, 1968: – Басиля Ш. И., «Закавказье вгоды первой мировой войны», Сухуми, 1968.

Jemal Karalidze (Batumi, Georgia)

### Socio-Political Situation in Batumi During the First World War

#### Abstract

The Caucasus played an important role in the plans of the "Triple Alliance" during the First World War. Due to its great military-strategic and economic importance in the struggle for influence in the Caucasus, Batumi was given the main role. After the opening of the Caucasus Front, Batumi became a frontline city, an important naval base. The war changed the life of Batumi, put new demands on the city. The proximity of the front led to

migration processes in Batumi and the Batumi district. A significant part of the native population left and took refuge in another region of Georgia. Batumi was overrun by Armenians and Greeks expelled from the Ottoman Empire.

The World War brought a new, reality to the political parties operating in Batumi: the Social Democrats, the Social-Federalists, and others. During the war (1914-1918) the military and political situation in the Caucasus changed, which had a related impact on the socio-political situation in Batumi.

The present paper is dedicated to the discussion of this problem.

Radoslaw Karasiewicz-Szczypiorski

(Warsaw, Poland)

Sulkhan Mamuladze

(Batumi, Georgia)

## EARLIEST BUILDINGS IN THE GONIO-APSARUS CASTELLUM

**Abstract:** *In the 2017 season, the Polish-Georgian Archaeological Expedition to Gonio-Apsarus continued to conduct its excavations within the Roman fort in the vicinity of the thermae dated to the second half of the 1st and the first half of the 2nd centuries. South of the room with the mosaic floor, stone stairs consisting of three steps were discovered, leading more or less to the level of the mosaic floor from a much lower utility level. A series of sondages done near the wall west of the aforementioned room have confirmed that originally the wall was fortified with four external buttresses. In addition, a ventilation hole has been preserved in the wall, which had been secondarily blinded using an irregularly-shaped stone. In various parts of the wall at the same height of the just mentioned hole, it is possible to observe stones that are the remains of the face of the earlier wall. A few preserved rows of such stones became part of the later foundations of the thermae. The listed details indicate that another building had previously occupied the spot later taken up by the baths. Based on the discovered architectural remains, it can be determined that this structure was a granary (horreum). The building was used for storing grain; thus, it must have had a floor located above ground level and well-ventilated from below. As a result, it was necessary for there to be stairs and ventilation holes. The buttresses fortified the walls of the storage facility, adapted for the purposes of keeping large amounts of grain.*

**Key words:** *Gonio-Apsarus, Roman period, Roman architecture, Roman artifacts.*

**საკვანძო სიტყვები:** *გონიო-ავსაროსი, რომაული პერიოდი, რომაული არქიტექტურა, რომაული არტეფაქტები.*

\*\*\*

The Polish-Georgian Archaeological Expedition to Gonio-Apsarus has been conducting fieldwork there since 2014. Excavations began with the verification of the geophysical survey taken two years earlier [*Misiewicz, 2012:117-122*]. Excavation sites were selected based on the results. During the first season, the research team led by the present author encountered the remains of three rooms, including a room with a mosaic floor [*Karasiewicz-Szczypiorski, 2014: 521-532*]. Further research confirmed that the discovered architectural relics are the remains of thermae from the second half of the 1st century AD, and that it remained in use in the first half of the 2nd century AD. The building was reconstructed once during this period [*Karasiewicz-Szczypiorski, 2016:404-406*].

In the 2016 season, it was possible to observe the first traces of the buildings which must have functioned in this spot before the thermae were erected [*Karasiewicz-Szczypiorski, 2016:53-63*]. Secondarily used stone blocks and architectural details were discovered within the oven that served to heat the rooms in the baths (the praefurnium). Very deepset foundations were uncovered by means of the sondage conducted in the southern wall of the room with the mosaic. With a few rows of exposed stones clearly visible, the remains of the walls of an earlier building have been preserved in these foundations.


The construction and utility levels next to the unidentified building from an earlier period were located ca. 1 m below the level of the mosaic floor. However, insufficient amounts of information were collected to determine what kind of building had been replaced by the *thermae*.



**Fig. 1A and 1B. Gonio (Sector NO 11, Square 93).  
Stone stairs by the southern wall of the room with the floor mosaic.**

In the 2017 season, the above-mentioned sondage south of the room with the mosaic floor was expanded. As a result, stairs consisting of three stone block steps were discovered (Fig. 1A and 1B). The steps led from the above-mentioned lowest utility level to a level slightly lower than the mosaic floor situated on the other side of the wall. The preserved remains of the wall indicate that in the time that the room with the mosaic floor was in use it was not possible to enter the room by these stairs. Additionally, stratigraphic observations indicate that the stairs had at that time been backfilled as a result of two subsequent acts that raised the floors of the building higher and hardened the surface with fine gravel (Fig. 2). Thus, the steps were not in use when the mosaic floor came into being just beyond the wall!

A cross section of the stairs next to the room with the mosaic floor: 1 – humus; 2 – substratum layer, similar in terms of its properties to layer 1; 3 – foundation of a Late Roman/Byzantine wall; 4 – layer linked to Phases 1 and 2 of the neighboring building (the *thermae*); 5 – levelling layer, probably linked to the destruction/reconstruction of the building from “Phase 0”; 6 – layer of gra-



**Fig. 2. Gonio (Sector NO 11, Square 93)**


vel – utility surface; 7 – layer with clay admixture – levelling layer; 8 – layer of gravel – utility surface; 9 – layer with clay admixture – levelling layer; 10 – stone blocks forming part of the stairs’ structure; 11 – layer of packed clay – construction layer and first utility level next to the building from “Phase 0”; 12 – layer of sand – levelling layer preceding the construction of the building from “Phase 0”; 13 – layer formed before the construction of the building from “Phase 0”; 14 – sand – barren soil; W16 – wall of the building from “Phase 0”, which was later restructured in its upper parts (Phases 1 and 2).

It has been confirmed that the (above-mentioned) fragment of very deepset foundations discovered a year earlier situated to the left of the stairs was a buttress added at the junction of the walls of the room with the mosaic (Fig. 3: 1). During the previous season, a similar buttress was also found to the north of the thermae rooms.

Elements of the building from Phase 2 (the thermae): 1 – pool (frigidarium); 2 – mosaic floor (apoditerium?). Remains of the oldest architectural phase “Phase 0” (in black): 3–8 – external buttresses attached to the walls W2, W4 and W16; 9 – wall W2.

The described findings led to the conducting of a series of architectural sondages along the western wall of the room with the mosaic and the room with a pool (Fig. 3: 2). On the external side of the just mentioned wall, the remains of yet another four buttresses were found built onto the junctions of the wall front (Fig. 3: 3-6).

The two Outer most abutments (Fig. 3: 3, 6; 4; 7) were 1.65 m and 1.50 m long. The two in between buttresses (Fig. 3: 4, 5; 5; 6) were somewhat shorter: 1.4 m and 1.0 m (if measuring from the aforementioned western wall). They were all 0.8-0.9 m wide; thus, this was the same width as the buttress found a year earlier next to the stone steps (Fig. 3: 8).



**Fig. 3. Gonio. Part of the excavations in Sectors NO 01 and NO 11**



**Fig. 4. Gonio (Sector No. 01, Square 98). Buttress by the Northern edge of wall W2. View from the south.**

Layers of exposed blocks from an older building, the remains of which had been backfilled, were also found in the uncovered fragments of the excavated wall's foundations (Fig. 4-7). Additionally, in the northern part of the wall, between the buttresses, a small hole was found that originally must have extended into the room on the other side and was later plugged up using an irregularly-shaped stone (Fig. 8).



**Fig. 5. Gonio (Sector NO. 01, Square 96). Buttress by wall W2. Second - counting from the north, view from the north.**

The collected data enable determining the function of the building constructed in the excavated area in the initial period after the arrival of the earliest garrison to Apsarus. It should be assumed that this occurred more or less in the mid-1st century AD, perhaps even while Nero was still in power [*Karasiewicz-Szczypiorski, 2016:62*]. The presence of a number of buttresses next to the above-mentioned western wall and the discovery of similar abutments by the northern and southern walls (Fig. 3: 1, 8) has enabled establishing an analogy for the discussed structure. Granaries erected inside forts during the Principate



period are buildings similar in plan and construction [Johnson, 1987: 106]. This hypothesis is supported by the finding of the hole (an air outlet) in the western wall, as well as by the discovery of the above-described steps. Both these elements are also characteristic for the horreum as its floor had to be raised above the ground to allow for the air circulation needed to dry the seeds [Johnson, 1987: 111-114].



**Fig. 6. Gonio (Sector NO 01, Square 94). Buttress by wall W2. Third - counting from the north, view from the south.**

The length of the discovered granary would have been the same as the joint length of the room with the mosaic floor and the room with a pool located further to the north, i.e. 18.4 m. Its width would have been equal to that of the room with the mosaic, i.e. 7.5 m (Fig. 3). Such dimensions allow for the presumption that another identical granary was located within the limits of the later bathing complex, directly to the east of the studied granary (Fig. 9: 1, 2).



**Fig. 7. Gonio (Sector NO 01, Square 93). Buttress by the Southern edge of wall W2. View from the north.**


The direction in which the described storage building was oriented is yet another interesting issue, especially if we assume that we are dealing here with an element of the construction of a typical fort built on the plan of a playing card. The localization of the



stairs to the south allows for the assumption that the *via principalis* was situated south of the granary (or granaries) (Fig. 9: 3). If so, the main gate (*porta praetoria*) could be also oriented towards the south in its earliest phase. It should be assumed that the *horrea* was situated in the direct vicinity of the gate through which supplies were delivered.




**Fig. 8.** *Gonio (Sector NO 01, Square 97). The face of wall W2 (view from the west). Visible ventilation hole secondarily blinded with an additional stone.*



**Fig. 9.** *Gonio. An attempt at reconstructing part of the fort from “Phase 0”: 1 – granary (horreum); 2 – the twin granary?; 3 – via principalis.*

The described discoveries shed some new light on the earliest stage of Roman army presence in Apsarus. There can be no doubt that the horreum constituted an element of the oldest construction phase (out of those observed thus far) within the fort. However, the conclusions resulting from this discovery concerning the plan and the orientation of the early fortifications should be treated with a great deal of caution, especially as they can be inconsistent with the results of the geodetic measurements and surveys conducted at the beginning of the 21st century by the Georgian-German expedition (Fig. 10) [Geyer, 2003]. Of course, the traces of the fortifications observed at that time may have belonged to the fort's next construction phase. These would have been completely different fortifications contemporary to the *thermae* constructed after the destruction of the discussed granary. The upcoming excavation seasons should make it possible to verify the hypothesis presented in this text.



**Fig. 10. Gonio (Apsaros).**

On the fig. 10 there is site plan from our perspective (after Geyer 2003, adapted by R. Karasiewicz-Szczypiorski, drawing O. Kubrak): 1 – settlement beyond the defensive walls (the vicus) – probable location; 2 – outline of early fortifications at the Apsaros fort; 3 – “western trench” (Sectors NO 01 and NO 11); 4 – supposed course of the western line of the early fortifications (new proposal, cf. Karsiewicz-Szczypiorski, Kakhidze 2015); 5 – Georgian-German “*principia*” trench.

### References:

- Gamkrelidze, 2014:** – Gamkrelidze G., *Archaeology of Roman Period of Georgia (Iberia-Colchis)*. Essay and Catalog. Tbilisi, 2014.
- Geyer, 2003:** – A. Geyer (ed.), *Neue Forschungen in Apsaros (2000–2002)*, Tbilisi 2003, Tafel 2, 2003.
- Johnson, 1987:** – Johnson A., *Römische Kastelle*, and Mainz 1987, fig. 106., 1987.
- Kakhidze, 2008:** – Kakhidze E., *Apsaros: A Roman Fort in Southwestern Georgia.*, In: P. G. Bilde/J. H. Petersen (eds), *Meetings of Cultures in the Black Sea Region: Between Conflict and Coexistence*. Aarhus, 303–332., 2008.
- Karasiewicz-Szczypiorski, 2014:** – Karasiewicz-Szczypiorski R., and Mamuladze S., with Jaworski P., and Wagner M., *Gonio (Apsaros) in Ajara: Excavation of a Roman Fort. Interim Report on the first Season of the Polish-Georgian Archaeological Expedition, Polish Archaeology in the Mediterranean XXV: Research*. 2014.
- Karasiewicz-Szczypiorski, 2016:** – Karasiewicz-Szczypiorski R., Mamuladz S., *Early Roman Baths in Apsaros (Gonio,Ajara)*, (in.) E. Khintibidz e, I. Makaradz e, T. Melikidz e, S. Guliashvili (eds.), *Proceedings of the Seventh International Symposium on Kartvelian Studies*, Tbilisi.
- Karasiewicz-Szczypiorski, 2016:** – Karasiewicz-Szczypiorski R., *Apsaros. Early Headquarters Building (principia). New location?*, In: *Pro Georgia* 26., 2016.
- Khalvashi, 2014:** – Khalvashi M., Aslanishvili L., *Flavius Arrianus and Roman Garrisons in Apsaros*, In: M. Giorgadze (ed.), *Proceedings of the International Conference “Humanities in the Information Society” II*. Batumi, 336–343 [in Georgian]. 2014
- Lekvinadze, 1969:** – Lekvinadze, V. A., *Pontijskij limes*. VDI 108, 75–93. 1969.
- Mamuladze, 2002:** – Mamuladze S., Khalvashi, M., Aslanishvili, L., *Rimskie garnizony Apsara*. VDI 1, 33–39. 2002.
- Misewic, 2012:** – Misewic ., Karasiewicz z-Szczypiorski R., *Gonio (Georgia). Noninvasive surveys of the Roman fort of Apsaros – 2012 Season*, “Światowit” X(LI)/A. 2012.
- Mitford, 1997:** – Mitford, T. B., “The Inscriptions of Satala (Armenia Minor).” *ZPE* 115, 137–167. 1997.
- Mócsy, 1992:** – Mócsy, A., *Pannonien und das römische Heer. Ausgewählte Aufsätze*. Stuttgart, 1992.
- Nélis-Clément, 2000:** – Nélis-Clément, J., *Les Benefi ciarii: militaires et administrateurs au service de l’empire (Ier s. a. C.–Ve s. p. C)*. Bordeaux, 2000.
- Ritterling, 1925:** – Ritterling E., *Legio*. In: *Paulys Realencyclopädie der classischen Altertumswissenschaft*, 12,2. Stuttgart, 1329–1829.,1925.
- Sarnowski, 1985:** – Sarnowski T., *Die legio I Italica und der untere Donauabschnitt der Notitia Dignitatum*. *Germania* 63, 107–127., 1985.
- Speidel, 2009:** – Speidel, M. A., *Les longues marches des armées romaines. Refl ets épigraphiques de la circulation des mili taires dans la province d’Asie au IIIe siècle apr. J.-C*. *CCG* 20, 199–210., 2009.
- Speidel, 2020:** – Speidel, R., Karasiewicz-Szczypiorski R., / Trusz K., (eds), *Roman Imperial Neighbourhood in Transcaucasia*. Warsaw, 2020.

**რადოსლავ კარასიევიჩ-სზიპიორსკი (ვარშავა, პოლონეთი)**  
**სულხან მამულაძე (ბათუმი, საქართველო)**

**ადრეული ნაგებობანი გონიო-ავსაროსის კასტელუმში**

აბსტრაქტი

2017 წელს, გონიო-ავსაროსის ქართულ-პოლონურმა ექსპედიციამ გააგრძელა სამუშაოები რამდენიმე უბანზე. მათგან განსაკუთრებით უნდა გავამახვილოთ ყურადღება ჩვ.წ. I საუკუნის მოზაიკიანი იატაკის მქონე ნაგებობის სამხრეთით მიმდინარე სამუშაოების შედეგებზე. მეტად საყურადღებოა უშუალოდ ამ ნაგებობაში შესასვლელი მასიური ქვის საფეხურების აღმოჩენა. აღნიშნული ნაგებობის დასავლეთით, უშუალოდ კედელთან გაკეთებულმა საინსპექციო თხრილმა დაადასტურა, რომ თავდაპირველად კედელი გამაგრებული იყო ოთხი გარე საყრდენით. გარდა ამისა, კედელში მიკვლეულ იქნა ამ დრომდე შემორჩენილ სავენტილაციო ხვრელს, რომელიც, მოგვიანებით ნაგებობის აღდგენის მცდელობისას უსწორმასწორო ფორმის ქვების გამოყენების გამო დახშულა.

კედლის სხვადასხვა ნაწილში, აღნიშნული სავენტილაციო არეს სიმაღლეზე, შესაძლებელია კედლის წყობაზე დაკვირვებაც, რომელიც ადრეული ნაგებობის კედლის ნაშთებია. სწორედ ასეთი ქვების რამდენიმე შემონახული რიგი გახდა, მოგვიანებით აქ აგებული აბანოების საძირკვლის ნაწილი.

აღმოჩენილი არქიტექტურული ნაშთების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობა იყო ერთგვარი საწყობი. შენობა გამოიყენებოდა მარცვლეულის შესანახად; მას უნდა ჰქონოდა იატაკი მიწის დონიდან ზემოთ, რომელსაც კარგად გამართული სავენტილაციო სისტემაც ჰქონდა. შედეგად, საჭირო გახდა კიბეები და სავენტილაციო ხვრელები. საყრდენები ამაგრებდნენ საწყობის კედლებს, რომლებიც ადაპტირებული იყო დიდი რაოდენობით მარცვლეულის შესანახად.

## შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში 1925 წელს

**აბსტრაქტი:** ნაშრომში შესწავლილია შავ ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობის მნიშვნელობა დასახელებულ რეგიონებში მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გაშლაში, რეგიონების მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლს მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებაში.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ დასახელებული რეგიონების მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში უფრო ფართო ხასიათის იყო (მას 400-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა), ვიდრე პირველი ყრილობა, რომელიც სოხუმში ჩატარდა 1924 წელს. ყრილობაზე წაკითხული 160-ზე მეტი მოხსენებიდან 30-მდე საკუთრივ ბათუმსა და აჭარაზე მოდიოდა.

ყრილობაზე წაკითხული მოხსენებები და მის საფუძველზე მიღებული დადგენილებები შეეხებოდა, პირველ რიგში, აჭარის ზღვისპირა ზოლში სუბტროპიკული კულტურების განვითარების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების, ზეპირსიტყვიერი ნიმუშების, წიაღისეული სიმდიდრეების გამოვლენასა და შესწავლას, აღმშენებლობის განვითარებას.

მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო დასახელებული რეგიონების სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში.

**საკვანძო სიტყვები:** შავი ზღვის სანაპირო, დასავლეთი კავკასია, ბათუმი, მხარეთმცოდნეობა, ყრილობა.

**Key words:** the Black Sea Coast, Western Caucasus, Batumi, the Study of Local Lore, Congress.

\*\*\*

უკანასკნელ ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ქალაქი ბათუმი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის სამეცნიერო ფორუმების ჩატარების თვალსაჩინო ფუნქციას იძენს. ასეთი ფორუმები ყოველწლიურდ ტარდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში, აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში თუ სხვაგან, სადაც განიხილება მოხსენებები საზოგადოებრივი და ბუნებათმეცნიერების სხვადასხვა პრობლემებზე.

ქალაქ ბათუმში სამეცნიერო ფორუმების ჩატარებას თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს. ამ ისტორიის საწყისად უნდა მივიჩნიოთ შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში 1925 წელს, რომელიც ათი დღის (25 სექტემბერი-5 ოქტომბერი) მანძილზე მიმდინარეობდა. ყრილობის მასალები იმავე წელს გამოქვეყნდა ბათუმში რუსულ ენაზე (იხ.: «Второй Краеведческий съезд Черноморского побережья и Западного Кавказа 1925 года. Постановления и Резолюции. Батуми, 1925»). პირველი ყრილობა 1924 წელს ჩატარდა ქალაქ სოხუმში.

ამ ყრილობების ჩატარებას წინ უსწრებდა სათანადო მოსამზადებელი მუშაობა. 1921 წლის დეკემბერში ჩატარდა მხარეთა შემსწავლელი საზოგადოებების პირველი სრულიად რუსეთის კონფერენცია, რომელზეც შეიქმნა მხარეთმცოდნეობის ბიურო. იგი 1925 წლამდე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებობდა. მას დაეკისრა ქვეყანაში სამხარეთმცოდნეო მოძრაობის განვითარების საკოორდინაციო ფუნქცია. უკვე 1923 წლის მარტისთვის ქვეყანაში 550-ზე მეტი მხარეთმცოდნეობითი საზოგადოება, წრე და მუზეუმი არსებობდა. 1924 წლის დეკემბერში მოწვეულ იქნა მხარეთმცოდნეთა მეორე საკავშირო კონფერენცია, რომლის შემდეგ მხარეთმცოდნეობითი ბიურო რუსეთის ფედერაციის განათლების სახალხო კომისარიატზე დაქვემდებარებულ დამოუკიდებელ დაწესებულებად გადაიქცა. ამიერიდან ქვეყნის მასშტაბით მხარეთმცოდნეობითი მუშაობა გაიშალა სახელმწიფო საგეგმო ორგანოებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და საზოგადოებრიობასთან კავშირში. 1921-1926 წლებში ქვეყანაში დაახლოებით 600-მდე მხარეთმცოდნეობითი ორგანიზაცია არსებობდა [Акимченков, 2012: 12].

სამხარეთმცოდნეო მუშაობის ფართოდ გაშლის მიზნით გადაწყდა ქვეყანაში ჩატარებულიყო საოლქო, საგუბერნიო და სამაზრო ყრილობები. სწორედ ამის გამოხმაურება იყო შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ყრილობები სოხუმსა (1924 წლის სექტემბერი) და ბათუმში (1925 წლის სექტემბერი-ოქტომბერი).

შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ბათუმის მეორე ყრილობა იყო საერთაშორისო მნიშვნელობის პირველი დიდი სამეცნიერო ფორუმი არა მარტო ბათუმისა და აჭარის, არამედ, საერთოდ, საქართველოში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციების ისტორიაში.

ყრილობა გაიხსნა 1925 წლის 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, ბათუმის მაშინდელი აკადემიური თეატრის შენობაში. იგი გახსნა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტისა და აჭარის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ იაკობ სულაბერიძემ, რომელმაც მისასალმებელი სიტყვა მისცა აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასარულელებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ოსმან მოწყობილს. მან დიდი აღფრთოვანება და კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ აჭარა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მასპინძლობდა მეცნიერთა ყრილობას, რომელმაც აჭარას უნდა მისცეს სასარგებლო რჩევები, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მან თავისი ბუნებრივი საწარმოო ძალები და განავითაროს ეკონომიკური და სულიერი ცხოვრება [Второй Краеведческий съезд, 1925: 1].

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს, აგრეთვე, საქართველოს მაშინდელი მთავრობისა და განათლების სახალხო კომისარიატის სახელით დავით კანდელაკმა და აჭარის მეცნიერული შემსწავლელი ორგანიზაციის თავმჯდომარემ დ.ქუთათელაძემ. მათ ხაზი გაუსვეს ყრილობის მნიშვნელობას აჭარის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, საერთოდ, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში [Второй Краеведческий съезд, 1925: 1].

შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა ბათუმში 1925 წელს უფრო ფართო წარმომადგენლობითი იყო, ვიდრე პირველი ყრილობა, რომელიც 1924 წელს ჩატარდა სოხუმში.

ყრილობას 400-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრებოდა არა მარტო საკუთრივ შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის, არამედ რუსეთის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის სხვადასხვა ქალაქებიდან.

ბუნებრივია, რადგან ყრილობა საქართველოში, კერძოდ ბათუმში ტარდებოდა, ყველაზე მეტი წარმომადგენლობაც ყრილობაზე აქედან იყო. მარტო ბათუმიდან ყრილობას ესწრებოდა 240-ზე მეტი დელეგატი, თბილისიდან – 106-ზე მეტი, ქუთაისიდან – 3, სოხუმიდან – 22, მოსკოვიდან – 17, ლენინგრადიდან – 12, კრასნოდარიდან – 6, ბაქოდან და ხარკოვიდან – 4-4, მაიკოპიდან, ვლადიკავკაზიდან, არმავირიდან – 2-2, იალტიდან, ნოვოროსიისკიდან, ნახიჩევანიდან, კრინიციდან, ყაზანიდან – თითო დელეგატი [*Второй Краеведческий съезд, 1925: 103-115*]. ყრილობის მონაწილეთა შორის იყვნენ მეცნიერების, განათლების, კულტურის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგის წარმომადგენლები. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ინჟინრები, გეოლოგები, ექიმები, პედაგოგები და ა.შ. განსაკუთრებით ბევრი პედაგოგი და ექიმი ესწრებოდა ბათუმიდან (პედაგოგი – 70-ზე მეტი, ექიმი – 50-ზე მეტი. იხ.: ყრილობის მონაწილეთა სია, რომელიც ერთვის ყრილობის დადგენილებებისა და რეზოლუციების წიგნს). ყრილობის დელეგატებს შორის 50-ზე მეტი ქალი იყო, რომელთაგან უმრავლესობას (36) ქართველი ქალები წარმოადგენდნენ.

ყრილობის ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებურება ის იყო, რომ მის მუშაობაში (ძირითადად სოფლის მეურნეობის სექციაში) პირველად მონაწილეობდა აჭარის გლეხობის წარმომადგენლობა 200-მდე კაცის რაოდენობით.

ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა თვით ყრილობის პრეზიდიუმისა და მისი სექციების სხდომების სახით. სულ ჩატარდა ყრილობის 8 სხდომა (5 ყრილობის პრეზიდიუმის, 2 პლენარული და ერთიც დასკვნითი სხდომა). მოხსენებები იკითხებოდა როგორც პრეზიდიუმისა და პლენარულ, ისე ძირითადად სექციების ხდომებზე. ყრილობაზე სულ წაკითხულ იქნა 160-ზე მეტი მოხსენება.

ყრილობაზე ექვსი სექცია მუშაობდა. ესენია: ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის; ბუნებათმეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და საკურორტო საქმის; სოფლის მეურნეობისა და სტატისტიკურ-ეკონომიკური; სამრეწველო-სამშენებლო; ორგანიზაციულ-მხარეთმცოდნეობითი და სახალხო განათლების. სექციებს ჰყავდა თავმჯდომარეები და სამდივნო 2-3 კაცის შემადგენლობით.

ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიოდნენ წარმომადგენლები თბილისიდან, აჭარიდან, სხვა რეგიონებიდან. თბილისიდან წარმოდგენილი იყვნენ: დიმიტრი უზნაძე, გიორგი ღამბარაშვილი, ანდრია რაზმაძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ამირეჯიბი, ილია ჯანდიერი, აგრეთვე, დავით კანდელაკი (საქართველოს მთავრობისა და განათლების კომისარიატი), ა.რუხაძე (საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო), აჭარიდან: ჰაიდარ ლორთქიფანიძე (ბათუმის კომუნალური სამმართველო), ჯემალ ქიქავა (აჭარის სამრეწველო ვაჭრობის სამმართველო), გრიგოლ ცქიტიშვილი (ბათუმის ბოტანიკური ბაღი), კ.ინგოროყვა (აჭარის ექიმთა საზოგადოება), იაკობ სულაბერიძე (აჭარის საგეგმო კომიტეტი), მიხეილ ფენსტერი (მედიცინის დოქტორი). ერთი წარმომადგენელი იყო აფხაზეთიდან (ვ.ანჩაბაძე – აფხაზეთის კურორტების დირექტორი).

ყრილობის პირველ სხდომაზე ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული იქნენ რუსეთის აკადემიის პრეზიდენტი ა.კარპინსკი, თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის ყოფილი პირველი რექტორი, დამსახურებული პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ოსმან მოწყობილი, აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე თახსიმ ხიმშიაშვილი.

მეორე დღეს, 26 სექტემბერს, აჭარის საგეგმო კომიტეტის შენობაში გაიმართა ყრილობის ახლად არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა, რომელსაც საქართველოს მაშინდელი სახკომსაბჭოს წარმომადგენელი და განათლების სახალხო კომისარი დავით კანდელაკი ხელმძღვანელობდა. სხდომამ მთავარ საკითხად განიხილა სექციების თავმჯდომარეთა მუშაობის შედეგების ყრილობის პლენარულ სხდომებზე მოსმენის შესახებ. სექციების თავმჯდომარეებს კი დაევალიათ სხდომებზე განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ აჭარაში სოფლის მეურნეობის (პირველ რიგში სუბტროპიკული კულტურების), მრეწველობის, მშენებლობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საკურორტო საქმის განვითარების საკითხებზე მსჯელობისათვის. ეს მართლაც ასე მოხდა, რაც კარგად აისახა ყრილობისა და სექციების სხდომებზე მიღებულ დადგენილებებსა და რეზოლუციებში.

შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ბათუმის მეორე ყრილობაზე ქართველ და არაქართველ ავტორთა რუსულ და ქართულ ენებზე წაკითხული 160-ზე მეტი მოხსენებიდან 30-მდე მოხსენება აჭარისა და ბათუმის საკითხებს შეეხებოდა. წაკითხულ მოხსენებებს თან ახლდა რეზიუმეები რუსულ ენაზე, რომლებიც შესულია ყრილობასა და სექციებზე მიღებულ რეზოლუციებსა თუ დადგენილებებში.

ყრილობის დამაგვირგვინებელი იყო მეოთხე დასკვნითი ხდომა, რომელიც 1925 წლის 1 ოქტომბერს, დღის პირველ საათზე, გაიმართა ბათუმის აკადემიური თეატრის შენობაში.

სხდომას თავმჯდომარეობდა ყრილობის პრეზიდიუმის წევრი, საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარე, იურისტი ხასან ლორთქიფანიძე. მან მოხსენებისთვის სიტყვა მისცა ყრილობის ორგანიზაციულ-მხარეთმცოდნეობითი და სახალხო განათლების სექციის თავმჯდომარეს, პროფესორ ალბერტ პინკევიჩს, რომელიც მოვლინებული იყო ყრილობაზე რსფრ განათლების სახალხო კომისარიატისა და მეცნიერების მთავარი სამმართველოს მიერ. მან სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ასეთივე მოწვევა მიღებული ჰქონდა რუსეთის განათლების სახალხო კომისარს ა.ლუნაჩარსკის, რომელმაც, სამსახურებრივი დაკავებულობის გამო, ყრილობაზე ჩამოსვლა ვერ მოახერხა.

ა.პინკევიჩმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა მხარეთმცოდნეთა ბათუმის მეორე ყრილობის მუშაობით და თავადაც წაიკითხა სამი მოხსენება მხარეთმცოდნეობითი მუშაობის საკითხებზე. მან აჭარის წარმომადგენლები რსფრ მხარეთმცოდნეთა მომავალ ყრილობაზეც მიიწვია. შემდეგ ა.პინკევიჩმა თავის სიტყვაში დასძინა: ჩვენთვის მხარეთმცოდნეობა არის მეცნიერების ფართო დემოკრატიზაციის ერთი საშუალება და ამ საქმეში, ვიდრე ნებისმიერ სხვა მეცნიერულ მუშაობაში, საჭიროა ურთიერთკავშირი, აზრების ურთიერთგაზიარება. ბოლოს მან გამარჯვება უსურვა აჭარის და მთელი შავიზღვისპირეთისა და დასავლეთი კავკასიის მხარეთმცოდნეებს და მადლობა გადაუხადა აჭარისტანის მთავრობას სტუმართმოყვარეობისათვის, ხოლო ყრილობის განმკარგულებელ კომიტეტსა და მის თავმჯდომარეს ი.სუ-



ლაბერიძეს ყრილობის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებისათვის *[Второй Краеведческий съезд, 1925: 26-27]*.

დასკვნით სხდომაზე სიტყვით გამოვიდა, აგრეთვე, უკრაინის მხარეთმცოდნეთა ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ალექსანდრე ლაზარისი. მან ხაზი გაუსვა ყრილობის დიდ მნიშვნელობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა აჭარაში მხარეთმცოდნეობის განვითარებას მეცნიერების საფუძველზე და რწმენა გამოთქვა, რომ ქართული მეცნიერებისა და ადგილობრივი ორგანოების უნარიანი ხელმძღვანელობით მხარეთმცოდნეობის საქმე აჭარაში სწორი გზით წარმართება და გავლენას მოახდენს ამ მშვენიერი მხარის კულტურულ და ეკონომიკურ აღორძინებაზე *[Второй Краеведческий съезд, 1925: 27]*.

ა.პინკევიჩისა და ა.ლაზარისის გამოსვლების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო მისალმებები ყრილობისადმი, რომლებიც გამოგზავნეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა სამეცნიერო, სასწავლო და სახელმწიფო დაწესებულებებმა თბილისიდან, ბათუმიდან, ლენინგრადიდან, ბაქოდან, ყირიმიდან, მოსკოვიდან, აფხაზეთიდან, აზერბაიჯანიდან, ყუბანიდან, ადიღედან, ულიანოვსკიდან და ა.შ.

მისალმებების გაცნობის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ხასან ლორთქიფანიძემ. მან ხაზი გაუსვა ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას საერთოდ მხარეთმცოდნეობის განვითარებაში და კერძოდ, აჭარის ცხოვრებაში. ყრილობის ერთ-ერთ მთავარ მიღწევად მან ჩათვალა ის ძრითადი პრინციპები, რომლებიც შემუშავებული და მიღებული იყო ყრილობის სხდომებისა და სექციების რეზოლუციებში და მიუთითა იმ გზებზე, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს ამა თუ იმ მხარის შესწავლა. ყრილობის მეორე მთავარ მიღწევად ხ.ლორთქიფანიძემ ის დაასახელა, რომ ყრილობის სექციები თავისი მუშაობით დაუახლოვდნენ აჭარის მრომელ გლეხობას, მეცნიერთა მოხსენებები კარგად ესმოდათ გლეხებს, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ კამათში და სვამდნენ შეკითხვებს, რაზეც იღებდნენ დამაკმაყოფილებელ პასუხებს. დასასრულ ხასან ლორთქიფანიძემ თქვა: „ყრილობის დადგენილებებმა და თვით ყრილობამ დიდი ბიძგი მისცა ხალხის გათვიცნობიერებას. ჩვენ საკუთარი თვალთ ვნახეთ ჩვენი გლეხობა, რომელიც ნაყოფიერ მონაწილეობას ღებულობდა ყრილობის მუშაობაში“ *[Второй Краеведческий съезд, 1925: 29]*. ბოლოს, ხ.ლორთქიფანიძემ ყრილობას მიულოცა მიღწევები და მადლობა გადაუხადა მას გაწეული მუშაობისთვის. ამით მან შავი ზღვის აუზისა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ბათუმის მეორე ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

ყრილობის ერთ-ერთი მონაწილის, მაშინ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის, შემდეგში ფართოდ ცნობილი მეცნიერი ბოტანიკოსის, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის სიტყვით, ყრილობა დაიხურა, მაგრამ დელეგატებს უძნელდებოდათ წასვლა. მათ ნახეს სარფი, გონიო, ქობულეთი, მწვანე კონცხი, სამეცნიერო დაწესებულებები, საუბრობდნენ გლეხობასთან მუშებთან“ *[კეცხოველი, 1978: 55]*.

ნიკო კეცხოველს მხედველობაში ჰქონდა სპეციალური სამდღიანი ექსკურსიები, რომლებიც ყრილობის დახურვის შემდეგ მოეწყო ჩამოთვლილ ადგილებში 1925 წლის 2-4 ოქტომბერს. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა ექსკურსიებმა მახუნცეთში, აჭარისწყლის მშენებარე ჰიდროელექტროსადგურში (75-კაციანი ექსკურსია, 2 ოქტომბერი), ბათუმის ბოტანიკურ ბაღსა და ჩაქვის სახალხო მამულში,

ჩაის პლანტაციებში (100-კაციანი ექსკურსია, 3 ოქტომბერი), გონიოსა და სასაზღვრო სოფელ სარფში (150-კაციანი ექსპედიცია, 4 ოქტომბერი). ბათუმიდან გონიომდე ექსკურსანტები გადაიყვანა ბათუმის სადგურის სამმართველოს ორმა მოტორიანმა გემმა და ერთმა საზღვაო ნავმა კაპიტან დ.გედევანიშვილის მეთაურობით. გონიოში მათ დაათვალიერეს ძველი ციხე-სიმაგრე. აქედან ფეხით გაემართნენ სოფელ სარფის დასათვალიერებლად, საიდანაც ბუქსირიანი გემით („წითელი ბათუმი“) საღამოს 7 საათზე ბათუმში დაბრუნდნენ. საექსკურსიო მარშრუტი ზემო აჭარის, კერძოდ სხალთის დათვალიერებასაც ითვალისწინებდა, მაგრამ იგი არ შედგა, რადგან 3-დღიანი ექსკურსიის შედეგად გადაღლილმა მონაწილეებმა ამაზე უარი განაცხადეს.

ექსკურსიებმა ყრილობის მონაწილეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

აქვე მკითხველს გვინდა მიაწოდოთ კიდევ ორი სხვა ღონისძიების შესახებ, რომლებიც ყრილობის მონაწილეთათვის გაიმართა ყრილობის დაწყებამდე. პირველია იყო ბანკეტი, რომელიც ჩამოსული სტუმრებისთვის გაიმართა 1925 წლის 25 სექტემბერს, დღის პირველ საათზე, ბათუმის პარტიული კლუბის შენობაში. ბანკეტს, რომელსაც 300 კაცი ესწრებოდა, ხელმძღვანელობდა აჭარის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე იაკობ სურგულაძე. იგი ბანკეტის მონაწილეებს მიესალმა ყრილობის საორგანიზაციო კომიტეტის სახელით, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. შემდეგ აჭარისტანის მთავრობის სახელით ბანკეტზე სიტყვები წარმოთქვეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარისა მოადგილემ იოსებ ბრეგაძემ.

ეს არ იყო ჩვეულებრივი ბანკეტი, რომელსაც ჰყავს თამადა, მოადგილეები და წარმოითქმება ასევე ჩვეულებრივი სადღეგრძელოები. ბანკეტი ნამდვილ მეცნიერულ ვითარებაში ჩატარდა. ბანკეტზე სიტყვებით გამოვიდნენ, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის განათლების კომისარიატის სახელით მოსკოვის მეორე სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალბერტ პინკევიჩი, რუსეთის აკადემიის სახელით კი ბანკეტზე სიტყვები წარმოთქვა ამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ლევ შტერნბერგმა. ქართველი მეცნიერების სახელით ბანკეტზე სიტყვები წარმოთქვეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა დიმიტრი უზნაძემ, ანდრია რაზმაძემ, კორნელი კეკელიძემ *[Второй Краеведческий съезд, 1925: 6]*.

მეორე, მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელიც ყრილობამდე ჩატარდა, იყო ყრილობის მონაწილეთათვის და დაინტერესებული საზოგადოებრიობისათვის მოწყობილი მხარეთმცოდნეობითი გამოფენა. იგი მოაწყო აჭარისტანის მთავრობის მიერ შექმნილმა ყრილობის განმკარგულებელმა კომიტეტმა ბათუმის კომუნალური მეურნეობის სახლში. გამოფენის ორგანიზაცია გააკეთა ამ მიზნით შექმნილმა სპეციალურმა საგამოფენო კომიტეტმა, რომელსაც ხასან ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო არა მარტო ადგილობრივი, არამედ საქართველოს ზოგიერთი სხვა რაიონის წარმოება-დაწესებულებები და მათი ნაწარმი. განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი სუბტროპიკული კულტურების ნიმუშები ჩაქვის სახალხო მამულიდან, ბათუმის ბოტანიკური და საქალაქო ბაღების სამმართველოდან, ასევე ბათუმის კუსტარული მრეწველობის, აჭარის მესაქონლეობის, მეფუტკრეობის ამსახველი მასალები, რძის პროდუქტები აჭარის მიწათმოქმედების კომისარიატის სოფლის მეურნეობის განყოფილებიდან. გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატებმა (საოჯახო ინვენტარი,

მუსიკალური ინსტრუმენტები, ფოტოილუსტრაციები), ვალერიან ილიუშინის მიერ საღებავებით შესრულებულმა ესკიზებმა და ჩანახატებმა და ა.შ. გარეშე დაწესებულებებიდან გამოფენაზე მონაწილეობას ღებულობდნენ აფხაზეთის მიწათმოქმედების კომისარიატი, თბილისის სასწავლო თვალსაჩინოების ხელსაწყოთა ინსტიტუტი, სამთო კომბინატის შრომის ქარხანა *[Второй Краеведческий съезд, 1925: 99]*.

გამოფენამ ყრილობის მონაწილეებზე, ჩვეულებრივ დამთვალიერებლებზე დიდი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. გამოფენა 9 დღის განმავლობაში გრძელდებოდა. იგი 39 963 კაცმა დაათვალიერა.

ყრილობის მუშაობის ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა ის იყო, რომ მასში აქტიურად მონაწილეობდა აჭარის გლეხობა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ყრილობაზე განხილული საკითხების დიდი ნაწილი აჭარის განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა საკითხებთან ერთად სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საკითხებს შეეხებოდა. ყრილობას გახსნის დღიდან ორასამდე გლეხი ესწრებოდა. მათ მონაწილეობაზე ყრილობის მუშაობაში ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის ხემძღვანელობამ წინასწარ მიიღო გადაწყვეტილება. გლეხები ჯგუფ-ჯგუფად მორიგეობით ესწრებოდნენ სხვადასხვა სექციის, პირველ რიგში სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, მშენებლობისა და სახალხო ჯანმრთელობის სექციების სხდომებზე, სადაც ისინი იძლეოდნენ ზეპირ და წერილობით კითხვებს და ყველა მათგანზე ამომწურავ პასუხებს ღებულობდნენ *[Второй Краеведческий съезд, 1925: 111]*.

შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკაიის მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობამ, რომელიც 1925 წელს ჩატარდა ბათუმში, მთელი რიგი მეტად მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღო რეგიონების სახალხო მეურნეობის დარგების, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

ამ დადგენილებებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც აჭარასა და ქალაქ ბათუმს შეეხება. ამათგან პირველ რიგში აღსანიშნავია დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავდა დაუყოვნებელი სამუშაოების ჩატარებას სიძველეთა და ხელოვნების ძეგლების რეგისტრაცია-აღრიცხვისა და ფიქსაციისათვის (გაზომვა-ფოტოგრაფირება, ჩახატვა). ყრილობამ ასევე სასურველად ჩათვალა კედლის წარწერების შესწავლა და აჭარის არქეოლოგიური რუკის შედგენა, მუშაობის დაწყება აჭარის ზეპირსიტყვიერების ძეგლების შესწავლისა და გამოცემისათვის. ამ ღონისძიებათა განხორციელება დაისვა ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის სექციის სხდომაზე, რომელსაც პროფესორი კორნელი კეკელიძე ხელმძღვანელობდა. ამ სექციაში მონაწილეობდნენ აგრეთვე აკაკი შანიძე, როგორც თანათავმჯდომარე და სიმონ ჯანაშია, როგორც სამკაცციანი სამდივნოს წევრი.

ყრილობისა და სექციების სხდომებზეც ასევე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა სხვა საკითხებზეც: 1. აჭარის ზღვისპირა ზოლში პერპექტიული სუბტროპიკული კულტურების (ციტრუსები, ჩაი) როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგის განვითარება მოსახლეობაში შესაბამისი აგროტექნიკური ცოდნის შეტანით; 2. აჭარის სოფლის მეურნეობისა (მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა) და მრეწველობის, კოოპერაციის, სატყეო მეურნეობის, საკურორტო საქმის, მინერალური სამკურნალო წყლებისა და წიაღისეული სიმდიდრეების შესწავლა და განვითარება; 3. ქალაქ ბათუმის კეთილმოწყობა, ქალაქ ბათუმში ფიზიოთერაპიული ინსტიტუტის გახსნა. ბათუმი უნდა გადაქცეულიყო სანიმუშო ზღვისპირა კურორტად.

ჩამოთვლილ საკითხებზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება აჭარასა და ბათუმზე ცალკე პუნქტებად იყო შეტანილი (იხ.: ყრილობის მეორე და მესამე პლენარული სხდომებისა და სექციების სხდომებზე მიღებული დადგენილებები და მითითებები).

შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა მეორე ათ-დღიანმა ყრილობამ, რომელიც ბათუმში ჩატარდა 1925 წელს, თვალსაჩინო როლი შეასრულა რეგიონების მხარეთმცოდნეობის შესწავლაში. ყრილობამ დასახა და განაზღვრა ამ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გზები. ყრილობის დიდ მნიშვნელობაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ მის მუშაობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები და სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწეები საქართველოდან, რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან.

ყრილობის მასალების გაცნობისა და შესწავლის გარეშე შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ზოგადად შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის, კერძოდ, კი აჭარის უახლესი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების ისტორიაზე, მატერიალურ და სულიერ კულტურაზე.

ამდენად, ყრილობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო არა მარტო შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის, არამედ კერძოდ აჭარის სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში. ბათუმმა, მთელმა აჭარამ პირველად უმასპინძლა მეცნიერთა, კულტურის მოღვაწეთა და სხვა დარგის წარმომადგენელთა ისეთ დიდ ფორუმს, როგორც მხარეთმცოდნეთა მეორე ყრილობა იყო.

დასანანია, რომ შავი ზღვის სანაპიროს და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ბათუმის მეორე ყრილობის მასალები, მისი დადგენილებები და რეზოლუციები თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დღემდე ნაკლებადაა ცნობილი თუ უცნობი პირველ რიგში იმ მეცნიერ-მკვლევართათვის, ვინც სწავლობდა და სწავლობს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, აჭარის ყოფისა და კულტურის საკითხებს, რეგიონის ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის, საერთოდ, ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებას. ამ სახის გამოკვლევებში საერთოდ ვერ შეხვდებით მითითებებს ყრილობის მასალებიდან და მის მნიშვნელობას რეგიონების მხარეთმცოდნეობითი საქმიანობის შესწავლის საქმეში.

ამასთან დაკავშირებით სასურველად მიგვაჩნია შავი ზღვის სანაპიროსა და დასავლეთ კავკასიის მხარეთმცოდნეთა ბათუმის მეორე ყრილობის მასალების რუსულენოვანი ვარიანტის მეორედ გამოცემა ან მისი ქართულ ენაზე თარგმნა. ეს ხელს შეუწყობს რეგიონში მომუშავე მკვლევართა დაინტერესებას ყრილობის მუშაობისა და მნიშვნელობის გაცნობაში.

დარწმუნებული ვართ, რომ წინამდებარე ნაშრომიც ერთგვარ წვლილს შეიტანს აღნიშნული ყრილობის მასალების გაცნობაში.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

**კეცხოველი, 1978:** – ნიკო კეცხოველი, „ბათუმის წარსულიდან“, ჟურნ, „ჭოროხი“, ბათუმი, 1978, №1.

**Акимченков, 2012:** – Акимченков В.В., «Второй съезд деятелей по краеведению Черноморского побережья и Западного Кавказа: неизвестные страницы истории памятникоохранитель-

ной деятельности» // Учёные записки Таврического национального университета В.И.Вернадского. Серия «Исторические науки», том 25 (64), №2, Симферополь, 2012, с. 12-29.  
обტყრნტტ-მოსამართო: <https://docplayer.ru/44983536-Vtoroy-sezd-deyateley-po-kraevedeniyu-chernomorskogo-poberezhya-i-zapadnogo-kavkaza-neizvestnye-stranicy-istorii-pamyatnikoohranitelnoy-deyatelnosti.html>

**Второй Краеведческий съезд, 1925:** – «Второй Краеведческий съезд Черноморского побережья и Западного Кавказа». Батуми, 1925.

**Nodar Kakhidze (Batumi, Georgia)**

### **The Second Congress of Local Historians of Black Sea Coast and West Caucasus in Batumi in 1925**

#### **Abstract**

The paper describes the work of the Second Ten-Day (25.IX-5.X) Summit of the Black Sea Coast and the West Caucasus local historians in Batumi in 1925 and its importance in conducting extensive regional activities in Adjara and Batumi In the field of public education, health care, agriculture and other fields.

Out of more than 160 reports read at the plenary session of the Congress and its six sections up to 30 reports were devoted to the issues of Batumi and Adjara. Most of the more than 400 delegates participating in the congress (up to 270 people) were sent from various organizations in Batumi, including speakers.

In addition, the congress was attended by more than 150 peasants from the villages of Adjara, who received comprehensive answers to their questions. The participation of Adjara peasants in such a scientific gathering was considered a rare event at that time. The congress was attended by more than 50 delegates, as well as from various cities in Russia, Ukraine, Azerbaijan, and Armenia.

The importance of the congress for Batumi and Adjara is reflected in the congress resolutions. The most important of these were resolutions on the work to be carried out for the development of agriculture in Adjara and the Black Sea coast, primarily subtropical crops, the registration, study and publication of oral and cultural monuments, oral specimens, which was planned in the next five-year prospective plan of the Congress.

Thus, the congress was an important event in the scientific and cultural life of the Black Sea coast and the Western Caucasus.

## ბათუმის ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის შესწავლის ისტორიიდან

**აბსტრაქტი:** ბათუმის ეტიმოლოგიური შესწავლა საშუალებას გვაძლევს, სრულად გამოვავლინოთ უძველესი ქართული-მიწაწყლის გეოგრაფიული ნომენკლატურა, ხალხის აზროვნების ისტორია, მრავალმხრივი კულტურა და შევისწავლოთ ის საკითხები, რომლებიც დიდი ხანია აზრთა სხვადასხვაობის უმთავრესი წყაროა.

ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიური კვლევისათვის მნიშვნელოვანია მისი, როგორც სიტყვის წარმოქმნის მოტივაციის დადგენა: **გარეენობრივი და შინაენობრივი**. გარეენობრივი მოტივაცია გულისხმობს სიტყვის ამოსავალი ფუძის სემანტიკას, ხოლო შინაენობრივი კი წარმოქმნასა თუ სიტყვაშეერთებას. აუცილებელია გავითვალისწინოთ ქრონოლოგიური (დროის ფაქტორი) და ბუნებრივ-გეოგრაფიული მოტივაცია.

ბათუმის ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის შესწავლის ისტორიიდან ქრონოლოგიურად დღევანდელი მდგომარეობის მიმართებაში შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი მიმართულებები: 1. არქეოლოგიური მასალები; 3. ქართველ მოგზაურთა ჩანაწერები, ისტორიკოსთა და ლინგვისტთა მოსაზრებები; 4. ხალხური ეტიმოლოგიის მასალები.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, ლოკალიზაცია, ეტიმოლოგია, ისტორია, ლინგვისტიკა.  
**Key words:** Batumi, Localization, Etymology, History, Linguistic.

\*\*\*

ბათუმის ლოკალიზაციისა და ეტიმოლოგიის კვლევას არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი მიეძღვნა. სტატიაში სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე წარმოვადგენთ ქართველ მკვლევართა და უცხოელ მოგზაურთა მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ბათუმის ეტიმოლოგიური კვლევა ბუნებრივად მოითხოვს მისი, როგორც ტოპონიმის ლოკალიზაციის ქრონოლოგიურ შესწავლას. ამ მხრივ, ბათუმის ისტორიას შორს მივყავართ: როდის, რა პირობებში გაჩნდა ტოპონიმი, რა უდევს საფუძველად მის წარმოქმნას, როდის მოხდა გეოგრაფიული, ბუნებრივი, თუ სხვა მონაცემების გათვალისწინებით ახლებური გააზრება.

ყოველი ტოპონიმი რთული და მრავალმხრივი მოვლენაა. მისი კვლევა მხოლოდ ისტორიულ, ენობრივ, ფოლკლორულ, გეოგრაფიულ და სხვა მონაცემების ერთობლიობას შეუძლია. ტოპონიმი ლექსიკის ელემენტია, მისი კუთვნილება და მას სრულყოფილი ლინგვისტური შესწავლა სჭირდება.

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ბათუმის შესახებ წერდა: „ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამჯრიდამ ჩდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწოლილ ხვარამზეს ხიდამდე. მას ქვეით მოუხვევს და დის, უმეტეს ართვანიდამ, ჩრდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერ თვის ბათომს ქვეით შ[ა]ვს ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯ-ლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ჯრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხვებ ურგები. გონიას და ბათომს.

არამედ ვინადგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის-წყლის შესართავიდამ *[ვახუშტი, 1941: 133, 134, 176]*.

სამეცნიერო ლიტერატურაში ბათუმის არსებობის მანძილზე სასოფლო დასახლებებიდან ქალაქურ დასახლებად ამაღლების, მის ზრდა განვითარებისა და მნიშვნელოვან ქალაქად გადაქცევის ორი ეტაპებია დასახელებული: პირველი ეს არის XIX საუკუნე, როცა ბათუმის ქალაქად ჩამოყალიბების საფუძველი გახდა დიდ იმპერიათა მიერ ამ ქალაქით განსაკუთრებულად დაინტერესება. შესაბამისად, მისი ზრდა-განვითარების პროგრამაში მათი ინტერესები იყო ჩადებული, ამ ქალაქის ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობებისა თუ სხვა მონაცემების გათვალისწინებით. ეს პერიოდი ხანგრძლივი გამოდგა და გაგრძელდა XX საუკუნის 90-იან წლებამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე. მეორე ეტაპი დაიწყო ახალი, მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან, დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, როცა მძიმე 90-იანი წლების შემდეგ, ახლებულად უნდა გააზრებულიყო ამ ქალაქის ფუნქცია და ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში და ამის მიხედვით შემუშავებულიყო მისი მომავალი განვითარების მიმარულებანი *[დასასმიძე, 2016: 86-87]*.

აჭარის ზღვის სანაპირო ზოლის 20-30 კილომეტრიან მონაკვეთს გონიო-ავსაროსიდან ფიჭვნარამდე (კიკნოსი) მკვლევარები, ერთნაირი ბუნებრივი პირობების გამო, ერთ კონტექსტში განიხილავენ და თვლიან, რომ ჩვენი უძველესი წინაპრები მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ რეგიონის ადგილისა და მნიშვნელობის მიხედვით ცვლიდნენ კონკრეტული ცენტრის ლოკალიზაციას (ფიჭვნარი, გონიო-ავსაროსი, პეტრა-ციხისძირი, ბათუმი) ისე, რომ წინა ცენტრის ფუნქციას ინარჩუნებდა მომდევნო, ახალი ფუნქცია-დატვირთვის შედეგით *[დასასმიძე, 2016: 86]*.

ბ. ახვლედიანი ნიკო მარის მოსაზრებებზე დაყრდნობით აღნიშნავს: „პირველი ცდა ეთნო-ტოპონიმიკის გზით ქალაქ ბათუმის სახელწოდების ეტიმოლოგიური ახსნისა უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „ბათი“ (ღრმა), რომელიც ახასიათებს ამ ადგილს (ღრმა ნავსადგური) *[ახვლედიანი, 1944: 163, 164]*. აღნიშნულ მოსაზრებას განიხილავს ს. გოგიტიძე *[გოგიტიძე, 2015: 43]*.

ბათომი ჭანურში აღნიშნავს საფლობს, ჭონჭყო მიწას. გურულში ამ სიტყვის შესატყვისად გვხვდება ლეთემი *[ჭყონია, 1910: 5, 30]*.

არსებული მოსაზრებით, „ბათ-ომ-ი“ წარმოშობით ქართული სიტყვაა, მაგრამ გაზიარებულია, როგორც ბერძნული „ბათუს“ (ღრმა). „ომ“ ქართული სუფიქსია, ძირითადი „ბათ“ უნდა ენათესავებოდეს სვანურ სიტყვას „ბაჩ“, რომელიც ქვას ნიშნავს *[ჩხეიძე, 1959: 17, 18]*.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბათუმის ქართული სახელწოდება ევროპელების მიერ გააზრებული იყო ამ სიტყვის ბერძნული შინაარსით („ბათუს“ ბერძნულად ღრმას ნიშნავს). შეუძლებელია, ბათუმის მეტად ხელსაყრელი მდებარეობა უძველესი დროიდან არ ყოფილიყო გამოყენებული ნავსადგურად, მით უმეტეს, რომ ასეთ დანიშნულებას ბათუმი ასრულებდა გვიანი შუასაუკუნეების უფრო მნელ ეპოქებში *[ჯაოშვილი, 1966: II]*.

ზ. ცინცილაძე სტატიაში „ჩაისუბანი თუ ორთაუბანი“ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ტოპონიმ „ბათუმი“ სიტყვის აგებულება ქართულია, ბერძნული სახელწოდება „ბათისი“ შეუძლებელია ქართულისაგან დამოუკიდებელი იყოს. თუმცა „ბათ“ ძირის სემანტიკა გაურკვეველია *[ცინცილაძე, 1989]*.

მ. სვანიძის აზრით, ქალაქის სახელწოდება „ბათუმი“ მიმსგავსებულია ბერძნულ სიტყვასთან „ბათის“ *[სვანიძე, 1999: 3]*.

განსხვავებულია ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომელმაც ტოპონიმ „ბათუმი“ გამოყო ფუძე „ბათ“ და სუფიქსი „-ომ“. ფუძე „ბათ“ დაუკავშირა სვანურში ქვის აღნიშვნელ სიტყვას „ბაჩ“ *[ყაუხჩიშვილი, 1965: 106, 107]*.

მოგვიანებით, სამეცნიერო ლიტერატურაში „ყოროლისწყლის“ ეტიმოლოგიის ახსნისას მოსაზრება გამოთქვა ა. ინაიშვილმა: ყოროლისწყლის ძირი „ყორ“ ქვის ცნების გამომხატველია. ასევე „ბათ“ უკავშირდება სვანურ „ბაჩ“ ძირს *[ინაიშვილი, 1976: 73-88]*.

მ. ქალდანმა გამოყო სვანური „ბაჩ“ სახელის უძველესი არქეტიპი „ბათ“. „ბათ“ (> ბეთმ) – „ბეჩ“ და „ბაჩ“ სვანური ენის კუთვნილებას უნდა იყოს. „ბათ“ ძველია, „ბაჩ“ გვიანდელი. ქართულ-ზანური „თ“ სვანურში „მდ“-ს რომ იძლევა, თვითონ ეს ფაქტიც კმარა ფუძე ქართველური „თ“-ს რთული შედგენილობის საბუთად. „თმ“-მ სვანურში მოგვცა „ჩ“ *[ქალდანი, 1983: 84-87]*.

„ბათ“ ძირის სვანურ „ბაჩ“ -თან კავშირი ქართველურ ენათმეცნიერებაში არ იქნა გაზიარებული. დაბრკოლებად მიჩნეულია ქართულ-სვანური ბგერათმესატყვისობის კანონზომიერება *[სიხარულაძე, 1959: 87]*.

ენათმეცნიერმა ი. ჩანტლაძემ არ გაიზიარა სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ ტოპონიმ ბათომის გააზრება „კლდოვან, ქვიან ქალაქად“, მის ორსეგმენტოვან ფუძედ დაშლა და პირველი კომპონენტის (ბათ-) დაკავშირება სვანურ ბაჩთან. ის ფიქრობს, რომ -ომ, -უმ, ემ, -ენ, -ინ ქართულ-ზანურ-სვანურში ისეთი სუფიქსებია, რომლებიც საერთო ქართველურ ენაშივე უნდა არსებულიყო *[ჩანტლაძე, 2012: 134, 137]*.

ტოპონიმ „ბათუმს“ უკავშირებენ ფატ(არ) ფუძესაც (ფუტურო, ღრმული) *[ლორთქიფანიძე, 1996: 6]*.

„ბათუმი“ ტოპონიმის ახსნის საინტერესო მოსაზრებები გამოვლინდა ბათუმი-სადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში.

მ. ფალავას მოსაზრებით, ბათუმი უნდა გამოიყოს -ომ, -უმ სუფიქსი, რაც ქართული ტოპონიმებისათვის უცხო არაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სუფიქსით წარმოებული ტოპონიმები ( მაგ., ბეშუმი, კაპრეშუმი, ბარცხანა) მომდინარეობენ მცენარეული სახელებისაგან (მაგ., კაპრაშა, ბეშურა, ბარცხი). „ბათ“ ძირი დაკავშირებული უნდა იყოს მცენარის სახელთან „ბათურა“. აქვე აღნიშნულია, რომ ეს სახელწოდება ავტორს მიაწოდა აზ. ახვლედიანმა. მამასადაძე ბათუმი/ბათომი ის ადგილია, სადაც ბათურა ხარობს *[ფალავა, 2009: 289-294]*.

გ. ჩაგანავა ტერმინ „ბათომში“ გამოყოფს „ბა“ პრეფიქსს. „თომ“ ძირი უნდა უკავშირდებოდეს ზანურ ტობა, ტიბა (ლაზური)- ტბა, გუბურა, ღრმა და ტობა, ტობო (მეგრული) -ტბა ლექსემებს. „თომ“ -ის პირვანდელი ფორმა უნდა ყოფილიყო „ტობი“ (ტობა) შემდგომში, როგორც ეს ლაზურში დასტურდება, ბ-ს წინ უნდა განვითარებულიყო მ და მივიღებდით ტომბი (ტომბა)-ს. სიტყვა ტომბა დადასტურებულია მეგრულში ღრმას მნიშვნელობით. ამ სიტყვაზე ბა- პრეფიქსის დართვის შემდეგ სავარაუდოდ უნდა მიგველო-ბატომბი, შემდეგ ბატომ-ბათომ *[ჩაგანავა, 2009: 285-287]*.

მ. ქამადაძის აზრით, „ბათუმი“ ქართული აგებულებისაა და უძველესი წარმომავლობის. უცნობია „ბათ“ ძირის მნიშვნელობა და -ომ სუფიქსის ფუნქცია *[ქამადაძე, 2009: 297-298]*.



ბათუმისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში დაიბეჭდა სიმონ გოგიტიძის საინტერესო სტატია „სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის“. ის განიხილავს ყველა მოსაზრებას (უცხოურსა და ქართულს) და გვთავაზობს თავის მოსაზრებებს.

მკვლევარი იზიარებს სახელწოდებაში ბათომი//ბათუმი ბათ//ბათა//ბატა ძირისა და ომ// უმ სუფიქსის გამოყოფას, მაგრამ ზემოთ განხილულ მკვლევართაგან განსხვავებით, სხვა სემანტიკის მქონედ მიიჩნევს მათ. ასეთ შემთხვევაში, იზიარებს რ. გორდეზიანის მოსაზრებას, ამ“ (-მ) ქართველური ქართველური სუფიქსია, რომელიც ფართოდ გამოიყენება ქართულ სიტყვაწარმოებაში (ბორჯომი, ბათუმი) **[გორდეზიანი, 1985: 111; გოგიტიძე, 2015: 48]**.

სიმონ გოგიტიძის აზრით, ბათომი//ბათუმი უნდა შედგებოდეს „ბათ (ა)“ ძირისა და -ომ (-მა) სუფიქსისაგან. აქ ბატი//ბატა ადამიანის საკუთარი სახელი უნდა იყოს ქართულ სინამდვილეში გვაქვს ბათ (ბატ) ძირიანი სახელები და გვარები: ბატა, ბათა, ბათუ, ბათი, ბათია... **[გოგიტიძე, 2015: 48]**.

მსგავსი აზრი მან ჯერ კიდევ 2002 წელს გამოთქვა თავის მონოგრაფიაში „აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის“, სადაც აღნიშნავს, რომ ბათუმი წარმოშობილი უნდა იყოს ადამიანის საკუთარი სახელიდან: მედეა, ბატა, მადია, მინდია, მენტი და სხვ. **[გოგიტიძე, 2002: 77]**.

ბათუმის სახელწოდებასთან დაკავშირებით საინტერესოა ხალხური ეტიმოლოგიის მასალები, რომლის რამდენიმე ვარიანტს გვთავაზობს მეცნიერი ხ. ახვლედიანი. 1. თურქები ჭოროხის მხრიდან მოდიოდნენ ბათუმისაკენ, მათი ერთი ჯარისკაცი ისე ღრმად ჩამირულა ტალახში (თუ ჭაობში), რომ შეშინებულს დაუძახია- „ბათთუმ“, რაც თურქულად ნიშნავს დავიღუპე-ჩავიძირეო. 2. სახელწოდება ბათუმი წარმოიშვა მაშინ, როცა საქართველოს მეფემ ამ მხარის განმგებლად დანიშნა ვინმე ბატონი. ირანელი და ბერძენი ვაჭრები ქართულ გამოთქმას - „ბატონი“ - ამახინჯებდნენ და ამბობდნენ ბატონო-ბათო. აქედან წარმოდგება, ბათომი- ბათუმო **[ახვლედიანი, 1944: 163-164]**.

ჩვენი მოსაზრებით, ტოპონიმი „ბათომი“//„ბათუმი“ წარმომავლობით ქართული სიტყვაა (ბათ+ომ//–უმ-ი). ამ სიტყვის წარმოქმნა უძველეს პერიოდში უნდა მომხდარიყო. მისი სემანტიკა ქართულ სიტყვას „ტბა-ს“ უნდა უკავშირდებოდეს (სადაც ტ დაკარგულია, ხოლო ვითარებითი ბრუნვის ნიშანი დ გამოყენებული იქნა დერივატის ფუნქციით, შემდეგ დაყრუვდა თ-დ: ტბა> ტბა-დ// ტბა-თ -> ბათ> ბათ+ომ-ი) რომლის შინაარსიც უნდა ყოფილიყო „**დამდგარი ღრმა წყალი**“. -ომ//–უმ ქართული აფიქსებია. -ომ აფიქსი დღეს შემორჩენილია ადგილის სახელწოდებებს (ბორჯ-ომ-ი, ღორჯ-ომ-ი, სოხ-უმ-ი...) და ნაზმნარ სიტყვებში (საწყისში: დგ-ომ-ა, დადგ-ომ-ა...).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, მნიშვნელობის მიხედვით „ტბა“ სიტყვას მეგრულში ორი რისამე გადმოცემა უხდება: ესაა: „ტბა“ და „ღრმა“. ეს უკანასკნელი ჭანურსაც არ ეუცხოვება. ქართულში ამ ფუძესთან მხოლოდ „ტბის“ აღნიშვნაა დაკავშირებული. ასევე უნდა ყოფილიყო ზანურშიც; თვისების აღნიშვნას („ღრმა“) საგნის აღნიშვნა („ტბა“) უსწრებს წინ და უდევს საფუძვლად ტაბ-ა//ტობ-ა ფუძეში“ **[ჩიქობავა, 2008: 191]**.

სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილია „ტბა“ სიტყვის არქეტიპები: ქართ. ტაბ-/ტბ- ტაბ-ა -წმელ-ა; ტბ-ა; ტბ-ორ-ი; ტბ-ურ-ე (ძვ.ქართ.) „გუბე“.

მეგრ. ტობ- ტობ-ა//ტობ-ო „ღრმა წყალი“; სი-ტობ-ა „სიღრმე“.

ლაზ. ტობ-//ტიბ- ტობ-ა// ტიბ-ა „ტბა“ მორევი, ღრმა (წყალი)“.

სვან. ტუბ-//ტუბ ტუბ „ხევი“, ტუბი „ტბა“. გურულში **ტომბოყო** და აჭარულში **ტომბოყო//ტომბოყო** „წყლიანი ორმო , დამდგარი წყალი“ [ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: 290,291]. **ტაბაყურო** იხმარება დაჭაობებული ადგილის მნიშვნელობით [დლონტი, 1984:504].

კ. კობის აზრით, ზღვის სანაპიროზე ბევრია ძველთაგან წამომდგარი და შემორჩენილი სახელწოდებები: **ბათუმი** – ძველი **ბათვისი... [კობი, 1981:200]**.

რაც შეეხება, მოსაზრებას, რომ „ბათუმი“ წარმოდგება ბერძნული „ბატუსიდან“ ან თურქული სიტყვიდან და ნიშნავს დაბლობ ადგილს [მაზლაკინა, 1938], არ ვიზიარებთ. ჩვენ ვფიქრობთ, ბატუსი იგივე ბათ-ისი-ა. უცხოურ სიტყვას არ წარმოადგენს, რადგან ქართულში ტოპონიმების ამგვარი წარმოება ჩვეულებრივია. მაგ.: რუ-ისი, თბილ-ისი, ქსუ-ისი და სხვ.

ამრიგად, ტოპონიმ „ბათუმის“ ეტიმოლოგიური კვლევა ცოცხალ ინტერესს იწვევს სხვადასხვა პროფესიისა და მეცნიერების დარგის წარმომადგენლებს შორის. ამ ინტერესს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ბათუმს თავისი ისტორია აქვს. მასში ასახულია ხალხის წარსული და მსოფლშეგრძნება, ერის ტკივილი და ჭირ-ვარამი, ყოფიერება და საქმიანობა.

### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**ახვლედიანი, 1964:** – ახვლედიანი ხ., „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“, ბათუმი, 1964.

**გოგიტიძე, 2002:** – გოგიტიძე ს., „აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის“, ბათუმი, 2002.

**გოგიტიძე, 2015:** – გოგიტიძე ს., „სახელწოდება ბათუმის წარმომავლობისათვის“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VI, ბათუმი, 2015.

**დიასამიძე, 2016:** – დიასამიძე ბ., „ქალაქ ბათუმის ხელახალი დაბადება“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VII, ბათუმი, 2016.

**ვახუშტი, 1941:** – ბატონიშვილი ვ., „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.

**ინაიშვილი, 1976:** – ინაიშვილი ა., „ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“, – კრ.: „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა“, I, თბილისი, 1976.

**კობი, 1981:** – კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ“ (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა), – კრ.: „საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები“, XII, თბილისი, 1981.

**სვანიძე, 1999:** – სვანიძე მ., „ბათუმის სახელწოდების დადგენისათვის“, გაზეთი „აჭარა“, 6 აგვისტო, ბათუმი, 1999.

**სიხარულიძე, 1959:** – სიხარულიძე ი., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმისა“, II, ბათუმი, 1959.

**ფაღვაძე, 2009:** – ფაღვაძე მ., „კვლავ ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.

**ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:** – ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბილისი, 1990.

- ქალდანი, 1983:** – ქალდანი მ., „კვლავ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“, ჟურნ. „ჭოროხი“, №2, 1983.
- ქამადაძე, 2009:** – ქამადაძე მ., „ბათუმის ტოპონიმია“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.
- ღლონტი, 1984:** – ღლონტი ალ., „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა“, თბილისი, 1984.
- ჩაგანავა, 2009:** – ჩაგანავა გ., „ტოპონიმ ბათუმის წარმომავლობისათვის“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.
- ჩანტლაძე, 2012:** – ჩანტლაძე ი., „ქართველური ლექსიკის ისტორიიდან“, I, თბილისი, 2012.
- ჩხეიძე, 1959:** – ჩხეიძე ჯ., „ბათუმი“ (ისტორიული ნარკვევი), ბათუმი, 1959.
- ცინცქილაძე, 1989:** – ცინცქილაძე ზ., „ჩაისუბანი თუ ორთაბათუმი“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1989 წლის 21 ივლისი, №139.
- ყაუხჩიშვილი, 1965:** – ყაუხჩიშვილი ს., „გეორგიკა“, II, თბილისი, 1965.
- ჩიქოზავა, 2008:** – ჩიქოზავა არნ., „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, შრომები, IV, თბილისი, 1008.
- ჭყონია, 1910:** – ჭყონია ი., „სიტყვის-კონა, საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები“, პეტერბურგი, 1910.
- ჯაოშვილი, 1966:** – ჯაოშვილი ვ., „ბათუმი“, თბილისი, 1966.

**Mariam Koberidze (Gori, Georgia)**

### **From the History of Localization and Etymology of Batumi**

#### **Abstract**

Many interesting scientific papers have been dedicated to the study of Batumi localization and etymology. Based on synchronous and diachronic analysis, the article presents the opinions of Georgian researchers and foreign travelers on this issue. The etymological study of Batumi naturally requires a chronological study of its localization as a toponym. In this respect, the history of Batumi leads us far: when, under what conditions did the toponym originate, what is the basis for its origination, when a new understanding occurred considering geographical, natural, or other data.

The etymological study of Batumi gives us an opportunity to fully reveal the geographical nomenclature of the ancient Georgian land, the history of people's thinking, multifaceted culture, and to study the issues that have long been the main source of differences of opinion.

It is important for the etymological study of toponym Batumi to determine its motivation as a word derivation: **external linguistic and internal linguistic.**

External linguistic motivation refers to the semantics of the primary root of the word, while internal linguistic motivation refers to the derivation or word combination. It is necessary to consider chronological (time factor) and natural-geographical motivation.

Each toponym is a complex and multifaceted phenomenon. Its study can only be done with a combination of historical, linguistic, folklore, geographical and other data. A toponym is an element of vocabulary, it belongs to it, and it needs a thorough linguistic study. Opinions were published in the materials of the international conference about the etymology of Batumi dedicated to Batumi, where previously published views are not shared.

All articles published here are based on Georgian and foreign sources. From the history of the study of the localization and etymology of Batumi in relation to the present chronologically it is possible to distinguish the following directions: **1. Archaeological materials** (at the turn of the first millennium BC); **2. Foreign sources** (Aristotele, Flavius Ariane, Plinius Ufrosi, E. Veidenbaumi, K. Kokhi, A. Frenkeli, N. Derjavini, I. Karfourlu....); **3. Records of Georgian travelers, opinions of historians and linguists** (V. Bagrationi, D.Baqradze, Z. Chichinadze, A. Tayaishvili, N. Mari, S. Kaukhchishvili, I. Sixarulidze, Kh. Akhvlediani, I.Ghonia, N. Kakhidze, B. Diasamidze, V. Jaoshvili, S. Gogitidze, M. Svanidze,, I.Chantladze, M. Kamadadze, M. Farava,,N. Akhvlediani, M. Koberidze .....); **4. Materials of folk etymology.**

Vakhushti Batonishvili, a prominent Georgian geographer, historian, and cartographer of the 18th century, mentions "Batomi". Based on the opinion of Niko Mari, Kh. Akhvlediani considers that the name of Batumi is connected with the Greek word "bati" (deep). The root "Bat" should be connected with the name of the plant "Batura" (M. Paghava). M. Kamadadze emphasizes the Georgian structure of toponym "Batumi". In our opinion, "Batomi" // "Batumi" is a Georgian word of origin. The origin of this word must have occurred in ancient times. The initial word should have been "tba" (lake), the semantics of which should be related to the word "ghrma" (deep). With some phonetic change **Batomi**, then **Batumi** is accepted.

**მართლმადიდებლური საკრალური სივრცე  
პოლიკონფესიურ ბათუმში  
(ისტორიული გამოცდილება და თანამედროვეობა)**

**აბსტრაქტი:** ბათუმი პოლიკონფესიური ქალაქია. მისი რელიგიური მრავალფეროვნება XIX საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ცვლილებები ქალაქის რელიგიურ ცხოვრებაში XX საუკუნის ბოლოდან დაიწყო. ბათუმის მრავალრიცხოვანი მართლმადიდებლური მრევლი თავისი რიტუალებით, ინსტიტუციებით, ორგანიზაციებით, ფორმალური და არაფორმალური საკრალური ადგილებით ქმნის ქალაქის განსაკუთრებულ სოციოკულტურულ სივრცეს. ამ სივრცის ცენტრს ტრადიციულად სხვადასხვა ტაძრები წარმოადგენს, მაგრამ პარალელურად ხდება ახალი ადგილების საკრალური ფუნქცია და ჩნდება ახალი საკულტო ადგილები: მცირე სამლოცველოები, ჯვრები, სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო სივრცეები, სადაც იმართება ყოველდღიური თუ სადღესასწაულო რელიგიური პრაქტიკა. ამგვარად იქმნება არასატაძრო სიმბოლური ტერიტორიები, რომლებიც მრევლის თვითრეალიზაციის საკრალურ სივრცედ იქცევა.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიკონფესიური, მართლმადიდებლობა, საკრალური სივრცე, ტაძარი, არასატაძრო სიმბოლური ადგილები.

**Key words:** Polyconfessional, Orthodoxy, Sacral space, Church, Symbolic places.

\*\*\*

ბათუმი მრავალეთნიკური და პოლიკონფესიური ქალაქია, თუმცა რელიგიური მრავალფეროვნება ხელს არ უშლის მას, იყოს სხვადასხვა კონფესიათა მშვიდობიანი თანაცხოვრების სარბიელი. ქალაქ ბათუმის კონფესიური მრავალფეროვნება XIX საუკუნიდან იწყებს ჩამოყალიბებას, როცა მუსლიმური თემის გვერდით მკვიდრდება და თავის ადგილს იკავებს სხვადასხვა კონფესიების მიმდევარი საზოგადოება. ამ რელიგიურ მრავალფეროვნებაში განსაკუთრებული ადგილი აქვს ქალაქის მრავალრიცხოვან მართლმადიდებლურ მრევლს. ამჯერად ჩვენ არ შევხებით მართლმადიდებლური თემის ჩამოყალიბების ისტორიას. ყურადღებას გაგამახვილებთ იმ სოციოკულტურულ სივრცეზე, რომელსაც ქალაქში ქმნის მართლმადიდებლური რელიგიის ფორმალური და არაფორმალური საკრალური ადგილები.

პოსტსაბჭოთა პერიოდში შეიცვალა ბათუმის მართლმადიდებლური მრევლის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მახასიათებლები. დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ნათლობა, ეკლესიების მშენებლობა-აღორძინება, მრევლის გამრავლება და სხვ. განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის და იმავე წელს 19 აპრილს ზემო აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ (ხულოს რაიონში სოფ. წაბლანაში მეწყერი ჩამოწვა და მთელი სოფელი დაიტანა) დაიწყო მასობრივი ნათლობები. 1989 წლის მაისში ბათუმში ხუთი ათასზე მეტი კაცი მოინათლა. ნათლობა თავად კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ჩაატარა ბათუმის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის ეზოში. ნათლობის მსურველთა სია წინასწარ იყო შედგენილი. სიაში ათასზე მეტი მსურველი იყო, მაგრამ მოვიდა უამრავი

ადამიანი. მონათლენ სხვადასხვა ასაკის ადამიანები, ყოფილი და მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

არა ასე დიდი რაოდენობით, მაგრამ მაინც მასობრივად, ამის შემდეგაც, 1998-2007 წლებში, არაერთხელ მოეწყო ასეთი საყოველთაო ნათლობები. 2003 წელს მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოს I-ც იმყოფებდა პატრიარქთან ერთად ბათუმში და მაშინაც დიდი საყოველთაო ნათლობა ჩატარდა. 2008 წლიდან იკლო მასობრივი ნათლობების რიცხვმა, თუმცა 2011 წელს ბათუმის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კიდევ ერთი დიდი საყოველთაო ნათლობა ჩაატარა და აჭარაში მცხოვრები აფხაზები მონათლა. ასე რომ, გლობალიზაციის პირობებში ბათუმის მართლმადიდებლური მრევლი ინარჩუნებს ქრისტიანობის ძირეულ ღირებულებებსა და იდეებს, მაგრამ ყოველ რელიგიას ორი მხარე აქვს: შინაგანი და გარეგანი. შინაგანია რწმენა-წარმოდგენები ღმერთზე, სამყაროზე და მის შექმნაზე, ადამიანზე, ღვთაებასა და ადამიანს შორის ურთიერთობაზე, ადამიანის ზნეობრივ მოვალეობებზე, მის მოლოდინზე და სხვ. რელიგიის გარეგანი ანუ ხილული მხარეა რიტუალები, ინსტიტუციები, ორგანიზაცია და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ გარეგანი მხარე ერთგვარად შინაგანის გამოხატულებაა, უხილავის ხილული მხარეა *[რელიგიები საქართველოში, 2008: 13]*.

საკრალურ ადგილებს ისტორიულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანის საცხოვრისში. მაგალითად, ტაძარზე მაღალი შენობების აგება არ შეიძლებოდა სოფელში. საკულტო ნაგებობას განსაკუთრებულ ადგილზე აგებდნენ, რადგან ეს იყო თავისი მნიშვნელობით გამორჩეული, საკრალური, წმინდა ადგილი ამ სოციალურსათვის. თავდაპირველად ასეთი საკრალური ცენტრი ქალაქში არის ერთი მთავარი ტაძარი. ქალაქის გაფართოებასთან ერთად ჩნდება ახალი საკრალური ნაგებობები შედარებით მცირე ეკლესიების სახით, ხოლო უფრო მოგვიანებით, ვითარების ცვლილებასთან ერთად, ხდება ახალი ადგილების საკრალიზება. ამიტომ ქალაქში ჩნდება არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური საკრალური ადგილები და იკვეთება სულ უფრო დიდი ტერიტორიის საკრალიზაციის ტენდენცია. პოსტსაბჭოთა პერიოდში მართლმადიდებლური სივრცის გაფართოება მოხდა არა მხოლოდ ახალი ტაძრების სახით, არამედ სხვა საკრალური ადგილების გაჩენითაც, რადგან კულტის შემადგენელი ნაწილია ისეთი მატერიალური საგნებიც, როგორებიცაა მცირე სამლოცველოები, ხატები, ჯვრები, სამოქალაქო სივრცეები, სადაც იმართება ყოველდღიური თუ სადღესასწაულო რელიგიური პრაქტიკა, მართლმადიდებლური განათლების სისტემის დაწესებულებები.... ყველაფერი, რაც მორწმუნეებზე განსაკუთრებულ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს და რელიგიის ყველაზე აქტიური ელემენტია *[ქეცხაია, 2020: 72]*.

ამგვარად, ეკლესია კვლავ რჩება, როგორც უმთავრესი მართლმადიდებლური ცენტრი, მაგრამ პარალელურად ხდება არასატაძრო ტერიტორიის საკრალიზაციაც. ეს პროცესები დამახასიათებელი იყო ბათუმისათვისაც. თავდაპირველად ასეთი მართლმადიდებლური საკრალური ცენტრი ბათუმში იყო რამდენიმე ტაძარი (წმ. ნიკოლოზის სახელობის ტაძარი, ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო „სობორო“ (დაანგრის 1933 წ), ეკლესია გორგილამის და ჯინჭარამის ქუჩებს შორის ტერიტორიაზე (XX საუკუნის დასაწყისში დაანგრის), ფერიის წმ. სამების სახელობის ეკლესია. ქალაქის გაფართოებასთან ერთად გაჩნდა ახალი საკრალური ნაგებობები შედარებით მცირე ეკლესიების სახით (წმ. ნინოს, წმ. გიორგის, წმ. იოაკიმეს და

ანას, წმ. ილია წინასწარმეტყველის, კეთილმორწმუნე მეფე თამარის, წმ. ეკატერინეს, წმ. პანტელეიმონის სახელობის და სხვ.) [<http://eparchy-batumi.ge/>].

ბათუმში მართლმადიდებლური ტაძრების რაოდენობა იზრდება, მაგრამ მათ განლაგებაში არაა დაცული რაიმე პრინციპები, ქალაქის სტრუქტურაში მათ რაიმე წინასწარგანსაზღვრული და დაგეგმილი ადგილი კი არ უჭირავთ, არამედ გარკვეულად ქაოტურადაა განლაგებული, იმის მიხედვით, სადაა ასეთი ტაძრის აგების საჭიროება მართლმადიდებელი მოსახლეობისთვის.

ამასთან, საზოგადოების და ეკლესიის დამოკიდებულება საკულტო ადგილების მიმართ არის განსხვავებული. საზოგადოების ნაწილი ტაძრების შენობებს მიიჩნევს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად, მაშინ როცა ეკლესიისათვის ეს კულტმსახურების ადგილია და მის შეკეთებას, რესტავრაციას, მოხატვას არ უთანხმებს საზოგადოებას. ეს ზოგჯერ ამ ჯგუფებს შორის დაპირისპირებას იწვევს. მაგალითად, ასე მოხდა წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიასთან დაკავშირებით. 2014 წელს საპატრიარქომ დაიწყო რუსთაველის ქუჩაზე მდებარე წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესიის რეკონსტრუქცია. ეკლესია მე-XIX-XX საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. იგი ძველი სამხედრო ჰოსპიტლის მართლმადიდებლურ სამლოცველოს წარმოადგენდა და ამ ჰოსპიტლის შენობების ერთიან სივრცეში იყო მოქცეული. ჰოსპიტლის დანგრევის შემდეგ, 1996 წელს ტაძარს რესტავრაცია ჩაუტარდა, ხოლო 2011 წელს ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2014 წელს ტაძრის წინამძღოლმა, მრევლის საჭიროებიდან გამომდინარე, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, განახორციელა ტაძრის ფასადის რეკონსტრუქცია ისე, რომ კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს არ გაუცია ამაზე ნებართვა. საზოგადოება „ბათომმა“ ამ პროცესის შესაჩერებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, მაგრამ სახელმწიფო ორგანოები ამ პროცესში არ ჩარეულან.

საკულტო ადგილებთან მართლმადიდებლური მრევლის საკრალური დამოკიდებულების მაგალითი იყო ფერიის მთაზე მშენებარე წმ. გაბრიელის სახელობის ეკლესიის დანგრევით გამოწვეული რეაქცია. ეკლესიის მშენებლობა დაიწყო რუსული სამხედრო ნაწილის ყოფილ ტერიტორიაზე და თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ფერიის მთით მოულოდნელად ხელისუფლება დაინტერესდა (ხელსაყრელი მდებარეობის გამო ხელისუფლებამ აქ ფუნქციული ორის და გასართობი ცენტრის აშენება დაგეგმა) და მეუფე დიმიტრისაგან ეკლესიის დემონტაჟი მოითხოვა. მეუფე, რა თქმა უნდა, არ დათანხმდა ამ წინადადებას. მაშინ 2007 წლის 18 მაისს გამთენიისას, ხელისუფლების დავალებით, მშენებარე ეკლესია სპეცრაზმმა მიწასთან გაასწორა. ამან საზოგადოებაში (და არა მხოლოდ მართლმადიდებლურ მრევლში) დიდი პროტესტი და მღელვარება გამოიწვია. მრევლის ძალისხმევით დანგრეული ეკლესიის ხელახლა მშენებლობა მეორე დღესვე დაიწყო. მრავალრიცხოვანი მრევლი სხვადასხვა გზით, ჯგუფებად ადიოდა ფერიის მთაზე და თითოეულ ადამიანს მიჰქონდა თითო აგური ეკლესიის ხელახლა აშენებისათვის. ფერიის მთისკენ მიმავალი ადამიანები იმდენად მრავალრიცხოვანნი იყვნენ, რომ ტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელი გახდა და ადამიანები მთის ფერდობებით ადიოდნენ ეკლესიის მშენებლობის ადგილას. გარდა ამისა, მშენებლობაში მონაწილეობას იღებდნენ ფიზიკურად, ფინანსებით, კვების პროდუქტებით. ხელისუფლებამ პოზიცია დათმო და მომხდარს გაუგებრობა უწოდა [*დასასმძე, 2007*].

ეკლესიის რაოდენობის ზრდა ქალაქში მრევლის ზრდითაა განპირობებული. ამავე მიზეზით და მრევლის აქტიურობით ხდება ახალი ადგილების საკრალიზება. ამიტომ ქალაქში გაჩნდა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ არაფორმალური საკრალური ადგილები და თავი იჩინა სულ უფრო დიდი ტერიტორიის საკრალიზაციის ტენდენციამ. სადაც ტაძრის აგების საშუალება არაა, იქ ჩნდება სხვა სახის საკრალური სიმბოლიკა – ჯვრები, ნიშები. ამ პროცესმა განსაკუთრებით მასშტაბური სახე მიიღო, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ჯვართაღმართების დღესასწაულზე მრევლს სახლსა და ეზოში ჯვრის აღმართვის კურთხევა მისცა. ბათუმში ათეულობით ასეთი ჯვარია აღმართული. ზოგჯერ ერთ უბანში და ერთ ქუჩაზეც კი რამდენიმე ჯვარია აღმართული. ესაა რკინის, ქვის, მარმარილოს, გრანიტის და სხვ. მასალისაგან დამზადებული ჯვრები. ზოგიერთთან სპეციალური ნიშებიცაა მოწყობილი ხატებითა და სხვა სიმბოლოებით.

ჯვრები, როგორც სიმბოლური ადგილები, ზოგ შემთხვევაში, პასიურ როლს თამაშობენ, მხოლოდ აფიქსირებენ მოსახლეობის რელიგიურ განწყობას („სადაც ჯვარია აღმართული იქ მაღლია“, „ჯვრიანი ტერიტორია ნაკურთხია“, „ჯვარი იცავს ამ ადგილს“, „ადამიანებს ღმერთთან აახლოებს“ და ა.შ). სხვა შემთხვევაში, ჯვრიანი ადგილები გარკვეული ჯგუფის აქტიური რელიგიური მოქმედების ცენტრს წარმოადგენს (გარკვეული რიტუალები სრულდება, თუ ვერ ახერხებენ ეკლესიაში წასვლას, აქ კითხულობენ ლოცვებს, რელიგიურ დღესასწაულებზე ანთებენ სანთლებს და ა.შ). საჯარო სივრცეში აღმართულ ჯვრებთან საზოგადოების დამოკიდებულება სხვადასხვაგვარია. უმეტესად მოსწონთ ჯვრების აღმართვის ტრადიცია (აღმსარებლობის მიუხედავად) და მიიჩნევენ, რომ რწმენის ხარისხს გამოხატავს. საზოგადოების ნაწილში გაღიზიანებას იწვევს მათი სიმრავლე (და არა ზოგადად ჯვრების აღმართვის პროცესი) და ის, რომ ზოგჯერ ეს ადგილები არის მოუვლელი (განსაკუთრებით ქუჩებში აღმართული რკინის ჯვრები). ჯვრები ხშირად აღმართულია ქოტურად და უფრო ქუჩის აქსესუარის როლს ასრულებს, ვიდრე რწმენის სიმბოლოს. თუმცა, ბოლო პერიოდში ჯვრების მოწყობას უფრო ორგანიზებული და კანონიკური სახე ეძლევა, მათ გარშემო ხშირად სკვერებიცაა მოწყობილი, ეს ადგილები (განსაკუთრებით ეზოებში) თავშეყრის ადგილებად იქცევა.

ბოლო პერიოდში ლიტურგიული პრაქტიკა საერო ცხოვრებაშიც იკავებს ადგილს და პერიოდულად ღია ცის ქვეშ ტარდება ღვთისმსახურების ცერემონიები: პარაკლისები და პანაშვიდები ჯარისკაცების საფლავებთან, მემორიალებთან, ლიტურგიული მსვლელობა ქალაქის ქუჩებში, ქუჩების კურთხევის და ალილოს დროს. ამდენად, ქალაქის სხვადასხვა ადგილი ღვთისმსახურების სივრცედ იქცევა და ხდება საერო და საკრალური ადგილების ინტეგრირება.

ბათუმში, 2014 წლიდან მოყოლებული, ტრადიციად იქცა ქუჩების კურთხევა. ქალაქში ეწყობა სასულიერო პირების და მრევლის ერთობლივი ლიტურგიული მსვლელობა რელიგიური ატრიბუტიკის თანხლებით. სასულიერო პირები ეკლესიების მიმდებარე ტერიტორიებს, ქალაქის ქუჩებს და სახლებს აკურთხებენ. მშვიდობიანი მსვლელობა პატრიარქის იმ ინიციატივას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც 17 მაისი მშობლების პატივისცემისა და ოჯახის სიმტკიცის დღედ გამოცხადდა.



ზოგადად, ბათუმში ძალზე გავრცელებული მოვლენაა სახლების, ბინების, მანქანების, საჯარო და კერძო დაწესებულებების კურთხევა.

ტრადიციად იქცა, აგრეთვე, პარაკლისებისა და პანაშვიდების გადახდა ქალაქის სხვადასხვა ადგილას. ქალაქში ასეთი საკრალური მნიშვნელობა შეიძინა ბათუმისათვის ბრძოლებში გამირულად დაღუპულ იუნკერთა მემორიალმა, სადაც ხშირად იხდიან პარაკლისებს და პანაშვიდებს ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის სამღვდელოება. ამასთან არა მხოლოდ მათი ხსოვნის დღეს (23 მარტი), არამედ სხვადასხვა დროს, განსაკუთრებით, საზოგადოებისათვის საჭირობოროტო საკითხების გარშემო წარმოქმნილი დამაბულობის დროს.

მართლმადიდებლურ საკრალურ სივრცედ აღიქმება მრევლის მიერ ისეთი დაწესებულებები, როგორცაა საპატრიარქოს პატრონაჟით ეპარქიაში მოქმედი წმ. მატათა მოციქულის სახელობის მშობლების მზრუნველობასმოკლებულ ბავშვთა გიმნაზია-პანსიონი, ბათუმის წმიდა დიდმოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანე, სმენადაქვეითებულ (ინკლუზიური სწავლების) ბავშვთა ბაღი და სხვ. ამგვარად, ბათუმის მართლმადიდებლური თემისთვის მართლმადიდებელთა საკრალურ ცენტრს კვლავ ტაძრები წარმოადგენს, მაგრამ პარალელურად ხდება არასა-ტაძრო ტერიტორიის საკრალიზებაც და ჩნდება მართლმადიდებლური სიმბოლური ადგილები, რომლებიც მრევლის თვითრეალიზაციის საკრალურ სივრცეს წარმოადგენს.

#### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

**დიასამიძე, 2007:** – დიასამიძე ე., „ვინ დაანგრია მშენებარე ეკლესია?“, 2007; ინტერნეტ-მისამართი: <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=6604&lang=geo/>

**რელიგიები საქართველოში, 2008:** – „რელიგიები საქართველოში“, თბილისი, 2008; ინტერნეტ-მისამართი: [http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi\\_Saqartveloshi.pdf](http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf)

**ქეცბაია, 2020:** – ქეცბაია კ., „რელიგიის სოციოლოგია“, თბილისი, 2020.  
<http://eparchy-batumi.ge/>

**Tamila Lomtadze (Batumi, Georgia)**

### **Orthodox Sacral Space in Poly-confessional Batumi (Historical Experience and Modernity)**

#### **Abstract**

Batumi is a poly-confessional city. Its religious diversity dates back to the XIX century. Special changes in the religious life of the city began at the end of the XX century. Numerous Orthodox parishes in Batumi with their rituals, institutions, organizations, formal and informal sacred places create a special socio-cultural space of the city. The center of this space is traditionally different temples, but at the same time new places of worship appear: small chapels, crosses, public or educational spaces where daily or festive religious rites are held. In this way, non-temple symbolic areas are created, which become a sacred space for the self-realization of the parish.

## კონცეპტი „ბათუმი“ (კრეატივის – „ბათუმს“ – მიხედვით)

**აბსტრაქტი:** სტატიაში გაანალიზებულია კონცეპტი „ბათუმი“ ინგა გოგიბერიძის მიერ შედგენილი კრებულის – „ბათუმს“ – მიხედვით. აღნიშნულია, რომ მასში იგრძნობა პოსტმოდერნისტული ხელოვნებისაგან განსხვავებული მეტამოდერნისტული დამოკიდებულება წარსულისა და მისი ღირებულებებისადმი, აშკარაა ფასეულობებისადმი დაბრუნებისა და ე.წ. „პრაგმატული რომანტიზმის“ განწყობილებები. კრებული საინტერესოა იმით, რომ მასში თავმოყრილია სხვადასხვა ასაკის, თაობის, პროფესიის, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების ნაწარმოებები და თითოეული მათგანი გვაწვდის ბათუმის კონცეპტის მისეულ გაგებას.

**საკვანძო სიტყვები:** კონცეპტი „ბათუმი“, მეტამოდერნიზმი, ნეორომანტიზმი, კონტრასტები.

**Key words:** Concept "Batumi", Metamodernism, Neo-romanticism, Contrasts.

\* \* \*

მეტამოდერნისტულმა ეპოქამ შეცვალა დამოკიდებულება წარსულისადმი, ის უფრო რომანტიზებული გახადა, შემთხვევით არ უწოდებენ მას ამ ეპოქის ნათლიები „გრძნობის სტრუქტურას“, აღქმას, რომელიც სტრუქტურირდება. ახალმა მიმდინარეობამ ხომ გულგრილობისა და ცინიზმის მაგივრად ემოციათა გულწრფელობა და მიმტევებლური იუმორი, ღირებულებათა დევალვაციის ნაცვლად – ფასეულობებთან დაბრუნების სურვილი, წარსულის ირონიულ-პაროდიული და ნიჰილისტური ხედვის ნაცვლად ნეორომანტიზმი მოიტანა. სწორედ ეს იგრძნობა ბათუმისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელშიც მისმა შემდგენელ-რედაქტორმა, ინგა გოგიბერიძემ გემოვნებით შეარჩია და ერთ მშვენიერ თაიგულად შეკრა ბათუმისადმი მიძღვნილი ლექსები და მინიატურები. ამ კრებულს სხვა მსგავსი კრებულებისგან ისიც განასხვავებს, რომ ის არ შეიცავს მხოლოდ აღიარებული ავტორების ნაწარმოებებს, მასში თავმოყრილია სხვადასხვა ასაკის, თაობის, პროფესიის, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების ნაწარმოებები. მათ ერთი რამ აერთიანებთ: თითოეული მათგანი მისთვის შესაძლებელი საშუალებებით, ემოციურად უხსნის სიყვარულს საყვარელ ქალაქს, ანუ გვაწვდის ბათუმის კონცეპტის მისეულ გაგებას. ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ბათუმის კონცეპტზე, რომელიც აქტუალურია არა მარტო ქართველებისთვის, არამედ – უცხოელებისთვისაც. ის განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს. ამ კონცეპტის უპირველესი დამახასიათებელი არის კონტრასტების არსებობა: ძველისა და ახლის, ისტორიისა და თანამედროვეობის, ევროპისა და აზიის ფანტასტიკური შეხამება, ჰარმონიული თანაარსებობა სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის, კულტურის მქონე ადამიანებისა. შეიძლება ითქვას, ბათუმი გლობალიზაციის, მულტიკულტურული და მულტილინგვისტური სამყაროს მიკრომოდელად ქცევას ღადავობს. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რის შესახებაც გულწრფელად გვესაუბრებიან კრებულში წარმოდგენილი ავტორები ან ღია ტექსტით ან კიდევ – ქვეტექსტებით.

როგორც უკვე ვთქვით, ბათუმის კონცეპტი კონტრასტებისაგან ყალიბდება, ტყუილად კი არ დაარქვა მას შესანიშნავმა ბათუმელმა მწერალმა, ალექსანდრე სამსონიამ „წვიმიანი მზიანეთი“ *[სამსონია, 1981: 7]*. ამ კონცეპტის, თუ შეიძლება ითქვას, ბუნებრივი შემადგენელი კომპონენტებია ზღვა, მზე, წვიმა, მთები, სანაპირო, ყავახანები და, რაც მთავარია, კოლორიტული ბათუმელები.

ბათუმის კონცეპტის მრავალსახეობას ქმნიან გენიალური გალაკტიონისა და ტიციანის მიერ მსუყე, ხასხასა ფერებით დახატული ბათუმური პეიზაჟები („ოქრო აჭარის ლაჟვარდში – ოქრო“), მამია ვარშანიძის მიერ ოსტატურად შექმნილი სახე სოფლიდან ქალაქში პირველად ჩამოსული პატარა ბიჭისა, რომელიც გაცეცხისა და აღტაცებისაგან თვალეზღვართოებულნი შესცქერის მისთვის ესოდენ მომხიბლავ, თან საშიშ უცხო გარემოს და ეს გრძნობა მთელი ცხოვრება თან მიჰყვება. ამ კონცეპტის გამორჩეულ კუთხეებს გვათვალისწინებენ „აჭარაში გადარჩენილი ქართული სიტყვის“ დიდოსტატები: ფრიდონ ხალვაში და ზურაბ გორგილაძე და ბევრი ახალგაზრდა პოეტი, ვისთვისაც ბათუმი, უპირველესად, ორმხრივი სიყვარულის ქალაქია.

ბათუმის კონცეპტი თაობათა შორის დიალოგის გამორჩეულ უნარსაც გულისხმობს, რადგან, მართალია, იცვლებიან თაობები, მაგრამ არ იცვლება უმთავრესი: ბათუმის გამორჩეული ხიბლი და მიწიიდველობა, რადგან ეს ქალაქი უანგაროდ და გულუხვად ჩუქნის ყველას ბედნიერების შეგრძნებას, აი, ისეთს, როგორც იგრძნობა ტიციან ტაბიძის უმშვენიერეს ლექსში „სანტიმენტალური მოგზაურობა“:

„მაისი ყველგან არის მაისი,  
მაგრამ ბათუმში მაინც სხვა არის,  
და ახლა ვხვდები, რომ სილამაზეს  
აღარ ჰქონია ქვეყნად საზღვარი“

*[„ბათუმს“, 2016: 120].*

*[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მიუთითებთ მხოლოდ გვერდებს].*

ზუსტად შენიშნა განუმეორებელმა ტიციან ტაბიძემ: მართლაც, სხვანაირი მაისები იცის ბათუმმა, სხვანაირი ვარდობისთვე დგება წვიმისა და მზის, ზღვისა და სიყვარულის ქალაქში: საოცრად ფერადი და ხასხასა, თბილი და მყუდრო, ისეთი, ვერასოდეს რომ ვერ დაივიწყებ, სიცოცხლის სადიდებელს რომ გათქმევიწიებს კიდევ და კიდევ, აი, ისეთი – რუსთაველი რომ ბრძანებს:

„აქა მოსლვითა გაყმდების, კაციცა იყოს ბერები:  
სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არს სიმღერები,  
ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები;  
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინ-ა მტერებ“

*[რუსთაველი, 1974: 342].*

როგორი არამეცნიერულიც უნდა იყოს, მაინც მგონია: როცა გულანშაროს ხატავდა, რუსთაველს ჩვენი ბათუმი (XII საუკუნეში, ალბათ, – ბათუსი) ედგა თვალწინ.

ამ მარად ძველი და მარად ახალი უმშვენიერესი ქალაქის სულის მოზაიკური სურათი იხატება კრებულში „ბათუმს“. ზოგისთვის ბათუმი ბავშვობის მოგონებებშია შემორჩენილი:

„ჩემი ბავშვობის წმინდა ქალაქი,  
მე ახლაც თვალწინ მიდგას ბათუმი...  
ზღვა, მაგნოლია და სექტემბერი“ [133].

ზოგისთვის ის პირველი სიყვარულის ქალაქია, ზოგისთვის – განშორების ტკივილისა და ცრემლის, თუმცა ყველა აღიარებს, რომ თუკი ბათუმი ერთხელ შემოვიდა შენს ცხოვრებაში, ის იქვე რჩება სამუდამოდ და სადაც არ უნდა წახვიდე: გაზაფხულის თბილისში, შემოდგომის მოსკოვში, წვიმიან ვენეციაში, იერუსალიმის რომელიმე წმინდა მონასტერში – ყველგან თან დაგყვება ბათუმის ქუჩების სურნე-ლი, ყველგან წამოგაფეთება სიყრმის ქალაქის მოლანდება [13-14] და ზაურ ბოლქვაძესავით დაინახავ:

„სილუეტები ჩემი ბათუმის,  
ნისლში ცურავენ ციურ ტივებად“ [133].

ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც დედას ვერ ამოიგლეჯ გულიდან, ისე მშობლიურ ქალაქს, რომლის ქუჩებსაც შენი სხვადასხვა ზომის ნაფეხურები ატყვია.

კრებული იწყება მამუკა ესაძის პატარა წერილით, რომელიც ერთგვარ ლირიკულ ინტერმეცოდ უძღვის მას, ქმნის ნოსტალგიურ განწყობას. თვალწინ ცოცხლდება გასული საუკუნის 60-70-იანი წლების კოპწია, ქათქათა ბათუმი, თავზე თეთრი თოლიები რომ დაფარფატებენ, საოცარი არქიტექტურით: „მხოლოდ გრძივად ჩაწყობილი ჰარმონია, მოხატული სადარბაზოები რაფაელის ფრესკებით, ბათუმური ეზოები“ [5] და ამ უპრეტენზიო ქალაქში მოფუსფუსე ჩვეულებრივი, თუმცა იმავედროულად, კოლორიტული ადამიანები: „ზურიეს ნასწავლი ხაჭაპურები, პარიკმახერი კაკო... ოლია ფოსტალიონი... ახალი ამბებით და სენსაციური ბერძნულ-რუსულ-ქართული კილოთი...“ [4].

წარსულის მონატრების გრძნობა ორმაგად მძაფრდება, როცა ბათუმში სოხუმის ქუჩაზე ცხოვრობ, გახსენდება უღრუბლო, ლაღი, ხალისიანი ბავშვობის წლები:

„ახლა კი აწმყოში, წვიმების ავდარში,  
მაგნოლიებიან ზღვისპირა ქალაქში,  
სოხუმის ქუჩაზე ბედნიერ ბავშვობას გავდივარ“ [7]–

ვკითხულობთ მამა ადამის ლექსში „ბათუმი. ბავშვობა. სოხუმის ქუჩა“ და მთელი არსებით შევიგრძნობთ, რამოდენა ტკივილად ქცეულა ამ პატარა, უდარდელი ბიჭისთვის ავდარიანი მომავლის ჩვენება, სოხუმის გაუცხოება და დაკარგვა. ვერაფერი შეგების მომტანია აკაკის ჰანგზე აწყობილი სიმღერაც: „სოხუმი საქართველოა, ფესვები იქ გვაქვს ყველასო“ [7].

ავტორი სოხუმის ქუჩიდან ენგელსის ქუჩის ხუთსართულიან „კომკში“ გადაინაცვლებს, იქიდან მოიხილავს ბათუმის „მარღვებს“ – მის ქუჩებს, რომელთა სახელწოდებებში მშობლიურ სახელებს – მთისძირის, ზღვისპირის, თბილისის, ფერიის, რუსთველის, ილიას, აკაკის – სჭარბობს აწ უკვე „უხსენებელთა“ სახელები: ლენინის, ენგელსის, მარქსის, ძერჟინსკის, სვერდლოვის და სხვათა და სხვათა, რომლებიც ხარბი და დაუნდობელი ოკუპანტების სიმბოლოებად იქცნენ. სწორედ მათი დამსახურებაა საქართველოს სხეულზე დაჩნეული არაერთი მოუშუშებელი ჭრილობა, მათ შორის – სოხუმი და ქართველების აუხდენელი ოცნებები:

„დაბრუნდნენ ჭუბერით სახლებში,  
გაფრინდნენ ვერტმფრენით ლიხნისკენ,  
გაცურონ კატერით სოჭიდან,

აანთონ ილორში სანთელი,  
იპოვონ ბავშვობა, რომელიც  
დამალეს თოჯინის ფახულა თვალებში“ [11].

ოცნება ოცნებად რჩება ბათუმში, სოხუმის ქუჩაზე მცხოვრები ბიჭისთვის, რომლის ამოძახილშიც უსაშველო სევდა და მონატრება იკითხება:

„სოხუმის ქუჩაზე ვცხოვრობ და მარტოდენ  
რუკაზე ვეფერები აფხაზეთს!“ [12]

სამწუხაროდ, ვერც გენერალ მაზნიაშვილის ლომისებური ქუხილი უფრთხობს მიღს „მიძინებულ“ ქართველობას [24], ვერც ციდან თავსხმა წვიმად წამოსული აჭარელ წმინდანთა ცრემლი აფხიზლებს მას, არც ზღვის მძვინვარე ბორგვა ეუბნება რამეს, თუმცა გიორგი აღნიაშვილი მაინც პოულობს ჩვენს ქალაქში კაცს, რომელმაც კარგად იცის – „რამხელა მოვალეობაა ბათუმელობა“ [24] და რომ ის ნამდვილქართველობის სინონიმია.

თუმცა დრო მიდის და დაუნდობლად შლის ძველ ნატერფალებს, ახალ ეპოქას საფუძვლიანი კორექტივები შეაქვს ბათუმურ დრამაში და ის „ზე-მელო-დრამად“ [32] იქცევა. ღირებულებათა გაუფასურებამ ბათუმსაც შეუცვალა სული, ლაქები დაატყო: მის სახედ ქვეულან ცათამბჯენები – ზღვიდან მონაბერ ნიაგსა და მის მარილიან სურნელს რომ აღარ უშვებენ ქალაქში, ბრჭყვიალა, მაცდუნებელი კაზინოები და ცისარტყელას ფერებით აციმციმებული ღამის კლუბები, ათასი ჯურის ბედის მამიებელი და ავანტიურისტი, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ისტორია მეორდება. გავიხსენოთ დავით კლდიაშვილის მახვილი თვალით დანახული და ნიჭიერი მწერლის კალმით აღწერილი XIX საუკუნის ბათუმი: „ყველას ენაზე ეკერა ბათუმი, ბათუმი ყველასთვის საშოვარ ადგილად შეიქნა აღიარებული; ყოველი მხრიდან მორბოდნენ, რომ აქ ფეხი ჩაედგათ და ჯიბე გაესქვლებინათ. სულ მოკლე ხანში დაიყიდა ცარიელი მიწები და გაშენდა ახალი ქალაქი...“ [კლდიაშვილი, 1981: 120]. დაგვეთანხმებით, ალბათ, მსგავსება აშკარაა.

დიახ, ერთ დროს ჭადრებით დაბურული მყუდრო ქუჩები ბეტონის მრავალსართულიანი სახლების გროვად ქცეულა: „ჩვენი ქალაქის ყველა შენობა გარეგნულადაც და შინაგანადაც სუნთქავდა, სიყვარულს ასხივებდა და იმედს გამატებდა, რომ ასეთი უნიკალური ქალაქი სხვაგან არსად იყო მთელ დედამიწაზე!“ [43] – წერს ინგა გოგბერიძე იმ გულისტკივილით, რასაც ბათუმის თვითმყოფადობის, მისი გამორჩეულობისა და ერთადერთობის გაქრობა იწვევს მასში და ისევ და ისევ იმ ძველ ბათუმს შესტრფის, რომელიც შენს ხმებს „ინახავს ისეთს, სხვაგან რომ ვერასოდეს გაიგონებ“ [41], რომელიც ანათებს შენთვის და „მხოლოდ ნისლში გეჩვენება მთა ფერიისა, სადაც სულები დაჰქრებიან... და ამიტომაც მხოლოდ ბათუმელებმა იციან – როგორი „ფერიულია“ გამთენიისას ფერიის მთა“ [6].

ბათუმურ წვიმასაც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხმა აქვს, ქარიც მშობლიურია და თმაგაწეწილსა და გალუმპულს გიხარია ქალაქის ქუჩებში სიარული, რადგან შენ შენს ბათუმში ხარ. ყველას ხომ თავისი ბათუმი აქვს. დავით თედორაძისთვის ის „საყელოზე ზღვამიბმული“ სამოთხეა [54], ეკატერინე დონდუასთვის – ქოლგაანი დელფინები და ბათუმით ძველი და სველი პორტის მეთევზე, „კოფე“ „ბერეგზე“ და „დიდთა გემთა მოლოდინში თვალებდამწყდარი პორტია“ და კიდევ:

„მაგნოლიების სურნელებით გამთბარი მთვარე,  
ქუჩების გასწვრივ პალმის ხეთა მწვანე აკიდო...“

მოხსენით ციდან თოლიები, ეს მზეც და ღამეც, –  
ვიპარავ ბათუმს,  
მისაღებში უნდა დავკიდო...“ [57].

ნინო ალადაშვილისთვის ეს განუმეორებელი ბათუმური დაისებია და ცხოვრება, რომელიც ძალიან ჰგავს ზღვის მოქცევას [17], დათო ახლოურისთვის ბათუმი „ტაოს მონატრებით გამთბარი“ სიყვარულის ქალაქია [18], ცისანა ანთაძისთვის ის ბათუმის სანაპიროზე მოსეირნე გენიალური გალაკტიონია, რომლის „მწიფე ლექსების სურნელი“ მოსდებია ქალაქის ქუჩებს [21], როინ აბუსელიძისთვის ბათუმი ქოლგაში შეყუჟული შეყვარებული წყვილებია, შემდეგ სოკოებზე აკრეფილი ქოლგები, სარეცხ თოკებზე ჩამომსხდარი ჩიტუნები, ვნებიან ქალაქს რომ კენკავენ და რაღაცნაირი ბედნიერების განცდას რომ ბადებენ შენში... ნეორეალისტური შავ-თეთრი ფილმების კადრებად გაიელვებენ ბათუმური წვიმიანი პეიზაჟები როინ აბუსელიძის ლექსებში და ვხედავთ ბათუმური „გამოდარების“ სურათებს: ტოტებზე მიძვებად ასხმულ წვიმის წვეთებს, წყაროზე შედგმულ კოკასავით წვიმით სავსე ბათუმს: „და ამ ქალაქში ხშირად ისე წვიმს, რწმუნდები – წვიმაც ბათუმელია“ [16].

როინ აბუსელიძეს მხარს უბამს მისი თაობის კიდევ ერთი პოეტი – გენრი დოლიძე, ვისთვისაც „ბათუმი არის წვიმის აფიშა და ღმერთის გულის ფეთქვა მკაფიო“ [59]. ის ფანტასტიკური სანახავია მაშინაც, როცა „მზეს შემოიდებს ლომის თათივით და ზღვაში სიზმრებს ააციმციმებს“ [59].

მამუკა ესაძისთვისაც – „ბათუმის „ბერეგს“ აყოლილი ერთი აშულისთვის“ – ბათუმი სიყვარულია, სადაც „წვიმა სმოკინგში, თეთრი ჯოხით კომპოზიტორობს, კომპოზიცია არის ნელი, ისე მარტივი“ [60].

ზღვისფერთვალა და ხავერდოვანია ბათუმი ნინო ხიტირისთვის [112].

სულ სხვა რაკურსითაა დანახული ბათუმი და წვიმა ნანა მეტრეველის ლექსში, სადაც „ეს დალოცვილი ზეცის ცრემლები“ ტირილით მიაცილებენ სამშობლოდან იბულებით წასულთ, ბათუმი კი უკან დაბრუნების იმედს უნერგავს მიმავალთ [77].

ვახტანგ ღლონტისთვის „ბათუმი არის წვიმა და არაფერი – სხვა“, თუმცა ის სიყვარულიცაა და მონატრებაც, სიხარულიცაა და ნაღველიც, რისხვაცაა და შენდობაც, ჯვარცმაცაა და ხსნაც – მოკლედ, ბათუმი ცხოვრებაა, მასავით მრავალმხრივი, თუხთუხა და მოულოდნელობებით სავსე: „ბათუმი არის ბათუმი და არაფერი სხვა“ [99].

ლიკა ყიფშიძის თვალთ დანახულ ბათუმში „ერთი წვიმა მეორე წვიმას არ გავს“ და:

„ბათუმს უხდება წვიმა,  
სველი ფერებით დღაბნა,  
დუჟმორეული ზღვიდან  
გამოქცეული ტალღა...  
პალმის წამწამთა თქეში,  
კიპაროსები სველი,  
გაწუწულ ყვავილების სურნელოვანი ტევრი“ [101].

როგორც ვხედავთ, შედარებით უფროსი თაობის შემოქმედთა მიერ ბათუმის კონცეპტის გააზრებისას მეტი ნოსტალგია იგრძნობა, რადგან ახალ ეპოქას თავისი კორექტივები შეაქვს ბათუმის კონცეპტის გაგებაში, და მაინც, ახალგაზრდების მხერა მომავლისკენაა მიპყრობილი: ისინი ახალი შინაარსითა და ხვალინდელი

დღის იმედებით ავსებენ ქალაქის კონცეპტს, ამიტომ, ვფიქრობთ, ყველა თაობის ბათუმელის ნატვრა ამოთქვა ფრიდონ ხალვაშმა ამ სტრიქონებით:

„მე უფრო კარგი მინდა ბათუმი,  
ქალაქი – კარი საქართველოსი“ [124].

როგორც ვნახეთ, კონცეპტი „ბათუმი“ თავისთავში აერთიანებს სხვადასხვა კონოტაციას, მისი უმთავრესი დამახასიათებელი კი კონტრასტებია: ევროპულ-აზიური, ქრისტიანულ-მუსულმანური, ინტელექტუალურ-ტურისტული, პრაგმატულ-რომანტიკული, ცათამბჯენებისა და ერთ-ორსართულიანი შენობების, ფუფუნებისა და შეჭირვების... ბათუმი კი ამ უკიდურესობათა, ფაქტობრივად, ბინარულ ოპოზიციათა დაბალანსებას გასაოცარი ხელოვნებითა და ტაქტით ახერხებს, რაღაცნაირად ინარჩუნებს მათ შორის წონასწორობას; ასე რომ, თუ ლიუკ ტერნერს დავეუჯერებთ და მეტამოდერნიზმი გულისხმობს მერყეობას როგორც ორ პოლუსს შორის, ისე დროის განსაზღვრულ პერიოდში მის არსებობას ცენტრში [ტერნერი, 2011], ბათუმი ერთ-ერთი ყველაზე მეტამოდერნისტული ქალაქია მსოფლიოში, შესაბამისად, ბათუმელი შემოქმედებცი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ხელოვნებაში ამ ახალი მიმართულების შემომტან-დამამკვიდრებლებად გვევლინებიან, რისი ნათელი დადასტურებაცაა კრებული „ბათუმს“.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბათუმს, 2016:** – „ბათუმს,“ კრებული №1 (შემდგენელ-რედაქტორი ინგა გოგიბერიძე), გამ. „World Print“, ბათუმი, 2016.
- კლდიაშვილი, 1981:** – კლდიაშვილი დავით, „ჩემი ცხოვრების გზაზე“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981.
- რუსთაველი, 1974:** – რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, გამ. „განათლება“, თბილისი, 1974.
- სამსონია, 1981:** – სამსონია ალექსანდრე, „წვიმაში დაწერილი მოთხრობები“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1981.
- ტერნერი, 2011:** – ტერნერი ლიუკ, „მეტამოდერნისტი//მანიფესტი“; ინტერნეტ-მისამართი: <http://www.metamodernism.org/>
- Turner, 2011:** – Turner Luke, „METAMODERNIST // MANIFESTO“; ინტერნეტ-მისამართი: <http://www.metamodernism.org/>

Shorena Makhachadze (Batumi, Georgia)

#### Concept “Batumi” (According to the Collection “Batumi”)

##### Abstract

The metamodern era has changed the postmodern attitude to the past, it became more romanticized, it is no coincidence that the godfathers of this era call it "the structure of the feelings", the perception, that is structured. The new trend brought sincerity of emotion and forgiving humor instead of indifference, nihilism and cynicism, and a desire to return to values instead of devaluation of values. This is felt in the collection dedicated to Batumi, in

which its compiler-editor, Inga Gogiberidze tastefully selected and collected in one beautiful bouquet the poems and miniatures dedicated to Batumi. This collection differs from other similar collections that it does not contain only the works of recognized authors, it contains the works of people of the different ages, generations, professions, famous or unknown people. They have one thing in common: each of them by available means, emotionally explain the love to the beloved city, that they give us an understanding of the concept of Batumi.

According to this collection, we can talk about the concept of Batumi, that is actual not only for Georgians, but for foreigners too. It is a special phenomenon. The primary characteristic of this concept is the fantastic combination of the old and new, the history and modernity, Europe and Asia, the harmonious coexistence of people of the different nationalities and religions, cultures. It can be said that Batumi wants to become the micromodel of globalization, multicultural and multilingual world. Of course, this has its advantages and disadvantages, about that the authors presented in the collection speak in plain text, or subtext.

The concept of Batumi is formed from contrasts, and it is no coincidence that the remarkable Batumi writer Alexander Samsonia called it "Rainy Sunshine". The natural components of this concept, if it can be said, are the sea, the sun, the rain, the mountains, the coast, the coffee houses and, most importantly, the colorful inhabitants of Batumi. The concept of Batumi diversity is created with the rich, bright colors painted Batumi landscapes by the genius Galaktion and Titian; the great angles of this concept are shown by the grandmasters of the "Georgian Word Surviving in Adjara": Fridon Khalvashi, Zurab Gorgiladze and many young poets, for whom Batumi, first, is the city of mutual love. That is created the concept Batumi mosaic image. There is more nostalgia when the relatively older generation of creators understands the concept of Batumi, because the new era makes its corrections in the understanding of the Batumi concept, that it ruthlessly removes old traces; the flow of time has changed the spirit of Batumi, there are stains left, instead of cozy streets covered with plane trees, they turned into skyscrapers - the sea breeze and its salty smell, no longer allowed in the city, sparkling, seductive casinos and nightclubs, a thousand different people destiny seeker and adventurers... still, the eyes of the young are fixed on the future: they fill the concept of the city with new content and hopes for tomorrow. The concept of Batumi also implies a unique ability of dialogue between the unique charm and attractiveness of Batumi, because this city unselfishly and generously gives everyone a feeling of happiness. generations, because, although the generations change, but does not change the most important: the unique charm and attractiveness of Batumi, because this city unselfishly and generously gives everyone a feeling of happiness.



## მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი (ბათუმი, საქართველო)

### ბათუმი ინგლისელთა მმართველობის პერიოდში (1918-1920 წწ.)

**აბსტრაქტი:** 1918-1920 წლებში ინგლისელთა მმართველობამ გარკვეული კვალი დატოვა ბათუმის ისტორიაში. დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დროის ამ მცირე მონაკვეთში ინგლისელთა მიერ სწრაფად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, ბათუმში სასამართლოს მოწყობის, წესრიგის აღდგენის, სანიტარულ-ჰიგიენური კულტურის დაცვის, მიწის და საფინანსო რეფორმის, თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების, ქალაქში მოძრაობის წესების დაცვის, ფიზიკური და გონებრივი შრომით დაკავებული მოსამსახურეებისთვის სამუშაო განაკვეთის განსაზღვრის და ა.შ. საკითხები.

საინტერესოა ბათუმის უბნების სრული აღწერილობა, ასევე ბათუმის დროებით მმართველობასთან მოქმედი კომისიების, კერძოდ, სარევიზიო, საფინანსო, სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური, იურიდიული, სასკოლო, ტექნიკური, პირველად მოთხოვნილებად საგნებზე ფასების დარეგულირების და ა.შ. მუშაობა.

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო ბათუმში თავისი ძალაუფლების განხორციელების შესაძლებლობას. 1920 წელს კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ინგლისი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმი.

**საკვანძო სიტყვები:** თვითმმართველობა, დემოკრატიული რესპუბლიკა, კომისია, ოკუპაცია, უბანი.

**Key words:** Self-government, Democratic Republic, Commission, Occupation, District.

\* \* \*

1918 წლის აპრილ-მაისში საქართველოში დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების საკითხი იდგა და ამით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იყვნენ ევროპული სახელმწიფოები, რადგან მათ უფლება ეძლეოდათ ჩარეულიყვნენ საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საქმეში.

1918 წლის 15 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი ეროვნული კომიტეტის წევრები პეტრე სურგულაძე, ზია აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე და სხვები წერილით მიმართავენ ევროპის ქვეყნებს, რომელშიც წუხილს გამოთქვამდნენ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გამო და აღნიშნავენ, რომ ყარსი, არდაგანი და ბათუმი, რომელსაც რუსეთი და თურქეთი ინაწილებენ, ისტორიულად საქართველოს ტერიტორიის განუყოფელი ნაწილებია.

პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდგომ თურქებმა კავკასია დატოვეს და 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმს ინგლისი დაეპატრონა. ბათუმის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე პ. ნ. მასლოვმა განაცხადა, რომ უმტკივნეულოდ მოხდა ხელისუფლების გადასვლა თურქებისგან რუსებისა და ინგლისელების ხელში, კერძოდ პ.ნ. მასლოვი და მომავალი გენერალ გუბერნატორი გ. კუკ-კოლისი მივიდნენ მუთასარიფთან და მას წაუკითხეს წესები ხელისუფლების გადაცემის შესახებ. ბრიტანეთის შავი ზღვის ძალების მთავარსარდლის გენერალ მილნის 1919 წლის 10

ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, ბათუმის ოლქის გენერალ გუბერნატორად დაინიშნა ბრიტანეთის არმიის ბრიგადის გენერალი კუკ-კოლისი, რომელსაც ევალებოდა კონტროლი ბათუმის ოლქში წესრიგის დაცვაზე *[ასსცსა, გ. 0-67, ან. 1, ს. 3, ფურც. 1-7]*. სამხედრო გუბერნატორს უფლება ეძლეოდა თავისი შეხედულებამებრ მოეწყო სამხედრო სასამართლო. ბრიტანეთის საოკუპაციო ძალების წინააღმდეგ ყოველი ქმედება განსახილველად გადაეცემოდა მათ მიერ არჩეულ სამოქალაქო ან კიდევ სამხედრო სასამართლოს და ისჯებოდა სიკვდილით ან სხვა სახის სასჯელით. ბათუმში ბრიტანეთის ჯარს ხელმძღვანელობდა ფორესტ იოკი. ბათუმში დონდუკოვისა და თბილისის ქუჩების კუთხეში არსებული კაფე „შანტანა პალეკრისტალის“ შენობა გადაეცა პირველ საარტირელიო დივიზიონს *[ასსცსა, გ. 0-67, ან. 1, ს. 5, 11, ფურც. 1-172]*.

ბრიტანელთა ოკუპაციის პერიოდში ყველა სადავო საკითხს იხილავდა მათ მიერ დაწესებული ე.წ. „შემრიგებელი კამერა“ რომლის გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. ბათუმში მცხოვრები რუსი ოფიცრები, რომლებიც რუსულ სამხედრო ფორმას ატარებდნენ, უნდა დარეგისტრირებულიყვნენ სამხედრო გუბერნატორის კანცელარიაში, ხოლო დარეგისტრირების არმქონე პირებს ეკისრებოდათ კანონიერი პასუხისგებლობა. სამხედრო გუბერნატორ კუკ-კოლისის 1919 წლის 10 ივნისის ბრძანებით ყაჩაღები, კაცის მკვლელები, რომლებიც ატერორებდნენ ქალაქის მოსახლეობას, ისჯებოდნენ უმკაცრესი კანონებით.

ამიერკავკასიაში ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების უფროსს, გენერალ გ.გ. მილნის 1919 წლის 20 მარტის ბრძანებით ისჯებოდა ყველა ის პიროვნება, რომლებიც უნებართვოდ ატარებდნენ იარაღს, ან კიდევ ასაფეთქებელ ნივთიერებას. ამავე ბრძანებით აკრძალული იყო სახლიდან გასვლა ღამის 11 საათიდან დილის 5 საათამდე. ყველა გასართობი დაწესებულება უნდა დახურულიყო 12 საათზე. ასევე აკრძალული იყო ერობის სხდომის ან კიდევ სადღესასწაულო დღეების გარდა 6-ზე მეტი ადამიანის თავყრილობა, ქუჩებში ხმამაღალი საუბრები, საფრთხის შემცველი საინფორმაციო პრესის გავრცელება, ბრიტანეთის ჯარის სამხედრო ფორმის მუნდირის უნებართვოდ ტარება, ბრიტანეთის სამხედრო წარმომადგენლისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ფალსიფიცირებული პასპორტების გაცემა, დოკუმენტების გაცემა, ოპიუმის მოხმარება და გავრცელება, აზარტული თამაშები. აკრძალა მატარებლის ლიანდაგზე სიარული, მატარებლიდან ჩამოხტომა. ბრიტანეთის სამხედრო პოლისმენს უფლება ჰქონდა შესულიყო გასართობ დაწესებულებებში და გაეკონტროლებინა არსებული ვითარება. აღნიშნული წესრიგის დარღვევა ითვალისწინებდა ჯარიმას 40 000 მანეთის ოდენობით ან 3 თვით პატიმრობას.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორ კუკ-კოლისის 1919 წლის 23 იანვრის ბრძანებით ქალაქის სისუფთავისა და წესრიგის დაცვის მიზნით ყოველ მოქალაქეს აეკრძალა ქუჩების ნარჩენებით დაბინძურება, ქალაქის თვალსაჩინო ადგილებში არაფხიზელ მდგომარებაში ყოფნა, ხმაური, ჩხუბი, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, თუ გინდ გართობის მიზნით, ტროტუარზე ავეჯის გამოფენა და ვაჭრობა, ველოსიპედით მოძრაობა, ტრანსპორტის მოძრაობის წესების დაღვევა. კერძო მანქანის მფლობელს ქალაქში მგზავრობისთვის წელიწადში უნდა გადაეხადა 200 მანეთი, ხოლო მოტოციკლეტის მფლობელს 50 მანეთი. კერძო და სახელმწიფო მანქანები აღჭურვილნი უნდა ყოფილიყვნენ სათანადო ნიშნებით. ქალაქში მოძრაობის

სიჩქარე არ უნდა აღმატებულიყო 12 ვერსს საათში. დროებითი მცხოვრებლები ვალდებულნი იყვნენ დაერეგისტრირებინათ საკუთარი ავტომობილები, ტექნიკური უსაფრთხოების მიზნით გაეცლოთ ტექდათვალიერება, სახელმწიფო ავტომობილზე ნომერი უნდა დაფიქსირებულიყო შავი ფერით თეთრ ფონზე, ხოლო კერძო მანქანებზე თეთრი ფერით წითელ ფონზე. ქალაქში იკრძალებოდა კრებების ჩატარება, მოქალაქეთა შორის მიმოწერა ექვემდებარებოდა ცენზურას [ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 5, ფურც. 8].

ბათუმში ინფექციური დაავადებების და ქოლერის გავრცელების პრევენციის მიზნით, ქალაქის მმართველობასთან არსებული სანიტარული ბიურო აწარმოებდა წყალსმოკლებული სავაჭრო ადგილების დეზინფექციას, ქოლერით დაავადებულთათვის გახსნილი იყო ქოლერის ბარაკები. ბათუმის სუფთა წლით მომარაგების მიზნით ყოვლდღიურად ხდებოდა წყლის ანალიზი, აკრძალული იყო აუდუღარი წლით კვასის და ლიმონათის დამზადება, სასმელი წყლის „სოუ-ქსუ“ გაყიდვა. კანონის დამრღვევნი ისჯებოდნენ 3 000 მანეთით, ან სამი თვით პატიმრობით.

ბათუმის გენერალ-გუბერნატორ კუკ-კოლისის 1919 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაითხოვეს ბათუმის საქალაქო მმართველობა, შეიქმნა განსაკუთრებული სამმართველო, რომელშიც გაერთიანდა ინგლისელი ოფიცრები და ქალაქ ბათუმის რჩეული მოქალაქეები. საკრებულოს კუკ-კოლისითვის უნდა წარედგინა ახალი თვითმმართველობის არჩევნების სქემა, რომელიც 1920 წლის თებერვლისთვის იყო დანიშნული. კუკ-კოლისის მიერ დანიშნულ დროებით მმართველობაში შევიდნენ მოქალაქეები: თავადი ჯავახოვი, გ. ლორთქიფანიძე, გ. ტოროსოვი, ხოლო მმართველობის თავმჯდომარედ დაინიშნა ინგლისელი ოფიცერი, რომელიც გუბერნატორის წინაშე ანგარიშვალდებული იყო. ბათუმის დროებით მმართველობასთან მოქმედებდა შემდეგი კომისიები: სარევიზიო, საფინანსო, საექიმო-სანიტარული, იურიდიული, სასკოლო, ტექნიკური, პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების რეგულირების და ზოგიერთი სხვა.

კუკ-კოლისის 1919 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქში სამუშაო საკითხებთან დაკავშირებით დაფუძნდა სამუშაო საქმეთა კომიტეტი, რომელშიც გაერთიანდნენ ფაბრიკა-ქარხნის მუშა-მოსამსახურეები, წარმომადგენლები ქალაქის საზოგადოებრივი სამმართველოდან, სასურსათო უწყებიდან, სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებებიდან, სახელოსნოებიდან, სასოფლო-საზოგადოებისგან და ა.შ. ყველა დარგის სამუშაოზე მინიმალური გამომომუშავების თანხა გაიზარდა 100 %-ით. ეს გადაწყვეტილება არ ეხებოდა სპეციალური დარგის სამსახურებს.

1919 წლის 22 ნოემბერს, სამხედრო გუბერნატორმა მიიღო გადაწყვეტილება მინიმალური გამომომუშავებული თანხის ოდენობის განსაზღვრის შესახებ, არაკვალიფიციური მუშებისთვის განისაზღვრა თვეში 2 750 მანეთი ან დღეში 110 მანეთი, ხოლო უმაღლესი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისთვის 4 000 მანეთი ან 160 მანეთი დღეში. ფიზიკური შრომით დაკავებული მუშა-მოსამსახურეებისთვის დაწესდა 8 საათიანი სამუშაო დღე, ხოლო გონებრივი მუშაკათავის 6 საათიანი. პარიტეტულ საწყისებზე მუშაკთა კატეგორიებს განსაზღვრავდა პროფკავშირები და საექსპერტო კომისიები. მინიმალური გამომომუშავებული თანხა არ ვრცელდებოდა სოფლის მეურნეობის და სახელმწიფო დაწესებულების მუშა-მოსამსახურეებზე. ქალისა და კაცის ერთი და იგივე შრომა ფასდებოდა თანაბრად. ორივე სქესის თექვსმეტიდან 18

წლამდე მოზარდების შრომის ანაზრაურება ხდებოდა 25 %-ით, ხოლო თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე მოზარდების შრომა ანაზღაურდებოდა 50 %-ით.

1919 წლის 17 ივნისიდან უმუშევრობის შემცირების მიზნით ბათუმის ოლქში ამოქმედდა შრომის ბირჟა, რომლის რეზიდენციას წარმოადგენდა ერობის დარბაზი.

სტატიაში დეტალურად გადმოვეცით ბათუმის უბნების სრული აღწერილობა, რათა მკითხველის თვალწინ გაგვეცოცხლებინა XX საუკუნის პირველი ნახევრის ბათუმი, თავისი მოჩუქურთმებულსვეტებიანი კერძო სახლებით, ფართო მოკირწყლული ქუჩებით, თავისუფალი მოედნებით, ბათუმის საპატოო მოქალაქეებით და ა.შ.

ბათუმის მმართველი საბჭოს 1919 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე მთელი ოლქის მასშტაბით აღადგინეს უბნის ხელმძღვანელის თანამდებობა და იგი დაუქვემდებარეს ქალაქის საბჭოს. ასევე ქალაქის მმართველ საბჭოსთან დაფუძნდა განსაკუთრებულ საქმეთა უფროსის თანამდებობა, რომელსაც დაევა შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელობა. ამ თანამდებობაზე დანიშნეს პოლკოვნიკი იონინი. ინგლისის ხელისუფალნი ცდილობდნენ შინაგან საქმეთა საქმის ორგანიზება გადაცემულიყო სამხედრო ჩინის მქონე ბრიტანელ მოსამსახურეზე. ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა უბნის ხელმძღვანელების არჩევის უფლებას და ოლქში მოქმედი ინგლისის საჯარისო ნაწილების შემცირებას. ინგლისელებს, რუსებს და თურქებს ბათუმის ოლქის უბნები განაწილებული ჰქონდათ შემდეგი სახით: პირველი უბანი ინგლისელებს ჰქონდათ დაკავებული, რომელშიც შედიოდა სასტუმრო „ფრანცია“, სახელმწიფო ბანკის ნაწილი, მიხეილის ქუჩა და საცხოვრებელი სახლი ნომერი 4, მეორე უბანში იყო მხოლოდ სომხური სკოლა, მესამე უბანში ვაჟთა გიმნაზია, ვარძელაშვილის სახლი – ყოფილი საარტირელიო სამმართველო, თბილისის და სმეკალოვის ქუჩების კუთხე, კომენდანტის სახლი, მარინეს სასწავლებელი, საგუბერნიო სახლი, სასაზღვრო დაცვის ლაზარეთი, რომელშიც სანიტარული სამმართველო იყო განთავსებული, ელიავას სახლი შეპელებს ქუჩაზე, ბ. ფიტინგოფის სახლი, ბათუმ-ტრაბზონის რკინიგზის სადგური, რომელშიც განთავსებული იყო ბათუმის ოლქის მმართველის კანცელარია, ასევე ქართული სასწავლებელი, საკომერციო კლუბი, ქალთა გიმნაზია, ჩერნოვის სახლი-ვოზნესენსკის და ასათიანის ქუჩების კუთხე, ცხოველთა იზოლატორი. დაწყებითი სასწავლებელი, ასათიანის ქუჩაზე სახლი №17, სახლი №57, დიდი ყაზარმები ოლღას ქუჩაზე. თურქებს ბათუმში ეკავათ სახელოსნო სასწავლებელი, საავადმყოფო, სასაზღვრო პორტი, ბათუმის ბავშვთა თავშესაფარი, პეტროგრადის ქუჩაზე სახლი №108, საეტაპო პუნქტი, საინჟინრო სამმართველო, ბათუმში რუსებს დაკავებული ჰქონდათ: ხაზინა, სადგური, საპატიმრო და თვითმმართველობა. ქალაქის მეოთხე უბანში ინგლისელებზე განაწილებული იყო ლერმონტოვის ქუჩაზე არსებული სახლი №53. ამ პერიოდში თურქებს ბათუმში დაკავებული ჰქონდათ ექვსი შენობა: წითელი ყაზარმები, ბერტმანის და კარპოვის საკუთრება პუშკინის პროსპექტზე, გოზალიშვილის საკუთრება-პუშკინის და საზღვაო ქუჩების №4, მღვდელ ჩხიკვაძის სახლი – პუშკინის და შეპელებს ქუჩების კუთხე, გამანაწილებელი პუნქტი, საბაშვილის საკუთრება – შერემეტიევისა და პუშკინის ქუჩების კუთხე. ბათუმში ინგლისელებს დაკავებული ჰქონდათ მეხუთე უბანი, რომელშიც შედიოდა გუბერნატორის თანამემწის სახლი, საბაჟოს ნაწილი, საავტომობილო სახელოსნო, ჩილინგარიანის სახლი – სანაპიროს ქუჩა, კომენდანტის ბაზა, თურქებს აქ ეკავათ კარანტინის ნაწილი, აზიზიეს მოედანი, სვიატოპოლსკის და სულთნის კუთხე, ოკლობჟიოს და ქუთაისის ქუჩების კუთხე. რუსებზე მეხუთე

უბანში განაწილებული იყო საბაჟოს ნაწილი, საპორტო სამმართველო, რუსული საზოგადოების შენობა *[ასსცსა, გ. 0-67, ან. 1 ს. 1, ფურც. 48]*.

ბათუმის მმართველი საბჭოს 1919 წლის 2 იანვრის გადაწყვეტილებით გონიოს უბნის ხელმძღვანელის რეზიდენცია გადავიდა მარადიდში. დაწესდა ართვინის საქალაქო მილიციის ხელმძღვანელის თანამდებობა, რომელზეც დაინიშნა გ. ბაგ-დასარიანი *[ასსცსა, გ. 0-67, ან. 1 ს. 2, ფურც. 10]*.

1919 წლის 4 თებერვალს, ბათუმის მმართველი საბჭოს სხდომაზე განიხილეს მიწის საკითხი. მმართველი საბჭოს წევრების ერთმა ნაწილმა მოითხოვა საკითხის გადადება იმ მოტივით, რომ არსებული მიწები არ იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებაში და ამასთან ერთად დეკრეტის გამოქვეყნებამდე არ ჰქონდათ უფლება დაეკანონებინათ კერძო პირების საკუთრებაში არსებული მიწები. თუმცა, ბოლოს მაინც განიხილეს აღნიშნული საკითხი და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყველა მიწა, რომელიც საბჭოს მიერ დეკრეტის გამოცემამდე არ იმყოფებოდა სახელმწიფო საკუთრებაში და ამავე დროს მათ განკარგავდნენ და მისით სარგებლობდნენ კერძო პირები, უნდა დამტკიცებულიყო მისი მფლობელის პირად და მემკვიდრეობით საკუთრებაში.

მიწის რეფორმის გასატარებლად დააფუძნეს მიწის კომიტეტი, რომელშიც ჩართული იყო თითო წარმომადგენელი სატყეო, სასამართლო, ფინანსურ-მაკონტროლებელი და ადმინისტრაციული ორგანოებიდან. ბათუმის ოლქის ქალაქის გარეთ არსებული მიწები, რომელიც არ ეკუთვნოდა კერძო პირებს და ის სახელმწიფო მფლობელობაში იყო, გადაეცემოდა სასოფლო საზოგადოებას. აიკრძალა სახელმწიფო ტყეებიდან უფასოდ შეშის გამოტანის და პირუტყვისთვის საძოვრების გამოყენების უფლება. მიწის მფლობელს საკუთრება რეესტრში უფორმდებოდა ნოტარიული წესით. მიწის მესაკუთრე მხოლოდ სანოტარო ხარჯებს ფარავდა. მიწები გადაწილდა შემდეგი ოდენობით: ბათუმის და მარადიდის დასავლეთ ნაწილში და ყარა შავლაჩკის ბორცვზე 4 დესეტინა, მარადიდის და ქვემო აჭარის დარჩენილ ნაწილში 6 დესეტინა, ხოლო ოლქის ყველა სხვა უბანში 8. სახელმწიფო ფონდში არსებული მიწების რაოდენობის უკმარისობის გამო შესაძლებელი იყო აღნიშნული ნორმები შემცირებულიყო. სახელმწიფომ ტყეები აღიარა წლის წყაროების დამცავ ზოლად და იგი არცერთ შემთხვევაში არ უნდა გადასულიყო სასოფლო საზოგადოებების ხელში. მუჰაჯირების მიწები გადაეცემოდა საკუთრებაში მათ მემკვიდრეებს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, უფასოდ უნაწილდებოდათ უღარიბეს მოსახლეობას, პირად და მემკვიდრეობით საკუთრებაში.

1886 წლით აღიარებული საკუთრებითი უფლება მუჰაჯირების მიწებზე განისაზღვრა 2000 დესეტინით. ფიჭვნარის აგარაკი და ადრე სამხედრო უწყების განკარგულებაში არსებული მიწები დაყვეს არც ისე დიდ უბნებად და მსურველთა შორის გადაანაწილეს. არსებულ მიწებზე სახლების აშენების ვალდებულებისგან გაათავისუფლეს არენდატორები და მთავარ ვალდებულებად აღიარეს მიწის კულტივაცია *[ასსცსა, გ. 0-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 183]*.

1918-1919 წლებში ბათუმში ფულად მიმოქცევაში თანაბარ უფლებებზე დაუშვეს ნიკოლოზის საკრედიტო ბილეთები, კერენსკის მანეთი – ყველა კუპიურა (ე.წ. კერენოკი), ამიერკავკასიის ბონები და განსაზღვრული დროით თურქული ლირაც *[ასსცსა, გ. 0-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 91]*.

ბათუმი გეოგრაფიული მდებარეობით და ეკონომიკური ურთიერთობებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამიერკავკასიასთან, სადაც ფულად მიმოქცევაში იყო ამიერკავკასიის ბონები და რომ არ დაეშვათ ის, მაშინ ძნელი იქნებოდა ბათუმის სავაჭრო ცხოვრების აღორძინება. ჯერ კიდევ 1918 წლის 30 დეკემბერს, ბათუმის ოლქის მმართველი საბჭოს სხდომაზე აღნიშნეს, რომ ამიერკავკასიის ბონები თავისი ღირებულებით და სრულფასოვნებით ვერ გაუტოლდებოდა სრულიად რუსეთის ფულად ნიშნებს. ამ პერიოდში ამიერკავკასიის ბონების ფულად მიმოქცევაში დაშვება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა, რადგან ამიერკავკასია დაშორდა რუსეთს და დაიშალა სამ სახელმწიფოდ. ამასთან ერთად, რომანოვის ფულთან შედარებით ამიერკავკასიის ბონებისთვის უპრაქტესობის მინიჭება გამოიწვევდა ადგილობრივი ბაზრის ავსებას ამიერკავკასიის ბონებით, ხოლო რომანოვის ფული დროთა განმავლობაში გაქრებოდა ხმარებიდან და ამის საფუძველზე დაიკარგებოდა რუსეთის ბაზარზე აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნების შესყიდვის შესაძლებლობა, რადგან რუსეთში ამიერკავკასიის ბონები არ გამოიყენებოდა ფულად მიმოქცევაში. ამიტომაც, ბათუმის მმართველი საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ფულადი ნიშნების გათანაბრებას, რადგან რუსეთისთვის ამ პერიოდში აუცილებელ პროდუქტს წარმოადგენდა ნავთობი და მინერალური ზეთი, რომელსაც ბათუმის ზღვით ეღებოდა დაჰქოდა.

1918 წელს საქართველო სომხეთს შორის მიმდინარე ომის გამო რუსეთი ინგლისის ხელისუფლებიდან გარანტიებს ითხოვდა კავკასიის ბანკის სესხთან დაკავშირებით (300 000 მან).

1919 წლის 5 აგვისტოს ბათუმის სამხედრო გუბერნატორის ბრძანების საფუძველზე ქალაქ ბათუმიდან სხვადასხვა საქონლის გატანაზე გაიცემოდა სპეციალური ნებართვა. აიკრძალა ქალაქიდან საქონლის ნაწილ-ნაწილ გატანა. ჩაქვის სახელმწიფო მამულიდან სხვადასხვა ხარისხის ჩაის გატანაზე დაწესდა სპეციალური ფასები. ბათუმში პოლონეთის წარმომადგენელ რაევსკის ნება დართეს ბათუმიდან პოლონეთის დივიზიისთვის გაეტანა 40 ფუთი ჩაი და 390 ფუთი ნავთი. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიერ ინგლისურ და რუსულ ენაზე ოფიციალურად ქვეყნდებოდა პროდუქტებზე ფასები, რომლის ზევით მოსახლეობისთვის მიყიდვის უფლება ვაჭრებს აეკრძალათ. ფასებს ადგენდა ქალაქის კომისია. ფასები იცვლებოდა ბაზარში არსებულ პირობებთან ერთად. ბაზრის ფასებს კონტროლს უწევდა მილიცია და კონტროლიორები. სავაჭრო წესების დარღვევისა და სპეკულაციისთვის დაწესებული იყო ჯარიმა 3000 მანეთის ოდენობით, ან პატიმრობა სამი თვით. ადგილობრივ პრესაში ვრცელდებოდა ფასები საბაზრო პროდუქტებზე *[ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 7, ფურც. 13]*.

ბათუმის მმართველი საბჭო დიდ ყურადღებას აქცევდა ქალაქის დასუფთავებას. ქალაქის 5 უბანში იმყოფებოდა ექიმი სამი აგენტით. ყოველდღიურად ქალაქის მმართველი საბჭოს მიერ ხდებოდა ინფორმაციის დამუშავება თუ რომელ უბანში რა დარღვევები იყო, რამდენი ამოთხრილი ორმოა, რამდენი ურიკა და სანაგვე ყუთი არის საჭირო ქალაქის დასასუფთავებლად. მათ მიერ გამოთვლილი და დაჯამებული ციფრების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ქალაქის დასუფთავებისთვის საჭირო იყო 24 დღე, 292 ნაგვის ყუთი და 118 ცხენი. ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოქალაქეებს ინფორმაციას აწვდიდა გაზეთი „ჩვენნი მხარე“ («Наш Край»). ამ პერიოდში ბათუმში არსებული კულტურულ-გასართობი

დაწესებულებებიდან აღსანიშნავია შმავესკის თეატრი, რკინის თეატრი, გამყრელიძის ცირკი, ბროვალის კინოთეატრი, კინომატოგრაფი რელიგიონი.

1919 წლის 15 მარტს ბათუმის ოლქის საბჭოს სხდომაზე განიხილეს კიევის ოლქის მცენარეთა მავნებლებთან ბრძოლის ინსტიტუტის პროფესორ ვაგნერის წინადადება, ბათუმში ანალოგიური საცდელი სადგურის გახსნის შესახებ, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო შემოთავაზებული წინადადება უარყვეს *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 146]*.

1919 წლის 4 თებერვალს, მმართველმა საბჭომ ქალაქის სახალხო სასწავლებლების ინსპექტორად აირჩია ჯაყელი, ხოლო უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლების ინსპექტორად მაჭავარიანი. აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლება პირველ წელს წარმოებდა მშობლიურ ენაზე, ხოლო მშობლებთან შეთანხმებით მეორე წელს ისწავლებოდა რუსული ენა, მესამე წელს სწავლება წარმოებდა მშობლიურ ენაზე რუსულის დახმარებით, ხოლო მეოთხე წელს რუსულ ენაზე მშობლიური ენის დახმარებით *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 99]*.

1918 წელს გახსნეს შემდეგი სკოლები: რუსული სკოლები სლობადაში, ბარცხანაში, ქობულეთში სმეკალოვის სკოლა და ასევე ქართული სკოლა. ართვინში ინგლისელებისგან ითხოვეს ვაჟთა გიმნაზიის შენობა. მარადიდში გაიხსნა ვეტერინარული საფერშლო. 1919 წლის 20 თებერვალს ბათუმში გაიხსნა მარინის სასწავლებელი *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 120-121]*.

ქალთა და ვაჟთა გიმნაზიაში და უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში დაუშვეს ძველი ებრაული ენის სწავლება *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 2, ფურც. 16]*.

1919 წლის 15 მარტს გაიხსნა კვირიკის დაწყებითი სწავლებელი (გამგე ა. ბემბუროვი, მეორე მასწავლებელი კ. აბრამიდი), ასევე აღსანიშნავია დაგვისა (გამგე მ. ცაცანიდი) და ორთაბათუმის დაწყებითი სასწავლებლები *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 1, ფურც. 176]*.

1919 წლის 28 იანვარს ბათუმის მმართველმა საბჭომ სახალხო სასწავლებლების ინსპექტორ ჯაყელს დაავალა დაემუშავებინა არქივი და ოზურგეთის მასალები გადაეგზავნა თბილისში, ხოლო თბილისიდან ბათუმში ჩამოეტანა ბათუმის რაიონის დოკუმენტური მასალა *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 2, ფურც. 54]*.

ამ პერიოდში ბათუმის ოლქის საგერბო მარკაზე წრეში ჩახატულ ცის ფონზე გამოსახულია ფოთლოვანი ხეები (შესადლებელია პალმა ან მუხა) წრის გარშემო რუსულ ენაზე წერია ბათუმის ოლქი, საგერბო მარკა, ხოლო გვერდებზე 2 მანეთი *[ასსცსა, ფ. 0-67, ან. 1, ს. 2, ფურც. 39]*.

1920 წელს კავკასიაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე ინგლისი იძულებული გახდა დაეტოვებინა ბათუმი. პროფესორები აპოლონ სილაგაძე და ვახტანგ გურული აღნიშნავენ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, დროული და გადამჭრელი ღონისძიებები ვერ გაატარეს აჭარაში. შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მოსახლეობასთან დამოკიდებულების საქმეში დაუშვა გაუმართლებელი შეცდომა და ამით დაუპირისპირდა აჭარაში არსებულ ქართული ორიენტაციის ძალებს. 1920 წელს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ აჭარაში არსებული ვითარების შესასწავლად გამოაგზავნა პეტრე გელიევილი. მართალია მან დეტალურად შეისწავლა აჭარაში არსებული ვითარება და 1920 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს საკ-

მაოდ მისაღები და საინტერესო მოხსენებითი ბარათიც წარუდგინა, მაგრამ ამას მდგომარეობის გამოსასწორებლად არავითარი ღონისძიებები არ მოჰყოლია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ ბათუმის ოლქის კომისრად ბენია ჩხიკვიშვილის დანიშვნასაც არ მოჰყოლია სასურველი შედეგი *[სილაგაძე, გურული, 1998: 7]*. ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები და მათ შორის სომხები, ქართული ორიენტაციის არ იყვნენ და ბათუმის მისი კანონიერი პატრონისთვის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის გადაცემა არ სურდათ *[სარალოძე, 2019: 312]*.

აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ინგლისელთა ანტიქართული განწყობა, მით უფრო, რომ ამ პერიოდში ვ.ლ. ლენინსა და ათათურქს შორის ბათუმთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საიდუმლო მოლაპარაკება. 1919 წლის 4 აპრილს ბათუმის თვითმმართველობის სხდომაზე დაისვა საკითხი გამოთავისუფლებული შენობის ქართული გიმნაზიისთვის გადაცემის შესახებ, მაგრამ რატომღაც ეს საკითხი განსახილველად სამომავლოდ გადადევს. ამავე სხდომაზე სათათბიროს წევრმა ხ. ა. ლორთქიფანიძემ განაცხადა, რომ 1919 წლის 28 მარტს, ღამით, ბიჩერა-ხოვსკის რაზმის სამმა შეარაღებულმა კაზაკმა მასზე მოახდინა თავდასხმა. ასევე მან მიუთითა ბათუმში, მილიციის თვალწინ, კაზაკების მხრიდან მშვიდობიან მოსახლეობაზე გახშირებულ თავდასხმებზე, განსაკუთრებით თურქულ ბაზარზე. საზოგადოებრივი წესრიგის დამცველები აცხადებდნენ, რომ მათ აქვთ ბრძანება კაზაკთა ხელშეუხლებლობაზე. აღნიშნულ სხდომაზე სათათბიროს წევრი გოგოლაძე დაინტერესდა ბათუმში კაზაკთა საქმიანობით. კაზაკები ინგლისელთა მხრიდან მატერიალურად იყვნენ უზრუნველყოფილნი. ისინი განთავსებულნი იყვნენ „პერესილნი პუნქტში“ (პუშკინის ქუჩა, ყოფილი კინოთეატრი ბათუმში). ასევე უნდა ითქვას რომ ინგლისელთა მიერ დაწესებული კომენდანტის საათი ეროვნების მიუხედავად ბათუმის მოქალაქეებს ავალდებულებდა ქალაქში წესრიგის დაცვას *[ასსცსა, გ. 0-7, ან. 1, ს. 728, ფურც. 6-7]*.

უახლესი ისტორიის მკვლევარი ე. ვ. არხიპოვა სტატიაში „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“ მიანიშნებს, რომ პირველ მსოფლიო ომში მონაწილე სახელმწიფოთა ფიზიკური და ეკონომიკური სისუსტე ართმევდა მათ შესაძლებლობას რეალურად განეხორციელებინათ კავკასიაში თავიანთი ძალაუფლება“ *[არხიპოვა, 2016: 216-224]*.

ბრიტანეთის ხელისუფლება რეალურად მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა თავისი ძალაუფლება აჭარაში. დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განებივრებული სომხეთი ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებდა ახალციხე, ახალქალაქსა და ბათუმზე. შექმნილი პირობებიდან გამომდინარე, ბრიტანეთის ხელისუფლება იძულებული იყო ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებით მიეღო სხვადასხვა გადაწყვეტილება. ინგლისის მთავრობა სომხებს ლობიერებას უწევდა ართვინის საეროობო დაწესებულებებში. გაზეთი სამუსლიმანო საქართველო 1919 წლის 9 მაისის გაზეთ „აშხატავორის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ ინგლისმა სომხეთს გადასცა ყარსის ფორტები. საინტერესოა 1920 წლის 18 თებერვალს გაზეთ „ერთობაში“ დაბეჭდილი სტატია, რომელიც ეხება ბათუმის საკითხით სომხების დაინტერესებას. კერძოდ, სტატიაში აღნიშნულია, რომ სომხეთი ეძებს შავ ზღვაზე გასავალ პორტს და მისი ყურადღება ამ მიუბაში შეიძლება ბათუმზე შეჯერდეს. ბათუმის ოლქი მუსულმანებით არის დასახლებული და ეს იზიდავს აზერბაიჯანის



პანისლამისტურ წრეებს. ამიერკავკასიის ყველა სახელმწიფოს ბათუმთან საკუთარი ინტერესები აკავშირებს. ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადამჭრელი სიტყვა საქართველოს მოსახლეობას ეკუთვნის. ილია გვომძღვრავდა, რომ სოციალურთან და ინტერნაციონალურთან ეროვნულსაც ნუ დაივიწყებთ, გახსოვდეთ, რომ ერს მუდმივი მტრები და მეგობრები არ ჰყავს, მას მხოლოდ მუდმივი ეროვნული ინტერესები აქვს. 1919 წლის 7 იანვარს გაზეთ „შრომაში“ აღნიშნული იყო, რომ 1918 წლის საქართველო სომხეთის ომში სომხებს ინგლისელების იმედი ჰქონდათ და ინგლისელებმა პირველ ხანებში თითქოს გაუმართლეს, მაგრამ საკმაო აქტივობას ვერ იჩენდნენ. ისინი უფრო სომხების ვეჭილებად გამოდიოდნენ, ვიდრე შუამავლად ქართველებსა და სომხებს შორის. ინგლისელთა ზეწოლის გამო ქართველებმა დამარცხებული სომხების დევნა შეაჩერეს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველებისთვის ისინი არავითარ ძალას არ წარმოადგენდნენ და მათი საბოლოო დამარცხება მეტად იოლი იყო. ასეთი ფაქტი ომის ისტორიაში იშვიათია. ქართველებმა დიდი რაინდობა გამოიჩინეს.

1919 წლის 9 მაისს გაზეთი სამუსლიმანო საქართველო აშუქებს ინგლისელთა დამოკიდებულებას სევერბეგის ავანტიურასთან დაკავშირებით. სევერბეგ ქობლიანსკის ქმედება ინგლისელებმა შეაფასეს, როგორც ძმათა შორის სისხლისღვრა. ინგლისის მთავრობამ დაატყვევა „ყარსის რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა და ამით უზრუნველყო აჭარაში მშვიდობა. 1920 წლის 7 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა დემოკრატიული მთავრობის მიმართვა ბათუმის ოლქის მცხოვრებლებისთვის, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბათუმის დაბრუნებით გაიმარჯვა სამართლიანმა საქმემ. ინგლისმა და მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ ბათუმი და მისი ოლქი სამუდამოდ დაუბრუნდეს საქართველოს. ამ ცნობას აჭარის მოსახლეობა სრული თანაგრძნობით შეხვდა. ამავე დროს ბათუმში ჩამოვიდნენ დამფუძნებელი კრების წევრები: საყვარელიძე, ფირცხალავა, ვეშაპელი. 1920 წლის 1 მარტს ბათუმში გამართულ საზეიმო სხდომაზე აღინიშნა, რომ საქართველო უბათუმოდ დასახიჩრებულ სხეულს დაემსაგავსებოდა და რომ ბათუმის ოლქი შეადგენს საქართველოს ორგანულ ნაწილს ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, სამრეწველო განვითარებით. საქართველოსთვის ბათუმის გადაცემა მოსახლეობას მიულოცეს ინგლისის, უკრაინის ირანის კონსულებმა. 1920 წლის 2 მარტს გაზეთ „ერთობაში“ დაიბეჭდა სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა, კავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისარ ოლივერ უვორდროპისადმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 1919 წლის 31 აგვისტოს ბათუმის ოლქის ქართველი მუსულმანების ყრილობამ გამოიტანა დადგენილება და მოითხოვა ავტონომიურ საწყისებზე ბათუმისა და მისი ოლქის შეერთება საქართველოს რესპუბლიკასთან.

### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

- ასსცსა, ფ. ი-67, ან. 1, ს. 1:** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-67, ანაწერი 1, საქმე №1. გამოყენებულია, აგრეთვე, ამავე ფონდის საქმიე-ბი: №№ 2, 3, 5, 7,
- ასსცსა, ფ. ი-7, ან. 1, ს. 728:** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-7, ანაწერი 1, საქმე №728.

- „სამუსლიმანო საქართველო“, 1919: – „ყარსის ავანტურისტები შავშეთში“, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, 1919 წლის 3 მაისი.
- „ერთობა“, 1920: – „სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავჯდომარის მემედ აბაშიძის მიმართვა ოლივერ უორდროფს“, გაზეთი „ერთობა“, 1920 წლის 2 მარტი.
- „შრომა“, 1919: – „საქართველოს სომხეთის ომი“, გაზეთი „შრომა“, 1919 წლის 7 იანვარი.
- „ერთობა“, 1919: – „სომხეთის ინტერესები შავ ზღვაზე“, გაზეთი „ერთობა“, 1919 წლის 18 თებერვალი.
- სილაგაძე, 1998: – სილაგაძე, გურული, „პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში 1920 წ.“, თბილისი, 1998.
- არხიპოვა, 2016: – „ბრიტანული კვალი სამხრეთ კავკასიაში 1917-1918 წლებში“, ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ (რუსულ ენაზე), 2016.
- მანუხინი, 2016: – „რუსეთის 1917 წლის რევოლუცია და ამერიკის საზოგადოებრივი-პოლიტიკური და პროგრესული იდეები“ ჟურნალი „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“ (რუსულ ენაზე), მოსკოვი, №5, 2016.
- სიორიძე, 2007: – „სამხრეთ დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“ ბათუმი, 2007.
- სარალიძე, 2019: – „ბათუმი ინგლის-ოსმალეთის ხელისუფალთა გეგმებში (1920-1921)“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, ბათუმი, 2019.
- გოგოლიშვილი, 2005: – გოგოლიშვილი ო., „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში“, ბათუმი, 2005.
- მესხია, 2003: – მესხია., „ინგლისურ-რუსული ადმინისტრაციის შექმნა ბათუმის ოლქში (1919 წ.), – კრ.: „ისტორია – ერის მესხიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარი“, ბათუმი, 2003.

**Merab Megrelishvili, Nikoloz Megrelishvili**  
(Batumi, Georgia)

### **Batumi during the British Rule** (in 1918-1920)

#### Abstract

The article analyzes the archival documentary material reflecting the period of British rule in Batumi in 1918-1920. The British rule in 1918-20 left some traces in the history of Batumi. Based on the quick decisions made by the British in such short time – issues such as court arrangement in Batumi, restoration of order, protection of sanitary-hygienic culture, land and financial reform, self-government elections, observance of traffic rules in the city, determination of working rates for employees engaged in physical and mental labor etc., causes a particular interest, from today`s review.



The article gives a detailed description of Batumi districts. It also outlines the work of the commissions operating under the Batumi interim government, the audit, financial, medical, sanitary-hygienic, legal, school, technical, price regulation work about primary required items.

The concluding part of the article states that the British government was actually deprived of the ability to implement its power in Batumi. In 1920, due to the political situation in the Caucasus, England was forced to leave Batumi.

დანართი:



საქართველოს ისტორიის ატლასი „ინგლისის საოკუპაციო ზონა“ გვ. 70







## ზოგიერთი ტოპონიმის გააზრებისათვის ბათუმის შემოგარენიდან (9 მარტის ქუჩის გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგია)

**აბსტრაქტი:** წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ხარიტონ ახვლედიანის ცენტრალურ არქივში დაცული საქმეები, რომლებშიც თავმოყრილია 1800-1802 წწ. ბათუმის ისტორიის ამსახველი ფაქტები.

ნაშრომი ეძღვნება კონკრეტული ტოპონიმის – 9 მარტის ქუჩის – ეტიმოლოგიურ კვლევას საარქივო, ისტორიული და ფოლკლორული მასალების საფუძველზე. ვფიქრობთ, იგი ერთობ საინტერესოა თავისი თემატიკითა.

ბათუმი ოდითგანვე წარმოადგენდა მეცნიერთა შესწავლის ობიექტს. შესაბამისად, წარმოდგენილი ტოპონიმი სისლხორცეულადაა დაკავშირებული ისტორიულ სინამდვილესთან და მისი განხილვა, ბუნებრივია, ინტერესმოკლებული არ იქნება სამეცნიერო წრისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** 9 მარტის ქუჩა, რომტილდების ქარხანა, შეთქმულთა დასჯა, მანთაშევის ქარხანა, ელექტრონის ქუჩა.

**Key words:** March 9th Street, Rothschilds Factory, Order Punishment, Mantashev Factory, Electron Street.

\*\*\*

XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი საქართველოსთვის, კერძოდ, ბათუმისათვის ერთობ მნიშვნელოვანი პერიოდი ყოფილა. ისტორიულად, რუსეთის პოლიტიკური ორგანიზაციები ცდილობდნენ საქართველოში დამკვიდრებას. ისინი მიუთითებდნენ, რომ ძალით შეიძლებოდა ნებისმიერი ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ მისი შენარჩუნება და ასიმილაცია უნდა მომხდარიყო მეტროპოლიასთან სრული ეკონომიკური შეკავშირებით *[მარგიანი, 1974: 450]*.

მართლაც, 1878 წლიდან ბათუმი სწრაფად დაადგა სამრეწველო განვითარების გზას. ბათუმში გახსნილმა ფაბრიკა-ქარხნებმა მოიზიდა დიდი რაოდენობით მუშახელი, რომელთა რიცხვი 1898 წელს ოთხი ათასამდე აღწევდა *[«Искра», №16, 1902]*. ბათუმში, ქართველებთან ერთად, დასაქმებული ყოფილან: თურქები, სომხები, რუსები, სპარსელები, ბერძნები, ებრაელები და სხვ. იმ დროისათვის ბათუმის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ამიერკავკასიის რკინიგზის მიმდებარე სოფლების მცხოვრებლები შეადგენდნენ, რომლებიც გაფიცვების დროს სახლში ბრუნდებოდნენ. ამის გამო, მეწარმეები დაინტერესებულნი იყვნენ სამუშაოზე აყვანათ „არა ადგილობრივი, არამედ რუსეთიდან, აგრეთვე მუსლიმანური ქვეყნებიდან მოსული მუშახელი“ *[მარგიანი, 1974: 450]*. მიუხედავად ასეთი ტენდენციისა, აჭარაში სამუშაოდ ჩამოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და აქვე სახლდებოდნენ (მათი დიდი ნაწილი დღესაც ბათუმის მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს).

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბათუმში ფაბრიკა-ქარხნების ნაწილი ქალაქის შიგნით, ნაწილი კი ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილა განთავსებული. ამ პერიოდისათვის ბათუმში სახლდებოდნან: იმერეთის, გურიის, რაჭისა და

სხვა კუთხეთა წარმომადგენლები. მთხრობელთა გადმოცემით, მათი წინაპრები ბარცხანაში, „ჭაობის უბანსა“ და სხვა მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებულან. რაც შეეხება მეფის ხელისუფლების დამოკიდებულებას გლეხთა მიმართ, საყოველთაოდ ცნობილი ყოფილა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა მუშათა და გლეხთა შრომის ხარჯზე მარტივად მოეგვარებინა შიდა ეკონომიკური პრობლემები. მათ ამუშავებდნენ ბევრს, ანაზღაურებას კი ერთობ მცირეს უხდიდნენ. ფაქტობრივად, მათი შემოსავალი საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ ყოველივე, მათ შორის, გაუსაძლისი პირობებიც, აეტანათ.

მრავალი ისტორიული ფაქტი, ხელნაწერი თუ გადმოცემა ცხადყოფს, თუ რაოდენ აუტანელი იყო მათი სამუშაო რეჟიმი, ანაზღაურება და ა.შ.

ბათუმში დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც წინაპრისეულ მონათხრობს იმორწმებენ. მრავალთა შორის, ყურადსაღებია, 9 მარტის ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებული ისტორია. ინფორმატორის გადმოცემით, „9 მარტის ქუჩაზე, თავდაპირველად, მუშები ცხოვრობდნენ. აქვე ყოფილა ყაზარმები, ანუ ყაზარმული დასახლება. აუტანელი პირობების გამო, მუშები მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსულან. დემონსტრანტთა ხელმძღვანელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი ყოფილა, რომელიც თავად აქტიურად ყოფილა ჩაბმული მუშათა და გლეხთა გამოსვლებში. 1902 წლის 9 მარტს (ნაწილი 1905 წელს ვარაუდობს) ამ ქუჩაზე სისხლიანი შეტაკება მომხდარა. ამ შემთხვევას 20-მდე მუშა უმსხვერპლია, ნაწილი დაუპატიმრებიათ. მომხდარ ფაქტს ბათუმის ფაბრიკა-ქარხანებში მომუშავე მუშები აუღელვებია, ყველანი ქუჩაში გამოსულან, მეფის რეჟიმი და სამუშაო პირობები გაუპროტესტებიათ. შემდგომში, ხელისუფლებას უკან დაუხევია და მათი პირობებიც გაუმჯობესებულა. მოგვიანებით, დაღუპულთა საპატივცემულოდ, ამ ქუჩისათვის „ელექტრონის ქუჩის“ ნაცვლად, „9 მარტის ქუჩა“ დაურქმევიათ. აქვე, მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ებრაელები (ასევე განხილება ისიც, რომ ებრაელების საცხოვრებელი ოდითგანვე აქ მოიაზრებოდა), მათი სალოცავი ადგილი აქ ყოფილა“ *[ინფორმ. ჯაბა რუსთეშვილი, ჩავიწერეთ 2021 წ.]*

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, ეხმიანება ხელნაწერთა ფონდში დაცული ისტორიულ-ფოლკლორული მასალები. სწორედაც, გლეხთა და მუშათა პროტესტი გამოიწვია ეკონომიკურმა სიდუხჭირემ.

წყაროთა ცნობით, სწორედ 1900-იანი წლებიდან, აქ ჩამოდის იოსებ ჯუღაშვილი (სტალინი), რომელიც გლეხთა შეხვედრებს ხელმძღვანელობდა და ფარულად ხვდებოდა მათ. ამ პერიოდისათვის ყველაზე აქტიური საპროტესტო მოძრაობებით გამორჩეული ყოფილა მანთაშევის და რომტილდისა ქარხნის მუშები *[ამხგ, ს. 243, გვ. 25]*, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს მასათა აქტიურ გამოსვლებსა და რევოლუციურ მოძრაობებს ბათუმში.

ხელნაწერთა ფონდში დაცული მასალები ერთხელ კიდევ ადასტურებს ზემოთ აღნიშნულ ფაქტებს. სწორედაც, ყოველივეთი ისარგებლა რუსეთის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ. მათ იცოდნენ, რომ ფაბრიკა-ქარხანებში დასაქმებული იყო ადგილობრივი და ჩამოსული მუშების დიდი რაოდენობა. ამიტომ აქ ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებასა და მის წარმატებით საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარასა და მთელ დასავლეთ საქართველოში რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. 1901 წლის ნოემბერში რსდმპ-ს თბილი-

სის კომიტეტმა ბათუმში გამოგზავნა იოსებ ბესარიონის ძე ჯულაშვილი (სტალინი). ის დაუკავშირდა აქაურ მოწინავე მუშებს და ბათუმის ქარხნებში დაიწყო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება *[ასსცსა, გ. 157, ან. 1, ს. 432, ფურც. 67]*.

სოციალ-დემოკრატიული იდეების პროპაგანდის შედეგად, ბათუმის ფარგლებს გარეთ – „სოუქ - სუს“ სასაფლაოზე მუშათა შეკრებას 300-მდე, ხოლო „ჭაობში“ – 200-მდე კაცი ესწრებოდა. მუშათა საქმიანობის მთავარი ამოცანა იყო: დაქსასული პროპაგანდისტული წრეების ერთიან საქალაქო ორგანიზაციად გაერთიანება, მუშებისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, სოციალ-დემოკრატიულ წრეებში მარქსისტული იდეების პროპაგანდიდან ფართო პოლიტიკური აგიტაციაზე გადასვლა *[ჯიჯიე-შვილი, 2008: 308]*.

1902 წლის მეორე ნახევარში, თბილისიდან ბათუმში კვლავ ჩამოჰქონდათ და აქედან დასავლეთ საქართველოს რაიონებში გადაჰქონდათ და ავრცელებდნენ პროკლამაციებსა და სხვა არალეგარულ ლიტერატურას. ზოგჯერ პოლიცია ახერხებდა რევოლუციონერთა ღონისძიებების ჩაშლას. პარალელურად, ბათუმში არსებულ პარტიათა შორის დაპირისპირება ხელს უწყობდა ხელისუფლების იდეათა განხორციელებას. მუშათა ერთსულოვნებას ხელს უშლიდა ეროვნული სიჭრელეც. ბათუმი მრავალეროვანი ქალაქი იყო. ეს თვითმმართველობის ორგანოზეც აისახა. კერძოდ, ჯერ კიდევ 1888 წ. ბათუმის ქალაქის თვითმმართველობის საბჭოში არჩეული იყო 11 ქართველი, 10 სომეხი, 15 რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი *[ახვლედიანი, 1978: 207]*. ყოველივე კი იწვევდა დაქსაქსულობასა და გაუგებრობას საზოგადოებაში.

იმჟამად, ბათუმში არსებობდა სომეხთა, ბერძენთა და სხვა ეროვნებათა ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი პროგრამებით უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. 1902 წლის მარტში ბათუმის ოკრუგში სომხურ და მაჰმადიან მოსახლეობას შორის მოხდა შეტაკება. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბათუმის სომხობა განსაკუთრებით აქტიურობდა ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობაში და რუს კოლეგებთან ერთად წარმოადგენდა ცარიზმის დასაყრდენ ძალას. ისინი ცდილობდნენ ქალაქის თვითმმართველობის სათავეში თავიანთი წარმომადგენლის გაყვანას. მსგავსმა გარემოებებმა ხელი შეუწყო დაპირისპირების გაძლიერებას ნაციონალურ ნიადაგზე.

ამასთანავე, მანთაშევისა და როტშილდის ქარხნების ამბებმა ბიძგი მისცა მუშათა მოძრაობის აღმავლობას ქალაქის სხვა საწარმოებშიც. 5 მარტს გაიფიცნენ სიდერიდისის ქარხნის მუშები. მათ, საფაბრიკო ინსპექტორს წარუდგინეს მოთხოვნები 120 მუშის ხელმოწერით. დადებითი პასუხის ნაცვლად, 7 მარტს დააპატიმრეს 40 მუშა. იმავე დღეს გაფიცვას შეურთდნენ ხაჩანტრიანცის ქარხნის მუშებიც. 8 მარტს გაიმართა გაფიცულთა მასობრივი მანიფესტაცია. დღის პირველ საათზე 800-მდე დემონსტრანტი შეიკრიბა პოლიციის სამმართველოსთან და მოითხოვეს დაპატიმრებულთა გათავისუფლება. პოლიციამ 300-ზე მეტი დემონსტრანტი ისევ დააპატიმრა და ადრე დაპატიმრებულ ტუსადებთან ერთად მოათავსა *[ამხგ, გ. 5, ს. 95, ფურც. 1-2]*. სხვა მონაცემთა მიხედვით, „ხუთასამდე მუშა დააპატიმრეს და წაიყვანეს ელექტრონის ქუჩაზე. სახელი ახალი შერქმეული ჰქონდა ქუჩას. წინა წელს ამ პატარა ქუჩის და პეტერბურგ-ჭავჭავაძის ქუჩების კვეთაში ელექტრონის ქარხანა ააშენეს და ბათუმის ქუჩები ლამპიონით განათდა. იქამდე ქუჩას სახელი ვერ მოუფიქრეს. უსახელო კი არ იყო, „უსახელო“ ერქვა სახელად. ამ ქუჩის კუთხეში საპატიმრო იყო, „პერესილნიე კაზარმის“ ემახდნენ. გასაკატორლებელ და მისჯილ პატიმ-

რებს იქ ამწესებდნენ. ციხეში ამდენი ადგილი აღარ იყო და სწორედ აქ დაამწყვდიეს ეს დაპატიმრებული ხუთასამდე მუშა“ *[გუჯაბიძე, 2021: 7]*.

დემონსტრანტთა დაპატიმრებამ აღაშფოთა მუშები. 8 მარტს, ღამით, ბათუმის კომიტეტმა ქალაქის ფაბრიკა-ქარხნების სოციალ-დემოკრატიული წრეების წარმომადგენელთა შეკრებაზე შეიმუშავა პოლიტიკური დემონსტრაციის ჩატარების პროგრამა, რომელიც მეორე დღესვე განხორციელდა. მასში მონაწილეობდა მანთაშვეის, როტმილდის, ნობელის, სიდერიდისის, ხაჩატრიანცის, პასეკის, კაპლანის, ბინიატოლლის, ჩილინგარიანისა და სხვა საწარმოთა 6000-მდე მუშა. ისინი დილის 9 საათზე გაემართნენ საეტაპო ყაზარმებისაკენ. როტმილდის ქარხნის მუშებმა – თეოფილე გოგობერიძემ და მიხეილ ხირიმიანცმა, დემონსტრანტთა სახელით, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეს პოლკოვნიკ დრიაგინს მოსთხოვეს დაპატიმრებულთა განთავისუფლება. დრიაგინმა უარი განაცხადა და დემონსტრანტებს დაშლისაკენ მოუწოდა. მუშები არ დაემორჩილენ. სპეციალურად მოწვეული, მსროლელი ბატალიონის ჯარისკაცები დემონსტრანტებს დაერივნენ და კონდახებით ცემა დაუწყეს. მუშები ხელდახელ შეეებნენ ჯარისკაცებს, რომლებმაც უიარაღო დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს. მოკლეს თხუთმეტი, დაჭრეს 54 მუშა *[«Искра», №20, 1902]*. დემონსტრაციის 500-მდე მონაწილე დააპატიმრეს, 21 მუშა – პასუხისგებაში მისცეს.

დახოცილი მუშები დიდი პატივით დაასაფლავეს სოუქ-სუზე, გზის პირას.

„ბათუმის გასაბჭოებისთანავე ელექტრონის ქუჩას 9 მარტი დაარქვეს და ობელისკი აღმართეს დაღუპული მუშების სიით და ბოლოში ხუთქიმიანი ვარსკვლავით. ოღონდ ზოგიერთის სახელი ვერ გაიხსენეს და ზოგიერთისაც – გვარი“ *[გუჯაბიძე, 2021]*.

საქართველოს ისტორიაში, 9 მარტს, როგორც თარიღს, კიდევ ერთი მტკივნეული ამბავი უკავშირდება. კერძოდ, 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული ისტორია. მაშინდელ გამოსვლას 150 ახალგაზრდა შეეწირა. საარქივო მასალებში ვკითხულობთ: 1956 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მე-20 ყრილობაზე, კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშოვმა, გააკეთა მოხსენება პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ. ყრილობაზე გამომსვლელებმა, სტალინის ყველა სიტყვა და ნამოქმედარი გააკრიტიკეს, დაგმეს სტალინის პიროვნების კულტი.

იოსებ სტალინის პიროვნების კრიტიკამ ფართო ხასიათი მიიღო. რუსეთის პრესაში ეს კრიტიკა, არაერთხელ, ქართველი ერის ლანძღვასა და დამცირებაში გადაიზარდა.

საქართველოში საპროტესტო მოძრაობა იოსებ სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავზე დაიწყო. 1956 წლის 3 მარტიდან თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში იმართებოდა ცალკეული მანიფესტები. 5 მარტს კი სტუდენტები ქუჩაში გამოვიდნენ. მათ დედაქალაქის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აუბა მხარი, 5-9 მარტს მიტინგმა და დემონსტაციამ მასობრივი ხასიათი მიიღო.

თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგზე მოითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტას.

მოსკოვს შეეძლო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. სამწუხაროდ, ნიკიტა ხრუშოვმა უხეში ძალის გამოყენების გზა აირჩია. 1956 წლის 9 მარტს, ღამით, საბჭოთა არმიის ნაწილებმა, ტანკების გამოყენებით, იერიში მიიტანეს დემონსტრანტებზე.



ეს იყო არაადამიანური სისასტიკითა და დაუნდობლობით განხორციელებული სისხლიანი ანგარიშსწორება. მოკლეს 150-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად ახალგაზრდები.

ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებში, მსგავსად 1902 წლის 9 მარტისა, დარბევის მიზეზად საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენა დასახელდა.

ცხადია, რომ 1902 და 1956 წლების მოვლენებს შორის არანაირი პირდაპირი კავშირი არ არის. მაგრამ კოლონიალური ხელისუფლების დამოკიდებულება მასე-ბისადმი და თარიღი 9 მარტი, სიმბოლურად საერთოა ორივე შემთხვევისათვის.

ამრიგად, ბათუმში დავანებული ისტორიები ერთობ საინტერესოა ქალაქის წარსულის სრულყოფილი შესწავლის თვალსაზრისით. 1802 წლის 9 მარტის მოვლენების შემდგომ, ამ ქუჩას, დაღუპულთა საპატივცემულოდ, 9 მარტის ქუჩა უწოდეს.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

**ასსცსა, ფ. რ-157, ან. 1, ს. 432** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-157, ანაწერი 1, საქმე №432.

**ამხფ, ს. 243** – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საქმე №243, მუშათა მოგონებანი როტშილდის ქარხნის ისტორიიდან, 1940 წ.

**ამხფ, ფ. 5, ს. 95**, – აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ფონდი 5, საქმე №95, 1940 წ.

**ახვლედიანი, 1978:** – ახვლედიანი ხ., „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, ბათუმი, 1978.

**გუჯაბიძე, 2021:** – გუჯაბიძე შ., „სოციალური რევოლუცია ბათუმიდან დაიწყო – 119 წელი 9 მარტის შემდეგ“, გაზ. „ბათუმელები“, 09.03.2021წ.; ინტერნეტ-მისამართი: <https://batumelebi.netgazeti.ge/news/333040/>

**მარგიანი, 1974:** – მარგიანი გრ., საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, თბ., 1864-1917 წწ., თბილისი, 1974.

**ინფორმ. ჯაბა რუსიეშვილი, ჩავიწერეთ 2021 წ.** – ინფორმატორი ჯაბა რუსიეშვილი, დაბადებული და მცხოვრები ქ. ბათუმში (9 მარტის ქუჩა №13, ბინა 7), 56 წლის; გაუგონია დედისაგან – ლამარა გურჯია-რუსიეშვილისაგან, დაბადებული იმერეთში და მცხოვრები ქ. ბათუმში (9 მარტის ქუჩა №13, ბინა 7), აწ გარდაცვლილი; ინფორმაცია ჩავიწერეთ 2021 წ., რვეული №27.

**ჯიჯიეშვილი, 2008:** – ჯიჯიეშვილი მ., „პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობა და საქმიანობა“, წიგნიდან: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, 2008.

«Искра», №16, 1902 – газ. «Искра», №16, 1902 г.

«Искра», №20, 1902 – газ. «Искра», №20, 1902 г.

**Naile Mikeladze, Ira Abuladze (Batumi, Georgia)**

**For Understanding Some Toponyms from Batumi Suburb  
(Etymology of the March 9 Street Geographical Name)**

Abstract

The present paper aims at an etymological study of a specific toponym based on the analysis of archival, historical and folklore materials. In particular, the study of peasants' and workers' strikes and illegal activities in Batumi in 1900-1902.

The work presents historical-folklore materials related to the geographical name of 9<sup>th</sup> March Street toponym. Specifically, the study deals with the history of the name related to one of the districts of Batumi and gives the scientific analysis of the patterns existing in the consciousness of the people.

The work, based on written sources and folklore, discusses some of the hypotheses analyzed by scientists over the years. Our interpretation of this matter is also presented. According to historical sources, March 9th Street has long been one of the most important settlements in Batumi. It has a centuries-old history. Along with Batumi, the name of this district is mentioned in the monographs or articles of various authors

March 9, 1902 on what is now March 9th Street, formerly known as Electron Street. King's authorities shot 15 and wounded 50 workers. After this fact, this street was renamed March 9 Street in honor of this day.

The paper presents an analysis of some issues related to the geographical name of the toponym "9 March Street".

Thus, the research refers to the history related to the name of one of the districts of Batumi and the scientific analysis of the transmission among the people.

It should be noted, there are "two rivers known as 9 March Street"., both come from the same point in Adjara. One of them flows from the east to the west and encloses.

## ბათუმი – 1921 (18-21 მარტის მოვლენები)

**აბსტრაქტი:** 1921 წლის 18-21 მარტის მოვლენები საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდია, სადაც ნათლად არის ასახული იმ პერიოდის ორი აგრესიული სახელმწიფოს – ქემალისტური თურქეთის და ბოლშევიკური რუსეთის ინტერესი ქალაქ ბათუმის მიმართ, ქართველთა თავდადებას ბათუმისათვის წარმოებული ბრძოლის დროს, ოსმალთა მცდელობას ბათუმის ხელში ჩასაგდებად. კარგად არის გაშუქებული ბოლშევიკთა რეალური ზრახვები ბათუმისა და ზოგადად ქართული მიწების მიმართ. ამავდროულად საამაყო და გმირული ნიმუშია „დამარცხებული გენერლის“ გიორგი მაზნიაშვილის სარდლური ნიჭი ბათუმის გადასარჩენად, რომლის მიერ წარმოებულმა საბრძოლო ოპერაციებმა შეგვინარჩუნა ბათუმი.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ბათუმი, ქემალისტური თურქეთი, ბოლშევიკური რუსეთი, გენერალი მაზნიაშვილი, ბათუმის რევ-კომი.

**Key words:** Georgia, Batumi, Kemalist Turkey, Bolshevik Russia, General Mazniashvili, Batumi Rev-Kom.

\*\*\*

18 მარტს, ემიგრაციაში წასვლის წინ, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ბათუმში ხელისუფლება გადასცა ქალაქის თვითმმართველობას. გასცა განკარგულება პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლების შესახებ. ამის შემდეგ ბათუმის ციხიდან გამოუშვეს 1000-მდე პოლიტიკური პატიმარი. 15-20 კაცი იყო პოლიტიკური ორგანიზაციების ლიდერი. მათ შორის იყვნენ: სერგო ქავთარაძე, ვანო სტურუა, თენგიზ ჟღენტი, შალვა დადიანი (ცნობილი მწერალი არ გახლავთ), კარპე მოდებაძე და სხვა. მთავრობის დავალებით, მათთან მოლაპარაკება გამართა ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარმა გ. გიორგაძემ და შესთავაზა ძალაუფლების ხელში აღება. 1921 წლის 18 მარტს ბათუმის ციხიდან განთავისუფლებულმა ბოლშევიკებმა შექმნეს დროებითი სამხედრო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი), რომელმაც გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება აჭარაში. 1921 წ. 20 მარტს ქ. ბათუმისა და მისი ოლქის დროებითი რევოლუციური კომიტეტი გადადგა, შეიქმნა ქ. ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) 10 კაცისაგან შემდგარი [„უწყებები“, 1921: 3], რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, დავით მახარაძე (სამეული).

ბათუმის ბოლშევიკური ხელისუფლება ბუნებრივია ვერ ერკვეოდა შექმნილ სიტუაციაში და არ იცოდნენ რა ექნათ. ბოლშევიკური ხელისუფლების დაბნეული სიტუაციით ისარგებლა ოსმალთა ჯარის სარდალმა ქიაზიმ ბეიმ, რომელმაც თვითნებურად რამდენიმე დანაყოფი შემოიყვანა. ქიაზიმ ბეი, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის საკითხი 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებით გადაწყვეტილი იყო, შეეცადა ქ. ბათუმისა და მთლიანად აჭარის ანექსიას.

ოსმალებს ბათუმში საკმაო ძალა ჰყავდათ, მათი რაოდენობა ხუთი ათას კაცს აღემატებოდა. ამის მიუხედავად, ბათუმში თურქეთის საოკუპაციო ჯარების მეთაუ-

რი ქიაზიმ-ბეი ფეხს ითრევდა შეტევის დაწყებაზე და დამატებითი სამხედრო ნაწილების გამოგზავნას ითხოვდა. ოსმალები ჩქარობდნენ, რათა წითელი არმიის შენაერთების ბათუმში შემოსვლამდე მთლიანად აეღოთ ძალაუფლება ქალაქში *[სდსინ, 2012: 38]*.

16 მარტს ოსმალებმა ბარცხანის ფორტი, ფოსტა-ტელეგრაფისა და მილიციის შენობა დაიკავეს. კახაბრის ფორტთან ქართულმა დანაყოფებმა ალყაში მოაქციეს თურქული დანაყოფები და არ მისცეს საშუალება მახლობლად მდებარე სიმაგრეში შესულიყვნენ და გამაგრებულიყვნენ. გენერალმა გ. კვინიტაძემ ნატანებიდან ბათუმში ჩამოიყვანა გენერალ დ. ართმელაძის 1500 მეზრძოლი, რომლებსაც 17 მარტს დილით ადღუმი გაუმართა. მათი ნაწილი აზიზიეს მოედანთან დააყენა, სადაც მთავრობის ეშელონი იდგა. კვინიტაძემ ბათუმის გარნიზონის მეთაურად გენერალი ვარდენ წულუკიძე დანიშნა და ღამის 3-4 საათზე ოფიცრებთან ერთად გემ „მარიაზე“ ავიდა *[გიგაური, 2021]*.

17 მარტს ბათუმში გამოცხადდა თურქეთის საოკუპაციო რეჟიმი. ქიაზიმ ბეიმ ბათუმში მყოფ თურქულ ნაწილებზე დაყრდნობით თავი ბათუმის ოლქის გუბერნატორად გამოაცხადა. თურქულმა ნაწილებმა დაიკავეს ყაზარმები, ფოსტა-ტელეგრაფის, მილიციის და სხვა სტრატეგიული დანიშნულების შენობა-ნაგებობები *[სილაქსიძე, 2018: 60-61]*. ბათუმის დაკარგვის რეალური საფრთხე შეიქმნა.

1921 წ. 18 მარტს თურქმა ასკერებმა გააფრთხილეს შეუტიეს ქართველთა სტრატეგიულ და ადმინისტრაციულ ობიექტებს. ქართველმა მეზრძოლებმა რამდენიმე შემოტევა მამაცურად მოიგერიეს და განხორციელებული კონტრშეტევით შეძლეს ქიაზიმ-ბეი და მისი შტაბი მოეწყვიტათ მთავარი ნაწილებისაგან. თურქეთის შეიარაღებული ნაწილების ახალი შემოტევის მოგერიებისა და მათი ბათუმისა და მთლიანად აჭარიდან განდევნისათვის აუცილებელი იყო, ყველა ქართული ძალის გაერთიანების ბაზაზე, ერთიანი ფრონტისა და ერთიანი სარდლობის შექმნა. რევკომის განკარგულებაში არსებული ბათუმის დამცველთა რიგები განუწყვეტილად იზრდებოდა. 18 მარტის პირველი საათისათვის რევკომის განკარგულებაში იყო 850 კაცი (700 ქვეითი და 150 კავალერისტი) *[თოიძე, 2009: 32]*. ნიკოლოზ ჭუმბურიძე (ქუთაისის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის უფროსი) და ვლადიმერ ჯიბლაძე (სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრი, დამფუძნებელი კრების დეპუტატი) საკუთარი ინიციატივით მივიდნენ რევკომში და ურჩიეს დაზნეულ ბოლშევიკებს ჯარის უფროსად დაენიშნათ გენერალი გიორგი მაზნიაშვილი და თუ ოსმალები არ გავიდოდნენ, ქართული ჯარით შეეტიათ. ბოლშევიკები დათანხმდნენ წინადადებას *[გიგაური, 2021]*. 1921 წ. 18 მარტს, რევკომის გადაწყვეტილებით, გ. მაზნიაშვილი დაინიშნა ბათუმისა და ბათუმის ოლქის მთელი შეიარაღებული ძალების სარდლად და გენერალ-გუბერნატორად. მას დაევალა ყველა სახეობის ჯარების ხელმძღვანელობა და ქალაქის დაცვის ორგანიზაცია. მის მოადგილედ დაინიშნა გენერალი გრიგოლ სუმბათაშვილი *[სდსინ, 2012: 38-39; მაზნიაშვილი, 1990: 200-202]*.

გენერალმა მაზნიაშვილმა შექმნა ორი საბრძოლო უბანი: „ბარცხანა-კახაბერი“ (მეთაური ვ. წულუკიძე) და „სტეფანოვკა-ანარია“ ( მეთაური დ. ართმელაძე). ბათუმიდან დაუყოვნებლივ გაგზავნა მატარებელი გურიიდან წითელი არმიის დანაყოფების ბათუმში ჩამოსაყვანად. მაზნიაშვილმა ულტიმატუმი წაუყენა ოსმალებს, 1 საათის განმავლობაში დაეტოვებინათ ბათუმის ოლქი, წინააღმდეგ შემთხვევაში საბრძოლო მოქმედებებით უპასუხებდა, მაგრამ ქიაზიმ ბეიმ ულტიმატუმს არ უპასუხა *[მაზნიაშვილი, 1990: 203]*.

ულტიმატუმის გასვლის შემდე, დილის 7 საათზე, მაზნიაშვილმა გასცა ბრძანება დაეკავებინათ ბარცხანის ფორტი და იქ განლაგებული ყაზარმები. ქართულმა დანაყოფებმა დაიკავეს ნავმისადგომი და ორი მხრიდან შეუტყეს საბარგო სადგურს, რომლის უკანაც ბარცხანის ფორტი იყო. რევკომის წევრები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ოსმალებთან შეტაკებები არ მომხდარიყო და განუწყვეტლივ მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ქიაზიმ ბეისთან, მაგრამ ქიაზიმ ბეი ემშაკურად მოქმედებდა. იგი ერთი მხრივ არწმუნებდა დელეგატებს, რომ ის მზადაა მშვიდობიანი გზით მოაგვაროს შექმნილი მდგომარეობა, ხოლო მეორე მხრივ ოსმალეთის ჯარების ხელმძღვანელობისაგან დეკემბით მოითხოვდა მაშველ ჯარებს. ქიაზიმ ბეის მიერ გაგზავნილ დეკემბს კი მაზნიაშვილის აგენტები იჭერდნენ და ქართველთა შტაბში ცნობილი იყო ოსმალთა ჯარების სარდლის ყოველი ხრიკის შესახებ *[მაზნიაშვილი, იქვე]*. ამავდროულად, უნდა დავამატოთ, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1921 წლის 16 მარტის ოფიციალურ ხელშეკრულებასთან ერთად, არსებობდა ორი ქვეყნის მთავრობათა საიდუმლო შეთანხმება, რომლის თანახმად მათ გაინაწილეს საქართველოს ტერიტორია. ამ საიდუმლო შეთანხმებით, საქართველოს ტერიტორიის ნაწილი რჩებოდა იმ სახელმწიფოს, ვინც მას დაიკავებდა *[ქვდემშოწ, 1994: 88]*. ოსმალეთის მთავრობა ცდილობდა ფაქტის წინაშე დაეყენებინა საბჭოთა რუსეთი. სწორედ ამიტომ ჩქარობდნენ ბათუმის დაკავებას და თავიანთი ხელისუფლების დამყარებას. მაგრამ ქართულმა ჯარმა თურქებს ამის საშუალება არ მისცა. ქართული ჯარის სარდლობა კარგად აცნობიერებდა ბათუმის დაკარგვის საფრთხეს. გ. მაზნიაშვილის განცხადებით „ცხადი იყო, თუ ოსმალები გამაგრდებოდნენ ბათუმში, ჩვენ დაგვჭირდებოდა დიდი ომი, რასაც პატარა საქართველო ვეღარ შეძლებდა“ *[მაზნიაშვილი, 1990: 200]*. ბათუმის დაკარგვა აჭარის დაკარგვასაც ნიშნავდა. ქართული ჯარის სარდლობამ გადაწყვიტა ბათუმის ოლქიდან გაედევნათ ოსმალები საბჭოთა ჯარების შემოსვლამდე, რამდენადაც წითელი არმიის საომარ მოქმედებაში ჩაბმა საეჭვო იყო *[სდსინ, 2012: 39-40]*.

18 მარტს, შუადღის 4 საათამდე არ შეწყვეტილა თოფისა და ტყვიამფრქვევების სროლა ბარცხანისა და კახაბრის მიდამოებში. ქართულმა ჯარმა დაიჭირა პოზიციები ნავსადგურიდან სატვირთო სადგურამდე და ცდილობდა აეძულებინა ოსმალები დაეყარათ იარაღი *[იქვე]*. ამ დროს ჩაქვის მხრიდან შემოვიდა ეშელონი, ოსმალები ფორტიდან გამოვიდნენ და ეშელონში მყოფი ჯარისკაცების განიარაღება დაიწყეს, რადგან ქართველი მეომრები ეგონათ, სინამდვილეში ეს ეშელონი წითელი არმიის ის პირველი ეშელონი იყო, რომელიც მაზნიაშვილის ბრძანებით გამოატარეს გურიიდან და მათ ბრძოლაში ჩაბმა აკრძალული ჰქონდათ. შექმნილი არეულობით ისარგებლეს ქართველმა მეომრებმა და მიუახლოვდნენ ფორტს, რომლის ალაყაფი ღია იყო.

სადგურის პაკჰაუზის უკან იდგა ცხენოსანი რაზმი თავზეხელაღებული პოლკოვნიკის ფრიდონ წულუკიძის *(მომავალში ფრანგული უცხოური ლეგიონის, ესპანეთის სამოქალაქო ომში ფრანკოს ჯარის ოფიცერი და Waffen SS-ის ქართული რაზმის შტანდარტენფიურერი)* მეთაურობით, ფრიდონი გამოიჭრა საფრიდან, ცხენით გადაევიდა შლაგბაუმს და ხმლით ხელში დაერია ოსმალებს. მას ცხენოსნები და ქვეითები მიყვნენ. ნახევარი საათის შემდეგ ბარცხანის თურქული გარნიზონი განადგურებულ იქნა. ტყვედ ჩავარდა 218 ასკერი, რომლებიც შტაბში მიიყვანეს *[გოგაური, 2021; მაზნიაშვილი, 1990: 204]*.

მატარებელი, როგორც იქნა, განთავისუფლდა განიარაღებისაგან, ეშელონის მთელი ქონება უკან იქნა დაბრუნებული. ბათუმის სადგურში შესულ ეშელონს რეკომის წევრები დახვდნენ და ქალთა გიმნაზიის შენობაში დააბინავეს. *უნდა აღინიშნოს, რომ წითელ არმიას არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რადგანაც ბოლშევიკური ხელისუფლებისაგან სასტიკად ჰქონდათ აკრძალული მოკავშირე ოსმალებთან შეტაკება. 98-ე ბრიგადის 272-ე პოლკის მეთაურ ზოლოტოვის მოგონებები ბათუმის ბრძოლების შესახებ არის სრული ტყუილი, ქართული ჯარის დამსახურება აფერისტმა ზოლოტოვმა თავის თავზე მიიწერა [ქარდავა, 2010; გიგაური, 2021].*

ბარცხანის აღების შემდეგ ქართველი კავალერისტები ქობულეთის მიმართულებით გაიყვანეს, რადგანაც ბათუმში ცხენებისათვის საკვები არ იყო. ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. საღამოს 9 საათზე გიორგი მაზნიაშვილი გენერალ ვარდენ წულუკიძესთან ერთად იმყოფებოდა სადგურზე შტაბში, როდესაც მზვერავებმა ერთი ცხენოსანი კაზაკი მოიყვანეს. კაზაკმა აცნობა, რომ ის 18-ე ცხენოსანი დივიზიის წარმომადგენელი იყო და დივიზია დ. ჟლობას მეთაურობით აჭარისწყლის ხეობით ქ. ბათუმს უახლოვდებოდა.

ოსმალები მთელი დღის განმავლობაში ცდილობდნენ კახაბრის (№2 ფორტი) აღებას. მიუხედავად ბარცხანაში მოპოვებული გამარჯვებისა, ქართველმა მეომრებმა საკმაო ზარალი განიცადეს და მიხმარებას საჭიროებდნენ. თუ ოსმალები კახაბრის ფორტს ხელში ჩაიგდებდნენ, ამით ბათუმის დაკარგვის რეალური საფრთხე შეიქმნებოდა. საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. ამ მიზნით მაზნიაშვილმა გადაწყვიტა ჟლობას დანაყოფები ჩაეყენებინა სტეფანოვკის (№ 5 ფორტი) და ანარიის ფორტებზე, ხოლო გამონთავისუფლებული ძალით დახმარებოდა კახაბრის ფორტს.

ორი საათის შემდეგ მაზნიაშვილისგან გაგზავნილი მანქანით ჟლობა ბათუმში ჩამოვიდა და რეკვომში მიიყვანეს. ს. ქავთარაძესთან თათბირის დროს მაზნიაშვილმა ჟლობას თავისი აზრი გააცნო. ჟლობა დათანხმდა დაეკავებინა ფორტები და უკან დაბრუნდა დივიზიის ჩამოსაყვანად. მაზნიაშვილმა უბრძანა ფრონტების გარნიზონებს კახაბრის ფორტებისაკენ წასულიყვნენ.

19 მარტს დილიდან ოსმალებმა ძლიერი იერიში მიიტანეს კახაბრის ფორტზე, მაგრამ მაიორ პ. ქარუმაძის ბატარეა ზუსტად უშენდა და არ აძლევდა წინსვლის საშუალებას, ქართველთა შორისაც დიდი იყო დანაკარგი. ბატარიაში დაიღუპა და დაიჭრა ყველა მემიზნე და მოსამსახურე პერსონალი, ქვემეხის გათვლებთან ოფიცრები იდგნენ. მაზნიაშვილმა მილიციის უფროსის დახმარებით სასწრაფოდ შეკრიბა არტილერიაში ოდესღაც მომსახურე 20 მოხალისე და მიახმარა ქარუმაძეს *[მაზნიაშვილი, 1990: 206-207]*.

სტეფანოვკისა და ანარიის გარნიზონებს რამდენიმე შეტაკება მოუხდათ ოსმალებთან და, საბოლოოდ, შეძლეს კახაბრის გარნიზონს შეერთებოდნენ. ამ შეტაკებებში ოსმალებმა ორი თვალსაჩინო მაღალჩინოსანი დაკარგეს, ვერ გაუძლეს ქართველი მებრძოლების შეტევას და დიდი დანაკარგით დაიფანტნენ. საღამოს ბათუმის მიდამოები ოსმალო ასკერებისაგან თავისუფალი იყო. მხოლოდ რჩებოდა ოსმალთა პატარა რაზმების განიარაღება, რომლებიც გამაგრდნენ მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებში.

მილიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის შენობებზე იერიში 20 მარტს დილით უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დილის 9 საათზე მაზნიაშვილთან გამოცხადდა ქიაზიმ ბეის

მდივანი და აცნობა, რომ ოსმალები მზად იყვნენ ქალაქიდან გასასვლელად, ოღონდ ერთი დღის საკმარის პურს ითხოვდნენ, რადგან მესამე დღეა არაფერი ეჭამათ. მაზნიაშვილი დათანხმდა პირობებს და დაცვის თანხლებით ოსმალები გაუშვა ბათუმიდან.

12 საათისათვის ქალაქი მთლიანად დაიცალა ოსმალო ასკერებისაგან. ბრძოლა ბათუმისათვის დასრულებული იყო. გენერალ მაზნიაშვილის გმირობამ და გენიალურმა სარდლურმა ნიჭმა ბათუმი იხსნა დაკარგვისაგან.

გენერალმა მაზნიაშვილმა საბჭოთა ჯარების დაუხმარებლად შეძლო დაემარცხებინა ოსმალები. ბოლშევიკები ვერც ჩაერთვებოდნენ ამ ბრძოლაში, რადგანაც 16 მარტის მოსკოვის შეთანხმებით არ ჰქონდათ მათ ამის უფლება. მოსკოვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რასაც თან ერთვოდა საიდუმლო შეთანხმება, ქართული ტერიტორიების ზედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ქართველი ბოლშევიკების პათოსით წარმოთქმული განცხადებები *(რომლითაც იმ დროის პრესის ფურცლები იყო აჭრელებული)*, თითქოსდა წითელი არმიის დახმარებით მოხდა ბათუმის განთავისუფლება, სრულ სიცრუეს წარმოადგენდა *[კომუნისტი, 1921: 1]*. ბოლშევიკები ყოველმხივ ცდილობდნენ, მიეწერათ ის გმირობა, რაც მაზნიაშვილის მეზობლებმა გამოიჩინეს. ამას ცხადად მოწმობს ფილიპე მახარაძის მიერ ბათუმის პროლეტარიატისადმი წარგზავნილი დეპეშა, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ კომუნისტში *[კომუნისტი, 1921: 1]*.

სამი დღის ბრძოლის შედეგად, ოსმალთა დანაკარგი საკმაოდ დიდი იყო. ასობით ასკერი დაიღუპა და დაიჭრა ამ ომის შედეგად. ტყვედ ჩავარდა 600-მდე თურქი ოფიცერი და ჯარისკაცი. გარდა ამისა, ქართველებმა ხელთ იგდეს 16 ტყვიამფრქვევი, სხვა საბრძოლო იარაღი, რამდენიმე ათეული ცხენი და ა.შ. *[თოიძე, 2009: 36]*. ბათუმისათვის ბრძოლაში ქართულმა ჯარმა მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა 84 მეზობლი. 1921 წლის 20 მარტს ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს საზღვაო და სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი შ. ელიავა, რომელმაც ბრძანება გასცა გმირულად დაღუპული ქართველი მეომრები დიდი ზეიმით დაეკრძალათ აზიზიეს მოედანზე (ამჟამად თავისუფლების მოედანი). დაკრძალვა მოხდა 23 მარტს, რომელსაც ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცებსა და ოფიცრებთან ერთად მრავალათასიანი სამოქალაქო საზოგადოებაც მონაწილეობდა. 84 ცხედრიდან მმათა სასაფლაოზე დაკრძალეს 44, დანარჩენი დაღუპულები საკუთარმა ოჯახებმა გაასვენეს საგვარეულო თუ სასოფლო სასაფლაოებზე *[მაზნიაშვილი, 1990: 210]*.

კომუნისტებმა სამმო სასაფლაო მოაასფალტეს და მხოლოდ 1990 წელს, ეროვნული მოძრაობის გაძლიერების დროს მოხერხდა ასფალტის აყრა და ბათუმისათვის თავდადებული გმირების ღირსეულად დაკრძალვა.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

გიგაური, 2021: – გიგაური პაატა, „ბათუმის ბრძოლა, 18-19 მარტი, 1921 წ.“; ინტერნეტ-მისამართი: <http://legionerebi.com/armia1918/?p=1857>

თოიძე, 2009: – თოიძე ლევან, „ბრძოლა ბათუმისათვის – 1921 წლის მარტი“, თბილისი, 2009.

კომუნისტი 1921: – გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. №16.

კომუნისტი 1921: – გაზეთი „კომუნისტი“, 1921 წ. №17.

**მაზნიაშვილი, 1990:** – მაზნიაშვილი გიორგი, „მოგონებანი“, ბათუმი, 1990.

**სდსინ, 2012:** – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, IV, ბათუმი, 2012.

**სილაქაძე, 2018:** – სილაქაძე დიმიტრი, „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)“, „ენციკლოპედია-ლექსიკონი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2018.

**უწყებები, 1921:** – გაზეთი „უწყებები“, 2021 წ. №3.

**ქარდავა, 2010:** – ქარდავა ფრიდონ, „1921 წლის მარტი ბათუმში მაზნიაშვილისა და რუსი გენერლის მიხედვით“, გაზ. „ბათუმელები“, 2010; ინტერნეტ-მისამართი:

<https://batumelebi.netgazeti.ge/news/189473/>

**ქაღაძე, 1994:** – „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომის წლებში“, თბილისი, 1994.

**Zurab Nagervadze (Batumi Georgia)**

### **Batumi – 1921 (March 18-21 Events)**

#### **Abstract**

The events of March 18-21, 1921 are a tragic period in the history of Georgia. The provocative actions of Soviet Russia and the mistakes made by the authorities of the Democratic Republic of Georgia have paid off. The attacks of Soviet troops on Georgia in February claimed the lives of many Georgians, especially noteworthy are the young cadets who fell heroically to defend Tbilisi. On February 25, the Georgian capital, Tbilisi, was taken by the Bolsheviks.

The Georgian democratic government was forced to emigrate through the port of Batumi and temporarily take refuge in France until it received proper assistance, hoping to receive assistance from the democracies of the world and return, but unfortunately, they did not return.

The invasion and annexation of Georgia by Soviet Russia led to a new problem, with Kemalist Turkey becoming more active. Of great importance to Turkey was the capture of Batumi and the restoration of the positions it had lost in Georgia during the Russian-Turkish War of 1877-1878.

The city of Batumi was of great interest from the very beginning to the great powers (Ottoman, German, English), which was due to its strategic location and deep-water port. At the initiative of the British, Batumi was declared a "Porto-Franco" (free port). Thanks to the liberal tax regime, the less populated border provinces of the then Russian Empire attracted the interest of well-known oil investors - Ludwig Nobel, Alexander Mantashev, the Rothschild dynasty and others, which clearly testifies to the importance of Batumi.

Later, the Bolsheviks also showed great interest in Batumi. This is clearly shown by the fact that they traded Georgian territories with Kemalist Turkey. The main target of their interests was the preservation of Batumi. Under a treaty between Turkey and Russia in 1921, Kemalist Turkey annexed the districts of Artvin and Artaan, split the historic Machakhela Valley into two villages: Sarpi, Maradidi, and found the local population in dire straits.



The events of March 18-21, 1921 in Batumi are a living sheet of the heroic past that has always accompanied Georgian statehood. This paper clearly reflects the selfless struggle of the Georgian people for one of the most strategically important cities of Georgia - Batumi. The present work well covers the role of General Giorgi Mazniashvili as a brilliant strategist, his outstanding courage and patriotic spirit in the battles for Batumi.

The paper also reflects well the artful intentions of Bolshevik Russia and the Kemalists towards Georgia. Attempt of the Ottomans to capture Batumi and Adjara in general, the battle battles of March 18-21, the heroic attitude of the Georgian fighters, which made it possible to liberate Batumi from the Ottoman troops.

Finally, this is a sheet of courage of every Georgian who took part in the fight for Batumi at that time, through whose efforts the city of Batumi is an integral part of Georgia today.

## ბათუმური რეალიები არტურ ლაისტის ქართველოლოგიურ ნააზრევში

**აბსტრაქტი:** გერმანელი მწერალი და მეცნიერი არტურ ლაისტი (1852-1927 წწ.) პირველი უცხოელი შემოქმედია, რომელმაც არა მარტო ქართველოლოგიური მოღვაწეობა აქცია თავისი ცხოვრების უმთავრეს მიმართულებად, არამედ საქართველო ფიზიკურადაც გაიხადა თავის მეორე სამშობლოდ და აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული ბათუმური რეალიების გამოხატვას. გერმანიაში დაბეჭდილი თავისი ნაშრომებით იგი ევროპელ მკითხველს შესაბამის მოვლენათა საფუძვლიანი ცოდნით აწვდიდა მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** ლაისტი, საქართველო, ბათუმი, აჭარა, ევროპა.  
**Key words:** Leist, Georgia, Batumi, Ajara, Europe.

\*\*\*

ქართველი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი გერმანელი მწერალი და მეცნიერი არტურ ლაისტი (1852-1927 წწ.) პირველი უცხოელი შემოქმედია, რომელმაც არა მარტო ქართველოლოგიური მოღვაწეობა აქცია თავისი ცხოვრების უმთავრეს მიმართულებად, არამედ საქართველო ფიზიკურადაც გაიხადა თავის მეორე სამშობლოდ, სიცოცხლის დიდი ნაწილი ამ ქვეყანაში გაატარა და ანდერძის თანახმად აქვე ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

გერმანელი მწერლის დასაფლავებასთან დაკავშირებით იმდროინდელ ჩვენს საზოგადოებას ეს გადაწყვეტილება შემთხვევით რომ არ მიუღია, ამას თავად არტურ ლაისტის მიერ წერილობითი ფორმით დატოვებული ის ჩანაწერიც ადასტურებს, რომლითაც იგი მისთვის ამქვეყნიური ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრეს და უსაყვარლეს ასპარეზად ქვეულ ამ ახალ სამშობლოს ასეთი სიტყვებით გამოეთხოვა: „მაპატიე, ჩემო პატარა, სამშობლონაცვალო საქართველო, თუ ჩემი მცირე (მწირი) ღვაწლით ღირსი არა ვარ შენს წმინდა მიწაზე დასაფლავებისა“ [ლაისტი, 1963: 297].

ჩვენს ქვეყანას არტურ ლაისტი პირველად 1884 წელს ესტუმრა ერთი თვით, მეორედ – 1885 წელს, 1892 წლიდან კი სამუდამოდ დამკვიდრდა საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველოლოგია არტურ ლაისტის შემოქმედებითი და სამეცნიერო მოღვაწეობის უმთავრეს მიმართულებად ჩვენს ქვეყანაში მის ფიზიკურ სტუმრობამდეც იყო დამკვიდრებული, საქართველოში დაფუძნების შემდეგ მისმა ქართულმა საქმიანობამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

ამ დროიდან მოყოლებული, არტურ ლაისტმა არა მარტო შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებებით წარმოაჩინა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობები, არამედ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც ჩაერთო აქტიურად. კერძოდ, თავისი მრავალმხრივი ქართველოლოგიური მოღვაწეობა მან წარმატებით გამოავლინა, ერთის მხრივ, მთარგმნელობითი მიმართულებით და ქართული მწერლობის არაერთი ნიმუში გადათარგმნა გერმანულ ენაზე; მეორეს მხრივ, გერმანულ პრესაში გამოქვეყნ-

ნებული წერილებითა და მხატვრული ტექსტებით ბევრი რამ გააკეთა ევროპაში, პირველ ყოვლისა კი გერმანულენოვან მკითხველებში, ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის პოპულარობისთვის. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატებულ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ მისი აქტიური ძალისხმევით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში კი რედაქტორობითაც, თბილისში 1906-1914 და 1918-1922 წლებში გერმანულენოვანი გაზეთი „კაუკაზიშე პოსტიც“ გამოდიოდა, სადაც საქართველოსთან დაკავშირებული მასალებიც იბეჭდებოდა.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში არტურ ლაისტი ჩვენი ქვეყნის ყოველი მხარის მკვიდრთა ისტორიითა და თანადროული ყოფით იმდენად იყო დაინტერესებული, რომ ამ რეგიონებში საკმაოდ ხშირად მოგზაურობდა, მათ შესახებ არსებულ მასალებს, მათ შორის „ქართლის ცხოვრებასა“ და სხვა სახის ისტორიულ დოკუმენტებსაც, საგულდაგულოდ სწავლობდა, იქაურთა ყოფას საგულდაგულოდ ეცნობოდა და ამ საფუძველზე შექმნილი თავისი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოში და ქართული მწერლობით ევროპელთა დასაინტერესებლად.

როგორც ითქვა, ჩვენს ქვეყანას არტურ ლაისტი პირველად 1884 წლის ზაფხულში ესტუმრა საზღვაო გზით. კერძოდ, ოდესიდან გემით წამოსული მწერალი ოთხდღიანი მგზავრობის შემდეგ ბათუმში დღის ოთხ საათზე მოვიდა და ხანმოკლე დროით, საღამოს რვა საათამდე, დარჩა, შემდეგ კი თბილისში გაემგზავრა მატარებლით. მიუხედავად დროის ესოდენი სიმცირისა, მან მაინც შეძლო ქალაქის დათვალიერება და საქართველოს შესახებ მოგვიანებით დაწერილი თავისი ენციკლოპედიური შინაარსის მქონე წიგნი სწორედ მაშინდელ შთაბეჭდილებათა მოთხრობით დაიწყო.

არტურ ლაისტის ამ მონათხრობისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ბათუმში პირველად მყოფი გერმანელი მწერალი საგულისხმო ცნობებს გვაწვდის იმ რეალობასთან დაკავშირებით, რომელიც დედასამშობლოსთან ახლად შემოერთებულ ამ ქალაქში არსებობდა იმხანად. თავისი ბათუმური შთაბეჭდილებების მოთხრობას იგი პორტთან დაკავშირებული ინფორმაციით იწყებს. მისი ხაზგასმით, იმდროინდელი ბათუმი მნიშვნელოვან სანავსადგურო ქალაქს წარმოადგენდა, „ერთ-ერთ საუკეთესო პორტს მთელ შავ ზღვაზე.“ ამის დასტურად იგი ჩვენთვის ორმხრივად საინტერესო ასეთ ცნობას გვაწვდის: ბათუმის ნავსადგურში „ჩვენთან ერთად შემოვიდა მარსელიდან მოსული ფრანგული გემი „სამეგრელო“ [ლაისტი, 1963: 203].

როგორც ამ ინფორმაციითაც ჩანს, იმდროინდელი ბათუმი სანაოსნო გზით არა მარტო შავი ზღვის საპორტო ქალაქებთან იყო დაკავშირებული, არამედ მას დასავლეთ ევროპის ქვეყნებთანაც ჰქონდა რეგულარული მიმოსვლა ხმელთაშუა ზღვის საშუალებით. კიდევ ერთი დეტალი, რითაც ლაისტის მიერ მოწოდებული ეს ცნობა იქცევა განსაკუთრებულ ყურადღებას, ბათუმში მარსელიდან მოსული ფრანგული გემის სახელწოდება „სამეგრელოა“.

არტურ ლაისტის მონათხრობის მიხედვით, დედასამშობლოსთან ახლადშემოერთებულ ბათუმში ჯერ კიდევ იყო პრიორიტეტულად შემორჩენილი ცხოვრების ოსმალური წესი. მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ ბათუმში ეთნიკურად თურქი ეროვნების მოქალაქეები ძალიან ცოტა რაოდენობით ცხოვრობდნენ, გერმანელი მწერალი იქაურებს მაინც ოსმალთა სახელით მოიხსენიებს, რაც უპირველეს ყოვლისა

მათი რელიგიური აღმსარებლობით იყო განპირობებული და არა ეთნიკური კუთვნილებით.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს არტურ ლაისტის ცნობიერებაში წარუშლელად აღბეჭდილ იმდროინდელ ბათუმურ რეალობაზე, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან: „მეტად გაცხოველებული საქმიანობაა ბათუმის პორტში. ვაჭრობა აქ კარგად მიდის. ნაპირზე გადმოვედით თუ არა, მაშინვე მოგვცვივდნენ ოსმალონი. რომლებიც ჩვენი სკივრების წაღების ნებას გვთხოვდნენ. რაკი დროის დაკარგვა არ გვინდოდა, ჩვენი ბარგიბარხანა მაშინვე დავანებეთ მათ. ეს ბარგი თავის ღონიერ მხრებზე გაიდეს და ვაგზლისაკენ გავეშურეთ...“

ბათუმი უფრო ოსმალური ქალაქია, თუმცა მას შემდეგ, რაც რუსეთის მფლობელობაში გადმოვიდა, შესამჩნევად იცვალა ფერი. აქ ევროპელები ბევრია. ისინი მომეტებულად ნავთის მოვაჭრენი არიან“ *[ლაისტი, 1963: 204]*.

იმდროინდელი ბათუმური რეალობის ფრაგმენტულად წარმომჩენ ამ ეპიზოდში არტურ ლაისტი ხაზგასმით აღნიშნავს მეტად მნიშვნელოვან იმ როლს, რომელსაც ეს ქალაქი, როგორც ევროპაში ნავთობის იმპორტიორი პორტი, ასრულებდა იმხანად. კერძოდ, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „ბათუმის მთელი ავლადიდება ნავთია. ამიტომ აქ სულ ნავთზე ლაპარაკობენ და რასაც მიეკარებოდა, ყველაფერს ნავთის სუნით ასდის. ვშიშობდი, ჩაის მაგივრად ჩემთვის ნავთი არ მოეტანათ“ *[ლაისტი, 1963: 204]*.

ბათუმისა და მისი შემოგარენის პირველხილვით მიღებულ შთაბეჭდილებათა მოთხრობის დროს არტურ ლაისტი მის გეოგრაფიულ ადგილმდებარეობაზეც და ბუნებრივ პირობებზეც გაამახვილა ყურადღება. კერძოდ, მისი ინფორმაციით, „ნავთის გარდა ბათუმს სხვა განსაკუთრებული თვისებაც აქვს - აქ დიდძალი ჭაობებია, რომლებიც ქალაქს გარს არტყია. ისინი კარგა მოზრდილები არიან. მათი წყალობით მთელი წლის განმავლობაში ციებ-ცხელება არ ნელდება... ბათუმის ნაპირები შემოსილია სამხრეთის ხეებითა და ბუჩქებით, რომლებიც გაუვალ ტყეს ქმნიან“ *[ლაისტი, 1963: 104]*.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბათუმისა და მისი შემოგარენის ბუნებრივი მშვენიერებით არტურ ლაისტი იმდენად იყო მოხიბლული, რომ ამ ქალაქთან დაკავშირებული შთაბეჭდილებების ამსახველ თავის სხვა ნარკვევებში იგი უდიდესი აღფრთოვანებით საუბრობდა იქაურობის თვალწარმტაცი სილამაზის შესახებ. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა მხარეთა ბუნების გასაცნობად დაწერილ წერილში ის ევროპელ მკითხველს ჩვენი ქვეყნის ამ მხარის ბუნებრივ სილამაზეს ასე უხასიათებდა: „ვინც ევროპიდან ბათუმს ჩამოვა, პირველად უეჭველად იფიქრებს, სამოთხეში მოვხვდიო. შავი ზღვის ნაპირი საოცრებაა. იგი დამშვენებულია მთებითა და ნაირ-ნაირი მცენარეებით. მზე თვალებს ჭრის, ფერადები მუსიკალურ სიმფონიას ქმნიან“ *[ლაისტი, 1963: 246]*.

ბათუმური შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს არტურ ლაისტი იმ დიდი ზეგავლენის შესახებაც საუბრობდა, რამაც ავტორის მიერ თუმცა ოსმალთა სახელით მოხსენიებულ, მაგრამ რეალურად იქ მცხოვრებ ქართველთა, განსაკუთრებით კი ქალთა, ყოფაზე მოახდინა მუსლიმანური სარწმუნოების მიღებამ. პირველ ყოვლისა სწორედ ამ ფაქტორით განპირობებულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქართულ მიწაზე პირველად ფეხდადგმული მწერალი ბათუმსა და მის მიმდებარე

მიდამოებში მატარებლიდან დანახულ ადგილობრივ მცხოვრებლებს მათი ჩაცმულობის გამო ოსმალუბად მიიჩნევდა.

ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ კიდევ ერთი ფრაგმენტი ხსენებული ნარკვევიდან: „რვა საათზე თბილისისკენ გავემგზავრეთ. გზა ჯერ ქალაქის ძველ ოსმალურ ნაწილზე გაივლის; აქ ძველი, უხირო სახლებია და არც არაფერს საინტერესოს წარმოადგენს. ჩვენთვის უფრო საინტერესო თვითონ ოსმალონი იყვნენ, რომლებიც გაკვირვებით შემოგვცქეროდნენ. მათ შორის დავინახეთ ოსმალთა ქალი. ის თავით ფეხამდე ჩადრში იყო გახვეული. ჩვენ მისი პირისახის ნახვა ძალზე გვინტერესებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მისი სილამაზე ერთ ფარადაც არ ღირდა“ *[ლაისტი, 1963: 205]*.

როგორც არტურ ლაისტის ქართველოლოგიური ტექსტებიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოში ცხოვრების პერიოდში ბათუმს იგი საკმაოდ ხშირად სტუმრობდა და ამ სტუმრობის ამსახველი თავისი მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტებით შთამბეჭდავად მოგვითხრობდა ამ ქალაქისა და მისი შემოგარენის ბუნებრივი სილამაზისა და იქაურთა ყოფა-ცხოვრების შესახებ.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს წერილიდან „ზღვის სიმღერა,“ რომელშიც ავტორი წელიწადის დროების მიხედვით წარმოსახავს ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ იმ ემოციებს, რასაც ბათუმი და მისი შემოგარენი იწვევდა მის ცნობიერებაში: „კარგია ბათუმის ბულვარი დილით ან გვიან საღამოს, როცა ცოტაა მოსიერნე ხალხი და თავისუფლად შეიძლება დატკბე ტალღების დილით. მარცხენა მხარეს გაჭიმულია მთიანი აჭარა; მისი მედიდური მწვანე მთები გიგანტურ სვეტებადაა ამოზიდული მოლურჯო ჰაერში...“

ზაფხულში, როცა ბათუმს მთელი კვირაობით ანათებს მზე და ზღვა, როგორც უძრავი სარკე, ისეა გაჭიმული შორეულ ჰორიზონტამდე, ტალღები მშვიდ და წყნარ ჰანგზე მღერაინ სულიერი სიმშვიდის სიმფონიას, რომელიც აწყნარებს ადამიანის აღელვებულ სულს და შეჰყავს იგი უხილავ ოცნებათა სიხე-სიმაგრეში...

შემოდგომით ბათუმი კარგავს თავის მომაჯადოებელ სიმწვანეს, მაგრამ მწვანედ რჩებიან ტანმალალი კვიპაროსები, ეს მწუხარების კეთილშობილი ხეები, პალმები, ლიბანის ნაძვი და სხვანი...

შემოდგომის და ზამთრის დარდიან დღეებში, რომლებიც აჭარაში მთელი კვირაობით მისდევენ ერთმანეთს, ეს მუქი მწვანე ხეები წარმოადგენენ ნამდვილ შესაფერის დეკორაციას. ვისაც არ უნახავს ბათუმი და აჭარა ზამთრის სევიდან დღეებში, ვისაც არ უნახავს მუქი კვიპაროსები ასეთ ბნელ ამინდში, მას არ უნახავს და არ იცის, რა არის ბუნების მწუხარება!“ *[ლაისტი, 1963: 249]*.

ეს ფრაგმენტები აქ მე არა მარტო იმის ნათელსაყოფად კი არ დავიმოწმე, მკითხველს მთელი ძალმოსილებით რომ შეეგრძნო ბათუმის ბუნებრივი მშვენიერების თვითგანცდის შედეგად წარმოქმნილი ავტორისეული ემოციები, არამედ იმ მაღალ-მხატვრული სიტყვიერი ხელოვნების წარმოსაჩენადაც, რითაც არტურ ლაისტი თავისი ნაფიქრ-ნააზრვის მკითხველამდე მიტანას ცდილობდა.

არტურ ლაისტის შემოქმედების ბათუმურ რეალიებზე საუბრის დროს მკითხველის ყურადღება ასევე მიიწვივს მივაპყრო მეზღვაურთა ცხოვრების ამსახველ მოთხრობას „აბდული,“ რომლის მეშვეობითაც მწერალი საინტერესო ეპიზოდს მოგვითხრობს დედანამშობლოსთან ახლად შემოერთებული აჭარის მკვიდრთა ცხოვრებიდან.

ავტორისეული მონათხრობის მიხედვით გარკვეული წარმოდგენა გვექმნება იმ გაორებულ ცნობიერებაზე, რომელმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის კირთებქვეშ მცხოვრები აჭარლების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ჰპოვა გამოვლინება მეტ-ნაკლები მასშტაბებით. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მკვიდრ მოსახლეობას თავისი ეთნიკური ქართველობა ეჭვქვეშ არასოდეს დაუყენებია და მათ ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებას ქართული ენა წარმოადგენდა, რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე, ცალკეული პიროვნებანი გარკვეულწილად მაინც აღმოჩნდნენ ეროვნული გაუცხოების გზაზე დამდგარნი.

არტურ ლაისტის ხსენებული მოთხრობა სწორედ ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მხატვრულ ტექსტს წარმოადგენს და ხსენებული პრობლემა მასში შთამბეჭდავი ფორმითაა წარმოჩენილი ერთ ქობულეთურ ოჯახთან დაკავშირებული ამბის მოთხრობის შედეგად. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ ძირითად სიუჟეტურ შტრიხებს ნაწარმოებიდან.

მოთხრობის მთავარი პერსონაჟის, ქობულეთში დაბადებული და გაზრდილი აბდულის მამის წინაპრები ქრისტიანი ქართველები იყვნენ. მაგრამ ოსმალეთის მიერ მათი მხარის დაპყრობის შემდეგ მისი ბაბუა იძულებული გახდა გამუსლიმანებულიყო. ამისდა მიუხედავად, მისი და მისი მემკვიდრეების ოჯახებში ქართული ენა კვლავაც რჩებოდა ერთადერთ საკომუნიკაციო საშუალებად. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ ვითარება არსებითად შეიცვალა და ბათუმში ქართლიდან, გურიიდან და იმერეთიდან მრავლად ჩამოსახლებული ქართველებისაგან „აჭარლებმა გაიგეს, რომ ისინი ყველანი ძმები არიან, რომ ძალათ მოსწყვიტეს საქართველოსა და ძალათვე გაამაჰმადიანეს“ [ლაისტი, 1963: 41].

მიუხედავად აჭარის მკვიდრთა ცნობიერებაში ეროვნული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მომხდარი ამ გარდატეხისა, მათი ცალკეული წარმომადგენლები, უმთავრესად რელიგიური ფაქტორის მძლავრი ზეგავლენის შედეგად, გაორებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კერძოდ, მათ „რადაც ძალა იზიდავდათ თათრებისაკენ და ძველებურად დადიოდნენ მეჩეთში.“

ერთ-ერთ სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა აბდულის მამა, რომელმაც დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთებიდან ერთი წლის შემდეგ ქობულეთში მცხოვრები ცოლი და ექვსი წლის შვილი დატოვა და თავად რიზეში წავიდა, სადაც ათი წლის განმავლობაში დარჩა და იქ ეწეოდა სავაჭრო-კომერციულ საქმიანობას. ავტორისეული განმარტებით, მან ეს სარისკო ნაბიჯი პირველ ყოვლისა იმიტომაც გადადგა, რომ არსებითად შეცვლილი ვითარების გამო მშობლიურ ქობულეთსა და ბათუმში ცხოვრებას „თურქებთან და ლაზებთან ყოფნა ერჩივნა.“

ათი წლის შემდეგ შინ დაბრუნებულმა აბდულის მამამ ცოლ-შვილის ნახვით, მართალია, ძალზე გაიხარა, მაგრამ უკმაყოფილო დარჩა იმით, რომ მისი შვილი მხოლოდ ქართულად საუბრობდა და საერთოდ არ იცოდა თათრული ენა. ოჯახში რამდენიმე კვირით დარჩენის შემდეგ აბდულის მამა შვილთან ერთად ბათუმში წავიდა, სანდალი იყიდა და ბათუმსა და რიზეში წარმატებული კომერციული საქმიანობა გააჩაღა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძალიან კმაყოფილი იყო შვილის მიერ ამ საქმეში გამოვლენილი აქტიურობითა და მოხერხებულობით, აშკარა უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ „ის უფრო სხვა პროვინციებიდან მოსულ ქართველებს ეტანებოდა, ვიდრე აჭარლებს“. მისგან განსხვავებით, თავად ის კი „მთელი

საათობით იჯდა რიზეს სანაპიროს ყავახანაში და ყალიონის წევით ოსმალურად ესაუბრებოდა სხვა მეზღვაურებს. ეს მას სიამოვნებდა და ვერ გაეგო, თუ აბდულს როგორ შეეძლო სხვა რამ გასართობი ეძებნა“ *[ლაისტი, 1963: 43]*.

მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და აბდულის მამის ცნობიერებაში რადიკალური გარდატეხა მოხდა. ეს მოვლენა არსებითად განაპირობა მისი შვილის სასიყვარულო ურთიერთობამ იმერელ ქალი-შვილთან. ამ ამბის შეტყობით გულნატკენი მამა თავიდან კატეგორიულად აღუდგა წინ მათ ამგვარ ურთიერთობას და თავისი უკმაყოფილება ამ სიტყვებით გამოხატა: „რად გინდა, შვილო, მაინცა და მაინც იმერელი ქალი შეირთო და არა აჭარელი... ხომ შეგეძლო გენახა აჭარელი“ *[ლაისტი, 1963: 45]*.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარელისა და იმერელის ამგვარ დაპირისპირებაში მწერალი რელიგიური რწმენის განსხვავებულობას არსად ახსენებს, ნაწარმოების შინაარსობრივი კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ იმერელისა და აჭარელის ერთმანეთისაგან გამმიჯნულ უმთავრეს ფაქტორად აბდულის მამა უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ მოვლენას მიიჩნევს - ჩვენი ქვეყნის ამ ორი მხარის მკვიდრთა ერთმანეთისაგან განცალკევებას სარწმუნოებრივი თვალსაზრისით.

მაგრამ ის, რაც აბდულის მამისთვის პრობლემად მიჩნეულ ბარიერს წარმოადგენს, შვილისთვის, პირიქით, მისი ეროვნული ცნობიერების განმამტკიცებელ მოვლენადაა ქცეული, რაც ნათლად ვლინდება შვილის მიერ მამისთვის მიმართული ამ სიტყვებით: „მე მთელი ჩემი ბავშვობა გურულებსა და იმერლებს შორის გავატარე და იმათგან შევიგნე, რომ ჩვენც ისეთივე ქართველები ვართ, როგორც ისინი. მაგრამ თათრებმა მოგვწყვიტეს ჩვენ მათ და სულ სხვა გზას დავადექით. ეხლა კი კვლავ მინდა დავუბრუნდე ჩვენს საერთო სამშობლოს და კატოს შეუძლიან დამაკავშიროს მასთან“ *[ლაისტი, 1963: 45]*.

მიუხედავად იმისა, რომ შვილის მიერ ამ სიტყვებით გამოხატული ეროვნულ-სარწმუნოებრივი თვალთახედვა მამასა და მის მემკვიდრეს შორის გარკვეული დროის განმავლობაში ამის შემდეგაც დარჩა დაუძლეველ ბარიერად, ეს სირთულე დროთა განმავლობაში აბდულის მამამაც დაძლია წარმატებით და არა მარტო სიტყვიერად მისცა შვილს იმერელ ასულზე დაქორწინების უფლება, არამედ ამ გადაწყვეტილების მიღებით ფაქტობრივად მანაც გადადგა არსებითად მნიშვნელოვანი ნაბიჯი ისტორიულ სამშობლოსთან გაწყვეტილი ურთიერთობის აღსადგენად და მშობლიურ წიაღთან დასაბრუნებლად.

არტურ ლაისტმა ერთ-ერთმა პირველმა (თუ ერთადერთმა პირველმა არა) მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმ ფაქტს, რომ თემატური სიმდიდრისა და წარმოსახვითი სივრცის მრავალსახოვნების მიუხედავად, ზღვის თემა ფაქტობრივად მთლიანად იყო დარჩენილი ქართველ მწერალთა ინტერესის მიღმა. გერმანელი ქართველოლოგის აზრით, ეს მოვლენა იმ გარემოებამაც განაპირობა არსებითად, რომ გარესამყაროსთან, პირველ ყოვლისა კი ევროპასთან, ფიზიკურად დამაკავშირებელ ამ სტიქიონს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიულად უმნიშვნელო როლი ჰქონდა შესრულებული.

არტურ ლაისტი ძნელად ასახსნელი სწორედ ამ მოვლენის შედეგად დამკვიდრებული რეალობის შედეგად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ქართული მწერლობის მთელი ისტორიის განმავლობაში ზღვასთან დაკავშირებული თემატიკა არა თუ ფართოდ, არამედ საერთოდაც კი არ გამოვლენილა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში.

ამ თვალსაზრისით რამდენადმე გამონაკლის მოვლენად იგი მხოლოდ „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა; თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ ბუნების ამ სტიქიონს რუსთველი მხოლოდ „გულგრილად, აღუფრთოვანებლად იხსენიებს“. კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით: „ქართველებისათვის ზღვა წარსულშია რაღაც შორეული და უცნობი იყო. არც „ქართლის ცხოვრებაში“ და აღარც ქრონიკებში სადმე სჩანს, რომ ქართველებს ზღვისთვის ეზრუნოსთ. ზღვა კი დიდს მანძილზედ უვლის ლაზისტანს, გურიასა, სამეგრელოს და აფხაზეთის სანაპიროებს და ამასთანავე საქართველოს ევროპასთან აკავშირებს.

რა თქმა უნდა, ბიზანტიასთან და საერთოდ დასავლეთთან წარსულშია ჰქონდა საქართველოს კავშირი და შემდეგაცაა ჰქონია, მაგრამ ეს ურთიერთობა არ იყო პირდაპირი და უმეშვეობითი, არამედ შუამავლებად იყვნენ ბერძენნი და გენუეზნი... იგინი მეზღვაურნი არასოდეს ყოფილან, ხმელეთს არ განშორებია.

„ვეფხისტყაოსანში რუსთველი რამდენსამე ალაგას იხსენიებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, აღუფრთოვანებლად. მას არ ეტყობა სურვილი ზღვის დიადი სურათი დაგვიხატოს“ *[ლაისტი, 1963: 45]*.

ზღვის თემით რუსთველის დაუინტერესებლობას ა. ლაისტი იმით ხსნის, რომ „გრძნობა ბუნებისა, რომელიც უსათუოდ აქვს თანამედროვე განვითარებულს ადამიანს, შოთას დროს ჯერ კიდევ არ იყო გაცხოველებული.“ სწორედ ამ მოვლენის ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა იგი იმ ფაქტს, რომ ზღვის თემა საერთოდ არ მოიპოვება ძველ ქართულ პოეზიაში. თუმცა, აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, გერმანელი მწერალი იქვე იმ გარემოებასაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას, რომ მდგომარეობა ამ თვალსაზრისით არც შემდგომ საუკუნეებში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედებაში შეცვლილა და მათი წინამორბედების მსგავსად, ამ მიმართულებით მათაც შეინარჩუნეს ზღვის თემისადმი გულგრილი დამოკიდებულება.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო ყურადღება: არტურ ლაისტის ამ წერილს, რომელიც 1922 წელს ჯერ პრესაში, 1923 წელს კი მის წიგნშიც გამოქვეყნდა, 1948 წელს სპეციალური ჩანაწერით გამოეხმაურა გალაკტიონ ტაბიძე. თავის ამ ჩანაწერში გალაკტიონმა მოკლედ გაიხსენა გერმანელი მწერლის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული უმთავრესი მოსაზრებანი და მის თვალსაზრისს ასეთი შეფასება მისცა: „მართალი არის თუ არა არტურ ლაისტის შეხედულება, ეს მკვლევარების საქმეა. ერთი რამ კი უდავოა, ზღვის თემატიკა ქართულ ლიტერატურაში რუსთველის შემდეგ არ სჩანდა. ეს მოძრაობა დაიწყო მხოლოდ მეოცე საუკუნის ქართულმა ლიტერატურამ“ *[ტაბიძე, 1975:143]*.

ამ მოვლენის ხაზგასმით აღნიშვნა გალაკტიონმა იმიტომაც მიიჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ფაქტად, რომ ქართულ ლიტერატურაში აღნიშნული მიმართულებით არსებული ხარვეზის შევსების საქმეში პირველი და გამორჩეულად მნიშვნელოვანი ნაბიჯები იმ დროისათვის პირველ ყოვლისა სწორედ მას ჰქონდა გადადგმული. იგი არა მარტო ზოგადად აღნიშნავდა ამ ფაქტს, არამედ მისი შემოქმედებიდან კონკრეტულადაც ასახელებდა იმ ნაწარმოებებს, რომელთა მეშვეობითაც ქართულ მწერლობაში რეალურად ამკვიდრებდა ზღვასთან დაკავშირებულ თემატიკას.



კერძოდ, აი, რას წერდა თავად გალაკტიონი ამასთან დაკავშირებით: „ჩემს შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ ეს მოტივები არის ჩემს პირველ წიგნში (1914), მეორეში (1919), არის მასალები სახელგამის მიერ გამოცემულ I, II, III და IV ტომებში, ცალკე წიგნად გამოცემულ „ოქრო აჭარის ლაჟვარდში.“ „მნათობში“ ამას წინ გამოვაქვეყნე რამდენიმე ახალი ლექსი, აფხაზეთის სახელგამმა თითქმის დაამთავრა ბეჭდვა და ამ დღეებში გამოვა ჩემი წიგნი „ზღვა ახმაურდა“ და სხვ. ცხადია, დაწყებულია მოძრაობა“ [ტაბიძე, 1975:143].

როგორც არტურ ლაისტის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან თვალნათლივ ჩანს, ბათუმი გამონაკლისი არ ყოფილა და გერმანელი ქართველოლოგის შემოქმედებითი თვალთახედვის არეალში ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონი მოექცა. იგი ფაქტობრივად ერთ-ერთი პირველი ევროპელი ავტორი იყო, რომელიც გერმანიაში გამოცემული თავისი წიგნებითა და პრესაში გამოქვეყნებული მხატვრულ-დოკუმენტური წერილებით გერმანულენოვან მკითხველებს უდიდესი სიყვარულითა და შესაბამის მოვლენათა საფუძვლიანი ცოდნით აწვდიდა მნიშვნელოვან ცნობებს მათთვის სრულიად უცნობი ქვეყნისა და მისი მკვიდრი მოსახლეობის ისტორიასთან, იმჟამინდელ ყოფასთან და კაცობრიობის კულტურულ და ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ქართველთა მიერ შეტანილ უმნიშვნელოვანეს წვლილთან დაკავშირებით.

ესოდენ მრავალმხრივი და მეტად წარმატებული ქართველოლოგიური მოღვაწეობის გამო არტურ ლაისტისადმი თავისი მაღლიერი დამოკიდებულება ქართველმა საზოგადოებამ იმითაც გამოხატა, რომ 1922 წელს ფართოდ აღნიშნა მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე, მის მეორე სამშობლოდ მიჩნეულ საქართველოში გარდაცვლილ მწერალს კი სამუდამო განსასვენებელი დიდუბის პანთეონში მიუჩინა ჩვენი ერის დიდი შვილების სამკვალეთა გვერდით.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**ლაისტი: 1963:** – ლაისტი ა., „საქართველოს გული“, თბილისი, 1963.

**ლეისტი: 1923:** – ლეისტი ა., „საქართველოს გული“, თბილისი, 1923.

**ლეისტი: 1927:** – ლეისტი ა., „საქართველოს გული“, თბილისი, 1927.

**ტაბიძე: 1975:** – ტაბიძე გ., „თხზულებანი თორმეტ ტომად“, XII, თბილისი, 1975.

**Avtandil Nikoleishvili (Kutaisi, Georgia)**

### **Realities of Batumi According to the Kartvelology Worldview of Arthur Leist**

#### **Abstract**

German writer Arthur Leist (1852-1927), well-known in the Georgian society, is the first foreign writer, who was deeply involved in Kartvelological study and for whom Georgia became the second homeland as well as the last resting place according to his last will. A. Leist first visited Georgia in 1884 by the sea. He arrived in Batumi and later went to Tbilisi. He did not stay in Batumi for a long time, but despite this, looked through the city

and later described his impressions in a writing form. In this case, his story “Abduli” should be mentioned. The writer shows an interesting episode related to the people living in Adjara, which was newly joined to Georgia. According to his narrative, we have a certain idea of that double consciousness which for a long time was revealed in the consciousness of a part of the Adjarians living under the wings of the Ottoman Empire. Batumi was no exception and all regions of Georgia were included in the area of a creative vision of the German Kartvelologist. He was one of the first European authors, who introduced German readers with Georgian history and culture on the base of deep knowledge of the relevant events and also the deep love towards the mentioned country. The author mentions that the people living there made the most important contribution to the cultural treasures of mankind.

## კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსი და ბათუმი

**აბსტრაქტი:** ბათუმი, როგორც შავ ზღვაზე არსებული ერთ-ერთი მთავარი საპორტო ქალაქი, ყოველთვის იქცევდა დიდ სახელმწიფოთა მხრიდან განსაკუთრებულ ინტერესს. ბათუმისა და აჭარის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო არსებობს, რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებს როგორც ხსენებული ქალაქისა და რეგიონის, ისე ზოგადად ჩვენი ქვეყნის შესაბამისი პერიოდის ისტორიას.

ერთ-ერთ ასეთ უცხოურ წერილობით წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ბრიტანელი ადვოკატის, ჟურნალისტისა და მწერლის კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსის (1894-1949) წიგნი „მოხეტიალის დღიურები: რამდენიმე მოგონება ინდოეთში, შორეულ აღმოსავლეთში, რუსეთში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და კიდევ სხვადასხვა მხარეში მოგზაურობათა შესახებ“, რომელიც 1922 წელს გამოიცა ლონდონში. მასში ბევრ სხვა საინტერესო საკითხთან ერთად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში ბათუმში ბრიტანელთა ყოფნის პერიპეტეიბზეცაა ყურადღება გამახვილებული.

**საკვანძო სიტყვები:** რობერტსი, ბათუმი, ბრიტანეთი, მოგზაურობა.  
**Key words:** Roberts, Batumi, Britain, Travel.

\*\*\*

ბათუმი, როგორც შავ ზღვაზე არსებული ერთ-ერთი მთავარი საპორტო ქალაქი, ყოველთვის იქცევდა დიდ სახელმწიფოთა მხრიდან განსაკუთრებულ ინტერესს, რაც ქალაქის სამხედრო, სავაჭრო-ეკონომიკური და გეოპოლიტიკურად სტრატეგიული ადგილმდებარეობით იყო განპირობებული. ყოველივე აქედან გამომდინარე, ქართულთან ერთად, ბათუმისა და აჭარის შესახებ არაერთი მნიშვნელოვანი ისტორიული წყარო არსებობს, რომლებიც კიდევ უფრო ამდიდრებს როგორც ხსენებული ქალაქისა და რეგიონის, ისე ზოგადად ჩვენი ქვეყნის შესაბამისი პერიოდის ისტორიას.

ერთ-ერთ ასეთ უცხოურ წერილობით წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ბრიტანელი ადვოკატის, ჟურნალისტისა და მწერლის კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსის (Carl Eric Bechhofer Roberts – 1894-1949) წიგნი „მოხეტიალის დღიურები: რამდენიმე მოგონება ინდოეთში, შორეულ აღმოსავლეთში, რუსეთში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და კიდევ სხვადასხვა მხარეში მოგზაურობათა შესახებ“ (A wanderer’s log: being some memories of travel in India, the Far East, Russia, the Mediterranean & elsewhere), რომელიც 1922 წელს გამოიცა ლონდონში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კარლ რობერტსის განსაკუთრებული ყურადღება რუსეთისა და კავკასიის რეგიონების მიმართ, რის დასტურადაც შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მას ამ საკითხებისადმი მიძღვნილი არაერთი წიგნი აქვს გამოქვეყნებული. იგი 1919 წელს პირადად სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას, რა დროსაც ცნობილ ფილოსოფოსსა და საზოგადო მოღვაწეს გიორგი გურჯიევსაც შეხვედრია, რომელსაც ამ დროისათვის თბილისში უკვე გახსნილი ჰქონდა „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტი“ (Institute for the Harmonious Development of Man). კარლ რობერტსის ბიოგრაფიის განსაკუთრებით საინტერესო პერიოდს წარმოადგენს

ის ფაქტი, რომ იგი პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის სამეფო არმიის ულანთა IX პოლკში ირიცხებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ ზემოხსენებულ წიგნს, მასში საქართველოს ისტორიის არაერთ საინტერესო საკითხზე მახვილდება ყურადღება, მათ შორის ბათუმსა და ზოგადად მთელს აჭარაში იმხანად არსებულ მდგომარეობაზეც. ხსენებულ რეგიონზე საუბრის დროს ბრიტანელი მწერალი იქაური მოსახლეობის მრავალეთნიკურობასა და თითოეული მათგანის ეროვნულ თავისებურებებზე ამახვილებს ყურადღებას. ამას გარდა, კარლ რობერტსი იმ ბუნებრივ სიმდიდრესაც უსვამს ხაზს, რომელიც კიდევ უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდიდა რეგიონს. ავტორისეულ ნაამბობს მეტად ფასეულს ხდის ის გარემოებაც, რომ კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსი გარკვეული დროის განმავლობაში თავადაც ცხოვრობდა ბათუმში, რის შედეგადაც იქ მომხდარი არაერთი საინტერესო მოვლენის შემსწრე და თანამონაწილეც კი გამხდარა. ბრიტანელი ავტორის თვალით დანახული ბათუმის კიდევ უფრო ცხადად წარმოსაჩენად დავიმოწმებ შესაბამის ადგილებს წიგნიდან:

„ბევრი რუსი მიყვებოდა მე ბათუმის შესახებ, მაგრამ მათი ნაამბობი ოდნავადაც კი ვერ გამოხატავდა იმ მშვენიერებას, რაც პროვინციას გააჩნდა... ლიმონისა და მანდარინის ასობით ხეები აქ პირდაპირ იაპონიიდან ჩამოუტანიათ და ოთხი წლის წინ დაურგავთ; აქვე ასევე მრავლადაა სხვადასხვა ჯიშის ხილის ხეები და ყვავილები; რამდენიმე აკრზე გაშენებული ჩაის პლანტაციები კი მანდარინებს შორის არის დარგული... ბათუმის სუბტროპიკული კლიმატი თითქმის ყველა მცენარისა და ხისათვის არის სასარგებლო... ეჭვი არ არის, რომ ოქროს საწმისს სწორედ კოლხეთის ამ ნაყოფიერ მიწაზე ეძებდნენ...

ქართველები ბათუმის პროვინციის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენს. ქრისტიანი ქართველი მამაკაცები, ქაშმირელების მსგავსად, ძირითადად მაღალი, ლამაზი და ზარმაცები არიან. მაჰმადიანი ქართველების უმეტესობაც, რომელთაც მნიშვნელოვანი კავშირი გააჩნიათ სამხრეთელ შავგვრემან მუსლიმებთან, მათი მსგავსნი არიან.

ჩვენ გავაღვიძეთ მეზღვეები და ვაიძულეთ ისინი სამუშაოდ წასულიყვნენ, სადაც დღიურად მომუშავე ქართველებს უნდა შეერთებოდნენ. მაგრამ როდესაც ისინი მარტო დარჩნენ, სამუშაო იარაღები დაყარეს, კაკლის ჩრდილში წამოწვენენ და სიგარეტი გააბოლეს...

როცა შინ დავბრუნდი, იქ ეროვნებით სპარსი, ბაღჩეულით მოვაჭრე მოხუცი დამხვდა, რომელიც ყოველდღიურად პირველივე მატარებლით მოდიოდა ბათუმიდან, რათა ვარდები და სხვადასხვა სახეობის ყვავილები და ხილი შეეძინა ჩვენგან.

ბაღჩეულით მოვაჭრე სპარსის წასვლისთანავე მეზობელი პლანტაციის ზედამხედველი გვესტუმრა, რომელსაც ხელში დასახიჩრებული იხვი ეჭირა. მისი თქმით, იგი ჩვენი ძაღლის მსხვერპლი გამხდარა. რუდოლფი შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, ანგარიში გაესწორებინა ჩვენი ძაღლისთვის... რუდოლფი და მისი შრომისმოყვარე მეუღლე კატერინა გერმანელები იყვნენ; როგორც ამბობენ, ისინი რუსეთის შიგნით არსებული ერთ-ერთი გერმანული კოლონიიდან ჩამოსულან საქართველოში; მათ არასოდეს უცხოვრიათ გერმანიაში, თუმცა, ამისდა მიუხედავად, მაინც ძალიან ცუდად საუბრობდნენ რუსულად...

საუზმის დროს სასწრაფოდ შეგვატყობინეს, რომ ქურთები გამოჩნდნენ. ჩვენ სასწრაფოდ მოვახდინეთ ძაღლების მობილიზება და ისინი იმ ადგილზე შევაჩერეთ,

სადაც ჩვენი პლანტაცია გზას ესაზღვრებოდა. ეს ქურთები ზამთარს სადღაც აქ, ჩვენს ჩრდილოეთით, ატარებდნენ; ისინი ყოველ გაზაფხულს ჩამოდიოდნენ აქ მატარებლით და ბათუმის მიმდებარედ, სამოვრებსა და მთებზე სახლდებოდნენ. იქ, სადაც ისინი ცხოვრებას იწყებდნენ, განუწყვეტლივ იზრდებოდა ქონების მიტაცების ფაქტები, თუ სხვადასხვა სახის დანაშაული; სწორედ ამით იყო გამოწვეული ჩვენი მხრიდან სიფრთხილის ზომების მიღება“ *[Roberts, 1922: 127-132]*.

ბათუმისა და ზოგადად მთელი აჭარის რეგიონისა და იქ მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა დახასიათების გარდა, კარლ ერიკ ბეჩჰოფერ რობერტსის ხსენებულ წიგნში აღნიშნულ რეგიონში მისი ცხოვრების დროს მომხდარი ერთი რეზონანსული ამბავიცაა მოთხრობილი. კერძოდ, ბრიტანელი ავტორი უაღრესად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს აჭარის მკვიდრთა როგორც აზიური, ისე ევროპული ცხოვრების სტილსა და იქ მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა ყოფის თავისებურებებზე. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად, მოვიყვან შესაბამის ციტატებს წიგნიდან:

„ბათუმის პროვინცია, რა თქმა უნდა, მცირე აზიის ნაწილად უნდა განვიხილოთ; თუმცა, რუსული მმართველობის შემოსვლის შემდეგ, მას ევროპული იერი მიეცა. ამგვარად, პროვინციას ბუნებრივად გააჩნია საკუთარი შარმი, ნახევრად – აზიური, ნახევრად – ევროპული, ნახევრად – პრიმიტიული, ნახევრად – ცივილური...“

რამდენიმე თვით ადრე, ვიდრე პირველად წავიდოდი ბათუმის პროვინციაში, ერთმა მდიდარმა სომეხმა ვაჭარმა ჩვენს სიახლოვეს შვებულეების გატარება გადაწყვიტა. მან ზღვის სანაპიროზე ძველებური ქართული რეზიდენცია იქირავა და მთელი დღეები ზღვის ტალღებს გაჰყურებდა... ერთ შუადღესაც, მისი თხუთმეტითექვსმეტი წლის ბიჭი იქვე მეზობლად სასეირნოდ გავიდა, რა დროსაც ბუჩქებიდან რამდენიმე კაცი გადაუხტა და შეიპყრეს. ისინი მთებიდან ჩამოსული ველური შესახედაობის ახალგაზრდები იყვნენ, რომლებიც ბიჭისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდნენ...

მეორე დღეს მათ მილიონერ მამას ბიჭის ყურის მოჭრილი ნაწილი გაუგზავნეს ნიშნად იმისა, რომ ზავში მათ ჰყავდათ გატაცებული და გამოსასყიდი მოითხოვეს. თან გააფრთხილეს, რომ თუკი ამის შესახებ პოლიციას აცნობებდა, შვილს მოუკლავდნენ.

მამამ გადაწყვიტა, ორმაგი თამაში ეთამაშა. მან მუქარა სერიოზულად არ აღიქვა და იფიქრა, რომ ბანდიტებს ყურის ეს ნაწილი რომელიღაც ცხედრიდან ჰქონდათ აღებული და არა მისი შვილის სხეულიდან. მან გააჭიანურა გამოსასყიდის გადახდა და სასწრაფოდ გაემგზავრა ბათუმში, რათა კომენდანტი ენახა და პოლიციაში საჩივარი შეეტანა. საბოლოოდ, კაზაკთა ჯგუფს ებრძანა, ბიჭის სამეზობლად ახლომახლო სოფლებში წასულიყვნენ... მათ იპოვეს ბანდიტთა სამალავი ადგილი... მაგრამ იქ სულიერის ჭაჭანებაც კი არ იყო. მხოლოდ ბიჭი იწვა ყელგამოჭრილი; მის ტანსაცმელთან კი ქაღალდი ეგდო, რომელზეც ეწერა, რომ ეს იყო შურისძიება ბიჭის მამის ორმაგი თამაშის გამო“ *[Roberts, 1922: 133-136]*.

აჭარასა და ბათუმში იმხანად არსებული სიტუაციის აღწერის გარდა, წიგნში ასევე ძალზე საინტერესოდ არიან დახასიათებული უმუშაოდ კარლ რობერტსის ირგვლივ მყოფი ადამიანები. ბრიტანელი მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ამ ადამიანთა პიროვნულ ხასიათებზე ამახვილებს, არა-

მედ მათი ეროვნული იდენტობის მახასიათებლებზეც გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას. ამ კუთხით მეტად გულსატკენ და პრინციპულად მცდარ შეფასებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ავტორი ქართველებს ზარმაც და განცხრომისმოყვარე ხალხად მიიჩნევს. ეს მოსაზრება მას წიგნის არაერთ ეპიზოდში აქვს გამოთქმული. მაგალითად, აი, რას წერს იგი ქართული ოჯახის შესახებ:

„რამდენიმე თვის შემდეგ მე გავიცანი მეზობელი პლანტაციის ქართველი ზედამხედველი. ის იყო ზნეობრივი პრინციპების დამცველი, თუმცა უდარდელი და უქნარა ადამიანი... თქვენ ვერასოდეს ნახავდით მის მაღალ ფიგურას მანდარინის ბუჩქებში გვიანობამდე; ამ საქმეს მას ერჩია ჩვენი ერთ-ერთი ცხენი ენათხოვრებინა და უუნაგიროდ სამი მილი გაევილო, რათა მეგობრებთან ერთად დუქანში გვიანობამდე ესვა და ეჭორავა...“

მისი ცოლი მუქთმიანი, შავთვალეა ქალი იყო, ქართველი გლეხისათვის დამახასიათებელი სილამაზით, ასევე ძალზე შრომისმოყვარე და კარგი დიასახლისი. იგი მთელ დროს შვილებთან ატარებდა, მუშაობდა, ან თავისი ქოხის ჩრდილქვეშ ეძინა. მისი მოთმინებისა და კარგი ბუნების გამო მან სამეზობლოში ყველას, როგორც ქართველების, ისე რუსების, დიდი პატივისცემა დაიმსახურა.

ერთ დღეს სამსონი, სწორედ ასე ერქვა მას, ხველებისგან ძალიან ავად გახდა და რაც თანდათანობით უფრო და უფრო მძიმდებოდა. მისი მეუღლე მას, მართალია, ხველების საწინააღმდეგო წამალს კი აძლევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მდგომარეობა სადამომდე კიდევ უფრო დამძიმდა. რუსი ქალბატონი, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობდა ადგილობრივებში, მის საშველად გამოემართა, თუმცა სამსონი მის მოსვლამდე გარდაიცვალა. მოყვარულმა ექიმმა სამსონის მეუღლის მიერ გადაგებული და წამლისგან თითქმის ბოლომდე დაცლილი ბოთლი აიღო; იფიქრა, მასში ჩარჩენილი წამალი იქნებ სხვა პაციენტისთვის გამომადგესო... შემდეგ რამდენიმე წვეთი შაქრის ნატეხზე დააწვეთა და ძალს მიაწოდა; ძალმა შაქარი ალოკა, ყმული დაიწყო და უსულოდ დაეცა ძირს“ *[Roberts, 1922: 136-137]*.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კარლ რობერტსი გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა აჭარაში. აქედან გამომდინარე, წიგნში საკმაოდ ბევრი მოგონებაა იმდროინდელი მის ცხოვრებიდან. ძალიან კარგი მოგონებები არის შემონახული მისი უშუალო კომპანიონის – მებაღე ჰუსეინის შესახებ, რომელიც, მუსლიმი ქართველი ყოფილა. ზემოხსენებული პიროვნების თანმხლებად აყვანის მთავარი ფაქტორი, ბრიტანელი მწერლის გადმოცემით, მისი ფიზიკური სიძლიერე ყოფილა. უფრო მეტიც, კარლ რობერტსი მას მთელს აჭარაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ მამაკაცად მოიხსენიებს.

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მიერ 1914 წლის 19 ივლისს გამოცემული ბრძანებით, იმპერიის მთელს ტერიტორიაზე დაწესებულ იქნა აკრძალვა ალკოჰოლური სასმელების გაყიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული შეზღუდვის შედეგად საიმპერიო ხელისუფლებას სურდა თავიდან აეცილებინა პირველი მსოფლიო ომის შედეგად ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით რთული ვითარება იყო სამხედრო შენაერთებში.

აღნიშნულ ფაქტზე აქ იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ კარლ რობერტსის ხსენებულ წიგნში ამ კონკრეტული სიტუაციის შესახებაც არის ერთი ფაქტი მოთხრობილი. ბრიტანელი მწერლის აზრით, ალკოჰოლურ სასმელებზე რუსეთის იმპერიაში დაწესებულ შეზღუდვებს ეფექტური შედეგები ნაკლებად გამოუღია, რის

დასტურადაც მას კავკასიაში ღვინის კონტრაბანდასთან დაკავშირებით იმჟამად არსებული სიტუაცია მოჰყავდა. კერძოდ, აი, რას ჰყვება თავად ის ამასთან დაკავშირებით:

„მოგზაურობის დროს ჩემი უშუალო კომპანიონი მეზადე ჰუსეინი იყო. იგი მაღალი, ახალგაზრდა მაჰმადიანი ქართველი იყო, ძალიან ლამაზი პირისახითა და აღნაგობით. რადგანაც ის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამაკაცი იყო პროვინციაში, მას ყველა იმ სამუშაოს შესრულება შეეძლო პლანტაციაში, რომელთა გაკეთებაც მისი თანამომუშავეების შესაძლებლობებს აღემატებოდა... ჰუსეინის ერთადერთი ნაკლი, რა თქმა უნდა, მისი კავკასიური სიზარმაცე და ბავშვური სენსიტიურობა გახლდათ...

რკინიგზის სადგურში ჩემი დამეული ექსკურსიების დროს ჰუსეინი თანამგზავრად იმიტომ ავირჩიე, რომ იგი ჩვენს მეზადეებს შორის ყველაზე ძლიერი და ამტანი იყო... ჩვენ სადგურის მოფარებულ ადგილზე ვიმალებოდით, იქ, სადაც საბოლოოდ მატარებელი უნდა გაჩერებულიყო. როდესაც ვაგონი პლატფორმის პირას ჩამოვდგა, ჰუსეინის დაკუნთული მხრების უკან რამდენიმე წამში უცნაური მოყვანილობის ყუთი გამოჩნდა. იგი გაბერილი ცხოველისმაგვარი გახლდათ. მას თავი და ფეხები მოჭრილი ჰქონდა. ეს იყო ტიკი, რომელიც სავსე იყო საუკეთესო კავკასიური ღვინით.

კავკასიაში ღვინო კონტრაბანდულ საქონლად ომის (იგულისხმება I მსოფლიო ომი – ო. ნ.) დაწყებისთანავე იქცა, მაშინ როდესაც რუსეთის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე ყველა სახის ძლიერი სასმელის გაყიდვა იქნა აკრძალული. თუმცა მოსალოდნელი არ იყო, რომ ღვინის ისეთი მწარმოებელი და მომხმარებელი ქვეყანა, როგორც კავკასიაა, ამ აკრძალვას დაემორჩილებოდა. ვაზი ჩვენს პლანტაციებში ჯერ კიდევ იმდენად ახალგაზრდა იყო, რომ მისგან კარგი ღვინის დაყენებას ვერ შევძლებდით, ამიტომ სხვაგან გადავწყვიტეთ მისი შოვნა“ *[Roberts, 1922: 138-140]*.

კარლ რობერტსის ხსენებულ წიგნში ასევე უაღრესად საინტერესო და ნიშანდობლივი შეფასებაა გაკეთებული კავკასიაში მყოფ რუს ჟანდარმთა მიმართ. ავტორი მათ მთელს იმპერიაში ყველაზე უგუნურ ადამიანებად მოიხსენიებს, რომელთაც სრულიად უბრალო მიზეზითაც კი შეეძლოთ ადამიანის დაკავება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსგავსი წარმოდგენა ბრიტანელ მწერალს არა სხვისი მონათხრობის შემდეგ შექმნია რუსულ პოლიციაზე, არამედ იგი თავადაც გამხდარა მათი მხრიდან მსგავსი დამოკიდებულების, მაგალითად:

„რაც შეეხება რუს ჟანდარმებს, ისინი არასოდეს ყოფილან გონიერები. როგორც ჩანს, მთელს იმპერიაში მათგან ყველაზე უგუნურებს კავკასიაში უშვებენ. ერთი სულელი ჟანდარმი იყო მეზობლად მდებარე რკინიგზის სადგურში. ერთ დღესაც იქ მომიწია მისვლა მატარებლის დასახვედრად. ჩაცმული ჩვეულებრივ ფორმაში ვიყავი, საშინაო შარვლით, ტენისის სპორტული მაისურითა და მეზადის მაღალი კონუსისებური ქუდით, რომელშიც ჩალის დიდი ღერო იყო ჩარჭობილი...

უცრად ჟანდარმის ხმა შემომესმა... მან აკაპიწებულ სახელოებზე მიმითითა და განმიცხადა, რომ უნდა დავეკავებინე არასათანადო ჩაცმულობისთვის... საბედნიეროდ, მაშინ როდესაც იგი ჩემს ბრალეულობას მიმეორებდა, ბათუმიდან მატარებელი ჩამოვიდა და იქ მყოფმა ერთმა მეგობრულად განწყობილმა რუსმა გენერალმა ამ ჟანდარმისგან მიხსნა. მეორე დღეს ბათუმში წავედი, რათა ჟანდარმთა მეთაურთან ჩემს ირგვლივ მომხდარი ფაქტი გამეპროტესტებინა. მაგრამ, ჰოი საოცრებავ! ჟანდარმს გამბედაობა მოუკრებია და შეუდგენია პატაკი, რომელშიც იგი დასძენდა, რომ ჩემი დაკავება ჯაშუშობის ეჭვის საფუძველზე უნდოდა! ჟანდარმთა მეთაურის

თქმით, იგი აუცილებლად დასჯიდა მის ქვეშევრდომს იმისათვის, რომ მან დაუყოვნებლივ არ დამაკავა. ამასთანავე, დაამატა, რომ შემდეგი ნაბიჯი აუცილებლად იქნებოდა ჩემი საცხოვრებელი სახლის გადაუდებელი ჩხრეკა შესაბამისი მამხილებელი დოკუმენტაციის აღმოჩენის მიზნით“ *[Roberts, 1922: 140-142]*.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კარლ რობერტსი წიგნში არაერთგზის უსვამს ხაზს ბათუმისა და ზოგადად მთელი აჭარის მოსახლეობის მრავალეროვნულობას. ამ კუთხით, ბრიტანელ ავტორს ძალზე საინტერესოდ აქვს დახასიათებული ზემოთქმულ რეგიონში ცხოვრების დროინდელი მისი სამეზობლო. ავტორისეულ ნაამბობს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ის გარემოება, რომ კარლ რობერტსი კონკრეტული პიროვნების დახასიათების დროს მის წარმომავლობაზე, პროფესიასა და ცხოვრების ძირითად ასპექტებზე ამახვილებს ყურადღებას. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მწერალი წიგნში კონკრეტულად არცერთი პიროვნების ვინაობას არ ასახელებს. მაგალითად:

„ჩვენი პლანტაციის უშუალო მეზობლები ძალზე საინტერესო ადამიანები იყვნენ. ერთი მათგანი გახლდათ რევოლუციონერი, რომელმაც 1905 წელს წითელი დროშა აღმართა თურქესტანში, იმ სამთავრობო ფაბრიკის თავზე, რომლის ხელმძღვანელიც თავად გახლდათ. ამის გამო იგი ბათუმში გადაასახლეს. მეორე მეზობელი შუა ხნის ქალბატონი იყო, რომელმაც ქმარი მიატოვა და ახლა თავის მიწაზე ცხოვრობს უფრო ახალგაზრდა, თუმცა შეუხედავ, გადამდგარ მაიორთან ერთად. ჩემი მიხვედრითა და ბევრის აზრით, რუსეთი ყველაზე შემწყნარებელ ქვეყნად მიიჩნეოდა სოციალური ერეტიკოსების მიმართ, თუმცა ჩვენი მეზობლები მეტნაკლებად მაინც რეპრესირებული ადამიანები იყვნენ. გარდა ამისა, სხვადასხვა მიმართულებით, ჩვენ კიდევ შვიდი გენერლის გარემოცვაში ვიყავით მოქცეულნი!..

ჩვენი კიდევ ერთი მეზობელი პროფესორი იყო. იგი ნახევრად ქართველი იყო, რომელიც უარს ამბობდა თავის რუსულ წარმოშობაზე და წინა პლანზე მის ქართულ სიამაყეს აყენებდა. მან არაერთი ლეგენდა მიაგმო იმპერატორიკა თამარზე, რომელიც ქართველების ელიზაბეტს წარმოადგენდა“ *[Roberts, 1922: 142-143]*.

მოკლედ, ასეთია ის მოსაზრებანი და შეფასებები, რომელთაც კარლ რობერტსის წიგნში ვხვდებით როგორც ბათუმში, ისე ფაქტობრივად მთელს აჭარაში, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის პირველ მეოთხედში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ავტორის მიერ გამოთქმული არაერთი მცდარი და რეალურ საფუძველს მოკლებული მოსაზრების მიუხედავად, ბრიტანელი მწერლის ნაშრომი მაინც შეიძლება შეფასდეს ერთ-ერთ საგულისხმო მასალად შესაბამისი პერიოდის საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

#### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**Roberts, 1922:** – Roberts C. E. B., «A wanderer's log: being some memories of travel in India, the Far East, Russia, the Mediterranean & elsewhere», London, 1922.  
<https://modjournal.org/biography/bechhofer-roberts-carl-erich-1894-1949/>  
<https://ggurdjiev.com/>



**Carl Eric Bechhofer Roberts and Batumi**

Abstract

One of the of the most important parts of the history of Batumi and Adjara in general is the period of the Democratic Republic of Georgia. Batumi, as one of the main ports on the Black Sea, because of its military and trade-economic importance and geopolitically strategic location, was always under the special attention of the hegemonic states of the world. Due to all the above, along with Georgian, there are a number of highly interesting historical sources about Batumi and Adjara, which further enrich the history of the above mentioned city and region, as well as the relevant period of our country in general.

One of such sources of foreign origin is the book "*A Wanderer's Log: Being Some Memories of Travel in India, the Far East, Russia, the Mediterranean & Elsewhere,*" by a British lawyer, journalist, and writer Carl Eric Bechhofer Roberts. The above-mentioned book was published in 1922 in London. It focuses on many interesting issues from the time of the Democratic Republic of Georgia, including the British presence in Batumi and its impressions at the time.

It is noteworthy that Carl Roberts paid special attention to Russia and the Caucasus region, as evidenced by the fact that in addition to the above-mentioned book, he has published several other works devoted to these issues. In 1919, he personally visited our country.

## სალიტერატურო ენის გამოყენების არასახარბილო რეალობა პრაქტიკაში (ბათუმის მაგალითზე)

**აბსტრაქტი:** ქართული ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ენაა მსოფლიო ენათა შორის. წინაპრებმა დიდი სისხლისა და შრომის ფასად მოიტანეს ჩვენამდე ქართული ენის სიღრმე, მაგრამ დღეს მუდმივად ვაწყდებით ქართული სალიტერატურო ენის ნორმების უგულვებელყოფის, ენის დამახინჯების, მეტყველებაში დიალექტიზმების დამკვიდრების და სხვა არასასურველ შემთხვევებს. ეს თავს იჩენს როგორც ბათუმელთა მეტყველებაში, ისე ბეჭდურ მედიასა თუ რადიო-ტელეგადაცემებში, წარწერებში, ბილბორდებზე. მოხსენებაში განხილულია გრამატიკულ და სინტაქსურ დარღვევათა, თუ დიალექტიზმთა გამოყენების ნიმუშები.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენის ნორმები, მეტყველების და წერის კულტურა, დიალექტიზმები, გრამატიკული და სინტაქსური დარღვევები.

**Key words:** Norms of the Georgian language, Culture of Speech and Writing, Dialectisms, Grammatical and Syntactic Disorders.

\*\*\*

ქართველები თავს ვიწონებთ, რომ ქართული ერთ-ერთი უძველესი ენაა მსოფლიო ენათა შორის. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა, მაგრამ დღეს, გლობალიზაციის პირობებში, ქართული სალიტერატურო ენა, ისე, როგორც ტრადიციული კულტურის მრავალი ელემენტი, დიდი გამოწვევების წინაშე დგას, რადგან მკვეთრი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების, ისტორიულ გარდატეხათა ჟამს, სხვა გლობალურ პროცესებთან ერთად, მეტნაკლებად იცვლება ენობრივი გარემო და განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით ბოლო პერიოდის ქართული ენობრივი სინამდვილე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს, რადგანაც ეპოქის ინტენსიურმა განვითარებამ სულ ახალი პრობლემები დააყენა სახელმწიფო ენის წინაშე [არაბული, 2008: 6].

ამ ბოლო წლებში, განსაკუთრებით, პანდემიის პირობებში, როცა მივეჯაჭვეთ ტელე თუ რადიოგადაცემებს, პრესას, მეტი ყურადღება მივაქციეთ დიქტორთა, კორესპონდენტთა თუ რესპოდენტთა მეტყველებას. თუმცე რამოდენა პრობლემის წინაშე ვდგავართ! ამ პრობლემასთან დაკავშირებით მოხსენების მომზადება ერთმა შემთხვევამ გადამაწყვეტინა: წარმოიდგინეთ ერთ-ერთი მრავალსართულიანი სახლი ბათუმში, ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე. სახლის შესასვლელ კართან, მონაღლოდ გაკრულია წარწერა: „ვიდეოთვალი. დაიცავეთ სისუფთავე!“. სახლის ერთ მხარეს აფთიაქი და ბანკია, სახლის წინ – ბავშვთა გასართობი ცენტრი, სახლთან ახლოს – საჯარო სკოლა. სადამდე მივსულვართ! ბათუმში ასეთ წარწერას ვერც კი წარმოვიდგენდი!

თითქოს ყველას გვესმის ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა და დანიშნულება; თითქოს ყველა მშვენივრადაა გათვითცნობიერებული საუკუნეთა

წილიდან მომავალ მის ისტორიაში. მაგრამ ეს აბრა და, ალბათ, ბევრი კიდევ ამგვარი წარწერაც ხომ ფაქტია! რასაკვირველია, ჩნდება კითხვა: რატომ ხდება ასე?!

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში შენიშნავდა დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე მიხეილ ჯავახიშვილი, რომ „ჩვენი დასწრებული ქართული ენა, ფეხზე წამოდგომისა და დაწმენდის მაგიერ, უარესად დაავადდა და ატალახდა... ცოტაოდენი ცოდნა ენის კანონებისა სავალდებულოდ აღარავის მიაჩნია. წიგნის ფურცელი სუსტი ანარეკლია იმ უბადრუკ სურათისა რომელსაც ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით დღევანდელ ოჯახში, ქუჩაში და დაწესებულებებში“ *[ჯავახიშვილი, 2019: 34]*. ეს სატკივარი დღესაც აწუხებს ქართულ საზოგადოებას. ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროებს რომ არ შევეხოთ, ვნახოთ რა ხდება განათლებისა და კულტურის სფეროში.

მაგონდება, სკოლებში, სასწავლებლებში, ინსტრუქტებში ერთმანეთის გვერდით ვსწავლობდით საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები, ოჯახებში სხვადასხვა დიალექტზე მოსაუბრე ახალგაზრდები. ასეა ახლაც! მაგრამ მაშინ სისხლხორცში გვექონდა გამჯდარი სალიტერატურო ენაზე საუბარი, სწავლა, წერა. ყველას გვიყვარდა ჩვენი მშობლიური კუთხე, მაგრამ გვეთაკილებოდა სალიტერატურო ენის არცოდნა, დამახინჯება, რაც პიროვნების გაუნათლებლობაზე მიუთითებდა. სასწავლებლები, მუზეუმები, თეატრები თუ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებები ორიენტირებული იყო სალიტერატურო ენის მაღალ დონეზე სწავლებასა და „გამოყენებაზე“. მწერლობაც ამ იდეით იყო გამსჭვალული და საზოგადოებაც თავს მოვალედ თვლიდა, დაეცვა მშობლიური ენის სიწმინდე.

ქართულ ენას, ათასწლეულების მანძილზე, ბევრი ცვლილება განუცდია. იგი ბევრჯერ ყოფილა კრიზისულ მდგომარეობაში, მაგრამ ქართველ მამულიშვილთა, ეროვნულ მოღვაწეთა ძალისხმევით, სახელმწიფოს ხელშეწყობით, ხშირად დაუძლევი გასაჭირი და შეუწახავს თავისთავადობა. საქართველოში ბოლო ათწლეულებში არსებულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა თუ კულტურულმა ვითარებამ ხელი შეუწყო ურბანიზაციის პროცესების განვითარებას. ურბანიზაციის პირობებში, სხვა ვითარებებთან ერთად, თავი იჩინა ენის კრიზისმაც. როგორც საქართველოს სხვა ქალაქებში, ბათუმშიც, შიგამიგრაციული პროცესების გამო, თავი მოიყარა სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა მოსახლეობამ. მათ თან მოიტანეს თავიანთი კუთხეების, თავიანთი საქმიანობის ამსახველი ლექსიკა. ამას ემატება სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლებაში არსებული ხარვეზები, უკონტროლობა ბეჭდვით თუ მასმედიაზე... და უკვე იგრძნობა კრიზისი ბათუმელთა მეტყველებაში: მომძლავრდა ენობრივი კანონების უგულვებელყოფით მიღებული ფორმები და დიალექტიზმები. ბეჭდურ მედიასა და რადიო თუ ტელეგადაცემებში ხშირად გვხვდება: სიტყვათა უადგილოდ ხმარების, ბრუნვებში სიტყვათა არასწორად ჩასმის მაგალითები; არსებით სახელთა, ნაცვალსახელთა, ზმნათა და ზმნიზედათა არამართებული ფორმებით გამოყენება; ხშირად დარღვეულია სიტყვათა შეთანხმების, წინადადებაში სიტყვათა მიმდევრობის წესები და სხვა მრავალი. ამჟამად არ დავასახელებთ კონკრეტულ პირველწყროებს, მაგრამ გაგაცნობთ გრამატიკულ და სინტაქსურ დარღვევათა, თუ დიალექტიზმთა გამოყენების ნიმუშებს:

- მიკრობმა შეიჭრა
- გზას გავეწმენდავთ

- ახალგაზრდებმა არ დათანხმდნენ და არ გამორთეს მუსიკა
- გავრცელდა პრეზიდენტის განცხადება, სადაც საუბარია ამნისტიაზე
- თავს იკავებენ სახლში საკვების გაკეთებიდან
- ყველა საქართველოს მოქალაქე
- გაახილონ თვალები, გამოვიდნენ ხალხმა
- ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები უნდა გადაწყდეს
- ბევრნაირი პრეტენზიებია ცესკოსადმი
- ყველაფერს წყვეტს რამოდენიმე პიროვნება
- მალე შენსკენ გამოიხედებიან სხვები
- ჩემს ოლეგს დავუსმევ ახლა ორ შეკითხვას
- დმანისში არავინ არ დაუკავებიათ
- დავიცავოთ ქალები ძალადობისგან
- უნდა შემოწმდეს ვაქცინაციის შენახვის პირობები
- ცენტრალური ხელისუფლება უნდა ერეოდეს იმ შემთხვევაში, სადაც ადგილობრივ თვითმმართველობას არ შეუძლია ადმინისტრირების განხორციელება
- ხსოვნა იმ ადამიანისა, რომელთან ერთადაც მას ეს საქმიანობა აერთიანებდა
- შევეცადე, ჩამექსოვებინა ჩემი აზრები
- ჩემს მიერ დაწერილი სტრიქონები
- ჩვენს მიერ ცვლილებები უნდა შევიდეს კანონპროექტში
- უკავშირდება სხვადასხვა ღონისძიებებს
- კიდევ ერთ ნაბიჯს დგავს ევროსტრუქტურებისკენ
- არ უნდა გამოგვეპაროს, ესე ვთქვათ, მნიშვნელოვანი ფაქტორი
- მინდა აღვნიშნო მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ კონკურსში
- დღის წესრიგში დადგებოდა რამდენიმე პუნქტი
- მოქალაქეები, რომლებიც ფაიზერით აცრას ელოდნენ, ბოლოს მაინც აუცრელი დარჩა.
- ყველამ ჩავერთოთ ვაქცინაციის პროცესში

ვგონებ, საკმარისია! ყოველივე ამას ემატება ქ. ბათუმის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დაწესებულებებში, სასწავლებლების ეზოებსა თუ აუდიტორიებში ყურმოკრული, დიალექტიზმებით გაჯერებული ფრაზები:

- მე ვფიქრობ, კაი ფესტივალია და მევიგებთ!
- რაცხა დღეს ციციწომ არ დიმირეკა
- რას დემეკარქე, გამოგვიარე ხანდროს!
- რას ჯდახარ, წამოი.
- ჩქარა ამოი, კარი მიემრება
- მთელი დღე ასე ზიან, ცავენ, არ გაგვეპაროსო
- მოდის და მეზნევა, დატიე და წევდეთო.
- მაგის მამამისი მაგარი ბიზმესმენია
- არ მითხრას რამეო, მოშპა და გეიქცა
- ერთმა ქალმა მოიტანა და არ ავართვი

ყურადსადები და საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ჩვენს თანაქალაქელთა, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მეტყველებაში, თანდათან იკიდებს ფეხს სალიტერატურა-

ტურო ქართულისათვის ჯერჯერობით უცხო ლექსიკური ერთეულები და გამონათქვამები, კალკები, ჟარგონები. მაგალითად:

- ✓ სანამ ერთს დავინახავდი, მეორეც გაიჩითა
- ✓ ოოოოო! ახლა კი დაგვერხა
- ✓ არ მეგონა თუ გამიკეთებდა და მაგრად გამისწორდა
- ✓ შეხედა საქმე ფუჭდებაო და დატყდა
- ✓ მომეწონა, მაგრად დამეგვასა!
- ✓ ამან უცებ მოტვინა და ჩქარა აითესა!
- ✓ გამძრა-გამომძრა და ორი ბილეთი დეიდა!
- ✓ სწრაფად დაახვია იქიდან
- ✓ უპასუხე ჩქარა, აგიფეთქა ტელეფონი
- ✓ არ დამინახოს ვინმემო, პლეტი მოხია
- ✓ აგხსნი კრიშკა ბლოკს!
- ✓ ნუ ამირიე რამსები! ....და სხვ.

რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება ეს „ნეოლოგიზმები“ და ბარბარიზმები, მომავალი დავგანახებს, მაგრამ ცხადია, ბათუმის საზოგადოების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით კი ბათუმელ ახალგაზრდებს წიგნიერება აკლიათ. უკვე გადაჭარბებული თავისუფლება შეინიშნება მეტყველებაში. სამწუხაროა, რომ თანდათან იკარგება მოთხოვნილება ქართული, დარბაისლური, როგორც ხალხში ამბობდნენ, „ღრმა ქართულით საუბრისა“!

ეროვნულ მონაპოვართა შორის ენა ხომ უმთავრესია?! ხოლო ენის დაცვა, დახვეწა და განვითარება უწინარეს პირობად გულისხმობს მართებული ენობრივი პოლიტიკის საფუძველზე ახალგაზრდობის, მომავალი თაობის აღზრდას [ჯორბენაძე, 1997: 200].

ხომ არ გვმართებს დაფიქრება, მეტი ყურადღებით, მეტი სიყვარულით ვიზრუნოთ მშობლიური სალიტერატურო ენის ბედზე? ხომ არ დადგა დრო, გულდასმით გადავხედოთ ეროვნულ პოლიტიკას ამ საკითხში და ვიზრუნოთ ახალგაზრდობის მეტყველებისა და წერის კულტურის სწავლების გააქტიურებაზე, სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე? ამ სატკივარს სახელმწიფომ უნდა მიხედოს, რომ შემდეგ არ გვისაყვედურონ:

„გარეთ რა გინდა ქართველო, სახლში ხარ გადასარჩენი!“.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**არაბული, 2008:** – არაბული ა., „ქართული მეტყველების კულტურა“, თბილისი, 2008.

**ჯორბენაძე, 1997:** – ჯორბენაძე ბ., „ენა და კულტურა“, თბილისი, 1997.

**ჯავახიშვილი, 2019:** – ჯავახიშვილი მ., „ისევ ქართული ენის შესახებ“, ესეები და წერილები; ინტერნეტ-მისამართი: <https://saba.com.ge/books/details/2456>, 2019.

Nanuli Nogaideli (Batumi, Georgia)

**Unfavorable Reality of Using Literary Language in Practice  
(on the Example of Batumi)**

Abstract

Georgian language is one of the oldest and richest languages in the world. Our ancestors preserved the Georgian language at the cost of great blood and labor, but today we constantly encounter cases of destroying the norms of the Georgian literary language and establishment of dialectisms in speech and other undesirable cases. This can be seen in the speech of the people of Batumi, as well as in the print media or radio, television programs and billboards. The report discusses examples of grammatical and syntactic disorders and the use of dialectics.

## ქობულეთელთა როლი ბათუმისათვის ბრძოლაში 1877-1878 რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს

**აბსტრაქტი:** ნაშრომში ქობულეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა მოგონებებისა და სათანადო ისტორიული წყაროების მოშველიებით, მოცემულია რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის დროს ქობულეთელთა მიერ შესრულებული როლის შეფასება ბათუმისათვის ბრძოლაში. ნათქვამია, რომ ქობულეთელებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს აჭარის დედასამშობლო საქართველოსთან დაბრუნების საქმეში. ამასთან, იმ პერიოდის რუსი სამხედრო ისტორიკოსების ალ. ფრენკელის, ვ. არუთინოვის, ბ. კოლიუბაკინის, ქართველი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის ნაშრომებიდან მიღებული მასალების მიხედვით ყურადღება გამახვილებულია არა მარტო ქობულეთელთა წარმოშობასა და მათ ახლო ნათესაურ კავშირზე გურიასთან და გურულებთან, არამედ და ამასთან ერთად, მათ მიერ შესრულებულ როლზე, რუსეთ-თურქეთის აღნიშნულ ომში ბათუმზე შეტევის შესამზადებლად, ციხისძირისათვის ბრძოლის დროს, როდესაც, ძირითადად მათ მიერ მოგერიებულ იქნა აღნიშნულ ციხე-სიმაგრეზე რუსების ორი გააფთრებული იერიში და ისინი მუხაესტატეს სიმაღლეებისაკენ იქნენ უკუგდებულნი. ნათქვამია, რომ ბერლინის ტრაქტატით ბათუმის მხარის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორთან არსებულ მმართველ მეჯლისში ქობულეთიდან შეიყვანეს 4 (ოთხი) პიროვნება - დედე-ალა ნიჟარაძე (სოფ. ალამბარი), რემტი ბაჯელიძე (სოფ. ხუცუბანი), კარხიმან მყავანაძე და ხუსეინ ბაუყაძე, (ორივე სოფ. ზენითიდან).

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმისათვის ბრძოლა, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი, ციხისძირის ბრძოლა, ბერლინის ტრაქტატი, მმართველი მეჯლისი.

**Key words:** The Battle for Batumi, the Russian-Ottoman War of 1877-1878, the Battle of Tsikhisdziri, the Treaty of Berlin, The Mejlisi.

\*\*\*

ვფიქრობთ, რომ თქმულება-გადმოცემები ხალხის ხსოვნაში დაღეძილი სულიერი პრიორიტეტების და აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი მახასიათებელია ამა თუ იმ ხალხის სულიერი რაობის გასარკვევად. იგი ჭეშმარიტი მაჩვენებელია ამ ხალხის ოცნებათა და მისწრაფებათა მიმართულებისა, ასახავს მის რეალურ შინაგან განწყობილებას და აქედან გამომდინარე, გავლენას ახდენს, როგორც ერის გარეგნულ ჰაბიტუსზე, ისე მისი უმნიშვნელოვანესი თვისებების ჩამოყალიბებაზე.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა ქობულეთელთა ხსოვნაში შემონახული თქმულება-გადმოცემანი, რომლებიც აქ მოვისმინე: პირველია, სოფელ ზენითელი ანზორ ქათამაძის მიერ მოთხრობილი ამბავი, რომელიც მას, თავის მხრივ, მისი წინაპრისაგან, მურად კომახიძისაგან მოუსმენია. მასში ნათქვამია, რომ როდესაც რუსეთის ჯარი ქობულეთის მხარეში შემოიჭრა და ბათუმისაკენ გზის გასახსნელად ციხისძირის ასაღებად გააფთრებული ბრძოლები დაიწყო, სოფელ ზენითისა და მახლობელი მიდამოების მაცმადიანი მამაკაცების მნიშვნელოვანი ნაწილი,

მაშინდელი რუსეთ-ოსმალეთის საზღვრისაკენ „მტერთან“ საბრძოლველად დაიდრა. მაგრამ, სულ ცოტა ხანში, როდესაც ცხადი გახდა და ამ მხარის დედა-სამშობლო საქართველოსთან დაბრუნების რეალური შესაძლებლობა გამოიკვეთა, ისინი ერთ-ერთი ზენითელი კომახიდის მეთაურობით, უკვე ოსმალთა წინააღმდეგ გამოვიდნენ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მათთან გამართულ ბრძოლებში. ბატონი ანზორ ქათამაძის აზრით, სწორედ ქობულეთელებმა შეასრულეს გადამწყვეტი როლი ამ რეგიონის სამშობლოს წიაღში დაბრუნებისათვის ბრძოლაში *[ქათამაძე, 2018]*.

ასევე ზენითელი, 90 წელს მიღწეული ჯევდეთ ქათამაძეც დიდი სიამაყით იგონებს მისი წინაპრების მიერ გადმოცემულ ამბავს, რომ ოსმალთა მფლობელობის პერიოდში ზენითელების რძალმა, აიშე მიქელაძემ, რომელიც ერთ-ერთი აქაური ბაუჟადის ცოლი ყოფილა, სოფელ ზენითში ხარკისა და გადასახადების ასაკრეფად შემოსული ოსმალები ცოცხით გადადენა. „იმისთანა „ფინთი“ ქალი იყო, სოფლის ბოლომდე მისდია გაკვირვებულ თურქებსო“ *[ოქროპირიძე, 2017: 263-269]*.

რუსი სამხედრო კორესპონდენტი ალ. ფრენკელი, საუბრობს რა ბათუმის ოლქსა და მის მცხოვრებლებზე, ამბობს: ბათუმის ოლქი თურქების დროს დანაწილებული იყო 7 მხარედ, ანუ ნაჰიედ: ბათუმის, ჩურუქ-სუს (ქობულეთის), ზემო-აჭარის, ქვემო-აჭარის, მაჭახლის, ლივანის (ართვინის) და გონიოს... *[Френкель, 1879: 4]*, შემდეგ კი მის მცხოვრებთა შესახებ აღნიშნავს: „აქ საჭიროა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ბათუმის ოლქის მცხოვრებლებზე და რა თქმა უნდა, მისი ნაჰიების მოსახლეობაზე: **ჩურუქ-სუსა და ბათუმისა**. გაზეთებში ბევრი ლაპარაკი იყო ლაზების აჯანყების შესახებ, ავტონომიაზე, რომელსაც თითქოსდა ლაზები მოითხოვენ; გარდა ამისა, ამ ადგილებში, სადაც თითქოს მოსალოდნელი იყო წინააღმდეგობა ადგილობრივ მცხოვრებთა მხრიდან, „არავითარი ლაზები არ არსებობენ!“ მთელ მხარეში, რომელიც რუსეთს გადაეცა ამ ომის შემდეგ, შეიძლება დათვალო რამდენიმე ასეული ლაზი, რომლებიც ცხოვრობენ ჭოროხის გადაღმა. **დანარჩენი მოსახლეობა შედგება ქობულეთელებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ ჩურუქ-სუსა და ბათუმის კაზებში**, აჭარლების, რომლებიც ცხოვრობენ აჭარაში, შავშეთში და ა. შ. და გონიოსა და სხვა კაზებში მცხოვრები მცირერიცხოვანი ლაზებისაგან, ... **რაც შეეხება ბათუმის მაზრის, ანუ კაზის მცხოვრებლებს, ე. ი. ბათუმისა და ჩურუქ-სუს ნაჰიებს, ის მთლიანად დასახლებულია ქობულეთელებით, რომლებიც სხვა არავინ არიან, თუ არა გურული წარმოშობის ქართველები**. ამასთან, ამავე კაზაში ვხვდებით მცირე რაოდენობით სომხებს, ბერძნებს, ჩერქეზებს, უფრო კიდევ მცირერიცხოვან ქურთებს და ყველაზე ნაკლებად თავად ლაზებს“ *[იქვე: 8]*.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ციხისძირთან ბრძოლებში ქობულეთელთა მიერ შესრულებული როლის შესახებ რამდენიმე სიტყვა ჩვენს მიერ ზემოთ-მოყვანილ ზენითელთა მოგონებებში ითქვა, მაგრამ მისი სრული სურათის წარმოსაჩენად საჭიროდ ვცანით ამის შესახებ თვით ამ ბრძოლების მონაწილე, თუ მათი აღმწერი რუსი ავტორების მოსაზრებათა მკითხველისათვის ფართოდ გაცნობა, რათა მან თავად გამოიტანოს სათანადო დასკვნები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის არმიის ოფიცრების ფ. არუთინოვის *[Арутюнов, 1898]* და ბ. კოლიუბაკინის *[Коллюбакин, 1906]* ნაშრომები.

ფ. არუთინოვის ნაშრომში ვკითხულობთ: „ბათუმი, რომელიც შეადგენდა ჩვენი რაზმის სამიზნეს, მდებარეობს საზღვრიდან 50 ვერსზე (50 კმ-ზე მეტი – უ. ო.), მაგრამ ეს უმნიშვნელო მანძილი, როგორც აღმოჩნდა, იქ მდებარე უღრანი ტყეებითა



და ჩვენდამი მტრულად განწყობილი მოსახლეობით იყო სავსე... ქობულეთელებს უნდა ეთამაშათ მათი (ოსმალთა – უ. ო.) მოწინავე ძალების როლი, ჩვენი რაც შეიძლება დასუსტების მიზნით, იმდენად, რომ იერიში ვერ მიგვეტანა ციხისძირზე“ *[Арутюнов, 1898: 347-348]*.

„გაიცა თუ არა ბრძანება (1877 წლის აპრილი 12 აპრილი), გაისმა რამდენიმე თოფის ზალპი: **ქობულეთელებმა, როგორც ჩანს, საფარიდან მოკლეს ერთი და დაჭრეს მეორე მხედარი** ქუთაისის ცხენოსანთა რეგულარული პოლკიდან, რომლებიც დასაზვერავად წინ იყვნენ გაგზავნილნი... ავანგარდს ევალებოდა **ქობულეთელების გაყრა ლელვას სიმაღლეებიდან**, მუხაესტატესაკენ გაჭრა და ამ გამაგრებული პუნქტის დაკავება... ხეებს ამოფარებული **ქობულეთელები ისროდნენ საშინელი სისწრაფით მჭიდრანი თუ სხვა სწრაფ დამტენი იარაღიდან** (ქობულეთელები შეიარაღებული იყვნენ სნაიდერის, ნიბოდის და ვინჩესტერის თოფებით – უ. ო., იქვე, სქოლიოში: 349), რომლებითაც თურქებმა ისინი კარგად მოამარაგეს... ბატალიონი, მესანგრეებთან ერთად, გადავიდა შეტევაზე და **ქობულეთელები გაამევეს ლელვას სიმაღლეებიდან... [იქვე].** გამოიყო პოლკოვნიკ ყაზბეგის მფრინავი კოლონა, რომელსაც **მუხაესტატეს დაკავებისას ურთიერთსროლები ჰქონდათ ქობულეთელებთან...** მათ ხშირად აწუხებდათ **ქობულეთელთა მცირე ჯგუფები...**“ *[იქვე: 350]* „თუმცა, ეს მოძრაობა ასეულთა მიერ შესრულდა მოხერხებულად და სწრაფად, მაგრამ ის შესრულდა **ქობულეთელთა ძლიერი ცეცხლის ქვეშ, ამან გამოიწვია საგრძნობი დანაკარგები... ქობულეთელებმა ვერ გაუძლეს** (შეტევას – უ. ო.), მიატოვეს თავიანთი საკმაოდ კარგად გამაგრებული სიმაგრეები და ხუცუბნის სიმაღლეებს მიაშურეს“ *[იქვე: 352]*.

„29 აპრილამდე (სმხედრო ოპერაციის დაწყებიდან 12 აპრილიდან 29 აპრილამდე (ანუ სრული 17 დღის განმავლობაში – უ. ო.), ჩვენ საქმე გვქონდა მხოლოდ **ქობულეთელებთან... ქობულეთელების რიცხვი, როგორც მზვერავებმა გადმოგვცეს, 4 000-ზე მეტს აღწევდა...** რაზმის მოძრაობის საერთო მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ მდინარე კინტრიშის სიმაღლეების, ე. ი. **სამებისა და ზენითის დაკავებით** ადგილობრივი მოსახლეობა გამოეყოთ თურქების ჯარისაგან, რომელსაც ციხისძირი ეჭირა... ამით ჩვენ **ქობულეთელებს მოვუსპეთ ყოველგვარი საშუალება მიეღოთ რაიმე ღონისძიება ჩვენს წინააღმდეგ, ამასთან ჩვენს მხარეზე გადმოსვლის შემთხვევაში, გავათავისუფლეთ თურქებისაგან მოსალოდნელი შურისგების შიშისაგან.**

მესანგრეები, რომლებიც მდინარე კინტრიშზე ხიდებს აგებდნენ, **მოქცეულნი იყვნენ ქობულეთელთა ქოხებიდან**, მდინარე კინტრიშის მარცხენა ნაპირზე, თუმცა შორეული, მაგრამ მაინც **მომაკვდინებელი ცეცხლის ქვეშ.** მარცხენა ფრთის დაცვის მიზნით, **ქობულეთელებზე ცეცხლის გახსნას, წარმატება არ ჰქონია,** ნაკლები სიზუსტისა და ტყვიების სუსტი დამანგრეველი ძალის გამო, რომელიც ვერ აღწევდა **ქობულეთელთა ქოხების დაფისმაგვარ კედლებში...**“ *[იქვე: 355]*.

„... ჩვენმა მარცხმა ციხისძირთან ძლიერ აამაღლა **ქობულეთელების სულისკვეთება და თავდაჯერებულობა. მათი შეუპოვრობა საოცარი გახდა.** როგორც ჩანს, მათ სურდათ თურქების კეთილგანწყობა მოეპოვებინათ, რომლებიც მზად იყვნენ დაესაჯათ ისინი სულ ახლახან გამოჩენილი ჩვენი ერთგულებისათვის. **ახლა უკვე აღარ არსებობდა ჩვენი ერთგული ერთი ქობულეთელიც კი.** ისინი გვაიძულებდნენ ჩვენ ყოველთვის გვჭეროდა ძლიერი სადარაჯო საგუშაგოები...“ *[იქვე: 361]* და ა. შ. და ა. შ.

ნაშრომში აქაც ხაზგასმულია **სოფლების: ხუცუბნის, ზენითის, კონდიდიდის სიმალეების** სტრატეგიული მნიშვნელობა და დანიშნულება, მაგრამ ამის შესახებ უფრო დაწვრილებით აღნიშნავს სამხედრო ისტორიკოსი, პროფესორი ბ. კოლიუბაკინი, როდესაც ამბობს: „... მეოთხე ხაზი მიემართება მდინარეებს აჭყვასა და კინტრიშს შორის, კრავს და აკონტროლებს რა მთელ გზებს, ბატონობს სანაპირო ზოლზე (იგულისხმება შავი ზღვის სანაპირო ზოლი – უ. ო.) და წარმოქმნის **ხუცუბნის, ზენითისა და კონდიდის ზეგანსა და ტყიან სიმალეებს**, რომელიც წარმოადგენს თვით ბათუმში, თუ იქედან უკან მომავალ გზაზე საომარ მოქმედებათა სისტემის მეორე პოზიციას, მნიშვნელოვნად უფრო ძლიერს, ვიდრე მუხანესტატესია. ეს პოზიციები, აღწერილი კომპანიის დროს, ორჯერ გადავიდა ხელიდან-ხელში, ვიკავებდით და ვიცავდით ხან ჩვენ, ხან თურქები“ *[Колубакин, 1906: 36]*.

სხვათა შორის, ბ. კოლიუბაკინიც აღნიშნავს, რომ „**გზა.. გადიოდა ადგილებზე, რომელიც დასახლებული იყო ძალიან მამაცი და მოყაჩაღო ქობულეთის მოსახლეობით [იქვე: 38]...** და იგი იქვე იმასაც ამბობს: „**ქობულეთის ყველა მცხოვრები სუფთა ქართული წარმოშობისაა და ოდესღაც თავდადებული ქრისტიანებიც იყვნენ**, ახლა კი დაკარგეს რა წინაპართა სარწმუნოება, ერთგული მუსლიმანები არიან. **ქობულეთელებმა სხვა ყველაფერში შეინარჩუნეს თავიანთი ეროვნება, ადათ-წესები, თავისუფლების სიყვარული და სამხედრო საქმისადმი დიდი მისწრაფება“ [იქვე, 38-39]**.

„1877 წელს ქობულეთის მოსახლეობა 9000 სულს ითვლიდა და ძირითადად თავმოყრილი იყო მდინარეების აჭყვასა და კინტრიშის ორივე მხარის ნაპირებზე ფართოდ განსახლებულ საკარმიდამოებში. სოფლებიდან განსაკუთრებით აღსნიშნავია: **ლეღვა, ზემო გვარა, ალამზარი, ზენითი, აჭყვისთავი, სამება, ხუცუბანი, ზედა ქობულეთი, კვირიკე, დაგვა, ციხისძირი, პატარა დაბა ქობულეთი, ანუ ჩურუქ-სუ და სხვა.**

ქობულეთის ცხოვრება მიმდინარეობდა არა სახელმწიფოებრივი გავლენის, არამედ თვითნებობისა და აქ ფესვგადგმული ძველი ველური ადათ-წესების გავლენის ქვეშ. თვით ბუნება, არ უშვებდა რა კულტურის განვითარებას, ხელს უწყობდა მათში ზნეობის ველურობას. უღრანი, გაუვალი ტყეები, რომლებშიც ქობულეთელები ცხოვრობდნენ, უფრო ავითარებდა ვნებებს ადვილი ცხოვრებისაკენ, ვიდრე მუდმივი შრომისაკენ. აქ გამეფებულ ზნეობის ველურობას ქობულეთელი გამოყავდა საუკეთესო მონადირედ და, უფრო საუკეთესო მძარცველად, ზღვისა და საზღვრების სიახლოვემ, მათგან ჩამოაყალიბა მამაცი კონტრაბანდისტები... როგორც ორი საუკუნის უკან, ქობულეთელი დარჩა ველური, მეომარი, მტაცებელი, მკაცრი და ყოველივე უცხო მოძულე, თურქების ჩათვლით, რომელსაც ითმენს მხოლოდ საერთო სარწმუნოების გამო. ადათები, საყვარელი საქმიანობა, მუდმივი საშიშროებით აღსავსე უღრანი ტყეები, მას საშუალებას არ აძლევს, მოიშოროს იარაღი“ – ამბობს ავტორი *[იქვე: 39]*.

როგორც ვნახეთ, დ. ბაქრაძის ნაშრომიდან ჩვენს მიერ აქ მოტანილ მასალაში სოფელი **ზენითი** სოფელ აჭყვისთავის განსახლებად არის წარმოდგენილი, ხოლო პროფესორი ბ. კოლიუბაკინის ზემოთ მოყვანილ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ისტორიაში, **ზენითი** ამ ომის ქობულეთის უბნის განსაკუთრებული სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან სოფლად არის წარმოდგენილი და რამდენიმე მსგავსი დანიშნულების სოფელთან ერთად ცალკეა დასახელებული. ეს, აღნიშნულ ომში, მისი სტრატეგიული დანიშნულებით და აქ გადახდილი ფიცხელი ბრძო-

ლებით უნდა აიხსნას, რომლის დროსაც **ზენითის პოზიციები ხელიდან-ხელში რამდენჯერმე გადასულა**. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ თუმცა ავტორს შეუნიშნავს ქობულეთელებისათვის დამახასიათებელი რამდენიმე შტრიხი – მათი სიმამაცე, სიმკაცრე, მოსული ელემენტისათვის უნდობლობა და სხვა. მაგრამ რევიონში „განმანათლებელი“ მისიის შემოტანაზე პრეტენზიის მქონეს, მათი ველურებად მოხსენიებაც არ ავიწყდება; მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, **ეს ხდება იმიტომ, რომ რუსების „განმანათლებლური მისიისადმი“ ქობულეთელთა სასტიკი წინააღმდეგობა, რომელმაც მათ ციხისძირთან ბრძოლებში კისერი ორჯერ მოატეხინა და დამარცხებული უკუაგდო, რამენაირად გაამართლოს და ქობულეთელებსაც, ამ ფორმით, ანგარიში გაუსწოროს**.

მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ იმ მომენტისათვის, ის მამაცი 4 000 ქობულეთელი, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა, რადგან თუ იმ დროს მათი სიუხერენი ოსმალეთი გაიმარჯვებდა, მათ და მათ ოჯახებს სასტიკი შურისგება და განადგურება ელოდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ ომში ქობულეთ-ჩურუქსუს მფლობელი ბეგები, ოსმან და ალი თავდგირიძეები ოსმალეთის ორიენტაციის ერთგული მსახურები იყვნენ და როგორც უმაღლესი რანგის სამხედრო მეთაურები, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ; თუმცა ცნობილი ფაქტია ისიც, რომ იყვნენ რუსული ორიენტაციის ქობულეთელებიც, რომლებიც ყურშუმ-ალა ჭყონიას მეთაურობით 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ გურიაში გადავიდნენ, სადაც რუსეთის არმიის ნაწილებს შეუერთდნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ საბრძოლო ოპერაციებში.

ბერლინის ტრაქტატით ბათუმის ოლქის რუსეთთან შეერთების შემდეგ, აღნიშნული ოლქის გენერალ-გუბერნატორთან არსებულ მმართველ მეჯლისში ქობულეთიდან წარმოდგენილი ოთხი პიროვნებიდან – დედე-ალა ნიჭარაძე (ალამბარი), რეშტი ბაჯელიძე (ხუცუბანი), კარხიმან მჟავანაძე და ხუსეინ ბაუჟაძე – ეს ორი უკანასკნელი ზენითელი იყო, რის შესახებ ცნობები მოგვაწოდეს რეზო და გელა (ტატო) ბაუჟაძეებმა, იზო და ანზორ (მურკა) მჟავანაძეებმა, ხოლო ფოტოსურათი, რომლებშიც ისინი ბათუმის პირველ გენერალ გუბერნატორ კონსტანტინე კომაროვთან და მასთან არსებული მეჯლისის წევრებთან ერთად არიან დაფიქსირებული, მოგვაწოდეს ისმაილ მჟავანაძის ძველი ოჯახიდან (ნანი გუნთაიშვილი-მჟავანაძისა, ზაზა და გია მჟავანაძეები).

### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

- ქათამაძე, 2018:** – ქათამაძე ა., „მოგონებები“, 2018 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბსუ ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კომლექსური ექსპედიციის მასალები.
- ქათამაძე, 2017:** – ქათამაძე ჯევდეთ, „მოგონებები“, 2017 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბსუ ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის უ. ოქროპირიძის მიერ ჩაწერილი მასალები.
- მჟავანაძე, 2018:** – მჟავანაძე ი., „მოგონებები“, 2018 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბსუ ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კომლექსური ექსპედიციის მასალები.
- მჟავანაძე, 2018:** – მჟავანაძე ა., „მოგონებები“, 2018 წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბსუ ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კომლექსური ექსპედიციის მასალები.

**სდსინ, 2008:** – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა“, III, ბათუმი, 2008.

**ჭიჭინაძე, 1893:** – ჭიჭინაძეზ., ქართველი მაჰმადიანები კონტრიშის ხეობაზე.

**ოქროპირიძე, 2017:** – ოქროპირიძე უ., „ბათუმისათვის ბრძოლა და მისი ასახვა ქობულეთურ თქმულება-გადმოცემებში“, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, ბათუმი, 2017.

**Френкель, 1879:** – Френкель Александр Самойлович. «Очерки Чурук-су и Батума». Тип. А.А. Михельсона, Тифлис, 1879.

**Арутюнов, 1898:** – Арутюнов Филипп Артемьевич, «Гомборцы. История 1-го Кавказского стрелкового Его Императорского Высочества Великого Князя Михаила Николаевича батальона». Типо-Литография И. Вышнянского. СПб, 1898.

**Колюбакин, 1906:** – Колюбакин Б., «Русско-Турецкая война 1877-1878 гг. на Кавказе и в Малой Азии». Часть 1-ая. Типо-Литография А.Г. Розена. СПб, 1906.

**Бакрадзе, 1975:** – **Бакрадзе Дм.**, «Кинтришский участок (в Батумской области)», – კრ.: ქართული ისტორიოგრაფია, III, გამომც. „მეცნიერება“, თბილისი, 1975.

**Ucha Okropiridze (Batumi, Georgia)**

### **The Role of Kobuletian People in the Battle for Batumi during The Russian-Ottoman War in 1877-1878**

#### **Abstract**

The paper is based on the memoirs of the residents of Kobuleti Municipality and other relevant historical sources to discuss the role played by the Kobuletian people in the battle for Batumi during the Russian-Ottoman War in 1877-1878. The Kobuletian people played an important role in the returning of Adjara to Georgia. In addition, based on materials of Russian military historians of that period (Al. Frankel, F. Arutinov, B. Kolyubakin, and Georgian historian D. Bakradze) the focus is not only on the origin of the Kobuletian people and their close kinship with Guria and the Gurians, but also on their role in preparing for the battle in Tsikhisdziri. Two furious attacks of the Russians were repulsed to the heights of Mukhaestate by Kobuletians.

There are some points about position of the Georgian Muslims in Kobuleti in the war and the specific reasons for their fighting on the Turkish side are explained, because they and their families were expected to receive severe revenge if Turkey had won. And as soon as the prospect of returning to the motherland appeared, many Kobuletian residents sided with Russia and facilitated the return of the region to Georgia.

After the unification of Batumi with the Russian Empire by the Treaty of Berlin, 4 (four) people from Kobuleti were submitted as the members of Mejlisi to the ruling party under the Governor-General of Batumi District - Dede-Agha Nizharadze (from the village of Alambari), Reshti Bajelidze (from the village Khutsubani), Karkhiman Mzhavanadze and Khusein Bauzhadze (both from village Zeniti).

**„ბათუმის რომაულ-კათოლიკური ორიენტაციის მოსახლეობა  
და ბათუმის „ღვთისმშობლის უბინოდ ჩასახვის“ ეკლესიის  
აზიების ისტორიიდან  
(XIX-XX)**

**აბსტრაქტი:** ნაშრომი ეხება ბათუმში მიგრირებული ევროპელების, კათოლიკე მისიონერების რელიგიური საქმიანობის პოლიტიკურ მიზნებს რეგიონში და ქართველ კათოლიკეთა რელიგიურ მდგომარეობას ბათუმში. გაშუქებულია ბათუმის რომაულ-კათოლიკური ორიენტაციის მოსახლეობის მეცადინეობა ქალაქში სასულიერო კერების დაარსებისათვის; ტაძრების აგებასთან დაკავშირებული პრობლემები. რუსეთის ხელისუფლების ჩართულობის საკითხი „უბიწოდ ჩასახვის“ კვლევის მშენებლობაში; მათი პოლიტიკური მიზნები და ინტერესები.

**საკვანძო სიტყვები:** კათოლიციზმი, მისიონერები, ემიგრანტები, რუსეთი, საზოგადოება.

**Key words:** Catholicism, Missioners, Emigrants, Russia, Population.

\*\*\*

საქართველოში კათოლიციზმის პროპაგანდას და კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია აღნიშნულის რეალური მიზეზები – საქართველოს ერთგვარად პლაცდარმის როლი შორეულ აღმოსავლეთში კათოლიციზმის გავრცელებასა და ევროპული პოლიტიკის დამკვიდრებაში [ჭიჭინაძე, 1898: 3; სინ, 1973: 312; პავლიაშვილი, 1999: 179].

ოსმალეთის იმპერიის აგრესიის შედეგად, გარე სამყაროს მოწყვეტილი საქართველოსათვის ვატიკანთან და ევროპასთან კათოლიკე მისიონერების მეშვეობით კავშირმა, უდიდესი როლი შეასრულა საქართველო-ევროპის კულტურულ-პოლიტიკური დაახლოების საქმეში [თამარაშვილი, 1902: 100-102; კასრაძე, 1947: 52-54; პავლიაშვილი, 1999: 12-13].

საუკუნეების მანძილზე, კათოლიციზმის პროპაგანდამ საქართველოს თავისი დადებითი და უარყოფითი შედეგები მოუტანა: ერთი მხრივ, საქართველო გაეცნო ევროპის ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებს და ეპოქალურ მიღწევებს და, მეორე მხრივ, ევროპამ ზედმიწევნით შეისწავლა ქართული ცივილიზაცია და მისი ისტორია. ყოველივეს შედეგად კი, საქართველოში გაჩნდა და მომძლავრდა კათოლიკური თემები და შესაბამისად, კათოლიკე მრევლიც გაჩნდა, რასაც, შესაბამისად, კათოლიკური ტაძრების მშენებლობებიც მოჰყვა [ტაბაღუა, 1983-1989].

XIX საუკუნის დასაწყისიდან, საქართველოსთან მიმართებაში, კათოლიკობის ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებამ, აქ მოღვაწე კათოლიკე მისიონერებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა. საქართველოში, როგორც რუსეთის იმპერიის „ნაწილში“, ამოქმედდა XVIII საუკუნის 30-იან წლებში დადგენილი რუსული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა იმპერიის

მოსახლეობის კათოლიკურ აღმსარებლობაზე გადასვლის აკრძალვას; ასევე, მისიონერების იმპერიაში შემოსვლა-მოღვაწეობის შეზღუდვას, მოგვიანებით კი, მის აბსოლუტურ აკრძალვას *[თამარაშვილი, 1995: 716-724]*. აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ზემოქმედებდა ქართველი კათოლიკეების ცხოვრებასა და სულიერ მდგომარეობაზე, რომლებიც რუსული თვითმპყრობელობისაგან უკიდურეს რეპრესიებს განიცდიდნენ *[თამარაშვილი, 1995: 721]*.

რუსული აგრესიისგან შეწუხებული ქართველი კათოლიკე სამღვდელთა და მრევლი ხსნის გზას კათოლიკური ეკლესიების მშენებლობაში ხედავდა; განსაკუთრებით, სასაზღვრო ტერიტორიების მოსახლეობა, რომელიც, მეორე მხრივ, ისლამური პროპაგანდის წინააღმდეგეა განიცდიდა. ასეთ რეგიონს კი აჭარა და, კერძოდ, ბათუმი წარმოადგენდა *[პავლიაშვილი, 1999: 123]*.

კათოლიკური ეკლესიები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. ისინი, ძირითადად, XVIII-XX საუკუნის დასაწყისის პერიოდისაა და, ისტორიულად, მათი ნაწილი ლათინურ-კათოლიკურია და ნაწილიც სომხურ-კათოლიკური.

ზემოაღნიშნული ქრონოლოგიური ჩარჩო, საქართველოს ისტორიისათვის ძირეულ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცვლილებებს წარმოადგენს, რამაც განსაკუთრებული გავლენა იქონია კათოლიკური ტაძრების მშენებლობების ინტენსიურობაზე და პირობებზე.

საქართველოში კათოლიკური თემები მრავალეთნიკური იყო და შესაბამისად, ეკლესიების მშენებლობისათვის ზრუნავდნენ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების და რელიგიური აღმსარებლობის მოსახლეობა: ქართველი კათოლიკენი, სომხები, რუსები, პოლონელები. აღნიშნული, განსაკუთრებით ითქმის ბათუმის მოსახლეობაზე, სადაც ოდითგან ჭრელი ეთნიკური მოსახლეობა მკვიდრობდა.

1878 წელს, აჭარის რუსეთის იმპერიაში შეერთების შემდეგ, ბათუმი სტრატეგიულ საპორტო ქალაქად განვითარდა და ის მნიშვნელოვან კომერციულ ცენტრად იქცა; ბათუმი მიმზიდველი გახდა საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ვაჭართა ფენისათვის, რომელთა დიდი ნაწილი კათოლიკე აღმსარებლობის იყო *[ქან ფრანსუა გამბა, 1987: 253]*.

თურქეთის დაქვემდებარებისაგან განთავისუფლებულმა და რუსეთის ხელისუფლების მორჩილებაში აღმოჩენილმა ბათუმის კათოლიკე სამღვდელთა და მრევლმა კათოლიკური ეკლესიის აგებაზე იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა. საარქივო დოკუმენტები იუწყებიან, რომ პირველი კათოლიკური ეკლესია ბათუმში XIX საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აიგო, თუმც ის სომხურ-ლათინური ტიპიკონის იყო და იქ შეკედლებული ქართველი კათოლიკენი, ფაქტობრივად, მრევლის ნუსხაში არ ირიცხებოდნენ.

ბათუმის ეკონომიკურ-კულტურულმა დაწინაურებამ XIX საუკუნის მიწურულისათვის, მისი მკვიდრი ლათინური წესის კათოლიკეთა რაოდენობა საგრძნობლად გაზარდა. ბათუმის ლათინურ-კათოლიკური ტიპიკონის ქართველ კათოლიკებს მიემატნენ ქალაქში დასაქმებული სხვადასხვა ეთნოსის ევროპელი კომერსანტები, დიპლომატები, ვაჭრები, მრეწველები, ხელოსნები, ინჟინრები, კულტურის მუშაკები, საკონსულოების თანამშრომლები და სხვ. აღნიშნულ ქართულ-ევროპულ-კათოლიკურ მრევლს, იძულების წესით, თითქმის ერთი საუკუნით ადრე აგებული სომხურ-კათოლიკური ეკლესიით სარგებლობა უწევდა, რაც, ღვთისმსახურების

აღსრულების პროცესში, ერთგვარ უხერხულობას ჰქმნიდა *[თამარაშვილი, 1904: 70-72]*. სირთულეების თავიდან აცილებამ განაპირობა ლათინური წესის მრევლის გადაწყვეტილება საკუთარი ტაძრის აგებაზე და 1890 წელს კათოლიკე პატრის ანსელმ მღებრიშვილის თაოსნობით მრევლმა მთავრობას მიმართა საფრანგეთის კონსულის შუამდგომლობით, რათა მათთვის უფლება მიეცათ სამლოცველო სახლის ამოქმედებაზე, ან, უკიდურეს შემთხვევაში, პატრეს სახლში დროებითი წირვების ჩატარებაზე. საისტორიო დოკუმენტების თანახმად, 1895-1897 წლებში მათ ნება დართეს ჯერ წირვების ჩატარებაზე და შემდეგ დროებითი ეკლესიის მოწყობაზე *[ჭიჭინაძე, 1903: 74]*. მუდმივმოქმედი ეკლესიის აგების ნებართვისათვის, კათოლიკე მრევლმა შუამდგომლობისათვის ხელისუფლებასთან კვლავ ევროპის სახელმწიფოებს: იტალიის, საფრანგეთის და ავსტრია-უნგრეთის საკონსულოებს მიმართა. როგორც საისტორიო წყაროები იუწყებიან, მრევლს, ეკლესიის მშენებლობის ნებართვის მისაღებად, უნდა დაეკმაყოფილებინა საქართველოს ეგზარქოსის მოთხოვნა, რომ კათოლიკური ტაძარი მართლმადიდებლური ეკლესიისაგან მოშორებით უნდა აგებულიყო.

ნიშანდობლივია, რომ XIX საუკუნის მიწურულს, როდესაც ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აგების საკითხი დადგა, რუსეთის ხელისუფლების მწვავე პოლიტიკა კათოლიციზმისადმი მკაფიო იყო და, ასეთ ვითარებაში, ძნელად წარმოსადგენი იყო რუსეთის ხელისუფლების ნებართვა ტაძრის აგებაზე, თუმც, თუ გავითვალისწინებთ იმპერიაში მიმდინარე რთულ გარემოებას, კერძოდ, ქვეყანაში შექმნილ რევოლუციურ სიტუაციას, ხელისუფლებისათვის არ უნდა ყოფილიყო სარგებლის მომტანი ლათინურ-ევროპული ორიენტაციის კათოლიკეთა შორის შფოთას დაწყება. აღნიშნულს ემატებოდა ევროპის ქვეყნებთან კეთილმოსურნე ურთიერთობების შენარჩუნების ვალდებულება, დიპლომატიური კორპუსების მომადლიერება და ა.შ. აღნიშნულით იყო განპირობებული რუსეთის ეკლესიის (საქართველოს საეგზარქოსო – ქ.პ.) კომპრომისული პოლიტიკა ბათუმის კათოლიკეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისადმი – აგებულიყო ბათუმში ლათინურ-კათოლიკური ორიენტაციის ეკლესია *[გურული, 2005: 19-22]*. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ იმპერიის იმდროინდელი რეგულაციებით, კავკასიის მართლმადიდებელი სასულიერო ხელისუფლების (საქართველოს საეგზარქოსო – ქ.პ.) თანხმობა იყო აუცილებელი სხვა რელიგიური აღმსარებლობის სამლოცველოს ასაშენებლად *[Grigor Roland, 2000: 491]*.

რუსეთი, როგორც იმპერიული სახელმწიფო მრავალეთნიკურ-მრავალკომფესიური ქვეყანა იყო, ამიტომ, ის იძულებული იყო, პერიოდულად რელიგიისადმი თავისი დამოკიდებულების გადახედვა მოეხდინა და მკაცრი დეკრეტების გვერდით, დრო და დრო, კომპრომისული ნაბიჯებიც გადაედგა. ეს უკანასკნელი, ბუნებრივად ეხებოდა სხვა რელიგიური საკულტო ტაძრების აგების ნებართვის გაცემასაც. ასეთი პოლიტიკა იმპერიის ხელისუფლებისაგან განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენასაც ითხოვდა. საგარეო პოლიტიკა ასეთ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა და შუამავლის რეპუტაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითად, ბათუმის ეკლესიის მშენებლობის ნებართვაში უდიდესი როლი შეასრულეს საფრანგეთის, იტალიის და ავსტრია-უნგრეთის საკონსულოების მაღალმა საერთაშორისო სტატუსებმა. რუსეთის იმპერიისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ეკლესიის აგების აუცილებლობა გადაუდებელი და გარდაუვალი საქმე იყო და განპირობებული ბათუმში

ევროპელი მოსახლეობის სიმრავლითაც; ისევე, როგორც ამ უკანასკნელთათვის იყო ცნობილი, შექმნილი ვითარების საკუთარი სარგებლობისათვის გამოყენება.

სომეხი კათოლიკენი ბათუმში „კონკურენტი ტაძრის“ მშენებლობას მწვავე აგრესიულობით შეხვდნენ, რაც განპირობებული იყო მრევლის დაკარგვით და ამით გამოწვეული ფინანსური შემოსავლების შემცირებით. მათ ხელისუფლებას საჩივრის წერილით, მშენებლობის გაუქმების მოთხოვნით მიმართეს *[ცნობის ფურცელი, 1898: 2; შამილიშვილი, 2009: 81-82; ტოტოჩავა, 1988: 31-32]*.

ბათუმის ლათინურ-კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვის გაცემა და გეგმის დამტკიცების პროცესი 1898-1899 წლების მანძილზე მიმდინარეობდა *[ცნობის ფურცელი, 1898]*; მშენებლობა კი 1902 წელს დასრულდა *[ცნობის ფურცელი, 1903: 2]*.

„ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის“ სახელობის ეკლესია იმთავითვე ბათუმის ღირსშესანიშნოებად იქცა. კონსტანტინე გვარამაძე აღნიშნავდა: „ეს ეკლესია ერთად ერთი შენობაა, არამც კავკასიაში, არამედ ბევრ რუსის სახელმწიფო კუთვნილებაშიაც კი იშვიათია სიმშვენიერით“ *[ჭიჭინაძე, 1903: 136-137]*.

#### **გამოყენებული წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის სია:**

**გამბა, 1987:** – ჟაკ ფრანსუა გამბა, „მოგზაურობა ამიერკავკასიაში“, I, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბილისი, 1987.

**გურული, 2003:** – გურული ვ., „რუსეთის ისტორია, XIX საუკუნე“, თბილისი, 2003.

**თამარაშვილი, 1902:** – თამარაშვილი მ., „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, ტფილისი, 1902.

**თამარაშვილი, 1904:** – თამარაშვილი მ., „პასუხად სომხის მწერლებს“, ტფილისი, 1904.

**თამარაშვილი, 1995:** – თამარაშვილი მ., „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, თბილისი, 1995.

**კასრაძე, 1947:** – კასრაძე ტ., „რომის პროპაგანდა და კათოლიკური მისიები საქართველოში“, თბილისი, 1947.

**პავლიაშვილი, 1999:** – პავლიაშვილი ქ., „კარმელიტების ქრონიკა“ საქართველოზე (XIV-XVIII)“, თბილისი, 1999.

**პავლიაშვილი, 1994:** – პავლიაშვილი ქ., „კათოლიკური ეკლესია და საქართველო XVII ს-ის პირველ ნახევარში“, თბილისი, 1994.

**სინ, 1973:** – „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, IV, თბილისი, 1973

**ტაბაღუა, 1983-1989:** – ტაბაღუა ი., „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, I-IV, თბილისი, 1983-1989

**ტოტოჩავა, 1988:** – ტოტოჩავა გ., „ხსოვნა გულისა“, ჟურ. „ჯვარი ვაზისა“, №1, თბილისი, 1988.

**ცნობის ფურცელი, 1898:** – გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ. №5000, თბილისი.

**ცნობის ფურცელი, 1903:** – გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1903 წ. №2144, თბილისი.

**შამილიშვილი, 1988:** – შამილიშვილი მ., „ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ისტორიიდან“, ჟურ. „ჭოროხი“, №2, ბათუმი, 1988.

**ჭიჭინაძე, 1898:** – ჭიჭინაძე ზ., „უმთავრესი მიზეზები საქართველოს მიმართ რომის ყურადღებისა“, ტფილისი, 1898.

**ჭიჭინაძე, 1903:** – ჭიჭინაძე ზ., „კათოლიკური ეკლესია საქართველოში“, ტფილისი, 1903.

**Suny, 2000:** – Grigor Roland Suny, „Nationalities in the Russian Empire“, Russian Review 59, №4, 2000.



**Roman-Catholic Population of Batumi and from the History  
“of Virgin Spotless Conceive” Church Building  
(XIX-XX)**

Abstract

The article is about European catholic missionaries' activities and Georgian Catholics' religion situation in Batumi in the XIX-XX centuries. The article studies problems related to the construction of Batumi's Roman-catholic church, Russians' role, and interests in the proses of building.

In the XIX century a new epoch of Catholicism started in Georgia. Russian Empire occupied Georgia and limited the activities of catholic missionaries here.

At that time, many nationalities lived in Batumi and the catholic parish was multiform. at the beginning of the XX century in the construction of the church many ethnics such as Georgian Catholics, Armenian Catholics, Polish parish, and Russian Catholics took place. Besides them European businessmen, diplomats, merchants, and others of that ilk contributed a lot to the process.

## პოლიტიკური სიტუაცია ბათუმში ინგლისის მმართველობიდან განთავისუფლების შემდეგ (1920-1921 წწ.)

**აბსტრაქტი:** 1920 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისგან ოფიციალური ცნობა მიიღო, რომლის თანახმად, ინგლისელები ქ. ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან ჯარების გაყვანას აპირებდნენ. 1920 წლის 7 ივლისს, ამიერკავკასიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის, ასევე, თვით დიდი ბრიტანეთის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების გამო, ინგლისის ხელისუფლების ჯარმა ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი დატოვა, სადაც ის 1918 წლის დეკემბრიდან იმყოფებოდა. ინგლისელების წასვლის შემდეგ, ქ. ბათუმში რთული პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების შემდეგ, 1920 წლის 4 სექტემბერს ბათუმის ქალაქისთავად გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე აირჩიეს, ხოლო ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა. 2020 წლის 7 ივლისს, ბათუმის ოლქის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისთვის გადაცემიდან, 100 წელი შესრულდა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ინგლისი, კუკ-კოლისი, მ. ხოჭოლავა, გ. კვინიტაძე, ბ. ჩხიკვიშვილი, გ. გიორგაძე.

**Key words:** Georgia, England, Cook-Collis, M. Khocholava, G. Kvinitadze, B. Chkhikvishvili, G. Giorgadze.

\*\*\*

1920 წლის 7 მაისს, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომელს IV მუხლის მიხედვით ბათუმის ოლქი, ისევე როგორც საქართველოს სხვა ტერიტორიები საქართველოს შემადგენელ ნაწილად იქნა აღიარებული. ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საკუთარი ტერიტორიებიდან უნდა გაეყვანა ყველა სახის ჯარი და სამხედრო რაზმი, რომლებიც საქართველოს სამთავრობო შეიარაღების ნაწილს არ წარმოადგენდა. რუსეთის ხელისუფლებას მხედველობაში ჰყავდა ინგლისის ჯარი, რომელიც მაშინ ქ. ბათუმში და მის ოლქში იმყოფებოდა.

1920 წლის თებერვლის შუა რიცხვებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისგან ოფიციალური ცნობა მიიღო, რომლის თანახმად ინგლისელები ქ. ბათუმიდან და ბათუმის ოლქიდან ჯარების გაყვანას აპირებდნენ. ქ. ბათუმიდან ჯარის გაყვანის გადაწყვეტილება საფრანგეთის მთავრობამაც მიიღო. თავის მხრივ, ამიერკავკასიაში საფრანგეთის წარმომადგენელი მთავრობისადმი გაგზავნილ ანგარიშებში, ინგლისის ხელისუფლების მისამართით საყვედურს გამოთქვამდა, რადგან ინგლისელები რეგიონში მოკავშირეების ინტერესებს ანგარიშს არ უწყევდნენ და ბათუმში ერთადერთ პატრონად რჩებოდნენ [Afanasyan, 1981: 101].

1920 წლის 28 ივნისს, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკი მთავრობამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას

ქ. ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ. ამის მისაღწევად, საქართველოს ხელისუფლებამ მთელი რიგი დიპლომატიური მუშაობა გასწია. 1919 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმში ინგლისელებთან სამუშაოდ ლეიტენანტი შ. მირიანიშვილი მიავლინა, რათა ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის ბათუმში არსებული რეალური სიტუაცია აეხსნა და ისინი ბათუმის ოლქის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის გადაცემის აუცილებლობაში დაერწმუნებინა *[სარალობე, 2015: 153-154]*.

ქ. ბათუმის საქართველოსთან შეერთების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ მის ადმინისტრაციულ მოწყობაზე დაიწყო ზრუნვა. ამ მიზნით, 1920 წლის ივნისის ბოლოს, ბათუმში ჩავიდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ჩამოყალიბებული საგანგებო კომისია, რომელშიც შედიოდნენ: ჰაიდარ აბაშიძე, პავლე საყვარელიძე, დათა ვაჩნაძე, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ ვეშაპელი და ივანე გობეჩია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ისინი შეხვდნენ და ესაუბრნენ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომელთა მოსაზრებებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მეთაურის, მემედ აბაშიძის აზრით, საქართველოს შემადგენლობაში აჭარის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მისთვის ფართო ავტონომიის მინიჭება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოსმალეთის მხრიდან მოსალოდნელი იქნებოდა ანტიქართული ძალების გააქტიურება, რასაც აჭარის საქართველოდან გამოყოფის მოთხოვნა მოჰყვებოდა.

ბათუმში არსებული პოლიტიკური სიტუაცია კარგად ჩანს საქართველოს ხელისუფლების მიერ ინგლისელებთან სამუშაოდ ოფიციალურად მივლინებული მუხრან ხოჭოლავას მთავრობისადმი წარდგენილი ანგარიშებიდან. 1920 წელს ბათუმში ინგლისის ხელისუფლების წარმომადგენლობასთან საგანგებო რწმუნებულად დამფუძნებელი კრების წევრი – მუხრან ხოჭოლავა დანიშნა. მანამდე (1918 წლის ივლისი – 1919 წლის თებერვალი), იგი საქართველოს მთავრობის რწმუნებული იყო სოჭის ოლქში, როცა სოჭის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქციაში იმყოფებოდა. იგი 1919 წლის თებერვალში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით, დამფუძნებელი კრების წევრად აირჩიეს. როგორც დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატი, მ. ხოჭოლავა ხშირად არ ეთანხმებოდა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ხშირად მის კრიტიკასაც არ ერიდებოდა.

ბათუმის საქართველოსთან შეერთების შემდეგ, მ. ხოჭოლავას, როგორც საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის მისია დასრულდა. მთავრობისგან მას საგანგებო დავალება ჰქონდა, მოლაპარაკება ეწარმოებინა დიდი ბრიტანეთის მმართველ ძალებთან, ასევე, მოეხდინა ადგილობრივი ძალების გაერთიანება ბათუმის ოლქის საქართველოსთან შეერთების აუცილებლობის იდეის გარშემო. მთავრობისადმი წარდგენილ საანგარშო მოხსენებაში, ბათუმში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას მ. ხოჭოლავა ასე აღწერს: „...მუშაობა სწარმოებდა მეტად მძიმე პირობებში. ბათომი გადაქცეული იყო თავაშვებული პოლიტიკური და კომერციული სპეკულაციის ასპარეზად. ოლქის მცხოვრებთ, რომელნიც ისტორიის მსვლელობამ მოაქცია ყოველგვარ ავანტიურულ გარეშე ძალთა გავლენის ქვეშ, დღესაც ვერ დაუღწევიათ თავი ამ ძალათა გამხრწნელ გავლენისგან, მაგრამ ამასთან ერთად სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ მშობელ ქვეყანას ხელოვნურად მოწყვეტილი სამუსულმანო საქართველო უკანასკნელ დროს მაინც ითვისებს და ირკვევს თავის ბუნებრივ

კავშირს დედა სამშობლოსთან კულტურის, ტრადიციის, ჩვეულებების და ენის საერთო ნიადაგზე. ამ მხრივ, „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ მოღვაწეობა ისტორიულ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მეთაურებს. ახლა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა მტკიცედ და გარკვევით აღიარებს, რომ ისინი არ არიან არც თურქნი, არც თათრები, როგორც წინათ ჰფიქრობდნენ, არამედ არიან ქართველები, მაჰმადის სჯულის მიმდევარნი. ამას აღიარებენ ახლა არა მარტო ჩვენი მომხრეები, არამედ ჩვენი მტრებიც, რომელნიც აშკარად მოქმედებდნენ ჩვენს საწინააღმდეგოდ. ეს შეგნება მაჰმადიან ქართველთა საერთო სამშობლოსთან ბუნებრივი ნათესაობისა და კავშირისა, ჩვენს რესპუბლიკას სამართლიან მისწრაფებას აძლევდა მეტ ძალას და თვით ცხოვრებაში უმტკიცებდა მას რეალურ საფუძველს და ეს, მეორე მხრით, აერთიანებდა ყველა ჩვენს მტერს – აქ ერთი სახე ჰპოვა ყველა ხაზმა და ფერმა: ოსმალების ასკერებმა, ბოლშევიკების აგიტატორებმა, დენიკინის ოფიცრებმა, აზერბაიჯანის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა და არაოფიციალურმა აგენტებმა და ყოველგვარმა ავანტიურისტმა და სპეკულიანტმა, ყველა, ყველა შეერთდა ჩვენს წინააღმდეგ მხეცურ სიძულვილში“ *[სცსა, გ. 1864, ან. 2, ს. 237, ფურც. 1-6]*.

მ. ხოჭოლავა აღწერს, იმ დროს ბათუმში როგორი პოლიტიკური სიტუაცია იყო შექმნილი. ის ამბობს: „...ადგილობრივი მმართველობის (გულისხმობს ინგლისელებს – ლ. ს.) სრული დაუდევრობის გამო, ბათუმში ბოლშევიკები თარეშობდნენ, სიტუაციას ფაქტობრივად ისინი აკონტროლებდნენ. ადგილობრივი მცხოვრებნი, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები, ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ. ბოლშევიკები ხელს უწყობდნენ აჭარის რეგიონში ამბოხებსა და მეამბოხეებს ტყვია-წამლით, ზარბაზნებით, ტყვიამფრქვევებით ამარაგებდნენ... ინგლისელთა მოქმედების შესახებ ჩვენ არ შეგვიძლია ამჟამად ვილაპარაკოთ იმგვარად, როგორც სამართლიანად ვლაპარაკობდით მაშინ, როცა განვიცდით დამარცხებას და წყენას. 7 ივლისის ისტორიული საზეიმო დღე გვაიძულებს უფრო გულდამშვიდებით მოვიგონოთ წარსული. უნდა ითქვას ერთი რამ, როგორც ეს ითქვა უკვე ბათომში ჩვენი ჯარის შემოსვლის აღსანიშნავად გამართულ ბანკეტზე: გენერალმა კუკ - კოლისმა უფრო მეტად გააერთიანა მთელი ჩვენი ხალხი, მთელი ერი, ბათომის საკითხის გარშემო; უფრო მწვავედ და ნათლად ვიგრძენით ჩვენ გარდაუვალი აუცილებლობა მოწყვეტილი ნაწილის მშობლიურ სხეულთან შეერთებისა...“ *[სცსა, გ. 1864, ან. 2, ს. 237, ფურც. 1-6]*.

ინგლისის სამხედრო სარდლობასთან შეთანხმებით, ქართული ჯარის წინსვლა ბათუმის ოლქის დასაკავებლად, 1920 წლის პირველი ივლისიდან დაიწყო *[„ერთობა“, №147, 1920: 2]*. 1920 წლის 2 ივლისს, ინგლისელმა გენერალმა კუკ-კოლისმა მასთან მისულ ქ. ბათუმის მუსლიმთა წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბათუმი და ბათუმის ოლქი კონფერენციის დადგენილებით, საქართველოს გადაეცა. ყველა ის, ვინც საქართველოს ჯარს წინააღმდეგობას გაუწევს, ინგლისის მტრად ჩაითვლება და როგორც საქართველოს, ასევე, ინგლისის ხელისუფლება, დამნაშავეთა წინააღმდეგ სასტიკ ზომებს მიიღებენ *[„ერთობა“, №149, 1920: 2]*.

თავის მხრივ, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, გენერალმა გიორგი კვინიტაძემ საგანგებო მოწოდებით მიმართა ბათუმის ოლქის და აჭარის მცხოვრებთ: „ინგლისთან შეთანხმებით და საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულების ძალით, ქალაქი ბათომი და ბათომის ოლქი გადაეცა საქართველოს

რესპუბლიკას. საქართველოს მთავრობის ბრძანებით, მე ჯარებით შემოვდივარ ბათუმის ოლქში. კაცთმოყვარეობის და ჰუმანურობის აზრით და თქვენთვის ომის ყველა საშინელებათა თავიდან ასაცილებლად, წინადადებას გაძლევთ არ გაუწიოთ წინააღმდეგობა ჩვენი ჯარის შემოსვლას ოლქში და არ დაიწყოთ ომი თქვენი ძმების, ქართველების წინააღმდეგ *[„ერთობა“, №147, 1920: 2]*.

1920 წლის 7 ივლისს ინგლისის ჯარმა ქ. ბათუმი დატოვა. 1920 წლის 5 ივლისს ინგლისის სარდალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ საბინაო სასამართლო თავის მოქმედებას წყვეტს და მთელ საქმეებს ბათუმის საოლქო სასამართლოს გადასცემს, იმავდროულად ინგლისის სამხედრო გუბერნატორმა კაპიტანმა გრუჯონმა წინადადება მისცა ყველა იმ პირს, ვისაც რაიმე პრეტენზიები ჰქონდა ბრიტანეთის სარდალობასთან, აუწყონ მათ არაუგვიანეს 8 ივლისისა, რადგან ამის შემდეგ პრეტენზიებს აღარ განიხილავდნენ. ქ. ბათუმში ფასი ბინებისა, რომელიც ინგლისელ სამხედრო პირებს ეჭირათ, 1920 წლის 15 ივლისამდე იყო გადახდილი *[„ერთობა“, №150, 1920: 2]*.

პოლიტიკურ სიტუაციას ართულებდა ის ფაქტი, რომ ბათუმის დედასამშობლოსთან შეერთების შემდეგაც, ადგილობრივი მტრული ძალები აქტიურად ცდილობდნენ ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობაში არეულობა გამოეწვიათ, ისინი ხალხში შუღლს სთესდნენ, ავრცელებდნენ ყალბ ხმებს, თითქოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრება ავტონომიის მინიჭების წინააღმდეგნი იყვნენ. მოსახლეობის შეგნებული ნაწილი გაგებით შეხვდა ბათუმის ოლქში სამხედრო წესების გამოცხადებას, ისინი ფიქრობდნენ, რომ გარდამავალ პერიოდში საჭირო იყო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან საჭირო ღონისძიებების გატარება, რათა ბათუმის ოლქი მავნე ძალებისგან გაეწმინდათ, რაც ნიადაგს შექმნიდა ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

მ. ხოჭოლავა საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილ ანგარიშში, ასევე, საუბრობს, საქართველოს მთავრობა ახლადშემოერთებულ ბათუმის ოლქში, რა ძალებს უნდა დაყრდნობოდა: „...რა ძალებს უნდა დავეყრდნოთ ჩვენ ჩვენს სახელმწიფოებრივ და კულტურულ მუშაობაში? რომ ამ კითხვას სწორად ვუპასუხოთ, ამისთვის საჭიროა გვახსოვდეს, რომ სამუსულმანო საქართველოში არ არის ის სოციალ-პოლიტიკური დიფერენციაცია, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, იქ ჯერ კიდევ მეტად ძლიერი და მტკიცეა ძველი ტრადიციები, ოჯახურ-ნათესაური კავშირი. იქ არ არის, აგრეთვე, ჩვენთვის ნაცნობი პარტიული შეჯგუფება, არ არის საზოგადოების სოციალურ-სტრუქტურული დაყოფა, ნათლად გარკვეული და მკაფიოდ შემოხაზული, ამიტომ ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იქიდან, რაც არსებობს და ამ მხრით, ყველაზე უფრო მჭიდრო და გაერთიანებულ ჯგუფებად უნდა ჩაითვალოს იგივე მეჯლისი და სხვა მასთან სოლიდარულად მომუშავე ორგანოები... მუშაობა უკვე დაწყებულია და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საერთო და სოლიდარული მოღვაწეობა ჩვენს ძმებთან - ქართველ მუსულმანებთან, რომელნიც საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილნი იყვნენ ჩვენგან, განამტკიცებს ჩვენს კავშირს, შეგვასისხლებორცებს მათთან და შექმნის ერთს მთლიანს ხალხის ნებას, ერთიანს და განუყოველს სახელმწიფოებრიობას“ *[სცსა, გ. 1864, ან. 2, ს. 237, ფურც. 1-6]*.

ქ. ბათუმში არსებულ მდგომარეობაზე გაზეთი „ერთობა“ წერს: „...ბათუმის საქართველოზე გადაცემამ აქ ბლომად დაგროვილი ნიკოლოზის დროინდელი ჩი-

ნოვნიკობა საგონებელში ჩააგდო და მომავალს უიმედოდ უყურებდნენ. ბათუმში სავალდებულო მისაღებად ინგლისის მთავრობამ ამიერკავკასიის ბონები გამოაცხადა. ამ გარემოებით ისარგებლეს სპეკულიანტებმა და ქართულ ფულზე თითქმის არაფერს ყიდნენ და თუ ყიდნენ 20%-ით ძვირად. ბათუმის საქართველოზე გადაცემის ამბავმა კი ეს განსხვავება ქართულ და ამიერკავკასიის ბონებს შორის თითქმის გააქრო“ [*„ერთობა“*, №149, 1920: 3].

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან შეერთების შემდეგ, 1920 წლის 4 სექტემბერს ბათუმის ქალაქისთავად გიორგი (გიზო) ანჯაფარიძე აირჩიეს, ხოლო ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორად ბენია ჩხიკვიშვილი დაინიშნა. ამასთანავე, იგი ქალაქ თბილისის მოურავი და დამფუძნებელი კრების წევრი იყო. წესრიგის დასამყარებლად, ბ. ჩხიკვიშვილმა ახლადმემოერთებული ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის ადმინისტრაციის უფროსად, თბილისის სახალხო მილიციის უფროსი ვალოდია სულაქველიძე წაიყვანა [*ჩხიკვიშვილი, 2020: 36*]. ინგლისელი გუბერნატორის სამოქალაქო, საოლქო და ქალაქის მილიციის სამმართველოები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს გადაეცა. ქალაქი ბათუმი 5 სამილიციო უბნად დაიყო. მათ სათავეში მილიციის კომისრები ჩაუდგნენ. ქ. ბათუმის შინაგან საქმეთა სამმართველოში 330 მილიციელი მუშაობდა [*კუკულაძე, 2016: 166*].

1920 წლის 26 ივლისს, ბ. ჩხიკვიშვილმა ქ. ბათუმში წესრიგის აღდგენის შესახებ ბრძანება გამოსცა. ქალაქში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მილიცია გვარდიელებთან ერთად პატრულირებდა. ანტისახელმწიფოებრივი პოზიციის გამო, ბათუმის ოლქიდან მრავალი ბოლშევიკი გაასახლეს [*გოგოლიშვილი, 2010: 41*].

ბათუმში საერთაშორისო სოციალისტური დელეგაციის სტუმრობასთან დაკავშირებით, 1920 წლის 11 სექტემბერს, ქ. ბათუმის საგანგებო კომისიის სამმართველოში, სტუმრების შეხვედრის ორგანიზებასთან დაკავშირებით, თათბირი გაიმართა. არჩეული იქნა ორი კომისია. პოლიტიკური და ტექნიკური. საგანგებო კომისარმა, ბ. ჩხიკვიშვილმა ბათუმის ოლქში საგანგებო კომისრად გენერალი მდივანი დაინიშნა. ქ. ბათუმში დელეგაციის ჩამოსვლის დღეს მილიცია ქალაქისთავს ექვემდებარებოდა. თბილისიდან ბათუმში ჩავიდნენ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები: კონსტანტინე საბახტარაშვილი, ისიდორე რამიშვილი, ასევე, პრესის წარმომადგენლები [*„ბათუმის ფურცელი“*, №5, 1920: 2].

ბათუმის ოლქში საქართველოს მთავრობის რწმუნებულის პოსტზე, ბ. ჩხიკვიშვილის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, სადაც აღნიშნულია: „...ამხ. ჩხიკვიშვილმა ვერ აიღო სწორი გეზი და ეს იყო მისი მუშაობის მთავარი ნაკლი, მან ვერ შეძლო დაყრდნობოდა ადგილობრივ საღ ელემენტებს და რაკი ერთხელ შედგა ამ ყალბ გზაზე, თავის შეკავება ძნელი გამოდგა. ამით აიხსნება მისი ყოვლად უსაფუძვლო და შემცდარი დასკვნა იმის შესახებ, თითქოს ბათუმის ოლქში ძნელი იყოს სანდო თანამშრომლების პოვნა. ამიტომ იყო, რომ ჩვენ ასე მწვავედ გავილაშქრეთ თავის დროზე ჩხიკვიშვილის მოღვაწეობის წინააღმდეგ“ [*„სამუსლიმანო საქართველო“*, №463, 1920: 1].

1920 წლის ნოემბრიდან საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ქ. ბათუმში და ბათუმის ოლქში გრიგოლ გიორგაძე გახდა. ქ. ბათუმის ადმინისტრაციულ აპარატში, გ. გიორგაძემ ადგილობრივი პოლიტიკოსები მიიწვია. მან

ჩამოაყალიბა სათათბირო ორგანო, რომელშიც მეჯლისის 3, ქალაქის 2 და რაიონების თითო წარმომადგენელი შედიოდა.

1920 წლის მეორე ნახევარში მთელ საქართველოში, ასევე, ბათუმის ოლქშიც ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. იმავე წლის ოქტომბერში, თბილისში გამართულ ეკონომიკურ თათბირზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფის პირას იყო მისული, რაც განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ბათუმის ოლქში. აზერბაიჯანის გასაბჭოებამ გამოიწვია ბაქოს ნავთის გატანის შეწყვეტა ბათუმის ნავსადგურიდან. ამას მოჰყვა ბათუმში ნავთის ქარხნებისა და მასთან დაკავშირებული სახელოსნოების გაჩერება, რომლის შედეგადაც უმუშევართა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. 1920 წლის შემოდგომაზე ქ. ბათუმში მათმა რიცხვმა 5 500 კაცს მიაღწია. ასევე, მძიმე იყო ბათუმის ოლქში მცხოვრებ გლეხთა ვითარებაც.

საქართველოს მთავრობის განსაკუთრებულ საქმეთა რწმუნებულმა გრიგოლ გიორგაძემ, თავის თანაშემწე პოლკოვნიკ სულაქველიძეს დაავალა, გაეცნო ქ. ბათუმის მცხოვრებთათვის 1920 წლის 3 აგვისტოს მთავრობის დადგენილება, რომლის თანახმად ყველა დანაშაული, რაც მათ ჩადენილი ჰქონდათ ბათუმში საქართველოს ჯარის შემოსვლამდე, ეპატიათ. იმ პირებს, რომლებიც გაქცეულნი არიან, შეუძლიათ საკუთარ ოჯახებს დაუბრუნდნენ. ვინც ამ მოწოდებას არ შეასრულებდა, როგორც მთავრობის მოწინააღმდეგეს და სამშობლოს მოღალატეს, სასტიკად დასჯიდნენ, ხოლო ის პირები, რომელთაც ინფორმაცია ჰქონდათ, რუსი ბოლშევიკების ან თურქი ქემალისტების ბათუმის ოლქში ყოფნის შესახებ და ამას დამალავდნენ, სათანადოდ დაისჯებოდნენ *[„სამუსლიმანო საქართველო“, №463, 1920: 2]*.

1920 წლის 5 დეკემბერს გ. გიორგაძის ხელმოწერით, ქ. ბათუმის თვითმმართველობაში მიიღეს სავალდებულო დადგენილება, რომლის მიხედვით: 1. ვინც უსაქმურია, მან დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს ქ. ბათუმი; 2. ყველა ვალდებულია იქონიოს პირადობის მოწმობა; 3. დამრღვევნი ამ სავალდებულო დადგენილებისა დასჯილნი იქნებიან ადმინისტრაციული წესით; 4. ვინც ფიქტიურ მოწმობას მისცემს ვინმეს, რომ ის არის მოსამსახურე ამა თუ იმ ფირმის, სავაჭრო სახლის, დაისჯება *[„სამუსლიმანო საქართველო“, №474, 1920: 2]*.

1920 წლის 7 დეკემბერს ქ. ბათუმის თვითმმართველობის საფინანსო კომისიის სხდომაზე, ქალაქის კანალიზაციის და ზღვის სანაპიროების გამაგრების პროექტი განიხილეს, რომელიც ინჟინერ სვიშჩევსკის მიერ იქნა წარდგენილი. იმავე სხდომაზე, ქალაქ ბათუმში საბინაო საკითხიც განიხილეს, გადაწყვიტეს რეკვიზიციით ჩამორთმეული ბინების, ასევე, დაწესებული ფასების რეგისტრაცია *[„სამუსლიმანო საქართველო“, №474, 1920: 2]*.

1921 წლის 27 იანვარს, წამყვანი სახელმწიფოების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის „დე იურე“ აღიარების გამო, 1921 წლის 6 თებერვალს, ბათუმში მრავალრიცხოვანი სადღესასწაულო მიტინგი გაიმართა. მიტინგი ბათუმის ქალაქისთავმა, დამფუძნებელი კრების წევრმა გიორგი (გიზო) ანჯაფარიძემ გახსნა, სიტყვით გამოვიდა მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული გ. გიორგაძე, ქ. ბათუმის თვითმმართველობის სახელით კ. გოგოლაძემ ისაუბრა, პროფესიული კავშირების სახელით გ. აიოლომ, ხოლო სამუსულმანო საქართველოს მეჯლისის სახელით მემედ აბაშიძემ. მიტინგის ბოლოს ბათუმის ქალაქისთავმა გიზო ანჯაფარიძემ, დამფუძნებელი კრების და საქართველოს დემოკრატიული რეს-

პუბლიკის სახელით, სოციალ-დემოკრატებისგან წარმოდგენილი რეზოლუცია წაიკითხა, რომელიც მიტინგმა ერთხმად მიიღო *[„ბათუმის ცხოვრება“, №150, 1921: 3]*.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის ბათუმის გადაცემით დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ და დასავლეთის წამყვანმა სახელმწიფოებმა, ამიერკავკასიის ქვეყნების დაცვაზე ფაქტობრივად, უარი თქვა.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, 24 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და გენერალმა გ. კვინიტაძემ თბილისის დატოვების და მცხეთის მიმართულებით უკანდახევისა შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება. მთავრობა ბათუმში გადავიდა. მიუხედავად უკიდურესად რთული მდგომარეობისა მას კაპიტულაცია არ გამოუცხადებია. გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა, ქართველ სამხედროებთან ერთად თურქი ასკერები დაამარცხა და რეგიონი დამპყრობლისგან გაანთავისუფლა. 1921 წლის 17 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმი დატოვა და კონსტანტინოპოლის გავლით ემიგრაციაში გაემგზავრა, რათა უცხოეთიდან გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული თავისუფლების აღსადგენად. 1921 წლის 18-19 მარტს ქ. ბათუმში მყოფმა ქართულმა ნაწილებმა, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სარდლობით, თურქ ასკერებს ბრძოლა გაუმართეს და მათი დამარცხება მოახერხეს. 20 მარტს კი თურქებმა ბათუმი დატოვეს. ბათუმი საქართველოს შემადგენლობაში დარჩა, თუმცა საქართველოში საბჭოთა დიქტატურა დამყარდა.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

- „ბათუმის ფურცელი“, 1920:** – „საერთაშორისო სოციალისტური დელეგაცია“, გაზ. „ბათუმის ფურცელი“, 14 სექტემბერი, ბათუმი, 1920.
- „ბათუმის ცხოვრება“, 1921:** – „ექვსი თებერვლის ზეიმი“, გაზ. „ბათუმის ცხოვრება“, ბათუმი, 1921.
- გოგოლიშვილი, 2010:** – „ბათუმის ოლქი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში“, ჟურნ. „ქართველური მემკვიდრეობა“, XIV, ქუთაისი, 2010.
- „ერთობა“, №147, 1920:** – „გენერალური შტაბის ცნობები“, გაზეთი „ერთობა“, №147, 2 ივლისი, თბილისი, 1920.
- „ერთობა“, №149, 1920:** – „ბათუმის საქართველოზე გადაცემა“ (საქ. დეპუტატი სააგენტო), გაზეთი „ერთობა“, №149, 4 ივლისი, თბილისი, 1920.
- „ერთობა“, №150, 1920:** – „გენერალური შტაბის ცნობები“, გაზეთი „ერთობა“, №150, 6 ივლისი, თბილისი, 1920.
- კუკულაძე, 2016:** – კუკულაძე გ., „საქართველოს პარლამენტის როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის პროცესში 1918-1920 წწ. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო)“, დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ბათუმი, 2016.
- „სამუსლიმანო საქართველო“, №463, 1920:** – „მთავრობის რწმუნებული ბათუმის ოლქში“, გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №463, ბათუმი, 1920.
- „სამუსლიმანო საქართველო“, №474, 1920:** – „სავალდებულო დადგენილება“, გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, №474, ბათუმი, 1920.
- სარალიძე, 2015:** – სარალიძე ლ., „ინგლისის ჯარის მიერ ბათუმის დატოვების ისტორიიდან (1920 წ.)“, კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VI, გამომცემლობა „ჯეოპრინტი“, თბილისი, 2015.



სცსა, ფ. 1864, ან. 2, ს. 237 – საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე №237, ბათუმში მთავრობის საგანგებო რწმუნებულის, მ. ხოჭოლავას მოხსენება საქართველოსთან შემოერთებული ბათუმის ოლქის პოლიტიკური მდგომარეობისა და მოსახლეობის განწყობის შესახებ, ივლისი, 1920.

**ჩხიკვიშვილი, 2020:** – ჩხიკვიშვილი ბ., „ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი 1880-1924“, ქართულ-ინგლისური ალბომის რედაქტორი ანტონ ვაჭარაძე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისი, 2020.

**Afanasyan, 1981:** – Afanasyan S., «L'Arménie, L'Azerbaïdjan et la Géorgie de l'indépendance à l'instauration du Pouvoire Soviétique 1917-1923», édition: L'Armattan, Paris, 1981.

**Lela Saralidze (Tbilisi, Georgia)**

### **Political situation in Batumi after the Liberation from British Rule (1920-1921)**

#### **Abstract**

Based on the archive and press materials, the issue of the political situation in Batumi after the liberation from British rule is studied in this article. In mid-February 1920, the government of the Democratic Republic of Georgia received an official notification from the British authorities that the British were planning to withdraw troops from the city of Batumi and the Batumi district. On June 28, 1920, representatives of England and France, also, the government of the Democratic Republic of Georgia signed an agreement on the transfer of the city of Batumi and its district to Georgia. According to the agreement with the British military command, the advance of the Georgian army to occupy the Batumi district began on July 1, 1920. On July 2, 1920, British General Cook-Collis told representatives of the Muslims in the city of Batumi who had come to him, that Batumi and the Batumi district had been handed over to Georgia.

On July 7th, 1920, due to the political situation in the South Caucasus, as well as changes in the internal political life of Great Britain itself, the British government withdrew its troops from the city of Batumi and the Batumi district. On July 7, 2020, 100 years have passed since the transfer of Batumi district to the Democratic Republic of Georgia.

After the departure of the British army, a difficult political situation was created in Batumi. The political situation was complicated by the fact that even after the unification of Batumi with the motherland, local hostile forces actively tried to cause unrest in the governing body of Batumi district, sowing discord among the people, spreading false rumors that they were against the ruling Democratic Republic of Georgia. After the unification with the Democratic Republic of Georgia, on September 4, 1920, Giorgi (Gizo) Anjaparidze was elected mayor of Batumi, and Benia Chkhikvishvili was appointed Governor-General of the Batumi District. Since November 1920, Grigol Giorgadze became the special representative of the Georgian government in the city of Batumi and Batumi district. Numerous orders were issued for to restore order in the city of Batumi, as well as to improve the economic situation.

During the Russian-Georgian war of 1921 on February 24, the government of the Democratic Republic of Georgia and General G. Kvinitadze decided to leave Tbilisi and retreat to the direction of Mtskheta. The government moved to Batumi. Despite his extremely serious condition, he did not surrender. General Giorgi Mazniashvili, together with the Georgian military, defeated the Ottoman army and liberated the region from the invaders. On March 17, 1921, by the decision of the Constituent Assembly of the Democratic Republic of Georgia, the government left Batumi and emigrated via Constantinople abroad, to continue the struggle from abroad to restore the lost freedom. On March 18-19, 1921, Georgian units in Batumi under the command of General Georgy Mazniashvili, they fought with the Turkish army and managed to defeat it. On March 20, the Turks left Batumi. Batumi remained as a part of Georgia, although a Soviet dictatorship was established in Georgia.

**Иманутдин Хабибович Сулаев**

*(Махачкала, Республика Дагестан, Российская Федерация)*

## **ГОРОД БАТУМИ В ИСТОРИИ СОЮЗА ГОРЦЕВ СЕВЕРНОГО КАВКАЗА И ДАГЕСТАНА (1917-1918), ГОРСКОЙ РЕСПУБЛИКИ (1918-1920)**

**Абстракт:** После Февральской революции, в мае 1917 года во Владикавказе был объявлен Союз горцев Северного Кавказа и Дагестана, а через год, в мае 1918 года, было объявлено о создании Горской Республики. В эти годы важным пунктом для переговоров деятелей Горской Республики с представителями воюющих стран военных блоков Антанты и Четверного союза становится город Батуми. 8 мая 1918 г. именно в Батуми состоялась конференция, где представители Союза горцев Северного Кавказа заключили договор с турецкой стороной о признании его независимости.

**Ключевые слова:** Дагестан, Февральская революция, Грузия, Батуми.

**Key words:** Dagestan, February Revolution, Georgia, Batumi.

\* \* \*

Город Батуми стал сферой социально-экономических интересов горцев-мусульман Северного Кавказа в течение XIX – начале XX вв. Более оживлёнными и частыми стали поездки горцев-мусульман в Батуми особенно после окончательного присоединения Кавказа к Российской империи. Объединение кавказцев в едином правовом и экономическом пространстве, в составе Российской империи, тому главная и определяющая причина. Поездки жителей Дагестана в Батуми в поисках работы, либо в торговых целях, как отмечают исследователи, чаще стали в конце XIX - начале XX в. [Даниялов, 1960: 55]. Наиболее удобно было работать в Батуми дагестанским азербайджанцам и кумыкам потому, что здесь проживало много турок [Джидалаев, 1990: 9]. Немало дагестанцев-ремесленников оседали в разных городах Грузии. В городе Батуми оседали в основном лудильщики-ремесленники из Кази-Кумухского округа [Очерки, 1973: 43].

Батуми как портовый город был востребован для экономических и политических нужд горцев Северного Кавказа и в годы революции и гражданской войны (1917-1921). Первая мировая война, вызванная глубокими противоречиями между группировками империалистических государств, привели к революционным потрясениям в ряде крупных империй и как следствие – к их развалу. В их числе оказалась Российская империя. Стремительный развал царского самодержавия в феврале 1917 г. вызвал к историческому творчеству все народы бывшей империи, в том числе и народы Кавказа. В революционной России начался «парад суверенитетов». В мае 1917 года во Владикавказе было объявлено о создании Союза горцев Северного Кавказа и Дагестана, а через год, в мае 1918 года, было объявлено о создании Горской Республики. В связи с опасностью захвата Владикавказа частями Добровольческой армии Деникин, прави-

тельство и парламент (Союзный Совет) Горской Республики переехали в столицу Дагестанской области – город Темир-Хан-Шуру [*Союз, 2013: 5-8*].

В 1918-1919 гг. город Батуми становится важным пунктом переговоров деятелей Закавказских Республик и Горской Республики с представителями воюющих стран Антанты и Четверного союза. В частности, 28 апреля 1918 г. именно Батуми был выбран турецкой стороной местом переговоров с представителями Закавказского правительства о признании его правительством независимости Закавказской и Северокавказской Республик. В телеграмме Главнокомандующего Кавказским фронтом турецкой армии Вехиб-Махмуд-Паши на имя Председателя Закавказского правительства (кому не указал) сообщал о том, что: 1. Императорское Оттоманское правительство признало независимость Закавказского правительства и сообщило об этом своим союзникам; 2. Оттоманское правительство выедет через несколько дней из Константинополя. Его превосходительство министр юстиции Халил-бей и я принимаем участие в императорской делегации; 3. Сообразно с Вашим желанием императорское правительство принимает Батум в качестве места переговоров; 4. Северный Кавказ объявил свою независимость и ратифицировал её перед императорским правительством и другими державами (Официально независимость была объявлена 11 мая 1918 г. – И.С.). Делегаты Северного Кавказа, находящиеся в Константинополе, выедут в Батум вместе с Оттоманской делегацией и предпримут шаги к объединению их страны с Закавказьем [*Документы, 2013: 253; Союз, 2013: 68*].

8 (9) мая 1918 г. в Батуми состоялась Международная конференция, где представители Союза горцев Северного Кавказа заключили договор с турецкой стороной о признании его независимости. Такие же переговоры шли с представителями германского правительства. Батумская конференция 1918 г. приобретает международный характер. Союз горцев Северного Кавказа и Дагестана (Горская Республика) признали Турция, Германия. Переговоры с представителями западных стран об оказании экономической, военной и дипломатической помощи Республике велись Дипломатическими представителями Республики Северного Кавказа при правительствах Грузии, Азербайджана и Армении. В частности, Дипломатический представитель Совета Обороны Северного Кавказа и Дагестана (созданного 19 октября 1919 года в селении Леваша Даргинского округа Дагестанской области) при правительствах Армении и Грузии Гайдар Бамматов в феврале 1920 года в записке Совету Обороны о политическом положении в Закавказье и на Северном Кавказе сообщал следующее: «За последнюю неделю политическое положение в Грузии существенных изменений не претерпело. Гегечкори (Гегечкори Е.П. (1881-1954) министр иностранных дел Грузии – И.С.) мне дал формальное заверение, что Грузинское правительство всецело стоит на точке зрения воссоздания независимости Горской Республики. Грузия никогда не входила и не войдёт ни в какое соглашение, направленное против суверенной Горской республики. Грузия не только не вела с Азербайджаном никаких переговоров относительно установления зон влияния на Северном Кавказе, но категорически против аннексионистской политики своей соседки в Дагестане» [*Сулаев, 2004: 38*]. И далее: «Грузинское правительство относится подозрительно к нашим операциям по закупке и провозу оружия в пределах Грузии. До моего приезда в Тифлис, было принято решение воспретить вывоз даже уже закупленного оружия. Мотивы – указанные выше сведения о

большевистской позиции Совета Оборон. Этот конфликт мною разрешён временно» *[Сулаев, 2004: 39-40]*.

Дипломатические представители Горской Республики пытались привлечь внимание западных стран к нуждам повстанцев Северо-Восточного Кавказа не только по линии дипломатической линии, но и по линии Красного Креста. В частности, в конце 1919 – не позже февраля 1920 года Дипломатический представитель Совета Оборон Северного Кавказа и Дагестана при правительствах Армении и Грузии Гайдар Бамматов имел встречи с представителями и миссиями Англии, Италии, Франции и США, расквартированными в Баку, Тифлисе и Ереване. Со стороны американских представителей Г. Бамматов встретил «сочувственное отношение и готовность быть нам полезным» *[Сулаев, 2004: 42]*. Американский комитет помощи на Ближнем Востоке предложил горцам Северного Кавказа реальную помощь медикаментами, бельём, сгущённым молоком и тёплыми вещами. Американцы ему сообщили о прибытии из Константинополя парохода с грузом упомянутых вещей и в связи с этими отношениями с Америкой, «отношениями, которые можем углубить и укрепить, нам нужно открыть консульство в Батуми и Потти, так как грузы нам будут передаваться в каком-либо из этих портов. Дальнейшая перевозка должна быть осуществлена нами. Наши агенты в Батуми и Потти нам крайне будут полезны и для наших закупок, и для связи с Константинополем. Для осуществления этого и для перевозки, я прошу отпустить мне аванс в 200.000 рублей» *[Сулаев, 2004: 43]*.

Усилиями Дипломатического представителя Г. Бамматова, составлялись коммерческие проекты с иностранными фирмами на поставки промышленной и военной продукции в обмен на дагестанское сырьё и сельхозпродукты, а с правительством Грузии велись переговоры о льготных условиях пропуска экспортно-импортных товаров через черноморские порты (имелось в виду – Батуми и Потти – И.С.). В письме Совету Оборон того же Бамматова указывается и объём товаров – более 100 тысяч пудов экспортных и 150 тысяч пудов импортных ежемесячно *[Сулаев, Асланидзе, 2013: 21]*.

Правительство Грузии выражало свою заинтересованность в воссоздании Горской Республики, в тоже время вело переговоры с отдельными горскими деятелями, пытаясь выяснить влияние большевиков и вероятность захвата руководства Совета Оборон Северного Кавказа и Дагестана большевиками *[Сулаев, 2004: 20]*.

Такие же попытки получения признания правительством Грузии предпринимал и глава марионеточного правительства Северокавказского Эмирата Узуна-хаджи Салтинского, обосновавшегося в чеченском ауле Ведено с лета 1919 года.

В 1919 году Батуми занимают военные формирования англичан, так как оставался важным пунктом торгово-экономического обмена противоборствующих сторон. Например, в сентябре 1920 г. из Крыма в Батум и Потти поступали военные грузы «белых» и врангелевские офицеры, призванные бороться с «красными». Среди прибывших в Батуми был и генерал Пиковский, назначенный официальным представителем Врангеля в Грузии, полковник Кизильбаш, привезший на формирование контрреволюционных частей до 10 миллионов рублей денег *[Разгон, 1945: 116]*. В тоже время, в Тифлисе осели сбежавшие от большевиков члены горского, кубанского, терского и иных других правительств Кавказа *[Разгон, 1945: 116]*.

Первый советско-турецкий договор от 16 марта 1921 года, заключённый народным комиссаром по иностранным делам РСФСР Г.В. Чичериним и членом Всероссийского Центрального Исполнительного комитета Д.-Э. Коркмасовым (дагестанец – И.С.), устанавливал суверенитет Грузии над портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в статье 1 этого договора и составляющей часть Батумского округа [*Полный текст, <https://>*].

#### Список использованной литературы:

- Даниялов, 1960:** – Даниялов Г.Д., «Социалистические преобразования в Дагестане». Махачкала, 1960.
- Джидалаев, 1990:** – Джидалаев И.С., «Тюркизмы в дагестанских языках. Опыт историко-этимологического анализа». Махачкала, 1990.
- Документы, 2013:** – «Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии». Сборник документов. Тифлис, 1919.
- Очерки, 1973:** – «Очерки советского искусства Дагестана. 1917-1941 гг.» Махачкала, 1973.
- Полный текст, <https://>:** – Полный текст договора см.: <https://dfs-76.livejournal.com/103972.html> (Обратился к сайту 18.04.2021 г.)
- Разгон, 1945:** – Разгон И., Мельчин А. «Борьба за власть Советов в Дагестане (1917-1921 гг.)». Махачкала, 1945.
- Союз, 2013:** – «Союз Объединённых горцев Северного Кавказа и Дагестана (1917-1918г.г.), Горская республика (1918-1920гг) (Документы и материалы)». Издание второе, исправленное и дополненное. // Сост. Г.И. Какагасанов, Л.Г. Каймаразова. – Махачкала, 2013.
- Сулаев, Асланидзе, 2013:** - Сулаев И.Х., Асланидзе А.Ш. «Грузия в историографии Гражданской войны на Северо-Восточном Кавказе // Северо-Кавказский исторический дискурс Гражданской войны в России (1917-1922 гг.)». Материалы Международной научно-практической конференции, посвящённой 200-летию вхождения Дагестана в состав России, 20 октября 2013. г. Махачкала, 2013.
- Сулаев, 2004:** – «Сулаев И.Х. Совет Обороня Северного Кавказа и Дагестана: неизвестные страницы истории». Махачкала, 2004.

Imanutdin Sulaev H.

(Makhachkala, Republic of Dagestan, Russian Federation)

#### The City of Batumi in the History of the Union of Mountaineers of the North Caucasus and Dagestan (1917-1918), the Mountain Republic (1918-1920)

##### Abstract

The rapid collapse of the Tsarist autocracy in February 1917 caused all the peoples of the former Russian Empire, including the peoples of the Caucasus, to engage in historical creativity. The "parade of sovereignties" has begun in revolutionary Russia. In May 1917, the Union of the Highlanders of the North Caucasus and Dagestan was declared in Vladikavkaz, and a year later, in May 1918, the creation of the Mountain Republic was

announced. In connection with the danger of capturing Vladikavkaz by units of the Volunteer Army, Denikin, the government and the Parliament (Union Council) moved to the capital of the Dagestan region – the city of Temir-Khan-Shura. During these years, the city of Batumi became an important point for negotiations between the leaders of the Mountain Republic with representatives of the warring countries of the military blocs of the Entente and the Quadruple Alliance. On April 28, 1918, the city of Batumi was chosen by the Turkish side as the place of negotiations with representatives of the Transcaucasian government on the recognition of the independence of the Transcaucasian and North Caucasian Republics by its government. On May 8, 1918, a conference was held in Batumi, where representatives of the Union of Mountaineers of the North Caucasus concluded an agreement with the Turkish side on recognizing its independence. The same negotiations were held with representatives of the German government. The Batumi Conference of 1918 acquires an international character. In 1919, Batumi was occupied by British military formations. After the establishment of Soviet power, at a meeting in Batumi on March 28, 1921 with the participation of the heads of the Caucasian Bureau of the RCP (b) and the Revkom of Abkhazia and Georgia, it was decided to form the SSR of Abkhazia as a union republic.

## ბათუმის ღვთისმშობლის შობის ჩასახვის ეკლესიის ისტორიიდან<sup>1</sup>

**აბსტრაქტი:** წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილებულია ნეო-გოთიკური სტილით ნაგები ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის სახელწოდების და მისი მშენებლობის ისტორიის შესახებ.

საკათედრო ტაძარი „ღვთისმშობლის შობის“ სახელობისაა. არადა, სამეცნიერო ლიტერატურაში ტაძარი სხვადასხვა სახელით იხსენიება. ტაძარზე არსებული წარწერით იგი იწოდება „ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი მარიამისა“. საქართველოს საპატრიარქოს ვებ-გვერდზე ტაძარი იწოდება „ღვთისმშობლის შობის“ ეკლესიად. არის შემთხვევა, როდესაც ეკლესია იწოდება „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის“ სახელობის საკათედრო ტაძარად, ანდა „წმინდა ნინოს“ სახელად. უკანასკნელ პერიოდში ხმარებაში შემოვიდა „ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის“ სახელწოდება.

მიგვაჩნია, რომ სახელწოდების დაზუსტებისას ამოსავალი უნდა იყო რომაულ-ლათინური დოკუმენტები, რომლებიც აღიარებს: „ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვას“ და „ქალწული მარიამის ხორციელად ზეცად ამაღლებას“. „ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვის“ დოკუმენტი მიღებული იქნა 1854 წელს. რაც შეეხება „ქალწული მარიამის ხორციელად ზეცად ამაღლების“ დოკუმენტს, იგი, მიიღეს 1950 წელს. მაშასადამე, 1854 წლის დოკუმენტური წესიდან გამომდინარე, ს. ზუბალაშვილის ხელშეწყობით ბათუმში ნაგები კათოლიკეთა ყოფილი სამლოცველო უნდა იწოდებოდეს, როგორც „ღვთისმშობელი მარიამის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია“.

დაზუსტებას საჭიროებს სამეცნიერო ლიტერატურაში ტაძრის მშენებლობის შესახებ არსებული თარიღებიც (1897-1902 და 1898-1903). არადა, ტაძარზე არსებულ მემორიალურ დაფაზე აღნიშნულია 1898 წლის 12 აპრილი და 1902 წლის 21 ივნისი. ჩვენ ვთვლით, რომ სწორედ ტაძარზე არსებული მინაწერი გარკვევით მიუთითებს, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1898 წლის 12 აპრილს და დასრულდა 1902 წლის 21 ივნისს.

**საკვანძო სიტყვები:** ლათინური წესის კათოლიკური ეკლესია, ბათუმი, მეწარმე ზუბალაშვილი.

**Key Words:** Latin Rule Catholic Church, Batumi, Entrepreneur Zubalashvili.

\*\*\*

ქ. ბათუმის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი არის ნეო-გოთიკური სტილით წითელი ქვით ნაგები სამგუმბათოვანი ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი. ქართული ხუროთმოძღვრებისგან განსხვავებული არქიტექტურის გამო შენობა უმაღლ იპყრობს ყურადღებას. თუმცა, ცოტამ თუ იცის მისი ისტორია. თავდაპირველად, 1903 წელს იგი გაიხსნა როგორც კათოლიკური მრევლის ეკლესია, რომელიც საბჭოთა პერიოდში, ანტირელიგიური ბრძოლისას, დაიხურა და სხვადასხვა

<sup>1</sup> წინამდებარე კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (NFR17\_416).



(არქივი, მაღალი ძაბვის ლაბორატორია) სათავსოს ფუნქცია დაეკისრა. 1989 წელს, აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, შენობა გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. 2011 წლიდან ტაძარს კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1224440?publication>]. დღეს კი იგი ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მთავარი საკათედრო ტაძარია [ნაცვლიშვილი, 2019: 147].


ტაძარი აღმართულია მაღალ ფუნდამენტზე. იგი დასავლეთ-აღმოსავლეთ დერძზე წაგრძელებული ხუთწახნაგა შვერილი აფსიდის მქონე სამგუმბათოვანი ბაზილიკაა. შენობის სიგრძე 34 მეტრია, სიგანე – 23 მ., ხოლო სიმაღლე – 44 მ. ტაძარი გეგმით ლათინური ჯვრის კონფიგურაციისაა. მის აღმოსავლეთით საკურთხეველის



ორთავე მხარეს, მთავარი ნავისა და ტრანსეპტის კვეთაზე, განთავსებულია ერთსართულიანი საკრისტიები (კვადრატული ოთახები). დასავლეთი ფასადი ორი მაღალი სამრეკლო-კოშკით არის ფლანკირებული. ტაძრის გარე ნაწილი გოთიკური ჩუქურთმებითა არის მორთული, მთავარი შესასვლელის ზემო ნაწილის მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულ ნიშებში დგას წმ. ნინოსა და წმ. ანდრია პირველწოდებულის ქანდაკებები. აღმოსავლეთ ფასადზე ქართულ და ფრანგულ ენებზე ამოკტივრული არის ტაძრის სახელწოდება, მისი მშენებლობის

წლები და ამგების – სტეფანე ზუბალაშვილის სახელი. ტაძარი დამშვენებულია ფერადი ვიტრაჟული სარკმლებით. შენობის ინტერიერში სხვადასხვა წმინდანის, ძველი და ახალი აღთქმის ამსახველი სცენები შემკობილი არის ცისფერი, ბორდოსფერი და ოქროსფერი ფერებით. არსებითად, თავისი იერსახით, ნაგებობა მნახველში პარიზის ნოტრ-დამის კათედრალის ასოციაციას იწვევს.

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარის მიმართ არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებს. ერთ-ერთი არის საკითხის ტაძრის სახელწოდების შესახებ. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო საკითხია, მაგრამ ვინაიდან, სამეცნიერო ლიტერატურაში იგი სხვადასხვა სახელით იხსენიება, ამიტომაც მასზე მივაპყრობთ ყურადღებას.



ტაძარზე არსებული წარწერა

ტრადიციით, ივერიის გაქრისტიანება ღვთისმშობელ მარიამს დაევალა, ამის გამო მისი სახელობის ტაძრები პოპულარული არის საქართველოში. ისინი შესაძლებელია იყოს, როგორც „ღვთისმშობლის შობის“ (მაგ., დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი...), ან წმინდანის „მიძინების“ (მაგ., ბაღდის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია...), ან „ღვთისმშობლის ხარების“ (მაგ., ქუთაისში ღვთისმშობ-

ლის ხარების ეკლესია)

სახელზე. რაც შეეხება „ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სახელობის ეკლესია“-დ მისი ხსენება, როგორც ეს არის ევროპის და ამერიკის ქვეყნებში, მსგავსი სახელწოდების ტაძრები თანამედროვე საქართველოში არ გვაქვს.

ბათუმში მდებარე საკათედრო ტაძარი „ღვთისმშობლის შობის“ სახელობისაა. არადა, სამეცნიერო ლიტერატურაში ტაძარი სხვადასხვა სახელით იხსენიება. ერთი შეხედვით ეს თითქოს უმნიშვნელო საკითხია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი დაზუსტებით მოიხსნება ლიტერატურაში ტაძრის სხვადასხვა სახელით ხსენების პრაქტიკა. ტაძარზე არსებული წარწერით იგი იწოდება „ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი მარიამისა“. აქ არ ჩანს კონკრეტული სახელი – საუბარი წმინდანის შობაზეა თუ უბიწოდ ჩასახვაზე, ანდა მიძინებაზე. საქართველოს საპატრიარქოს ვებ-გვერდზე ტაძარი იწოდება „ღვთისმშობლის შობის“ ეკლესიად. არის შემთხვევა, როდესაც ეკლესია იწოდება „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის“ სახელობის საკათედრო ტაძრად, ანდა „წმინდა ნინოს“ სახელიად [გვარი ვაზისა, 1988: 30]. უკანასკნელ პერიოდში ხმარებაში შემოვიდა „ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის“ სახელწოდება [ნაცვლიშვილი, 2019: 131-146].

სახელწოდების დაზუსტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ თუ რა კუთხით ვუდგებით საკითხს. ფაქტია, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადმოცემის შემდეგ, 1989 წლიდან, როდესაც კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-ის ტაძარი აკურთხა, მას ეწოდა ბათუმის „ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი“ (Holy Mother Virgin Nativity Cathedral), ანდა მოკლედ – „ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“. მაშასადამე ორთოდოქსებისთვის იგი ამ სახელწოდებისაა და ასე იხსენიება ყველა ოფიციალურ ვებ-გვერდზე. რაც შეეხება კათოლიკე მრევლს, მათვის ეკლესიის ორთოდოქსების სახელწოდება გაურკვეველობას იწვევს. საქმე იმაშია, რომ 1903 წელს ტაძარი ეკურთხა „ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი მარიამი“-ს სახელიად. მაშასადამე, კათოლიკეებისთვის იგი ამ სახელწოდების იყო და ასევე რჩება. რაც შეეხება ტაძრის „ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის“ სახელიად ხსენება, უნდა ითქვას, რომ მსგავსი სახელწოდების ტაძარი ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში არსებობდა. ასე იწოდებოდა „ყოვლად ქალწულ წმიდა მარიამის უბიწოდ ჩასახვის“ ქუთაისის კათოლიკური ტაძარი (1862). უდეს „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების“ ტაძარი (1904-1906) და სხვ.

ბათუმში არსებული ტაძრის სახელწოდების გარკვევისას ამოსავალი უნდა იყო რომაულ-ლათინური დოგმატები, რომლებიც აღიარებს: „ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვას“ და „ქალწული მარიამის ხორციელად ზეცად ამაღლებას“. „ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვის“ დოგმატი მიღებული იქნა 1854 წელს. რაც შეეხება „ქალწული მარიამის ხორციელად ზეცად ამაღლების“ დოგმატს, იგი, მიიღეს 1950 წელს [http://www.orthodoxy.ge/apologetika/katolitsizmi7.htm]. მაშასადამე, 1854 წლის დოგმატური წესიდან გამომდინარე, ს. ზუბალაშვილის ხელშეწყობით ბათუმში ნაგები კათოლიკეთა სამლოცველო უნდა იწოდებოდეს, როგორც „ღვთისმშობელი მარიამის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია“. ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის კურთხევის ცერემონიალის აღმწერი კონსტანტინე გვარამაძე (1867-1943) ტაძარს მოიხსენიებს როგორც „ღვთისმშობელი მარიამის უმანკოდ ჩასახვის ეკლესია“ [გვარამაძე, 1903: 10]. „უმანკო“ და „უბიწო“ სინონიმებია. როგორც ვხედავთ, ტაძრის თავდაპირველი სახელწოდება, მისი ოფიციალურად კურთხევის შემდეგ ყოფილა – „ღვთისმშობელი მარიამის უბიწოდ (უმანკო) ჩასახვის ეკლესია“, რაც შემდგომში მივიწყეს.

რაც შეეხება ტაძრის მშენებლობის ისტორიას, უნდა შევნიშნოთ, რომ მისი აგება XIX ს-ის II ნახევარში ბათუმში დროის მოთხოვნით იყო განპირობებული და იგი მოსახლეობის ეთნიკურად მზარდმა მრავალფეროვნებამ განსაზღვრა. 1883 წლიდან

რკინიგზით ბათუმის მიერთებამ თბილის-ბაქოსთან და პორტის მშენებლობამ, ქალაქის სამრეწველო მნიშვნელობა გაზარდა. ადგილობრივი და სხვა რეგიონებიდან შემოსული მოსახლეობის ხარჯზე იგი მრავალკონფესიურად გახდა. XIX ს-ის მიწურულს ქალაქში ფუნქციონირებდა მუსლიმური, მართლმადიდებლური და სომხურ-კათოლიკური სალოცავები, თუმცა არ არსებობდა ლათინური წესის კათოლიკური ეკლესია. თავიანთი ეკლესიის არ ქონის გამო ქალაქში მცხოვრები ლათინური წესის კათოლიკეები რელიგიურ რიტუალებს მართავდნენ სომხურ-კათოლიკურ ეკლესიაში, რაც მათ მრევლს დისკომფორტს უქმნიდა. ვინაიდან, თავიანთ ეკლესიაში სომხებს დომინირებული მდგომარეობა ეკავათ, ამიტომაც ისინი ლიტურგიას სომხურ ენაზე ატარებდნენ [*ჭიჭინაძე, 1903: 11; ნაცვლიშვილი, 2019: 132*]. ეს მაშინ, როცა 1898 წელს რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერით ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ლათინური წესის 20 ათასი კათოლიკე სახლობდა [*ზარდაველიძე, 2018: 48*].

ბათუმში ლათინური წესის ეკლესიის მშენებლობა არის ერთი პირის – პადრე ანსელმ (ანსელიმო) მღებრიშვილის და მეწარმე სტეფანე ზუბალაშვილის (1860-1904) დამსახურება. სწორედ ისინი გახდნენ ქართველ კათოლიკეთა ყველაზე ამბიციური პროექტის სულისჩამდგმელები. სამწუხაროდ, ს. ზუბალაშვილის სახელის ფონზე პადრეს ღვაწლი ერთგვარად დაკნინდა. უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავს მიდგომას სათავე დაუდო ზაქარია ჭიჭინაძემ (1853-1931), რომელმაც ტაძრის შესახებ პუბლიკაციაში ეკლესიის მშენებლობა ძირითადად ზუბალაშვილის დამსახურებად ჩათვალა და პადრეს წვლილი მეორე რანგში გადაიტანა. არადა, ბათუმში ეკლესიის მშენებლობის საქმის მოგვარებას პადრე ანსელმ მღებრიშვილი 1890 წელს ბათუმში ჩამოსვლისას შეუდგა. მან შესძლო ქალაქის ბიუროკრატიის გადალახვა და მშენებლობის ნებართვის მოპოვება. რაც შეეხება ს. ზუბალაშვილს, რომლის ძალისხმევითაც დასრულდა ტაძრის მშენებლობა, მისი საქმეში ჩართვა ასევე ანსელმ მღებრიშვილის დამსახურება იყო. ასე რომ, ტაძრის მშენებლობის საქმეში პადრე ანსელმ მღებრიშვილის წვლილი განუზომელია.

ზ. ჭიჭინაძე მიიჩნევდა, რომ ლათინური წესის კათოლიკური ტაძრის ადგილი წმინდა იყო ქრისტიანებისთვის, რადგანაც ოსმალების ბატონობისას თითქოს იქ ხდებოდა მორწმუნეების სიკვდილით დასჯა („სახრჩობელა და თავ-საკვეთი“) [*ჭიჭინაძე, 1903: 4*]. მასშასადამე, ქრისტიანებისთვის წმინდა ადგილზე გამართლებული იყო იქ ტაძრის მშენებლობა. აქ ძნელია ავტორს დაეთანხმო, რადგანაც ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე ტაძრის ადგილზე იყო დაჭაობებული მცირე ზომის ტბა და იქ გილიოტინის მოწყობის აზრი იკარგებოდა. მეორეც, არ გვაქვს ირიბი სხვა ცნობა, რომელიც ტაძრამდელ ადგილზე ამ ფაქტს დაადასტურებდა.

ჩვენთვის უცნობია პადრეს გვერდით მყოფი ტაძრის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი იყო ბათუმში მოღვაწე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი მეწარმე ნიკოლოზ საბაევი (საბაშვილი) (1860-1934). იგი მრწამსით კათოლიკე იყო. მისი მხრიდან ეკლესიის მშენებლობის ხელშეწყობის ერთ-ერთი პირველი ქვეტი იყო მიწის ნაკვეთი, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა და იჯარით გადაცემული იყო მასზე. მან მის სარგებლობაზე უარი თქვა და ტერიტორია კათოლიკეებს დაუთმო [*გვარამაძე, 1903: 38; ნაცვლიშვილი, 2019: 133*].

ჭიჭინაძის ცნობით, ტაძრის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფს ბათუმის თვითმართველობაში განცხადება შეუტანიათ 1896 წელს. ნებართვის მიღების შემდეგ შე-

უდგენიათ ტაძრის პროექტი. მისი დამტკიცების შემდეგ, 1897 წლის 12 იანვრიდან, დაუწყიათ მშენებლობისთვის საჭირო თანხის შეგროვება *[ჭიჭინაძე, 1903: 12]* და მომავალი ტაძრისთვის ადგილის ძიება. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მომენტების თხრობისას ზ. ჭიჭინაძესთან გვაქვს ფაქტების აღრევა. საქმე იმაშია, რომ მისი ცნობით ტაძრის საძირკველის გაჭრა დაუწყიათ 1897 წლის 12 იანვარს სტეფანე ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით *[ჭიჭინაძე, 1903: 12-13]*. იგივეს, ოღონდ თარიღის გარეშე ადასტურებს გვარამაძეც, რომელიც მიუთითებს, რომ ზუბალაშვილს მათთან მისულ საბავეისთვის და პადრესთვის მიუცია 15 ათასი მანეთი, რომლითაც დაწყებულა საძირკველის გათხრა *[გვარამაძე, 1903: 38-39]*. პრინციპში ეს არ არის მთავარი საკითხი. ფაქტია, რომ მშენებლობის საწყის ეტაპზე პადრეს ეპისტოლეებში არ ფიგურირებს მეცენატის სახელი. ამის მაგალითია 1898 წლის 26 თებერვალს ანსელმ მღებრიშვილის ეპისტოლე მიხეილ თამარაშვილისადმი (1858-1911), რომელშიც ავტორი წერდა, რომ ტაძრის მშენებლობისთვის მას სჭირდებოდა 80 ათასი მანეთი *[ნაცვლიშვილი, 2015:16]*. ამონარიდი პადრეს ეპისტოლეიდან გვაფიქრებინებს, რომ ეკლესიის მშენებლობის საწყის ეტაპზე მეცენატი არ ფიგურირებდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ XIX-XX სს-ბის მიჯნაზე ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ეკლესიების მშენებლობას ხშირად მოუშზადებლად იწყებდნენ, ანუ წინასწარ არ იყო გათვლილი საჭირო თანხის რაოდენობა, დრო და ა.შ. *[ნაცვლიშვილი, 2015: 9]*. მშენებლობის ყველა დეტალის გაუთვლელად დაწყების პრაქტიკა მხარდაჭერას არ ჰპოვებდა პაპის ნუნციოში, ამიტომაც მშენებლობის ინიციატორები ცდილობდნენ საქმეში სხვადასხვა ქველმოქმედების ჩართვას. ჩანს, მსგავსი ვითარება შეიქმნა ბათუმშიც, როდესაც პადრე ანსელმ მღებრიშვილმა წამოიწყო ეკლესიის მშენებლობა, საჭირო თანხის შეგროვება მას მეგობრებმა ევროპა-ამერიკაში ურჩიეს *[ნაცვლიშვილი, 2015: 11]*.

ტაძრის მშენებლობის სხვადასხვა თარიღი (1897-1902 და 1898-1903) ფიგურირებს სამეცნიერო ლიტერატურაში. არადა, ტაძარზე არსებულ მემორიალურ დაფაზე არსებულ მინაწერზე გარკვევით აღნიშნულია 1898 წლის 12 აპრილი და 1902 წლის 21 ივნისი. ეს თარიღები მიუთითებს, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1898 წლის 12 აპრილს და დასრულდა 1902 წლის 21 ივნისს. აღნიშნული თარიღები ცნობილი იყო ზ. ჭიჭინაძისთვის, მაგრამ ეკლესიის საფუძვლის მშენებლობის დაწყებას იგი მაინც 1897 წლის 12 აპრილით ათარიღებდა *[ჭიჭინაძე, 1903: 13]*. რაც შეეხება გვარამაძეს, მშენებლობის დასრულებას იგი 1903 წლით ათარიღებს *[გვარამაძე, 1903: 39]*. ეკლესიის მშენებლობის ქრონოლოგიის საკითხში ჩვენ ვიზიარებთ ნ. ნაცვლიშვილის პოზიციას, რომელიც ტაძრის აგებას 1898-1902 წლებში მოიაზრებს *[ნაცვლიშვილი, 2019: 141]*.

უაღრესად პომპეზურად ჩატარდა ეკლესიის კურთხევის ცერემონიალი, რომელიც გაიმართა 1903 წლის 4 მაისს. აღნიშნული საქმის ორგანიზება ითავა ს. ზუბალაშვილმა, რისთვისაც იგი დაკავშირებია ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოს ბარონ ედუარდ დე როპსს. ეთნოლოგ და ფოლკლორისტ კ. გვარამაძეს საინტერესოდ აქვს აღწერილი ტაძრის კურთხევის ცერემონიალი, ამიტომაც ამ პასაჟის გაშუქებისას მას დავესესხებით.

ბარონი დე როპი (გერმ. Eduard Michael Johann Maria Baron von der Ropp) უდავოდ საინტერესო ფიგურა გახლდათ, რამდენადაც იყო ღვთისმსახური, ეპისკოპოსი,




ბარონი დე როჰკი  
-1906 წ.

არქიეპისკოპოსი, იურისტი, პოლიტიკოსი, ლიტვის და ბელორუსიის კონსტიტუციურ-კათოლიკური პარტიის დამაარსებელი და რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი. 1902 წელს პაპმა ლეო XIII (1878-1093) იგი რუსეთის იმპერიის რომაულ-კათოლიკური ეპარქიის ტირასპოლის ეპისკოპოსის რანგში აიყვანა **[დაწვრილებით იხ. Серова, 2012: 110-131; Лавринович, 2017].**

1902 წლისთვის ტირასპოლის ეპარქია შედგებოდა 87 სამრევლოს და 34 ფილიალის ეკლესიისაგან, 131 მღვდლისგან და 298 ათასი მრევლისგან. 1905 წლის „ტოლერანტობის პრინციპების გამძლიერების მანიფესტის“ შემდეგ, რომელმაც რუსეთის იმპერიაში გააუქმა სისხლის სამართლებრივი სასჯელი მართლმადიდებ-

ბლობის დატოვების გამო, ეპარქიის ტერიტორიაზე დაახლ. 2 ათასი მართლმადიდებელი მოექცა კათოლიკურ მრწამსზე. ტირასპოლის ეპარქიის ტერიტორია მოიცავდა ასტრახანის, ეკატერინოსლავის, სამარას, სარატოვის, სტავროპოლის, თავრიდისა და



ეკლესიის კურთხევის  
ცერემონიალი

ხერსონის პროვინციებს, ასევე ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს და ბესარაბიას. ეპარქია დაყოფილი იყო 11 დეკანად (ეპარქიის შემადგენელი ადმინისტრაციული ოლქი – ავტ.). მათგან პიატიგორსკი-ტფლისის დეკანატში შედიოდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის რეგიონების სამრევლოები **[Католическая энциклопедия, 2011: 1337].**

ტირასპოლის ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო ქ. სარატოვში. რამდენადაც ქუთაისის გუბერნია მის იურისდიქციაში შედიოდა, ამიტომაც ბარონმა დე როჰკმა თავად ითავა ტაძრის კურთხევა. ეს იყო უპრეცე-

დენტო ფაქტი, როდესაც კათოლიკე ეპისკოპოსი ჩამოდიოდა საქართველოში და პირადად ასრულებდა ეკლესიის კურთხევას. ეპისკოპოსი თბილისის გავლით მატარებლით ბათუმში 1903 წლის 2 მაისს, საღამოს 10 საათზე ჩამოვიდა. მისი თანმხლები პირები იყვნენ სარატოვის კათოლიკური სემინარიის რექტორი, პროფ. დონ ივანე ანტონიშვილი, თბილისის ვიზიტატორი ბარანოვსკი, ეკატერინოსლავის მოძღვარი პადრე დამიანე სააკაშვილი (1865-1940), სტეფანე ზუზალაშვილი, მღვდელი ივანე გვარამაძე (1831-1912) სხვ. რკინიგზის სადგურიდან ეპისკოპოსი წაბრძანდა კათოლიკეთათვის დროებით სამლოცველო სახლში, ხოლო შემდეგ დაბინავდა საბაევთან **[გვარამაძე, 1903: 6-7].**

ეკლესიის კურთხევის ცერემონიალი გაიმართა 4 მაისს, კვირა დღეს. იგი დაიწყო 10 საათზე დაიწყო და დასრულდა 14 საათისთვის, რომელიც შთამბეჭდავი დარჩა. პროცესიის ცერემონიალური იყო დონ ივანე ანტონიშვილი. წესისამებრ, ეპისკოპოსმა მირონი სცხო ტრაპეზებს და სვეტებს, შემდეგ სასხურებლით სამჯერ შემოუა-

რა ეკლესიას და მის კედლებს მიასხურა ნაკურთხი წყალი. რიტუალის დასრულების შემდეგ ეპისკოპოსმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა *[გვარამაძე, 1903: 10-11]*, ხოლო შემდეგ ტაძარში პირველი წირვა აღავლინა.

იმავე დღეს, 17 საათზე, ზუბალაშვილის ხარჯით, ქალაქის საბჭოს დარბაზში ეპისკოპოსის სახელზე გაიმართა სადილი. მოწვეულ პერსონებში იყვნენ ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი, გუბერნატორი და სხვადასხვა საელჩოს წარმომადგენლები, სულ 150 სტუმარი *[გვარამაძე, 1903: 15]*. სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეპისკოპოსმა ხაზი გაუსვა ზუბალაშვილის დამსახურებას ეკლესიის მშენებლობის საქმეში და ტაძრის ვიზუალურ მხარეს, როგორც საუკეთესოს რუსეთის იმპერიაში და საქართველოს ბუნების სიმშვენიერეს. მეორე დღეს, ეპისკოპოსმა, კვლავ წირვა ჩაატარა, მირონი სცხო 500 მორწმუნეს და საღამოს 23 საათზე მატარებლით ქუთაისს გაემართა *[გვარამაძე, 1903: 17]*.

ბათუმის ლათინური წესის კათოლიკეთა ეკლესიის შესახებ საუბარს დავასრულებთ ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით. ტაძრის შესახებ იგი წერდა: „ეს ეკლესია თვალია მთელი ბათუმისა და თვალია მთელ იმ მაჰმადიანი ქართველებისაც კი, რომელნიც ამ ქალაქს ახვევიან გარს“ *[ჭიჭინაძე, 1903: 8]*. მკვლევარი ასევე მიუთითებდა ტაძრის როლს ეროვნული ცნობიერების საქმეში: „...თავის გარეგან შეხედულებით დიდათ იზიდავს არა მარტო ქრისტიანთ ყურადღებას, არამედ ქართველ მაჰმადიანებსაც კი...“, რომელნიც ამ ტაძარს მუდამ დღე გავლა-გამოვლის დროს დიდის სიამოვნებითაც ათვალიერებენ... ხსენებულის ეკლესიის მღვდელს ყოველის ხატის და სურათის ცნობებს დიდის ცნობის მოყვარეობით ჰკითხავდნენ და ყოველ მიგებულ სიტყვას და მცნებასაც დიდის პატივისცემით ისმენდნენ... იგი ასე ანათებს და ასხივებს თვით ქართველთ მაჰმადიანთ ფანატიკ გონებაშიაც“ *[ჭიჭინაძე, 1903: 9]*.

#### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

**ბარდაველიძე, 2018:** – ბარდაველიძე ნ., „საქართველოში კათოლიკური ეკლესიის ისტორიის ნარკვევები“, თბილისი, 2018.

**ნაცვლიშვილი, 2015:** – ნაცვლიშვილი ნ., „კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: მშენებლები და შემწირველები“, კადმოსი, №7, 2015, გვ. 7-21.

**ნაცვლიშვილი, 2019:** – ნაცვლიშვილი ნ., „კათოლიკური ეკლესიები საქართველოში: ისტორია და არქიტექტურა“, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2019.

**გვარამაძე, 1903:** – გვარამაძე კ., „ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე როპი და მისი მოგზაურობა საქართველოში“, თბილისი, 1903.

**ოგიცკი:** – ოგიცკი დ., კოზლოვი მ., „რომაული კათოლიციზმი“; ინტერნეტ-მისარმათი: <http://www.orthodoxy.ge/apologetika/katolitsizmi8.htm>

**ტოტოჩავა, 1903:** – ტოტოჩავა გ., „ხსოვნა გულისა, ჯვარი ვაზისა“, თბილისი, 1903.

**ჭიჭინაძე, 1903:** – ჭიჭინაძე ზ., „ღვთისმშობლის კათოლიკეთა ეკლესია ბათუმში“, ტფილისი, 1903.

**Лавринович, 2017:** – Лавринович Д., «Конституционно-католическая партия Литвы и Белоруссии в общественно-политической жизни начала XX века», 2017; ინტერნეტ-მისარმათი: <https://zapa-drus.su/-za-prus/istbl/1610-konstitutsionno-katolicheskaya-partiya-litvy-i-belorussii-v-obshche-stve-nno-politicheskoy-zhizni-nachala-xx-veka.html>

**Серова, 2012:** – Серова О., «Барон фон дер Ропп, Вопросы истории», №11, с. 110-131, Москва, 2012.

**Тираспольская епархия:** – «Тираспольская епархия», Католическая энциклопедия. IV. Москва, 2011.

**Kakhaber Surguladze, Irakli Baramidze,  
Khatuna Diasamidze, Tatiana Kopaleishvili  
(Batumi, Georgia)**

### **From the History of Immaculate Conception Church of Batumi**

#### **Abstract**

This article focuses on the name of the Batumi Cathedral of the Nativity of the Virgin and the history of its construction, built in neo-Gothic style.

The cathedral is named after the "Nativity of the Virgin". However, in the scientific literature the temple is mentioned by different names. According to the inscription on the temple, it is called "Mary, the All-Holy Mother of God." According to the website of the Georgian Patriarchate, the church is called the Church of the Nativity of the Virgin. There is a case when the church is called the Cathedral of the Nativity of the Blessed Virgin Mary or St. Nino. Recently, the name "Church of the Immaculate Conception of the Virgin" came into use.

We believe that the origin of the name should be based on Roman-Latin dogmas, which recognize: "the Immaculate Conception of the Virgin Mary" and "the Ascension of the Virgin Mary to heaven in the flesh." The dogma of the "Virgin Mary conceiving" was adopted in 1854. As for the dogma of "Virgin Mary ascending to heaven in the flesh", it was adopted in 1950. Therefore, according to the dogmatic rule of 1854, the former Catholic chapel built in Batumi with Zubalashvili's support should be called the "Church of the Immaculate Conception of the Blessed Virgin Mary."

The dates of the construction of the temple in the scientific literature (1897-1902 and 1898-1903) also need to be clarified. However, the memorial plaque on the temple mentions April 12, 1898 and June 21, 1902. We believe that the inscription on the temple clearly indicates that the construction of the church began on April 12, 1898 and was completed on June 21, 1902.



## ბათუმი X საუკუნეში

**აბსტრაქტი:** ნაშრომი ეძღვნება ადრეშუასაუკუნეების ბათუმის ისტორიის ერთ კონკრეტულ საკითხს. კერძოდ, შესწავლილია საქალაქო დასახლებების დღემდე უცნობი უბანი „კოლორი“. რომელიც წარმოადგენს ბათუმის ისტორიის შემადგენელ ნაწილს. ასრულებდა სასოფლო უბნის ფუნქციას. უფრო მეტად წამყვანი უნდა ყოფილიყო სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობა. აღნიშნული პრობლემატიკის შესასწავლად საინტერესო ცნობები იქნა მოძიებული ძველ ბერძნულ და მოგვიანო პერიოდის ოსმალურ წყაროებში. ასევე, ისინი შეიცავენ სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას ადრეული ხანის ბათუმის შესახებ.

ნაშრომს ერთვის ავტორების მიერ შედგენილი ძველი ბათუმის გეგმა.

**საკვანძო სიტყვა:** ბათუმი, უბანი, „კოლორი“, ძველი საქალაქო დასახლებების გეგმა.

**Key words:** Batumi, district, „Color“, Old Urban Settlement Plan.

\* \* \*

2500 წლოვანი ბათუმის ისტორიის ხანგრძლივ და შეუსწავლელ პერიოდს წარმოადგენს შუასაუკუნეები. როგორც ცნობილი მწერალი და ღირსეული ბათუმელი ნუგზარ ჯაფარიძე წერდა: „საუკუნოვან შრეებშია დაჩუმქრული ბათუმის წარსული“. საკვლევი პერიოდის შესწავლას აფერხებს წყარო-მასალის დიდი სიმცირე<sup>1</sup>. დროდადრო მარგალიტივით გამოვლინდება ქართულ თუ უცხოურ წერილობით ძეგლებში დაუნჯებული ძვირფასი ცნობები. რაც გვაძლევს შესაძლებლობას შევისწავლოთ ბათუმის წარსულის ეს თუ ის ასპექტი. ამ მხრივ საინტერესოა X საუკუნის ბიზანტიელი მოღვაწისა და სწავლულის კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობები.

კონსტანტინე პორფიროგენტი 912-959 წლებში იყო ბიზანტიის კეისარი. იგი არის ავტორი თხზულების: „იმპერიის მართველობის შესახებ“. მასში მიმოხილულია X ს-ის 50-იან წლებამდე იბერიის ანუ „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური მდგომარეობა. საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „აშოტ პატრიკოსს<sup>2</sup>, რომელიც იყო ქ. ადრანუჯის (არტანუჯი) მფლობელი, სიძემ გურგენ მაგისტროსმა<sup>3</sup>, რომელმაც სიმამრისგან ხელისუფლება მიიღო, ძალით წაართვა თა-

<sup>1</sup> ამ ვაკუუმის შევსების მცდელობას წარმოადგენს ქალაქ ბათუმის წარსული ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვეობის შესწავლის პროექტი „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“. პროექტის ავტორია ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი მალხაზ სიორიძე. პრობლემატიკას გარკვეულად ეხება გამოქვეყნებული შრომები: Калыфоглы И., 2006; ა.კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989; შ.მამულაძე, რ.უზუნაძე, 2009; ნ.ინაიშვილი, 2009; ი.სინარულიძე, 1958; რ.უზუნაძე, 2009; რ.უზუნაძე, 2013; რ.უზუნაძე, რ.სურმანიძე, ნ.ზოსიძე, 2013; რ.უზუნაძე, მ.უზუნაძე, 2017; ლ.ურუშაძე, 1989.

<sup>2</sup> აშოტ პატრიკოსი, იგივე აშოტ კუხი, ერისთავთერისთავი (908-918 წწ), გურგენ I კურაპალატის შვილი.

<sup>3</sup> გურგენ დიდი მაგისტროსი მართავდა იბერიას ანუ „ქართველთა სამეფოს“ 918-941 წლებში. იყო აშოტ დიდი კურაპალატის ჩამომავალი. მან შემოიმტკიცა და გააძლიერა „ქართველთა სამეფო“. ისტორიაში ცნობილია „დიდი გურგენის“, „დიდი ერისთავთერისთავის ეპითეტით [ზოგვერად, 2012: 211; საქართველოს ისტორიული ატლასი, 2016: VIII]. ქართული საისტორიო



ვის სიმამრს აშოტს ადრანუჯი (არტანუჯი) და ამის სანაცვლოდ მისცა მას ტარო-კასტრონი<sup>4</sup> და აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა“ *[კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952: 276]*, დადგენილია, რომ აჭარისწყლის გასწვრივი ქვეყანა იყო აჭარა *[მუსხელიშვილი, 1980: 144; მისივე, 2007: 92; ვარშანიძე, 1990: 55-56]*. იმავე ცნობებით, იბერიის „ქართველთა სამეფო“ აჭარის ზღვისპირეთში მოიცავდა მდ. ყოროლისწყალის შესართავიდან ქობულეთის დაბლობის ჩათვლით ტერიტორიას *[მუსხელიშვილი, 2007: 92; დიასამიძე, 2009: 73]*. მითითებულ მასალასთან დაკავშირებით აკად. დ. მუსხელიშვილი მიუთითებს: კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობა ბევრად ძველია *[მუსხელიშვილი, 1980: 143]*. კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით, აჭარის ზღვისპირეთში იბერიის („ქართველთა სამეფოს“) სასაზღვრო პუნქტი რომანიასთან (ბიზანტია) ყოფილა კოლორი *[კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952: 276]*. იგი წარმოადგენდა დაბას *[გეორგიკა, 1952: 371]*.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს პუნქტი „კოლორი“. რომლის ისტორია დაკავშირებულია ანტიკური და შუასაუკუნეების ხანის ბათუმთან. გამოკვლეულია, რომ ადგილის სახელწოდება „კოლორი“ არის ქართული „ყოროლის“ სახენაცვალი ფორმა<sup>5</sup> *[მუსხელიშვილი, 1990: 55]*. ქართულ სინამდვილეში „ყოროლისგან“ წარმომდგარია ტოპონიმები: ყოროლის ხევი (ხევი, სადაც მოედინება მდ. ყოროლისწყალი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი), ყოროლისთავი (სოფელი ხეობაში), ყოროლისწყალი (ჰიდრონიმი). ისინი ჩრდილოეთიდან და ჩრდილო აღმოსავლეთიდან უშუალოდ ესაზღვრებიან ბათუმის გორა ნასახლარს. ბათუმის (თამარის) გორა მდებარეობს მდ. ყოროლისწყალის შესართავთან, მარცხენა სანაპირო მონაკვეთში. „კოლორი“/„ყოროლი“ ასრულებდა ბათუმის საქალაქო დასახლებების სასოფლო უბნის ფუნქციას<sup>6</sup>.

ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, X საუკუნის პირველი ნახევრის იბერიასა და ბიზანტიას შორის ზღვისპირეთში საზღვარი გადიოდა მდ. ყოროლისწყალზე *[მუსხელიშვილი, 2007: 92; გოგიტიძე, 2002: 100]*. ყოროლისწყალის მარცხენა სანაპიროდან ტერიტორიები შედიოდა რომანიის (ბიზანტიის) საზღვრებში *[კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952: 276; მუსხელიშვილი, 2007: 92]*. აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ ხანას თავის ისტორიული გეოგრაფია შეესაბამება“ *[ბერძენიშვილი, 1990: 10]*.

შესასწავლ პრობლემატიკასთან მიმართებაში პირველყოვლისა უნდა ავლენინოთ, რომ არის მოსაზრება ყოროლის ბათუმთან იგივეობის შესახებ *[მუსხელიშვილი, 1980; სეა, 2012: 452; სია, 2016: 11-13]*. როგორც საკითხის შემდგომმა შესწავლამ გვიჩვენა, საკვლევი პერიოდისათვის, ურთიერთკავშირში არსებობდა ბათუმის საქა-

---

წყაროს დახასიათებით – გურგენ ერისთავთერისთავი „დიდი ხელმწიფე, ფრიადთა ნათესავთა“ *[გიორგი მერჩულე, 1978: 163]*.

<sup>4</sup> ისტორიული ყველის ციხე. მდებარეობდა შავშეთის, აჭარისა და ჯავახეთის საზღვარზე, აჭარისწყლის სათავეებთან.

<sup>5</sup> აკად. ს.ყაუხჩიშვილი აღნიშნავს: არცთუ იშვიათია ბერძნულში ქართულ გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებების დამახინჯებული სახით მითითება *[გეორგიკა, 1952: 294]*.

<sup>6</sup> მისი წარსულიდან გამომდინარე, არაა გამორიცხული კოლორი (ყოროლი) წარმოადგენდა სახელოსნო და სავაჭრო უბანს.

<sup>7</sup> იხ. დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II, თბ., 1980. დანართი - IX-X სს-ის საქართველოს რუკა.

ლაქო დასახლება და დაბა „ყოროლი“ (სასოფლო უბანი). თემასთან დაკავშირებით, გასათვალისწინებელია შემდგომი გარემოებები: ჯერ ერთი, როგორც ზემოთ მივუთითეთ, კ. პორფიროგენტის ცნობით „აჭარის ზღვისპირეთში იბერიის სასაზღვრო პუნქტი რომანიასთან (ბიზანტია) ყოფილა „კოლორი“ (ყოროლი). მეორე – მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროდან იწყებოდა ბიზანტიის იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცეული ქართული ტერიტორიები *[მუსხელიშვილი, 1980: 144]*. მესამე – განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბათუმის სიახლოვეს „კოროლის“/„ყოროლის“ სახელწოდებით, მოგვიანო პერიოდისათვის დასტურდება დასახლებული პუნქტი. ობიექტი მითითებულია XVIII საუკუნის 10-იანი წლების ოსმალურ წყაროში *[ჩხატარაშვილი, 1976: 271]*.

რაც შეეხება ბათუმს, საქალაქო დასახლება გაშენებული იყო მდ. ყოროლისწყლის შესართავთან, მაცხენა სანაპიროს მონაკვეთში, ბათუმის ციხესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადრემუასაუკუნეების ხანაში იგი ინარჩუნებდა საქართველოს ზღვისპირეთში წამყვან საზღვაო ქალაქის ფუნქციას<sup>8</sup> *[მესხია, 1983: 92; მუსხელიშვილი, 1980; ჯაოშვილი, სიხარულიძე, 1997: 329; კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 58; კახიძე, 2009: 150; კახიძე, სურმანიძე, 2013: 90-91; ბერაძე, 2009: 122-123; ხალვაში, 2012: 298-299; ჯაფარიძე, 2014: 20, 49, 65, 75-79; სია, 2016: 7, 9, 20, 22]*.

დაბა ყოროლის არსებობის დადგენის შემდეგ, საჭიროა განვსაზღვროთ მისი ადგილმდებარეობა. ანტიკური და შუასაუკუნეების ხანის აჭარის ისტორიის მკვლევარი შ. ვარშანიძე შეეცადა მის ლოკალიზაციას. მიუთითებდა, რომ ყოროლი მდებარეობდა მდ. ყოროლისწყლის ქვემო წელის არეალში *[ვარშანიძე, 1990: 55, 183]*. ღვაწლმოსილი მეცნიერი, აკად. დ. მუსხელიშვილი ლოკალიზაციას ახდენდა მდ. ყოროლისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ბათუმთან იგივეობის სახით *[მუსხელიშვილი, 1980; დანართი – IX-X სს-ის საქართველოს რუკა]*.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ დაბა კოლორი/ყოროლი მდებარეობდა ბათუმის ციხის ჩრდილოეთით, მდ. ყოროლისწყლის შესართავის ზღვისპირა ვაკე ადგილზე. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმის უფლებას გვაძლევს შემდეგი გარემოებები: როგორც ცნობილია, ძველი ბათუმის საქალაქო დასახლებას სამხრეთიდან ჩაუდის მდინარეები სკურკუბა და ბარცხანა. სკურკუბას (ჭვავის წყალი) არეალში გაშენებული იყო ჭვავის ყანები *[უზუნაძე, 2013: 190]*. ბათუმს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სალიბასძეთა (სალიბაური) სასოფლო უბანი *[უზუნაძე, 2013: 40]*. მარჯვენა სანაპიროს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა სასოფლო უბანი შავდელე *[უზუნაძე, 2013: 41]*. რჩება „ასათვისებელი“ მონაკვეთი, მდ. ყოროლისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, შესართავის ვრცელი ვაკე ადგილი. სწორედ, ამ ადგილას უნდა ყოფილიყო გაშენებული დაბა კოლორი/ყოროლი (გასულ საუკუნეში შედიოდა სოფ. განთიადში – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, ეხლა შედის ქალაქის საზღვრებში). მიეკუთვნება ერთ-ერთ უძველეს დასახლებას *[კახიძე, დ.ხახუტაიშვილი, 1989: 3; კახიძე, 2007:249]*. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს

<sup>8</sup> ფეოდალური ხანის საქართველოს ქალაქების ისტორიის ცნობილი მკვლევარი, პროფ. შ. მესხია X – XII საუკუნეების ბათუმის შესახებ მიუთითებდა: „მნიშვნელოვანი ნავსადგური და ქალაქი ბათუმი“ *[მესხია, 1983: 92]*. აკად. ვ. ჯაოშვილის, პროფ. ი. სიხარულიძის შეფასებით „ადრეულ ფეოდალურ ხანაში, სხვა ზღვისპირა პუნქტებისაგან განსხვავებით, ბათუმი დაწინაურებული იყო“ *[ჯაოშვილი, ი.სიხარულიძე, 1997: 329]*.

ხანის განძი. შედგებოდა სამუშაო იარაღებისაგან *[რამიშვილი, 1974: 12]*. 1914 წ. აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის განძი. შედგებოდა სამუშაო თოხებისაგან *[რამიშვილი, 1974: 12]*. ამ არეალში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა ანტიკური ხანის დასახლების ნაშთები *[კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 3]*. ასრულებდა ბათუმის სასოფლო უბნის ფუნქციას *[კახიძე, 2007: 249]*. ყოროლის ლოკალიზაციაში გვეხმარება 1712 წლის ოსმალური წყარო-მასალა. მასში საუბარია ოსმალობის მიერ ბათუმსა და ახლომდებარე სოფლებზე შეწერილ გადასახადზე. შესაბამისად, მითითებულია რომელ დასახლებულ პუნქტს რა ოდენობის გადასახადი უნდა გადაეხადა: ბათუმს 10 ათასი ახჩა<sup>9</sup>, სოფ. კაპრემუმს – 3 ათასი ახჩა, მახინჯაურს – 3 ათასი ახჩა, ყოროლის (Королис<sup>10</sup>), სამებას და მათთან ერთად სამ პუნქტს – 3 ათასი ახჩა *[ჩხატარაშვილი, 1976: 271]*. აღნიშნული დოკუმენტით პირველყოვლისა დგინდება, რომ არსებობდა ბათუმთან დასახლებული პუნქტი **ყოროლი**. დოკუმენტში ასევე მითითებულია სოფელი ყოროლისთავი. მასზე შეწერილი გადასახადი შეადგენდა 3 ათას ახჩას *[ჩხატარაშვილი, 1976: 271]*. ასე რომ ნამდვილად არსებობდა კონსტანტინე პორფიროგენტის მიერ მითითებული დაბა კოლორი/ყოროლი. რომელსაც საუკუნეების მანძილზე არ შეუცვლია სახელი. როგორც ადრეულ ხანაში, XVIII -ს-ის დამდეგისათვის იგი ყოფილა პატარა დასახლება. რაზეც მეტყველებს შეწერილი გადასახადის ოდენობა – 500-600 ახჩა. ასევე, იგი მოხსენიებულია ბათუმის არეალში მდებარე პუტქტებთან ერთად. ასე რომ ლოკალიზდება მდ. ყოროლისწყლის შესართავთან მარჯვენა სანაპიროს მონაკვეთში მდებარე ვრცელ ვაკე ადგილზე.

კოლორის/ყოროლის ლოკალიზაციისათვის არაპირდაპირ, მაგრამ საინტერესო მასალას წარმოადგენს ბერძენი მემატაიანის მიქელ პანარეტოსის ცნობა 1372 წელს ტრაპიზონის კეისარ ალექსი მესამის ბათუმში სტუმრობის შესახებ. ბერძენი მემატაიანე თავის „ტრაპიზონის ქრონიკებში“ მოგვითხრობს: „1372 წლის 6 აგვისტოს წავედით ლაზიკაში<sup>11</sup> და თვის ბოლოს შეხვდით ბაგრატ მეფეს<sup>12</sup>. მას შემდეგ წავედით ბათუმს. კარვები გარეთ, ცის ქვეშ დავდგით. გვყავდა 2 კატარა და 40 ნავი. შევხდით გურიელს. რომელიც მეფის პატივისცემისთვის მოვიდა<sup>13</sup>. დავრჩით ექვს

<sup>9</sup> ახჩა – ოსმალური თეთრი, ვერცხლის ფული *[ოსმალური წყაროები, 1987: 258]*.

<sup>10</sup> დოკუმენტი თურქულიდან ქართულად თარგმნა ჰაიდარ აბაშიძემ, ხოლო ქართულიდან რუსულად თარგმანი ეკუთვნის დიმიტრი ბაქრაძეს.

<sup>11</sup> ბაგრატ მეფის კეისართან შეხვედრის ადგილი უნდა ყოფილიყო ზღვისპირა პუნქტი მაკრიალი, გასათვალისწინებელია, რომ ბაგრატ V-ს ჰქონდა წესად ტრაპიზონის კეისრის მიღება მაკრიალში (1367 წ., 1377 წ., საქორწინო მიღებები). უნდა ვიფიქროთ, რომ 1372 წ. საქართველოს მეფემ სტუმრები მიიღო მაკრიალში: წყაროს ცნობით, მაკრიალს ზღვის სანაპიროსთან ჰქონდა დიდი მინდორი – „მაკრიალის ველი“ *[სიხარულიძე, 1977: 46]*, რაც აუცილებელი იყო მრავალრიცხოვან სტუმართა კარვების დასადგმელად.

<sup>12</sup> საუბარია ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ V-ზე (1360-1393 წწ). ქართული, ბერძნული წყაროები მას მოიხსენიებენ „დიდის“, „გამოჩენილი სარდლის“ ეპითეტებით. მისი ხელისუფლება მთელ საქართველოზე ვრცელდებოდა *[ჯავახიშვილი, 1982: 180; გუჩუა, 1997: 317]*.

<sup>13</sup> აქვე უნდა შევეხოთ დღემდე პოლემიკად ქვეულ ერთ საკითხს: მოყვარეთა მეფის და კეისრის მაკრიალში შეხვედრის შემდეგ, ბაგრატ V გაბრუნებულა ქუთაისში. საპატიო სტუმრისადმი პატივსაცემად ბათუმში მასპინძლობა მეფეს დაუვალეობა გურიის ერისთავად გამწესებულ (გურიელი) ვარდანისძესათვის. ურჩობის გამო, ბაგრატ მეფემ მას ჩამოართვა სვანეთის ერისთავობა *[ბროსე, 1998: 167; სანიკიძე, 1993: 500]*. XV ს-ის ევროპული წყაროების მიხედვით, გუ-

დღეს<sup>14</sup> *[მიქელ პანარეტოსი, 1960: 40]*. ამ ცნობაში საინტერესოა რამდენიმე მომენტი: პირველი რიგში გასარკვევია, ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე საპატიო სტუმარი თავისი ამალით სად, რა ადგილას შეიძლება დაბანაკებულიყო? რომლებიც მოვიდნენ 2 კატარლითა და 40 საზღვაო ნავით. სანაოსნო საშუალებების მგზავრთა ტრანსპორტირების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამაღა, ეკიპაჟის ჩათვლით, უნდა ყოფილიყო რამდენიმე ასეული კაცი<sup>15</sup>. როგორც ითქვა, მათ კარვები ქალაქის გარეთ, ცის ქვეშ დაუდგამთ. მრავალრიცხოვანი სტუმრის კომპაქტურად და უსაფრთხოდ დასაბინავებლად საჭირო იყო მოხერხებული ადგილი. ამისათვის არ ივარგებდა ქალაქის სამხრეთი და სამხრეთ-დასავლეთი მონაკვეთი, სადაც, ერთი მხრივ, ესაზღვრებოდა ზღვა, მეორე მხრივ მდინარეები – სკურქუბა (ჭვავის წყალი) და ბარცხანა. ამ მხრივ, ერთადერთ მოხერხებულ ადგილს წარმოადგენდა ქალაქის გარეთ „ზღვისპირა დაბლობი“ *[მუსხელიშვილი, 2007: 100]*, ანუ დაბა „ყოროლი“. შესართავთან, მდინარის მარჯვენა სანაპიროს ვრცელი ვაკე ადგილი იძლეოდა შესაძლებლობას დაედგათ სტუმართა მრავალი კარავი. ეს იყო ბათუმის მიმდებარე ტერიტორია. ასევე, შესართავთან მდ. ყოროლისწყალის ღრმა და ფართო კალაპოტი, რაც გრძელდებოდა საკმაოდ დიდ მანძილზე *[უზუნაძე, სურმანიძე, ზოსიძე, 2013: 20]*, იძლეოდა შესაძლებლობას სტუმრებს უსაფრთხოდ დაეყენებინათ სანაოსნო საშუალებები.

საგულისხმოა, რომ შუასაუკუნეების საქართველოში წესად ყოფილა დიდი ამალით მოსული განსაკუთრებული სტუმრის დაბინავება ქალაქის მიმდებარე, მინდორ ადგილზე დადგმულ კარვებში. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული

---

რია წარმოადგენდა საერისთავოს. სამხრეთით საზღვარი გადიოდა მდ. ჩოლოქზე *[Топия, 2005: 107; გვანცელაძე, 1997; უზუნაძე, სურმანიძე, 2013: 23]*. მ.პანარეტოსის ზემოთ მოტანილი ცნობით, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს ებაასენ. ამდენად, გურიის ერისთავის ფუნქცია იყო საქართველოს მეფის საპატიო სტუმრისათვის გაეწია შესაფერისი მასპინძლობა. ვფიქრობთ, გადაჭარბებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრება, თითქოს გურიელმა კეისარს უმასპინძლა ბათუმში, როგორც თავის სამფლობელოში მოქცეული ტერიტორიის ბატონმა თუ პატრონმა *[სიხარულიძე, 1959: 83]*. ჯერ ერთი, „ბაგრატ V სრულიად საქართველოს მეფე იყო“ *[ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, 1948: 277]*. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ დროისთვის გურია აღწევდა მდ. ჩოლოქამდე. აგრეთვე, ისტორიულ რეალობას მოკლებულია მოსაზრება, ვითომც საქართველოს მეფესთან სტუმრად მოსულ კეისარს მოლაპარაკება უწარმოებია შერისხულ და გურიის ერისთავად გამწესებულ ვარდანისძესთან. ტექსტის მიხედვით მათ შორის არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა. „ტრაპიზონის ქრონიკების“ მკვლევარი ალ. გამყრელიძე მიუთითებს: გურიელი ეახლა თავისი სიუზერენის, ბაგრატ V სიმამრს სტუმართმოყვარეობის გამო *[მიქელ პანარეტოსი, 1960: 82]*. ცნობილი ბიზანტიოლოგები მიუთითებენ: ბაგრატ V -ის მიერ 1367 წ. კეისარ ალექსი III-ის ასულის ცოლად შერთვით „არა მარტო ქორწინებითი არამედ სამხედრო კავშირიც დამყარდა. ეს გამყარდა 1372 წ. იმპერატორის ახალი ვიზიტით *[Карпов, 2007: 407]*. რაც შეეხება „მოლაპარაკებას“, სტუმარ-მასპინძელს შორის ყოფილა ბაასი. იგი წარმოადგენდა სტუმარ-მასპინძელს შორის ურთიერთპატივისცემის ეტიკეტს. პროფ. თ.ბერაძე გამორიცხავდა ალექსი III და გურიის ერისთავს (გურიელი) შორის ფარულ გარიგებებს *[ბერაძე, 2009: 19-20]*.

<sup>14</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოში სტუმრობისას კეისარს წესად ჰქონია ხანგრძლივი დროით გაჩერება. 1377 წ. ლაზიკაში გაჩერებულა სამი თვე *[მიქელ პანარეტოსი, 1960: 41]*.

<sup>15</sup> „ტრაპიზონის ქრონიკის“ მიხედვით, კეისარ ალექსი III-ს ცოდნია მოგზაურობა მრავალრიცხოვანი ექსკორტიით.

„ვეფხისტყაოსანში“. დიდი ამალით და ჯარით ხვარაზმელი უფლისწულის ინდოეთს სტუმრობასთან დაკავშირებით მეფე ფარსადანს უბრძანებია: „მოკაზმეთ კარვითა მოედანია“ *[შოთა რუსთაველი, 1992: 551/1]*. ხვარაზმელი სტუმრებისათვის მინდორზე („მოედანზე“) კარვები რომ დაუდგამთ, ადასტურებს პოემის მთავარი გმირის ტარიელის სიტყვები: „მოედანს დავდგი კარვები“ *[შოთა რუსთაველი, 1992: 552/1]*. კარვების დასადგმელი მინდორი („მოედანი“) წარმოადგენდა მეფის (მართველის) საჯდომი ქალაქის მიმდებარე ტერიტორიას. ტარიელის თქმით: „შეიქმნა შიგა (ქალაქში მყოფნი) გასვლა ხვარაზმელი სტუმრების სანახავად“ *[შოთა რუსთაველი, 1992: 552/3]*. ხვარაზმელთა კარვები გარეთ რომ იყო გაშლილი ამაზე ასვე მეტყველებს ტარიელის სიტყვები: ხვარაზმელი უფლისწულის მოსაკლავად წასულს, თანხმლებ პირებთან ერთად, შეუძმნევლად გაუვლიათ ქალაქი. „გავვლეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით“ *[შოთა რუსთაველი, 1992: 557/2]*. ასეთ ადგილს შუა საუკუნეებისათვის ბათუმის შემთხვევაში წარმოადგენდა დაბა ყოროლი.

ამდენად, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების და გეოგრაფიული მდებარეობა-მდგომარეობის გათვალისწინებით, კონსტანტინე პორფიროგენტის დღემდე დაკარგული „კოლორი“ ანუ „ყოროლი“, გაშენებული უნდა ყოფილიყო ყოროლისწყალის შესართავთან, ბათუმის მიმდებარედ, მარჯვენა სანაპიროზე *[შანიძე, 1985: 44]*.

საკითხთან დაკავშირებით განვიხილოთ „ყოროლის“ ეტიმოლოგია. ადრეული ხანის ბათუმის ისტორიის ცნობილ მკვლევარ ა. ინაიშვილის გამოკვლევით, სიტყვა „ყორონი→ყოროლი“ ზანური წარმოშობისაა და ნიშნავს „ქვას“, „ქვიანს“ *[ინაიშვილი, 1976: 82]*<sup>16</sup>. ტოპონიმი „ყორონი“ (ყოროლი) წარმოშობილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში ზანურენოვანი ტომების განსახლების დროს, დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებში *[თოფურია, 1985: 117-149; ხახუტაიშვილი, 2007: 84-86]*. შესაბამისად, აღნიშნული სახელწოდებით სამოსახლო გაჩენილი ჩანს ანტიკურ ხანაში, რაზეც მიგვანიშნებს ყოროლისწყალის ქვემო წელის მარჯვენა არეალში აღმოჩენილი მასალები *[კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989: 3; კახიძე, 2007: 249]*. მოგვიანებით იგი დამკვიდრებულა „ყოროლის“ სახელწოდებით. რომელიც ბერძნულმა წყარომ შემოგვინახა „კოლორის“ ფორმით. შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ, „ყოროლისაგან“ არის წარმომდგარი ამ არეალის ტოპონიმები „ყოროლის ხეობა“, „ყოროლისთავი“ (სოფელი), ჰიდრონიმი „ყოროლისწყალი“.

და ბოლოს, რა ბედი ეწია დღეისათვის არარსებულ დაბა „ყოროლს“? XVIII ს-ის პირველი ნახევრის შემდგომ ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვება. გადმოცემით ბარში გაჩენილა ხოლერა (ქოლერა). მოსახლეობის ნაწილი აყრილა და დასახლებულა ყოროლის ხეობის მაღლობებზე – სოფელ ყოროლისთავის ტერიტორიაზე *[ცნობა მოგვაწოდა 81 წლის ყოროლისთავის მკვიდრმა ომერ შაქირის-ძე ბრუნჯაძემ. 1994 წ.]*. აგრეთვე, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბათუმის საქალაქო დასახლების დამცრობამ *[უზუნაძე, უზუნაძე, 2017: 89]*, გამოიწვია ისედაც მცირერიცხოვანი ყოროლის მოსახლეობის აყრა და უსაფრთხო ადგილებში დასახლება.

ამრიგად, დაბა „ყოროლის“ შესახებ ცნობა შემოგვინახა X საუკუნის ბერძნულმა წყარომ.

<sup>16</sup> გავრცელებულია მისგან წარმომდგარი ადგილთა სახელწოდებები: ქვაციხე (სოფელი ჭიათურაში), ქვაცუდე (სოფელი სამტრედიამი), ქვები (სოფელი ხარაგაულში)...*[კვიციანი, 2004: 135]*.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- ოსმალური წყაროები, 1987:** – „XVI-XVIII სს-ის ოსმალური დოკუმენტური წყაროები“, თბილისი, 1987.
- კონსტანტინე პორფიროგენტი, 1952:** – პორფიროგენტი კონსტანტინე, „იმპერიის მმართველობის შესახებ“, გეორგიკა (ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა), IV, თბილისი, 1952.
- მიქელ პანარეტოსი, 1966:** – პანარეტოსი მიქელ, „ტრაპიზონის ქრონიკები“, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით და შენიშვნებით გამოსცა ალ. გამყრელიძემ // კრ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 33, თბილისი, 1966.
- გიორგი მერჩულე, 1978:** – მერჩულე გიორგი, „შრომა და მოღვაწეობა გრიგოლისა, არქიმანდრიტისა ხანძთისა და შატბერდისა“, // კრ.: „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები“, თბილისი, 1978.
- ბერაძე, 2009:** – ბერაძე თ., „VIII-XV საუკუნეების ბათუმის საკითხი ევროპულ ისტორიოგრაფიაში“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.
- ბერაძე, 2009:** – ბერაძე თ., „საქართველოს ურთიერთობა შავი ზღვით ბიზანტიასთან V-XV საუკუნეებში“, – კრ.: „ბიზანტიოლოგია საქართველოში“, II, თბილისი, 2009.
- ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია, 1948:** – ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., „საქართველოს ისტორია“, I, თბილისი, 1948.
- ბერძენიშვილი, 1990:** – ბერძენიშვილი ნ., „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის“, თბილისი, 1990.
- ბექერიშვილი, 2001:** – ბექერიშვილი ი., „აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი“, ბათუმი, 2001.
- ბროსე, 1998:** – ბროსე მ., „საქართველოს ისტორია“, ბათუმი, 1998.
- ბოგვერაძე, 2012:** – ბოგვერაძე ა., „გურგენ IV“, – „საქართველო“ (ენციკლოპედია), II, თბილისი, 2012.
- გოგიტიძე, 2002:** – გოგიტიძე ს., „აჭარის ტერიტორიაზე მოსახლე ტომის ვინაობის საკითხისათვის“, ბათუმი, 2002.
- დუმბაძე, 2018:** – დუმბაძე ი., „ადრეულსაუკუნეების ქვევრები თამარის დასახლებიდან“, – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), VIII, ბათუმი, 2018.
- გვანცელაძე, 1997:** – გვანცელაძე თ., „1561 წლის უცნობი იტალიური რუკა და აფხაზების ისტორიული სამშობლოს ლოკალიზაცია“, ჟურნ. „არტანუჯი“, №6, თბილისი, 1997.
- დიასამიძე, 2009:** – დიასამიძე ბ., „ქრისტიანობა აჭარაში“, – სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), II, ბათუმი, 2009.
- ვარშანიძე, 1990:** – ვარშანიძე შ., „აჭარა ანტიკური ხანიდან საქართველოს ერთიანი მონარქიის შექმნამდე“, ბათუმი, 1990.
- თოფურია, 1985:** – თოფურია გ., „ლინგვისტური გეოგრაფია და ენის ისტორია“, – „ხელეური“ (კრებული) // მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, თბილისი, 1985.
- ინაიშვილი, 1976:** – ინაიშვილი ა., „ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“, – კრ.: „აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკონი“, I, თბილისი, 1976.
- ინაიშვილი, 2009:** – ინაიშვილი ნ., „ბათუმი ბიზანტიურ ხანაში“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.
- კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:** – კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., „მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის“, – კრ.: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები“ (სდსმ), XVIII, თბილისი, 1989.

- კახიძე, 2007:** – კახიძე ა., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი ძვ.წ. VI-IV საუკუნეებში“, – „სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“, I, თბილისი, 2007.
- კახიძე, 2009:** – კახიძე ა., „ბათუმი და მისი შემოგარენი ძვ.წ. I ათასწლეულში (ბათუმის ციხე)“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.
- კახიძე, სურმანიძე, შალიკაძე, 2013:** – კახიძე ა., სურმანიძე ნ., შალიკაძე თ., „ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ბათუმის ციხეზე“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), IV, ბათუმი, 2013.
- კეკელია, 2004:** – კეკელია ჯ., ცხაკაია თ., „საქართველოს ტერიტორია და დასახლებული პუნქტები“, თბილისი, 2004.
- მამულაძე, უზუნაძე, 2009:** – მამულაძე შ., უზუნაძე რ., „ბათუმი შუა საუკუნეებში“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ბათუმი, 2009.
- მესხია, 1983:** – მესხია შ., „საისტორიო მიეზანი“, II, თბილისი, 1983.
- რამიშვილი, 1974:** – რამიშვილი ალ., „მატერიალური კულტურის ისტორიიდან“, თბილისი, 1974.
- მუსხელიშვილი, 1980:** – მუსხელიშვილი დ., „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, II, თბილისი, 1980.
- მუსხელიშვილი, 2007:** – მუსხელიშვილი დ., „აჭარის ისტორიული გეოგრაფიისათვის“, – „სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“, I, თბილისი, 2007.
- ნეიმანი, 1978:** – ნეიმანი ა., „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“, თბილისი, 1978.
- სეა, 2012:** – საქართველოს ეროვნული ატლასი (რედ. რ. გობეჯიშვილი), თბილისი, 2012.
- სია, 2016:** – საქართველოს ისტორიული ატლასი (რედ. დ. მუსხელიშვილი), თბილისი, 2016.
- შოთა რუსთაველი, 1992:** – რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი, 1992.
- სიხარულიძე, 1959:** – სიხარულიძე ი., „სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ტოპონიმთა“, II, ბათუმი, 1959.
- სიხარულიძე, 1956:** – სიხარულიძე ი., „ბათუმის წარსულიდან“, – კრ.: „ბათუმის პედ. ინსტიტუტის შრომები“, V, ბათუმი, 1956.
- სიხარულიძე, 1977:** – სიხარულიძე ი., „ჭანეთი (ლაზეთი)“, I, ბათუმი, 1977.
- უზუნაძე, 2009:** – უზუნაძე რ., „ბათუმის საქალაქო და საზოგადოებრივი ცხოვრება“, – „სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა)“, II, ბათუმი, 2009.
- უზუნაძე, სურმანიძე, ზოსიძე, 2013:** – უზუნაძე რ., სურმანიძე რ., ზოსიძე ნ., ბათუმი (ისტორია და თანამედროვეობა), თბილისი, 2013.
- უზუნაძე, 2013:** – უზუნაძე რ., „ცნობები ძველი ბათუმის შესახებ“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), III, ბათუმი, 2013.
- უზუნაძე, უზუნაძე, 2017:** – უზუნაძე რ., უზუნაძე მ., „ბათუმის წარსულის ქრონიკები (XVII-XVIII სს)“, ჭოროხი, №6, ბათუმი, 2017.
- შანიძე, 1985:** – შანიძე აკ., „ვეფხისტყაოსანის ლექსიკონი“, თხზულებანი, V, თბილისი, 1985.
- ჩხატარაიშვილი, 1976:** – ჩხატარაიშვილი ქ., „საყურადღებო დოკუმენტი საქართველო-თურქეთის ისტორიისათვის“, – კრ.: „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბილისი, 1976.
- ხალვაში, 2012:** – ხალვაში რ., „ბათუმი ანდრია მოციქულის მისიონერულ მარშრუტში“, – კრ.: „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), II, ბათუმი, 2012.
- ჯავახიშვილი, 1982:** – ჯავახიშვილი ივ., „ქართველი ერის ისტორია“, III, თბილისი, 1982.
- ჯაფარიძე, 2014:** – ჯაფარიძე ან., „საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან X საუკუნის ჩათვლით)“, I, თბილისი, 2014.

**ჯაოშვილი, სიხარულიძე, 1997:** – ჯაოშვილი ვ., სიხარულიძე ი., „ბათუმი“, – „საქართველო“ (ენციკლოპედია), I, თბილისი, 1997.

**Кальфоглу, 1906:** – Калфоглу И., «Древнейшие история о Батуме», ИКОИРГО, XVIII, Тифлис, 1906.

**Карпов, 2007:** – Карпов С., «История Трапезундской империи», Санкт-Петербург, 2007.

**Revaz Uzunadze, Merab Uzunadze (Batumi, Georgia)**

### **Batumi in the 10<sup>th</sup> Century**

#### Abstract

The article deals with the hitherto unknown district "Color" of the early medieval Batumi urban settlement, which is an integral part of the history of the city. Interesting information was found in the study of these problems in the ancient Greek and later Ottoman sources.


The earliest information on the subject is preserved in the writings of the Byzantine Emperor Constantine Porphyrogenitus (912-959) - "on the Rule of the Empire". He describes the Kingdom of Iberia ("Kingdom of Georgians") during the study period as follows: The border of Iberia with Romania (Byzantium) passed through the Adjara coastline. According to him, the border point was "Color", which was a small town-like settlement.

It has been researched that the name "Color" is a word of Georgian origin, a substitute form of "Koroli". In Georgian reality, the following toponyms are derived from "Koroli": Koroli gorge (gorge where the river Korolistskali flows, Khelvachauri municipality), Korolistavi (a village in the gorge), hydronym "Korolistskali". They directly border with the old Batumi city settlement – *Gorasamosakhlo* – from the North and the North-east. Batumi (Tamar) Hill is located at the confluence of the river Korolistskali, in the left bank section. There are opinions about the localization of "Color" / "Koroli" (D. Muskhelishvili, Sh. Varshanidze). As further study of the issue showed, the small town "Color" / "Koroli" is located in the North of the Batumi Fortress, on the seaside plain of the river Korolistskali confluence. It occupied a large area and used to perform the function of a rural area. Trade-craftsmanship activities might have been a leading field.

"Color" / "Koroli" also remained active in the following centuries. According to the chronicler Michael Panaretos at the court of the Emperor of Trabzon in the 1370s, King Vakhtang V (1360-1393) and Caesar Alexius III, who was visiting Georgia, were invited to Batumi for six days in August 1372. They arrived in 2 cutters and 40 naval boats. The suite numbered several hundred men. Tents were set up outside the city, in the area of "Color" district. As for the navigation vessels, they were stationed at the confluence of the river Korolistskali.

The district is mentioned in the form of "Koroli" in the Ottoman documents of 1792. No further information has been obtained since. Due to the historical disaster (disease emerged), the population was evacuated and settled in safe places (village Korolistavi).





## ბათუმის ქალთა გიმნაზია საარქივო დოკუმენტებში


**აბსტრაქტი:** ნაშრომში აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალების საფუძველზე გაშუქებულია XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში ქალთა გიმნაზიის დაარსების, საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვის ისტორია; გაანალიზებულია სასწავლო საგნების, თემატიკის, სწავლის საფასურის, სხვადასხვა ღონისძიებების ამსახველი მასალები; პედაგოგიური და მზრუნველთა საბჭოების სხდომათა ოქმები; მოცემულია პედაგოგთა და მოსწავლეთა სიები, განათლების სამინისტროს ცირკულარები, სხვადასხვა ფინანსური სტატისტიკა; ყურადღება გამახვილებულია გიმნაზიის ახალი შენობის აგებისათვის საზოგადოების მიერ გაჩეულ ძალისხმევაზე და იმ უმნიშვნელოვანეს როლზე, რომელიც გიმნაზიას მიუძღვის ქალთა განათლების საქმეში.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმის ქალთა გიმნაზია, ქალაქის თვითმმართველობა, ლუკა ასათიანი, ა.სტოიანოვი, განათლება. სასწავლო პროცესი, გიმნაზიის შენობა.

**Key words:** Batumi Women's Gymnasium, City self-government, Luka Asatiani, A. Stoyanov, Education, Learning process, Gymnasium building.

\*\*\*

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აჭარა დაუბრუნდა დედა საქართველოს. ცხადია, იმ მომენტისათვის რეგიონში არ არსებობდა არცერთი საგანმანათლებლო დაწესებულება. მოგვიანებით, 1893 წლისათვის დაისვა საკითხი ბათუმში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების შესახებ. ლუკა ასათიანმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქალაქში გახსნილიყო ვაჟთა კლასიკური გიმნაზია (1897 წ. 14 სექტემბერი).



ლუკა ასათიანი

ქალაქის თვითმმართველობამ, 1895 წლის 26-27 ივნისს, ვაჟთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოყო 2 623, 95 კვ. საყენი მიწის ფართობი. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა სედელნიკოვმა. სასწავლებლის პირველ სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, ხოლო მეორე სართულზე - ეკლესია, სააქტო დარბაზი, რვა საკლასო ოთახი, სამხატვრო კლასი, ფიზიკის კაბინეტი, ლაბორატორია და ბიბლიოთეკა. 1897 წლის ივლისში ვაჟთა გიმნაზიამ ფუნქციონირება დაიწყო [http://old.bsu.edu.ge/index.php?sec=19#ixzz40Who9XJY].

1897 წლის 23 სექტემბერს, ნიკოლოზ დუმბადის ინიციატივით დაისვა ქალთა სასწავლებლის გახსნის საკითხიც, რადგან მშობლებს თავიანთი შვილები ან სხვა ქალაქში უნდა გაეგზავნათ სასწავლებლად, ან წმ. მარინეს სასწავლებელში, მაგრამ წმ. მარინეს სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებდა საზოგადოების მოთხოვნებს. ქალაქის თვითმმართველობამ ლ.

ასათიანის ინიციატივით ოლქის მზრუნველის წინაშე დააყენა ქალთა გიმნაზიის გახსნის საკითხი, თუმცა ოლქის მზრუნველი შიშობდა, რომ სასწავლებელი აივსებოდა მზარეულების, დალაქების, მეეტლეების, თერძების შვილებით, ამავე დროს მომრავლდებოდა ინტელიგენტი ქალების რაოდენობა, რაც არ შედიოდა იმპერიის გეგმებში. გაჭიანურების მიუხედავად საკითხი დადებითად გადაწყდა და 1900 წლის 26 სექტემბერს 150 მოსწავლისათვის გაიხსნა კიდეც. ამ საქმეში ლუკა ასათიანთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანეს ივ. მესხმა, გრ. ვოლსკიმ, ნ. დუმბაძემ, ნ. ჯაყელმა, კ. ქიქოძემ, ს. ნაკაშიძემ.



გრ. ვოლსკი



ივანე მესხი



ნიკოლოზ დუმბაძე

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია მრავალმხრივ საყურადღებო მონაცემები ბათუმის ქალთა გიმნაზიის ისტორიის საკითხებზე. ეს მასალები (133 საქმეთა ერთეული) აჭარის სახელმწიფო არქივში მუდმივ შენახვაზე შემოვიდა 1939 წლის 14 აგვისტოს. დოკუმენტური მასალების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1900-1920 წლებს.

1971 წლის 5 ივლისის დოკუმენტური მასალების რევიზიის აქტის საფუძველზე ფონდში ირიცხებოდა 133 საქმეთა ერთეული. ამ პერიოდში ფონდს არ შეხებია სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, მაგრამ მოხდა ანაწერის სამეცნიერო სრულყოფა *[ანდლულაძე, ასცსა, ფ. 0-11, ან, ფურც. 2]*.

დოკუმენტური მასალები წარმოდგენილია სამ ანაწერში. პირველ ანაწერში შესულია სამეცნიერო ხასიათის მასალები, სულ 71 საქმეთა ერთეული. მეორე ანაწერში წარმოდგენილია მასალები პირადი შემადგენლობის შესახებ, მესამე ანაწერში კი პედაგოგთა პირადი საქმეები. ექვსი საქმეთა ერთეული მოგვიანებით გამოიყო მაკულატურად *[ანდლულაძე, ასცსა, ფ. 0-11, ან, ფურც. 2]*.

ფონდში დაცულია სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულარები, მასალები პოლიტიკური ლიტერატურის შენახვის აკრძალვის შესახებ, ნ. ვ. გოგოლის და მ. ლერმონტოვის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მასალები (1909 და 1914 წელი), დოკუმენტები გადასაყვანი გამოცდების, ფინანსური ანგარიშების, სასწავლო გეგმების და სხვა საკითხების შესახებ.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ ბათუმის ქალთა გიმნაზია გახსნილა 1900 წლის 26 სექტემბერს და შედიოდა კავკასიის სამხედრო ოლქის მზრუნველის დაქვემდებარებაში, 1918 წლიდან კი კავკასიის სასწავლო ოლქის საოლქო კომისარიატის შემადგენ-

ლობაში. ბათუმის ქალთა გიმნაზია დაიხურა 1921 წლის დეკემბერში. მომდევნო წლებში ამ შენობაში განთავსდა ბათუმის მეორე საფეხურის სკოლა (1921-1922 წწ.), შვიდწლელი (1924-1934), მე-4 საშუალო სკოლა (1934 წლიდან და მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელი), შემდეგ გადაკეთდა ლენინის სახელობის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლად, 1949 წლიდან – პირველი საშუალო სკოლა (1966 წლამდე), შემდეგ ლენინის სახელობის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (1980 წლამდე), ლენინის სახელობის პირველი საშუალო სკოლა (1991 წლამდე), დავით აღმაშენებლის სახელობის მეორე საშუალო სკოლა (2001 წლამდე), ბათუმის დავით აღმაშენებლის სახელობის გიმნაზია (2004 წლამდე), ბათუმის მეორე საშუალო სკოლა (2005 წლამდე). ამჟამად იქ განთავსებულია ბათუმის №2 საჯარო სკოლა.

სასწავლებლის გახსნის პირველ წელს გიმნაზიას არ გააჩნდა საკუთარი შენობა და განთავსებული იყო გრ. სუკოიანის კერძო სახლში. 1904 წლიდან გიმნაზიამ ბინა დაიდო სპეციალურად მისთვის აშენებულ შენობაში *[ბათუმი და მისი შემოგარენი, ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 61]*.



*ბათუმის ქალთა გიმნაზია (თანამედროვე II საჯარო სკოლა)*

სასწავლებლის სათავეში იყო ხელმძღვანელი, მაგრამ აღმზრდელობითი საკითხების გადაწყვეტაში მთავარ როლს ასრულებდა პედაგოგიური და მზრუნველთა საბჭო.

გიმნაზიის ჩამოყალიბების დროისათვის სასწავლებელში გაიხსნა ხუთი კლასი, რომელშიც სწავლობდა 140 მოსწავლე. 1904 წლისათვის გიმნაზიაში იყო რვა კლასი *[ანდელულაძე, ასსცსა, გ. 0-11, ან. ფურც. 1]*. ეთნიკური თვალსაზრისით, სასწავლებელში იყო 53 რუსი, 44 ქართველი, 23 სომეხი, 1 თათარი, 30 სხვადასხვა ეროვნების მოსწავლე.

გიმნაზიაში ისწავლებოდა რუსული და ქართული ენები, მათემატიკა, ისტორია, უცხო ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). გიმნაზიის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს ეძლეოდათ საოჯახო მასწავლებლად მუშაობის უფლება.

გიმნაზიის არსებობის ძირითად წყაროს სწავლის ქირა წარმოადგენდა. ერთი სასწავლო წლის სწავლების საფასურის ოდენობა შეადგენდა 60 მანეთს (ერთ მოსწავლეს). აუცილებელ სასწავლო კომპონენტს შეადგენდა ცეკვის სწავლება, რისთვისაც მოსწავლე დამატებით იხდიდა 5 მანეთს.



*ცეკვის გაკვეთილი ქალთა გიმნაზიაში  
(მარჯვნიდან მეექვსე - ლუბა გოთოშია. გადაღების თარიღი უცნობია. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“)*

ამ გზით, გიმნაზიის შემოსავალი იყო 1400 მანეთი. შემოსავლების ერთ-ერთ წყარო იყო შემოწირულობები. გიმნაზიის შემოსავლები ყოველწლიურად იზრდებოდა.

ცეკვის გაკვეთილების გარდა გიმნაზიაში მოსწავლეებს უტარდებოდათ ხატვისა და ხელსაქმის გაკვეთილები. შესაბამისად, ეწყობოდა მოსწავლეთა ნახატებისა და ხელსაქმის გამოფენა, რომლის შესახებ არაერთი ცნობაა დაცული საარქივო მასალებში და იმდროინდელ გაზეთ „კავკაზ“-ში.

გიმნაზია მიზნად ისახავდა ადგილობრივი და ახლომდებარე რაიონების მკვიდრთა ქალიშვილების სწავლებასა და აღზრდას.. მეცადინეოები იწყებოდა 1 სექტემბერს და გრძელდებოდა ივნისის შუა რიცხვებამდე. მაშინ ხდებოდა ატესტატების გაცემაც.

განათლების სამინისტროს სპეციალური მიმართვის საფუძველზე, 1902 წლისათვის, შეცვლილა სასწავლო წლის დამთავრების ვადა და იგი გამოსაშვები კლასისათვის 11 მაისით, სხვა კლასებისათვის კი 30 მაისით დათარიღებულა. გაუქმებულია გადასაყვანი გამოცდებიც. წლიური შეფასებების საფუძველზე ხდებოდა მოსწავლის კლასიდან-კლასში გადაყვანა.



სწავლების ენა რუსული იყო, რაც არარუს მოსწავლეებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. 1904-1906 წლებში გიმნაზიელთა 40 % არარუსი იყო, რომლებსაც ეკრძალებოდათ მშობლიურ ენაზე აზროვნებაც კი. მათ უხდებოდათ მათთვის უცნობი ტექსტების დაზეპირება, რაც, ცხადია, არაეფექტური იყო. გიმნაზიის ხელმძღვანელობა რუსული ენის ცოდნის დაბალ დონეს მიაწერდა არარუსთა გონებრივ ჩამორჩენილობას და აღნიშნულ საგანში საათების სიმცირეს. გიმნაზიაში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, რუსულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ფიზიკას, გეოგრაფიას, ისტორიას, პედაგოგიკას, დიდაქტიკას, ჰიგიენას, ფრანგულს, გერმანულს, ბუნებისმეტყველების ისტორიას, ხატვას, სუფთა წერას, გიმნასტიკას, სიმღერას, ხელგარჯილობას, ქართულ ენას (ზოგიერთ სასწავლო გეგმაში გვხვდება ლათინურიც). ხელგარჯილობაში არადამაკმაყოფილებელი ნიშნის შემთხვევაში მოსწავლეს 1909 წლის 15 მაისის დადგენილებით ტოვებდნენ იმავე კლასში.

გიმნაზიის დაარსების პირველ დღეებში არ იყო დანიშნული სკოლის დირექტორი. მოგვიანებით დირექტორობა ვაჟთა გიმნაზიის დირექტორს ა. სტოიანოვიცს შეუთავსეს. გასაბჭოებამდე, სხვადასხვა დროს გიმნაზიას ხელმძღვანელობდნენ: ალექსანდრე სტოიანოვი (1900 წ.), ნადეჟდა ტიბელნი (1901 წ.), ელენე სახაროვა (1920 წლამდე) ენერგიული და მკაცრი ქალბატონი, 1920 წლიდან კი ოქმებს (პირველად, ქართულ ენაზე) ხელს აწერს დანიელ ქინქლაძე.

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულ მასალებში ამომწურავი ცნობებია წარმოდგენილი ქალთა გიმნაზიის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ.

№1 საქმეში წარმოდგენილია გიმნაზიის ისტორიის ამსახველი მასალები, სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულარები ქალთა გიმნაზიისათვის კრედიტის გაზრდის, რუსეთ-იაპონიის ომში დაღუპულთა შვილების სწავლის საფასურისაგან გათავისუფლებისა და სასწავლებლებში ჩარიცხვისას პრივილეგიების მინიჭების შესახებ, რაც ჩანს გიმნაზიის ხელმძღვანელობისა და ზემდგომი ორგანოების მიმოწერებში, ასევე პედაგოგიური საბჭოს სხდომათა ოქმებში. აქვეა ქალთა გიმნაზიის პირადი შემადგენლობის სიაც.

საქმიდან ჩანს, რომ მზრუნველთა საბჭოს სათავეში ედგა ქალაქის თავი ლუკა ასათიანი. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: კლავდია სევერინა, მარია ელიავა, სოფია ნაკაშიძე, ალექსანდრე სტოიანოვი, პეტრე ზიკოვი, ნიკოლოზ დუმბაძე, ევგენი ბოგოსლავსკი, ლეონიდე კიკნაძე, გრიგოლ ვოლსკი *[ახსენს, ფ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 1]*.

პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში იყვნენ: ალექსანდრე სტოიანოვი (ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე), გიმნაზიის ხელმძღვანელი „ზაკონოუჩიტელი“ – ალექსანდრე რალცევიჩი, მღვდლები: ალექსეი სოკოლოვი, სიმონ თოთიბაძე *[ახსენს, ფ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 1]*.

საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია გიმნაზიის პედაგოგთა შემადგენლობაც: რუსული ენის მასწავლებელი ევგენი ბოგოსლავსკი, საბუნებისმეტყველო ისტორია – ევგენი ტურკინი (ვეტერინარული მეცნიერების მაგისტრი, თუმცა ტურკინზე გადამსულია ხაზი და დაფიქსირებულია მაჭავარიანის გვარი) მათემატიკის მასწავლებელი ევგენი ჭოლოშვილი *[ახსენს, ფ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 1]*. ფრანგული ენა – ფრედერიკ ფურნიე, ხატვა – ალექსანდრე ბორისოვი-ბერიძე, გერმანული ენა – ევგენი არნოლდი.

ქალი მასწავლებლები: რუსული ენა და სუფთა წერა – დარია მიშენკო, მათემატიკა და სუფთა წერა – ტატიანა ლიუბიმოვა, გეოგრაფია და სუფთა წერა – გვარი არ იკითხება, გრანგული ენა – გოკა კემრიცი, გერმანული ენა – ალექსანდრა როსეტი. მოსამზადებელ კლასს ასწავლიდა მარია მიხაილოვნა სალასიბეკოვა **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 1]**.

ამავე საქმეში დაცულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც დასმულია ქალაქის სასწავლებლების – სამასწავლებლო სემინარიებისა და ინსტიტუტებისათვის 20 %-ის ოდენობით ფინანსური დანამატის გამოყოფის შესახებ, რომელიც მოხმარდებოდა საშტატო სამასწავლებლო პერსონალს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც იღებენ სამსახურებრივ პენსიას **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 2]**. საქმეში წარმოდგენილია გიმნაზიის პირადი შემადგენლობის სია **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 1, ფურც. 17]**.

„ბათუმის ქალთა გიმნაზიის პედაგოგიური შემადგენლობის ჟურნალი“ დაცულია №2 საქმეში. მასში წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოს ოქმები 1900 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე. ოქმების მიხედვით, განხილულია ისეთი საკითხები, როგორცაა: პედსაბჭოს მდივნის არჩევა (აირჩიეს მასწავლებელი ჭოლოშვილი) **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 2, ფურც. 1]**, დატვირთვის (გაკვეთილების) გადანაწილება **[ასსცსა, გ. 0-11, ს. 2, ან. 1, ფურც. 2]** და სხვა. ოქმებიდან ჩანს, რომ 1900 წლის სექტემბრისათვის გიმნაზიის პირველ კლასში სწავლობდა 36, მეორე კლასში – 37, მესამე კლასში – 27, მეოთხე კლასში – 26, ხოლო მოსამზადებელ კლასში 24 მოსწავლე (სულ 150 მოსწავლე) **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 2, ფურც. 7]**.

მომდევნო საქმეებში წარმოდგენილია 1901 წლის ქალთა გიმნაზიის საქმიანობის ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები საგნებისა და შემენილი წიგნების რაოდენობის, ფასებისა და მათი განაწილების შესახებ **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 3, ფურც. 1-25]**, დაჯილდოებულთა სიები, გაკვეთილების განაწილების ცხრილები **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 4, ფურც. 1-60]**, საგნობრივი პროგრამები და ა. შ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ 1910-1911 წლებში ბათუმის ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასის ისტორიის პროგრამას. პროგრამის მიხედვით სასწავლო წლის პირველ მეოთხედში გათვალისწინებული იყო 18 გაკვეთილი. თემატიკაში წარმოდგენილია შემდეგი საკითხები: გერმანია მე-16 საუკუნეში, იმპერატორი და თავადები, სასულიერო წოდება, გლეხობა; გერმანული ჰუმანიზმი, მთავარი წარმოდგენები გერმანული ჰუმანიზმის შესახებ, იოანე რეიხლირი, ერაზმ როტერდამელი, ულრიხ ფონ გუტენი, ინდულგენციები, მარტინ ლუთერის თეზისები, ლაიფციგის დისპუტი, პაპის ბულების დაწვა, კარლ მე-5, ვორმსის სეიმი, ლუთერი ჰამბურგში, პირველი რელიგიური თემის მოწყობა მარტინ ლუთერის მიერ ვიტენბერგში, კარლ მეხუთის ომები, რეფორმაცია ინგლისში ჰენრიხ მე-8 ტიუდორი, რეფორმაცია შვეციასა და დანიაში, კათოლიკური რეაქცია, იეზუიტების ორდენი, ფილიპე II, ესპანეთი და ფილიპე მეორე, ელიზაბეტა, საფრანგეთი, გერმანია და ა. შ. **[ასსცსა, გ. 0-11, ს. 22, ან. 1, ფურც. 169]**. საქმეში წარმოდგენილია ე. როდიონოვის მოხსენება „ხელით შრომის როლი და მნიშვნელობა დაწყებით სკოლაში“ **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 22, ფურც. 1197-200]**.

ინტერესს იწვევს სახალხო განათლების სამინისტროს ცირკულარები, რომლებშიც საუბარია არალეგალური ლიტერატურის აკრძალვის შესახებ. იქვეა თანდართული არაკეთილსაიმედო პირების სია, რომლებიც გარიცხეს სასწავლებლიდან **[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 6-ა]**. ერთ-ერთ კონფიდენციალურ ცირკულარში საუბარია იმის

შესახებ, რომ ბარსუკოვის თხზულებათა მერვე ტომში, 596-607 გვერდებზე მოტანილია ბელინსკის ტენდენციური წერილი, ხოლო მეოთხე ტომში „წერილი გოგოლს“ და გოგოლის საპასუხო წერილი ბელინსკისადმი რედაქტორის შენიშვნებით. დოკუმენტის მიხედვით, ეს წიგნები ინახება ბიბლიოთეკაში. ცირკულარში არის კატეგორიული მოთხოვნა, რომ დასახელებული წიგნები არ მიეცეთ მოსწავლეებს წასაკითხავად [ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 6-ა, ფურც. 4] (ე.ი. კი არ გაანადგურეს, აკრძალეს მოსწავლეებისათვის გაცემა. თ. გ.). ცირკულარს ხელს აწერს კანცელარიის მმართველი ვ. ანდრეევი.

საარქივო დოკუმენტების ერთი ნაწილი ეხება გიმნაზიის სახელზე შესული განცხადებების განხილვას, რასაც ეძღვნება ქალთა გიმნაზიის მზრუნველთა საბჭოს სხდომები. სხდომათა ოქმებში ჩანს მზრუნველთა საბჭოს დამოკიდებულება თითოეული მოსწავლის გასაჭირისადმი. 1901 წლის 8 მაისის სხდომის (ესწრებოდნენ: კ. სევერინი, ს. ნაკაშიძე, მ. ელიავა, ნ. ტიბნელი, ე. ბოგოსლავსკი, ლ. ქიქოძე) დღის წესრიგი ითვალისწინებდა გიმნაზიის ბიუჯეტის საკითხის განხილვას. 1900-1901 სასწავლო წლის მეორე ნახევრის სწავლის საფასურისაგან სრულად გაუთავისუფლებიათ მოსწავლეები: ვერა არხიპოვი, ვალენტინა ვილგელმსონი, ანა მენაბდე, ქსენია პეტროვი, რამოლინა პეტერსონი, ანა რომანოვსკაია, ანა წაღდაძე, სალომე პეტროპულო, ელენე რალცევიჩი, ნინო ჯინჭარაძე, მარია ხოფერია, ხოლო 50%-ით – ანა ბაცაკი, თევზონისე დათუაშვილი და ეკატერინე არდიშვილი [ასსცსა, გ. 0-11, ს. 7, ფურც. 6]. ამავე სხდომამ განიხილა ცალკეული მასწავლებლების ფულადი წახალისების საკითხი 5 მანეთითა და 55 კაპიკით. სხდომამ განიხილა აგრეთვე აღსაზრდელთა ერთიანი სასწავლო ფორმის შემოღების საკითხი – ყავისფერი კაბა, ამავე ფერის პალტო და თავსაბური, თეთრი წინსაფარი [ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 6, 7].

ქალთა სასწავლებელში მიღებისას არ ხდებოდა შეზღუდვა ეროვნული ნიშნის მიხედვით. 1901 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში პირდაპირა არის მითითებული, რომ ბათუმის ქალთა სასწავლებელს შეუძლია შეუზღუდავად მიიღოს ებრაელთა ქალიშვილები, რომლებსაც გააჩნიათ ბათუმში ცხოვრების უფლება [ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 13, ფურც. 6].

სხდომაზე განხილულ იქნა ქალთა გიმნაზიის შენობის საკითხიც. იმის გამო, რომ ქალაქი ვერ აშენებს ან შემჭიდროვებულ ვადებში არ შეუძლია ააშენოს შენობა ქალთა გიმნაზიისათვის, ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ა. სტოიანოვი გამოხატავს სურვილს, რომ მომავალი სექტემბრიდან ეს შენობა გათავისუფლდეს. ე.ი. იმჟამად ქალთა გიმნაზია ვაჟთა გიმნაზიის შენობაში იყო განთავსებული. სუკოიანის ყოფილი შენობა ხანძრის შემდეგ აღარ შეიძლება გამოყენებულიყო გიმნაზიისათვის, ამიტომ სხდომა იღებს გადაწყვეტილებას: ეთხოვოს ქალაქის თავს ლუკა ასათიანს ნათელი მოჰფინოს ქალთა გიმნაზიის შენობის საკითხს მომავალი სასწავლო წლისათვის [ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 6].

გიმნაზიის მშენებლობის საკითხებს მიეძღვნა არაერთი ღონისძიება. მათგან მნიშვნელოვანი იყო 1901 წლის 31 მაისის სხდომა (ესწრებოდნენ: პ. ზიკოვი (თავრე), საბჭოს წევრები: ს. ნაკაშიძე, ნ. ტიბნელი, ა. სტოიანოვი, ე. ბოგოსლავსკი, ლ. ქიქოძე, გრ. ვოლსკი. მოწვეულნი იყვნენ: ინჟინერი, პოდპოლკოვნიკი პ. პომორსკი და ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ნ. ჯაყელი [ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 20]. სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ 1901 წლიდან სასწავლებლის ხელ-



მძღვანელად დაუმტკიცებიათ ნ. ტიბლენი, ხოლო მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარედ – პ. ზიკოვი. სხდომაზე განიხილეს ქალთა გიმნაზიის შენობის მშენებლობის საკითხები. კერძოდ, ითქვა, რომ ქალაქში ახლახან აშენებული შენობა შესაძლოა იყოს ტიპიური ქალთა გიმნაზიისათვისაც. განხილვის შემდეგ გადაწყდა, რომ შენობაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ოთახი მოსამზადებელი კლასისათვის – გათვლილი 50 მოსწავლეზე, 7 კლასი 40 მოსწავლის ტევადობით, ორი დამატებითი 30 მოსწავლიანი კლასი, ორი 40 მოსწავლეზე გათვლილი სათადარიგო კლასი ხატვის, მუსიკისა და ხელსაქმისათვის, ერთი დიდი საერთო სათავსო სასწავლო ნივთების შესანახად, ერთი სამსწავლებლო ოთახი და კაბინეტი სასწავლებლის დირექტორისათვის, მისაღები ოთახი, კაბინეტი კანცელარიისათვის ორი-სამი მაგიდითა და შესაბამისი რაოდენობის კარადებით, ოთახი სამედიცინო დათვალიერებისათვის, განსაკუთრებული ფლიგელი 6 საცხოვრებელი ოთახით 4 საშტატო მეთვალყურისათვის – ორი სამზარეულოთი და ერთი საცხოვრებელი ოთახით – ორი მოსამსახურე ქალისათვის. გარდა ამისა უნდა გათვალისწინებულიყო ოთახები მამაკაცი მოსამსახურეებისათვის, შვეიცარიისათვის, ბინა გიმნაზიის ხელმძღვანელისათვის და ა. შ. *[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 20,21]*. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეთხოვათ ვაჟთა გიმნაზიის ხელმძღვანელობისათვის ახალი შენობის აშენებამდე მიეცეს შესაძლებლობა ქალთა გიმნაზიას მუშაობა გააგრძელოს ვაჟთა გიმნაზიის შენობაში, მით უმეტეს, რომ არსებობს წინაპირობები, რომ ქალთა გიმნაზიას საკუთარი შენობა ექნება 1902 წლის სექტემბრისათვის.

საბჭოს თავმჯდომარეს სხდომაზე საბიუჯეტო საკითხებიც წამოუწევია წინა პლანზე. 1901 წლის ოქტომბრისათვის გიმნაზიის შემოსავალი შეადგენდა 12 368 მანეთს და 86 კაპიკს, ხოლო გასავალი – 6913 მანეთს და 53 კაპიკს. მოსალოდნელი იყო ქალაქის შემოსავლებიდან დამატებითი სახსრების მოზიდვაც *[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 22-23]*. სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით გამდიდრების საკითხებზეც.

სხდომაზე იმსჯელეს გიმნაზიის მოსწავლეთა კვების საკითხებზეც. ქალბატონმა პეტერსონმა ამ მხრივ გიმნაზიას შესთავაზა საკუთარი სამსახური, რომ მოამზადებდა ცხელ კერძებს, რომელთა ფასი მისაღები იქნებოდა გაჭირვებული ბავშვებისათვისაც, კერძოდ: კატლეტი – 7 კაპიკი, კაკაო პურით – 14 კაპიკი *[ასსცსა, გ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 23]*.

როგორც ჩანს, ქალთა სასწავლებლის განთავსების პრობლემა აქტუალური იყო 1902 წლისთვისაც. საქმე № 12-ში დაცულია სახალხო განათლების სამინისტროს წერილი ბათუმის ქალაქისთვისადმი (1902 წელი, თვე და რიცხვი არაა მითითებული), რომელშიც ბათუმის ხელისუფლებას აცნობებენ, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც მდებარეობს „მარინსკის“ სასწავლებლის შენობა „ოტკედენ დლია ნუჟდ სეგო უჩილიშჩა“. სანამ ეს სასწავლებელი არსებობს, მიწის ნაკვეთი ეკუთვნის მას. მარინსკის სასწავლებლის მშენებლობისათვის გაიხარჯა 12 ათასზე მეტი, აქიდან ქალაქმა გაიღო მხოლოდ 6000, დანარჩენი თანხა მიღებული იქნა შემომწირველებისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით სათათბიროს გადაწყვეტილება – ქალთა სასწავლებლის მარინსკის სასწავლებელში განთავსების შესახებ – ეწინააღმდეგება სამართლიანობას, მოითხოვს ყოველმხრივ განხილვას და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად სასწავლო ხელმძღვანელობისადმი წარდგენას.




**მარინეს პროსპექტი,**  
*(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა  
 „ივერიელი“)*

რამდენადაც მზრუნველობა და მატერიალური კეთილდღეობა მარინსკის სასწავლებლისა ევალება სასწავლებლის მზრუნველთა საბჭოს, საკითხი შენობისა უნდა გადაწყდეს აღნიშნული საბჭოს მიერ *[ახსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 12, ფურც. 9]*. ამდენად, სათათბიროს გადაწყვეტილება მარინსკის სასწავლებელში ქალთა სასწავლებლის განთავსების შესახებ იმ ეტაპზე ვერ განხორციელდება *[იქვე]*.

გიმნაზიას ახალი შენობა მხოლოდ 1904 წელს გადაეცა. მისი მშენებლობის წამოწყება ივანე მესხის, გრ. ვოლსკის, ნიკა ჯაყელის, ნ. დუმბაძის, ლუკა ასათიანის სახელს უკავშირდება. მშენებლობისათვის საჭირო თანხის გამონახვა ივანე მესხთანაა დაკავშირებული. მისი ინიციატივით, ბათუმის ნავსადგურში გასატან ყოველ ფუტ ტვირთზე შემოიღეს გადასახადი, რასაც მოჰქონდა სოლიდური შემოსავალი. უმრავლესობა ითხოვდა, რომ ამ თანხის ნაწილი მოხმარებოდა გიმნაზიის მშენებლობას, თუმცა ეს დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არც სამშენებლო მასალის მონახვა იყო ადვილი. ქალთა გიმნაზიის გახსნის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის ფიქრობდნენ, რომ სკოლას „მარინეს სკოლის“ (ეხლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის პარკთან ახლოს) შენობაში განათავსებდნენ, თვით ეს სკოლა კი ნაქირავებ შენობაში უნდა გადაეყვანათ. შეიქმნა კომისია, რომელმაც შენობა უფარგისად მიიჩნია. ამიტომ, ქალთა გიმნაზიისათვის იქირავეს ბინა 2 წლის ვადით მოქალაქე სუკოიანებისაგან, რომელიც მდებარეობდა ეხლანდელი სკოლის ახლოს. აღნიშნული საკითხის განხილვას 1902 წ. აგვისტოში მიეძღვნა სპეციალური სხდომა, რომელზეც სხდომის წამყვანმა თავადმა ანდრონიკოვმა მოახსენა დამსწრეებს სკოლის მშენებლობის შეწყვეტის მიზეზი – სუკოიანების ერთ-ერთი ძმის გარდაცვალება, რომელსაც უნდა მიეცა თანხმობა მიწის გაყიდვაზე. მეორე ძმა კი თანხმობაზე უარს აცხადებდა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო მშენებლობის საკითხის დაჩქარება სუკოიანების თანხმობის გარეშე. ამისთვის საჭირო იყო

მზრუნველთა საბჭოს წევრთა აზრი და გადაწყვეტილება. შენობის პროექტის ავტორი – პოდპოლკოვნიკი პომორსკი სვამს საკითხს სუკოიანების თანხმობის გარეშე მშენებლობის დაწყების შესახებ. სამშენებლო კომისიას ხელს აწერენ: ნ. საბავეცი, გ. კალმი, პ. მჭედლოვი, მ. ნაკაშიძე, შ. მიხაილიდი, ლ. ქიქოძე, ა. ბერკლიანცი [ახსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 7, ფურც. 34].



საარქივო დოკუმენტებში ვხვდებით მასალებს მშენებლობისათვის საჭირო შემოსავლის წყაროების შესახებაც, კერძოდ, ქალაქიდან ყოველწლიურად იღებდა 1300 მანეთს, სახალხო განათლების სამინისტროსაგან 2000 მანეთს, სწავლების საფასური-საგან შემოსული იყო 43 800 მანეთი. გახსნამდე შემოუწირავთ 100 მანეთი, სულ 8800 მანეთი.

მშენებლობის დაწყება პოდპოლკოვნიკ პომორსკის პროექტის შესაბამისად ლ. შაპიროს სახელს უკავშირდება. მას დაევალა მშენებლობის დასრულება 1904 წლის იანვრისათვის. მშენებლობა წააწყდა გარკვეულ სირთულეებს. შაპირო სპაეციალური განცხადებით მიმართავს ქალაქის თავს, რომელშიც იგი ითხოვს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანის უფლებას ვოზნესენსკის (ეხლ. მელიქიშვილის) ქუჩიდან. ზღვიდან სკოლამდე მართლაც გაუყვანიათ რკინიგზა, თუმცა სამშენებლო მასალები მაინც ცხენებით შემოჰქონდათ.

შაპირომ მშენებლობა დროულად დაასრულა. ნაგებობა იმდროინდელი სამშენებლო ტექნიკის საფუძველზე აიგო და სრულად აკმაყოფილებდა გიმნაზიის მოთხოვნებს. 1904 წელს ქალთა გიმნაზია გადავიდა ახალ შენობაში. ეს მოვლენა დაემთხვა გიმნაზიის კურსდამთავრებულთა პირველ გამოშვებას. ამ წელს გიმნაზია 27-მა მოსწავლემ დაასრულა. მანამდე არსებული შენობა, რომელშიც დროებით იყო განთავსებული ქალთა გიმნაზია, 1909 წელს დამწვარა [ახსცსა, ფ. 0-2, ს. 102].

საარქივო ფონდებში სხვა სახის მასალებიცაა დაცული. №11 ფონდში დაცული №36 საქმე პარიზში უცხო ენების მასწავლებელთა კონგრესს (1909 წელი) ეძღვნება. აქვეა კრილოვის იუბილესთან დაკავშირებული პროგრამა, ფიზიკისა და მათემატი-

კის მასწავლებელთა შრომების პუბლიკაციის საკითხების ამსახველი მასალები *[ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 36]*.

სხვა საქმეებში ვხვდებით დოკუმენტებს წლების მიხედვით გაკვეთილების განაწილების გეგმის, პედაგოგიური საბჭოს სხდომების, პედაგოგთა პირადი შემადგენლობის და სხვა საკითხების შესახებ. აქვეა 1916 წლის მონაცემები სასწავლებლის შემოსავლებისა და გასავლის შესახებ. დოკუმენტის მიხედვით სწავლების საფასურის მოსალოდნელი შემოსავალი 1916 წელს – 558 მოსწავლისაგან შეადგენს 83 700 მანეთს (150 მანეთი ერთ მოსწავლეზე), სახაზინო – 2000 მანეთი, დამატებითი – 1500 მანეთი, ქალაქისაგან – 1800 მანეთი, მერვე კლასისაგან – 1950 მანეთი, წინა წლის ნაშთი – 7300 მანეთი, სულ 98 250 მანეთი *[ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 55, ფურც. 8]*. რაც შეეხება გასავალს, იგი შეადგენს 98 845 მანეთს *[ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 55, ფურც. 8-9]*. დოკუმენტში პუნქტების მიხედვითაა გაწერილი – თუ რაში გაიხარჯება ეს თანხები.

საქმეებში წარმოდგენილია აგრეთვე თხოვნა ქალთა და კაცთა გიმნაზიაში ჯგუფური მეცადინეობის ნებართვის შესახებ, მაგრამ იმის გამო, რომ იმჟამად ვაჟთა ჯგუფური მეცადინეობისათვის არ იყო შესაბამისი ოთახი, გადაწყდა მათი ჯგუფური მეცადინეობების ჩატარება ქალთა გიმნაზიის ქვედა სართულზე *[ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 55, ფურც. 57]*.

როგორც ცნობილია, ქალთა გიმნაზიის შენობა 1918-1919 წლებში მთელი 10 თვის განმავლობაში დაკავებული ჰქონდათ ხან ქართულ, ხან თურქულ და ინგლისურ სამხედრო შენაერთებს. საქმეში დაცულია 1919 წლის დოკუმენტი – მიმართვა ქალაქის მმართველობისადმი – შენობის დასუფთავების შესახებ ქალთა გიმნაზიის მოსწავლეების ჯგუფური მეცადინეობების ხარჯზე *[ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 55, ფურც. 65]*. 1920 წლის მარტისათვის გიმნაზიაში სწავლობდა 420 მოსწავლე *[ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 67, ფურც. 3]*.

გიმნაზიის მოსწავლეებისათვის ეწყობოდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, ხდებოდა სასწავლო თუ მხატვრული ლიტერატურის გამოცემა. 1902 წლის 20 თებერვლის პედაგოგიური საბჭოს სხდომა მიემდგინა გოგოლის ხსოვნის უკვდავყოფას, რისთვისაც უნდა გამოცემულიყო მწერლის ნაწარმოებების კრებული.

ამრიგად, ქალთა გიმნაზიამ, რომელიც გაიხსნა ბათუმში ქართული საზოგადოებრიობის მოთხოვნის საფუძველზე, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა მოსწავლე გოგონების სწავლა-აღზრდის საქმეში. საარქივო მასალები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ქალთა გიმნაზიის ისტორიის, სასწავლო და აღმზრდელობითი საქმიანობის შესახებ.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**ასსცსა, ფ. 0-11, ან. 1, ს. 1:** – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 0-11, ანაწერი 1, საქმე №1. გამოყენებულია, აგრეთვე, ამავე ფონდის საქმეები: №№ 2, 3, 4, 6-ა, 7, 12, 13, 22, 36, 55, 57, 67.

**ანდლულაძე, ასსცსა, ფ. 0-11, ან.:** – ანდლულაძე გ., ბათუმის ქალთა გიმნაზიის მოკლე ისტორიული ცნობარი, რუსულ ენაზე, აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 0-11, ანაწერი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“;  
<http://old.bsu.edu.ge/index.php?sec=19#ixzz40Who9XJY>

### **Batumi Women's Gymnasium in Archival Documents**

#### Abstract

After the Russian-Ottoman 1877-1878 war Adjara returned to Georgia. The plans of the Russian Empire did not consider establishment of educational institutions in the region, especially for women. However, boys' gymnasium, St. Marine School, was established in Batumi. Through the efforts of the Georgian society and the Batumi self-government, at the initiative of Batumi mayor Luka Asatiani, on September 26, a women's gymnasium for 150 students was opened in Batumi.

Archival documents reflecting the establishment of Batumi women's gymnasium, the process of education and educational activities are stored in the Central State Archive of Ajara. The documents reflect the materials from 1900 to 1920 period and are reserved into the Fund: I-11, with a 133 case units.

It is clear from the archival documents that the established women's gymnasium firstly was located in Gr. Sukoyan's house, from 1904 came to a specially built building. First 5 classes were functioned in the gymnasium, and by 1904 there were already - 8. Georgian, Russian, Armenian, Jewish and other students studied at the gymnasium. The instruction language was Russian. Russian and Georgian languages, mathematics, history, foreign languages (English, German, French) were taught at Gymnasium. They also taught dance, painting, handicrafts and etc. After graduating from the gymnasium, the graduates were given the right to be family teachers.

Batumi Women's Gymnasium has been headed by Al. Stoyanov, however, caregivers' councils had a special role in leading the educational process.

From the archival documents it is clear that Luka Asatiani was the head of the board of trustees of the gymnasium. The members of the council were: K. Severina, M. Eliava, S. Nakashidze, Al. Stoyanov, P. Zikov, N. Dumbadze, E. Bogoslavsky, L. Kiknadze, Gr. Volski. There are lists of the pedagogical councils, the staff of the teachers, and reports of the sessions, in which the issues related to the various needs of the gymnasium are discussed: educational programs, training topics, correspondence with the Caucasus educational district, exemption of some students from tuition fees, financial reports, statistics and etc.

Particular attention was given to the construction of a new building for the Women's Gymnasium. The new building of the gymnasium was transferred only in 1904. Initiation of its construction belongs to Iv. Meskhi, Gr. Volski, N. Jakeli, N. Dumbadze and L. Asatiani. In the archival documents there are materials about the sources of income needed for construction. It had constructed according to the project of Lieutenant Colonel Pomorsk, despite the difficulties, L. Shapiro completed it by 1904. This event also coincided with the first graduation of the graduates.

Thus, the materials preserved in the Central State Archive of Ajara are an interesting source for studying the development of the educational system in Batumi and the region, and the history of the Women's Gymnasium.



## ბათუმი, როგორც ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალის მასპინძელი ქალაქი

**აბსტრაქტი:** ნაშრომში განხილულია ბათუმის, როგორც ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალის მასპინძელი ქალაქის შესახებ. მიმოხილულია საქართველოს, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შესახებ. მათ შორის აღნიშნულია, IV ფესტივალის შესახებ. ამ ფესტივალში გამარჯვებულთა შესახებ და სხვ.

**საკვანძო სიტყვები:** მევენახეობა-მეღვინეობა, ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალი, ოქროს მედლის მფლობელი, ვერცხლი მედლის მფლობელები.

**Key words:** Viticulture-winemaking, Home-made Wine Festival, Gold Medal Holder, Silver Medal Holders.

\* \* \*

„საქართველო“ და „ვაზი“ – ისტორიულად, ეს ორი სიტყვა სინონიმად ქცეულა ერის დასახასიათებლად. ქართველმა კაცმა შრომისმოყვარეობით, სიყვარულით შეძლო ველური მცენარე აბორიგენულ ვაზად, ხოლო მისი ნაყოფი და ნაჟური – ღვინოდ ექცია და მსოფლიოს უსახსოვრა მიწათმოქმედების ეს კულტურა.

საქართველო რომ ღვინის სამშობლოა, ამაზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული გარეული და კულტურული აბორიგენული ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება. ასევე, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მეცნიერული კვლევები. ჩვენს წინაპრებს პირველად 7000 წლის წინ დაუყენებიათ ღვთაებრივი სასმელი. ათასწლეულების განმავლობაში კი მათი დაუღალავი და მადლიანი მარჯვენის წყალობით, მევენახეობა და მეღვინეობა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგად ჩამოყალიბებულა. შედეგად, ქართველი ერის და ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებია ერთმანეთს.

ერის თავგანწირულმა ბრძოლამ მამულის, ენის, სარწმუნოების გადასარჩენად, თავისი შედეგი გამოიღო. ერის ერთიანობის შესანარჩუნებლად დაიწყო ეროვნული კულტურის და მეურნეობის აღორძინება. კვლავ დაიწყო მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება, ამერ-იმერში კულტურული ქართული ვაზის ჯიშების აღდგენა და მოვლა-პატრონობა.

საქართველოს ისტორიის მამას, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს, საქართველოს ეკონომიკის ისტორიის II ტომში 420 ვაზის ჯიშში აქვს დასახელებული, რომელთა გავრცელების არეალი, ჯიშების მიხედვით, ასე აქვს გადმოცემული: ჰერეთში სულ 8 შავი და თეთრი ჯიშია, კახეთში 17 შავი, 36 თეთრი და 13-ის ფერის შესახებ ცნობა არ მოგვეპოვება, სულ კი 66 სახელწოდებაა. ქვემო ქართლში – 2, შიდა ქართლში 18 შავია, 20 თეთრი, ანუ სულ 38-ია. მესხეთში 20 შავია და 22 თეთრი, სულ 42-ია. რაჭაში 25 შავია და 34 თეთრია, სულ 59-ია. ლეჩხუმში 16 შავი და 20 თეთრია, სულ 36-ია. სამეგრელოში 37 შავი და 16 თეთრია, სულ 53. გურიაში 41 შავი და 18 თეთრია, სულ – 59. აჭარაში 14 შავი და 12 თეთრია, სულ – 26, შავშეთ-კლარჯეთში 13 შავია და თეთრია, სულ 26-ია [ჯავახიშვილი, 1935: 305].

ოჯახური ტექნოლოგიებით დამზადებული ღვინის ფესტივალების ბათუმში ჩატარების ერთ ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ ღონისძიება-პროექტის განხორციელების მიზანი ემსახურება საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეაბილიტაცია-აღორძინების სტიმულირებას. ასევე ბათუმის, როგორც ტურისტული მხარის, ამ კუთხითაც განვითარებას. ეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ბათუმის, ლაზეთისა და ჩრდილოეთ ამერიკის მიტროპოლიტი დიმიტრის ლოცვა-კურთხევით დაწყებული მამულ-შვილური საქმე ყოველწლიურად სულ უფრო პოპულარული და შედეგიანი ხდება, რაც გამოიხატება შემდეგში:

- ქვეყანაში, და მათ შორის აჭარაში, აგრობიზნესში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების აქტიური პროცესი დაიწყო. ეროვნული მეურნეობის ეს დარგი ერთ-ერთი პრიორიტეტული გახდა და მოსახლეობას ტრადიციული საყოფაცხოვრებო და სარიტუალო წეს-ჩვეულებისაკენ მობრუნების მიდრეკილება გაუძლიერა.

- მოსახლეობას გაუჩნდა რეალური შემოსავლების მიღების, მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დასაქმების შესაძლებლობები. უფრო მეტიც, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების პოტენციალის ათვისებით ხელი შეეწყობა მოსახლეობის მიგრაციის შეჩერებას, სოფლად დამაგრებას. განვითარდება ფერმერული და ოჯახური მეურნეობები. კიდევ უფრო მიმზიდველი გახდება საქართველო ტურისტებისა და სხვა კატეგორიის ვიზიტორთათვის. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღინიშნოს იმ დაწესებულებათა და მეწარმეთა (ბიზნესმენტა) წვლილი, რომლებმაც ყველაფერი იღონეს ამ ეროვნული პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის: მეღვინეობა „ხარება“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქალაქ ბათუმის მერია, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, მაღაზიათა ქსელი „ტექნობუმი“, სამშენებლო კომპანია „ანაგი“, ფონდი „ერთგულება“, „ბაგრატიონი 1882“; ასევე, ბატონები: ზურაბ ტყემალაზე, ჯემალ ინაიშვილი, ვანო ჩხარტიშვილი, ანზორ ქოქოლაძე, თემურ ჭყონია, გიორგი პაპუაშვილი და სხვ.

ოჯახში დამზადებული ღვინის ბათუმის I-IV ფესტივალების სადევუსტაციო კომისიის წევრებად იყვნენ: აბზიანიძე დავით (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), არმენაძე მერაბ (ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი), ბახტაძე ზურაბ (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), კალანდაძე ბონდო (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), კვესიტაძე გიორგი (ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), კობახიძე მარინე (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), კორტავა თემურ (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), მამიაშვილი ვაჟა (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), ნანიტაშვილი თენგიზ (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), ნაჭყებია დავით (შპს „მეღვინეობა ხარებას“ მთავარი სპეციალისტი), პაპუნძე გურამ (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), რჩეულიშვილი ვასილ (მთავარი სპეციალისტი), ულარჯიშვილი ვაჟა (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), ქურიძე მურმან (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი), ჩახვაძე ვახტანგ (შპს „აჭარული ღვინის სახლის“ მეღვინე-კონსულტანტი, ღვინის ფესტივალის კომისიის მდივანი), ჩხარტიშვილი ნოდარ (სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი), ხოსიტაშვილი მარინე (ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი).

ოჯახში დამზადებული ბათუმის ღვინის IV ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ჩვენი საკუთარი მეურნეობის თეთრმა ღვინომ. კონკრეტულად, ჩვენ მიერ წარმოებული თეთრი ღვინო მოდის კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. კონდოლში, რომელსაც „ლიონიდის ზვარი“ ეწოდება. უფრო ვრცლად ამ ადგილებისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ იხ: <https://bm.ge/ka/video/lionidzis-zvari-da-misi-saukunovani-istoria/20967>. კონდოლის ღვინო პირველად მოხსენიებულია ვახუშტი ბატონიშვილის მიერ თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსი საქართველოსა“: „ღვინო კეთილი, კონდოლისა წარჩინებული“ **[ვახუშტი, 1941; 89]**.

ჩვენს კუთვნილებაში ნახევარი ჰექტარია, სადაც მოდის როგორც თეთრი, ისე შავი ყურძენი. ამ ადგილზე მოყვანილ ყურძნისაგან დაწურულმა ღვინომ ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალზე აიღო ვერცხლის მედალი. საერთოდ, უნდა აიღნიშნოს, რომ სოფ. კონდოლის ტერიტორიაზე გამწვანებული ვაზის სხვადასხვა ჯიშისაგან დამზადებული ღვინო ყოველთვის გამოირჩევა სხვა ტერიტორიაზე მოწეული ყურძნის ღვინისაგან. არის მაღალი ხარისხის და გამორჩეული.

2011 წლის ოჯახში დამზადებული ღვინის ბათუმის IV ფესტივალში მონაწილეობას იღებდა 201 ნიმუში. აქედან თეთრი იყო 121, ხოლო წითელი – 80.

#### **ოქროს მედლის მფლობელები:**

საუკეთესო აღმოსავლური თეთრი ღვინო – ირაკლი დეკანოზიშვილი, ირაკლი კვარცხავა.

საუკეთესო დასავლური თეთრი ღვინო – ჯამბული ქავთარაძე, ანდრო ვარშალომიძე.

#### **ვერცხლის მედლის მფლობელები:**

საუკეთესო აღმოსავლური თეთრი ღვინო – ამირან ქებაძე, გაგა ბუიშვილი.

საუკეთესო დასავლური თეთრი ღვინო-ზურაბ თოფურიძე, სალხინოს მამათა მონასტერი.

#### **ბრინჯაოს მედლის მფლობელები:**

საუკეთესო აღმოსავლური თეთრი ღვინო – გია კუჭავა, შოთა შავკაციშვილი.

საუკეთესო დასავლური წითელი ღვინო – ირაკლი თავაძე.

ოჯახში დამზადებული ღვინის IV ფესტივალის გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონია ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა (2011 წლის 11 მაისი). ცერემონიას საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო მიტროპოლიტ დიმიტრისთან ერთად. საუკეთესო მეღვინეები ფესტივალის ჟიურიმ გამოავლინა. საპრიზო ადგილებზე გასულ მეღვინეებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

ჩვენს მიერ ქვემოთ ნაჩვენები ფოტოები არის დიპლომი და ვერცხლი მედალი, რომელიც მიიღო ჩვენი ოჯახის ღვინომ.

ასე რომ, ბათუმი არის როგორც საქართველოს ბუნებრივი ნავსაყუდელი და ტურისტული ქალაქი, ასევე, ოჯახში დამზადებული ღვინის ფესტივალის მასპინძელი ქალაქი. ბათუმს აქვს მრავალმხრივი დატვირთვა . . .



### გამოყენებული ლიტერატურა:

**ვახუშტი, 1941:** – ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი, 1941.

**ჯავახიშვილი, 1935:** – ჯავახიშვილი ივანე, „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“, II, თბილისი, 1935.

**ჩხარტიშვილი, 1987:** – ჩხარტიშვილი ნოდარ, „მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიმართულებები“, თბილისი, 1987.

<https://bm.ge/ka/video/lionidzis-zvari-da-misi-saukunovani-istoria/20967>


**Madona Keadze (Telavi, Georgia)**

### **Batumi as a Host city of a Family-Made Wine Festival**

#### Abstract

Our article discusses the fourth Batumi Family Wine Festival. Kakheti wine has a certain place in the history of viticulture and winemaking in Georgia. The above-mentioned Batumi festival has played a great role in terms of both the economic development of the country and the development of Batumi.

White wine from the village of Kondoli in Kakheti won a silver medal at the Fourth Batumi Family Wine Festival (Leonidze Zvari).



## ცნობები ბათუმის ცხოვრებიდან (აარქივო მასალების მიხედვით)

**აბსტრაქტი:** ბათუმის ცხოვრების შესახებ არსებული საარქივო მასალებში აღწერილია ქალაქის სამეურნეო ცხოვრების, ადმინისტრაციული მოწყობის, დემოგრაფიული ვითარების, ქალაქის არქიტექტურული მოწყობის, საცხოვრებელი ნაგებობების, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ცალკეულ ნიუანსები. ასევე, დაცულია ცალკეული უწყების ხელმძღვანელთა სახელები.

**საკვანძო სიტყვები:** საქალაქო მეურნეობა, დემოგრაფია, პოლიტკლუბი, იახტკლუბი, საცხოვრებელი ნაგებობები.

**Key words:** City Farm, Demography, Political Club, Yacht Club, Residential Buildings.

\* \* \*

როგორც საარქივო მასალები გვიჩვენებს, XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა. დიდი ტრადიციების საზღვაო ქალაქი თავისი ეთნიკური და კონფენსიური მრავალფეროვნებით მრავალ ადამიანსა და სახელმწიფოს იზიდავდა. ეს გარემოება ჩანს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, კერძოდ, უკვე 1926 წლისთვის, ბათუმს, მოსახლეობის მიხედვით, საქართველოს ქალაქებს შორის მეორე ადგილი ეკავა *[სდსინ, 2012:417]*. 1926 წლის სტატისტიკური აღწერით, ბათუმის მოსახლეობა არ აღმატებოდა 50 000-ს, ამიტომ, მე-6 კლასის აღწერის შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა, როგორცაა ახალი უბნების შემოერთება – ბარცხანა, გოროდაკი, ჭაობი, ლიმან-მელე, ანგისა და სხვ., ფაბრიკა-ქარხნების დაარსებამ, მიიზიდა ახალი მუშახელი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა და 1927 წლის აღწერით მან 51 000 მიაღწია, რითაც ბათუმი მე-7 ზოლში მოექცა *[ასსცსა, ფ. პ-4, ან. 1, ს. 407, ფურც. 1]*. მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელია გაცემული საბინაო წიგნაკების რაოდენობაც. ასე, მაგალითად, 1923 წელს გაიცა 600 (595) საბინაო წიგნაკი, აქედან პატარა – 372, დიდი – 223 *[ასსცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 119, ფურც. 61]*.

ბათუმის, როგორც სამრეწველო ქალაქის დაწინაურება, განსაკუთრებით სარკინოგზო მშენებლობის შემდეგ მოხდა. ბაქოს საბადოს ინტენსიურმა ათვისებამ მოითხოვა ბათუმში ტრანსპორტირებისთვის საჭირო ბიდონის მწარმოებელი საწარმოს მშენებლობა. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე ჩანს, რომ მანუფაქტურული სახელოსნოების გვერდით, ბათუმში არაერთი მსხვილი კაპიტალისტური საწარმო დაარსდა (აბრეშუმის, ზეთსახდელი, დელფინისა და სხვ.). გასაბჭოების პერიოდში ბათუმში, სახელოსნოების ჩათვლით, 600-ზე მეტი სამრეწველო საწარმო აღირიცხა, მათ შორის პარფიუმერიის ზეთის მწარმოებელი საწარმოც *[სდსინ, 2012:105-106; ასსცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 204, ფურც. 1058; ასსცსა, ფ. პ-4, ან. 1, ს. 407, ფურც. 9-10]*.

1927 წლის საარქივო მასალებში დაცულია სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა სია, რომლებიც, უმთავრესად, მრეწველობაში იყვნენ დასაქმებულნი *[ასსცსა, ფ. რ-4, ან. 4, ს. 237]*.

XX საუკუნის 20-იანი წლების II ნახევრიდან მთელს ქვეყანაში ვლინდება მეაბრეშუმეობისადმი მზარდი დაინტერესება, რომელიც 1930-იანი წლებიდან, „საქაბრეშუმის“ ტრესტის შექმნის შემდეგ, სწრაფად განვითარდა **[სდსინ, 2012:162]**. ამის შედეგად, უკვე 1934 წ., ბათუმში გაიხსნა აბრეშუმის პარკის დამზადების პუნქტი **[სდსინ, 2012:163]**. დასავლეთ საქართველოდან გაჰქონდათ ევროპაში აბრეშუმის პარკი და აბრეშუმის პეპლის კვერცხი. მეაბრეშუმეობის განვითარებას ემსახურებოდა 1941 წ. 19 თებერვლის დადგენილება, რომლის საფუძველზე დაიწყო ბათუმის ოლქში თუთის ნერგების განაშენიანება და 1941 წელს ნარგავების რაოდენობამ 21, 9 ათასს მიაღწია.

საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების პერიოდში, მოსახლეობის სოციალური ყოფისა და, ასევე, მაშინდელი მსუბუქი მრეწველობის განვითარების დაბალი დონის მაჩვენებლად ისიც შეიძლება დავიმოწმოთ, რომ 1921 წლისთვის ბათუმში ამერიკიდან შემოჰქონდათ მეორადი საქონელი – ფალას-ფულასი, ბოხჩა ანუ მონძმანები, ჩვრები **[ქართული ..., 1986:441]**.

აღნიშნულ პერიოდში, ბათუმის ძირითად სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა შველევისა და პუშკინის პროსპექტებთან არსებული ბაზარი **[ასსცსა, გ. რ-1, ან. 1, ს. 51]**.

პოლიტიკური რეპრესიების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ 1921 წ. 27 მარტის დადგენილება, სადაც მითითებულია, რომ „არ დაინდონ“ ბათუმის სამმართველოს ადიუტანტი, კომენდანტი ბაგრატიანი და მის ნაცვლად დანიშნონ თოფურიძე **[ასსცსა, გ. პ-1, ან. 1, ს. 3]**.

1937 წლის საქართველოს კპ(ბ) აჭარკომის ინსტრუქტორის მოხსენებათა ჩანაწერებში, დასახელებულია ბათუმში არსებული უწყებები და მათი ხელმძღვანელები, მაგალითად, საბაჟოს უფროსი ყოფილა ჯღარკავა, პორტის ხელმძღვანელი კი ქრისტეფორე მელუა **[სუიცსა, გ. 14, ან. 11, ს. 213]**.

საარქივო მასალებში ყურადღებას იქცევს 1929 წლის შავი ზღვის ოლქში დასაქმებულ გლეხთა მოწოდება, რომელიც ითვალისწინებდა ჭიათურის უღარიბესი გლეხობისადმი მხარდაჭერის მიზნით სოჭის ოლქში მათ გადასახლებას **[სუიცსა, გ. 284, ან. 1, ს. 3379]**. საფიქრებელია, რომ გლეხობისადმი გამოვლენილი სოლიდარობა იმ ძირითადი მიზეზის შენიღბვას წარმოადგენდა, რაც შესაძლოა სოჭის ოლქის გასხვისებით ყოფილიყო გამოწვეული.

საარქივო მასალებში დაცულია 1929 წელს შედგენილი აჭარისა და ბათუმის გეოგრაფიული რუკები, რომელთა საგანგებოდ შედგენა იმ პერიოდში მეზობელ თურქეთის რესპუბლიკასთან საზღვრების ჩაკეტვასა და პოლიტიკური საზღვრების დადგენის პერიოდს ემთხვევა **[სუიცსა, გ. 284, ან. 1, ს. 1322]**.

XX საუკუნის 20-იან წლებში აჭარაში საფუძველი ჩაეყარა საფეხბურთო და საიალქო სპორტს. ამ უკანასკნელმა 1921 წლამდე იარსება, თუმცა 1924 წელს მოხდა მისი აღდგენა. უკვე 30-იანი წლების დასასრულს, ბათუმში, საზღვაო ნავსადგურის ახალი რეკონსტრუქციის შედეგად, 13 ნავმისადგომი მუშაობდა **[სდსინ, 2012:132, 486]**, თუმცა მანამდე, 1929 წლისთვის ბათუმში არსებობდა იახტკლუბები, რომლებსაც უცხოელ მეზღვაურებში პოლიტაგიტაციური საქმიანობისათვის აქტიურად იყენებდა ინტერკლუბის ინსტრუქტორი ფორმანი თავისი ბრიგადის წევრების (ვოროვსკი, ფაინი, პოლანო) დახმარებით. მათი კონკრეტული მიზანიც ნათელია – უცხოელი მეზღვაურების ჩართვა ანტიიმპერიალისტურ ლიგასთან საურთიერთობოდ **[ასსცსა, გ. პ-1, ან. 1, ს. 1038, ფურგ. 21]**. ინტერკლუბში ფართომასშტაბიანი მუშაობა

ხდებოდა, სადაც მთლიანი სივრცე სარეკლამო სექტორებს ეკავა *[ასსცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 1038, ფურც. 2]*. უცხოელ მეზღვაურებთან დაახლოებისა და გადმოხიზვის მიზნით ეწყობოდა ექსკურსიები, სპორტული ღონისძიებები, რითაც ხდებოდა საბჭოური ცხოვრების პროპაგანდა და პოპულარიზაცია. საარქივო მასალებით ვლინდება ევროპელ და ამერიკელ მეზღვაურთა განსაკუთრებული დაინტერესება ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა: 5 წლიანი გეგმა, 7 საათიანი სამუშაო დღე, 5 დღიანი სამუშაო კვირა, ომის საფრთხე საბჭოთა კავშირის მიმართ და ა.შ. *[ასსცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 1038, ფურც. 2, 24]*.

როგორც ცნობილია, საქართველოში სამუზეუმო ცხოვრება დაიწყო ჯერ კიდევ 1852 წელს, როდესაც თბილისში დაარსდა კავკასიის მუზეუმი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და საბუნებისმეტყველო განყოფილებით. აჭარაში 1923 წ. საოლქო კომიტეტთან არსებულ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირთან შეიქმნა მხარეთმცოდნეობის წრე *[ასსცსა, ფ. 14, ან. 1, ს. 803]*. საფიქრებელია, რომ მოგვიანებით სწორედ ამ ბაზაზე დაარსდა მხარეთმცოდნეობის ბიურო, რომელსაც 4 სექცია ჰქონდა *[ასსცსა, ფ. პ-2, ან. 1, ს. 840, ფურც. 40]*.

საინტერესო ცნობები ჩანს 1902 წლის საარქივო მასალებში, რომელიც შეეხება კონსტანტინოპოლში ეკლესიის აგებას. ჩანს, რომ ამ მიზნით გააგზავნეს გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ერისთავი და ინჟინერი პეტრე აპიშკოვი *[ასსცსა, ფ. ი-82, ან. 1, ს. 12]*. ცნობები ამ პიროვნებათა შესახებ მეტნაკლებად ცნობილია. ირკვევა, რომ ისინი წლების განმავლობაში ერთად მოღვაწეობდნენ ქუთაისის გუბერნიაში. ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი (1831-1912) იყო რუსეთის იმპერიის არმიის გენერალ-ლეიტენანტი (1912), წარმომავლობით ქსნის ერისთავთა საგვარეულოდან, გენერლების – ალექსანდრე ერისთავისა და გიორგი (გიგუშა) ერისთავის მამა, ასევე, გენერლების – მიხეილ ერისთავისა და კონსტანტინე ერისთავის ძმა. ნიკოლოზ ერისთავი მონაწილეობდა ყირიმისა (1853–1856) და რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878) ომებში. ამ დამსახურების გამო იგი იყო 1867 წელს თერგის ოლქის ჩაჩნეთის ოკრუგის, 1874 წელს – იმავე ოლქის გროზნოს ოკრუგის უფროსი, 1878 წელს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, 1883 წელს – ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე და ბათუმის გარნიზონის უფროსი. 1884 წელს მას მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლითა და მრავალი ორდენით, მათ შორის თურქული მეჯიდიეს, სპარსეთის ლომისა და მზის, ბუხარის I ხარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენებით. დაკრძალულია თბილისში, კალოუზნის წმინდა გიორგის ეკლესიის საგვარეულო აკლდამაში *[<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/0000703/>]*. რაც შეეხება პეტრე აპიშკოვს (1841-1902), იგი იყო ცნობილი რუსი არქიტექტორი, რომელიც 1886 წლიდან გარდაცვალებამდე ქუთაისში მოღვაწეობდა *[[https://uk.wikipedia.org/wiki/Апишков\\_Петро\\_Володимирович](https://uk.wikipedia.org/wiki/Апишков_Петро_Володимирович)]*.

არსებული მასალებით არ იკვეთება ნ. ერისთავისა და პ. აპიშკოვის კონსტანტინოპოლში ჩასვლა და იქ საქმიანობა, თუმცა, ცნობილი გენერლის აღნიშნულ მისიაში ჩართვა შესაძლოა სხვა მიზანსაც ემსახურებოდა და იგი შემდგომი კვლევის საქმეა. ამ შემთხვევაში იმის გარკვევაც ჭირს, თუ რომელი ეკლესიის აშენება შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. სტამბოლსა და მის გარეუბანში რამდენიმე მართლმადიდებლური ეკლესია არის ცნობილი: კერძოდ, 1720-იან წლებში რუსეთის მიერ ოსმალეთის იმპერიაში თავის საელჩოსთან აგებული პირველი მართლმადიდებლური ტაძარი. ამის შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, კონსტანტინოპოლის არცთუ

დიდი რუსული კოლონიისთვის წმინდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედის სახ. სამრევლო ეკლესია; შემდეგ, გალათას კვარტალში, XIX ს. დასასრულს, წმინდა პანტელიმონის ტაძართან არსებული მრავალსართულიანი სახლის ზედა სართულზე არსებული ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის სამლოცველო, სადაც იკრიბებოდნენ რუსეთის იმპერიიდან მოსული, ათონის მთასა თუ იერუსალიმში მიმავალი მომლოცველები; შესაძლოა, ეს ტაძარი ყოფილიყო კონსტანტინოპოლის რაიონში – ქადიქოიში 1880 წ. დაარსებული ყველაზე დიდი ფუნქციური საკულტო ნაგებობა – სამების ტაძარი, რომლის აღდგენა 1902 წლისთვის იყო დაგეგმილი. საგულისხმოა ისიც, რომ იმავე წელს მოხდა ათონის მთაზე არსებული სამძმოს („რუსული კელიის სამძმო ათონზე“) მიერ სახლის შექმნა, სადაც, რუსეთის საკონსულოს შემწეობით, კონსტანტინოპოლში მცხოვრები შეჭირვებული რუსული მოსახლეობის 100-მდე ბავშვი სწავლობდა. ამ სკოლას ხელმძღვანელობდა კონსტანტინოპოლში არსებული ერთადერთი რუსული საზღვარგარეთული ჰუმანიტარული მიმართულების არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ფ. ი. უსპენსკი. არც ისაა გამორიცხული, 1902 წ. ნ. ერისთავისა და პ. აპიშკოვის გამგზავრება დაკავშირებოდა სამონასტრო საავადმყოფოს მშენებლობას, რომელიც რუსეთის კონსულ ა. ა. გირსის ინიციატივით განხორციელდა კონსტანტინოპოლში.

შემდეგი ტაძარი კი, შესაძლოა, კონსტანტოპოლთან ახლოს – სან-სტეფანოში არსებული XIX ს. დასასრულს აგებული დიდი ქვის ტაძარი ყოფილიყო, რომლის სამკალებშიც 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის მხრიდან დაღუპული 20 000-მდე ჯარისკაცი იყო დაკრძალული, რომელთა შორის ქართველი მეომრებიც უნდა ვივარაუდოთ.

ასე რომ, ოსმალეთის იმპერიაში არსებული მართლმადიდებლური ტაძრებიდან ნებისმიერის აღდგენა-რესტავრაციაში თავისი წვლილის შეტანა შეეძლო ქართველ გენერალ ნიკოლოზ ერისთავს.

ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალები საყურადღებო ცნობებს შეიცავს ბათუმის დასახლების შესახებ. თანამედროვე ბათუმის არდაგანის ტბასთან არსებულ ტერიტორიასთან დღემდეა შემორჩენილი ადრე არსებული სამხედრო დასახლების რამდენიმე ძველი ნაგებობა. სულ რაღაც 15 წლის წინ, ამავე ადგილას, ხელოვნური გორაკის მსგავსი თავდაცვითი სიმაგრე არსებობდა. ირკვევა, რომ არდაგანის ყაზარმების მახლობლად და ბაქოს ქ. №20-ში მდებარე სახლები 1930 წელს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე საკუთრებაში გადაეცა შავი ზღვის ნაპირების დაცვის შტაბს *[ასსცსა, ფ. p-4, ან. 1, ს. 501, ფურც. 124-125]*.

1926-1928 წლებიდან ბათუმის კეთილმოწყობის საქმეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო, რაც საარქივო მასალების მიხედვით საფუთო გადასახადების აღდგენასთანაა დაკავშირებული. აღნიშნულ პერიოდში ამ მიზნით დახარჯულა 28 000 მანეთი. დოკუმენტებში ყურადღებაა გამახვილებული ძველი ბინების შეკეთებაზე, რომელთა ნაწილი ავარიულ მდგომარეობაში ყოფილა. ჩანს ახალი მშენებლობების როგორც დაბალი ხარისხი, ისე არასახარბიელო დაპროექტებაც – დაბალი ჭერი, ძალზედ მოუხერხებელი დაგეგმარება, რაც მათი აღწერიდანაც იკვეთება: „ჯერ გაივლით სამზარეულოზე, მერე დაწესებულებებზე, და შემდგომ საცხოვრებელ ოთახში. ოთხკუთხოვანი ოთახების ნაცვლად აშენებულია რაღაც მრავალკუთხიანი სისტემით“ და ა.შ. *[ასსცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 189, ფურც. 176-177]*. აქვე საუბარია ქალაქში არსებული მძიმე სანიტარული მდგომარეობის შესახებ, რასაც ბათუმის საქალაქო

ცხოვრების მკვლევარებმა, პროფესორებმა რ. სურმანიძემ და ო. თურმანიძემ სათანადოდ ნაშრომები მიუძღვნეს. საკანალიზაციო სისტემის პრობლემის მოუგვარებლობა უმთავრესად იმან გამოიწვია, რომ პეტროგრადელი ინჟინრის მიერ მომზადებული პროექტის ღირებულება ძალიან ძვირი – 6.500 ჯდებოდა. ამ ნაკლის აღმოფხვრა უცხოელი სპეციალისტების მოწვევით, საფუთო გადასახადისა და ქალაქის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფილი 30.000 მანეთის, დანარჩენი კი ბანკის კრედიტების გზით გადაწყდა. საბოლოოდ, გერმანელმა პროფესორმა ჩაატარა ექსპერტიზა და არსებული პროექტი გადააკეთა, რითაც მისი ღირებულება 50.000-ით შემცირდა წინა პროექტთან შედარებით. სამწუხაროდ, პროექტით არ იყო გათვალისწინებული ქალაქის მდგომარეობა 10 წლის შემდეგ, რის გამოც პრობლემებმა თავი მალე იჩინეს *[ასსცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 189, ფურც. 176]* და მისი დაძლევა დღემდე გრძელდება.

ამრიგად, ბათუმის ცხოვრების შესახებ არსებული საარქივო მასალები საინტერესო და მრავალმხრივია, რომლებშიც აღწერილია საქალაქო ცხოვრების არაერთი მნიშვნელოვანი მხარე, რაც შემდგომი კვლევის საიმედო საფუძველს წარმოადგენს.

#### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- ასსცსა, ფ. 14, ან. 1, ს. 803 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 14, ანაწერი 1, საქმე №803.
- ასსცსა, ფ. ი-82, ან. 1, ს. 12 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი ი-82, ანაწერი 1, საქმე №12, 1908 წ.
- ასსცსა, ფ. P-4, ან. 1, ს. 407 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი p-4, ანაწერი 1, საქმე №407, 1930 წ.
- ასსცსა, ფ. P-4, ან. 1, ს. 501 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი p-4, ანაწერი 1, საქმე №501, 1930 წ.
- ასსცსა, ფ. რ-1, ან. 1, ს. 51 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-1, ანაწერი 1, საქმე № 51, 1921 წ.
- ასსცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 119 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე №119, 1923 წ.
- ასსცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 3 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე № 3, 1921 წ.
- ასსცსა, ფ. პ-1, ან. 1, ს. 1038 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე №1038, 1930 წ.
- ასსცსა, ფ. პ-2, ან. 1, ს. 840 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი პ-2, ანაწერი 1, საქმე №840, 1930 წ.
- ასსცსა, ფ. რ- 4, ან.1, ს. 204 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-4, ანაწერი 1, საქმე №204, 1937 წ.
- ასსცსა, ფ. რ- 4, ან. 4, ს. 237 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-4, ანაწერი 4, საქმე №237, 1927 წ.
- ასსცსა, ფ. რ-4, ან. 1, ს. 189 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი რ-4, ანაწერი 1, საქმე №189, 1926-1928 წწ.
- სუიცსა, ფ. 14, ან. 11, ს. 213 – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 14, ანაწერი 11, საქმე №213, 1937 წ.
- სუიცსა, ფ. 284, ან. 1, ს. 3379 – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე №3379.
- სუიცსა, ფ. 284, ან. 1, ს. 1322 – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 284, ანაწერი 1, საქმე №1322, 1929 წ.

სდსინ, 2012: – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის წარკვევები, აჭარა“, IV, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012.

ქართული., 1986: – „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ერთტომეული, თბილისი, 1986.

<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000703/> – ნიკოლოზ ბიძინას ძე ერისთავი (ქართველები უცხოეთში – ბიოგრაფიები და მოღვაწეობა), ინტერნეტ-რესურსი: <http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000703/>

[https://uk.wikipedia.org/wiki/Апишков\\_Петро\\_Володимирович](https://uk.wikipedia.org/wiki/Апишков_Петро_Володимирович) – პეტრე აპიშკოვის ბიოგრაფიული მონაცემები ვიკიპედიაში, ინტერნეტ-რესურსი: [https://uk.wikipedia.org/wiki/ Апишков\\_Петро\\_Володимирович](https://uk.wikipedia.org/wiki/Апишков_Петро_Володимирович)

**Naila Chelebadze (Batumi, Georgia)**

### **Information from the Life of Batumi (According to the Archive Materials)**

#### Abstract

According to the archival materials, it became possible to verify the statistical data of Batumi population in the 20s of the twentieth century based on both the issued housing books and the inclusion of Batumi from the 6th to 7th zone among the cities of Georgia.

The part of the archival materials that deals with a separate detail of the industrial life of Batumi is noteworthy the establishment of new industrial enterprises, the development of sericulture, the cultivation of mulberry seedlings, etc.

Interesting information was revealed about the political-agitation activities of the interclub, which were carried out on a large scale with foreign sailors.

Appropriate place in the archival materials is given to the description of residential buildings in Batumi, the problems of the sewerage system, the issue of military settlement. The geographical maps which are compiled in 1929 are also important.

Interesting information was revealed about the political-agitation activities of the interclub, which were carried out on a large scale with foreign sailors.

Appropriate place in the archival materials is given to the description of residential buildings in Batumi, the problems of the sewerage system, the issue of military settlement. The geographical maps which are compiled in 1929 are also important.



## ქ. ბათუმში მცხოვრები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა ცხოვრების პირობები და საქმიანობა (სოციოლოგიური კვლევის ანალიზი)

**აბსტრაქტი:** ქ. ბათუმში მცხოვრებ შშმ პირთა ყოფა-ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები დღემდე მხოლოდ ფრაგმენტულად იყო შესწავლილი. ჩატარებული კომპლექსური სოციოლოგიური კვლევის მეშვეობით ჩვენ შევეცადეთ დაგვეძლია ეს ხარვეზი.

სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებმა, ნათლად წარმოაჩინეს ის პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებთ მასში მონაწილე რესპონდენტებს.

კვლევის შედეგებმა და მის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების განხორციელებამ, ხელი უნდა შეუწყოს შშმ პირებთან დაკავშირებული მრავალი მწვავე საკითხის მოგვარებას, მათ შორის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვა ინდივიდებთან თანასწორად მონაწილეობას.

**საკვანძო სიტყვები:** შშმ პირები, დისკრიმინაცია, დასაქმება, სახელმწიფო პოლიტიკა შშმ პირებთან მიმართებაში, სოციალური თანასწორობა.

**Key words:** The PWDS, Discrimination, Employment, State Policies towards the PDWS, Social Equalit.

\*\*\*

დღეისათვის, როგორც მსოფლიოში, ასევე ჩვენს ქვეყანაში, აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირთა მდგომარეობის შესწავლის და, მათ საფუძველზე, ამ ადამიანებისთვის ისეთი ქმედითი ღონისძიებების გატარების საკითხები, რომლებიც გააუმჯობესებენ მათი ცხოვრების პირობებს.

საკვლევი პრობლემატიკიდან გამომდინარე, კვლევის ობიექტს, ანუ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ზრდასრული, ფსიქიკურად ჯანმრთელი, ქ. ბათუმის ტერიტორიულ ფარგლებში მცხოვრები მოქალაქეები.

სულ გამოკითხული იქნა 100 შშმ პირი.

გამოკითხვის დაწყებამდე, რესპონდენტთა ნაწილს შეკითხვები ჰქონდა სოციოლოგიური კვლევის კონფიდენციალურობის თაობაზე. ჩვენი განმარტებების შემდეგ, ისინი დარწმუნდნენ, აღნიშნული კვლევის ანონიმურობაში, რამაც მათ პასუხებს მეტი გულწრფელობა შესძინა.

ანკეტაში 23 კითხვაა. მათი უმეტესობა დახურული და ნახევრად ღია სახის კითხვებია. ისეთი საკითხების ირგვლივ კი, რომლებიც ვრცელ განმარტებას ითხოვენ, დასმული იქნა ღია ტიპის კითხვები. სტატის მცირე ფორმატიდან გამომდინარე, ჩვენ რესპონდენტთა ზოგიერთ, მათთვის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

შშმ პირების საზოგადოებაში სრულყოფილ ინტეგრაციაზე დიდი გავლენა აქვს მათ განათლების დონეს. ამ მხრივ რესპონდენტთა სტატუსი არც თუ ისე სახარბიელოა. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობას, ჯამში, დაბალი საგანმანათლებლო ცენზი აქვს – მათ 6,4 %-ს არ აქვს მიღებული არავითარი განათლება, 28,3 %-

ს აქვს დაწყებითი განათლება, 9,8 %-ს – არასრული საშუალო, ხოლო 36,7 %-ს – საშუალო განათლება. უმაღლესი განათლება აქვს გამოკითხულთა მხოლოდ 11,6 %-ს, ხოლო 7,2 % არასრული უმაღლესი განათლებითაა.

რაც შეეხება საკითხს, აქვთ თუ არა რაიმე პროფესია რესპონდენტებს, გაირკვა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 23,5 % ფლობს გარკვეულ პროფესიას; 70,6 %-ს არავითარი პროფესია არ აქვს; ხოლო 5,9 % ეუფლება ამა თუ იმ პროფესიას სხვადასხვა სასწავლებელში (უმაღლესში, პროფესიულ სასწავლებელში, სხვადასხვა სახის პროფესიულ კურსებზე და ა.შ.).

შშმ პირების განათლებასთან მჭიდროდაა მიზმული მათი დასაქმების საკითხი. სიტუაცია ამ კუთხით ძალიან არასახარბიელოა. დასაქმებულია რესპონდენტთა მხოლოდ 31,7%, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი თვითდასაქმებულია. უმუშევრები კი შეადგენენ გამოკითხულთა 68,3 %-ს. დასაქმების სფეროც შეზღუდული და არამრავალფეროვანია. აქ ჭარბობს დაბალკვალიფიციური და არაკვალიფიციური სამუშაოები.

ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, რამდენად კმაყოფილები არიან ბენეფიციარები სახელმწიფოსგან მიღებული დახმარების ოდენობით. გაირკვა, რომ არც ერთი რესპონდენტი არ არის სრულად კმაყოფილი გაწეული დახმარების მოცულობით; უფრო კმაყოფილია, ვიდრე უკმაყოფილო 12,4 %; უფრო უკმაყოფილოა, ვიდრე კმაყოფილი 46,7 %; ძალიან უკმაყოფილოა 21,8 %; ამ კითხვაზე უჭირს პასუხის გაცემა 19,1 %-ს. გამოდის, რომ უკმაყოფილების ჯამური მაჩვენებელი (68,5 %) ძალიან მაღალია.

ყველა შშმ პირი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მედიკამენტებზე. მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა პრეპარატს ყოველდღიურად მოიხმარს. ამიტომ, გამომდინარე წამლების მაღალი ფასებიდან, მათი შეუფერხებელი მიღება შშმ პირებისთვის სასიცოცხლო აუცილებლობაა. საკითხის მნიშვნელობის გამო, რესპონდენტებს დავუსვით შემდეგი შეკითხვა – სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოწოდებული მედიკამენტები საკმარისია თუ არა თქვენთვის? პასუხები ამ კითხვაზე შემდეგნაირად გადანაწილდა: რესპონდენტების მხოლოდ 25,0 % თვლის, რომ მედიკამენტებით სახელმწიფოს მხრიდან სრულად არიან უზრუნველყოფილი; გამოკითხულთა დიდი უმეტესობა (75,0 %) კი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან მედიკამენტებით საკმარისად არ მარაგდებიან და ამიტომ უწევთ საჭირო წამლების ნაწილის საკუთარი სახსრებით შეძენა.

შშმ პირების მნიშვნელოვანი ნაწილი, თავიანთი მდგომარეობის გამო, საკმაოდ ხშირად სასიცოცხლოდ არიან დამოკიდებულიები თავიანთ მშობლებზე. გამომდინარე აქედან, შშმ პირების მშობლების სოციალური მდგომარეობა, დიდწილად განსაზღვრავს მათი შვილების კეთილდღეობას. ჩვენ სოციოლოგიური გამოკითხვით დავადგინეთ, რესპონდენტთა მშობლები მუშაობენ თუ არა. ყველაზე მძიმე პრობლემები ამ კუთხით აქვთ იმ შშმ პირებს, რომლებსაც არ ჰყავთ ცოცხალი არც ერთი მშობელი. სამწუხაროდ, ასეთი აღმოჩნდა გამოკითხულთა 9,5 %; არსებული ვითარება, რასაკვირველია, ძალიან ამძიმებს მათ ყოფას. რესპონდენტთა სხვა პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულთა 14,3 %-ის ორივე მშობელი მუშაობს; 47,6 %-ის – ერთი მშობელი მუშაობს; ხოლო რესპონდენტთა 28,6 %-ის არც ერთი მშობელი და ოჯახის წევრი არ მუშაობს.

შშმ პირები მიეკუთვნებიან საზოგადოების მოწყვლად ჯგუფს და ამიტომ მშობლების უმუშევრობა, თუნდაც ერთი მათგანის, მძიმედ აისახება შშმ პირებზე. გამომ-

დინარე აქედან, საჭიროა, ქალაქ ბათუმის თვითმართველობამ ასეთი პირები აიყვანოს სპეციალურ აღრიცხვაზე და უზრუნველყოს მათი სრული დასაქმება. რამდენადაც დიდი არ უნდა იყოს სახელმწიფოს როლი შშმ პირების ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში, ისინი, ძირითადად, მაინც მშობლებზე ან ოჯახის სხვა წევრებზე არიან დამოკიდებულნი და ამიტომ მათი სტაბილური დასაქმება აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ შშმ პირებმა ღირსეულად იცხოვრონ და არ იყვნენ დამოკიდებულები მხოლოდ სხვადასხვა სახის შემწეობაზე, რადგან ეს სრულად ვერ უზრუნველყოფს შშმ პირების ნორმალურ არსებობას.

კარგი ფაქტია, რომ შშმ უფლებებზე საკმაოდ ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს, მაგრამ, ჩვენი აზრით, სახელმწიფო დახმარების გარეშე არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსი არ არის საკმარისი შშმ პირების პრობლემების მოსაგვარებლად.

იმის გასარკვევად, თუ როგორ შეიცვალა შშმ პირების ოჯახების მატერიალური მდგომარეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში, მათ, ამ საკითხის თაობაზე შესაბამის კითხვას, ასეთი პასუხები გასცეს: რესპონდენტთა ოჯახების 4,5 %-ის მატერიალური მდგომარეობა, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა; 22,7 %-ის – მეტ-ნაკლებად გაუმჯობესდა; 36,4 %-ის – თითქმის არ შეცვლილა; 13,8 %-ის – მცირედით გაუარესდა; 9,1 %-ის – საკმაოდ გაუარესდა; 13,4 %-ის კი ძალიან გაუარესდა. რესპონდენტთა პასუხები აღნიშნულ კითხვაზე მეტყველებს იმაზე, რომ იმ შშმ პირების ოჯახების რაოდენობა (ჯამში 36,3 %), რომელთა მატერიალური მდგომარეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში სხვადასხვა დონით გაუარესდა, ჭარბობს შშმ პირების ისეთი ოჯახების რაოდენობას, რომელთა ცხოვრების მატერიალური მდგომარეობა, გარკვეული პარამეტრებით, გაუმჯობესდა.

შშმ პირებთან დამოკიდებულებაში, ჩვენი საზოგადოების ნაწილში არსებობს სტერეოტიპები, სტიგმები, აკვიატებული ნეგატიური შეხედულებები, რაც, გარკვეულწილად, ხელს უშლის შშმ პირების სრულფასოვან ინტეგრაციას სოციალურში. ღია კითხვის – ზოგადად, როგორ შეაფასებდით ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებას შშმ პირებისადმი? – ჩვენ დავაფიქსირეთ რესპონდენტთა სხვადასხვა შეხედულება ამ საკითხისადმი. ქვემოთ მოვიყვანთ მათ ზოგიერთ გამონათქვამს:

„საზოგადოების ნაწილში, შშმ პირები მხოლოდ სიბრალულს იწვევენ და მათ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს, არ აღიქვამენ“. „ზოგიერთი პიროვნება, ჩვენ, ღიად, დაუფარავად დაგვცინის“; „სამწუხაროდ, ცუდ წარმოდგენებს შშმ პირებზე, ბავშვებს ზოგიერთ ოჯახში უნერგავენ“; „ზოგიერთი თანამდებობის პირი ფარისეველია, უშუალო შეხვედრისას გვეპირფერება და დითირამბებს გვიმღერის, მაგრამ სინამდვილეში ერთი სული აქვს, თუ როდის გავალთ მისი კაბინეტიდან, რადგან ჩვენთვის, შშმ პირებისთვის, არაფრის გაკეთებას არ აპირებს“; „დეისათვის საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულება შშმ პირებისადმი უმჯობესდება. ისინი ხვდებიან, რომ ჩვენ საზოგადოების ისეთივე სრულუფლებიანი წევრები ვართ, როგორც ისინი და ჩვენს შორის განსხვავება უმნიშვნელოა“; „ზოგიერთი შეუგნებელი ადამიანი თვლის, რომ რადგანაც ჩვენ ფიზიკური ნაკლი გვაქვს, გონებრივადაც ჩამორჩენილები ვართ“; „ჩვენ ვებრალებით, რადგან თანასწორად არ აღგვიქვამენ. ეს არის ფარული დისკრიმინაცია“; „საზოგადოების ნახევარზე მეტს, ჩვენდამი ცინიკური და დამამცირებელი დამოკიდებულება აქვს“; „მგონი, ჩვენდამი დამოკიდებულების საქმეში არაფერი არ იცვლება. როგორი დამოკიდებულებაც (უფრო

უარყოფითი) ჰქონდა საზოგადოებას ჩვენდამი 40 წლის წინათ, ისეთივეა ახლაც“; „სახელისუფლებო ელიტას ჩვენი პრობლემები ნაკლებად აინტერესებს. ეს ირიბად ჩანს იქედან, რომ ჩვენი დაფინანსება, როგორც წინათ, ახლაც მიზერულია (მწირია)“; „სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ მოწყალეების ობიექტები ვგონივართ, რაც შშმ პირებს ძალიან გვაღიზიანებს; „ზოგადად, შშმ პირებისადმი დამოკიდებულება არაადეკვატურია, რადგან მათ აღიქვამენ, ძირითადად, სამედიცინო ჭრილში და არა როგორც პერსონას, საზოგადოების სრულფასოვან წევრს“; „საზოგადოებას ჩვენდამი ინდეფერენტული დამოკიდებულება აქვს, ფეხებზე ვკიდევართ. სიკეთესაც ჩვენს მიმართ, ძირითადად, ანგარების მიზნით სჩადიან“; „ჩვენდამი დამოკიდებულება არის სავალალო, არაადეკვატური, არაჯანსაღი, არასწორი, დისკრიმინაციული, არაზომიერი“; „შშმ პირებისადმი თანადგომის დეფიციტია“; „ჩვენ მხოლოდ ვეცოდებით, მეტი არაფერი“; „საზოგადოებრივი ცნობიერება ჩვენდამი ცოტათი უმჯობესდება, მაგრამ ის მაინც დაბალია, ზოგიერთი არაკაცი ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, დამცინავად გვაკვირდება, რაც ჩვენთვის ძალიან შეურაცხმყოფელია. ზოგიც კიდევ გაოცებით გვიყურებს, ვითომ ადამიანები არ ვიყოთ (ალბათ, მარსიდან ჩამოფრენილი უცხოპლანეტელები ვგონივართ)“; „სამწუხაროდ, ზოგიერთი „მინაურიც“ არ გვთვლის სრულფასოვან ადამიანად, სხვაზე რა უნდა ვთქვა“.

შშმ პირებთან დაკავშირებული პრობლემატიკა ძალიან ფართე და მრავალფეროვანია. ჩვენი რესურსები არ გვაძლევს საშუალებას, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მასშტაბური კვლევა ვაწარმოოთ. ამიტომ, გადავწყვიტეთ ანკეტის საბოლოო, ღია კითხვით გაგვევო, თუ რა ძირითად საკითხებს უნდა მიაქციოს ყურადღება შშმ პირებთან მიმართებაში საზოგადოებამ და სახელმწიფო ორგანოებმა. შეკითხვა შემდეგი სახითაა ფორმირებული – „საბოლოოდ კი, ჩვენი სურვილია, გავიგოთ თქვენი აზრი იმის თაობაზე, თუ რა სახის აუცილებელი ღონისძიებები უნდა გაატაროს ხელისუფლებამ შშმ პირების მიმართ, რომ მოხდეს მათი ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება?“

გაცემული პასუხებიდან ჩვენ შევარჩიეთ იმ რესპონდენტების პასუხები, რომლებსაც მკაფიოდ აქვთ გაცნობიერებული შშმ პირებთან დაკავშირებული პრობლემები და ცხადად და გარკვევით აყალიბებენ შშმ პირების უმთავრეს საჭიროებებს. მათი ზოგიერთი პასუხი შემდეგი სახისაა: „ყველაზე მეტი დახმარება უნდა მიეცეს ფიზიკურად ძალიან არაქმედითუნარიან პირს. ოფიციალური ხაზით, დახმარების სახით მიღებული წამლების დოზა ჩემთვის არასაკმარისია. დამატებითი დოზის ან სხვა წამლების შესასყიდი თანხა მე არ მაქვს. ამიტომ, სახელმწიფოს ვთხოვ, გამიწიოს შეღავათი და შემიძინოს ძვირადღირებული, მაგრამ ძალიან ეფექტური უცხოური წარმოების მედიკამენტები“; „პირველ რიგში, აუცილებელია შშმ პირის სტატუსის მინიჭების სამედიცინო მოდელის სოციალური მოდელით ჩანაცვლება, არსებული კანონმდებლობის აღსრულების მექანიზმების დახვეწა და კანონმდებლობის სრული ჰარმონიზირება გაეროს შშმ პირთა უფლებების 2006 წლის კონვენციასთან; „საჭიროა შშმ პირთათვის განკუთვნილი პროგრამების შემუშავება მხოლოდ მათთან კონსულტაციების შემდეგ და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იქნება ეს მუნიციპალურ, ავტონომიური რესპუბლიკის თუ სახელმწიფოს დონეზე“; „თითქმის ყველა შშმ პირი საჭიროებს ფსიქოლოგიურ დახმარებას, ამიტომ, საჭიროა კონსულტაციისთვის შშმ პირებთან მიმავრებული იქნან ფსიქოლოგები“; „კარგი იქნება, თუ სახელმწიფო ან ქალაქის მერია უზრუნველყოფს

ჩვენს ყოველწლიურ დასვენებას რომელიმე კურორტზე“; „როცა ხელისუფლებაში შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ ან რაიმე კანონს დებულობენ, აუცილებელია სხვადასხვა პრობლემის მქონე პირების გამოკითხვა. ყველა საკითხი უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მათი და მომვლელების ჩართულობით“; „სკოლებში უნდა გამოიყოს შტატი ისეთი ექიმისთვის, რომელსაც შეუძლია, როგორც ჩვეულებრივ პაციენტებთან, ასევე შშმ პირებთან მუშაობა. ოღონდ, ეს შეთავსებით არ უნდა იყოს. მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ექიმი სკოლაში უნდა იმყოფებოდეს“; „უნდა გამკაცრდეს კანონები იმათ წინააღმდეგ, ვინც შშმ პირებს არასათანადოდ ეპყრობა“; „შშმ პირთა საჭიროებები ინდივიდუალური და განსხვავებულია, ამიტომ, დასაქმებიდან დაწყებული და განათლებით დამთავრებული, ცალკეული შშმ პირის მიმართ, გამომდინარე მათი მოთხოვნებიდან, უნდა განხორციელდეს ასეთ პერსონაზე ადაპტირებული, შესაბამისი კონკრეტული ქმედებები“; „როგორ შეიძლება შშმ მარტოხელა პენსიონერმა პირმა სოციალური დახმარებით და პენსიით უზრუნველყოფილად იგრძნოს თავი, როცა სხვა არანაირი შემოსავალი მას არ აქვს“; „სახელმწიფომ მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს დახმარება ისეთ ოჯახებზე, სადაც ოჯახის რომელიმე წევრი შშმ პირია (რომელშიც აუცილებლად უნდა შედიოდეს ოჯახის წევრი შშმ პირის სრულფასოვანი კვებაც). ასეთი ქმედება საჭიროა იმისათვის, რომ მაქსიმალური კომფორტი შეექმნას ასეთ ოჯახებს“; „განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება მძიმედ ავადმყოფი შშმ პირის მომვლელ დედას. მშობელი დედა, რომელიც დღედაღამ დასტრიალებს თავს თავის ნაკლებქმედითუნარიან შვილს, სხვებთან შედარებით გაცილებით მეტ ყურადღებას ითხოვს, ისიც ხომ ადამიანია, მასაც ხომ უნდა, რომ ცხოვრებაში რაღაცით გაიხაროს. იქნებ ასეთ დედას მიენიჭოს შშმ პირის მომვლელის სტატუსი და მიეცეს, მინიმუმ, 500-ლარიანი დახმარება. დედა თუ მუშაობას დაიწყებს, შშმ პირ შვილს ვინდა მოუვლის? დამერწმუნეთ, დედაზე კარგად ვერავინ შეხედავს თავის შვილს. სახელმწიფომ ფული უნდა მისცეს ასეთ დედებს, რითაც, რაღაც სახით სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდება ამ დაჩაგრულ ადამიანებს“; „საჭიროა, დაწესდეს შშმ პირის მომვლელი მშობლის სტატუსი და ამისთვის ბიუჯეტიდან გამოიყოს შესაბამისი სახსრები“; „მკვეთრად უნდა გაიზარდოს შშმ პირების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი სახსრების ოდენობა“; „შშმ პირებისთვის მუნიციპალიტეტებში შემოღებული უნდა იქნას ყველა სახის ტრანსპორტით მათი უფასო მომსახურება“; „სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული წამლების ნუსხაში არ ან ნაკლებად შედის ეპილეფსიის სამკურნალო მედიკამენტები. ამიტომ, ასეთი ბენეფიციარი შშმ პირებისთვის განკუთვნილი წამლების ჩამონათვალში აუცილებლად უნდა იყოს ეპილეფსიის სამკურნალო, მაღალეფექტური პრეპარატები“; „მე სმენადაქვეითებული შვილის დედა ვარ და ამ კუთხით ვისაუბრებ. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ჩემი შშმ შვილისთვის მასწავლებლებთან (უპირველეს ყოვლისა, ლოგოპედთან და ქესტების ენის სპეციალისტთან) მუდმივი კონტაქტი. საჭიროა, სახელმწიფომ დააფინანსოს სასმენი აპარატის ნაწილების და ელემენტების შეძენის ხარჯები, ისინი ძალიან ძვირია. სახელმწიფომ გარანტირებულად, სტაბილურად უნდა დაასაქმოს სმენადაქვეითებული შშმ პირები, ხომ არ შეიძლება ისინი მუდამ ვიღაცის კეთილ ნებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. დღეს ბევრმა მშობელმა ავადმყოფი შვილის გამო დათმო პირადი ცხოვრება, კარიერა და გახდა უფუნქციო, უბრალოდ, თავისი შვილის მომვლელი და ასისტენტი, სახელმწიფომ კი ორივე დაგვივიწყა“; „ძალიან ხშირად შშმ პირს ექმნება დასაქმების პრობლემები არა

თავისი პროფესიული და ინტელექტუალური დონის გამო, არამედ მისი ფიზიკური ჯანმრთელობის გამო. დამსაქმებლებმა უნდა გაიგონ, რომ შშმ პირებიც ადამიანებია და მათაც აქვთ უფლებები, მათ შორის მყარი დასაქმების. თუ ეს არ მოხერხდა, შშმ პირები მუდმივად იქნებიან გარიყული საზოგადოებისგან, რაც ხელს შეუწყობს მათ მარგინალიზებას“; „შშმ პირების სამედიცინო ხარჯები 100 %-ით უნდა იფარებოდეს სახელმწიფოს მიერ“; „სახელმწიფომ შშმ პირების თემატიკა პრიორიტეტული უნდა გახადოს. შშმ პირებისთვის უნდა შეიქმნას მხოლოდ მათ დასაქმებაზე გათვლილი სოციალური საწარმოები. ამასთან ერთად, უნდა წახალისდეს ის მეწარმეები, რომლებიც შშმ პირებს ასაქმებენ“; „განათლების სისტემაში აუცილებელია შეიქმნას მაღალი დონის ინკლუზიური განათლების მოდელი“; „შშმ პირებისთვის უნდა ფუნქციონირებდეს ახალი, თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი სარეაბილიტაციო ცენტრები“; „ქ. ბათუმში ყველა საცხოვრებელი სახლი, ტროტუარები, მარკეტები და დაწესებულებები ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირების საჭიროებასთან“.

\*\*\*

როგორც ჩვენმა სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, ქ. ბათუმში მცხოვრები შშმ პირები, მრავალი მწვავე გამოწვევის წინაშე დგანან. ამათგან უმთავრესი, მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის საკითხია. ამ გზაზე შშმ პირებს მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა უწევთ – დაწყებული საზოგადოების გარკვეული ნაწილის მათდამი ნეგატიური დამოკიდებულებით და დამთავრებული სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარების მცირე ოდენობით. უნდა ითქვას, რომ ბათუმში მცხოვრები შშმ პირები სოციალურად საკმაოდ აქტიურები არიან.

კვლევამ აჩვენა, რომ შშმ პირების აბსოლუტურ უმეტესობას აქვთ მოთხოვნილება, არ იყვნენ მუდმივად დამოკიდებულნი სხვა ადამიანებზე და არ იყვნენ სხვის მიერ შექმნილი დოვლათის პასიური მომხმარებლები. შშმ პირებს სურთ იყვნენ საზოგადოების აქტიური წევრები და ჩაერთონ ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში. მათ არ სურთ, ეტლს მიჯაჭვული, მთელი სიცოცხლე სახლში გაატარონ.

საჭიროა, საქართველოს ხელისუფლებამ და საზოგადოებამ უფრო მეტი ქმედითი ნაბიჯი გადადგას შშმ პირებთან მიმართებაში, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მოსახლეობაში მათდამი პოზიტიური განწყობის შექმნით. უნდა დამკვიდრდეს აზრი, რომ კეთილდღეობა ხელმისაწვდომია საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვისაც. ამავე დროს, ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს იმ აზრის დანერგვა, რომ განსხვავებულობა აღქმული იქნას, როგორც ნორმა. ასეთი იდეოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებაში ნებისმიერი ადამიანი ფუნქციონირებდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი.

შშმ პირების სოციალიზაციის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია მათი შრომის უფლების რეალიზება. დასაქმების და შრომის უფლების განხორციელებას განსაკუთრებული, მეტიც, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებაში შშმ პირთა ინტეგრაციის და მათ მიმართ არსებული სტერეოტიპების დაძლევისა საქმეში.

თავიანთი სპეციფიკური მდგომარეობის გამო, შშმ პირები, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან საკმაო მხარდაჭერისა, მაინც აწყდებიან არაერთ ბარიერს შრომის ბაზარზე. ამიტომ, საჭიროა ისეთი ცალკე სტატუსის მქონე (და არა რომელიმე სტრუქტურაში მოქცეული) სამსახურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირების დასაქმებასთან და პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებული საკითხების

გადაჭრას, ამა თუ იმ პირის თავისებურების და შრომის შესაძლებლობასთან მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით. ამ დახმარების გაწევა ყველა შშმ პირისთვის უნდა მოხდეს უფასოდ.

შშმ პირების დასაქმების დონის გასაზრდელად, საჭიროა დამსაქმებლების ისეთნაირი წახალისება, რომ მათ ჰქონდეთ სურვილი დაიქირაონ და დასაქმებული ჰყავდეთ შშმ პირები. მიუსადაგონ სამუშაო პირობები შშმ პირების შეზღუდულ შესაძლებლობებს, ხოლო იქ, სადაც ეს შეუძლებელია, შექმნან ისეთი სახის სამუშაო ადგილები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებიან შშმ პირების შესაძლებლობებთან.

შშმ პირების დასაქმების ევროკავშირის გამოცდილების გათვალისწინება, ჩვენი აზრით, საუკეთესო შედეგს მოიტანს. იქ შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის სხვადასხვა მექანიზმია დანერგული. მაგ., შშმ პირთა დასაქმების შემთხვევაში, სახელმწიფოსაგან დამსაქმებლის ფინანსური მხარდაჭერა; სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა სახელფასო სუბსიდირება და საგადასახადო შეღავათების დაწესება; დამსაქმებლის მხარდაჭერა სამუშაო ადგილის მისაწვდომობის უზრუნველყოფაში; შშმ პირთა დასაქმების კვოტირების სისტემა საჯარო თუ კერძო სექტორში; სათანადო სამუშაო გარემოს და შრომითი პირობების უზრუნველყოფა გონივრული მისადაგების სტანდარტის გამოყენებით; პროფესიული ორიენტაციის პროგრამები შშმ პირთათვის, დასაქმების სპეციალური ცენტრების შექმნა; სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა და განვითარება, რაც უზრუნველყოფს კრიზისების პერიოდში მათ გარანტირებულ დასაქმებას.

სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე ვერ მოხერხდა ერთიანი პოლიტიკის გატარება შშმ პირთა შრომის ბაზარზე ინტეგრაციის კუთხით. დღეს არსებული საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პროგრამები ვერ პასუხობენ გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებს და ძირითად პრინციპებს შშმ პირების იმგვარი გაძლიერებისთვის, რაც მათ მისცემს ღირსეული დასაქმების შესაძლებლობას, მათ შორის ღია და ინკლუზიურ ბაზარზე.

შშმ პირების დასაქმების საქმეში, ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა მაკავშირებელი სერვისის არარსებობა, რომელიც დამსაქმებელს და შშმ პირს ერთმანეთთან დააკავშირებს. მათი პირველი შეხვედრა ხშირად შემთხვევითი ფაქტორებით არის განპირობებული. ნაცნობობა, მეგობრის თხოვნა, მეზობლობა, ნათესაური კავშირები წარმოადგენს ფაქტორებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელს ხდის დამსაქმებლისა და შშმ პირის შეხვედრას. ასეთი კონტაქტები სპორადულ, არაორგანიზებულ ხასიათს ატარებენ, ამიტომ, დამსაქმებლის და შშმ პირთა დამაკავშირებელი სპეციალიზებული სახელმწიფო და კერძო სამსახურების შექმნა გადაუდებლად მოსაგვარებელია, რადგან შშმ პირებს დაუსაქმებლობა, მათ უამრავ სპეციფიკურ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს.

აუცილებლობად მიგვაჩნია, ასევე, შშმ პირთა დასაქმების უზრუნველსაყოფად, ფინანსურად ძლიერ ორგანიზაციებს დაევალოს, გარკვეული ნორმატივების ფარგლებში, შშმ პირთა ამა თუ იმ სამუშაო პოზიციაზე დასაქმება.

ჩვენი აზრით, შშმ პირთა დასაქმების სტიმულირებისთვის შესაქმნელია იმ დამსაქმებელთა მხარდამჭერი სისტემა, რომლებიც ასაქმებენ შშმ პირებს; გასავითარებელია თანმიმდევრული საკომუნიკაციო მექანიზმები დამსაქმებლებთან, შშმ პირთა დასაქმების საკითხებზე მეწარმეების ცნობიერების ამაღლების მიზნით; დასაწერია უწყებათაშორისი თანამშრომლობის ქსელი, რომელიც მოაწესრიგებს და გააკონტრო-

ლებს შშმ პირების დასაქმებასთან დაკავშირებული სერვისების პროცესს და განახორციელებს მათი ეფექტურობის შეფასებას; უნდა ჩატარდეს სპეციალური სემინარები და კონფერენციები, სადაც უცხოელი მეწარმეები გაუზიარებენ ქართველ კოლეგებს თავიანთ გამოცდილებას შშმ პირების დასაქმების მიმართულებით; შშმ პირებთან დაკავშირებით, სახელმწიფომ, გარკვეულ შემთხვევებში, ხელი უნდა შეუწყოს მათ თვითდასაქმებას და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ჩაუტაროს უფასო ტრენინგები.

შშმ პირების მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყების შემთხვევაში, საჭიროა ხელი-სუფლებამ, შშმ პირების თანხმობის შემთხვევაში, ხელი შეუწყოს მათი კუთვნილი ბიზნესის კოოპერაციას რომელიმე წარმატებულ, ფინანსურად ძლიერ კომპანიასთან. ამ გზით შესაძლებელი გახდება შშმ პირთა სტაბილური დასაქმება.

შშმ პირების საარსებო წყაროების და სხვების თანასწორი დასაქმების უფლების უზრუნველყოფისთვის, მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან შრომის ბაზარზე მათი შეღწევადობის (მათ შორის მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე) და იქ დამკვიდრების მყარი მხარდაჭერა. ასეთი ვითარება განპირობებულია იმით, რომ შრომის ბაზარზე შშმ პირებისადმი გარკვეული დისკრიმინაცია ამა თუ იმ ფორმით, დღეისთვის, სამწუხაროდ, არ გამქრალა.

გარემო სივრცის მოწყობის საქმეში, საჭიროა იმ სტანდარტების დაცვა, რომელიც მიღებულია ცივილიზებულ სამყაროში. კონკრეტულად კი ამ კუთხით შემდეგი სამუშაოები უნდა ჩატარდეს: ქუჩებში, გზებზე, გზაჯვარედინებზე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მოედნებზე, პარკებში, რკინიგზის სადგურებში, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებასთან საჭიროა დაიდგას საინფორმაციო დაფები, რომლებიც შშმ პირებს გააფრთხილებს შესაძლო წინაღობების შესახებ; საზოგადოებრივ, განსაკუთრებით, ხალხმრავალი თავშეყრის ადგილებში, გათვალისწინებული უნდა იყოს ვიზუალურ ინფორმაციათა დუბლირების შესაძლებლობები. იმ სატრანსპორტო კომუნიკაციებზე, რომლებიც სახიფათოა მთლიანად ან ნაწილობრივ მხედველობადაკარგულ ადამიანთათვის, აუცილებელია შუქნიშნები დუბლირებული იქნას ხმოვანი სიგნალებით; შენობა-ნაგებობებში შშმ პირების შესვლა უმჯობესია ხდებოდეს პანდუსების მეშვეობით, რომლებიც უნდა იყვნენ უსაფრთხო ნებისმიერ ამინდში და გამოირჩეოდნენ კონტრასტული ფერებით; შშმ პირების საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრაციის (ჩართულობის) გაზრდის მიზნით, საჭიროა მათი ტრანსპორტით მომსახურება, რაც უზრუნველყოფს შშმ პირების საზოგადოებრივ, კულტურულ და სხვა სახის ღონისძიებებზე დასწრებას ან მონაწილეობას, დასასვენებელი ადგილების (ბულვარი, პარკი, სკვერი) ხელმისაწვდომობას. კულტურულ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის მიზნით, საჭიროა კულტურულ საკითხებთან დაკავშირებული ყველა მასალა შშმ პირებისთვის ხელსაყრელ ფორმატში იყოს მისაწვდომი (ტელეგადაცემები, ფილმები, თეატრალური წარმოდგენები და ა.შ.).

ზოგადად კი, აღნიშნული მიმართულებით, ნებისმიერი ქმედება უნდა განხორციელდეს შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით: **საჭიროა გარემო მოვარგოთ პირის საჭიროებას და არა პირიქით.**

საბოლოო ჯამში კი შეიძლება ითქვას, რომ შშმ პირების პრობლემა კანონით რეგულირებადი საკითხია და მისი აღსრულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქმეა არა მხოლოდ შშმ პირებისთვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის. შშმ პირე-



ბის უფლებების დაცვაზე მიმართული კანონების და სხვა ნორმატიული აქტების რეალიზება, არის ამ მოწყვლადი ჯგუფის წევრების დისკრიმინაციისგან დაცვის ფუნდამენტური გარანტია.

შშმ პირების სრული ინტეგრირება სოციალურ და შრომით ცხოვრებაში უნდა იქცეს ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ ვექტორად. ამისთვის კი საჭიროა სახელმწიფო, მათი მდგომარეობით დაინტერესებული ყველა ორგანიზაცია თუ პირი, დაეხმაროს შშმ პირებს იმ ბარიერების გადალახვაში, რომლებსაც ისინი აწყდებიან ცხოვრების გზაზე. მათდამი პოზიტიური დამოკიდებულება, მისცემს საშუალებას შშმ პირებს, შეამცირონ ან საბოლოოდ გადალახონ ის განსხვავება, რაც არსებობს მათსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის და იყენენ საკმაოდ დამოუკიდებელნი ცხოვრებაში.

**Nugzar Chkhaize (Batumi, Georgia)**

**Living Conditions and Occupations  
of the People with Disabilities (PWDS) Residing in Batumi  
(Analysis of Sociological Research)**

**Abstract**

This research is especially topical as it is related to acute problems encountered by the PWDS.

The research revealed PWDS attitudes to the following problems: the PWDS employment and professional capacities; reasons for their unemployment; occupation areas most prioritized by and desirable for the PWDS; assessment of the volume of the government aid to the PWDS; the scope of the access to medical care and free medication; participation of private individuals and charitable organizations in addressing PWDS issues; family composition of the PDWS and their employment data; citizens' attitudes to the PWDS and their problems; the role of the Internet in enabling the PDWS community to communicate with broader society; the level of activities of human rights organizations with regards to the defense of PDWS rights; assistance to the PDWS coming from the individual citizens.

The research showed that a failure to consider needs and demands of the PDWS leads to them being discriminated in different spheres of life. It is especially important to ensure equal rights in labour and employment for the PDWS. If these rights are sufficiently warranted in accordance with international standards, the PDWS will be able to fully socialize and lead independent and dignified lives.

The sphere towards which the results of this research may be applied is quite broad. Many organizations or individuals whose activities are linked to dealing with the PDWS problems may benefit from taking these findings into account.

## ბათუმი, როგორც მულტიკულტურული ქალაქი

**აბსტრაქტი:** მსოფლიო მემკვიდრეობად აღიარებული კულტურული მრავალფეროვნების ღირსეული ნაწილია შავ ზღვაში შეჭრილი პატარა ყურე – ქალაქი ბათუმი. XIX საუკუნეში, ნავთობის ინდუსტრიის გავლენით შექმნილმა ამ პატარა ქალაქმა, მაგნიტივით მოიზიდა ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან და ბათუმი თანდათან იქცა კულტურათა და რელიგიათა შეხვედრის ადგილად. მას შემდეგ, წლების მანძილზე სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები მშვიდობიანად არსებობენ და თანაცხოვრობენ ამ მყუდრო ქალაქში. ბათუმი არის ადგილი, სადაც კულტურები ერთმანეთს კი არ აქრობს და ანადგურებს, არამედ ავსებს. აქ ერთმანეთის გვერდიგვერდ შეხვედრით მართლმადიდებლურ ტაძრებს, კათოლიკურ და გრეგორიანულ ეკლესიას, სინაგოგას და მეჩეთს, აქ მცხოვრები სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, ბერძნები, ებრაელები, იეზიდები და სხვები საუკუნეზე მეტია ინარჩუნებენ კულტურულ თვითმყოფადობას – ეს ყველაფერი ბათუმის შემწყნარებლურ და ტოლერანტულ ხასიათზე მიუთითებს, რითაც სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ.

**საკვანძო სიტყვები:** მულტიკულტურული ქალაქი; მრავალფეროვანი ბათუმი; ბათუმის მოსახლეობა;

**Key words:** Multicultural city; Diverse Batumi; Population of Batumi;

\*\*\*

მულტიკულტურული და მრავალფეროვანი ბათუმის ისტორია ანტიკური ხანიდან მოდის, მაგრამ ბათუმისთვის ჩვენთვის საინტერესო ისტორიის ეტაპი იწყება მას შემდეგ, რაც რუსეთისა და მაშინდელ ოსმალეთის იმპერიებს შორის 1877-1878 წლების ომი დასრულდა და სან-სტეფანოს ხელშეკრულებით ბათუმი ისტორიულ სამშობლოს საქართველოს – დაუბრუნდა.

რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია XIX საუკუნიდან დაიწყო და ეტაპობრივად მისი საზღვრები აჭარის ტერიტორიებსაც მიუახლოვდა. 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს რუსეთისა და მის მიერ დაპყრობილი ქართველი ერის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და ზოგადქართული ხასითი მიიღო. სწორედ ამიტომ, ქართველი მოსახლეობა საკუთარი სურვილით დებულობდა მონაწილეობას ამ ომში. 1878 წლის მოვლენებს ქართველი მემკვიდრეები უწოდებენ აჭარის სამშობლოსთან დაბრუნებას, თორემ, რეალურად, დამპყრობელ რუსეთის იმპერიას ეს მხარე და ბათუმი როგორც საზღვაო ქალაქი, უნდოდა თავისთვის და არა საქართველოსთვის.

მიუხედავად რუსეთის საკუთრივი ინტერესებისა, უადრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ის ფაქტი, რომ ოსმალთა უღლისაგან გამოსხნილი, ძირძველი ქართული მიწა – აჭარა დაუბრუნდა ოკუპირებული საქართველოს ერთიან სხეულს, სამუსლიმანო საქართველოს სახელით.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში გენერალ სვიატიპოლკ მირსკის მეთაურობით რუსთა არმია შემოვიდა და მიღება-გაცილების ცერემონიალზე, ე.წ. აზიზიეს (ახ-

ლანდელი თავისუფლების) მოედანზე, დევრიშ ფაშასაგან ქალაქის გასაღები ჩაიბარა [<https://batumi.ge>].

შეიქმნა ბათუმის ოლქი. ბერლინის კონგრესზე, სადაც სან-სტეფანოს საზავო პირობები უნდა გადასინჯულიყო, ინგლისის დაჟინებული მოთხოვნით ბათუმი „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადდა, რაც გულისხმობდაუბაჟო, თავისუფალ საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. მაშინდელი რუსეთის იმპერიის ამ განაპირა და ნაკლებად დასახლებულ პროვინციაში მაქსიმალურად ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის წყალობით, დაინტერესდნენ ცნობილი ნავთობმრეწველები – ნობელები, როტმილდები, მანთაშევი და სხვები. „პორტო-ფრანკოს“ სტატუსმა ბათუმს გარკვეული სიკეთე მოუტანა. ამ პერიოდიდან ბათუმი მნიშვნელოვნად გაიზარდა და თანდათან თანამედროვე, ევროპული ქალაქის იერი შეიძინა. თუმცა, სამწუხაროდ, გაუარესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ეროვნული მრეწველობა კონკურენციას ვერ უწევდა მოზღვავებულ ევროპულ საქონელს. ამასთან, გამოიკვეთა სხვა ნაკლოვანებებიც – კონტრაბანდა, მექრთამეობა და ა.შ. შექმნილი სიტუაცია ერთ-ერთ მიზეზი იყო, რამაც ხელი შეუწყო ქართველი მოსახლეობის ოსმალეთში ინტენსიურ გადინებას, ე.წ. მუჰაჯირობას. „პორტო-ფრანკო“ 1886 წელს გაუქმდა.

პორტო-ფრანკოს გაუქმებამდე, 1883 წელს ბათუმის ოლქი გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა. 1885 წელს, ბათუმში სამოქალაქო თვითმმართველობის შემოღების თაობაზე ბათუმის მკვიდრებმა თხოვნით მიმართეს კავკასიის სამოქალაქო საქმეთა მმართველს. ბათუმში საქალაქო თვითმმართველობის შემოღება 1888 წლის 28 აპრილს გამოცხადდა.

ბათუმი და აჭარის ზღვისპირეთი რუსეთიდან გადმოსახლებულთა ინტერესის ობიექტი გახდა. „ქალაქი ბათუმი შეუწყვეტილად ივსება ახალმოსულებით“ [*ახსცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 194*]. კავკასიის მმართველობა აჭარაში თურქეთიდან გადმოსახლებული ბერძნების დასახლებასაც ცდილობდა. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ბათუმის მულტიკულტურულ ქალაქად ჩამოყალიბება. ბათუმი გადაიქცა კონგლომერატად, ინტერნაციონალურ ქალაქად. ერთნაირად მიმზიდველი იყო ყველასთვის და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შემოედინებოდა ხალხი. სამწუხაროდ, მაშინდელ ბათუმში ქართველობა ძალიან ცოტა იყო.

ბათუმის სავაჭრო-სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპების პარალელურად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, იცვლებოდა საზოგადოების სოციალური და ეთნიკური შემადგენლობა. თუ 1878 წელს ბათუმში ცხოვრობდა დაახლოებით 3 000 ადამიანი, 1882 წელს ქალაქის მოსახლეობის რაოდენობამ 8 671 შეადგინა, 1890 წელს – 18 123, ხოლო 1903 წელს – 35 000 [*ბათუმ., 1906: 460*]. XIX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უკვე რუსები შეადგენდნენ. 1884 წლის მონაცემებით მათი რიცხვი 5 500-ს აღწევდა [*Лисовский, 1887: 131*].

„რუსეთის ხელისუფლების მიერ გამიზნულად მიმდინარეობდა ბათუმში უცხოელების ჩამოსახლება, რის შედეგადაც ბათუმი მრავალეროვნული გახდა და, ფაქტობრივად, ინტერნაციონალურ ქალაქად იქცა. 1897 წლისათვის ბათუმში 20-მდე ეროვნება ითვლებოდა. ბათუმში ბინა დაიდეს რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა, ებრაელებმა, გერმანელებმა, ფრანგებმა, სპარსელებმა, ინგლისელებმა, პოლონელებმა, იტალიელებმა და სხვებმა. უცხოელების მასობრივად შემოადინების შედეგად, 1882 წელს არაქართველები ბათუმის საერთო მოსახლეობის 87,4 %-ს (7182 ადამიანი) შე-

ადგენდა. (მართალია, მომდევნო წლებში არაქართველების ხვედრითი წილი შემცირდა. მაგალითად, 1897 წელს 80% (22795 ადამიანი), ხოლო 1913 წელს – 75 % (28696) უდრიდა, მაგრამ ისინი მაინც უმრავლესობას შეადგენდნენ“ *[თურმანიძე, 2019: 200]*.

მოსახლეობის რაოდენობით გაზრდილი და ეკონომიკურად დაწინაურებული ქალაქიმმართველობის სფეროში ცვლილებებს საჭიროებდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ, მთელი 10 წლის მანძილზე ბათუმში სამხედრო-პოლიციური მმართველობა არსებობდა.

1888 წლის 25 აგვისტოს და 2 სექტემბერს ჩატარდა სათათბიროს ხმოსანთა პირველი არჩევნები. ოთხი წლის ვადით აირჩიეს სამი თანრიგის 36 ხმოსანი (თითოეული თანრიგის მიხედვით 12-12 ხმოსანი). ეროვნული ნიშნის მიხედვით სათათბიროს შემადგენლობა შემდეგნაირი იყო: ქართველი – 11, რუსი – 8, სომეხი – 10, ბერძენი – 2, ებრაელი – 2, პოლონელი – 2, გერმანელი – 1 *[<https://batumicc.ge>]*.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის საზეიმო გახსნა შედგა 1888 წლის 1 ოქტომბერს და სწორედ აქედან იწყება ბათუმში ქართული სულისკვეთების გაღვივება. საქალაქო თვითმმართველობის შემოღება ბათუმში უდავოდ იყო დიდი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც სერიოზული გავლენა მოახდინა მთელი ქალაქის (და არა მარტო ბათუმის) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბათუმში თავი მოიყარა ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულმა ძალებმა, რომელთა მიზანი იყო „ბათუმის ქართულ ქალაქად გადაქცევა“ *[მგალობლიშვილი, 1937: 86]*.

ბათუმში სათათბიროს ხმოსანთა არჩევნები, მეორედ, 1894 წელს ჩატარდა. აირჩიეს 35 ხმოსანი და 9 კანდიდატი. ხმის უფლების მქონეთა ეროვნულ შემადგენლობაში 19 ქართველი, 8 რუსი, 5 ბერძენი და 3 პოლონელი იყო. ქართველებმა სათათბიროში ადგილების 55% მოიპოვეს, რამაც უზრუნველყო ქალაქის თავისა და გამგეობის არჩევნებისას ქართველთა წარმატება. ხმების დიდი უმრავლესობით ქალაქის თავად აირჩიეს ლუკა ასათიანი.

ბათუმის სათათბიროს მესამე არჩევნები ჩატარდა 1898 წელს. ქალაქის თავად კვლავ ლუკა ასათიანი აირჩიეს. ლუკა ასათიანის შემდეგ, 14 წლის განმავლობაში, ივანე ანდრონიკაშვილი უძღვებოდა ქალაქს. აღსანიშნავია, რომ ბათუმს მუდამ ეროვნებით ქართველები ედგა სათავეში. ქალაქის სათათბირო უწყვეტლივ ფუნქციონირებდა 1888 წლიდან 1921 წლამდე – გასაბჭოებამდე.

თვითმმართველობის პროგრესული მოღვაწეობისა და ქალაქის შემოსავლების მიზანმიმართულად გამოყენების შედეგად, პირველ მსოფლიო ომამდე, ბათუმმა ევროპული ქალაქის სახე მიიღო. აშენდა არქიტექტურული ნიმუშები, დაარსდა ვაჟთა გიმნაზია, პირველი საავამდყოფო, პირველი სკოლა და სხვა საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებები.

ბათუმი თავისი სტრატეგიული მდებარეობის და პირველხარისხოვანი ნავსადგურის გამო, როგორც მსხვილი საქალაქო ცენტრი, წამყვან როლს თამაშობდა ამიერკავკასიისა და შუა აზიის სატრანზიტო ვაჭრობაში. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმი ეკონომიკურად ერთ-ერთი დაწინაურებული მხარე იყო. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებამ აქ ბიძგი მისცა საქალაქო ცხოვრებისა და მეურნეობის აღმავლობას.

რუსეთის შორსგამიწხული იდეით, გასაბჭოების შემდგომ აჭარას რელიგიური კუთხით ავტონომიის სტატუსი მიენიჭა. საბჭოთა სოციალიზმის ეპოქა ბათუმისათვის განსაკუთრებით გამორჩეული არ ყოფილა. საბჭოთა იმპერიაში მცხოვრებ დანარჩენ ხალხთა მსგავსად, ბათუმმა და მისმა საზოგადოებამ საკუთარ თავზე გამოსცადა 1937-1938 წლების რეპრესიების სუსხი. 1960-1980-იან წლებში ქალაქის ცხოვრება საბჭოთა ყოფისა და მისთვის დამახასიათებელი ღირებულებების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენდა.

დღევანდელი, მულტიკულტურული ბათუმი ახლისა და ძველის ერთმანეთთან ბმა – ეს არის რეტრო ქალაქი. აწმყო წარსულის პირმშოა და მემკვიდრეობით ბოძებულ ღირებულებათა შორის ტოლერანტიზმი დღესაც ბათუმელთა არსებით თვისებად რჩება. ყველაზე მრავალნაციონალური ქალაქი, თავისი მრავალფეროვნებით დღესაც მიმზიდველია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხისთვის. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ბათუმში ცხოვრობს დაახლოებით 153 ათასამდე ადამიანი. აქედან 10 ათასამდე ეთნიკურად სხვადასხვა კუთვნილებისაა.

საქსტატისგან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წარმოდგენილია ბათუმის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

სულ მოსახლეობა	152,839
ქართველი	142,691
აზერბაიჯანელი	269
სომეხი	4,636
რუსი	2,889
ოსი	71
იეზიდი	76
უკრაინელი	628
ბერძენი	289
ასირიელი	131
სხვა	1,057
უარი პასუხზე	14
არ არის მითითებული	84

წარმოდგენილი სურათით ნათლად ჩანს, რომ ბათუმის მოსახლეობის ეთნიკური რუკა საკმაოდ მრავალფეროვანია. განსხვავებების გაცნობიერება, რომ ჩვენს ცხოვრებას უფრო საინტერესოს, მიმზიდველს და ნაკლებად კონფლიქტურს ხდის – ეს ყველაფერი კარგად გაითავისა ბათუმმა, როგორც მულტიკულტურულმა ქალაქმა და ცხოვრების წესად აქცია კიდეც. მრავალფეროვნება, რომელიც ჯგუფებსა თუ ინდივიდებში ვლინდება, დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისთვის და საჭიროებს ამ სხვაობების აღქმისა და მიღების უნარს. რაც, თავის მხრივ, გამოირიც-

ხავს კონფლიქტს, ძალადობას, ადამიანის უფლებების შელახვას და ხელს უწყობს თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებას. წარმატებული კულტურათმშორისი ურთიერთობა ნიშნავს, რომ ადამიანებს სწამთ საკუთარი ფასეულობების და პატივის სცემენ სხვისას.

ბათუმი არაერთი კულტურათმშორისი ღონისძიებების ორგანიზატორი და მასპინძელია. ქალაქში ტარდება ისეთი ღონისძიებები, სადაც შესაძლებლობა ეძლევათ ადგილობრივებს უფრო ახლოს გაიცნონ ერთმანეთის კულტურა. მაგალითად: გასულ წლებში, ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ბათუმში მულტიეთნიკური ხელოვნების ფესტივალი „ერთი ცის ქვეშ – კულტურათა დიალოგი“ გაიმართა. ასევე, მიმდინარე წელს, ევროპის საბჭოს თანასწორობის ელჩებმა ბათუმში, ამერიკულ კუთხესთან ერთად, მრავალფეროვნების პირველი კვირეული ჩაატარეს. მრავალფეროვნების კვირეულის მიზანი იყო თანასწორობისა და მრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ტოლერანტობის მხარდაჭერა ბათუმის ისტორიულ და კულტურულ მრავალფეროვნებაზე ხაზგასმით. კვირეული დიალოგისა და განვითარებისათვის კულტურული მრავალფეროვნების მსოფლიო დღის ირგვლივ ჩატარდა, რომელიც აღინიშნება 21 მაისს [\[https://www.coe.int/\]](https://www.coe.int/).

მულტიკულტურული მრავალფეროვნების აღიარება და ხაზგასმაა ის ფაქტი, რომ ბათუმის მერიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო და ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობის განყოფილება *[ბათუმის მუნიციპალიტეტის...]*, რომლის მიზანს ეთნიკურ ჭრილში წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციებთან და მათ წარმომადგენლებთან ურთიერთობების განვითარება და გამყარება, ამ მიზნით შესაბამისი პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა; ასევე, ეთნიკური უმცირესობების ორგანიზაციების მიერ მოწოდებული წინადადებების და პროექტების განხილვა *[ბათუმის საკრებულოს...]*.

მულტიკულტურული ბათუმის მხარდაჭერის კუთხით აღსანიშნავია, რომ ბათუმის მერია აფინანსებს ბათუმში მოქმედ სათვისტომოებს, რომელიც „მეგობრობის სახლის“ სახელითაა ცნობილი და 9 სათვისტომოს აერთიანებს, ესენია: უკრაინური, სომხური, აზერბაიჯანული, რუსული, გერმანული, ბერძნული, იეზიდური, თურქული და ებრაული. კულტურული ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, იმართება კონცერტები, შეხვედრები, გამოფენები, გასტროლოები. მეგობრობის სახლის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სათვისტომოების კულტურული დაახლოვების განხორციელების ხელშეწყობა. მათი შენობა მერიის ბალანსზეა და გარდა ოფისის შენახვის ხარჯისა, ბათუმის მერია თითოეულ დიასპორას 7000 ლარით აფინანსებს [\[http://bart.ge/band\\_12/\]](http://bart.ge/band_12/).

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რომ ქათულ საზოგადოებას, მეტნაკლებად, გათავისებული აქვს, რომ კულტურული მრავალფეროვნების დაცვა განუყოფლადაა დაკავშირებული ადამიანის ღირსების პატივისცემასთან. ამგვარი პოზიტიური დამოკიდებულება მრავალფეროვნებისადმი, ტოლერანტობა და შემწყნარებლობა ქართულ საზოგადოებასაც პოზიტიურად უნდა დაუბრუნდეს ეთნიკურად მრავალფეროვანი უმცირესობების მხრიდან.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- ასსცსა, ფ. 6, ან. 1, ს. 194 – აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 6, ანაწერი 1, საქმე №194.
- ბათუმის მუნიციპალიტეტის..**, – ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 მარტის №6 დადგენილება; მოძიებულია 30.05.2021, ინტერნეტ-მისამართი:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5136889?publication=0>
- ბათუმის საკრებულოს..**, – ქალაქ ბათუმის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №26 დადგენილება; მოძიებულია 30.05.2021, ინტერნეტ-მისამართი:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4104110?publication=0>
- თურმანიძე, 2019:** – თურმანიძე ო., „ბათუმის მოსახლეობა და ქალაქის განაშენიანება 1880-1920 წლებში“, – „ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, ბათუმი, 2019.
- მგალობლიშვილი, 1937:** – მგალობლიშვილი ს., „მოგონებანი“, თბილისი, 1938.
- Лисовский , 1887:** – Лисовский В. Я., „Чорохский край“, Тифлис, 1887.
- Киладзе, 1906:** – Киладзе В., и Таварткиладзе Г., «Батум и его окрестности. К 25-летию присоединения гор. Батума к Российской Империи, Батум, 1906.
- <https://batumicc.ge>** – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო – ჩვენი ქალაქი; მოძიებულია 13.04.2021, ინტერნეტ-მისამართი:  
<https://batumicc.ge/index.php?l=1&menu=23>
- <https://batumi.ge>** – ბათუმის მერია – ჩვენი ქალაქის ისტორია; მოძიებულია 13.04.2021, ინტერნეტ-მისამართი: <https://batumi.ge/ge/?page=show&sec=2>
- <https://www.coe.int>** – საქართველოში მრავალფეროვნების პირველი კვირეული; მოძიებულია 13.04.2021, ინტერნეტ-მისამართი:  
<https://www.coe.int/ka/web/tbilisi/-/the-first-diversity-week-to-be-organised-in-georgia>
- [http://bart.ge/band\\_12](http://bart.ge/band_12)** – მეგობრობის სახლი; მოძიებულია 25.05.2021, ინტერნეტ-მისამართი:  
[http://bart.ge/band\\_12](http://bart.ge/band_12)

Mariam Tsetskhladze (Batumi, Georgia)

### Batumi as a Multicultural City

#### Abstract

A small bay in the Black Sea – the city of Batumi – is a worthy part of the cultural diversity recognized as a world heritage. Created in the 19th century under the influence of the oil industry, this small town magnetically attracted people from all over the world, and Batumi gradually became a meeting place of cultures and religions. Since then, for years, people from different cultures have existed peacefully and coexisted in this cozy city. Batumi is a place where cultures do not even fade and destroy each other, but complement each other. Here you will meet Orthodox churches, Catholic and Gregorian churches, synagogues and mosques side by side, Armenians, Azerbaijanis, Russians, Ukrainians, Greeks, Jews, Yazidis and others living here We can be proud.

## XX საუკუნის დასაწყისის სააგარაკო სახლი მახინჯაურში

**აბსტრაქტი:** XIX-XX სუკუნეების მიჯნაზე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დაიწყო რუსეთის იმპერიის მოხელეთა აგარაკების მშენებლობა. მახინჯაურში ამჟამად შემორჩენილ სააგარაკო ნაგებობს შორის საინტერესოა ი. ჯინჭარაძის ქუჩზე, №21-ში მდებარე „სერგეევის“ ვილა, რომელიც თავისი გეგმარებით, პლასტიკურ-მოცულობითი ფორმებით, დენადი ნაძერწი დეკორატიული ელემენტებით, მასკარონების გამომსახველი სახეების დეკორატიულ-სკულპტურული გადაწყვეტით მოდერნის სტილის გამორჩეულ ნიმუშად წარმოგვიდგება. შენობის ავთენტურობის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ-ისტორიული მემკვიდრეობის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, რუსეთის იმპერია, შავი ზღვა, ისტორიული მემკვიდრეობა.

**Key word:** Batumi, The Russian Empire, the Lack Sea, Historical Memory.

\* \* \*

XIX-XX სუკუნეების მიჯნაზე საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში დაიწყო რუსეთის იმპერიის მოხელეთა აგარაკების მშენებლობა. 1883 წელს სამტრედია-ბათუმის რკინიგზის ხაზის გაყვანამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას. აჭარა, განსაკუთრებით ბათუმი, მოექცა მოგების სურვილით შეპყრობილი უცხო ეროვნების შეძლებული ფენების ყურადღების ქვეშ. აჭარა, თავისი უმშვენიერესი ბუნებითა და კლიმატური პირობებით, მიმზიდველი აღმოჩნდა კოლონიური მიზნების მქონე რუსეთის იმპერიის წარმომადგენლებისათვის. იმპერიის ინტერესებში შედიოდა ამ ტერიტორიებზე, ადგილობრივის ნაცვლად, რუსი ეროვნების მოსახლეობის დამკვიდრება [ლეკვიშვილი, 2011:25-26]. რუსეთის იმპერიის მიერ გატარებული მიმე პოლიტიკის შედეგად, მკვიდრი მოსახლეობა ღარიბდებოდა, ქართველ მუსლიმანთა ნაწილი კი თურქეთში გადადიოდა საცხოვრებლად. ამ პროცესების შედეგად სოფლური ტიპის დასახლებები – ციხისძირი, ჩაქვი, მახინჯაური, მწვანე კონცხი და ქობულეთი სააგარაკო დასახლებებად გადაიქცა. იმპერიული პოლიტიკის თანახმად, რუსული ხელისუფლების მაღალჩინოსნის – სმეკალოვის მიერ იმპერიის მოხელეებისა და სამხედროებისათვის, ასევე, რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებული გლეხებისათვის მიწების გადაცემის შედეგად, ქობულეთის ზღვისპირა ზოლში შეიქმნა ე.წ. „სმეკალოვისა“ და „გენერალსკის“ დასახლებები. რუს მოსახლეობას შეადგენდნენ ჩასახლებული გლეხები – „მალოროსები“. აგარაკები და გლეხთა საცხოვრებლები განთავსებული იყო ორ ზოლად – ზღვის ზოლში, პლაჟთან ახლოს და დაჭაობებულ ვაკეზე, რომელიც ნადირობისათვის იყო გამოსადეგი [Москвичь, 2014:125-126].

აჭარის სანაპირო ზოლში დღემდე შემორჩენილი სააგარაკო სახლები ადასტურებს, რომ ინტენსიური ხასიათი მაღალჩინოსანთა აგარაკების მშენებლობამ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან შეიძინა [ლეკვიშვილი, 2011:26]. სააგარაკო შენობები,



ვილები ევროპული ტიპის ბაღებითა და საინტერესო არქიტექტურული გადაწყვეტით ხასიათებოდა. ისინი, უმთავრესად, იგებოდა საგანგებოდ ჩამოტანილი პროექტების საფუძველზე და ასახავდა არა მარტო დამკვეთთა გემოვნებასა და სოციალურ სტატუსს, არამედ ევროპის, რუსეთის იმპერიის ქალაქებში გავრცელებულ მხატვრულ ტენდენციებს. საბჭოთა პერიოდში სააგარაკო სახლების უმეტესობა სახელმწიფო დაწესებულებებად ან საცხოვრისებად გადაკეთდა, რის გამოც შეიცვალა მათი პირვანდელი სახე, გეგმარება, განსაკუთრებით კი შიდა სივრცის სტრუქტურა. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ზოგიერთი მათგანი კერძო მესაკუთრეების ხელში აღმოჩნდა, რის გამოც დაიწყო მნიშვნელოვნად დაზიანებული შენობების რეკონსტრუქცია ფუნქციური ცვლილებითა და გარემოსთან ადაპტაციის პრინციპით. მაგალითად, ასეთია სააგარაკო სახლები ციხისძირში (ყოფილი რუსული სკოლის შენობა) *[ჭანიშვილი, 2020]*, კობულეთში (დ. აღმაშენებლის ქ. №706) *[ჭიჭილეიშვილი, 2017]*, მახინჯაურში *[ჭიჭილეიშვილი, 2019:70-74]* და სხვ.

მახინჯაურში აგარაკების მშენებლობა, ძირითადად, XX საუკუნის დასაწყისს უკავშირდება.<sup>1</sup> ამჟამად შემორჩენილ სააგარაკო ნაგებობს შორის საინტერესოა მახინჯაურში, ისრაფილ ჯინჭარაძის ქუჩაზე, №21-ში მდებარე ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს.

შენობა მდებარეობს მახინჯაურის სამანქანო გზაზე. იგი შესანიშნავადაა მორგებული ლანდშაფტს, არსებულ განაშენიანებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქუჩის მხატვრულ-არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებაში. ჯინჭარაძისა და კონცელიძის ქუჩების გზაგასაყარზე მდებარე ნაგებობა ორგანულად იწერება სივრცეში და მთავარი ფასადებით ქუჩებისკენაა ორიენტირებული. შენობა ფერდობს ეფუძნება. მისი წინა და მარჯვენა ორსართულიანი ნაწილი უკანა მხარეს ერთსართულიან მოცულობაში გადადის და უერთდება ტერასაზე მდებარე მცირე ეზოსა და მიწის ნაკვეთს, რის გამოც, უკანა ფასადების გარკვეული ნაწილი მიწაშია ჩაფლული.

შენობის მარცხენა მხარეს საფეიქრო ქარხნის კორპუსია, რომელმაც „ჩამოჭრა“ სახლის მიმდებარე ეზოს ტერიტორია და დაარღვია პარკისა და განაშენიანების პირვანდელი სტრუქტურა. შენობის მდებარეობა, სივრცესთან კავშირი, ტერასასთან დაკავშირება, თავის მხრივ, მოწმობს, რომ სახლი წარმოადგენდა ე.წ. „უსადბის“ ტიპის, საკარმიდამო-სააგარაკო ნაგებობას, რომელთანაც, გადმოცემით, დაკავშირებული იყო ტერასის სხვა არქიტექტურული აქცენტები (დამხმარე ნაგებობა, საპარკო ტიპის ფანჩატურები და სხვა). სახლის მფლობელთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ ეს სააგარაკო სახლი აშენებულია ივანე სერგეის ძე „სერგეევ-პრეობრაჟენსკის“<sup>2</sup> მიერ, დაახლოებით 1905-1910 წლებში. მეპატრონეს ეს ნაკვეთი საჩუქრად მიუღია რუსი მეცენატის – სავა მოროზოვისაგან. შენობის არქიტექტორი უცნობია. სამშენებლო მასალები და, სავარაუდოდ, პროექტიც ჩამოიტანეს რუსეთიდან. სახურავის ძელებისათვის გამოყენებული იყო რუსული „ლისტვენიცა“, ლითონის სახუ-

<sup>1</sup> ბუნებრივ გარემოსთან ერთად, მოაგარაკეთა ყურადღება მიიქცია გოგირდოვანმა და მინერალურმა წყლებმა, რომელიც პანცერს ეკუთვნოდა. მახინჯაურის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია ბიხოვეცის, პროფ.სნეგიროვის, კრიშტოფოვიჩის მამულები, გენერალ ფესენკოს ქვრივის ვილა და პარკი *[ლევეიშვილი, 2011:27]*.

<sup>2</sup> სერგეევის ოჯახის წევრთა განმარტებით, მათი წინაპრის გვარი იყო სერგეევ-პრეობრაჟენსკი.

რავზე კი შერჩენილი იყო ფირფიტები ნიკოლოზ II-ის და რუსეთის გერბის გამოსახულებით.<sup>3</sup>

ნაგებობის მდგომარეობა ამ რამდენიმე წლის წინ საკმაოდ მძიმე იყო. აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაკვეთით 2015 წელს ჩატარდა ძეგლის აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები (პროექტის ავტორი ნანა ინწვირველი).

ორსართულიანი შენობა მანსარდით, რომელსაც ეზოს მხარეს გვიანდელი მინა-შენები აქვს, თავდაპირველად სიმეტრიული გეგმარების იყო. გეგმაში მართკუთხა ფორმას წინა მხრიდან შეწყვილებული ნახევარწრიული კონფიგურაცია აქვს. სახლი წარმოადგენს ტერასაზე მიდგმულ ორსართულიან ნაგებობას პარადული ფასადითა და ცენტრალური შესასვლელისაკენ მიმართული მაღალი კიბით. სწორკუთხა გეგმის შენობას აღმოსავლეთით, მთავარი ფასადის მხარეს, კიდეებში ერთვის გუმბათებით დაგვირგვინებული ნახევარწრიული ფორმის აივნებიანი რიზალიტები. რიზალიტებს შორის ჩართულია 18 საფეხურიანი ქვის კიბე ირიბად გაყოლებული ქვისავე მოაჯირებით. კიბის პირველი 4 საფეხური სწორკუთხაა, მეორე, განიერი მონაკვეთი კიბის კიდეში დასმული ლარნაკიანი სვეტიდან იწყება და ვიწროდ მიმავალი საფეხურებით მიემართება მეორე სართულის სადარბაზოსაკენ. ფასადის შუა ნაწილში სადარბაზოს კარის თავზე, ფორტონით დასრულებული აივნიანი „სამერცხულია“, რომელიც ამთლიანებს შვერილ, ნახევარწრიულ რიზალიტებს, აგვირგვინებს ფასადის კომპოზიციას და აღნიშნავს ცენტრალურ ღერძს. შენობის პლასტიკურ ნაწილს ნახევარწრიული ფორმის რიზალიტები ქმნის. პირველი სართულის დონეზე რიზალიტებში სწორკუთხა და მშვილდათალოვანი ფანჯრები იყო გაჭრილი. რიზალიტების მეორე სართულის შემკულობას შეადგენს აივანზე გამომავალი მშვილდათალოვანი კარი, გვერდითი ვიწრო და მაღალთალოვანი სარკმლები, კარ-ფანჯრების შემამკობელი საპირეები. ფასადის კომპოზიციური სტრუქტურა და შემკულობის დეტალები მოდერნის სტილის თავისებურებებს ავლენს. რიზალიტების გამომსახველ კომპოზიციურ გადაწყვეტას განსაზღვრავს კედლების დანაწევრება გლუვ და ჰორიზონტალურ ხაზოვან სიბრტყეებად, კარ-ფანჯრების პროფილირებულ თავსართებში ჩართული მცენარეული ხვიარებისა და ფართოფოთლოვანი ნაძერწი ორნამენტები, რიზალიტების მძლავრად შვერილი პროფილირებული კარნიზები, ვიწრო ცილინდრულ ყელზე დაფუძნებული შპილიანი გუმბათები, კონუსების თევზისფხისებური ფაქტურა და სხვ. დეტალები. ფასადის ნახევარწრიულ ფორმებს ჰარმონიულად ერწყმის ოდნავ ოვალური ფორმის რომბისებურ ცხაურებიანი მოაჯირის მქონე აივნები. რიზალიტი დინამიკურად, აქცენტირების გარეშე გადადის გვერდით ფა-

<sup>3</sup> სახლის თავდაპირველი მფლობელის ნ.სერგეევის შვილთაშვილის ნ.ჩხაიძის ნაამბობით, ივანე სერგეევ-პრეობრაჟენსკის ოჯახი ცხოვრობდა მოსკოვში. ისინი, ძირითადად, ზაფხულობით ჩამოდით მახინჯაურში. სააგარაკო სახლთან დაკავშირებული იყო ტერასაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, ზედა დამხმარე სახლი, მცირე ზომის საპარკო ნაგებობები, რომლებიც მდებარეობდა დღევანდელი საფეიქრო ქარხნის ტერიტორიაზე. რევოლუციის შემდეგ მახინჯაურში მუდმივ საცხოვრებლად დასახლდა ივანე სერგეევის შვილი ნიკოლოზი, რომელიც გასაბჭოების შემდეგ იძულებული გახდა „საკუთარი ნებით“ დაეთმო ქონება და მის სანაცვლოდ ეზოს მხარეს არსებულ სამ ოთახში ოჯახთან ერთად ცხოვრების უფლება მოეპოვებინა. ბათუმის არქივში ამ ნაგებობის შესახებ გრაფიკული და ფოტო მასალები არ მოიპოვება.

სადზე, რომლის დეკორატიული შემკულობაც მოდერნის სტილის ელემენტებითაა შედგენილი. წაგრძელებული ფასადის სიბრტყე დანაწევრებულია სწორკუთა ფორმის კარ-სარკმელთა ღიობებით. ჩრდილოეთის მხრიდან შენობის პირველ სართულზე ორი კარია გაჭრილი. სართულები ერთმანეთისაგან გამოყოფილია პროფილირებული სარტყელით. მეორე სართულზე აქაც რომბისებური ზადის ფორმის მოაჯირიანი აივანია. ფასადის შემკულობის გამომსახველ დეტალს შეადგენს სარკმლის თავსართებში ჩართული ნაძერწი მასკარონები – ქალთა რელიეფური სახეები, რომლებიც, მარაოსებურად გაშლილი ვარცხნილობისა და ჰორიზონტალური ფრთების გამო, ანგელოზთა ფიგურების ასოციაციას იწვევენ. ფანჯრების თავზე განთავსებული მასკარონები თითქმის ფრიზულად გასდევს ფასადს. ამ ფრიზის პერპენდიკულარულად ფანჯრის კიდეებში შვეული ფოთლოვან-ყვავილოვანი ღეროს რელიეფური მოტივებია დატანილი. მსგავსი ფორმის მცენარეული მოტივები გვხვდება მახინჯაურში ფესენკოს აგარაკის დეკორში. შენობის სამხრეთი ფასადიც ჩრდილოეთის ანალოგიურად იყო შემკული, რასაც ადასტურებს დეკორის გადარჩენილი ფრაგმენტები. ეზოს მხარეს ფასადის თავდაპირველი სტრუქტურა დარღვეულია გვიანი მიშენებების შედეგად.

შენობის უკანა – დასავლეთი ნაწილი სახეცვლილია. განახლებულია სხვენის ფანჯარა, რამდენადმე ამაღლებულია სახურავის მარჯვენა მხარე, სადაც მცირე მანსარდაში გაჭრილია ახალი ღიობი და სხვ. შენობის ინტერიერიც შემკული ყოფილა ნაძერწი დეკორით, თუმცა, დღეს მისგან არაფერია შემორჩენილი.

მიუხედავად ცვლილებებისა, სერგეევის ვილა წარმოადგენს XX საუკუნის დასაწყისის სააგარაკო სახლის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს, რომლის მხატვრულ ღირებულებას განსაზღვრავს ლანდშაფტისა და ნაგებობის ჰარმონიული შერწყმა, შენობის მოხდენილი პროპორციები, გეგმის თავისებურება, ფასადების პლასტიკური გადაწყვეტა, კაზმული საფასადო დეკორი, კომპოზიციური გადაწყვეტის ერთგვარი ინდივიდუალიზმი, რაც თანადროული მოდერნის სტილის შენობებისათვისაც არის დამახასიათებელი. ასეთივე შემოქმედებითი დამოკიდებულება გამოარჩევს აჭარის ზღვისპირა ზოლში მდებარე ზოგიერთ სააგარაკო სახლს. მაგალითად, ინდივიდუალობით გამოირჩევა „გრაფინია ფესენკოს“ მახინჯაურში მდებარე ვილა, რომელიც პალადიანისტური არქიტექტურისა და მოდერნის სტილის ელემენტების შერწყმის საინტერესო ნიმუშია **[ჭიჭილეიშვილი, 2019:70-74]**. ჩვენთვის უცნობი არქიტექტორისა და დეკორატორის ინდივიდუალური, შემოქმედებითი დამოკიდებულება განსაკუთრებით თვალსაჩინოა სახლის უხვად ნაძერწ დეკორში, რაც თავის მხრივ, XX საუკუნის დასაწყისის მოწინავე სტილის ნიმუშებისათვის რამდენადმე უჩვეულო, ქართული ხელოვნებისათვის ტრადიციული ელემენტების (ყურძნის მტევნები, ხილის მოტივები) ჩართვაში იჩენს თავს. გადმოცემითა და ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ფესენკოს აგარაკის მხატვრულ გაფორმებაში წვლილი მიუძღვის ქართველ მოქანდაკეს – სერაფიმე პოლოლიკაშვილს (1870-1918) **[ჭიჭილეიშვილი, 2019:70-74]**. მოდერნის სტილის საინტერესო ნიმუშები ბათუმსა და მის შემოგარენში, ძირითადად, XX საუკუნის დასაწყისიდან ვლინდება როგორც საქალაქო, ისე სააგარაკო-საკარმიდამო სახლების არქიტექტურაში. მოდერნის სტილის ნიმუშებს ავლენს ციხისძირისა და ქობულეთის სააგარაკო სახლებიც **[ჭანიშვილი, 2020; ჭიჭილეიშვილი, 2017]**.

მახინჯაურში მდებარე სერგეევის სააგარაკო სახლიც, თავისი გეგმარებით, პლასტიკური-მოცულობითი ფორმებით, დენადი ნაძერწი დეკორატიული ელემენტებით, მასკარონების გამომსახველი სახეების დეკორატიულ-სკულპტურული გადაწყვეტით მოდერნის სტილის გამორჩეულ ნიმუშად წარმოგვიდგება და მისი ავთენტურობის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ-ისტორიული მემკვიდრეობის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თვალსაზრისით.

### გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა:

- ლეკვეიშვილი, 2011:** – ლეკვეიშვილი ს., „აგარაკების მშენებლობა აჭარაში“ (ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა), აჭარის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის მაცნე, IV, ბათუმი, 2011, გვ. 24-29.
- ჭანიშვილი, 2020:** – ჭანიშვილი გ., „სააგარაკო სახლი სოფ. ციხისძირში, არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა და რეკომენდაცია“, ხელნაწერი, თბილისი, 2020.
- ჭიჭილეიშვილი, 2017:** – ჭიჭილეიშვილი მ., „ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის შედეგები ქობულეთში დაღმაშენებლის ქ. №706-ში მდებარე სახლის შესახებ“, ხელნაწერი, ბათუმი, 2017.
- ჭიჭილეიშვილი, 2019:** – ჭიჭილეიშვილი მ., „გრაფინია ფესენკოს“ სააგარაკო სახლი მახინჯაურში“, – კრ.: „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), ბათუმი, 2019, გვ.70-74.
- Москвичь, 1914:** – Москвичь Григорий, „Путеводитель по Черноморскому Побережью. С приложением шести карт и пяти планов, иллюстраций и множества рекламы“. – Санкт-Петербург, 1914, с.125-126.

Maia Tchitchileishvili (Batumi, Georgia)

## Summer House of the Beginning of the 20<sup>th</sup> Century in Makhinjauri

### Abstract

At the turn of the 19<sup>th</sup>-20<sup>th</sup> centuries, the construction of summer cottages of the officials of the Russian Empire began on the Black Sea coast of Georgia. Among the currently preserved summer buildings in Makhinjauri, the villa "Sergeev" located at 21 Jincharadze Street catches attention, which is a distinctive example of modern style with its planning, plastic-volumetric forms, flowing decorative elements, decorative-sculptural solution of faces depicting mascarons. Protecting the authenticity of the building is of great importance in terms of preserving the artistic-historical memory, cultural heritage.



საგარაკო სახლი მახინჯაურში. მთავარი ფასადი რესტავრაციის შემდეგ (2015 წელი)



საგარაკო სახლი რესტავრაციამდე





გვერდიანი ფასადი



ფანჯრების დეკორი. მასკარონები

## ბათუმის ურბანული და სოციალ-კულტურული ვითარების ასახვა 1900-იანი წლების ქართულ დემოკრატიულ პრესაში

**აბსტრაქტი:** 1900-იანი წლების ქართული დემოკრატიული პრესა ბათუმის ურბანული თუ სოციალურ-კულტურული ვითარების შესახებ ამომწურავ ცნობებს გვაწვდის. მე-20 საუკუნის დასაწყისის ბათუმი იყო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი სამრეწველო მრავალეროვნული და მრავალკონფესიური ქალაქი, იმპერიასთან ახლად შემოერთებული სასაზღვრო რეგიონი, საზღვაო პორტით და საბაჟოთი, თანამედროვე ევროპული ქალაქის ტიპი, რომელიც ერთგულობდა და ინარჩუნებდა როგორც ქართული ეროვნებისთვის დამახასიათებელი მაიდენტიფიცირებელ ნიშნებს, ასევე ითვალისწინებდას იმ მოთხოვნებს, რაც ამ პერიოდის გლობალურ პროცესებს არ დაუპირისპირდებოდა. პრესაში ჩანს ქართველების ლოიალობა სხვა ჯგუფებთან, ბერძენი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების სპეციალისტთა ღრმა ჩართულობა ქალაქის ურბანულ და სოციალურ-კულტურულ განვითარებაში; იკვეთება ბათუმის მცხოვრებთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, ჩანს დიდი და მცირე საწარმოების მისწრაფება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და წარმოების გაფართოების კუთხით.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმი, დემოკრატიული პრესა, ურბანული განვითარება, თეატრალური ცხოვრება, იდენტობა.

**Key word:** Batumi, Democratic Press, Batumi, Urban Development, Identity, Theatrical Life.

\*\*\*

XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა ეროვნული მიმართულების, დემოკრატიული სულისკვეთების პრესამ. ამ პრესის ავანგარდში „ივერია“ და „ცნობის ფურცელი“ იდგა, რომელთა ძალისხმევით ხდებოდა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის მხარდაჭერა, მოვლენების ობიექტურად ასახვა. ამ რევოლუციური მოვლენებით დატვირთულ ხანაში პრესის მუშაობა ადვილი არ იყო. პუბლიცისტები ხალხის ინტერესების გათვალისწინებლობისათვის აკრიტიკებდნენ ადმინისტრაციულ ორგანოებს, კულტურული დაწესებულებების ხელმძღვანელებს, კანონების საკუთარ ინტერესებზე მორგების, სოციალურ-ეკონომიკური ვითარების დამამძიმებელი პოლიტიკის გამტარებელ ჩინოვნიკებს. ამგვარი შინაარსისთვის ცენზურა ხშირად ხურავდა ჟურნალ-გაზეთებს, სჯიდა რედაქტორ-გამომცემლებს. ასეთი ბედი ბევრჯერ ხვდა „ივერიას“ და „ცნობის ფურცელს“, საბოლოოდ კი ორივე 1906 წელს დაიხურა. მათ ადგილზე 1906-1909 წლებში გამოვიდა ყოველდღიური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული მოვლენების საინტერესოდ შემფასებელი ორგანოები: „შრომა“, „ისარი“, „ამირანი“, „მეგობარი“, „დროება“ და სხვ.

ქართული პრესის ორგანოების ინტერესს წარმოადგენდა აჭარისა და ქალაქ ბათუმის ურბანული განვითარების, სოციალური და კულტურული მიმართულებებით არსებული პრობლემები. განსაკუთრებით ეს ინტერესი გააღვივა რევოლუცი-

ურმა პროცესებმა, რომელშიდაც ბათუმში არსებულ საწარმოებში დასაქმებული მუშეები გამორჩეულად აქტიურობდნენ.

პრესის უამრავი მასალა გვაცნობს ამდროინდელი ყოფის დეტალებს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული პროცესის სრულყოფილად გააზრებისათვის.

1901 წლის ნოემბრის „ცნობის ფურცელი“ დაწვრილებით აღწერდა ქალაქის ყოფილი თავის – ლუკა ასათიანის გრანდიოზულ დასაფლავებას ქუთაისში. ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრები და საზოგადოების მრავალი წარმომადგენელი ჩავიდა ქუთაისში მათთვის პატივსაცემი ქალაქის თავის გასაცლილებლად. პუბლიცისტი ბევრ დეტალს გვაცნობს, ამბობს, რომ წირავდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდე და რომ მიცვალებული დაკრძალეს სოფელ ქვიტირის სასაფლაოზე. ლუკა ასათიანს დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი ბათუმის დაგეგმარებისა და საქალაქო ცხოვრების მოწესრიგების საქმეში. ის ამ პროცესში ქალაქის თვითმმართველობის შექმნიდან (1888) ჩაერთო და ყველა ავტორიტეტს იყენებდა საქართველოსა თუ იმპერიის მთავარ ქალაქებში – პეტერბურგსა და მოსკოვში სათანადო მხარდაჭერის მოპოვებისათვის. ამდენად, ბათუმელებისაგან მისთვის უკანასკნელი პატივის მიგება ბუნებრივი იყო *[სურმანიძე, 2011: 96]*.

გაზეთის იმავე ნომერი იტყობინებოდა, რომ 14 ნოემბერს ბათუმის ბულვარში დიდი ხანძარი გაჩენილა და ბულვარზე არსებული ხის კლუბი მთლიანად დამწვარა *[„ცნობის ფურცელი“, №1642, 1901]*.

გაზეთი მუდმივად წერდა ბათუმში ქუჩებისა და ახალი სახლების მშენებლობაზე: გაზეთის ცნობით, 1902 წელს დასრულდა ქალაქის მმართველობის ახალი შენობა, სადაც გამგეობასთან ერთად, სხვადასხვა დაწესებულება განთავსდა. გამგეობის პირველი სხდომა ახალ შენობაში 1902 წლის სექტემბერში გაიმართა *[„ცნობის ფურცელი“, №1916, 1902]*.

1902 წელსვე დაწყებულია ბათუმში ახალი საავადმყოფოს მშენებლობა, რომლის გამგედ პეტერბურგელი ექიმი ფოლკენშტეინი მოუწვევიათ *[„ივერია“, №167, 1902]*.

ამავე წელს ქალაქის საბჭოს ხმოსნებს საზოგადო ხარჯით გადაუწყვეტიათ ბათუმის ეპარქიის ეპისკოპოსისა და მისი კანცელარიისათვის შესაფერისი შენობის დაქირავება *[„ივერია“, №244, 1903]*.

ქალაქის საბჭო სისტემატიურად იხილავდა ინფრასტრუქტურისა და ახალი დაწესებულებების გახსნის საკითხებს. 1903 წლის 27 ოქტომბრის სხდომამ განიხილა ახალი სატუსაღოს აშენების საკითხი. გამგეობამ კრებას წარუდგინა წერილობითი დასაბუთება. შედგენილი იყო პროექტის ხარჯთაღრიცხვაც, რაც 80 000 მანეთს შეადგენდა. „მოხსენების წაკითხვის შემდეგ, – ვკითხულობთ „ივერიაში“, – ქალაქის მოურავმა აუწყა კრებას, რომ ახალი სატუსაღოს შენობის შესახებ უკვე ჰქონდა მოლაპარაკება სატუსაღოს კომიტეტთან, რომელიც იჯარით აიღებს შენობას ქალაქისგან. კრებამ ცოტაოდენი შესწორებით მიიღო გამგეობის წინადადება“.

მეორე საკითხი, რაც აღნიშნულმა ქალაქის საბჭოს კრებამ განიხილა, იყო ბათუმში ე.წ. „კურზალის“ აშენების საკითხი. კურზალი იყო საკურორტო შენობა, სადაც გაიმართებოდა კონცერტები და სხვა გასართობი ღონისძიებები. „ამ საკითხის შესახებ ქალაქის მოურავმა ანდრონიკაშვილმა კრებას წარუდგინა ვრცელი მოხსენება, რომელშიც განმარტებული იყო კურზალის საჭიროება ბათუმში და მისი შენობის ხარჯთაღრიცხვა (70000 მანეთი).



„კურზალი“ ბათუმისთვის ისეთი საჭიროებაა, – თქვა ბატონმა ანდრონიკაშვილმა, – როგორც თეატრი და ჭაობების ამოშრობა. ჭაობების ამოსაშრობი სამუშაოები ნახევარზე მეტია გაკეთებული, რაც შეეხება თეატრისა და „კურზალის“ საქმის განხორციელების დაჩქარებას, უპირატეობა კურზალს უნდა მიეცეს იმიტომ, რომ ეხლანდელი თეატრი ჯერჯერობით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, და თუ საჭირო იქნება „კურზალის“ დარბაზშიაც შეიძლება მოხერხდეს როგორც სხვადასხვა საღამოების გამართვა, ისე წარმოდგენებისა.“

ქლაქის მოურავის აზრი კრების მონაწილეთათვის მისაღები აღმოჩენილა. თუმცა, თავად „ივერიის“ კორესპონდენტი თვლიდა, რომ ეს ფუფუნება იქნებოდა ისეთი ქლაქისთვის, როგორც ბათუმი იყო. აქ მდიდრები მოიყრიდნენ თავს, თეატრი კი უფრო საყოველთაო და სახალხოა და მას ხეირიანი შენობა არ აქვსო. „როდესაც ქლაქს არც სახალხო სახლი, არც საკვირაო სკოლა და არც თეატრი აქვს, „კურზალის“ აშენება ჭკვიანური არ იქნებაო“, – ასკვნია „ივერიის“ კორესპონდენტი [„ივერია“, №232, 1903].

900-იანი წლების დასაწყისში ბათუმი სამრეწველო აღმავლობას განიცდიდა. იქმნებოდა ახალი კერძო საწარმოები, სადაც უცხოური ინვესტიციები იდებოდა. მაგრამ მაინც მთავარი როტშილდის საწარმო იყო, სადაც მუშებსა და ხელმძღვანელობას შორის ხშირად იყო კონფლიქტი სოციალური და შრომითი უფლებების დაცვის საკითხებზე. 1903 წლის „ივერია“ დაწვრილებით აღწერდა როტშილდისადმი მუშების მიერ შეტანილი საჩივრის ისტორიას. წერილში აღნიშნულია ებრაელ ლეგებერგისა და ბერძენ პარასკეოპულეს მოხერხებით გამდიდრებაზე, ქართველთა ახალი გამგობის – „გეორგიას“ საქმიანობაზე, ქართველ ხე-ტყის მრეწველთა უმოქმედობაზე. წერილი საინტერესოა ამდროის ბათუმის სამრეწველო ისტორიის შესწავლისათვის.

„ბათუმის მუშათა არტელმა, – ვკითხულობთ სტატიაში, – ბატონ მანთაშევისაგან გემების დაცლა-დატვირთვა აიღო. იმ დროს არტელს ჰყავდა ახლად მიღებული 120 წვერი მუშა, რომელნიც ძალიან მხნედ და გულიანად შეუდგნენ მუშაობას. ბ-ნ მანთაშევის ქარხნის გამგე ბ-ნი თარუმოვი ძალიან მადლიერი იყო. რაკი ხმა გავარდა ბ-ნმა მანთაშევმა სამუშაო მთლად პორტს გადასცაო, არტელს გაუჩნდა შემცილებელი, კერძო მოიჯარადრეები, დროებით აქ დაბინავებულნი. ათასნაირი შარი მოსდეს არტელს, მაგრამ ვერას გახდნენ. უცბად ხმა გავარდა, თუ ხვალ არტელმა მუშაობა დაიწყო, მაშინ ბ-ნ მანთაშევის მეეტლე-მედროგეთა შორის ჩხუბი და აყალ-მაყალი მოხდება, რადგან ბ-ნ მანთაშევთან 120 მეეტლე სომეხია და 80 ქართველი და მათ ერთმანეთში უკმაყოფილება აქვთო. ასეთი ხმა დააგდეს არტელის მტრებმა, ამის გამო ბათუმის მუშათა არტელმა, რომ მართლა მეეტლეთა შორის უბედურება არ მოხდესო, 18 მაისს გემში მუშაობა შეაჩერა. ამ ამბავს ათასნაირი მითქმა-მოთქმა მიამატეს არტელის მუშებმა, გაიძახოდნენ: აბა, შეხედეთ არტელი რას სჩადისო, აღარ მუშაობსო, ამის გამო ბ-ნ მანთაშევის გამგემ ბ. თარუმოვმა ისევ ძველ იჯარადარს გადასცა საქმე, ძველმა იჯარადარმა სომეხმა ამით ისარგებლა, სულ ახალი მოსული მუშები დააყენა საქმეზე და ქართველობა კი მოიშორა.

ჩვენს არტელს ეს საქმე არ მოუვიდოდა, სტაროსტა რომ მოხერხებული კაცი ყოფილიყო და საქმის გაძლოლა შესძლებოდა. რაკი ბ-ნ მანთაშევის საქმე არტელს ჩამოართვეს, ახლად მიღებული მუშები გაშორდნენ, დარჩნენ მხოლოდ 20-25 ახლად მიღებული მუშა და ამას გარდა დამაარსებელნი არტელისა.“

ვრცელ სტატიაში დახატულია არტელში შექმნილი მდგომარეობის სრული სურათი. რაკი არტელის ფინანსური საქმეები გართულებული იყო და გაუმჯობესება არ ეტყობოდა, ამიტომ დამაარსებელმა წევრებმა მოითხოვეს თავიანთი კუთვნილი თანხა და გასვლა არტელიდან. მაგრამ არტელის საქმეების გამგებელმა, ე. წ. „სტაროსტამ“ – მგელაძემ ყური არ ათხოვა მათ თხოვნას, არც კრება დანიშნა და არც ანგარიშების გასწორების სურვილი გამოთქვა.

არტელს საჩივარი ჰქონდა შეტანილი როტშილდის წინააღმდეგ. ადვოკატი იყო მოსე ქიქოძე, რომელმაც ოლქის სასამართლოსა და პალატაში წააგო საქმე, მაგრამ საჩივარი მაინც გადაიტანა სენატში. სენატმა ყურადღება მიაქცია არტელის კანონიერ თხოვნას, პალატის განჩინება დაარღვია და ხელმეორედ გასარჩევად სასამართლოს გადასცა საქმე. მეორედ გარჩევის დროს თბილისის სასამართლო პალატამ როტშილდს დააკისრა არტელის სასარგებლოდ 7 ათასი მანეთის გადახდა. ქიქოძემ პალატის აღმასრულებელი ფურცელი ბათუმში ჩაიტანა და ბოქაულის ხელით მოითხოვა ქარხნისაგან სასამართლოს განჩინების აღსრულება. ქარხნის გამგემ აღსრულების ფურცელში ჩაწერილი თანხა ხაზინაში შეიტანა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა მანამ, სანამ საქმეს ხელმეორედ არ განიხილავდა სენატი.

პუბლიცისტი იმედოვნებდა, რომ სენატი არტელის სასარგებლოდ ერთხელ უკვე დადებითად გადაწყვეტილ საქმეს მეორედ უკანონოდ არ სცნობდა, ამიტომ როტშილდისაგან ასაღები 7 ათასი მანეთისა და საკუთრივ არტელის წევრთა კუთვნილ 2500 მანეთის განაწილებას ითხოვდა არტელის დამაარსებელ 38 წევრზე. მგელაძე ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმებოდა და ამტკიცებდა, რომ ამ 38 კაცს არტელში არაფერი ეკუთვნოდათ.

სტატიაში სხვა მოვლენებზეც კეთდება აქცენტი. „აქაურმა ორმა ვაჭარმა, – ვკითხულობთ ამავე ტექსტში, – ებრაელმა ლეგბერგმა და ბერძენმა პარასკეოპულომ უცხად შეიძინეს სიმდიდრე. ლეგბერგმა აგერ 5 წლიწაღია ვაჭრობა დაიწყო „საბალავნო“ (საბაყალეო) საქონლით, ამხანაგათ მოგებაში ჰყავდა ბ-ნი პავლე თუმანიშვილი, რომელიც ძალიან მუყაითად ასრულებდა საქმეს და დიდი ოპერაციაც ჰქონდათ, ამბობენ 100 ათას მანეთამდეო.“ ავტორის აზრით, მოგება 40-50 ათასი მანეთი უნდა ყოფილიყო, საიდანაც თუმანიშვილს 10-12 ათასი შეხვდებოდა. მაგრამ თუმანიშვილი ავადმყოფობის გამო 2 თვით წასულა სამკურნალოდ და უკან დაბრუნებულს ყველაფერი განადგურებული დახვედრია. პუბლიციაში საუბარია იასე რაჭველის მიერ დაარსებული საკომისიო-სავაჭრო ამხანაგობა „გეორგია“-ზე, გაკრიტიკებულია საზოგადოების შემადგენლობა, სადაც საქმის უცოდინარი ადამიანები იყვნენ. ერთი წლის მანძილზე მხანაგობის ხარჯი – 900 მანეთი – იმდენად დიდი იყო, რომ ორგანიზაციის წარმატებაში ეჭვი შეჰქონდა.

წერილში ასევე გაკრიტიკებული იყვნენ ბათუმში მოქმედი ხის მასალის მრეწველები, რომლებიც, როგორც გაზეთი აღნიშნავდა, „საღათას ძილში იყვნენ, ძვირფას კაკლისა და ზვის მასალას, ნაცვლად იმისა, რომ თავად გაეყიდათ რიგიან ფასში, ძველებურად იაფად ყიდდნენ არშაკ მინას არუთინაზე.“ ბუბლიცისტი საჭიროდ თვლიდა ამ საქმეში ნესტორ წერეთლისა და ექვთიმე ბერძენიშვილის მონაწილეობას, ისინი წარმატებას მოიტანდნენ, მაგრამ „... როგორც ჩანს მათ არ ჰქონდათ ამ საქმეში ჩართვა, რადგან კმაყოფილნი არიან თავიანთი მდგომარეობით და ბედში

მყოფი, ისიც ქართველი, გაჭირვებულთათვის იშრომებს? “ – პათეტიკურად ასრულებდა ამ ვრცელ სტატიას სპირიდონ ხვიჩაშვილი [*„ივერია“*, №230, 1903].

გაზეთ „ივერიის“ მომდევნო (232) ნომერში საუბარია ქალაქის თავის – ანდრონიკაშვილისა და ქალაქის საბჭოს წევრის – გიორგი ჟურულის თაოსნობით მიღებულ გადაწყვეტილებაზე დაეარსებინათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილება ბათუმში, რაც მას დიდ სარგებლობას მოუტანდა. ამავე ნომერში „გეორგიას“ დამაარსებელი იასე რაჭველი ვრცელ პასუხს სცემდა სპირდონ ხვიჩაშვილს, უარყოფდა მის მიერ მკითხველისთვის მიწოდებულ ინფორმაციებს და დეტალურ ანგარიშს ადგენდა გაწეულ ფინანსურ ხარჯებზე. ვრცელი წერილის ბოლოს იასე რაჭველი მკითხველს არწმუნებდა, რომ ამხანაგობა, რომელიც დიდი ხნის გახსნილი არ იყო, აპირებდა გაფართოებას, მარსელში ფილიალის შექმნას [*„ივერია“*, №232, 1903].

1905 წლის რევოლუციური მოვლენები მძიმედ შეეხო ქალაქს, რასაც ამდროინდელი „ივერია“ გადმოსცემდა. მისი ახალი რედაქტორი – ფილიპე გოგიჩაიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა პროვინციებში შექმნილ მდგომარეობას და კორესპონდენტებს ავალებდა დაუფარავად აღწერათ მოსახლეობის ცხოვრება. სანიმუშოდ მოვიტანთ ერთ-ერთ სტატიას: „ბათუმის მდგომარეობა, მას შემდეგ, რაც აქ სამხედრო წესები შემოიღეს, სრულიად შეიცვალა. მშვიდობიანი ძარღვის ცემა შეწყდა, აქაურობა ნამდვილ ომის ველს წარმოადგენს, ერთის მხრით დგას დაზარალებული მშვიდობიანობის დამცველი პოლიცია, სტრაჟნიკი, კაზაკები, მეორეს მხრით – მუშა ხალხი. როგორც ეტყობა, ხალხი ვერ დააწყენარა სასტიკმა საშუალებებმა და მრავალრიცხოვანმა განცხადებებმა გუბერნატორებისა და პოლიციისა. პირიქით, კიდევ უფრო ხშირდება ძარცვა და უწყესრიგობანი“... მოტანილია შემთხვევები, როგორც აცალა ოფიცერს ახალგაზრდა ბიჭმა სახელმწიფო იარაღი, გაიქცა და ვერ დაიჭირეს, როგორც გამარცხეს სომეხი ვაჭარი ორმა ახალგაზრდამ და ა. შ. ეს ხდებოდა ხალხის თვალწინ [*„ივერია“*, №75, 1905].

განსაკუთრებული ხმაური სდევდა როგორც ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების, ასევე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებს. სოციალისტ-ფედერალისტური მიმართულების გაზეთი „ისარი“ 1907 წლის სახელმწიფო დუმის არჩევნებს აღწერდა. ბათუმის, სოხუმისა და ართვინის ოლქის წარმომადგენლად ხელახლა ირჩევდნენ წინა მოწვევის სათათბიროს დეპუტატს, არტილერიის გენერალ-მაიორს, თავად პროკოფი შარვაშიძეს. მისი არჩევა ხალხს არ მოსწონდა, ამიტომ ამბობდნენ, „ხელახლა კი არ მოდის, მოაქეთო“. როგორც გაზეთი ირწმუნებოდა, შარვაშიძის არჩევის მოთხოვნა პეტერბურგის მაღალი წრებიდან მოდიოდა. არჩევნები 1907 წლის 6 თებერვალს გაიმართა. დეპუტატს 17 ამომრჩეველი უყრიდა კენჭს: 7 ბათუმის ოლქიდან და ქალაქიდან, 6 – სოხუმის ოლქიდან, 4 – ართვინიდან. 17-დან კენჭისყრას 15 დაესწრო, 2 ართვინიდან დიდი თოვლის გამო ვერ ჩამოვიდა.

„სწორედ 12 საათზე გაიხსნა სხდომა, – ვკითხულობთ გაზეთში, – რომელსაც თავმჯდომარეობდა აწ გადამდგარი ყაზახთა ჯარის გენერალ-მაიორი კვიცინსკი, რომელსაც თან ახლდა თანაშემწე „ყოველშემთხვევისათვის“, აწ სამსახურიდან გადამდგარი ზღვაოსანთა ჯარის კონტრ-ადმირალი ვერბოლოზოვი. კრებისთვის სავალდებულო კანონების წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარემ მოითხოვა წერილობითი დასახელება კანდიდატებისა. დაასახელეს: ეს-დეკების წარმომადგენელი მუშა ლევაშკევიჩი – 7 ხმით, თავადი შარვაშიძე – 6 ხმით, მეორე წარმომადგენელი ეს-დეკებისა ექიმი შატილოვი – 3 ხმით და თავადი ნიკო თავდგირიძე – 1 ხმით. ამ ორმა

უკანასკნელმა უარი განაცხადეს კენჭისყრაზე და ყუთები დაუდგეს ლევაშკვიჩის, რომელმაც მიიღო 6 თეთრი და 9 შავი კენჭი, და თავად შარვაშიძეს, რომელსაც მოუვიდა 5 თეთრი და 10 შავი. ამ ხუთში ერთი მისი საკუთარი იყო და ცხადად აღმოჩნდა, რომ მისი რაზმელები სოხუმელებიც გადაუდგნენ.

არჩევანი გადაიდო მეორე დღისთვის. სხდომა 12 საათზე გაიხსნა. სხდომაზე მოვიდა 16 ამომრჩეველი. შავშეთელმა ამომრჩეველმა თოვლის გამო ვერ მოაღწია.

კანდიდატებად დაასახელეს 6 ხმით თავადი შარვაშიძე, 6 ხმით ექიმი შატილოვი, 1 ხმით ნ. თავდგირიძე, რამდენიმე ხმით კიდევ სხვა. პირველმა და უკანასკნელმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე, დაიდგა ყუთი ეს-დეკების კანდიდატმა ექიმმა შატილოვმა, რომელსაც ამოუვიდა 7 თეთრი და 9 შავი. არჩევანი არ შესდგა და კვლავ გადაიდო ხვალისთვის. ხვალ უკანასკნელი იქნება. შერვაშიძე უეჭველია, ხვალაც იყრის კენჭს, ცხადად ამას კანონი არ უშლის, თუმცა, სულ ახალ განმარტებას სენატისას თუ მივიღებთ მხედველობაში ქალაქის არჩევნების შესახებ, ერთსა და იმავე სესიაში ერთხელ გაშავებულ კანდიდატს მეორედ კენჭის ყრის ნება არა აქვს. იმედი აქვს, რომ მისი მომხრეები ართვინიდან ეხლა მაინც ჩამოაღწევენ, შავშეთში დიდი თოვლი დევსო, მაგრამ მარხილებით ჩამოიყვანენ! როგორც ვთქვი, ხვალ მესამედ და უკანასკნელად იქნება კენჭისყრა, და როგორც მოგახსენებთ, კანონით ვინც მეტ თეთრ ხმას მიითებს, გაშავებულიც რომ იყოს, ამორჩეულად ჩაითვლება“ *[„ისარი“, №29, 1907]*.

გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა მძიმე კრიმინოგენურ ვითარებაზე ბათუმში, ასევე რევოლუციურ გამოსვლებსა და არეულობაზე. 1902 წლის 31 აგვისტოს ინფორმაციით, ბათუმში დიდი არეულობა მომხდარა, სასამართლო პროცესზე 100-ზე მეტი მოწმე დაუბარებიათ. ხშირი იყო მგზავრებზე თავდასხმები და მარცვა, განსაკუთრებით საქარხნო რაიონში, მუშებს ართმევდნენ ხელფასს და „კასირსაც ესროდნენ ტყვიებს“ *[„ცნობის ფურცელი“, №1959, 1902]*.

„1902 13 ივლისის „ივერიის“ ცნობით, ჩაქვში, საკუთარ მამულში ავაზაკებს ტყვიით დაუჭრიათ მემამულე ქალი – ბ. ი. ვუჩინო. ეს შემთხვევა აღწერა ასევე „ჩერნომორსკი ვესტნიკმა“: ჩაქვის სადგურიდან უცნობეზიათ და ბათუმიდან და ქობულეთიდან ექიმები და პოლიცია მისულან. სამი ტყვიით დაჭრილი ქალი ბათუმის საავადმყოფოში დაუწვევნიათ, ხოლო ავაზაკები ვერ დაუკავებიათ *[„ივერია“, №147, 1902]*.

ხშირად დანაშაულს განზრახ ჩადიოდნენ ქარხნის მეპატრონეთა დამოკიდებულებით უკმაყოფილო მუშები, მაგალითად, აჩენდნენ ხანძარს, ანადგურებდნენ სხვის საკუთრებას. გაზეთი „ისარი“, რომელიც 1907 წლის დასაწყისში ცენზურის მიერ დახურული გაზეთ „მეგობრის“ ნაცვლად გამოვიდა და რომლის გამომცემლები იყვნენ ივანე მჭედლიშვილი, ესტატე ავალიშვილი და ვალერიან გუნია – ხშირად აქვეყნებდა ბათუმში მომხდარ მსგავს მოვლენებზე ინფორმაციებს. მაგალითად, 1907 წლის 5 თებერვალს მანთაშოვის ნავთის ყუთების დამამზადებელ ქარხანაში ცეცხლის გაჩენაზეა საუბარი. ცეცხლი ისე ძლიერი ყოფილა, რომ ვერ ჩაუქრიათ. გარდა იმისა, რომ საფრთხე მეზობელ საწყობებსაც ემუქრებოდა, შესაძლო იყო ცეცხლის გადასვლა უზარმაზარ ნავთის აუზზეც, მაგრამ იმდენი მოუხერხებიათ მეხანძრეებს, რომ ხელი შეშლია ცეცხლის გავრცელებას. გაზეთის ცნობით, ზარალი დიდი ყოფილა, მაგრამ წინასწარი დაზღვევის გამო ეს ზარალი ანაზღაურდებოდა. სულ 100 000 ნავთის ყუთი დამწვარა და ზარალი 300 000 მანეთამდე ყოფილა. ცეცხლის გაჩენას



როგორც დეპეშათა სააგენტო, ასევე გაზეთის კორესპონდენტი უკმაყოფილო მუშებს აბრალებდა *[„ისარი“, №27-28, 1907]*.

პრესა განსაკუთრებულად ასახავდა ბათუმში კულტურული ცხოვრების მოვლენებს, ძირითადად ყველა პრესის ორგანო გულისწყვეტით წერდა ამ მიმართულებით ქალაქის ჩამორჩენილობაზე. „ცნობის ფურცლის“ პუბლიცისტი ბათუმის კულტურულ ცხოვრებას სასიკვდილოდ გამზადებულ ადამიანს ადარებდა და აუცილებელ საქმედ მიიჩნევდა სცენისმოყვარეთა დასისა და სამკითხველოს გააქტიურებას. „დღეს თითქმის ყველა ქალაქში, - წერდა იგი, - ქალები მუშაობენ, აარსებენ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოებებს, საკვირაო სკოლებს, სამკითხველოებს, ადგენენ იაფფასიან სახალხო წარმოდგენებს და სხვ. ჩვენი ქალები კი ამ მიმართულებით ხალისს არ იჩენენ, სასურველი კია მათაც მოჰკიდონ რამე საქმეს ხელი *[„ცნობის ფურცელი“, №1911, 1902]*.

ბათუმის სცენისმოყვარეთა ამხანაგობა და მომღერალთა გუნდი რკინიგზის თეატრში მართავდა წარმოდგენებს. მას ქუთაისი თეატრის ხელმძღვანელი ვლადიმერ ალექსი მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. „ცნობის ფურცელი“ წერდა დადგმული სპექტაკლების შესახებ. ქალაქის კულტურულ ცხოვრებას აცოცხლებდა თავად ქუთაისის დასის გასტროლები. 1902 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ეს გასტროლი დაემთხვა ბათუმში არჩევნების პერიოდსა და დიდ წვიმებს, ამის გამო, მაცურებელი ნაკლები ჰყოლია.

90-იანი წლების დასაწყისიდან ბათუმში ყოველწლიურად, 14 იანვარს იმართებოდა ქართული თეატრის დაარსებისადმი მიძღვნილი საღამო, რომელიც საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა და ბათუმის ქართული სასწავლებლის სასარგებლოდ ტარდებოდა. ამ ნიშნით ეს საღამო-ღონისძიება ბათუმის ნამდვილ დღესასწაულად იქცა, როგორც ამას 1904 წლის „ივერია“ აღნიშნავდა. ამ თატრალურ წარმოდგენას არა მარტო ბათუმელები, არამედ საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ. „ივერიის“ ცნობით, ეს საყოველთაო ინტერესი გამოწვეული იყო როგორც თეატრის სიყვარულით, ასევე ღონისძიების საქველმოქმედო შინაარსით (საქართველოში ყველა გულშემატკივრობდა დედასამშობლოსთან ახლად დაბრუნებული აჭარის ქართველობაში ეთნო-კულტურული ტრადიციების აღდგენასა და მათთვის ქართული ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის მიცემას). იყო კიდევ მესამე მიზეზი, რისთვისაც ბათუმის თეატრის დღე საყოველთაო ქართულ ინტერესს იწვევდა: მისი საუკეთესოდ ორგანიზებულიობა. ამ საქმეს სათავეში ქალაქის თავის - ანდრონიკაშვილის მეუღლე - ლილია პლემშევა-მურატოვა ედგა და მას დახმარებას ქართული სკოლის ადმინისტრაცია უწევდა. როგორც 1904 წელს ბათუმში ჩატარებულ ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილი სტატია იუწყება, ბოლო ზეიმი უფერული გამოდგა. რეპერტუარის ის მრავალფეროვნება, რაც მას ყოველთვის ახასიათებდა, ორგანიზატორებმა უამრავ დამსწრეს არ აჩვენეს. ამან ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. პუბლიცისტი ქართული სასწავლებლის კომიტეტს კიცხავდა უმოქმედობისათვის, მისი აზრით, ანდრონიკაშვილის მეუღლემ ყველაფერი გააკეთა, გამგეობის შენობაში გამოყოფილი დარბაზი ევროპულად მორთეს, ევროპული ცეკვებიც მომზადდა, მაგრამ „ქართული საღამო“ აღარ გამოვიდა. ამ საღამოების გამართვას ასევე დახმარებას ქალაქის გამგეობის მდივანი ივანე მესხიც უწევდა, რომელმაც 1904 წლის იანვრის ღონისძიებაში ავადმყოფობის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა.

სინტერესოა პუბლიცისტის ინფორმაცია, რომ ხსენებული საღამოს გამართვაში ანდრონიკაშვილის მეუღლეს რამდენიმე უცხოელი დაეხმარა. „უცხოელი და არა ქართველი“, – დამცინავად აღნიშნავდა პუბლიცისტი ფსევდონიმით – „დამსწრე“ *[„ივერია“, №14, 1904]*.

„ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ არა მარტო ასახავდნენ ბათუმის თეატრალურ ცხოვრებას. მათი პუბლიცისტები ხშირად აკრიტიკებდნენ დადგმული სპექტაკლების მხატვრულ ხარისხს, მასახიობების თამაშს, პიესების ლიტერატურულ დონეს, იწუნებდნენ რეპერტუარს, რაზეც დამოკიდებული იყო მაყურებელთა მოზიდვა სპექტაკლებზე.

1904 წლის „ივერიაში“ ვრცელი წერილი გამოქვეყნდა სათაურით – „თეატრი და ხელოვნება“, „განკიცხულის“ ავტორობით. სტატიაში გაკრიტიკებული იყო როგორც მსახიობები და რეჟისორები, ასევე მაყურებელთა გემოვნებაც, რადგან სტატიის ავტორის აზრით, ისინი კარგად ვერ ერკვეოდნენ თეატრალურ ხელოვნებაში.

„საზოგადოდ ჩვენში ყველაფერი საუბედუროდ ჩვენებურად გვესმის, ჩვენებურად, ქართველურად, – ვკითხულობთ სტატიაში, – გავიგონებთ თუ არა რასმეს, რომელიც ასე თუ ისე ყურადღებას იქცევს საზოგადოებისას სხვაგან, განათლებულ ქვეყნებში, მაშინათვე ჩვენც ავყოფოდებით და უსათუოდ წაბამვას ვიწყებთ, თუმცა რომ არცერთი საგანი სამოქმედო, არცერთი მოვლენა საყურადღებო, რომელიც იზიდავს კულტურულ ხალხთა ცნობიერებას, ჩვენგან არ არის შეთვისებული, რიგიანად განსაზღვრული და გარკვეული. საბუთიანი, ჭეშმარიტი კრიტიკა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ჩვენში ჯერ კიდევ სუსტია. ეს სისუსტე კი გამომხატველია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების დაბალ საფეხურზე დგომისა, მისი უსრულობისა და განუვითარებლობისა... ყოველი წაბამვა რაიმე სასარგებლოს და კარგისა ფორმალურად და არა რეალურად შესრულებული, გასაკიცხი უნდა იყოს რადგან დამახინჯება სინამდვილისა და უარყოფა საფუძვლიანი კრიტიკისა...“ *[„ივერია“, №10, 1904]*.

ამ პრობლემას პუბლიცისტი თეატრის კონტექსტში განიხილავს და ბათუმის თეატრალურ ცხოვრებას ამ მიმართულებით აფასებს. მისი აზრით, წაბამვას აქ ზედმეტად დიდი ადგილი დაუჭერია და შედეგიც სავალალო მიუღია. პუბლიცისტი წერს: „ბათუმს დღეს ჰყავს სცენის დამამშვენებელი ჯგუფი, ე. წ. სცენისმოყვარენი, მაგრამ ასეთი სიყვარული ვერ აღწევს მიზანს, რადგან ისინი თავიანთი თამაშით ხალხს უფრო აშორებენ თეატრს, ვიდრე აახლოებენ“. ამის ნიმუშად სტატიის ავტორს მოჰქონდა ბათუმის თეატრში დადგმული 5 მოქმედებიანი პიესა – კარევის „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“, რომელსაც „ურიელ აკოსტაზე“ მეტი მაყურებელი დასწრებიან. გულდაწყვეტილი იყო იმით, რომ მაყურებელმა ვერ დაინახა სპექტაკლის ნაკლი და უფრო კარგად შეაფასა იგი, ვიდრე სინამდვილეში იყო, „თითველი მოქმედების გათავების შემდეგ ტაშისცემით იწვევდნენ მოთამაშეთ და სცენაზე ქუდებს ისროდნენო“ *[„ივერია“, №75, 1905]*.

1907 წელს გამოვიდა გაზეთი „ჩვენი გზა“, რომელსაც სპეციალური განყოფილება – „ბათუმის ქრონიკა“ ჰქონდა ქალაქ ბათუმსა და მის ოლქში მიმდინარე მოვლენების გასაშუქებლად. აქ დაბეჭდილი ინფორმაციებით ვგებულობთ, თუ როგორი ვითარება იყო ამ რევოლუციურ პერიოდში სამრეწველო ქალაქში, სადაც რევოლუციური გამოსვლების, არჩევნების თუ კულტურული ღონისძიებების მონაწილე ძირითადი მასა მუშები იყვნენ. გაზეთის ცნობით, 1907 წლის სექტემბერში (16, 28, 29 რიცხვში), ბათუმში ჩატარდა სასოფლო რაიონების, მიწის წვრილ მესაკუთრეთა და

მუშების რწმუნებულთა არჩევნები. ამას მოჰყვა ქალაქის მიწისმფლობელთა და რუსთა კურიის არჩევნები.

გაზეთის ინფორმაციით, ბათუმელებს აწუხებდნენ ე.წ. „შანტაჟისტები“, რომლებიც „ჯგუფისტებს“ უწოდებდნენ თავს. ამ ჯგუფმა თბილისის სათავადოზნაურო ბანკის აგენტს – მჭედლოვს, შეაწერა 500 მანეთი და ადგილიც დაუნიშნა, სადაც ეს ფული უნდა მიეტანა. ამ მოვლენას გაზეთი ასე აღწერდა: „მჭედლოვი არ შეშინდა და დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა ვადაზე. ბატონი „ჯგუფისტიც“ გამოცხადდა და მჭედლოვს უნდოდა „ჯგუფისტი“ ხელდახელ დაეჭირა, მაგრამ ახალგაზრდამ გაქცევა მოასწრო, მჭედლოვი დაედევნა და რამდენჯერმე რევოლვერიც ესროლა. მაგრამ ამ დროს მეთვალყურე მეორე „შანტაჟისტიც“ გამოჩნდა და მჭედლოვს უკნიდან სროლა აუტეხა. ვლადიკავკაზის ქუჩა, სადაც ეს ამბავი ხდებოდა, ბრძოლის ველს წარმოადგენდა. სროლამ კარგა ხანს გასტანა, დაჭრით არავინ დაჭრილა, მხოლოდ ერთი ჯგუფისტაგანი იმ ქუჩაზე მდგომმა კაზაკებმა დაიჭირეს“.

1907 წელს მიმდინარეობდა 1905-1906 წლების რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილე პირთა სასამართლოები. გაზეთის ინფორმაციით, 1905 წლის ოქტომბრის გაფიცვაში მონაწილეობისთვის გაასამართლეს რამდენიმე ადამიანი, მათ შორის იყვნენ ასლან ბეგ და თევფიყ ბეგ აბაშიძეები და ალფესა მიქელაიშვილი, სამივე ბათუმელი, ასლან აბაშიძე სატუსალოში დატოვეს, დანარჩენი ორი კი თავდებობით გამოუშვეს [*„ჩვენი გზა“*, №7, 1907].

პრესის მიხედვით, საკითხი დაისვა ბათუმსა და მის მიდამოებში კლიმატური სადგურების გახსნის შესახებ, რაზეც ბათუმელ ექიმთა საზოგადოებამ წარადგინა მოხსენება და ახსნა, რატომ იყო მნიშვნელოვანი როგორც ბათუმისთვის, ასევე კავკასიისა და მთლიანად იმპერიისთვის კლიმატური სადგურების დაარსება ბათუმში. ბათუმელმა ექიმმა ტრიანდიფილისმა 1907 წელს ამ საკითხზე ბროშურაც გამოაქვეყნა.

გაზეთ „მომავალში“, 1909 წელს დაბეჭდილი პოლემიკური სტატია, რომელიც „ჩანგის“ პრეტენზიას გამოხატავდა ბათუმში პრესის გავრცელების ორგანიზატორების – გიორგი მახარაძისა და პავლე სამსონიასადმი, ცხადყოფს, თუ რა დიდი ინტერესი ჰქონდათ ბათუმელებს პრესისადმი, რა მრავალფეროვანი დასახელების პრესის ორგანო ვრცელდებოდა ქალაქში [*„მომავალი“*, №10, 1909]...

ჩვენ მიერ წარმოდგენილი და განხილული პრესის მასალა საშუალებას იძლევა დავასკვნათ:

- თუ თვალს გავადევნებთ ქართულ პრესას, 1878 წელს სერგეი მესხის კორესპონდენციიდან ბათუმის შესახებ, სადაც აღწერილია ბათუმის დაკავება რუსული ჯარის მიერ, ბათუმის იმდროინდელი ქუჩები, სახლები, ჭაობები, მტვერი და პანიკური შიშით მოცული აქაური ქართველები, დავინახავთ, რომ 900-იან წლებში, ეს ქალაქი უკვე სრულიად განსხვავებული, ევროპული ტიპის ქალაქია თავისი ინფრასტრუქტურით, ურბანული სახით, მოსახლეობის სიჭრელითა და სოციალური ფენების ურთიერთდამოკიდებულებით;
- ამდროინდელი ქართული პრესა ბათუმის ურბანული თუ სოციალურ-კულტურული ვითარების შესახებ ამომწურავ ცნობებს გვაწვდის; ამ მასალებში ჩანს თანადროული გამოწვევები, გამოკვეთილია სოციალურ სტრუქტურებში ბათუმის საკმაოდ ჭრელი მოსახლეობის ჩართულობა;

- პოლიტიკური პროცესი, რა მოცემულობაშიც ამდროინდელი ბათუმი ცხოვრობდა (ის იყო რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი სამრეწველო ქალაქი, იმპერიასთან ახლად შემოერთებული სასაზღვრო რეგიონი, საზღვაო პორტი და საბაჟო), განაპირობებდა იმას, რომ მთავარი აქცენტი გადადიოდა კულტურული იდენტობის დაბრუნებაზე, რაც ამ დროს ეროვნული იდენტობის ყველაზე გამოკვეთილი მახასიათებელი იყო;
- ეთნიკური იდენტობის სხვა მარკერები, – ენის დაცვა, ქრისტიანული სალოცავების საკითხი – ქართული სასწავლებლების, პრესის, ქართული კულტურის კერების დაარსებით, თეატრალური და მუსიკალური დაწესებულებების შექმნით იყო გამოხატული;
- პრესაში ჩანს ქართველების ლოიალობა სხვა ჯგუფებთან, ბერძენი, სომეხი, რუსი და სხვა ეროვნების სპეციალისტთა ღრმა ჩართულობა ქალაქის ურბანულ და სოციალურ-კულტურულ სფეროებში. არის სოციალურ ნიადაგზე ეთნიკური დაპირისპირების შემთხვევებიც;
- საზოგადოებრივი აზრის პროექცია უპირატესად ქართულ ეროვნულ-კულტურულ ფასეულობებზე ხდებოდა: თეატრისა და სხვა კულტურული ღონისძიებების მაყურებელი უმეტესად საწარმოთა მრავალეროვნული კოლექტივის მუშები იყვნენ, რომლებსაც გაცილებით მოსწონდათ ქართული ცეკვები, სიმღერები, სპექტაკლები, ვიდრე უცხოური კულტურის ნიმუშები, ევროპული ცეკვებისა და სიმღერების მოსმენა, უცხო თემაზე დაწერილი პიესები, მას „წაბამვად“ და ხელოვნურად მიიჩნევდნენ;
- პრესის მასალებით იკვეთება ბათუმის მცხოვრებთა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, ჩანს დიდი და მცირე საწარმოების მისწრაფება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და წარმოების გაფართოებისაკენ, იკვეთება ქალაქის ევროპული სახე, რომელსაც შეუძლია უერთგულოს ეთნოს-ტორიულ ტრადიციებს და შეინარჩუნოს როგორც ქართველი ერის მახასიათებელი მაიდენტიფიცირებელი ნიშნები, ასევე გაითვალისწინოს ის მოთხოვნები, რაც თანამედროვე გლობალურ პროცესებს, ქალაქის მულტიეთნიკურობასა და მოსახლეობის კონფესიურ განსხვავებულობას არ დაუპირისპირდებოდა.

### გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

- სურმანიძე, 2011: – სურმანიძე რამაზ, „ლუკა ასათიანი“, თბილისი, 2011.
- „ცნობის ფურცელი“, №1642, 1901: – რუბრიკა „ახალი ამბავი“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901 წ. №1642.
- „ცნობის ფურცელი“, №1916, 1902: – რუბრიკა „ახალი ამბავი“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. №1916.
- „ცნობის ფურცელი“, №1959, 1902: – რუბრიკა „ახალი ამბავი“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. №1959.
- „ცნობის ფურცელი“, №1911, 1902: – დათიკო ნემ., „წერილი ბათუმიდან“, გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1902 წ. №1911.
- „ივერია“, №147, 1902: – ქრონიკები, დეპეშა ჩაქვიდან, გაზეთი „ივერია“, 1902 წ. №147.
- „ივერია“, №167, 1902: – ქრონიკები, გაზეთი „ივერია“, 1902 წ. №167.
- „ივერია“, №230, 1903: – სვირიდონ ხვიჩაშვილი, „ბათუმის მუშათა არტელი“, გაზეთი „ივე-



- რია“, 1903 წ. №230.
- „ივერია“, №232, 1903: – თეოფ. ბესარიონიძე, „ბათომის ქალაქის საბჭო“, გაზეთი „ივერია“, 1903წ. №232.
- „ივერია“, №232, 1903: – იასე რაჭველი, „პასუხი სფირიდონ ხვიჩაშვილს“, გაზეთი „ივერია“, 1903 წ. №232.
- „ივერია“, №244, 1903: – „ჩვენებური ამბები“, გაზეთი „ივერია“, 1903 წ. №244.
- „ივერია“, №10, 1904: – განკიცხული, „თეატრი და ხელოვნება“, გაზეთი „ივერია“, 1904 წ. №10.
- „ივერია“, №14, 1904: – დამსწრე, „ქართული სალამო ბათომში“, გაზეთი „ივერია“, 1904 წ. №14.
- ივერია“, №75, 1905: – რია, „ბათომის მდგომარეობა“, გაზეთი „ივერია“, 1905 წ. №75.
- „ისარი“, №27-28, 1907: – „ცეცხლი ბათუმში“, გაზეთი „ისარი“, 1907 წ. №27, №28.
- „ისარი“, № 29, 1907: – გაზეთი „ისარი“, 1907 წლის 9 თებერვალი, №29.
- „ჩვენი გზა“, №7, 1907: – „ბათუმის ქრონიკა“ გაზეთი „ჩვენი გზა“, 1907 წ. №7.
- „მომავალი“, №10, 1909: – ქრონიკა, გაზეთი „მომავალი“, 1909 წ. №10.

**Dodo Chumberidze (Tbilisi, Georgia)**

### **Urban and Socio-Cultural Situation in Batumi in the Georgian Democratic Press of the 1900s**

#### **Abstract**

While conducting research in a specific issue, especially the one concerning the period of activation of the Georgian press - the end of the 19th century and the first decade of the 20th century, studying democratic press materials is as important as studying scientific literature and archival materials, as the primary and reliable historical sources. Working for the press in these difficult, revolutionary times was anything but easy. The publicists criticized the government, administrative bodies, and the heads of cultural institutions for neglecting the interests of the people, as well as the officials for adapting the laws to their own interests and pursuing policies that aggravated the socio-economic situation. Even though censorship often punished the editors for displaying such courage by shutting down the media companies, they were promptly replaced by new ones, which continued the brave work of their predecessors, impartially reflecting ongoing events in the country.

The printed publications (“Iveria”, “Tsnobis Purtseli”, “Megobari”, “Isari”, “Amirani”, “Droeba”, etc.), in the study period, widely covered topics related to the urban development of and socio-cultural situation in Batumi. This interest was aroused by the revolutionary processes in which the workers of the enterprises located in Batumi were exceptionally active. At that time, Batumi attracted industrialists from both foreign countries and different parts of the Russian Empire and Georgia. Most important were the enterprises of the Nobel brothers and the Rothschilds. There were timber plants, trade, financial and other institutions in the city, where social problems abounded. Individuals working for the press as well as people involved in the process wrote about these problems. Studying these materials is of great importance for a thorough understanding of the epoch, for researching the history of Batumi and of Georgia as a whole.

The press material presented and studied by us allows us to conclude the following:

- Georgian press provides comprehensive information about the urban and socio-cultural situation in Batumi. Studying the data retrieved from the information included in the press reveals the gradual development and transformation of the city. Since 1878, when the newspaper “Droeba” published a correspondence of its editor - Sergei Meskhi, describing the occupation of Batumi by the Russian army, its rough streets, Asian-style houses, swamps, and Georgians in panic due to the new reality created in the 1900s, Batumi had already been a completely different, European-style city with its infrastructure, urban structure, population diversity and *relationship between social classes*;
- The materials in the press of that time reveal the multi-ethnic and *multi*-religious structure of the population, the free involvement of the rather diverse population of Batumi in social structures;
- The political process at that time in Batumi (which was one of the industrial multinational and *multi*-religious cities in the Russian Empire, the newly annexed border region, seaport and customs centre), shifted the focus to the revival of cultural life, protection of ethnic and cultural values, which at that time was the most consistent dimension of national identity;
- Other dimensions of ethnic identity included protection and maintenance of the Georgian language, the issue of Christian churches, the establishment of Georgian educational institutions and media agencies, as well as of Georgian cultural hubs - theatres and music institutions;
- The intensified process of struggle for the restoration of ethnic identity seldom but still led to conflicts on national grounds (conflicts between Georgian and Armenian workers in the Rothschild and Mantashev factories, etc.), however, the developments were more due to social problems than ethnic ones;
- The press materials reveal loyalty of Georgians displayed to other ethnic groups, high level of engagement of specialists of Greek, Armenian, Russian, and other nationalities in the urban and socio-cultural development of the city;
- The projection of public opinion was mainly on Georgian national-cultural values: the audiences attending theatrical performances and other cultural events were mostly workers representing multinational staff in different factories and enterprises, who were fond of Georgian dances, songs, performances and preferred them to foreign dances and songs, which were considered as attempts to imitate and phenomena strange and artificial to the city of Batumi;
- The materials studied reveal the social and economic problems faced by Batumi residents, the aspirations of large and small enterprises to attract foreign investments and expand production (connections with large cities of the empire, industrial and financial circles and enterprises of France and England), new aspects of trade, economic and cultural life of Batumi, the process of “Georgianization” of the city. Batumi has been a modern European city even since the 1900s, committed to and capable of maintaining the aspects and traits of Georgian identity, in a manner that would not contradict to the requirements of modern global processes, multi-ethnicity of the city and *multi*-religious structure of the population.

## ივანე მესხი ბათუმში

**აბსტრაქტი:** ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლის ივანე მესხის ბათუმში მოღვაწეობა დაემთხვა ქალაქის კაპიტალისტური აღმავლობის ხანასა და შემდგომ უმძიმეს რევოლუციურ პერიოდს. ივანე მესხმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი ბათუმს მიუძღვნა. მისი პოზიტიური კვალი ყველგან ჩანს, არის ეს სამეურნეო, ჯანდაცვის, განათლების და ხელოვნების სფეროები. ივანე მესხის ღვაწლის ნათელი ილუსტრაციაა იმდროინდელი ბათუმის საზოგადოების მიერ მისთვის 1913 წელს ქალაქში მოღვაწეობის 25 წლისთავის იუბილეს აღნიშვნა ბათუმისათვის ქალაქის სტატუსის 25 წლისთავის გადახდის პარალელურად. აღნიშნული საკითხის განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი.

**საკვანძო სიტყვები:** ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა, გრიგოლ ვოლსკი, ქართული პარტია, ეროვნულ დემოკრატები, ბათუმის ქალაქისთავი, ივანე ანდრონიკაშვილი, ივანე მესხი.

**Key words:** Batumi City Self-Government, Grigol Volski, Georgian Party, National Democrats, Batumi Mayor, Ivane Andronikashvili, Ivane Meskhi.

\*\*\*

ცარიზმის 40 წლიანი მმართველობის პერიოდში (1878-1917) ბათუმში მოღვაწე ქართული ეროვნული მოღვაწეებიდან აუცილებლად უნდა გამოიყოს ივანე მესხი, პიროვნება, რომელმაც ბათუმში თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის 30 წლის განმავლობაში წარუშლელი კვალი დატოვა აღმშენებლობითი საქმიანობით.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ამოქმედებიდან ცარიზმის მთელი რუსიფიკატორული მმართველობის პერიოდში, ივანე მესხი ლუკა ასათიანთან, გრიგოლ ვოლსკისთან და ივანე ანდრონიკაშვილთან ერთად, სათავეში ედგა ბათუმის სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ-საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროების განვითარებას. იგი იყო “საქმეების მცოდნე ცოცხალი, მოქმედი სული და გული ბათუმის საქალაქო თვითმმართველობისა” [კლდიაშვილი, 1984: 39].

ივანე მესხი იყო ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში მუნიციპალიტეტის შეუცვლელი მდივანი 1888-1917 წლებში. ცარიზმის მმართველობის ეპოქაში, განაპირა რეგიონები განიცდიდნენ ორმხრივ ჩაგვრას – ესენი იყო: ეროვნული და სოციალური. ასეთ უმძიმეს სიტუაციაში მცირე საშუალება იმისა, რომ განაპირა რეგიონები განვითარებულიყო სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროების მიმართულებით, იყო საქალაქო თვითმმართველობა.

საქალაქო თვითმმართველობის უმთავრეს ფუნქციებს შეადგენდა კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობა, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, სკოლების, ბიბლიოთეკების, საავადმყოფოებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების გახსნა [სდსინ, 2008: 233].

1888 წელს ცარიზმმა ბათუმს მიანიჭა თვითმმართველი ქალაქის სტატუსი.

ქართულ ეროვნულ ძალებს ამ დროიდან ბათუმში სათავეში ჩაუდგნენ ივანე მესხი და გრიგოლ ვოლსკი.

მზარდ და პერსპექტიულ ქალაქში, უმძიმეს სიტუაციაში აღმოჩნდა ქართული მოსახლეობის ყველა სოციალური ფენა. ეს იყო ბურჟუა, ვაჭარი, ინტელიგენტი თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან მოზღვავებული გლეხობა. სწორედ ქართველების ინტერესების ერთ-ერთ დამცველად მოევლინა ბათუმს ივანე მესხი.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას ღებულობდა 525 კაცი (14 ათასი მცხოვრებიდან). გამოიყო ამომრჩეველთა 3 თანრიგი **[სდსინ, 2008: 234-235]**.

ივანე მესხი ჩაერთო საარჩევნო კაპანიაში. არჩეული იქნა 36 კაციანი ბათუმის საათაბირო და გამგეობა 3 კაცის შემადგენლობით. ივანე მესხი არჩეული იქნა ბათუმის თვითმმართველობის მდივნად. მას მიანდეს კულტურისა და განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა.

მან ბათუმის პირველი მოწვევის საქალაქო თვითმმართველობაში თავი გამოიჩინა, როგორც მუყაითმა და ენერგიულმა მუნიციპალურმა მოღვაწემ. იგი ხშირად უპირისპირდებოდა თვითმმართველობაში მოკალათებულ რუსიფიკატორულ ძალებს, რომელსაც სათავეში ედგა ქალაქისთავი გავრონსკი **[კომახიძე, 1993: 92]**.

ივანე მესხის ინიციატივით, ბათუმის ინტელიგენციამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ეგიდით არსებული ერთადერთი სკოლისათვის დაგეგმა 14 იანვრის ნინოობის დღესასწაულზე საღამოების გამართვა და შემოსული თანხით მისი დაფინანსება. ნინოობის საღამოები ყოველწლიურად ტარდებოდა და შემოსული თანხა „მაცოცხლებელი წყარო შეიქმნა ქართული სკოლისათვის“ **[კლდიაშვილი, 1984: 54]**.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მეორე მოწვევის არჩევნები მიმდინარეობდა დაძაბულ სიტუაციაში 1894 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. აღნიშნული არჩევნები იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, რომ მასში უშუალოდ იყო ჩართული ილია ჭავჭავაძე.

ბათუმის მეორე მოწვევის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში გამოიკვეთა 3 პარტია. ესენი იყო: ქართველების – ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის ხელმძღვანელობით, რუსების – ქალაქისთავის აღმასრულებელ კაიანდრას და სომხების – გენერალ ბებუთოვის თაოსნობით.

ივანე მესხი, გრიგოლ ვოლსკისთან ერთად, სათავეში ჩაუდგა ქართულ პარტიას, მოხერხებულად გააერთიანეს ქართველობა და დაიწყეს ალიანსის ჩამოსაყალიბებლად მუშაობა ბერძენი ეროვნების ამომრჩეველებთან. იმ დროს ბათუმში ბერძენი ეროვნების ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი იყო იანკო ბენლისი. მელიტონ ლორთქიფანიძის ბინაში საიდუმლო ვითარებაში ჩატარდა კონფიდენციალური შეხვედრა. ერთი მხრივ, ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის შემადგენლობით, ხოლო მეორე მხრივ, იანკო ბენლისის შორის. საიდუმლო მოლაპარაკება კარგად დაიწყო და რამდენიმე ღამეული შეხვედრის შემდეგ, წარმატებით დამთავრდა. ბერძენი ამომრჩეველები ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის ტაქტიკური ქმედებების შედეგად, შეუერთდნენ ქართველებს **[კლდიაშვილი, 1984: 55-56]**.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის მეორე მოწვევის არჩევნები ჩატარდა 1894 წლის 12 ოქტომბერს. ქართველების პარტიამ ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლს-

კის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მათ სათათბიროში ხმების 55 % დააგროვეს და 19 ხმოსანი გაიყვანეს *[სტინ, 2008: 237]*.

ბათუმის სათათბიროში ხმების უმრავლესობის მიღების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა აღმასრულებელი ორგანოს – გამგეობისა და ქალაქისთავის არჩევა.

გამგეობისა და ქალაქისთავის კანდიდატურების მომეზნასა და მათ გაყვანას აღნიშნულ პოსტებზე ხელმძღვანელობდნენ ივანე მესხი და გრიგოლ ვოლსკი.

ქართველთა პარტიის აზრი ქალაქისთავის კანდიდატურის შერჩევისას ორად გაიყო. ერთი ჯგუფი ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის ხელმძღვანელობით, ილია ჭავჭავაძესთან კონსულტაციების შემდეგ, გადაიხარა ქუთაისის ყოფილი ქალაქისთავის ლუკა ასათიანის კანდიდატურისაკენ, ხოლო მეორე ნაწილის აზრით, ქალაქისთავი თუ ეროვნებით რუსი იქნებოდა, ამით ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური, სამეურნეო და თვითმმართველობის კომპეტენციას დაქვემდებარებული სფეროები უფრო განვითარდებოდა.

ქართული პარტიის გადაწყვეტი თათბირი გაიმართა მელიტონ ლორთქიფანიძის ოჯახი, სადაც თავი მოიყარა 21 კაცმა. ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის მეცადინეობით დავით კლდიაშვილი გაგზავნეს ქუთაისში ლუკა ასათიანთან მოსალაპარაკებლად. დავით კლდიაშვილმა ლუკა ასათიანი დაითანხმა და მისი კანდიდატურა იქნა წამოყენებული ბათუმის ქალაქისთავის პოსტზე.

ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში, მრავალრიცხოვანი ხალხის თანდასწრებით, ჩატარდა კენჭისყრა. ქალაქისთავად აირჩიეს ლუკა ასათიანი, მდივნად ივანე მესხი, ხოლო გამგეობის წევრად გრიგოლ ვოლსკი. ეს იყო ქართველთა პარტიის უპრეცედენტო გამარჯვება ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში, რაც იმ დროისათვის რუსეთის იმპერიაში თითქმის არსად არ მომხდარა. ივანე მესხისა და გრიგოლ ვოლსკის სწორად დაგეგმილმა წინასაარჩევნო კამპანიამ შედეგი გამოიღო. არჩევნებში გამარჯვებული ქართველობა ზეიმობდა, ხოლო დამარცხებული რუს-სომეხთა ალიანსი გაბრაზებული იმუქრებოდა, მომდევნო არჩევნებში სამაგიეროს გადახდას *[კლდიაშვილი 1984: 56-57]*.

ივანე მესხი ქალაქის მდივნის თანამდებობაზე აგრძელებდა, თავის ეროვნული საქმიანობის მეორე მოწვევის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში (1894-1898 წწ).

ივანე მესხი, მეორე მოწვევის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში მდივნად მოღვაწეობის პერიოდში, უპირისპირდებოდა ცარიზმის ისეთ აპოლოგეტებს, როგორებიც იყვნენ: “ჩერნომორსკი ვესტნიკის” რედაქტორი პალმი, როტშილდის ქარხნის ინჟინერი, სათათბიროს ხმოსანი, პოლონელი ზრდილოვსკი, ბათუმის სათათბიროს ხმოსანი, ნოტარიუსი გრინევსკი და ხმოსანი ბოგოსლოვსკი.

ივანე მესხი აქტიურად იყო ჩართული ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების გახსნაში *[კლდიაშვილი 1984: 56-64]*.

ივანე მესხისა და სხვა პატრიოტი მუნიციპალური მოღვაწეების აქტიური საქმიანობით, მეორე მოწვევის თვითმმართველობამ გააუმჯობესა მეურნეობის, ჯანდაცვის და განათლების სფეროების მდგომარეობა ბათუმში.

ივანე მესხი ჩაერთო მესამე მოწვევის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიაში, რომელიც ჩატარდა 1898 წლის ოქტომბერში. ქართველთა პარტიამ სამი აღიარებული ლიდერის – ივანე მესხის, ლუკა ასათიანისა და გრიგოლ ვოლსკის ოპტიმალური ქმედებების შედეგად კვლავ გაიმარჯვა და უმრავლესობა

მოიპოვა ბათუმის საქალაქო სათათბიროში. არჩევნების მეორე ეტაპზე ქართველებმა კვლავ დაამარცხეს რუსულ-სომხური ალიანსი და გამგეობაში გაიყვანეს ლუკა ასათიანი (ქალაქისთავი), გრიგოლ ვოლსკი და ივანე მესხი, რომელიც კვლავ მუნიციპალიტეტის მდივნად იქნა არჩეული *[ბენდიანიშვილი, 1982: 240-241]*.

ივანე მესხი ერთგულად ედგა გვერდში ქალაქისთავ ლუკა ასათიანს და კარგად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ივანე მესხი, ლუკა ასათიანი, გრიგოლ ვოლსკი და სოციალ-დემოკრატი კარლო ჩხეიძე ამოიღო ნიშანში „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ რედაქტორმა, შავრაზმელმა პალმმა. იგი აგრძელებდა ინსინუაციებს საქალაქო თვითმმართველობის ნეგატიური მხარეების შესახებ, რის გამოც სათათბიროში მოღვაწე ეროვნულ-დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატი მოღვაწეები გაერთიანდნენ და საქალაქო სათათბიროს სხდომაზე დასვეს საკითხი პალმის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული ცრუ და დემაგოგიური დემარშების შესახებ. საკითხის განხილვის ბოლოს კენჭისყრაზე გავიდა პალმის საქმე. ხმათა უმრავლესობით – 25 ხმოსანი 10 წინააღმდეგ – პალმს გამოეცხადა საყვედური უმართებულო და დემაგოგიური ქმედებების გამო. ამ დარტყმამ პალმი გამოიყვანა მწყობრიდან და ამის შემდეგ იგი აღარ ესწრებოდა საქალაქო სათათბიროს სხდომებს, თუმცა უწინდებურად აქვეყნებდა თავის გაზეთში ივანე მესხისა და სხვა ქართველი მოღვაწეების წინააღმდეგ პუბლიკაციებს *[კლდიაშვილი, 1984: 76-77]*.

ივანე მესხის ბათუმის საქალაქო თვითმმართველობაში მოღვაწეობიდან კარგად ჩანს მისი რამდენიმე შესაშური თვისება, რომელიც იპყრობს ისტორიკოსების ყურადღებას. ეს თვისებებია, კომპრომისული დამოკიდებულება განსხვავებული იდეოლოგიური აზროვნების მოღვაწეებთან ქართული საქმის სასიკეთოდ გადაჭრის დროს და უაღრესად თავმდაბლური მოქმედება, როცა საქმე ეხებოდა მაღალი თანამდებობის დაკავებას. მათ მიაჩნდათ, რომ უპირველესი იდეალი იყო სამშობლო და არა კარიერიზმი. იგი ყოველთვის გამონახავდა საერთო ენას ქართული საქმის ოპტიმალურად გადაწყვეტისთვის სხვადასხვა ეროვნებისა და იდეოლოგიის წარმომადგენლებთან.

ივანე მესხის მოქნილი და ტაქტიანი მანევრი კარგად გამოჩნდა ბათუმის ქალაქისთავის ვადამდელ არჩევნებზე, რომელიც ჩატარდა 1902 წლის იანვარში.

1901 წლის 9 ნოემბერს გარდაიცვალა ბათუმის ქალაქისთავი ლუკა ასათიანი. მისი გარდაცვალება იყო მოულოდნელი დანაკარგი ეროვნულ-დემოკრატიული ძალებისათვის ბათუმში. ივანე მესხი დაუკავშირდა ილია ჭავჭავაძეს და მასთან გამართა კონსულტაციები ქალაქისთავის კანდიდატურების თაობაზე. შეთანხმდნენ ივანე ანდრონიკაშვილზე.

ივანე ანდრონიკაშვილის ქალაქისთავად გაყვანისათვის ჩამოყალიბდა ქართველების ჯგუფი ივანე მესხის მეთაურობით. მან გამოუნახა ივანე ანდრონიკაშვილის ცენზის მიმცემი, რომლის იურიდიული დოკუმენტი დროზე იქნა ჩამოტანილი ბათუმში და იგი დამტკიცდა ბათუმის ქალაქისთავად *[კომხობე, 1993: 92]*.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ივანე მესხმა წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართო სოციალ-დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი კარლო ჩხეიძე, რაც მეტყველებს მის ნიჭიერებასა და დიპლომატიურ ტაქტზე ზოგადქართული პრობლემების გადაჭრის დროს. ივანე მესხი ტრადიციულად აქტიურად იყო ჩართული ბათუმის მეოთხე მოწვევის საქალაქო თვითმმართველობის არჩევნებში, რომელიც ჩატარდა 1902 წლის

ოქტომბერში. ქართველებმა ამ არჩევნებში გაიმარჯვეს და შეინარჩუნეს წამყვანი პოზიცია ბათუმის სათათბიროში.

რუსეთის იმპერიაში 1905 წლის იანვარში დაწყებული რევოლუციური პროცესი ბათუმშიც გავრცელდა. დაიწყო მუშათა გაფიცვები. ისინი ჯერ ეკონომიკურ მოთხოვნებს აქვეყნებდნენ, ხოლო ცოტა მოგვიანებით, პოლიტიკურზე გადავიდნენ. ქალაქში გახშირდა დანაშაული და ბანდიტიზმი. ქუჩები ჩაკვდა და, ფაქტობრივად, პარალიზებული იქნა *[გოგოლიშვილი, 2008: 39-40]*.

ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის ქართული პარტია, რომელშიც შედიოდა ივანე მესხი, ეხმიანება რუსეთში დაწყებულ რევოლუციას და აცხადებს, რომ “მშრომელი ხალხის უმრავლესობა მიიღტვის უკეთესი მომავლისაკენ, რომლის შეფერხება შეუძლებელია. მას სწყურია თავისუფლება სიტყვის, სინდისის, სარწმუნოების, კრებების, პრესის და პიროვნების ხელშეუხებლობა. სიტუაცია ვერ დაწყნარდება, ვიდრე არ მიიღწევა ჩამოთვლილი ფასეულობები” *[„ივერია“, №21, 1905]*.

ივანე მესხი ამ პლატფორმით გვევლინება ლიბერალ ეროვნულ-დემოკრატად, რომელსაც იმედი აქვს რევოლუციის გამარჯვების და დემოკრატიული ფასეულობების დამყარების რუსეთის იმპერიაში.

ბათუმის ოლქის უფროსი ივანე მესხის შესახებ 1905 წელს წერდა, რომ „იგი არის ფედერალისტი სოციალისტ-რევოლუციონერების მნიშვნელოვანი ელფერი. ივანე მესხი ყოველთვის გამგებობის ზურგს უკან მოქმედებს და ასრულებს უკიდურესი მემარცხენეების პროგრამას” *[ბენდიანიშვილი, 1982: 251]*.

ცარიზმის აგენტების ცნობით, ქალაქის თვითმმართველობის მდივანი ივანე მესხი მიეკუთვნება სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას და ივანე ანდრონიკაშვილთან და გრიგოლ ვოლსკისთან ერთად, არის ამ პარტიის ლიდერი ქალაქ ბათუმში *[მახარაძე, 1931: 377]*.

ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება, ივანე მესხის ეროვნულ-პატრიოტულ მოღვაწეობას აძლევდა მემარცხენე მიმართულების პოლიტიკოსის კვალიფიკაციას, რაც აშკარად გადამეტებული მოსაზრებაა. მართალია, მას ურთიერთობა ჰქონდა მემარცხენე მიმართულების პოლიტიკურ ძალებთან, როგორც იყო სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები, მაგრამ ეს ურთიერთობა ატარებდა საქმიან ხასიათს რაღაც მომენტამდე. ივანე მესხი ბოლომდე იმყოფებოდა მემარჯვენე მიმართულების ეროვნული-დემოკრატიული მოძრაობის ბანაკში, რომელიც ილია ჭავჭავაძის იდეების მატარებელი იყო.

ივანე მესხი, როგორც ბათუმის თვითმმართველობის მდივანი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბათუმის მიმდებარე ტერიტორიებზე ჭაობების ამოშრობაში, სანიაღვრე და კანალიზაციის არხების გაყვანაში, ქუჩების ხრეშითა და გრუნტით მოპირკეთებაში, ელექტროსადგურის მშენებლობაში, ნავსადგურისა და ქუჩების ელექტროგანათებაში, ქალაქის საბჭოს 120 კაციანი საავადმყოფოს და ქართული სკოლის შენობების აგებაში, ვაჟთა და ქალთა დაწყებითი სკოლების მშენებლობაში, ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების, დახურული ბაზრის და საჯარო ბიბლიოთეკის აგებაში და მრავალი სხვა *[სახოკია, 1993: 66-68]*.

ივანე მესხმა ბათუმს მიუძღვნა მეცნიერული ხასიათის ნაშრომი “ქალაქ ბათუმის მეურნეობის განვითარება”, რომელიც 1906 წელს დაიბეჭდა.

ივანე მესხმა ბათუმში დაარსა თეატრალური საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედაც აირჩიეს *[კომახიძე, 1993: 94]*.

ივანე მესხი, ცარიზმის მმართველობის პერიოდში, ბათუმში მოღვაწე ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე მოღვაწეებზე – ლუკა ასათიანზე, ივანე ანდრონიკაშვილსა და გრიგოლ ვოლსკიზე გაცილებით დიდხანს ეწეოდა საქმიანობას. რომ არა იგი, ალბათ ბევრი მამულიშვილური ღონისძიება ვერ განხორციელდებოდა ბათუმში.

ბათუმელებმა დააფასეს ამაგდარი ქართველი მოღვაწე და 1913 წლის შემოდგომაზე, როდესაც გადაიხადეს ბათუმისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭების 25 წლისთავი, პარალელურად აღნიშნეს ივანე მესხის ქალაქის მდივნად მოღვაწეობის 25 წლისთავი. ივანე მესხის საზოგადოებრივი საქმიანობის შესახებ, საიუბილეო საღამოზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქისთავი ივანე ანდრონიკაშვილი *[კომახიძე, 1993: 95]*.

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ სასიქადულო ქართველი მამულიშვილისა და მუნიციპალური მოღვაწის ივანე მესხის ბათუმში მოღვაწეობის პერიპეტიები.

ივანე მესხის ბათუმში მოღვაწეობა აღინიშნებოდა მრავალმხრივი მიმართულებებით. მისი ბათუმში მოღვაწეობა დაემთხვა ქალაქის კაპიტალისტური აღმავლობის ხანასა და შემდგომ უძიმეს რევოლუციურ პერიოდს, როცა გასაქანი მიეცა სისხლიან დაპირისპირებას და რევოლუციურ კატაკლიზმებს.

ივანე მესხის საზოგადოებრივი კრედო მკაფიოდ გამოხატული რევოლუციური ხასიათისა იყო, თუმცა რევოლუციის მიმდინარეობისას ცდილობდა დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისათვის ებრძოლა. ივანე მესხმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი ბათუმს მიუძღვნა. მისი პოზიტიური კვალი ყველგან ჩანს, არის ეს სამეურნეო, ჯანდაცვის, განათლების თუ ხელოვნების სფეროები.

მომავალი თაობის ვალია წინაპრების სასიქადულო საქმიანობის აღწერა და ახალგაზრდებისათვის მათი სულიერი, ზნეობრივი და პატრიოტული პარადიგმების ჩვენება.

#### **გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:**

**ბენდიანიშვილი, 1982:** – ბენდიანიშვილი ალ., „საქალაქო თვითმმართველობა და ბრძოლა მისი დემოკრატიზაციისათვის საქართველოში“, თბილისი, 1982.

**გოგოლიშვილი, 2008:** – გოგოლიშვილი ო., „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში“, ბათუმი, 2008.

**„ივერია“, №21, 1905:** – გაზეთი „ივერია“, №21, 1905.

**კომახიძე, 1993:** – კომახიძე თ., „ბათუმის ამაგდარნი“, ბათუმი, 1993.

**კლდიაშვილი, 1984:** – კლდიაშვილი დ., „ჩემი ცხოვრების გზაზე“, ბათუმი, 1984.

**მახარაძე, 1931:** – მახარაძე ფ., „1905 წელი ამიერკავკასიაში“, თბილისი, 1931.

**სდსინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, ბათუმი, 2008.



**Guram Khajishvili (Batumi, Georgia)**

**Ivane Meskhi in Batumi**

Abstract

Prominent Georgian patriot, public and municipal figure Ivane Meskhi, worked in the self-government of Batumi for a long time. As a result of his diligent and dynamic activities, he has gained a very positive reputation. His field of activity included the socio-economic, cultural, healthcare and education directions of the city of Batumi. The area of his activity in the city of Batumi was so large that in 1913, the society of that time, in parallel with the celebration of the 25th anniversary of granting the status of a city to Batumi, celebrated the 25th anniversary of Ivane Meskhi's activity in Batumi.

## ეპიდემიები და მასთან ბრძოლა XX საუკუნის 20-30 იანი წლების აჭარაში

**აბსტრაქტი:** თემა ეხება გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელებულ ინფექციურ დაავადებებს, რომელთაგან ზოგი ეპიდემიად იქცა. ინფექციური დაავადებები თითქმის ადამიანთა მოდემის თანატოლია. გასულსაუკუნეებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს წალკევით ემუქრებოდა ყვავილი, ტიფი, შავი ჭირი, მალარია და სხვა დაავადებები. XIX საუკუნის დასაწყისიდან საუკუნის ორმოცდაათიანი წლებამდე, შავი ჭირმა საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი შეიწირა.

დღეს კოვიდ ინფექცია უტევს მსოფლიო მოსახლეობას. ჩვენს ქვეყანაში არსებულმა უმძიმესმა ეპიდემიურმა მდგომარეობამ გადამაწყვეტინა საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულ დოკუმენტებზე დაყრდნობით გადმომეცა XX საუკუნის 20-30-იანი წლებში ბათუმსა და მთლიან აჭარაში არსებული მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, მისგან გამოწვეული გართულებები, მის წინააღმდეგ დასახული და განხორციელებული ღონისძიებები. შეუძლებელია, ამ მცირე მასალით იმ დიდი ისტორიის გადმოცემა, მაგრამ ერთი რამ ცხადი გახდა, წლების გამოცდილებამ ადამიანებს ასწავლა ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლა.

**საკვანძო სიტყვები:** აჭარა, ეპიდემიური დაავადებები, ტროპიკული სადგური, მალარია, მკურნალობა.

**Key words:** Adjara, Epidemic diseases, Epidemic Stations, Malaria, Treatment.

\*\*\*

გასაბჭოების დღიდან საქართველოში აქტიური მუშაობა დაიწყო ყველა ეპიდემიური და ინფექციური დაავადების წინააღმდეგ. ქვეყანაში გავრცელებული სხვა ინფექციური დაავადებთან ერთად მალარია ერთ-ერთ ყველაზე საშიშ დაავადებად იქცა.

ოციანი წლებისთვის მალარიის აგებულება საკმაოდ გამოკვლეული იყო, მაგრამ სასურველი სწრაფი შედეგები მის მკურნალობაში მაინც არ შეიმჩნეოდა, რადგან მალარიის ტოქსინის ბუნება ჯერ კიდევ ამოუცნობი იყო. სწორედ მალარიული ინტოქსიკაცია იწვევდა, როგორც ცალკეული ადამიანის დასნეულებას, ასევე მთელი ერის ფიზიკურ დაავადებასა და ფსიქიკურ აშლილობას. არ შეიძლებოდა მალარიოლოგიის მომავალი წარმატება, მხოლოდ მალარიის პათოლოგიის და კლინიკურ მკურნალობაზე დამყარებულიყო. როგორც ტროპიკული მედიცინის ერთ-ერთი ფუძემდებელი სპირიდონ ვირსალაძე აღნიშნავდა, მალარიის საწინააღმდეგო ბრძოლა ორი სხვადასხვა მიმართულებით უნდა წარმართულიყო: ერთის მიზანი უნდა ყოფილიყო მალარიის ადამიანის პარაზიტებისაგან განკურნება და მეორის, ყოველიჯანმრთელი ადამიანის დაცვა დაავადებისაგან.

მოსახლეობის მკურნალობა ძირითადად ქინაქინით მიმდინარეობდა. წამალზე ჩვენი მოსახლეობის წლიური დამაკმაყოფილებელი დოზა 30.000 კილო ქინაქინა იყო, ღირებულება – 1.500.000 მანეთი. მსოფლიო ბაზარზე წლიურად გამოჰქონდათ 500-600 ათასი კილო ქინაქინა, ცხადია, ეს არ იყო მსოფლიოს მოსახლეობისთვის

აუცილებელი რაოდენობა, ამიტომ საჭირო იყო პარალელურად მეორე მეთოდის, მალარიის გამომწვევ კოდოს – ანოფელისის განადგურების დაჩქარებული წესის გამოყენება. დაავადებული მოსახლეობის 10 და ზოგიერთ წელს 15 % სიკვდილით მთავრდებოდა. საქართველოს მოსახლეობა დიდი დილემის წინაშე იდგა, ან უნდა გაჯანსაღებულიყო ხალხი მალარიისგან, ან მოხდებოდა ხალხის საბოლოოდ დას-ნეულება, გადაგვარება და გადაშენება.

პირველი მიმართულების გადასაწყვეტად დაირაზმა სრულიად საქართველოს ეპიდემიოლოგთა და სანიტარულ ექიმთა დიდი ძალა. 1923 წელს საქართველოს ექიმთა პირველმა კონგრესმა მალარია და მალარიასთან ბრძოლა საპროგრამო საკითხად დააყენა [სუიჯა, გ. 599, ან. 1, ს. 29].

ყრილობამ მიზნად დაისახა ანტიმალარიული ორგანიზაციების მუშაობის პირობების გაუმჯობესება და დაწყებული მუშაობის გაფართოვება. ჯანდაცვის სახ-კომმა უახლოეს ამოცანად დაისახა ყველა სამალარიო სადგურის სახელმწიფო ბიუ-ჯეტზე გადაყვანა და მათთვის ერთიანი სამალარიო მოქმედების, მეთოდოლოგიის შემუშავების აუცილებლობა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მათი ნამუშევრების, კვლევების შედარება და ამით, არა მხოლოდ თვითოეული დაავადებულის მკურ-ნალობა, არამედ შემდგომში ამ დარგის წარმატებული განვითარება.

მოსახლეობის მკურნალობა ძირითადად ქინაქინით წარმოებდა. მის მისაღებად კლინიკებში იყენებდნენ სხვადასხვა მეთოდს. ოცდაათიანი წლებიდან ჩვენს მედი-ცინაში ინერგებოდა ქინაქინის ვენაში შეყვანის მეთოდიც, რასაც უფრო დამძიმე-ბული ავადმყოფებისათვის იყენებდნენ, მათთვის, ვის სისხლშიც პარაზიტების დი-დი რაოდენობა აღმოჩნდებოდა. მიუხედავად ამ მეთოდის უპირატესობისა, იმ დროს მისი მასიურად დანერგვა, არ ხერხდებოდა.

1927-1928 წლებშიც მალარიის მკურნალობის დროს ქინაქინა მაინც შეუცვლელი წამალი იყო. თუმცა წამლის სიძვირემ და მსოფლიოს მოსახლეობის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობამ, აუცილებელი გახადა ახალი პრეპარატის შემუშავება. ევროპელი ექიმებისა და ქიმიკოსების კვლევა-ძიებით მიღებული იყო ახალი ქი-მიურ-სინთეტური საშუალება პლაზმოქინი. უგემო ტაბლეტები, რომელსაც ბავშ-ვებიც კი სიამოვნებით იღებდნენ. დასაწყისში ქართული მედიცინისათვის პლაზ-მოქინის შექმნა გამწვანდა. ამიტომ ის საცდელად გამოიყენეს ავადმყოფთა მცირე რაოდენობაზე და დაადგინეს, რომ პლაზმოქინი მეტად საჭირო პრეპარატი იყო. მძიმე შემთხვევების დროს ქინაქინისა და პლაზმოქინის ერთად გამოყენება საკმაოდ კარგ შედეგს იღებდა. ავადმყოფთა მკურნალობა ტროპიკულ სადგურებში მიმ-დინარეობდა.

ზევით ავღნიშნეთ, რომ მალარიაზე მკურნალობა 20-იანწლებზე გაცილებით ადრე დაიწყო. საუკუნის დასაწყისში ტროპიკული სადგურები უკვე არსებობდა ბათუმსა და თბილისში. ბათუმის მალარიის სადგური, ადრე ცენტრალური ტრო-პიკული სადგური, 1913 წელს ბათუმელი ექიმების მიერ იქნა დაარსებული. 1930 წლისთვის იგი ითვლებოდა პირველ მალარიის სადგურად მთელი საბჭოთა კავ-შირის მასშტაბით. თანხების სიმცირის გამო, პირველად სადგური ყოფილი მარქსის, მანადე კი შეპელოვკის 13 ნომერში ერთ, ხოლო შემდეგ ორ პატარა ხის ოთახში იყო განთავსებული. დაარსებისას სადგურში შტატები არ იყო გამოყოფილი, საჭიროების მიხედვით რამდენიმე ექიმი, სამეცნიერო საზოგადოების წევრები, მორიგეობდნენ. დასაწყისში სამალარიო სადგურს პიროგოვის სამალარიო კომისიისგან – პროფესორ

მარცნოცკის მიერ ნაჩუქარი ერთი მიკროსკოპი და სხვა სამედიცინო პრიმიტიული იარაღები ჰქონდა. სადგური აწარმოებდა მალარიით დაავადებული ადამიანების პროფილაქტიკურ მკურნალობას. კვლევითი სამუშაოების ჩატარება თითქმის შეუძლებელი იყო. პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდეგ პერიოდშიც, აჭარის გასაბჭოებამდე, არსებული მდგომარეობა არანაირად არ შეცვლილა. გასაბჭოების შემდეგ, სადგური გადავიდა აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში, გამყარდა შტატები, რომელიც შედგებოდა ერთი ექიმით, ერთი ფერმალთა და ერთი სანიტარით. ამ ეტაპისთვის მოხერხდა სადგურის გაფართოვება ოთხი პატარა ოთახით. 1924 წლიდან, ხის შენობის ავარიულობის გამო, ახალ შენობაში, III ინტერნაციონალის ქუჩაზე №46-ში გადავიდა, სადაც 1930 წლამდე იყო განთავსებული.

გასაბჭოების პირველ წლებში სადგური ამბულატორიული ხასიათს ატარებდა. მისი მდგომარეობა და აღჭურვა მცირედით გაუმჯობესდა, შტატი კი 3 ადამიანით გაიზარდა.

სადგურისთვის 1925 წელი გარდამტეხი იყო, ლაბორატორია აღიჭურვა დამატებით ერთი მიკროსკოპით და ახალი სამედიცინო იარაღებით, რამაც ხელი შეუწყო კვლევითი სამუშაოების დაწყებას. კერძოდ, სადგურში დაიწყო ჭიით დაავადებული ადამიანების გამოკვლევა, გაიზარდა და გაუმჯობესდა ხინახინით მომარაგება.

სამალარიო სადგურთან შეიქმნა 2 სამალიარიო ექსპედიცია: ერთი ქობულეთის რაიონში, მეორე მთიან აჭარაში. ექსპედიციის შედეგები იბეჭდებოდა ბათუმის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების ოქმებში. იმავე წელს ექსპედიცია მოეწყო ბათუმის ჭაობის რაიონში. მიმდინარეობდა არა მხოლოდ, მოსახლეობის მკურნალობა, არამედ თითოეული განსხვავებული შემთხვევის გამოკვლევა, მოსახლეობის კვლევებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო, მოიცვა მთლიანად ბათუმისა და ქობულეთის რაიონები, ტროპოსადგურის ამბულატორია სისტემატიურად ეხმარებოდა მოსახლეობას ადგილზე. სამალარიო დისპანსერიზაციის დროს მიმდინარეობდა ყვავილის აცრები.

1926 წლიდან სადგურმა დაიწყო პროფილაქტიკური სამუშაოები ბათუმის და მის შემოგარენში, პროფილაქტიკური ჯგუფი აწარმოებდა დაავადებული ადგილების საწვავით (მაზუთით) შეწამვლას.

1927-1928 წლებში პროფილაქტიკური სამუშაოების პარალელურად გამოკვლევული იყო ბათუმის სკოლების 4800 მოსწავლე. სტაციონარში მოთავსებულ ყველა დაავადებულ პირზე ხდებოდა ჰელმინთოლოგიური (სხვადასხვა პარაზიტული ჭიების) გამოკვლევა. მალარიის აფეთქების დროს პარალელური მუშაობა მიმდინარეობდა ზემო აჭარასა და სხალთის ხეობაში, ადგილზე დაავადების კვლევისა და მკურნალობისთვის ექსპედიცია იქნა გაგზავნილი. აღრიცხვაზე იყო აყვანილი ყველა წყალსაცავი და წყლის რეზერვუარები. ფართოდ გაიშალა მუშაობა ქალაქის წყალსაცავებში, გონიოს ჭაობებთან გამბუზიის გამრავლებისთვის [სუიკა, გ. 1997, ან. 1, ს. 27]. 1926-1935 წლებში მოქმედი სამალარიო სადგურები მუშაობას აწარმოებდნენ არა მხოლოდ, მალარიისა და პარტახტიანი ტიფის წინააღმდეგ, არამედ სხვა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგაც.

1931 წლისთვის მიუხედავად ჯანდაცვის სამინისტროს უამრავი მცდელობისა, ბათუმში მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება არ შეცვლილა. იზრდებოდა ყოველწლიურად მკურნალობისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები. 1931 წლის თებერვალ-მაისის თვის საბიუჯეტო მონაცემებით ბათუმის ეპიდბარაკებში დამატე-

ბით შემოიტანეს 60 საწოლი (კოიკა), თითოეული 125 რუბლი, მთლიანად კი 7500 რუბლის ღირებულების, სპეცტანსაცმელი 42 კომპლექტი – თითო 10 რუბლი, სულ 420 რუბლის ღირებულების. 100 საწოლისთვის დამატებითი მედიკამენტები თითოეულის ღირებულება დღეში 10 კაპიკი, სულ 900 რუბლი. ხინახინისთვის 45 ადამიანზე 1000 რუბლი გამოიყო.

სადეზინფექციო საშუალებებისთვის 600 რუბლი, მთლიანად ამ დამატებითი მომსახურებისთვის 1500 რუბლი გამოიყო. მედიცინის მუშაკთა მომსახურებაზე – გადაადგილებაზე დაიხარჯა 1000 რუბლი *[სუიკა, გ. 600, ან. 2, ს. 305, ფურც. 6].*

მიუხედავად ჯანდაცვის სამინისტროს უამრავი მცდელობისა, ბათუმის ეპიდემიური მდგომარეობა კვლავ მოითხოვდა დამატებით საჭიროებებს. 1931 წელს პარტახტიანი ტიფის გავრცელების საშიშროება შეიქმნა. განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვდა ამ მხრივ ჩაკეტილი დაწესებულებები, შრომა-გასწორების ორგანიზაციები, ამიტომ მათ მომსახურებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. 1931 წლის დასაწყისში ქალაქ ბათუმის გამსახლიდან ქალაქ თბილისის გამსახლში პატიმართა გადაყვანამ გამოიწვია თბილისში პატიმართა პარტახტიანი ტიფით დაავადება, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა *[სუიკა, გ. 600, ან. 2, ს. 306, ფურც. 2].* 1931 წლის 1 მარტს საქართველოს ჯანდაცვის და ეკონომსაბჭოს განკარგულებით თბილისიდან ბათუმში სიტუაციის შესასწავლად გაიგზავნა ჯანდაცვის სახკომისარი გ. კუჭაიძე. პარტახტიანი ტიფთანბრძოლის გააქტიურების მიზნით, შეიქმნამებრძოლი ბრიგადები. 1931 წლის 2 მარტის აჭარის ჯანდაცვის მინისტრის ტელეგრამით ცნობილი ხდება, რომ რესპუბლიკის ჯანდაცვის სახკომის დავალების შესასრულებლად, ადგილზე სწრაფად იქნა მიღებული დამატებითი ზომები: საჭირო რაოდენობის თეთრეულით, საპონით და შეშით მომარაგდა შრომა-გასწორების დაწესებულებები. თეთრეული და საპონი დაურიგდათ ბათუმის საავადმყოფოებსა და ჯანმრთელობის ბარაკებშიც, სულ ამ დამატებითი მომსახურებისთვის გამოიყო 40.000 კგ. საპონი, 80.000 თეთრეული ეპიდემიურ ბარაკების და რესპუბლიკური საავადმყოფოს მომსახურე პერსონალის ორი დამატებითი შტატისთვის გამოიყო 13.545 მან. *[სუიკა, გ. 600, ან. 2, ს. 305, გვ. 6, 16].* მიუხედავად ასეთი მუშაობისა 1932 წლისთვის აჭარაში ყოველ 1000 ადამიანზე, ინფექციური დაავადებისთვის არა სეზონურ თვეში – იანვარში, 1000 ადამიანზე მოსახლეობის 9 %, მაისში, სეზონის დასაწყისში 18 %, ივნისში 15 % იყო დაავადებული, ხოლო აგვისტოში ეს ციფრი 18,8 %-მდე გაიზარდა *[სუიკა, გ. 1995, ან. 1, ს. 25, გვ. 4].*

1927-1928 წლებში ბათუმში ჩატარებულ ტექნიკურ სამუშაოებზე საინტერესო ინფორმაციას იძლევა ბათუმის ცენტრალური ტროპიკული სადგურის დირექტორი, ექიმი ვ. მჭედლიძე. როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, მალარიის საწინააღმდეგოდ ორი მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა: ერთი მხრივ ავადმყოფების მკურნალობა და მათზე დაკვირვება, მეორე მხრივ ჯანმრთელი ადამიანის დაცვისთვის პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება. 1928 წელს ტროპიკულ სადგურთან პროფილაქტიკური რაზმის შეიქმნა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი დახმარება გასწია ამიერკავკასიის რკინიგზამ და ამიერკავკასიის რკინიგზის ტროპიკული მედიცინის ცენტრალურმა სადგურმა – პროფსამუშაობის ჩატარების მიზნით 2000 ფუთი მაზუთი გადასცა ქალაქს.

მალარიის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური მუშაობის შედეგად ბათუმის ცენტრში 1928-1930 წლებისთვის კოლოების რაოდენობამ მკვეთრად იკლო. სამუ-

შაობის უკეთ წარმართვის მიზნით, ბათუმი თავისი გარეუბნებით დაიყო ნაწილებად, ქალაქი ბათუმი, ჭაობის რაიონი და ანკისა დაიყო 4 უბნად. ბათუმის მთავარი ნაწილს ამუშავებდა ტროპიკული სადგური, ხოლო დანარჩენს რკინიგზა და სამხედრო უწყება. ყოველ უბანს განაგებდა თითო სამალარიო ტექნიკური თანამშრომელი, „ჭაობის“ უბნის მაზუთით მოსაპკურებლად გამოყოფილ იქნა მოძრავი კასრი, სანიტრებით. გარდა ამისა, სამხედრო უწყებას და რკინის გზას ჰქონდა თითო მოძრავი კასრი სამალარიო ტექნიკური თანამშრომლით – მკვლევარით.

მკვლევარებს დაევალებათ თავიანთი უბნის სამალარიო ზედამხედველობა: ჭაობების, მუდმივი და დროებითი ჭენჭყობის, ეზოებში კასრებსა და ჭების სრული აღრიცხვა და მათთვის თვალყურის დევნება. მოსახლეობა ვალდებული იყო დაეცვა საკუთარი ეზოების, ჭების და წყლის შესანახი ყოველგვარი ჭურჭლის სიწმინდე, სახურავებით დაეცვა და კოდოთა ნაჩეკებიც მოესპო. კვლევამ აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალაქი წყლით საკმარისად მარაგდებოდა, თითქმის ყველა ეზოში აღმოჩნდა წყლის მარაგისათვის ჭები და კასრები. სულ 628 ეზო აღირიცხა, ჭების რაოდენობა კი 502 იყო. ბათუმში მხოლოდ კათოლიკების ეკლესიასთან იყო დაჭაობებული ადგილი, შესაბამისად, ქალაქში ანოფელისიც ძლიერ არ იყო გავრცელებული.

ანოფელისის და სხვა კოლოების მატლები არ აღმოჩნდა არდაჰანის, ყაზარმების, ანკისისა და „ჭაობის“ უბნებში. კვლევებმა აჩვენა, რომ „ჭაობის“ დიდ არხთა შორის პავლოვის არხი, გარდა ქვედა ნაწილისა (ანკისას რაიონი), თავისუფალი იყო ანოფელისის მატლებისაგან. ქვედა ნაწილში არხი მეტად ბინძური იყო, აქ მას ერთვოდა ტყავის ქარხნიდან ტყავეულობის ნარევი წყალი. სუფთა იყო ანდრევის არხი, კოდოს მატლების გავრცელებას აქ არა ჰქონდა მასობრივი ხასიათი. შედარებით სუფთა იყო ჟილინსკის მაგისტრალური არხიც, გარდა ქვედა შეგუბებული ადგილისა. წვიმიან ამინდებში არხებში წყალი იმატებდა და არხის ნაპირებიც ირეცხებოდა, ამიტომ აჭარის სინამდვილეში არხებს გადამწყვეტი ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა არა ჰქონდათ. აქ მთავარი ეპიდემიოლოგიური წყარო ხელოვნურად შექმნილ ჭაობებსა და წუმპებს ჰქონდათ.

„ძველი ჭაობის“ რაიონში მიმდინარეობდა ქუჩების მოკენჭვა და მოხრეშვა, რაც წვიმის დროს იწვევდა ეზოების დატბორვას, დაჭაობებას და ხელს უწყობდა ანოფელისის გავრცელებას.

გამოკვლეული იქნა ქალაქში ალექსანდრეს ბაღის გვერდით მდებარე ნურიეგელის ტბის სისტემა. ბადით სამოცჯერ სხვადასხვა ადგილას ამოღებულ მასაში ანოფელისის მხოლოდ სამი მატლი აღმოჩნდა, ისიც მეორე და მესამე სტადიისა, ჭურჭლები არც ერთი. მარილიანობის განმსაძღვრელმა ანალიზებმა ტბის მარილიანობა 8%-ით განსაღვრა. შესაძლებელია, სწორედეს იყო მიზეზი, რადგან მარილიან წყალში კოლოები და მატლები ვერ ძლებენ, იხოცებიან. ქალაქის ცენტრში მხოლოდ მიტოვებული ჭები და წყლის კასრები იწვევდნენ დაბინძურებას.

არდაჰანის ყაზარმის, ანკისას და „ჭაობის“ რაიონებში პატარა ეზოებში არსებული ჭები, წყლის შესანახი დაბინძურებული ჭურჭელი, ხელს უწყობდა ამ რაიონებში არსებულ ზოგიერთი შენობის ჭერსა და ჭერის კუთხეებში ანოფელისის გამრავლებას. შემოწმებისას ზოგიერთი შენობის ჭერი პირდაპირ გაშავებული იყო ანოფელისით. 1929წლის გაზაფხულის პირასჩატარებულმა კვლევამ წინა წლებთან შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა, ანოფელისი ჭაობის რაიონში რამდენიმე ადგილას,

ძირითადად ბოსლებში და თავლებში აღმოჩნდა. ანოფელისის განადგურებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა „გამბუზიის“ ჯიშის თევზის მომრავლებამ, რომელიც 1926-1927 წლებში ქ. სოხუმიდან ექიმ რუხაძისგან იქნა მიღებული. ბათუმსა და მის მოდამოებში ამ თევზის მოშენებამ დიდი დახმარება გაუწია კოლოს მატლებისა და ჭურპრების მოსპობაში *[სუიკა, გვ. 599, ან. 1, ს. 31, გვ. 152-154]*.

ბათუმისაგან განსხვავებით უფრო რთული მდგომარეობა იყო ქობულეთში. ქალაქის დასახლება აქ რკინიგზის ხაზის აღმოსავლეთიდან იწყებოდა და ორივე მხრიდან ქალაქს მოიცავდა ხშირი ბუჩქნარი და დაბალახებული ჭაობი. წყლისპირა ჭაობებს აქ „ისპანს“ ემახდნენ. №1 ისპანი წარმოადგენდა 4, 5 კმ სიგრძეზე გაწოლილ ჭაობს (მდინარეების აჩხუას და შავის შორის). შავ ზღვას ქობულეთიდან ამ ადგილს ამორებდა განთქმული ნახევრად ქვიშიანი ქობულეთის პლიაჟი. ჭაობის ჩრდილოეთით ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების შედეგად აღმოჩნდა ტორფის და თიხის მძლავრი ფენები. მეორე ჭაობი განლაგებული იყო ტორფის საბადოს აღმოსავლეთიდანმთების ფერდობებამდე.

აქედან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის ძირითადად გამოიყენებოდა დასავლეთით არსებული მიწები, რომლებიც ხანგრძლივი წვიმების შედეგად ჭაობდებოდა. წვიმიანი წყალგაუმტარი თიხა, ტორფის საბადოები, წელიწადის 171-დღიანი წვიმები, მცირე დახრილობა, ზღვის ტალღების სიახლოვე – ეს ყოველივე განაპირობებდა ტერიტორიის დაჭაობებას. ოცდაათიან წლებში წყლის მეურნეობის მართვის ორგანოებმა აქტიურად დაიწყეს ქობულეთის ჭაობების ამოშრობა. მაგრამჩატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეცვლა ვერც არსებულ სამედიკორაციო, ვერც სასოფლო-სამეურნეო, ვერც სანიტარული მდგომარეობა. უფრო მეტიც, ჭაობის ამოშრობის მიზნით ითხრებოდა პატარა არხები, სადაც წყალში ნაკლები მჟავიანობის გამო კოლო ადვილად იბუდებდა. არსებული მძიმე კლიმატური პირობების გამო, 1929 წელს აჭარაში მიმდინარე ტროპიკული დაავადებების სპეციალური კვლევებს დაემატა ქობულეთში დაარსებული საბჭოთა კავშირში პირველი, პელაგრის ექსპედიცია. იმავე წლებშიეპიდსადგურის ორგანიზებით მოეწყო ექსპედიციები ჩაქვში, ოჩხამურში, აზნავთმშენის დასახლებაში, ასევე დაარსდა სამალარიო პუნქტები ურეხსა და სალიბაურში, ბათუმსა და ქობულეთში გაიხსნა სამალარიო-ჰელმინტოლოგიური კვლევის ექსპედიცია *[სუიკა, გვ. 1997, ან. 1, ს. 27]*.

განსაკუთრებული სისწრაფით მოედო მალარია ზღვისპირა დაბლობ ზოლს, მახინჯაურის, თამარისის და ქობულეთის თემებს. 1930 წელს ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გაუარესების გამო, შრომის სახალხო კომისარიატმა მიიღო დადგენილება, განსაკუთრებით მძიმე კლიმატური პირობებში მომუშავე პირებისათვის შვებულებისნ სამუშაო დღით გაზრდის შესახებ *[სუიკა, გვ. 289, ან. 1, ს. 1016, ფურც. 2]*.

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით, 1933 წელს მთლიან აჭარაში დაავადებული იყო: ქედაში – 12690, ხულოში – 33064, ბათუმში – 90416, ქობულეთში – 23964 კაცი *[სუიკა, გვ. 1995, ან.1. ს. 64, ფურც. 29]*. ყველაზე მეტად დაავადებული სოფლები ბათუმის რაიონში იყო გონიო, ქურთების გონიო, სარფი, ყიზილ-თოფრაზი; ქობულეთის რაიონში, ქობულეთის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლები: სმეკალოვკა-გომაროვკა, ფიჭვნარი, გვარა, კონდოლი, კოხი, ნაინგლისევი, სამება, ხუცუბანი *[სუიკა, გვ. 1997, ან.1, ს. 26, ფურც.1ა]*.

მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის მიუხედავად ბათუმის ნავსადგურს მუშაობა არ შეუწყვეტია, უფრო მეტიც არც შეფერხებულა. ნავსადგური თავისი ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით მუშაობდა. ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორია მოიცავდა შმიდტის ქუჩას 13-41 ნომრის ჩათვლით, ბაქოს ქუჩას 42-70 ნომრის ჩათვლით, მორბაზის ყაზარმებს, საბაჟოს თავისი საცხოვრებლებით, ჰიდრომეტეოროლოგიული სადგურს, შუქურას ეზოს, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მიმდებარე ტერიტორიას.

პორტს ბათუკარანტინთან არსებული სანიტარული კომისია ამოწმებდა, მის შემადგენლობაში შედიოდნენ: კომისიის თავმჯდომარე, ექიმი დომოცევი, წევრები – ექიმის თანაშემწე სულაძე, ნავთსადგურის წარმომადგენელი ვ. გოგაშვილი და მილიციის წარმომადგენელი ასათიანი. კომისიის წევრები თვეების მიხედვით იცვლებოდნენ. ბათუმის პორტი შედიოდა სსრ კავშირის ნავსადგურების სანიტარულ-სადამკვირვებლო ორგანიზაციაში და მისი დაწესებული წესებით მოქმედებდა. ნავსადგურის ტერიტორია სრულიად აკმაყოფილებდა სანიტარულ ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს, მას ალაგებდნენ სპეციალურად გამოყოფილი დამლაგებლები, ტერიტორიაზე განლაგებული იყო სანაგვე ყუთები, რომელსაც პერიოდულად უტარდებოდა დეზინფექცია. ნაგავი ყოველდღე გაჰქონდათ ქალაქის ნაგავსაყრელზე. წყლით მომარაგება ქალაქის წყალსაცავიდან ხდებოდა, რომელთა მიწები გაყვანილი იყო პორტის ტერიტორიის გასწვრივ გემების ნავმისადგომთან. წყალს ყოველთვის უტარდებოდა ბიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა, რომელსაც აწარმოებდა სანიტარულ-ჰიგიენური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია. ნავსადგურის წყალსაცავი იმყოფებოდა ნავსადგურის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. პორტი სარგებლობდა ქალაქის კანალიზაციით და სისტემის სველ წერტილებს ყოველთვის უტარდებოდა დეზინფექცია.

ნავსადგურსა და გემებს სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით ემსახურებოდა სანიტარულ-სამეთვალყურეო სადგური, რომელშიც განთავსებული იყო შემდეგი შენობები: 1. ცენტრალური შენობა, რომელშიც მოთავსებული იყო კანცელარია, ექიმთა კაბინეტები, აფთიაქი. 2. სადგურის თანამშრომლებისთვის გამოყოფილი შენობა; 3. სადამკვირვებლო ბარაკი 50 ადამიანზე; 4. საიზოლაციო ბარაკი შავი ჭირის და ხოლერის განყოფილებებით; 5. აბანო იზოლირებული ნომრებით, საათში 40 ადამიანის მომსახურებისთვის; 6. სადეზინფექციო სისტემა – სან-გალი; 7. სამრეცხაო; 8. ლაბორატორია შავი ჭირის განყოფილებით; და 10. საავადმყოფო. ნავსადგურის სანიტარულ-სამეთვალყურეო სადგურში შტატით მუშაობდა 14 ადამიანი, აქედან 3 ექიმი. ნავსადგურს ასევე ემსახურებოდა მოტორიანი ნავი *[სუიცა, გვ. 289, ან. 1, ს. 504, ფურც. 45/19]*.

სწრაფი სამედიცინო მომსახურებისთვის ნავსადგურში იყო ამბულატორია, ყველა სამედიცინო დარგის სპეციალისტით. ბათუმის ნავსადგურის ყველა სამედიცინო სანიტარული დაწესებულებას ხელმძღვანელობდა ნავსადგურის მთავარი ექიმი.

ეპიდემიის აფეთქებისას მოქალაქეთა მიღება-გაცილება ყოველთვის პრობლემების წინაშე აყენებდა ბათუმის პორტის თანამშრომლებს. მაგალითისთვის: 1929 წელს, მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის დროს, ბათუმში ჩამოვიდა 3.500 მომლოცველი სპარსელი. თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ბათუმის ცენტრალური მეთვალყურე, საექიმო სადეზინფექციო სადგურის მთავარი ექიმი ვ. აბაშიძე, ექიმები: ი. სტეფანოვი, გ. დამოცევი, პროფრწმუნებული თავართქილაძე და ვ. სიო-



რიმე, მიიღებული იქნა გადაწყვეტილება: ყველა მლოცველი გატარებულიყო დეზკამერაში, შესაფერისი დეზინფექცია ჩატარებოდა როგორც ტანსაცმელს, ასევე მათ ნივთებს (ბარგს). მედიკო-სანიტარული შემოწმება მიმდინარეობდა ყველა მგზავრის მიმართ, დასნეულებული, დაავადებული პირები გამოიყოფოდნენ, მგზავრებს უტარდებოდათ აცრა ყვავილის, ტიფის, ხოლერის, დეზინტერიის. ასევე, გამოკვლევა ჭიებზე, მალარიაზე და შემდგომ მათი მკურნალობა. ანალიზებით დადგენილი ხოლერით ან ჟამით დაავადებულებს, კანონის შესაბამისად, შესაფერისი ზომები უტარდებოდათ. ყოველდღიურად აკონტროლდებდნენ მლოცველთა საცხოვრებელი ბინებს. მათი აღრიცხვა ხდებოდა ასევე გემის დატვირთვის დროს. ხსენებული სამუშაო მეტად შრომატევადი იყო და დიდ დროს მოითხოვდა.

მალარიასთან ბრძოლამ გარკვეული გამოცდილება შეიძინა, უკვე 30-იანი წლების დასწყისში ეპიდემიოლოგიურმა ბრძოლამ მიიღო სეზონური ხასიათი. ეპიდემიური პერიოდი გრძელდებოდა ივნისიდან ნოემბრამდე, არაეპიდემიური პერიოდი – ნოემბრიდან მაისის ჩათვლით. ივნისი და ნოემბერი გარდამავალ თვეებად ითვლებოდა. საქართველოს პირობებში მალარიის ეპიდემიის მსვლელობის წლიურ მრუდეს ჰქონდა თავისებური მიმდინარეობა: იგი იძლეოდა პირველ მცირე აწევას გაზაფხულზე (გაზაფხულის რეციდივები), მეორე დიდ მწვერვალს წარმოადგენდა აგვისტო-სექტემბერი. შესაბამისად ხდებოდა ტროპიკულ რეგიონების ბრძოლა ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ, რომელიც თვეების მიხედვით იყო დაგეგმილი: **დეკემბერში** ხდებოდა დაზამთრებული კოლოს წინააღმდეგ ბრძოლა, განადგურების მიზნით მათი ჯგუფების შეგროვება. მალარიით დაავადებული მოსახლეობის მკურნალობის გაგრძელება, აგიტაცია სისხლის გამოკვლევის აუცილებლობაზე. **იანვარში** – პარაზიტმატარებელი მოსახლეობის ინტესიური მკურნალობა, სკოლის მოსწავლეთა გამოკვლევა-მკურნალობა პარაზიტული ელენთისა და ენდემიურ ინდექსების გამოყვანა. წინა წლის საანგარიშო მასალის მიხედვით, განასაკუთრებით დაავადებული რაიონების და სოფლების რუქის შედგენა. **თებერვალში** – მცირე საბონიფიკაციო სამუშაოების გასატარებლად საჭირო იარაღის და ინვენტარის შემზადება, საჭირო ნავთის, მაზუთის, პარიზის მწვანის და სხვა მასალის მომარაგება, მალარიანი მოსახლეობის მკურნალობის გაგრძელება, ქინაქინის მომარაგება ყველა სამკურნალო დაწესებულებაში, წყალსაცავებში კოლოს მატლების მოძებნა; **მარტში** – წყალსაცავების გამოკვლევა, მათში თევზ გამბუზიას ჩასხმის მიზნით. ყველა საეჭვო მოსახლის სისხლის შემოწმება; **აპრილში** – წყალსაცავებში თევზ გამბუზიის ჩასმა, კვირაში ერთხელ ყველა წყალსაცავის სისტემის გამოკვლევა, მიწის გამოშრობის მიზნით ეკალიპტის ხეების დარგვა, პარალელურად, დაავადებული ადამიანების გამოკვლევა, მკურნალობა; **მაისში** – კოლოს მატლებთან ბრძოლა პეროლიზაცია პარიზის მწვანის მოფრქვევით, მცირე ჰიდროტექნიკური სამუშაოების გაგრძელება. პროფილაქტიკურ-ქინიზაციის ჯგუფების ჩამოყალიბება. **ივნისში** – წინა თვეების სამუშაოებთან ერთად გრძელდებოდა ახალი ინფექციური შემთხვევების აღრიცხვა; **ივლისში** – მალარიით უფრო მეტად დაავადებული სოფლების მოსახლეობის აღრიცხვა და მათი მკურნალობა, დაწყებული სამუშაოების გაგრძელება; **აგვისტოში** – ქინიზაციის გაფართოებული წარმოება. კოლოების შეგროვება, მათი სახეობების მიხედვით გამოკვლევა. **სექტემბერ-ოქტომბერსა და ნოემბერში** ტარდებოდა აგიტაციური მუშაობა და ზაფხულში დაავადებული ადამიანების კვლევა და მკურნალობა.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, მალარიით და სხვა ტროპიკული დაავადებებით ათასობით ადამიანი იღუპებოდა. ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ტროპიკული და ინფექციური დაავადებებით გარდაცვლილთა შესახებ არ არსებობდა. მიზეზი ერთი იყო: მალარიით დაავადებული ადამიანის გარდაცვალების მიზეზი სხვა თანმდევი დაავადება ხდებოდა, მაგალითად ფილტვების ანთება, ამიტომ სიკვდილის მიზეზად ანთება ითვლებოდა. არქივში დაცული გენოფონდის მიხედვით, ქალაქ ბათუმში ეპიდემიის ერთ-ერთი აფექტების წელს, 1930 წელს მთლიანად ქალაქში გარდაცვლილი 890 ადამიანში ტიფით გარდაცვლილი იყო 71 ადამიანი, ხოლო მალარიით – 83, დიფტერიით – 15 ადამიანი. სხვა ინფექციური დაავადებით გარდაცვალება ჩანაწერებში არ არის აღნიშნული.

საქართველოსა და მთლიან ამიერკავკასიაში ტროპიკული დაავადებების წინააღმდეგ ჩატარებული სამუშაოების შესავასებლად 1930 წელს საექიმო სამეცნიერო ექსპედიცია მოეწყო გერმანელი მეცნიერების პროფესორ მარტინ მაიერისა და დოქტორ ერნსტ ნაუკის შემადგენლობით. საინტერესო შეფასება გააკეთეს საქართველოში, კერძოდ აჭარაში მალარიის წინააღმდეგ ჩატარებულ სამუშაოებზე, „... სწეულება ამ ქვეყანაში ძლიერ არის გავრცელებული და გვხვდება სამივე სახე პლაზმოდებისა, მის წინააღმდეგ ბრძოლა სწარმოებს ყველა ახალი თანამედროვე საშუალებებით, ქინაქინის პროფილაქტიკა სწარმოებს განსაკუთრებულად მძიმედ დაავადებულ ადგილებში. კოლოების წინააღმდეგ ბრძოლისთვის უკვე დაწყებული აქვთ ეგრეთ წოდებული სპეციების ასანიზაცია, რომელმაც კარგი შედეგი აჩვენა ინდოეთში. ექიმები და მშველი პერსონალი მშვენივრად არიან დახელოვნებული კოლოს სახეების ამოცნობაში. ...სოფლის მეურნეობებში წარმატებით იქნა ჩატარებული სადრენაჟე სამუშაოები. გაჯანსაღდა მდინარეების ზღვასთან შეერთების ადგილები, გასწორდა კალაპოტი და შეიქმნა ხელოვნური ტბა პატარა პარკის შუა ადგილას და ახლა მშვენიერ დასასვენებელ ადგილად არის გადაქცეული. საინტერესოა ერთი ფაქტი, რომ ჩვენი იქ ყოფნის დროს ქალების სასწავლებლის ერთი კლასის მოსწავლეები თავის ნებით გამოსულიყვნენ თავისუფლ დღეს და წყლის ნაპირზე ბადის გაშენებაზე მუშაობდნენ. ბონიფიკატორების მეშვეობით ბათუმის ირგვლივ ცნობილი ჭაობები უკვე დიდ ნაწილში გაჯანსაღებული იყო. ყველა ამ სამუშაოს აწარმოებდნენ განსაკუთრებული „ბონიფიკატორები“, უმეტესად ნასწავლი ინჟინრები თავისი მშველი პერსონალით. მდინარეები, არხები, წყლის გუბეები და სხვა ამისთანები ყველაფერი სპეციალურ რუკებზეა აღნიშნული და სისტემატიურად მუშაობენ მათ გაჯანსაღებაზე. შრომის ზუსტი განაწილებით შესაძლებელი გახდა მუდმივი კონტროლი და შესაძლებლობა იმისდა მიხედვით, თუ რა უფრო გამოდგება. კოლოების ნაჩეკების წინააღმდეგ ხმარობენ ნავთს (მაზუთს), პარიზის მწვანეს და ბიოლოგიურ ბრძოლასაც აწარმოებენ კოლოს ნაჩეკის მჭამელი თევზების (გამბუზია) გამრავლებით. მალარიის გარდა, ნასწავლი მეცნიერები ყურადღებას ამახვილებენ ლეიშმანიოზზე. საქართველოში ძირითადად კეთილთვისებიანი ლეიშმანიოზია გავრცელებული, რომელიც ფლემოტომუსების მიერ ინფექციის გადატანის გამო, ძირითადად, კანის დაუცველ ადგილებშია გავრცელებული. მისი სეზონი, ძირითადად, მაისი და ივნისია. აჭარაში გავრცელებულია და ნაკლებადგამოკვლეულია კალა-აზარა, რომელიც ლეიშმანიოზის ერთ-ერთი სახეობაა, ის ძირითადად ბავშვებში გვხვდება. მის სამკურნალოდ გამოიყენება, ნაწილობრივ ტარტარუს სტიბიატური და ნაწილობრივ სტიბოზანსი.სამწუხაროა, რომ აქ ჯერ არ გამოყენებიათ ნეოსტი-

ბაზონი, რომელმაც ინდოეთში მშვენიერი შედეგები აჩვენა“ [სუიცა, გ. 289, ან. 1, ს. 1009, ფურც. 6, 7].

აჭარაში შექმნილი მძიმე ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო ბათუმში არსებული საავადმყოფო დაავადებული მოსახლეობის მხოლოდ 50 %-ის სტაციონარიზაციას ახერხებდა, ამიტომ, 1930 წელს, აჭარის ჯანსახკომმა მიიღო გადაწყვეტილება ბათუმში სასწრაფოდ აშენებულიყო რესპუბლიკური 300 საწოლიანი საავადმყოფო, ხოლო შესაფერისი კადრების მოსამზადებლად გახსნილიყო სამედიცინო ტექნიკუმი [სუიცა, გ. 289, ან.1, ს. 570, ფურც.198].

„წლების განმავლობაში ავადმყოფებზე ჩატარებულმა მუშაობამ დააგროვა გამოცდილება, გაიზარდა ეპიდემიოლოგთა ახალი თაობა, გაფართოვდა მკურნალობის მეთოდებიც, მაგრამ თუ ქვეყანაში არ ჩატარებებოდა მასობრივი ქინიზაცია, თუ არ იქნებოდა მინიმალური სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცული, თუ არ ჩაერთვებოდა სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ამ მუშაობაში, 1935 წლის დასაწყისი უფრო მეტი უსიამოვნებების მომტანი იქნებოდა, უფრო მეტი მოსახლეობა იქნება დაავადებული...“ – ეს სიტყვები ჯანსახკომის ერთერთი თათბირის დასკვნაში ამოვიკითხე. ისტორია მეორდება, XXI საუკუნის 20-იანი წლები უფრო მეტი სირთულის წინაშე დადგა, მსოფლიოს მოსახლეობას წალეკვით ემუქრება კოვიდ-ინფექცია.

#### გამოყენებული წყაროები:

სუიცა, გ. 289, ან. 1, ს. 504 – საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი №289, ანაწერი 1, საქმე № 504.

*ნაშრომში გამოყენებულია, აგრეთვე, ამავე არქივის შემდეგი საქმეები:*

ფონდი №289, ანაწერი 1, საქმეებ №№ 570, 800, 1009, 1016.

ფონდი №599, ანაწერი 1, საქმეებ №№ 29, 31.

ფონდი №723, ანაწერი 12, საქმეებ №№ 155, 156, 157;

ფონდი №600, ანაწერი 2, საქმეებ №№ 305, 306.

ფონდი №1995, ანაწერი 1, საქმეებ №№ 25, 64, 65.

ფონდი №997, ანაწერი 1, საქმეებ №№ 26, 27.

Tinatin Jabadari (Tbilisi, Georgia)

#### Epidemics and the fight against it in Adjara in the 20-30s of the XX century

##### Abstract

Epidemics are almost equal to the human race, their spread has always ended in terrible consequences. For centuries, a number of countries in Europe and America have been threatened with blight, typhoid, plague, and other diseases. According to archival documents, in the reality of Georgia, from the beginning of the XIX century to the fifties of the century, the plague epidemic had a deadly impact on the population of Georgia - the disease killed almost half of the population. Later, in particular, from the beginning of the twentieth century until the 1920s, the Spanish flu - the so-called "Influenza" killed 100 million people in Europe.

Malaria belongs to one of the oldest groups of infectious diseases. Currently, more than a hundred countries around the world are endemic for malaria. According to the World Health Organization, up to 350-500 million people are infected with malaria every year, and up to one million three hundred thousand of them, mostly children under 5 years old, most of them die from this disease.

Due to the worst pandemic situation in the world today, based on the documents kept in the archives of recent history of Georgia, I decided to present the severe epidemiological situation in Batumi and the whole of Adjara in the 1930s, measures taken and implemented against diseases.

Active work against all epidemic and infectious diseases began in Georgia from the day of the Soviet Union. In 1923, the First Congress of Physicians of All Georgia made malaria and the fight against malaria a program issue. The diseased population was treated mainly with quinine. From the thirties, the method of intravenous administration of quinine was introduced to us, which was used for more severely ill patients. In 1926-1935, significant research was carried out at the malaria station in Batumi to improve the difficult situation. Work was underway not only against malaria and typhoid fever, but also against a number of infectious diseases.

The sick people were served not only by the Batumi hospital, but also by the barracks named after them in the city streets due to their serious condition. As a result of preventive work against malaria, the epidemic situation in Batumi improved slightly during 1928-1930.

The topic is the tireless work of doctors in the conditions of the epidemic, disinfection and preventive work, the work of the port of Batumi and other institutions, the evaluation of the work done by foreign specialists, in particular Martin Meyer and Dr. Ernst Nauk in Germany and in this case in Batumi and Adjara.

**სტატიათა ავტორები**  
**Authors of the Articles**

**აბულაძე ირა** (ბათუმი, საქართველო)

საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმიდა გრიგოლ ხანძთელის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

**Abuladze Ira** (Batumi, Georgia)

Head of Educational Department of Georgian Patriarchate St. Grigol Khandzteli School, Senior Teacher of the Georgian Language and Literature

**აზმაიფარაშვილი მაია** (გორი, საქართველო)

ეკოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (ეკოლოგიის დეპარტამენტი)

**Azmaiparashvili Maia** (Gori, Georgia)

PhD in Ecology, Associate Professor, Gori State Teaching University; Correspondent Member of Georgian Engineering Academy (Ecology Department)

**ასლანიძე აბესალომ** (ბათუმი, საქართველო)

ფილოსოფიის დოქტორი

**Aslanidze Abesalom** (Batumi, Georgia)

PhD in Philosophy

**ბარამიძე ირაკლი** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Baramidze Irakli** (Batumi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**გეგეშიძე ელენე** (თბილისი, საქართველო)

კულტუროლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Gegeshidze Elene** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Culturology, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**გოგოლიშვილი ოთარ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Gogolishvili Otar** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**გრეისი დევიდ** (სიეტლი, აშშ)

არქეოლოგიის მაგისტრი, დასავლეთ ვაშინგტონის უნივერსიტეტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Grace David** (Seattle, United States)

Master in Archeology, Junior Researcher, Western Washington University

**დიაკოვა ელენა** (ხარკოვი, უკრაინა)

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ხარკოვის გ. ს. სკოვოროდას სახელობის ეროვნული პედაგოგიური უნივერსიტეტის უკრაინის ისტორიის კათედრის დოცენტი  
**Дьякова Елена Васильевна** (Харьков, Украина)

Кандидат исторических наук, Доцент кафедры Украины истории

Харьковского национального педагогического университета имени Г.С. Сковороды

**Dyakova Helen** (Kharkiv, Ukraine)

Candidate of Historical Sciences, Associate Professor, Department of History of Ukraine, Kharkiv National Pedagogical University Named after G. S. Skovoroda

**დიასამიძე ასმათ** (ბათუმი, საქართველო)

განათლების დოქტორი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი  
**Diasamidze Asmat** (Batumi, Georgia)

PhD in Pedagogy, Member of the Supreme Council of the Autonomous Republic of Adjara

**დიასამიძე ხათუნა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Diasamidze Khatuna** (Batumi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**დუმბაძე ხათუნა** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

**Dumbadze Khatuna** (Batumi, Georgia)

PhD Student, Batumi Shota Rustaveli State University

**ვარშალომიძე ირინე** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Varshalomidze Irine** (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko

Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**თურმანიძე ოთარ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Turmanidze Otar** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**კარალიძე ჯემალ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**Karalidze Jemal** (Batumi, Georgia)

PhD in History, Professor, Head of the Department of History, Archaeology and Ethnology of Batumi Shota Rustaveli State University

**კარასიევიჩ-სზიპიორსკი რადოსლავ** (ვარშავა, პოლონეთი)

არქეოლოგიის დოქტორი, ვარშავის უნივერსიტეტის არქეოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი

**Karasiewicz-Szczypiorski Radoslaw** (Warsaw, Poland)

PhD in Archeology, Professor, Archaeology Institute of Warsaw University

**კახიძე ნოდარ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Kakhidze Nodar** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher, Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**კობერიძე მარიამ** (გორი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

**Koberidze Mariam** (Gori, Georgia)

PhD in Philology, Professor, Gori State Teaching University

**კოპალიშვილი ტატიანა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი

**Kopaleishvili Tatiana** (Batumi, Georgia)

PhD in History

**ლომთათიძე თამილა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების ხელმძღვანელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

**Lomtadze Tamila** (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher, Head of the Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**მამულაძე სულხან** (ბათუმი, საქართველო)

დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

**Mamuladze Sulkhan** (Batumi, Georgia)

PhD Student, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**მხაჭაძე შორენა** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Makhachadze Shorena** (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**მეგრელიშვილი მერაბ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

**Megrelishvili Merab** (Batumi, Georgia)

PhD in History, Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**მეგრელიშვილი ნიკოლოზ** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული მასწავლებელი

**Megrelishvili Nikoloz** (Batumi, Georgia)

Invited Teacher at Faculty of Law and Social Sciences, Batumi Shota Rustaveli State University

**მიქელაძე ნაილე** (ბათუმი, საქართველო)

ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიის და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი

**Mikeladze Naile** (Batumi, Georgia)

PhD in Philology, Principal Researcher of Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor, St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ნაგერვაძე ზურაბ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭარისაღმართის საჯარო სკოლის დირექტორი

**Nagervadze Zurab** (Batumi, Georgia)

PhD in History, Director of the Public School in the Village of Acharisaghmarti, Khelvachauri Municipality

**ნიკოლეიშვილი ავთანდილ** (ქუთაისი, საქართველო)

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**Nikoleishvili Avtandil** (Kutaisi, Georgia)

Doctor of Philological Sciences, Professor, Head of Department of Georgian Philology, Kutaisi Akaki Tsereteli State University

**ნიკოლეიშვილი ოთარ** (ქუთაისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Nikoleishvili Otar** (Kutaisi, Georgia)

PhD in History, Associate Professor, Kutaisi Akaki Tsereteli State University



**ნოღაიდელი ნანული** (ბათუმი, საქართველო)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი

**Nogaideli Nanuli** (Batumi, Georgia)

Researcher, Department of Folklore, Dialectology and Emigrant Literature Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**ოქროპირიძე უჩა** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Okropiridze Ucha** (Batumi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

**პავლიაშვილი ქეთევან** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Pavliashvili Ketevani** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**სარალიძე ლელა** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, რეგიონალიზმის კვლევის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Saralidze Lela** (Tbilisi, Georgia)

PhD in History, Principal Researcher, Regionalism Research Institute

**სულაევი იმანუდინ** (მახაჩკალა, რუსეთი)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, დაღესტნის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Сулаев Имануддин Хабибович** (Махачкала, Россия)

Доктор исторических наук, Дагестанский государственный университет

**Sulayev Imanudin** (Makhachkala, Russia)

Doctor of Historical Sciences, Dagestan State University

**სურგულაძე კახაბერ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**Surguladze Kakhaber** (Batumi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**უზუნაძე რევაზ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, პროფესორი, ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორი

**Uzunadze Revaz** (Batumi, Georgia)

PhD in History, Professor, Director of the Batumi Medical Academy

**უზუნაძე მერაბ** (ბათუმი, საქართველო)  
სსიპ აჭარის მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი  
**Uzunadze Merab** (Batumi, Georgia)  
Researcher, LEPL Adjara Museum

**ფუტკარაძე თამაზ** (ბათუმი, საქართველო)  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**Phutkaradze Tamaz** (Batumi, Georgia)  
Doctor of Historical Sciences, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**ქათამაძე ციური** (ბათუმი, საქართველო)  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
**Katamadze Tsiuri** (Batumi, Georgia)  
Candidate of Historical Sciences, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University

**ქებაძე მადონა** (თელავი, საქართველო)  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი  
**Kebadze Madona** (Telavi, Georgia)  
Candidate of Historical Sciences, Associate Professor, Telavi State University

**ჩელებაძე ნაილა** (ბათუმი, საქართველო)  
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის  
განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა  
ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი  
**Chelebadze Naila** (Batumi, Georgia)  
PhD in History, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko  
Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor of St. Tbel  
Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ჩხაიძე ნუგზარ** (ბათუმი, საქართველო)  
ფილოსოფიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის  
განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი  
**Chkhaize Nugzar** (Batumi, Georgia)  
PhD in Philosophy, Senior Researcher, Department of Ethnology and Sociological Research,  
Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Professor, St. Tbel  
Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

**ცეცხლაძე მარიამ** (ბათუმი, საქართველო)  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი  
**Tsetskhladze Mariam** (Batumi, Georgia)  
PhD Student, Batumi Shota Rustaveli State University

**ძნელაძე ნინო** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი

**Dzneladze Nino** (Batumi, Georgia)

PhD in History, Researcher, Batumi Archaeological Museum

**ჭიჭილეიშვილი მაია** (ბათუმი, საქართველო)

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

**Chichileishvili Maia** (Batumi, Georgia)

PhD in Art Criticism, Senior Researcher, Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Rector of Batumi Art Teaching University

**ჭუმბურიძე დოდო** (თბილისი, საქართველო)

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

**Chumburidze Dodo** (Tbilisi, Georgia)

Doctor of Historical Sciences, Principal Researcher, Department of Modern and Contemporary History, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**ხაჯიშვილი გურამ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი

**Khajishvili Guram** (Batumi, Georgia)

PhD in History

**ჯაბადარი თინათინ** (თბილისი, საქართველო)

საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების გამოყენების განყოფილების უფროსი სპეციალისტი

**Jabadari Tinatin** (Tbilisi, Georgia)

Senior Specialist, Department of Use of Documents of the National Archival Fund of Central Archive of Modern History, National Archives of Georgia

**ჯიბაშვილი ოლეგ** (ბათუმი, საქართველო)

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**Jibashvili Oleg** (Batumi, Georgia)

PhD in History, Senior Researcher, Head of Department of History and Archaeology, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University; Associate Professor, St. Tbel Abuseridze Teaching University of Georgian Patriarchate

გამომცემლობის დირექტორი – ნანა ხახუტაიშვილი  
გამომცემლობის რედაქტორი – ლალი კონცელიძე  
ტექნიკური რედაქტორი – ედუარდ ანანიძე